ნაპოლეონი

რჩეული ნაწერები

1945

ნაპოლეონი

რჩეული ნაწერები

I ტომი

35002

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ბიბლიოთეკა
აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-ინსტიტუტი
Академия наук

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“
თბილისი 1943

ნაპოლეონის რჩეულ ნაწერების პირველი ტომი შეიცავს მის მემუარებს რომელიც ეხება უმთავრესად იტალიაში ლაშქრობას. ქართულ ენაზე ეს მემუარები პირველად გამოდის, ისე როგორც რუსულ ენაზედაც (1941 წ.). ქართულად—თარგმნილია რუსული გამოცემიდან და მხოლოდ ნაწილობრივ არის შედარებული ფრანგულთან, რადგან თბილისის ბიბლიოთეკებში არ აღმოჩნდა ნაპოლეონის ყველა ის ნაწერები, საიდანაც ამოკრებილი აქვს რუსული გამოცემის რედაქტორს ეს I ტომი.

პ/მგ. რედაქტორი: ოთ. ეგაძე
მთარგმნელი: ჯ. ხუნდაძე
ტექნიკური რედაქტორი: ნ. დუნდუა
მხატვარი: დ. ნაცვლიშვილი
სურათები, კაზმულობა და სქემები
ამოღებულია რუსული გამოცემიდან.

შეკვ. № 1264 უე9189 ტირაჟი 2500

ადგილ. მრეწ. სახალხო კომ.-ის სტამბა, თბილისი ფურცელაძე № 5



ტულონის აღება

1793 წ. აგვისტო—დეკემბერი

1-ლი სქემა

I. ესკადრა, თოფხანა და ქალაქი ტულონი ინგლისელებს გადაეცათ 1793 წ. 27 აგვისტოს—II. ტულონის გარემოცვა საფრანგეთის ჯარების მიერ.—III. ნაპოლეონი საალყო არტილერიის სარდლობას ღებულობს (12 სექტემბერს).—IV. გარნიზონის პირველი თავდასხმა (14 ოქტომბერს).—V. სამხედრო თათბირი (15 ოქტომბერს).—VI. მიულგრავის ციხის პირდაპირ სიმაგრის აგება, რომელსაც პატარა გიბრალტარი ეწოდა. VII. მთავარსარდალი ოზარა ტყვედ ვარდება (30 ნოემბერს).—VIII. მიულგრავის ციხის იერიშით აღება (17 დეკემბერს). IX.—ფრანგების შესვლა ტულონში (18 დეკემბერს).

I

ოროვნული კონვენტი 1797 წ. სექტემბრის დამლევს გაიხსნა. პირველ სხდომებზედვე თავი იჩინა უთანხმოებამ ორ პარტიას —მონტანიარებსა და ჟირონდისტებს—შორის. პირველი—დედაქალაქისა და საფრანგეთის იაკობელთა მხარდაჭერით სარგებლობდა. მეორე ბატონობდა ქალაქებში: ლიონში, მარსელში, ტულონში, მონპელიეში, ნიმში, ბორდოში, ბრესტში და ბევრ დეპარტამენტში. 1793 წ. 31 მაისს პარიზის სექციების წარმომადგენლები გარს შემოერტყნენ კონვენტის შენობას და დაჟინებით მოითხოვეს 22 დეპუტატის —ჟირონდის ბელადების—სიკვდილით დასჯა. მონტანიარებს სხვა ოპოზიცია არა ჰყავდათ. სამოცდაათმა დეპარტამენტმა, აღშფოთებულმა, იარაღს წამოავლო ხელი. „პარიზელებმა ხელში ჩაიგდეს ერის ძალა-უფლებაო“—ამბობდნენ ისინი. დეპარტამენტებში ლაშქარი შეაგროვეს და დაიწყო სამოქალაქო ომი. მაგრამ, ვინაიდან მონტანიარები ბატონობდნენ კონვენტსა და დედაქალაქში, ეყრდნობოდნენ ხალხსა და ჯარს, ამის გარდა, რადგან მათ განკარგულებაში იყო ხაზინა და ქალალდის ფულის საბეჭდი დაზგები,—ისინი დასცინოდნენ ფედერალისტების უძლურ მუქარას.

მცირე ჯარი, რომლითაც კალვადოსმა პარიზზე გაილაშქრა, დაამარცხა ჟანდარმთა რამდენიმე ცხენოსანმა ასეულმა.

რამდენიმე კვირის შემდეგ რესპუბლიკაში ლიონისა, მარსელისა, ტულონისა და ლანგედოკის რამდენიმე ქალაქის გარდა, ყველგან აიწყნარე ჩამოვარდა. ლიონმა, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული იტალიის ჯარის ერთი რაზმისა და მასთან შეერთებულ ბურგონელ და ოვერნელ მოხალისეთა ლაშქრის მიერ, ხანგრძლივი და შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მათ. მისი ეროვნული გვარდია დიდიხანია რაც შემდგარი იყო; ამ გვარდიას შეუერთდა სამხრეთ პროვინციებიდან გამოქცული 3.000 კაცი, რომელთა შორის წინანდელი სამსახურის ბევრი ოფიცერი ერია. ამ ქალაქისკენ გაიგზავნა ეროვნული გვარდიის 6.000 კაცი ტულონიდან და მარსელიდან, და 4000— მონპელიედან და ნიმიდან. ორივე ეს რაზმი უნდა შეერთებულიყო ორანჟში და იქიდან დაძრულიყო ლიონის გამოსახსნელად. ალპის ჯარის სახალხო წარმომადგენლებმა მათ წინააღმდეგ გამოგზავნეს გრენობლიდან 2.000 კაცი სასაზღვრო ქვეითი რაზმი, 500 ცხენოსანი ალობროგი და არტილერიის ორი ბატარია პოლკოვნიკ კარტოს მეთაურობით. ეს მცირე რაზმი დაიძრა ქვემოთკენ რონის მარცხენა ნაპირით, ორანჟთან მარსელის მოწინავე რაზმს შეხვდა და გააქცია იგი. შემდეგ გაემართა პონ-სენტ-ესპრისაკენ, გაჰფანტა ნიმიდან გამოგზავნილი მოწინავე რაზმი, დაიკავა ციხედარბაზი, წავიდა ავინიონისკენ და უკუაგდო იქიდან მარსელის ჯარი, რომელმაც საჩქაროდ დაიხია მდინარე დიურანსის გაღმა. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ შეიპყრეს ფედერალისტების წინამძღოლი. ის—ყოფილი დრაგუნი აღმოჩნდა, ტანისამოსის ვაჭარი მარსელში. კარტო დაიძრა ექსისაკენ და 20 აგვისტოს დაიკავა პროვინციის ეს მთავარი ქალაქი, 24 აგვისტოს-კი იერიში მიიტანა ფედერალისტების გამაგრებულ ბანაკზე სოპტემის მაღლობებზე. ბანაკი შეიარაღებული იყო დიდი ყალიბის 26 ქვემეხით. აიღო იგი და შევიდა მარსელში, რომელმაც 21 აგვისტოს დღის განმავლობაში, სამოქალაქო ომის ყველა საშინელება განიცადა. მისი მე-9,11,12, 13 და მე-14 სექციები მონტანიარების მხარეზე დადგნენ და მოითხოვეს რომ მუნიციპალიტეტი კონვენტს დამორჩილებოდა. ეს მოთხოვნილება მუნიციპალიტეტმა აღშფოთებით უარჰყო, და მაშინ-კი იარაღს მოჰკიდეს ხელი. ბრძოლა კიდევ გრძელდებოდა, როცა სოპტემის ბანაკიდან გამოქცეულებმა ფედერალისტების დამარცხების ამბავი მოიტანეს, და იმავე მომენტში კი ალობროგებმა ქალაქ ექსის კარები ხელთ იგდეს. ფედერალისტების შეშინებული წინამძღოლები სასწრაფოდ მიიმალნენ ქალაქის თვითმართველობის შენობიდან და თავის გადარჩენის გარდა სხვას არაფერს ფიქრობდნენ. თითქმის ათასი კაცის თანხლებით ისინი გადავიდნენ ტულონში.

კარტოს შესვლა ექსში ტულონმა 22 აგვისტოს გაიგო. ამ ამბავმა სექციებს ხელი გაუხსნა. მათ დააპატიმრეს და ლა-მალტის ციხეში ჩასვეს სახალხო წარმომადგენლები ბეილი და ბოვე, რომელნიც კონვენტის მინდობილობით ქალაქში იყვნენ. სახალხო წარმომადგენლები ფრერონი, ბარასი და გენერალი ლაპუაპი, რომელნიც იქ ამ დროს გზად მოხვდნენ, ძლივს გაიპარნენ ქალაქიდან და ჩავიდნენ ნიცას, იტალიის ჯარის მთავარ ბანაკში. ყველაფერი ტულონის ხელისუფალთა ბრალი იყო. მუნიციპალიტეტი, დეპარტამენტის საბჭო, ნავსადგურის კომენდანტი, თოფხანის მოხელეების უმრავლესობა, ვიცე-ადმირალი

ტროგოფი, ესკადრის უფროსი, უმეტესი ნაწილი ოფიცრები—ყველა თავს თანაბრად დამნაშავედ გრძნობდა. მათ იცოდნენ—რა მტერთან ჰქონდათ საქმე და ამიტომ თავის გადასარჩენად სხვა საშუალება ვერ გამონახეს თუ არა სამარცხვინო ღალატი. ესკადრა, ნავსადგურ-თოფხანა, ქალაქი, ციხეები კოალიციას ჩააბარეს—საფრანგეთის მტრებს. ესკადრა, 18 სახაზო ხომალდის და რამდენიმე ფრეგატის შემადგენლობით, ღუზაზე იდგა რეიდზე. თუმცა თავისმა ადმირალმა უღალატა, ის მაინც სამშობლოს ერთგული დარჩა და დაიწყო თავის დაცვა ინგლის-ესპანეთის ფლოტის წინააღმდეგ. მაგრამ ხმელეთიდან დახმარების მიუღებლობამ და თავისივე სანაპირო ბატარიების მუქარამ—ბატარიების, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ მას დახმარებოდნენ—ის იძულებული გახადა—მტრებს დანებებოდა. კონტრ-ადმირალ სენ-ჟიულიენმა და რამდენიმე ოფიცერმა, რომელნიც ერთგული დარჩნენ, ძლივს მოასწრეს თავის შველა.

ესკადრა, აგრეთვე ის 13 სახაზო ხომალდიც, რომელიც ნავსაკეთებელში (დოკში) იდგა, და თოფხანის სარდაფები დიდი მარაგითურთ მტერს დავლად დარჩა.

ინგლისის და ესპანეთის ადმირალებმა ტულონი დაიკავეს. გემების რაზმებიდან გამოყოფილმა 5.000 კაცმა აღმართეს თეთრი დროშა და ბურბონთა სახელით ქალაქი დაიუფლეს. წემდეგ მათ მიემატათ ესპანელები, ნეაპოლელები, პიემონტელები და გიბრალტარის ჯარი. სექტემბრის დამლევს გარნიზონში 14.000 კაცი იყო: 300 ინგლისელი, 4.000—ნეაპოლელი, 2.000—სარდინელი და 5.000 ესპანელი. მოკავშირეებმა იარაღი აჰყარეს ტულონის ეროვნულ გვარდიას, რომელიც მათ არასაიმედოდ მიაჩნდათ, და დაშალეს საფრანგეთის ესკადრის გემთა რაზმები. 5.000 მეზღვაური, ბრეტონელები და ნორმანდელები, რომელნიც მათ სიმშვიდეს უკარგავდნენ, ჩასვეს გადასაყვან ხომალდებად ქცეულ საფრანგეთის ოთხ სახაზო გემში და გაგზავნეს როშფორსა და ბრესტს. ადმირალი გუდი, რომ თავისთვის რეიდებზე სადგომი უზრუნველეყო, გრძნობდა ბრენის კონცხის მაღლობთა გამაგრების აუცილებლობას—ეს მაღლობები ბატონობდნენ ბრენის სანაპირო ბატარიას—და აგრეთვე კერის კონცხის მაღლობისას, რომელიც ბატონობდა ეგილეტის და ბალაგიეს ბატარიებს. ეს უკანასკნელი ბატარიები მთელ დიდსა და პატარა რეიდებს უშენდა. გარნიზონი მოთავსდა ერთის მხრით სენ-ნაზერამდე და ოლიულის ვიწრობამდე (ამ ვიწრობის გარე გამოსავალთან), მეორე მხრით—ლა-ვალეტამდე და იერამდე. ყველა სანაპირო ბატარია, ბანდოლის ბატარიებიდან იერის რეიდის ბატარიამდე, დაანგრიეს. იერის კუნძულები მტერმა დაიკავა.

II

როცა გენერალმა კარტომ ინგლისელების ტულონში შესვლა გაიგო, მაშინვე თავისი მთავარი ბანაკი კუჟს გადაიტანა. მოწინავე რაზმი ბოსემდე მივიდა, მოწინავე საგუშაგოები-კი ტულონის გასასვლელებთან განლაგდნენ. ორივე ამ ქალაქის მოსახლეობამ თოფი აიღო და დიდი გულმოდგინეობა გამოიჩინა. კარტოს დივიზია 12.000-მდე კაცს შეიცავდა, რომელთაგან 4.000 დატოვებულ იქნა მარსელში და სანაპიროს სხვადასხვა ადგილას. კარტომ 8.000

კაცით, რომელიც მას დარჩა, ვერ გაბედა გასვლა ვიწრო კლდეკარში და მხოლოდ მეთვალყურეობას დასჯერდა. მაგრამ სახალხო წარმომადგენლებმა ფრერონმა და ბარასმა, რომელნიც ნიცაში მოვიდნენ, მოსთხოვეს გენერალ ბრუნეს, იტალიის ჯარის სარდალს, 5.000 კაცი გენერალ ლაპუაპის უფროსობით ტულონის წინააღმდეგ გასაგზავნად. ლაპუაპმა თავისი მთავარი ბანაკი დააყენა სოლიეში, მოწინავე საგუშაგოები-კი—ლა-ვალეტაში. კარტოსა და ლაპუაპის დივიზიებს შორის არავითარი გზები არ იყო. მათ ერთიმეორეს აშორებდა ფარონის მთები. როცა კარტომ ლაპუაპის მოსვლა გაიგო, ოლულის ვიწრობებზე იერიში მიიტანა, აიღო ისინი 8 სექტემბერს და თავისი მთავარი ბანაკი ბოსეში გადიტანა, ხოლო მოწინავე საგუშაგოები-კი—ოლულის ვიწრობების იქით წასწია. ბრძოლაში, მძიმედ დაიჭრა გამოჩენილი ოფიცერი, არტილერიის უფროსი მაიორი დომარტენი. კარტოსა და ლაპუაპის დივიზიები დამოუკიდებელი იყვნენ ერთიმეორეზე. ისინი ორ სხვადასხვა არმიას ეკუთვნოდნენ: პირველი—ალპის არმიას, მეორე—იტალიისას. ლაპუაპის მარჯვენა ფრთა უთვალყურებდა ფარონის ციხეს და იმავე დასახელების მთას, შუაგული იცავდა ლა-ვალეტიდან მომავალ შარაგზას, მარცხენა ფრთა-კი—ბრენის კონცხის მაღლობებს. ბრეგანსონის ციხე და იერის რეიდის ბატარიები ლაპუაპმა ხელახლად მოაწყო. კარტომ თავისი მარცხენა ფრთით ალყა შემოარტყა პომეს ციხეს, შუაგულით—რუჟის და ბლანის ციხეებს, მარჯვენა ფრთით—მალბოსკეს ციხეს. კარტოს მარქაფს ოლული ეჭირა. ერთი საყარაულო რაზმი სიფურში იდგა. მან ხელახლად აღადგინა სენ-ნაზერის და ბანდოლის ბატარიები. მტერი ფლობდა მთელ ფარონის მთას მალბოსკეს ციხემდე, მთელ საბლეტის ნახევარკუნძულს და კერის კონცხს.

III

ლალატმა, რომელმაც ინგლისელებს ხელში ჩაუგდო ხმელთაშუა ზღვის ფლოტი, ქალაქი ტულონი და მისი თოფხანა, შესძრა კონვენტი. მან გენერალი კარტო დანიშნა საალყო არმიის მთავარსარდლად. საალყო არტილერიის ხელმძღვანელად საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტმა მოითხოვა ძველი სამსახურის არტილერიის ოფიცერი. ამ თანამდებობაზე დანიშნეს ნაპოლეონი, იმ დროს არტილერიის მაიორი. მან ბრძანება მიიღო—საჩქაროდ გამგზავრებულიყო ტულონს, ჯარის მთავარ ბანაკში საარტილერიო პარკის მოსაწყობად და მის მეთაურად. 12 სექტემბერს ის ბოსეში ჩავიდა, წარუდგა გენერალ კარტოს და ჩქარა შეამჩნია მისი უნიჭობა. ეს ოფიცერი (კარტო) მეთაურობდა ფედერალისტების წინააღმდეგ მიმართულ პატარა რაზმს და სამი თვის განმავლობაში პოლკოვნიკობიდან გაიწია ბრიგადის გენერლად, დივიზიის გენერლად და მთავარსარდლად. მას არ ესმოდა არც ციხე-სიმაგრისა და არც ალყა-შემორტყმის საქმე.

არმიის არტილერიას შეადგენდა ორი საველე ბატარია კაპიტან სიუნის მეთაურობით, რომელიც ის-ის იყო მოვიდა იტალიის არმიიდან გენერალ ლაპუაპთან ერთად, სამი ცხენოსანი და ქვეითი ბატარია მაიორ დომარტენის მეთაურობით, რომელიც იმ დროს იქ არ იყო ოლულის ბრძოლაში მიღებულ ჭრილობის გამო (იმის მაგივრად ყველაფერს ხელმძღვანელობდნენ ძველი სამსახურის არტილერიის სერჟანტები), და მარსელის თოფხანიდან გამოტანილი რვა 24-გირვანქიანი ზარბაზანი.

16 დღის განმავლობაში, იმ დროიდან რაც ტულონი მტრის ხელში იმ-ყოფებოდა, საალყო პარკის მოსაწყობად არაფერი არ იყო გაკეთებული.

13 სექტემბრის განთიადზე მთავარსარდალმა წაიყვანა ნაპოლეონი ბატ-არიაზე, რომელიც მან დასდგა ინგლისის ესკადრის დასაწვავად. ეს ბატარია იდგა ოლულის ვიწრობის გამოსავალთან, პატარა მაღლობზე, გზატკეცილიდან ცოტა მარჯვნივ, ზღვის ნაპირიდან 2.000 ტუაზზე[1]. ამ ბატარიაში იყო რვა 24-გირვანქიანი ზარბაზანი, რომლებსაც, მთავარსარდლის აზრით, ესკადრა უნდა დაეწვა, მდგომი ღუზაზე ნაპირიდან 400 ტუაზზე, ე. ი. ბატარიიდან მთელ ერთ ლიეზე[2]. ბურგონის გრენადერები და კოტდ'ორის პირველი ათასეული უკვე სახლებში წავიდ-წამოვიდნენ და შეუდგნენ ყუმბარების გახურებას სამზა-რეულოს საბერველების საშუალებით.

ნაპოლეონმა უბრძანა გაეტანათ პარკში ეს რვა 24-გირვანქიანი ქვე-მეხი. მან ყველა ღონისძიებას მიმართა რომ არტილერია გაეწყო, და ექვს კვირაზე უფრო ადრე მოაგროვა დიდი ყალიბის 100 ქვემეხი—შორსმსროლელი მორტირები და 24-გირვანქიანი ზარბაზნები, რომლებიც უხვად მოამარაგა ყუმბარებით.

მან იშოვა ცხენები და მოიწვია სამსახურში არტილერიის ის ოფიცრები, რომლებიც რევოლუციის ამბების გამო სამსახურს მოშორდნენ. მათ შორის იყო გასენდი, რომელიც ნაპოლეონმა მარსელის თოფხანის უფროსად დანიშნა. ზედ ზღვის პირზე ნაპოლეონმა ორი ბატარია მოაწყო; ერთს ეწოდა მ თ ი ს ბატარია და მეორეს—ს ა ნ კ ი უ ლ ო ტ ე ბ ი ს. ამ ბატარიებიდან გახურებული სროლის შემდეგ მტრის გემები იძულებული გახდნენ გაშორებულიყვნენ და დაეცალათ პატარა რეიდი. ამ პირველ თვეებში საალყო ჯარში არც ერთი საინჟენერო ოფიცერი არ იყო. ნაპოლეონს უნდა ემსახურნა ინჟენრების მაგი-ვრადაც, არტილერიის უფროსის მაგივრადაც და პარკის მეთაურის მაგივრა-დაც. მთელ დღეებს ის ბატარიებზე ატარებდა.

IV

14 ოქტომბერს ალყამემორტყმულებმა, 4.000 კაცის რაოდენობით, მოა-წყვეს თავდასხმა რათა ხელში ჩაეგდოთ მთისა და სანკიულოტების ბატარიები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ მაო ესკადრებს. ერთმა რაზმმა გაიარა მალბოსკეს ციხე და დაიკავა პოზიცია შუაგზაზე მალბოსკედან ოლულისკენ. მეორე მიდიოდა ზღვის ნაპირის გასწვრივ და მიემართებოდა ბრეგის კონცხი-საკენ, სადაც ბატარიები იყო განლაგებული. არტილერიის უფროსი წინ იყო ალმეირასთან ერთად, კარტოს ადიუტანტთან, ძალიან კარგ ოფიცერთან, შემ-დეგში—კი—დივიზიის გენერალი.

ნაპოლეონი დიდ ნდობას იწვევდა ჯარში. ჯარისკაცები მას დიდი ხალი-სით ემორჩილებოდნენ. მან გაამართლა ჯარის ნდობა. მტრის თავდასხმა ჯერ მოიგერიეს, და შემდეგ უკუაგდეს ის ციხისაკენ. ბატარიები გადარჩა. ამ დღიდან ნაპოლეონმა გაიგო თუ რას წარმოადგენდა თავისთავად კოალი-ციის ჯარები. ნეაპოლელები, რომლებიც მტრის ჯარების ერთ ნაწილს შეა-დგენდნენ, არ ვარგოდნენ და მათ მუდამ მოწინავე რაზმში ნიშნავდნენ.

[1] ტ უ ა ზ ი—დაახლოებით 2 მეტრია.

[2] ლ ი ე—4 კილომეტრია.

აღმოსავლეთის მხარეზე, ლაპუაპთან, ყოველდღე ხდებოდა შეტაკება მტრის საგუშაგოებთან, რომლებიც ფარონის ფერდობებზე იყვნენ განლაგებული, ლაპუაპის პირისპირ. 1 ოქტომბერს მან უკან დაახევინა მათ, ავიდა მთაზე, მაგრამ ციხემ შეაჩერა, რამდენიმე საათის შემდეგ-კი უკუვდებულ იქნა და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ბანაკში. 15 ოქტომბერს ის უფრო ბედნიერი აღმოჩნდა, იერიში მიიტანა ბრენის კონცხზე და ცხარე შეტაკების შემდეგ აიღო იგი.

V

სექტემბრის დამლეგს ოლულში შეიკრიბა სამხედრო საბჭო რომ გადაეწყვიტათ, რა მხრიდან დაეწყოთ მთავარი იერიში—აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან? თავი მოუყარონ ყველა საალყო საშუალებას იმ ადგილას, რომელიც ლაპუაპის დივიზიას უკავია, თუ იქ, სადაც კარტოს დივიზია დგას? ერთხმად გამოსთქვეს ის აზრი რომ იერიში დასავლეთიდან უნდა მიიტანონ და მთავარი საალყო პარკი შემოკრიბონ ოლულში. აღმოსავლეთის მხრიდან ტულონი დაცულია ფარონისა და ლა-მალგის ციხეებით, დასავლეთის მხრიდან-კი მხოლოდ ერთი ციხე იყო—მალბოსკესი, რომელიც უბრალო საველე სიმაგრეს წარმოადგენდა.

მეორედ საბჭო 15 ოქტომბერს შეიკრიბა. იქ ირჩეოდა პარიზიდან გამოგზავნილი გარშემორტყმის გეგმა. იგი შეადგინა გენერალმა დ'არსონმა და მოიწონა საინჟენერო კომიტეტმა. გეგმით ნავარაუდევი იყო რომ ჯარი შესდგება 60.000 კაცისაგან და უხვად აქვს ყველა საჭირო მასალა. გეგმაში გამოთქმული იყო სურვილი რომ საალყო ჯარს ჯერ აეღო მთა და ფარონის ციხე, რუჟის და ბლანის ციხეები, სენტ-კატრინის ციხე, და შემდეგ გაეთხარა სანგრები ტულონის ციხის გალავნის პირისპირ; მას ყურადღება არ უნდა მიექცია როგორც ლა-მალგის ციხისათვის, აგრეთვე მალბოსკეს ციხისათვისაც. მაგრამ ფარონის ციხე მტერს ძლიერ გამაგრებული ჰქონდა, გარემო ადგილი-კი ისეთი იყო რომ სანგრების გათხრა აქ ადვილი არ იქნებოდა. თუმცა, ასეთი გზით მოქმედებისას ოპერაციები თავისთავად გაჭიანურდებოდა და ალყა-შემორტყმულებს დროს მისცემდა რომ დახმარება მოსვლოდათ. მხოლოდ ამ დახმარებას უცდიდნენ ისინი რომ ალყა მოეხსნევინებინათ და პროვანსი აეღოთ.

არტილერიის უფროსი სრულიად სხვა გეგმას იძლეოდა. ის იმ აზრს იცავდა რომ ტულონს ალყას შემოარტყამდნენ ზღვიდან, იმ გვარადვე როგორც ხმელეთიდან,—ციხე თავისთავად გატყდებოდა. მტრისთვის უფრო ხელსაყრელია—დასწვას საწყობები, დაანგრიოს თოფხანა, ააფეთქოს ნავსაკეთებელი, წაიყვანოს საფრანგეთის 31 საბრძოლო გემი და გასწმინდოს ქალაქი, ვიდრე ჩაჰკეტოს მასში 15-ათასიანი გარნიზონი და განწიროს იგი, ადრე თუ გვიან, იარაღის დასაყრელად; ამასთან, საპატიო კაპიტულაციის მისაღებად მტერი იძულებული უნდა გახდეს ჩააბაროს დაუზიანებლად ესკადრა, თოფხანა, საწყობები და ყველა სიმაგრე. მაგრამ თუ ესკადრას აიძულებდნენ რომ გაეწმინდა დიდი და პატარა რეიდი,—ტულონისთვის ალყის შემორტყმა ზღვიდან ადვილი იქნებოდა. ამისთვის საკმაოა—ლაგომში, ეგილეტის კონცხის კიდურზე დაიდგას ერთი ბატარია ოცდაათი 36- და 24-გირვანქიანი ზარბაზნით, გავარვარებული ყუმბარების მსროლელი ოთხი 16-გირვანქიანი ქვემეხით

და 10 მოკლე ქვემეხით, მეორე-კი, ასეთივე ძალისა,—ბალაგიეს კონცხზე. ორივე ეს ბატარია არ იქნება დაშორებული დიდ კოშკიდან 700 ტუაზზე უფრო მეტად და შესძლებს დაუშინოს ყუმბარები დიდი და ბატარა რეიდის მთელ ფართოას. გენერალი მარესკო, იმ დროს ინჟენერთა უფროსი, რომელიც ჩამოვიდა საინჟენერო ჯარების სარდლად, არ იზიარებდა ამ იმედებს, მაგრამ ინგლისის ფლოტის განდევნა და ტულონისთვის ალყის შემორტყმა მართებულად მიაჩნდა.

ბალაგიეს კონცხის და ეგილეტის კონცხის მნიშვნელობა მტრის გენერლებმაც შეიგნეს. მათ მთელი თვე მოანდომეს მუშაობას კერის კონცხის მწვერვალზე და მიულგრავის ციხეში. მათ ყველაფერი მოიხმარეს რისიც მოხმარება შეიძლებოდა: გემების ეკიპაჟები, ხე-ტყე, ტულონის თოფხანაში მყოფი მუშახელი, და იმუშავეს დაუსვენებლივ. ამ ციხეს უკვე შეერქვა ის სახელი რომელიც ინგლისელებმა დაარქვეს: მ ც ი რ ე გ ი ბ რ ა ლ ტ ა რ ი.

ჯარში მოსვლის მესამე დღეს ნაპოლეონი ეწვია კერის პოზიციას, რომელიც მტერს ჯერ ვერ დაეკავებინა. მან იმ საათშივე შეადგინა თავისი გეგმა მოქმედებისა, დაბრუნდა მთავარსარდალთან და სთხოვა მას—შესულიყო ტულონში ერთი კვირის შემდეგ. ამისთვის საჭირო იყო კერის პოზიციის მტკიცედ დაკავება რომ არტილერიას შესძლებოდა თავისი ბატარიების დადგმა ეგილეტის და ბალაგიეს კონცხების კიდურებზე. გენერალ კარტოს არ ჰქონდა ამ გეგმის არც გაგების და არც შესრულების უნარი, მაგრამ მან მაინც დაავალა მამაც გენერალს დელაბორდს, შემდეგში იმპერატორის გვარდიის გენერალს, წასულიყო იქ 400 კაცით. რამდენიმე დღის შემდეგ მტერი გადმოსხდა ნაპირზე 4.000 კაცის შეპადგენლობით, უკუაგდო გენერალი დელაბორდი და შეუდგა მიულგრავის ციხის აგებას. პირველი რვა დღის განმავლობაში არტილერიის უფროსი განუწყვეტლივ თხოულობდა დახმარებას დელაბორდისთვის რათა ამ ადგილიდან უკუეგდო მტერი, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. კარტოს თავისთავი არ მიაჩნდა საკმაოდ ძლიერად რომ თავისი მარჯვენა ფრთა გაეგრძელებია, ან, უფრო სწორად, მას არ ესმოდა ამის დიდი მნიშვნელობა. ოქტომბრის დამლევს—კი საქმის მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. უკვე ფიქრი აღარ შეიძლებოდა ამ პოზიციის პირდაპირი იერიშით აღებაზე. უნდა დადგმულიყო ზარბაზნების და მოკლე ქვემეხების ბატარიები, დაწყებულიყო სასანგრო მუშაობა და ჩაეჩუმებინათ ციხის არტილერია.

სამხედრო საბჭომ ყველა ეს მოსაზრება მოიწონა. არტილერიის უფროსმა ბრძანება მიიღო—განაგოს ყველაფერი რაც კი მის ნაწილს შეეხება. ის მუშაობას დაუყონებლივ შეუდგა.

მაგრამ მას მაინც ყოველდღე უხდებოდა შედავება უვიც შტაბთან რომელიც ყოველნაირად ცდილობდა მოეცდინა იგი მიღებულ გეგმის შესრულებიდან. ხან ზარბაზნებს მოაბრუნებდნენ სულ სხვა—საწინააღმდეგო—მხრისაკენ, ხან უმიზნოდ უშენდნენ ციხეებს, ხან ცდილობდნენ—ქალაქში ჩაეგდოთ რამდენიმე ყუმბარა რომ ეს-თუ-ის სახლები დაეწვათ.

ერთხელ მთავარსარდალმა აიყვანა ის მწვერვალზე მალბოსკეს ციხესა და რუჟის და ბლანის ციხეებს შუა და უბრძანა—დაედგა იქ ბატარია. ამაოდ ცდილობდა არტილერიის უფროსი—აეხსნა მისთვის რომ ალყის შემომრტყმე-

ლი უკეთეს მდგომარეობაში იქნება თუ ციხის პირდაპირ სამს ან ოთხ ბატარიას დასდგამს და ამნაირად მას ჯვარედინ ცეცხლში მოაქცევს. ის ამტკიცებდა რომ უბრალო მიწის-საფარიანი ბატარიები ვერ შეებრძოლებიან იმ ბატარიებს, რომელნიც სახანგრძლივო სიმაგრეებში არიან მოთავსებული, და რომ ამ ბატარიას, სამ ციხეს შორის დადგმულს, დაანგრევენ [ოთხუთმეტ წუთში და მთელი მოსამსახურეები დახოცილ იქნებიანო. კარტო, უვიცი კაცის მთელი ქედმაღლობით, თავისას გაიძახოდა. მაგრამ, სამხედრო დისციპლინის მთელი სიმკაცრის მიუხედავად, ეს ბრძანება მაინც შეუსრელებელი დარჩა, ვინაიდან ის შეუსრულებადი იყო.

მეორეჯერ, კარტომ ბრძანება გასცა—აეგოთ ბატარია სწორედ იმ მიმართულებით რომელიც საერთო გეგმას ეწინააღმდეგებოდა, და მასთან ისეთ ფართობზე ქვის შენობის წინ რომ არა რჩებოდა საჭირო მანძილი ქვემეხის უკუგორვისათვის, სახლის ნანგრევები-კი შეიძლებოდა მსახურთ დასცემოდათ თავზე. არტილერიის უფროსი კვლავ იძულებული იყო—არ დამორჩილებოდა მის ბრძანებას.

ჯარისა და სამხრეთ საფრანგეთის ყურადღება მთის და სანკიულოტების ბატარიებს ჰქონდა დაპყრობილი. ეს ბატარიები საშინლად უშენდნენ. ინგლისის მრავალი კანჯო ჩაიძირა. ბევრ ფრეგატს ანძები მოსტეხეს. ოთხი სახაზო გემი იმდენად ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა რომ საჭირო გახდა მათი ნავსაკეთებელში შეყვანა შესაკეთებლად. მთავარსარდალმა-კი შეურჩია დრო,როცა არტილერიის უფროსი 24 საათით წავიდა მარსელის თოფხანის სარევიზიოდ და ზოგიგრთი საჭირო საგნის გაგზავნის დასაჩქარებლად,—და უბრძანა მიეტოვებინათ ეს ბატარია იმ საბაბით რომ მასზე ბევრი თოფჩი იღუპებოდა. საღამოს 9 საათზე, როდესაც ნაპოლეონი დაბრუნდა, ბატარიის დაცლა უკვე დაიწყეს. ის კვლავ იძულებული შეიქნა—არ დამორჩილებოდა.

მარსელში ეოთი ძველი ზარბაზანი იდგა რომელიც დიდიხანია ცნობისმოყვარეობის საგნად იყო ქცეული. შტაბმა გადასწყვიტა რომ ტულონის დაბრუნება მხოლოდ ამ ზარბაზნის დახმარებით შეიძლებაო, რადგან მას სასწაულებრივი თვისებები აქვს და ის, სულ ცოტა, 2 ლიეზე ისვრისო. არტილერიის უფროსი დარწმუნდა რომ ეს ზარბაზანი, ამასთანავე მეტისმეტად მძიმე, მთლად დაჟანგულია და ვერავითარი სამსახურის გაწევა ვერ შეუძლია. მაგრამ მაინც ცოტა ხარჯი არ გაუწევიათ, ეს ხარა-ხურა რომ ამოეთრიათ და დაედგათ, რომლითაც მხოლოდ რამდენიმეჯერ გაისროლეს.

ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო განკარგულებებით გაჯავრებულმა ნაპოლეონმა წერილობით სთხოვა მთავარსარდალს—გაეცნო მისთვის ზოგადი წინასწარდასახულობა და მიეცა დაწვრილებითი განკარგულებანი არტილერიის შესახებ. კარტომ უპასუხა რომ, მის მიერ საბოლოოდ მიღებულ გეგმის თანახმად, არტილერიის უფროსმა უნდა დაუშინოს ტულონს სამი დღის განმავლობაში, ამის შემდეგ მთავარსარდალი იერიშს მიიტანს ციხექალაქზე სამი რაზმეულით. ამის გამო არტილერიის უფროსმა წარუდგინა წერილობითი მოხსენება სახალხო წარმომადგენელს გასპარენს. ამ მოხსენებაში აღნიშნა ყველა ის რაც უნდა გაკეთებულიყო ქალაქის ასაღებად, ე. ი. მან განიმეორა ის რაც სთქვა სამხედრო თათბირზე. გასპარენი ჭკუიანი კაცი იყო. ტულონის გარემოცვ-

ვის დროს ნაპოლეონს შემთხვევა ჰქონდა დაეფასებია იგი და მისგან დიდად იყო დავალებული. გასპარენმა ნაპოლეონის გეგმა საგანგებო შიკრიკის ხელით პარიზს გაგზავნა და იქიდან იმავე შიკრიკის ხელით მოვიდა ბრძანება რომ კარტოს სასწრაფოდ დაეტოვებინა საალყო ჯარი და გამგზავრებულიყო ალპის ჯარში. მის ადგილზე დანიშნეს გენერალი დოპე, რომელიც ჯარს სარდლობდა ლიონთან ბრძოლაში და რომელსაც ის-ის იყო აეღო ეს ქალაქი. დროებითი სარდლობა მიიღო გენერალმა ლაპუაპმა როგორც უფროსმა. 15 ნოემბერს მან თავისი მთავარი ბანაკი ოლულში დააყენა და თავისი სარდლობის რამდენიმე დღის განმავლობაში ჯარის პატივისცემა მოიპოვა.

VI

არტილერიის უფროსმა ზარბაზნებისა და მოკლე ქვემეხების ცხრა ბატარია დასდგა; ორი—ყველაზე უფრო მძლავრი—ორ პარალელურ ბორცვზე ქატრმულენისა და საბლეტის სახელწოდებით, მიულგრავის ციხეზე მოშორებით, რომელთაც დახმარება უნდა გაეწიათ სამი ბატარიისათვის: ომ-სანპერისათვის, სამხრეთის პატრიოტებისა და დე-ბრავისათვის, რომელნიც განლაგებული, იყვნენ ციხიდან 100 ტუაზის მანძილზე, მაგრამ მბრძანებელ მაღლობზე. ბრეგის ბატარიები უშენდნენ საბლეტის ყელს და ლაზარეთის ყურეს. ბატარიები ყოველდღე ისროდნენ. მათი მიზანი იყო—შეენელებიათ მტრის მუშაობა მცირე გიბრალტარის კვლავ უფრო გამაგრებისათვის. ალყისშემომრტყმელთა ბატარიებმა ჩქარა მოიპოვეს უპირატესობა, ამან აიძულა ალყაშემორტყმულები—გამომხტარიყვნენ ამ ბატარიების მოსასპობად. 8 ნოემბერს ალყაშემორტყმულები თავს დაესხნენ საბლეტის და ქატრ-მულენის ბატარიებს. უკანასკნელ ბატარიიდან ისინი უკუაგდეს, მაგრამ საბლეტის ბატარია-კი აიღეს და მისი ქვემეხები გამოჩურთეს.

მთავარსარდალი დოპე საალყო ჯარში მოვიდა 10 ნოემბერს. ის იყო საგოიელი, ექიმი, კარტოზე უფრო ჭკვიანი, მაგრამ ისეთივე უვიცი სამხედრო ხელოვნების დარგში, და ყველა იმ კაცის მტერი, ვისაც რაიმე ნიჭი ეტყობოდა. მისი მოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ ინგლისელების მიერ ნასროლმა ყუმბარამ მთის ბატარიაზე გამოიწვია თოფისწამლის სარდაფის ხანძარი. არტილერიის უფროსი, რომელიც იქ იმყოფებოდა, დიდ საფრთხეში ჩავარდა. რამდენიმე თოფჩი მოიკლა. საღამოს, როცა არტილერიის უფროსი ამ შემთხვევის მოსახსენებლად მთავარსარდალთან მივიდა, უკანასკნელი ადგენდა ოქმს იმ ძიზნით რომ დაემტკიცებინა—სარდაფს ცეცხლი არისტოკრატებმა წაუკიდეს და არა სხვა ვინმემაო.

მეორე დღეს კოტოდორელთა ათასეულმა, რომელიც მიულგრავის ციხის წინ სანგრებში იმყოფებოდა, თოფი აიღო და გაემართა ამ ციხის წინააღმდეგ. ათასეული აღშფოთებული იყო ესპანელთა ცუდი მოპყრობით ტყვედ-ჩავარდნილ ერთი ფრანგი მოხალისის მიმართ. ამ ათასეულს გაჰყვა ბურგონის ლეგიონიც. ამ საქმეში ჩათრეული აღმოჩნდა გენერალ ბრიულეს მთელი დივიზია. შეიქმნა ქვემეხების და თოფის სროლა. არტილერიის უფროსი მთავარ ბანაკში იმყოფებოდა; ის წავიდა მთავარსარდალთან, მაგრამ ამ უკანასკნელს თვითონ არ ესმოდა ამ ამბების მიზეზი. მათ სწრაფად გასწიეს ბრძოლის ველზე. დღის 4 საათი იყო. არტილერიის უფროსის აზრით, რადგან იერიში დაწყებული იყო,—საჭირო იყო მისი დამთავრება. გენერალმა უბრძანა მას—ეკისრა

იერიშის სარდლობა. მთელი კონცხი დაფარული იყო ფრანგი მსროლელებით, რომელთაც გარემოეცვათ ციხე. არტილერიის უფროსმა დააწყო რაზმეულად გრენადერთა ორი ასეული იმ მიზნით რომ ციხეში შეჭრილიყვნენ; ამ დროს, უეცრად, მთავარსარდალმა ბრძოლის შეწყვეტა უბრძანა, იმის გამო რომ მის ახლოს, მაგრამ საცეცხლო ხაზზე საკმაოდ მოშორებით, მოჰკლეს ერთერთი მისი ადიუტანტი. მსროლელები ვერ მიმხვდარიყვნენ—რატომ დაიხიეს ჩვენებმა და რატომ გაიცა ბრძოლის შეწყვეტის განკარგულება. იერიში ჩაიშალა. ნაპოლეონი, რომელსაც პირისახე შეღებილი ჰქონდა შუბლის მსუბუქ ჭრილობიდან ჩამონადენი სისხლით, მიიჭრა მთავარსარდალთან და უთხრა: იმ ბრიყვმა, რომელმაც ბრძოლის შეწყვეტა უბრძანა, ჩაგვიშალა ტულონის აღებაო. ჯარისკაცები, რომელთაც დახევის დროს ბევრი თავიანთი ამხანაგი დაჰკარგეს, სამდურავს გამოსთქვამდნენ. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ,—ნუთუ დრო არ არის ამას ბოლო მოეღოსო. „როდის-ღა შესწყვეტენ მხატვრებისა და ექიმების ჩვენთვის სარდლებად გზავნასაო?“ რვა დღის შემდეგ დოპე პირენეის ჯარში გაგზავნეს. მისი იქ მისვლა მან აღნიშნა იმით რომ რამდენსამე გენერალს გილიოტინით თავი მოსჭრა.

დოპესთან ერთად ლიონიდან ჩამოვიდა საალყო არტილერიის უფროსად ძველი სამსახურის დივიზიონის გენერალი დიუტეილი. მაგრამ ნაპოლეონს მთავრობისაგან განსაკუთრებული რწმუნებულობა ჰქონდა და ამიტომ უფროსობა მას დაუტოვეს. არტილერიაში ორი გენერალი იყო დიუტეილის გვარით. უხუცესი, ოსონის სკოლის უფროსად დიდხანს ნამყოფი, არტილერიის საუკეთესო ოფიცერი იყო. მისი სკოლა ერთადერთი იყო, სადაც ოფიცრებს რისმე მესწავლა შეეძლოთ. 1788 წ. მან ყველა სხვაში ნაპოლეონი გამოარჩია რომელიც იმ დროს არტილერიის ლეიტენანტი იყო; სკოლის უფროსმა წინასწარ იგრძნო მისი სამხედრო ნიჭიერება. ეს გენერალი არ იზიარებდა რევოლუციურ აზრებს. ის უკვე ხნიერი კაცი იყო. მაგრამ უარი სთქვა უცხოეთში გადასახლებაზე და დარჩა თავის თანამდებობაზე. როცა კელერმანმა ლიონს ალყა შემოარტყა, ის მეთაურობდა არტილერიას. ამ ქალაქის აღების შემდეგ მან ვერ მოახერხა—ხელიდან დასხლტომოდა საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს კოლო დ'ერბუას და ფუშეს. მას მსჯავრი დასდო რევოლუციურმა ტრიბუნალმა და სიკვდილით დასაჯა. მისი განაჩენი დასაბუთებული იყო მით რომ მან დააგვიანა არტილერიის გაგზავნა ტულონის საალყო ჯარში. ამაოდ უჩვენებდა იგი ტრიბუნალს ნაპოლეონის მიერ მისდამი მიწერილ წერილებს, სადაც ნაპოლეონი მადლობას უხდიდა მას გონივრული განკარგულებისა და მოქმედებისათვის ამ არტილერიის გაგზავნის დროს.

გენერალი დიუტეილი—უმცროსი, რომელსაც არტილერიაში არაფერი გაეგებოდა, სულ სხვა ყაიდის კაცი იყო. ტულონთან მოსვლის შემდეგ ის ძლიერ კმაყოფილი დარჩა, როცა ნახა, რომ დაკავებულია ის თანამდებობა, რომლის შესრულების უნარი მას თვითონ არ ჰქონდა. გარდაიცვალა მეცაში ციხის არტილერიის უფროსად.

ჯარისკაცების ღაღადი შეისმინეს. 20 ნოემბერს სახელოვანმა დიუგომიემ ჯარის სარდლობა მიიღო. მას 40 წლის ნამსახურობა ჰქონდა. ის დაიბადა ერთერთ მდიდარ ახალშენში მარტინიკაზე. რევოლუციის დაწყებიდან ამ ოფი-

ცერმა, ამ დროს სამსახურიდან გადამდგარმა, იკისრა პატრიოტების მეთაურობა. იგი იცავდა ქალაქ სენ-პიერს. როდესაც ინგლისელები შევიდნენ იქ, მან კუნძულიდან გაძევებულმა, მთელი თავისი ქონება დაჰკარგა. ის დანიშნეს ბრიგადის მეთაურად იტალიის ჯარში იმ დროს, როდესაც პიემონტელებს (რომელთაც უნდოდათ ტულონისკენ ძალების წასვლა გამოეყენებიათ) აზრად მოუვიდათ—გადასულიყვნენ ვარზე და შესულიყვნენ პროვანსში. დიუგომიეს დაამარცხა ისინი ჟილეტთან, რითაც აიძულა—დაეხიათ წინანდელ მიჯნაზე. მას ძველი მეომრის ყველა თვისება ჰქონდა. თვითონ მეტისმეტად გულადს უყვარდა გულადები და მათაც უყვარდათ იგი. ის გულკეთილი იყო, თუმცა—ფიცხი, ძალიან ენერგიული, სამართლიანი, ჰქონდა მარჯვე სამხედრო თვალი, ომში იყო მედგარი და აღუშფოთებელი.

VII

ლიონის ჯარი განაწილებული იყო ალპიის, პირენეის და ტულონის ჯარებს შორის. დახმარება არც ისე დიდი აღმოჩნდა როგორიც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. საალყო ჯარში მხოლოდ 30.000 კაცი იმყოფებოდა, კარგი და სუსტი მხედრობის ჩათვლით. მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი გენერალი ო'ხარა უცდიდი თავისი დამხმარე ჯარის—12.000 ქვეითის და 2.000 ცხენოსნის—მოსვლას. მას იმედი ჰქონდა რომ ალყას მოახსნევინებდა და, ოლულის საარტილერიო პარკის დაპყრობით, აიძულებდა ფრანგებს—გაეყვანათ ჯარი იტალიიდან, შემდეგ-კი პიემონტელებთან ერთად, საზამთროდ დაბანაკდებოდა დიურანსზე და მთელ პროვანსს დაიპყრობდა. ამ პროვინციაში სურსათის ნაკლებობა იყო. მარსელის ვაჭრებმა რამდენიმეჯერ სცადეს—მიეტანათ სურსათ-სანოვაგე, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან ტულონი მტერმა დაიკავა და ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის, ესპანეთის და ნეაპოლის ფლოტები იდგა. რესპუბლიკის ეს ოლქი მთელ იმედებს ტულონის აღებაზე ამყარებდა. ამასასობაში, ალყისშემორტყმიდან ოთხი თვის განმავლობაში, როგორც ამბობდნენ, მხოლოდ ერთ საველე სიმაგრეს—რომელიც მოშორებული იყო ციხეებს—დაუშინეს ზარბაზნები. მტერს დამშვიდებით ეჭირა არა მარტო ქალაქი და ციხეები, არამედ მთელი სივრცეც ქალაქსა, ფარონის მთასა და მალბოსკეს ციხეს შორის. ალყისშემომტრყმელთა მთელი ძალღონე მიმართული იყო ქალაქის მოპირდაპირე მხარეზე, და ეს საერთო უკმაყოფილებას იწვევდა. ფიქრობდნენ, რომ ალყის შემორტყმა დაწყებულიც-კი არ იყო, რადგან ციხეებისა და ხანგრძლივი საფორტიფიკაციო ნაგებობათა წინააღმდეგ ჯერ სანგრებიც არ აეგოთ. ხელისუფალნი, რომელნიც მარსელში იყვნენ და ალყისშემორტყმის გეგმა მხოლოდ იმ ცნობების მიხედვით იცოდნენ, რომლებიც საქვეყნოდ ცხადდებოდა, მოძალებული სიმშილობის შიშით ურჩევდნენ კონვენტს—მოეხსნა ალყა, დაეტოვებინა პროვანსი და დაეხია დიურანსს-გაღმა. „ჯერ კიდევაო,—სწერდნენ ისინი, შეგვიძლია წესიერად დახევა, მაგრამ უფრო გვიან—ამას გვაიძულებენ უეცრად და ზარალით. მტერი, როცა პროვანსს დაიკავებს, იძულებული იქნება ის გამოკვებოს; გაზაფხულზე-კი ჩვენი ჯარი, უკვე კარგად დასვენებული, გადალახავს დიურანსს და დაეტაკება მტერს როგორც ჰქმნა ფრანცისკ I-მ და

კარლოს V-მაო". ამ წერილმა პარიზში რამდენიმე დღით ადრე მოუსწრო ტუ-ლონის აღების ცნობას. იგი საკმარად ამჟღავნებს რამდენად ცუდად გაიგეს საალყო მოქმედებათა გეგმა, ისეთი მარტივი და ნათელი—თუ მისი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ.

ბატარიები აიგო. ყველაფერი მზად იყო რომ იერიში მიეტანათ მიულ-გრავის ციხეზე. არტილერიის უფროსს აუცილებლად მიაჩნდა—ერთი ბატარია არენის მაღლობზე დაედგათ, მალბოსკეს ციხის წინ, ისე რომ მეორე დღეს, მცირე გიბრალტარის აღების შემდეგ, შესაძლებელი ყოფილიყო ამ ბატარიიდან დაშენა.

ის იმედობდა რომ ბატარიის ცეცხლი დიდ მორალურ ზეგავლენას მო-ახდენდა სამხედრო საბჭოს ამათუიმ გადაწყვეტილების არჩევანზე.

იმისათვის რომ მტერი შეაშინო,—უნდა იმოქმედო უეცრად, და, რასა-კვირველია, საჭირო იყო—მტრისთვის დაემალათ ამ ბატარიის არსებობა. რად-გან ნაპოლეონს ასეთი მიზანი ჰქონდა, მან უბრძანა—შეენიღბათ ბატარია ზე-თის ხის ტოტებით, რაც შეასრულეს. 29 ნოემბერს, დღის 4 საათზე ბატა-რია ინახულეს სახალხო წარმომადგენლებმა. იქ იდგა რვა 24-გირვანქიანი ზარბაზანი და ოთხი მოკლე ქვემეხი. ამას ერქვა კონვენტის ბატარია. წარმო-მადგენლები თოფჩებს შეეკითხნენ—რა გიშლით სროლის დაწყებასაო. თოფ-ჩებმა უპასუხეს რომ ყველაფერი მზადა გვაქვს და ჩვენი ქვემეხები ჩინებუ-ლად ისვრიანო. სახალხო წარმომადგენლებმა უბრძანეს სროლა. არტილერიის უფროსი, რომელიც ამ დროს მთავარ ბანაკში იმყოფებოდა, ძალიან გან-ცვიფრდა, როცა სროლის ხმა მოესმა. ეს სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის განზრახვებს. ის მთავარსარდალთან წავიდა საჩივლელად. ჩადენილი ბოროტე-ბის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

მეორე დღეს განთიადზე 7.000 კაცი, ო'ხარას მეთაურობით, ციხექალაქი-დან გამოვიდა, გავიდა პატარა ლასის ღელეზე სენტ-ანტუანის ციხესთან, გა-აცამტვერა ყველა ის საგუშაგო, რომელიც კონვენტის ბატარიას იცავდა, დაიპყრო ეს ბატარია და გამოჩურთა ქვემეხები. ოლულში განგაში ატყდა. დიდი ჩოჩქოლი შეიქმნა. დიუგომიე და არტილერიის უფროსი ცხენებს მო-ახტნენ. დიუგომიე გაემართა იერიშის მიმართულობით. გზაში აგროვებდა ჯარებს. თან ბრძანება გაგზავნა რომ წამოეწიათ წინ მარქაფი ჯარი. არტი-ლერიის უფროსმა დასდგა სხვადასხვა ადგილას საველე ქვემეხები, რათა და-ხვევა დაეფარა და შეეკავებინა მტრის წინსვლა, რომელიც ოლულის საარტი-ლერიო პარკს ემუქრებოდა. ამ განკარგულებათა გაცემის შემდეგ ის გაემართა წართმეულ ბატარიის მოპირდაპირე მაღლობისკენ. პატარა ჭალაზე, რომელიც ამ ბატარიასა და მაღლობს შორის იყო, მწვერვალიდან ყრილის კიდემდე, გა-დიოდა გზა-ხვრელი, იგი გაყვანილი იყო ნაპოლეონის ბრძანებით ბატარიაზე საბ-რძოლო მასალის მისატანად; ზეთის ხის ტოტებით დაფარული, იგი შეუმჩნეველი იყო. მტრის ჯარები საბრძოლო წესზე იდგნენ ამ გზის მარჯვნივ და მარცხნივ, შტაბის ოფიცრების ჯგუფი-კი ბატარიის ბაქანზე იმყოფებოდა, ნაპოლეონმა უბრძანა ათასეულს, რომელსაც მაღლობი ეჭირა, დაშვებულიყო თხრილში.

ათასეული, მტრის მიერ შეუმჩნეველად, მივიდა ყრილის ძირთან და შემდეგ დაუშინა მტრის ჯარს მარჯვნივ და მარცხნივ. ერთ მხარეზე ნეაპოლელები იყვნენ, მეორეზე — ინგლისელები. ნეაპოლელებმა იფიქრეს — ინგლისელები გვესვრიანო, და თვითონაც დაიწყეს სროლა, მტრის დაუნახავად. იმ წუთსავე, წითელი ფორმით გამოწყობილი ერთი ოფიცერი, რომელიც მშვიდად დასეირნობდა ბაქანზე, ამბის გასაგებათ ყრილზე ავიდა, თოფის ტყვიამ ის დასჭრა ხელში, და გარეთა ფერდობის ძირთან დაგორდა. ჯარისკაცებმა მონახეს და მოიყვანეს გზა-ხვრელში. ის ინგლისის ჯარის მთავარსარდალი ო'ხარა აღმოჩნდა.

ამნაირად ის გაქრა, როცა თავის ჯარში იმყოფებოდა, და ეს ვერავინ შეამჩნია. მან აიხადა თავისი ხმალი და განუცხადა არტილერიის უფროსს თავისი ვინაობა. ნაპოლეონმა დაარწმუნა ის რომ მას საფრთხე არ მოელის. სწორედ ამ დროს დიუგომიემ შემოკრებილი ჯარებით შემოუარა მტრის მარჯვენა ფრთას და შეუქმნა ქალაქიდან მოწყვეტის საფრთხე. ამან გამოიწვია მტრის დახევა. ჩქარა ეს დახევა გაქცევად გადაიქცა. დევნა გაგრძელდა თვით ტულონამდე და მალბოსკეს ციხისკენ ძიმავალ გზამდე. ამ დღეს დიუგომიე ორჯერ მსუბუქად დაიჭრა. არტილერიის უფროსს თავგამოჩენისათვის ებოძა პოლკოვნიკობა. გენერალ მურეს საკმაოდ უდროო დროს დაებადა სურვილი, ესარგებლა მტრის ჯარების გარღვევით და იერიში მიეტანა მალბოსკეს ციხეზე, რაც შეუსრულებადი აღმოჩნდა. აქ თავი გამოიჩინა სიუშემ, ამჟამად საფრანგეთის მარშალმა, მაშინ—არდენის მოხალისეთა ათასეულის მეთაურმა.

VIII

2.500 კაცისაგან შემდგარი ეგერების და გრენადერების რჩეული რაზმი, რომელიც დიუგომიემ იტალიის ჯარიდან გამოითხოვა, როგორც იყო მოვიდა. ყველაფრით მტკიცდებოდა რომ კერის კონცხის დაპყრობა არ უნდა დაყოვნებულიყო. და დიუგომიემაც გადასწყვიტა იერიში მიეტანა მცირე გიბრალტარზე. კონვენტის დეპუტატები პროვანსიდან მოვიდნენ ოლულში გამართულ თათბირზე. 14 დეკემბერს საფრანგეთის ბატარიებმა დაიწყეს 15 მორტირის და 30 დიდყალიბიანი ზარბაზნის გაბმული სროლა. ქვემეხების სროლა გაგრძელდა მთელ დღესა და მთელ ღამეს 15-დან 16-მდე და ღამით 16-დან 17-მდე. არტილერია კარგად მოქმედებდა. მტერს უხდებოდა თავისი მრავალი დაგლეჯილი ქვემეხის შეცვლა ახლებით. ყრილის მესერი გადაბრუნებულ იქნა. მრავალი ყუმბარა სანგარში ხვდებოდა და ამიტომ გარნიზონი იძულებული გახდა პოზიცია სანგარს გარეთ, უკან დაეჭირა რომ რაიმენაირად ცეცხლისაგან თავი დაეფარა.

როცა ეს მთავარსარდალმა დაინახა, გადასწყვიტა იერიშით მისვლა ღამის პირველ საათზე იმ ვარაუდით რომ სანგართან მიუსწრებდა დახეულ გარნიზონს. 16 დეკემბერს მთელ დღეს კოკისპირულად წვიმდა და ამას ზოგიერთი რაზმეულის მოძრაობის შეჩერება შეეძლო. დიუგომიეს უნდოდა, როცა მან ეს აუცილებელი დაბრკოლება გაითვალისწინა, იერიშის გადადება მეორე

დღისთვის, მაგრამ წაქეზებული, ერთი მხრით, თათბირზე შეკრებილ დეპუტატების მიერ, მეორეთი-კი—არტილერიის უფროსის რჩევით, რომელიც ამტკიცებდა—ცუდი ამინდი არ არის ხელისშემშლელი გარემოებაო,—იგი დათანხმდა—არ შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. შუაღამისას თავი მოუყარა ყველაფერს სოფელ ლა-სენთან და დააწყო ოთხი რაზმეული. ორნი, სუსტები, განლაგდნენ კონცხის კიდეებზე რომ იქიდან თვალყური ედევნებიათ ბალაგიეს და ეგილეტის სანგრებისათვის. მესამე, რომელსაც რჩეული ჯარი შეადგენდა დელაბორდის მეთაურობით, გაემართა პირდაპირ მცირე გიბრალტარისკენ. მეოთხე—მარქაფად დადგა. როცა კონცხის ძირთან მივიდნენ—ასტეხეს თოფის სროლა, მტერმა წინდახედულად მოაწყო ღობურები გზებზე, ისე რომ გარნიზონს ეყო დრო—აეღო ბანაკში თოფი, შესულიყო ციხეში და დამდგარიყო მიწაყრილთან. მას უფრო მეტი მსროლელი აღმოაჩნდა, ვიდრე ეგონათ. რათა უკუეგდოთ ისინი, ფრანგების რაზმეულის ერთი ნაწილი გაიშალა. ძალიან ბნელი ღამე იყო. მოძრაობა შეფერხდა და რაზმეული აირია, მაგრამ მაინც მიაღწია ციხემდე და ჩაწვა რამდენსამე ფლეშში. ოცდაათი თუ ორმოცი გრენადერი ციხეში შეიჭრა, მაგრამ ისინი უკუაგდეს სროლით, რომელიც გააჩაღეს ძელური სანგრიდან, და იძულებული გახდნენ—უკან დაბრუნებულიყვნენ. სასოწარკვეთილი დიუგომიე გაემართა მეოთხე რაზმეულისკენ—მარქაფისკენ. ეს მარქაფი თვითონ არტილერიის უფროსს მოჰყავდა. მისი ბრძანებით წინ მიდიოდა ის ათასეული, რომელიც მან ნუირონს ჩააბარა, არტილერიის კაპიტანს, ადგილის საუკეთესო მცოდნეს. დილის 3 საათზე მუირონი ავიდა ციხეზე სათოფურებით, რომლითაც შემდეგ ავიდნენ დიუგომიე და არტილერიის უფროსი. დელაბორდი და გილიო მეორე მხრიდან შეიჭრნენ. მეზარბაზნეები თავიანთ ზარბაზნებთან შეიპყრეს და დახოცეს. ციხოვანმა ჯარმა თავისივე მარქაფთან დაიხია, ბორცვზე, ციხიდან თოფის სროლის მანძილზე. აქ მტერმა წყობა შესცვალა და სამი იერიში მოიტანა რომ ციხე დაებრუნებინა. დილის 5 საათი იქნებოდა—მტერს საველე ქვემეხები მოუვიდა, მაგრამ არტილერიის უფროსის განკარგულებით ციხეში უკვე მოვიდნენ ჩვენი თოფჩები და ფორტის ქვემეხები მტრის წინააღმდეგ მოიმართა. სიბნელეში, წვიმაში, საშინელ ქარში და საერთო დაბნეულობის დროს, მოკლულთა შორის, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა-ყვირილში, არტილერიის უფროსს დიდი შრომა დასჭირდა რომ ექვსი ქვემეხი მოემზადებინა. როგორც-კი ამ ქვემეხებმა სროლა დაიწყო, მტერმა ხელი აიღო იერიშზე და უკან გაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ გარიჟრაჟდა.

ეს სამი საათი მწვავე მოლოდინისა და მოუსვენარობის საათები იყო. მხოლოდ დღისით, ციხის აღების დიდიხნის შემდეგ, შევიდნენ შიგ კონვენტის წარმომადგენლები მტკიცე, ვაჟკაცური ნაბიჯით, ამოღებული ხმლებით და მადლობა გადაუხადეს ჯარისკაცებს. განთიადზე შეამჩნიეს ინგლისის რამდენიმე ათასეული. ინგლისელები დაშორებული იყვნენ მცირე გიბრალტარს ზარბაზნის სროლის მანძილზე. პირველი ორი საათი, განთიადის შემდეგ, ჯარმა თავისი ნაწილების შეკრებას მოანდომა, არტილერიის უფროსმა უბრძანა—მოსულიყო რამდენიმე საველე ბატარია, და 10 საათზე დილას დაიწყეს შეტევა მტერზე, რომელიც საბრძოლო ხომალდების საფარველს ქვეშ

სასწრაფოდ შორდებოდა ნაპირს. შუადღისას იგი სრულიად გარეკეს კონცხიდან, კონცხს ფრანგები დაეპატრონენ.

ორივე აღებული ციხე მხოლოდ უბრალო ბატარიები იყო, აგურით ამოგებული, ზღვის ნაპირზე, დიდი კოშკით, რომელსაც ერთდაიმავე დროს ყაზარმადაც ხმარობდნენ და საფრადაც. კოშკს, 60 ადლზე მოშორებით, ზემოდან წამომდგარი ჰქონდა სანაპირო ბორცვები. ეს ბატარიები სრულებითაც არ იყვნენ გათვალისწინებული ხმელეთიდან სასროლად იმ მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ზარბაზნები აქვს. ჩვენი სამოცი 24-გირვანქიანი ზარბაზანი და 20 მორტირა სოფელ ლა-სენთან იდგა უბრალო სადგარებსა და წინალებზე ზარბაზნის სროლის მანძილზე, რადგან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაუყოვნებლივ სროლის დაწყებას. მაგრამ არტილერიის უფროსმა ხელი აიღო ორსავე ბატარიაზე, რომლის ბრუსტვერები ქვისა იყო, კოშკები-კი ისე ახლოს იდგა, რომ ანასხლეტ ყუმბარებსა და კოშკის ნამსხვრევებს შეეძლო თოფჩების დახოცვა. მან აირჩია ადგილები ბატარიისთვის მაღლობებზე. დღის დანარჩენი ნაწილი დასჭირდა მათ მოწყობას. რამდენიმე 12-გირვანქიანმა ზარბაზანმა და გაუბიცებმა სროლა აუტეხეს მტრის კანჯოებს, როცა მათ პატარა რეიდიდან დიდში გადასვლა დააპირეს. რეიდზე უდიდესი არევ-დარევა სუფევდა. გემებმა ღუზა აუშვეს. მოქუშული ამინდი იდგა და მოსალოდნელი იყო სამხრეთ-დასავლეთის მძაფრი ქარი, რომელიც სამ დღეს ზედიზედ ქროდა და შეეძლო მთელი ამ ხნის განმავლობაში დაეშალა რეიდიდან გემების გასვლა, რაც უდრიდა მათ განწირვას სრულ გასანადგურებლად.

იერიში რესპუბლიკის ჯარს 1.000 კაცად დაუჯდა, დაჭრილ-დახოცილთა სახით. არტილერიის უფროსის ქვეშ მოიკლა ცხენი მცირე გიბრალტარის ბატარიიდან ნასროლი ყუმბარით. იერიშის წინა დღეს არტილერიის უფროსი მიწას დაენარცხა და დაშავდა. დილას ის მსუბუქად დაიჭრა წვივში ინგლისის თოფჩის მიერ. გენერალი დელაბორდი და კაპიტანი მუირონი მძიმედ დაიჭრნენ. მტერმა დაჰკარგა მოკლულ-დაჭრილთა და ტყვეების სახით 2.500 კაცი.

IX

ბატარიისთვის ადგილის არჩევისა და საარტილერიო პარკისთვის საჭირო განკარგულებათა გაცემის შემდეგ, არტილერიის უფროსი გაემართა კონვენტის ბატარიისკენ, მალბოსკეს ციხეზე იერიშის მისატანად. მან გენერლებს განუცხადა: „ხვალ ან—დიდი დააგვიანდეს—ზეგ თქვენ ტულონში ისადილებთო“. ეს ნათქვამი მაშინვე მსჯელობის საგნად იქცა. ზოგიერთს ამის იმედი ჰქონდა, უმრავლესობა-კი ვერ იყო დარწმუნებული, თუმცა ყველა ამაყობდა მოპოებული გამარჯვებით.

როცა ინგლისის ადმირალმა მცირე გიბრალტარის აღება გაიგო, მაშინვე უბრძანა—გამაგრებულიყვნენ ეგილეტის და ბალაგიეს ციხეებში, რათა შესაძლებლობა მიეცათ დამხმარე ჯარისათვის, რომელსაც ის ქალაქიდან ახლავე გამოგზავნიდა, გადმომსხდარიყვნენ ნაპირზე და კელავ იერიში მიეტანათ სანგარზე, ვინაიდან ამაზე იყო დამოკიდებული მისი გემების დგომის უშიშროება.

ამ მიზნით ადმირალი ტულონს გაემგზავრა და მოითხოვა სანგრის ასაღებად 6.000 კაცის გადმოყვანა. თუ ესენი სანგარს ვერ აიღებდნენ, უნდა

ჩამსხდარიყვნენ თხრილებში ორთავე ბორცვზე, ბალაგიეს და ეგილეტის ზემოთ, რათა ამით მოეგოთ 80 დღე, რომლის გასვლის შემდეგ უნდა მოსულიყო დამხმარე ჯარი. მაგრამ როდესაც შუადღისას ადმირალს ნიშნებით აცნობეს, რომ ბატარიებზე უკვე სამფეროვანი დროშა ფრიალებს და მოკავშირეთა ჯარები ქალაქისაკენ მიდიან გემებითაო,—მას შიში მიეცა—არ დარჩენილიყო რეიდებზე ჩაკეტილი. ესკადრას უბრძანა—ღუზა აეშვა, აფრა აემართა, რეიდებიდან გასულიყო და ეცურნა ნაპირიდან ზარბაზნის სროლის მანძილს გარეთ.

ამასობაში მტერმა სამხედრო თათბირი გამართა. ამ თათბირის ოქმები ხელში ჩაუვარდა დიუგომიეს, რომელმაც ისინი ოლულში 15 ოქტომბერს გამართულ ფრანგების სამხედრო თათბირის ოქმებს შეადარა. მან გამოარკვია, რომ ნაპოლეონს ყველაფერი ადრითვე გათვალისწინებული ჰქონდა. ძველი გენერალი ამ ამბავს სიამოვნებით ჰყვებოდა ხოლმე. მართლაც, ამ ინგლისურ ოქმებში ნათქვამი იყო:

„საბჭო შეეკითხა არტილერიისა და ინჟენერულ ოფიცრებს—არის თუ არა დიდ და მცირე რეიდებზე ერთი ისეთი პუნქტი მაინც, სადაც ესკადრას შეეძლოს დადგომა ისე რომ ეგილეტის და ბალაგიეს ბატარიიდან ნასროლი ყუმბარები საფრთხეს არ უქმნიდესო,—ამ ოფიცრებმა უპასუხეს რომ არ არისო.

იმ შემთხვევაში თუ ესკადრა დასტოვებს ტულონს, რამდენი ჯარის დატოვებაა იქ საჭირო? რამდენხანს გაუძლებს იგი მტერს? პასუხი: საჭიროა 18.000 კაცი; დიდი ხაუძლონ—40 დღეს თუ სურსათი ექნათ.

მესამე შეკითხვა: მოკავშირეებისათვის უფრო ხელსაყრელი არ იქნება რომ ესკადრის წასვლასთან ერთად მიატოვონ ქალაქი და დასწვან იქ ყველაფერი, რისი თან წაღებაც არ მოხერხდება? სამხედრო საბჭო ერთპირად მოითხოვს ქალაქის დატოვებას: ჯარს, რომელიც ქალაქში ჩაიკეტება, დახევის შესაძლებლობა მოეცლება და მასთან დამხმარე ჯარის გაგზავნის საშუალებაც აღარ იქნება. მას ახლაც აკლია ბევრი საჭირო სურსათი. ამის გარდა, ადრე თუ გვიან, ის იძულებული გახდება—დანებდეს, და მაშინ გვაიძულებენ დაუზიანებლად ჩავაბაროთ თოფხანაც, ფლოტიც და ყველა ნაგებობაც".

ტულონში ამბავი მოვიდა რომ სამხედრო საბჭომ ქალაქის დატოვება გადასწყვიტაო. გაოცებას და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მცხოვრებლებმა სრულებით არ მიაქციეს ყურადღება მცირე გიბრალტარის აღებას. მათ იცოდნენ რომ ღამით მასზე იერიში მიჰქონდათ, მაგრამ ამას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. იმ დროს, როდესაც ისინი თავისუფლებას ელოდნენ, და თავს იბრუებდნენ დამხმარე ჯარების იმედით,—მოუხდათ ფიქრი იმაზე თუ როგორ მიატოვონ თავიანთი სახლები, თავიანთი სამშობლო!

სამხედრო საბჭომ განკარგულება გასცა აეფეთქებინათ პომესა და ლამალგის ციხეები. პომეს ციხე ააფეთქეს ღამით 17-18 რიცხვს. ფარონის, მალბოსკეს, რუჟის, ბლანის და სენტ-კატრინის ციხეები იმავე ღამეს გასწმინდეს. 18-ს ყველა ეს ციხე ფრანგებმა დაიკავეს.

17-ს, მცირე გიბრალტარზე იერიშის მიტანის ერთი დღით ადრე, ლაპუაპმა აიღო ფარონის მთა ცხარე ბრძოლის შემდეგ და ციხეს ალყა

შემოარტყა. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა ლაჰარპმა, ოვერნის ლეგიონის პოლკოვნიკმა, შემდეგში დივიზიის გენერალმა, რომელიც იტალიის ლაშქრობაში მოჰკლეს. მდგომარეობა ისე გაურკვეველი შეიქნა რომ, როცა ჯარმა პომეს ციხის აფეთქება გაიგო, ხმა გავრცელდა—თითქოს ეს თოფისწამლის სარდაფში გაჩენილ ხანძრის შედეგი ყოფილიყოს. ჯარმა, როცა ხელში ჩაიგდო მალბოსკესა და სხვა ციხეები, ტულონის გარშემო, ლა-მალგის ციხის გარდა, სადაც მტერი კიდევ იმყოფებოდა, 18 დეკემბერს წაიწია თვით ციხის გალავნამდე. რამდენიმე მორტირი მთელი დღე უშენდა ქალაქს.

რეიდიდან წინასწარ გასული, ინგლის-ესპანეთის ესკადრა, მოშორებით დასცურავდა. ზღვა დაფარული იყო მტრის კანჯოებითა და გემებით, რომლებიც ესკადრისკენ მიიმართებოდნენ. მათ ფრანგების ბატარეის გვერდით უხდებოდათ ჩავლა. ბევრი გემი და მრავალი კანჯო დაიღუპა.

18-ს საღამოს საშინელი აფეთქების ხმაზე გაიგეს თოფის წამლის მთავარი სარდაფის განადგურება. იმავე წამს თოფხანის ოთხ-ხუთ ადგილას გამოჩნდა ხანძარი, ნახევარი საათის შემდეგ-კი მთელი რეიდი ცეცხლის ალში გაეხვია. ეს საფრანგეთის ცხრა სამწკრივო ხომალდს და ოთხ ფრეგატს ცეცხლი რომ წაუკიდეს ის იყო. რამდენიმე ლიეს მანძილზე,—ცისკიდური თითქოს კოცონიაო—დღესავით სინათლე იდგა. მომხიბლავი სანახაობა იყო, მაგრამ საშინელი. ყოველ წამს ელოდნენ ლა-მალგის ციხის აფეთქებას, მაგრამ მისმა გარნიზონმა, ქალაქიდან მოწყვეტის შიშით, ვერ დაასრულა ნაღმების ჩაწყობა იმავე ღამეს ციხეში ფრანგი მსროლელები შევიდნენ.

ტულონი ძრწოლამ მოიცვა. მცხოვრებთა უმრავლესობამ სასწრაფოდ გასცურა გემებით. მათ, ვინც დარჩნენ, ბარიკადები ააგეს სახლებში და შიგ ჩასხდნენ: ეშინოდათ დამრბევების. საალყო ჯარი საბრძოლო წესზე იდგა მიწაყრილზე.

18-ს, საღამოს 10 საათზე, პოლკოვნიკ ჩერვონიმ შეამტვრია ქალაქის კარები და 200 კაცით შიგ შევიდა. მათ მთელი ქალაქი შემოიარეს. ყველგან დიდი სიწყნარე სუფევდა. ნავსადგურში მრავალი ბარგი ეყარა. გაქცეულმა ქალაქელებმა ვერ მოასწრეს ამ ბარგის გადატვირთვა. ხმა გავარდა რომ თოფისწამლის სარდაფების ასაფეთქებლად პატრუქებია ჩადებულიო. გაგზავნეს მზვერავი—თოფჩები, რომ პატრუქები გადაეჭრათ. ამის შემდეგ ქალაქში შევიდა ჯარი რომელიც დანიშნული იყო მის დასაცავად. საზღვაო თოფხანაში მეტისმეტი უწესრიგობა აღმოჩნდა. 800—900 საგალერო ტუსაღი დიდი გულმოდგინებით აქრობდა ხანძარს. მათ დიდი სამსახური გაგვიწიეს. მხოლოდ მარტო ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისელ ოფიცერს სიდნეი სმიტს რომელიც დანიშნული იყო თოფხანის გემების ცეცხლწამკიდებლად. ამ ოფიცერმა ძალიან ცუდად შეასრულა თავისი მოვალეობა და რესპუბლიკა მადლობელი უნდა იყოს მისი იმ ფრიად ძვირფას ნივთებისათვის რომელიც თოფხანაში დარჩა შენახული. არტილერიის უფროსი თოფჩებითა და მუშებითურთ იქით კენ გაემგზავრა. რამდენსამე დღეში მან მოახერხა ხანძრის ჩაქრობა, და თოფხანა გადარჩა. ფლოტის დანაკლისი მნიშვნელოვანი იყო მაგრამ კიდევ დარჩა დიდი ხელუხლებელი მარაგი. ყველაფერი გადარჩა გარდა უმთავრესისა— თოფისწამლის სარდაფებისა. მოღალატური დანებების დროს ტულონში 30 საბრ-

ძოლო ხომალდი იდგა. ოთხი მათგანი გაიგზავნა 5.000 მეზღვაურის გადასაყვანად ბრესტსა და როშფორს, ცხრა—მოკავშირეებმა დასწვეს რეიდზე, ცამეტი—განიარაღებული იდგა. ოთხი ხომალდი მოკავშირეებმა თან წაიყვანეს; ერთი მათგანი დაიწვა ლივორნოში. შიშობდნენ რომ მოკავშირეებს ნავსაკეთებელი და მისი ბურჯები არ აეფეთქებინათ. მაგრამ მათ ამისთვის დრო აღარ ეყოთ. რეიდზე დამწვარ ცამეტ ხომალდითა და ფრეგატით გაკეთდა რამდენიმე ღობურა. რვა თუ ათი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ამ ღობურების მოსპობას, და ბოლოს ეს ნეაპოლელ მყვინთავებმა მოახერხეს ხომალდების ჩონჩხების დახერხვის საშუალებით: მოხერხილ ნაწილებს თითო-თითოდ აშორებდნენ.

19 რიკხვს ჯარი ქალაქს შევიდა. სამოცდათორმეტ საათს იდგა იგი თოფქვეშ წვიმასა და ჭენჭყოში. ქალაქში მან ბევრი უწესობა ჩაიდინა, თითქოს მთავრობის ნებადართვით, იმ დაპირებათა გამო, რომლებიც მისცეს ჯარისკაცებს ალყის დროს. მთავარსარდალმა წესრიგი აღადგინა მხოლოდ მით რომ ტულონის ქონება ჯარის საკუთრებად გამოაცხადა და უბრძანა—ყველაფერი მთავარ საწყობებში შეეტანათ როგორც კერძო მაღაზიებიდან ასევე მიტოვებულ სახლებიდან. შემდეგ რესპუბლიკამ ყველაფერი თვითონ მიითვისა, და თითოეულ ოფიცერსა და ჯარისკაცს კი ჯილდოდ ერთდროულად მისცა წლიური ჯამაგირის განაკვეთი.

ტულონის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ჩქარობდა ქალაქის დატოვებას. ნეაპოლის, ინგლისისა და ესპანეთის ხომალდები გაჭედილი იყო ხალხით. ამან აიძულა ისინი—მიდგომოდნენ იერის რეიდს და გაქცეულები დაებანაკებინათ პორკეროლის და ლევანტის კუნძულებზე. ამბობენ რომ ეს გაქცეულები 14.000 კაცამდე იყოო.

დიუგომიემ ბრძანება გასცა—არ ჩამოეხსნათ თეთრი ალმები ციხის კოშკებიდან და რეიდის ბატარიებიდან; ამით ტყუვდებოდა მრავალი—როგორც სამხედრო ისე სავაჭრო—გემი, რომელსაც მტრისთვის მარაგი მოჰქონდა. თვის განმავლობაში ქალაქის აღების შემდეგ, ერთი დღეც არ გაივლიდა რომ უხვად დატვირთული გემები არ შეეპყროთ. ინგლისის ერთი ფრეგატი ის-ის იყო მოცურდა დიდ კოშკთან. მას თან მოჰქონდა რამდენიმე მილიონი ფული. გადასწყვიტეს—ჩათვალონ ის ჯილდოდ, და ორმა საზღვაო ოფიცერმა მისცურა ნავით ფრეგატთან, ავიდნენ გემბანზე და განუცხადეს კაპიტანს რომ ფრეგატი ჩვენს უფლებაშია როგორც ჯილდო. კაპიტანმა ორივე მამაცი ტრიუმში ჩასვა, გადასჭრა მისამაგრი ბაგირები და დიდი ზიანის მიუღებლად მშვიდობით გასცურა უკანვე. დეკემბრის დამლევს, საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, არტილერიის უფროსმა, სანაპირეზე ყოფნის დროს, შეამჩნია ინგლისის კანჯო რომელიც ნაპირს მოადგა. კანჯოდან გადმოსულმა ოფიცერმა იკითხა ადმირალ გუდის ბინა. ის გამოდგა საკმაოდ მოზრდილი გემის კაპიტანი რომელმაც მოიტანა დეპეშები და მაშველი ჯარის მოსვლის ამბავი. გემი დაატყვევეს და დეპეშები წაიკითხეს.

სახალხო წარმომადგენლებმა, იმ დროის კანონების მიხედვით, რევოლუციური ტრიბუნალი დააწესეს; მაგრამ ყველა დამნაშავე მტერთან ერთად შორს იყო, ისინი-კი, ვინც დარჩენა გაბედა, თავს უდანაშაულოდ გრძნობდნენ. ტრიბუნალმა მაინც დააპატიმრა რამდენიმე კაცი, რომელთაც შემთხვევით ვერ მოასწრეს წასვლა მტერთან ერთად, და სიკვდილით დასაჯა, მათ მიერ ჩადე-



1 სურ. ბონაპარტი ტულონის ალყაზე.

ნილ ბოროტმოქმედებათა გამოსასყიდად. მაგრამ რვა-ათი მსხვერპლი საკმაო არ იყო. მიმართეს საშინელ საშუალებას რომელიც იმ ეპოქის სულს ახასიათებს: გამოცხადდა რომ ყველა, ვინც ინგლისელების დროს თოფხანაში თავისთანამდებობა შეინარჩუნა, უნდა შეიკრიბოს მარსის ველზე გვარების ჩასაწერადო. მიახვედრეს რომ ეს ხდება მათი სამსახურში ხელახლად მიღების მიზნით. თითქმის 200 კაცმა,—უფროსმა მუშებმა, წვრილფეხა გამგეებმა და სხვა მოსამსახურეებმა,—დაიჯერა ეს და შეიკრიბა. მათი გვარები ჩასწერეს და მით დამტკიცდა რომ ამ ხალხს თავიანთი ადგილები შენარჩუნებული ჰქონდათ ინგლისელების მთავრობის დროსაც. იმ საათშივე გაშლილ მინდორზე რევოლუციურ ტრიბუნალმა ყველას მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. იქ გამოგზავნილმა სანკიულოტებისა და მარსელელების ათასეულმა დახვრიტა ისინი. ასეთ საქციელს განმარტება არ სჭირდება. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა. როგორც არ უნდა იყოს, ისინი ტყუილუბრალოდ დახვრიტეს. არტილერიის უფროსი და თოფჩები დახვრეტას არ დასწრებიან. ლიონში-კი ეს სწორედ თოფჩებმა შეასრულეს. კონვენტის დეკრეტით ტულონის ნავსადგურს ახალი სახელი დაარქვეს—„მთის ნავსადგური“, და უბრძანეს დაენგრიათ ყველა საზოგადო შენობა, იმ შენობათა გარდა, რომელნიც ფლოტისა და სამოქალაქო მმართველობისათვის იყო აუცილებლად საჭირო. ამ უგნური დეკრეტის შესრულება დაიწყეს მაგრამ ძალიან ნელა. დაანგრიეს მხოლოდ ხუთი თუ ექვსი სახლი რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლად ააშენეს.

ინგლისის ესკადრა იდგა იერის რეიდზე ერთსა თუ ორ თვეს. ტულონში არც ერთი მორტირი არ იყო, რომელსაც შეეძლო 1500 ტუაზზე უფრო შორს სროლა, ესკადრა-კი იდგა ღუზაზე 2400 ტუაზის მანძილზე ნაპირიდან. იმ დროს ვილანტრუაში რომ რამდენიმე ისეთი ქვემეხი ყოფილიყო, რომელსაც შემდგომ ხმარობდნენ, ესკადრას გაუჭირდებოდა რეიდზე დგომა. დასასრულ, მტერმა ააფეთქა პორკეროლის და პორტკროს ციხეები და წავიდა პორტოფერაიოს რეიდზე, სადაც გადმოსხა ტულონის ემიგრანტების დიდი ნაწილი.

ტულონის აღების ამბავმა, იმ დროს როცა ამას ყველაზე ნაკლებ ელოდნენ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთზე და მთელ ევროპაზე. 24 დეკემბერს კონვენტმა ეროვნული დღესასწაული გამართა. ტულონის აღებამ ნიშანი მისცა იმ წარმატებებს რომელთაც ასახელეს 1794 წლის ლაშქრობა. რამდენიმე ხნის შემდეგ რაინის ჯარმა ვაისემბურგის ხაზები დაიპყრო და მოხსნა ბლოკადა ლინდაუს. დიუგომიე ტულონის ჯარის ერთი ნაწილით გაემართა აღმოსავლეთ პირენეის მთებში, სადაც დოპე მხოლოდ სისულელეებს ჩადიოდა. ამ ჯარების მეორე ნაწილი ვანდეას გაიგზავნა. რამდენიმე ათასეული იტალიის არმიაში დაბრუნდა. დიუგომიემ არტილერიის უფროსს უბრძანა—თან გამყევიო; მაგრამ პარიზიდან სხვა განკარგულება მოვიდა, რომელიც არტილერიის უფროსს ავალებდა ჯერ ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ბატარიების, მეტადრე—ტულონის, შეიარაღებას ახალი ქვემეხებით, და შემდეგ-კი იტალიის არმიაში წასვლას იმავე თანამდებობაზე.

ამ ალყით გაითქვა სახელი ნაპოლეონმა. გენერლები, სახალხო წარმომადგენლები და ჯარისკაცები—ყველა ვინც იცოდა მისი აზრები გამოთქმული მის მიერ სხვადასხვა თათბირზე სამი თვის წინათ იერიშის დაწყებამდე, ყველა

ის, ვინც მისი დაძაბული მუშაობის მოწმე იყო,—უწინასწარმეტყველებდნენ მას სწრაფ სამხედრო წარჩინებას. იტალიის არმიის ნდობა მან უკვე ამ დღიდან მოიპოვა. დიუგომიემ, როდესაც ის ბრიგადის გენერლის ხარისხზე წარადგინა, საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტს სიტყვა-სიტყვით ასე მისწერა: „დააჯილდოეთ და დააწინაურეთ ეს ახალგაზრდა თორემ თუ თქვენ ამას არ იზამთ, ის თვითონ დაწინაურდებაო“. პირენეის ჯარში დიუგომიე მუდამ ლაპარაკობდა თავის არტილერიის უფროსზე ტულონთან ბრძოლის დროს, და მის შესახებ მაღალ აზრს უნერგავდა იმ გენერლებს და ოფიცრებს რომელნიც შემდეგ ესპანეთის ჯარიდან იტალიაში მოდიოდნენ. პერპინიანში ყოფნის დროს მან შიკრიკები გაგზავნა ნაპოლეონთან, ნიცას, და აცნობა თავისი გამარჯვება.

იტალიის არმიის ოპერაციები

1792, 1793, 1794 და 1795 წლებში

მე-2 სქემა

I. იტალიის არმიის ამბები ომის დაწყებიდან და 1792 და 1793 წ.წ. განმავლობაში, ტულონის ალყის შემორტყმამდე.—II. ნაპოლეონი ეხმარება ჯარის ხელმძღვანელობას 1794 წლის ლაშქრობის დროს. საორჯიოს, ონელიის, ტენდეს უღელტეხილისა და ალპების მთელი მბრძანებელი ქედის აღება (1794 წ. აპრილი).—III. ჯარის ლაშქრობა მონტენოტეზე გავლით (1794 წ. ოქტომბერი).—IV. სახღვაო ექსპედიციები. ბრძოლა ნოლთან (მარტი, 1795 წ.).—V. ნაპოლეონმა ჩააქრო ტულონის აჯანყება.—VI. ის სტოვებს ჯარის არტილერიის სარდლის ადგილს და მიდის პარიზს (ივნისი, 1795 წ.).—VII. კელერმანი, დამარცხების შემდეგ, თავს უყრის თავის ჯარს ბორგეტოს ხაზზე (ივლისი, 1795 წ.)—VIII. ლოანოს ბრძოლა (1795 წ. დეკემბერი).

I

პირველ კოალიციასთან ომი 1792 წელს დაიწყო. გენერალ მონტესქიეს, სამხრეთის ჯარის სარდალს, ჟენევიდან ანტიბამდე მთელი საზღვრის დაცვა მიანდვეს. ლაშქრობა სექტემბერში დაიწყო—თავისი ბანაკიდან—სესიოში—ის გაემართა იზერისკენ, ფორტ-ბაროში, და რამდენიმე კვირის განმავლობაში დაიკავა შამბერი და მთელი სავოია. პიემონტელებმა დაიხიეს ალპების გადაღმა. გენერალ ანსელმს, რომელიც 10.000-იან დივიზიას სარდლობდა, დავალებული ჰქონდა ვარის დაცვა—ტურნუსის ბანაკიდან (არჟანტერის უღელტეხილთან) ანტიბამდე. ადმირალი ტრიუგე ცხრა საბრძოლო ხომალდით, 2.000-კაციან დესანტით გემბანებზე, დაცურავდა ანტიბსა და მონაკოს შორის. ვარი—ცუდი თავდასაცავი ხაზია. საფრანგეთის ესკადრამას ზურგიდან ემუქრებოდა. ამან აიძულა ტურინის სამეფო კარი—დაეყენებინა თავისი ჯარი ზღვისპირა ალპების პირიქითა ფერდობზე; აქ დაცვის ხაზის მარჯვენა ფრთა მოდიოდა ვარზე და მის შენაკადებზე, ცენტრი—ლანტოსკაზე, და მარცხენა ფრთა—როიზე, საორჯიოს წინ. 23 სექტემბერს გენერალი ანსელმი, როცა პიემონტის ჯარის ამოძრავება გაიგო, გადავიდა ვარზე 4.000 კაცით, დაიკავა ნიცა, მონტალბანის ციხე და ვილფრანში, ისე რომ არა-

ვითარი წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ორივე ეს სიმაგრე კარგად იყო მოწყობილი და საუკეთესო არტილერია ჰქონდა. მათი ციხოვანები ტყვედ ჩაბარდნენ. ანსელმი ვარზე ფონით გადავიდა. მეორე დღეს დაიწყო კოკისპირული წვიმები. რვა-ათი დღის განმავლობაში ის ნიცაში დარჩა, თავის ჯარს მოწყვეტილი. მტერმა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია, ანდა არ იცოდა როგორ გამოეყენებინა იგი. ანსელმმა მოწინავე რაზმი წასწია სკარენის აქით, ტურინის გზატკეცილზე. ესკადრა წავიდა ონელიას—სარდინიის მეფის ნავსადგურში; ადმირალმა მოსთხოვა ციხისთავს—დანებებოდა, მაგრამ მოციქული შეურაცხყოფით მიიღეს. სადესანტო ჯარებმა ქალაქი დაიპყრეს და აქ დიდი უწესობა ჩაიდინეს, ვინაიდან მეზღვაურები ძალიან მცირედისციპლინიანი იყვნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდნენ ისინი თავიანთ გემებზე. თავისი მხრით ანსელმსაც არ შეეძლო დისციპლინის დაცვა ჯარში. მას ბრალიც-კი დასდეს რომ თვითონ ის იღებდა მონაწილეობას იმ უწესობებში, რასაც ქალაქი ნიცა ჩიოდაო. ანსელმი უკან გაიწვიეს.

1793 წლის დამდეგს მთავრობამ გამოჰყო ალპის ჯარი იტალიის არმიიდან რომლის სარდლობა მინდობილი ჰქონდა გენერალ ბირონს. 1793 წ. 14 თებერვალს შეტაკება წარმოებდა სკარენის, სოსპელოს, ლანტოსკის მაღლობებზე. ამ მაღლობებს იპყრობდა რიგრიგობით ხან ერთი და ხან მეორე მხარე. მაგრამ ბოლოს სოსპელო მტკიცედ დაიკავა ფრანგის ჯარმა. მოწინავე რაზმი დაბანაკდა ბრუიში, სოსპელოსა და ბრელოს შორის. 11 აპრილს ბირონმა დაიპყრო ლანტოსკა და მაღლობები ბელვედერამდე. მან ბევრი ტყვე და რამდენიმე ზარბაზანი ჩაიგდო ხელში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ვანდეას გაიწვიეს ჯარის სარდლად. იგი გენერალმა ბრიუნემ შესცვალა. ჯარს დამხმარე მხედრობა მოუვიდა, რის შემდეგაც მასში 30.000 კაცი ითვლებოდა. იმ ჯართან ერთად, რომელსაც პროვანსში გარნიზონები ეკავა, საეტაპო ნაწილებითა და ავადმყოფებითურთ ჯარის რიცხვი 68.000 კაცამდე ადიოდა. მტერიც აგრეთვე გაძლიერებული იყო შემატებით და ავსტრიის საუკეთესო დივიზიით. მან თავისი პოზიციები მრავალი ბატარიით და საფორტიფიკაციო ნაგებობებით გაამაგრა. მისი მარჯვენა ფრთა ემიჯნებოდა უტელის მაღლობს, შუაგული განლაგებული იყო რაუსის გასასვლელის წინ, მარცხენა ფრთა—საორჯიოს წინ, ე. ი. იმ სიმაგრის წინ, რომელიც იდგა ნიციდან ტურინს მიმავალ გზატკეცილის ორსავე მხარეზე. გენერალ ბრიუნეს სრულიად დასაბუთებული სურვილი ჰქონდა—დაეპყრო ზღვისპირა ალპები, გადაეგდო მტერი ტენდეს უღელტეხილზე და განელაგებინა თავისი ჯარი წვიმების დროს ალპების მწვერვალებზე. ეს გაცილებით უფრო გაამაგრებდა პოზიციას რომლის დაცვას უფრო ნაკლები ხალხი დასჭირდებოდა. ასეთი პროექტი ძალიან გონივრული იყო. ბრიუნეს საკმაო ძალები ჰყავდა მის შესასრულებლად მაგრამ არ ჰქონდა სამხედრო ნიჭი, რომელიც აუცილებელია ასეთი სერიოზული ოპერაციის სახელმძღვანელოდ. 1793 წ. 8 ივნისს მან შეტევა დაიწყო. ფრანგის ჯარისკაცებმა ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც შეეძლოთ. ყველა პოზიცია, რომლის აღებაც შეიძლებოდა, მათ აიღეს. მაგრამ ფურშის და რაუსის უბნები დაუძლეველი იყო. ბრიუნე ჯიუტობდა—12 ივნისს შეტევა განაახლა, რამაც ასახელა პიემონტელები და დაღუპა ჯარის რჩეული გრენადე-

რები. ამიერიდან პიემონტელების პოზიცია ითვლებოდა როგორც მიუვალი; ისინი განაგრძობდნენ მის გამაგრებას. აგვისტოში ტულონის ღალატმა გამოიწვია ერთი რაზმის გამოყოფა იტალიის არმიიდან, საალყო ჯარის შესადგენად. მაგრამ იტალიის არმიამ, თუმცა-კი შესუსტებულმა მოიგერია ოქტომბრის განმავლობაში პიემონტელების ყველა ცდა პროვანსში გასვლისა და ვარზე გადასვლისა. მათი ერთი 4.000-კაციანი დივიზია დაამარცხა და თითქმის მოსპო გენერალმა დიუგომიემ ჟილეტთან, და ამან აიძულა ისინი—კვლავ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ პოზიციებზე.

ბრიუნე, რომელსაც უსამართლოდ დააბრალეს ღალატი და მარსელის აჯანყების მფარველობა, გადასცეს პარიზის რევოლუციურ ტრიბუნალს და დაიღუპა ეშაფოტზე.

ტულონის აღების შემდეგ ნაპოლეონი პირველ ორ თვეს 1794 წ. ამაგრებდა ხმელთაშუაზღვის ნაპირებს. ბარტში ის ჩამოვიდა ნიცას და მიიღო აქ არტილერიის სარდლობა. ჯარის სარდლად იყო გენერალი დიუმერბიონი. ამ გენერალმა, გრენადერთა ძველი კაპიტნებიდან გამოსულმა, მოიპოვა პოლკოვნიკის, ბრიგადის გენერლისა და დივიზიის გენერლის ხარისხები იტალიის არმიაში 1792 და 1793 წლების ლაშქრობის დროს. ის აქ ყველა პოზიციას იცნობდა და ივნისში ხელმძღვანელობდა შეტევას. ეს კაცი სამოცი წლისა იყო, პირდაპირი, პირადად გულადი, საკმაოდ განათლებული, მაგრამ მსმელი; ის თითქმის არ დგებოდა ლოგინიდან და მთელ თვეებს უძრავად იწვა. შტაბის უფროსად მას ჰყავდა გენერალი გოტიე, ადმინისტრაციული ნაწილის უფროსად—დ'ეისოტიე, გალერი განაგებდა ფინანსებს და მომარაგებას, გენერალი დიუჟარი იყო არტილერიის უფროსის თანაშემწე, პოლკოვნიკი გასენდი—არტ. პარკის უფროსი, გენერალი ვიალი—ინჟენერთა უფროსი, გენერლები მაკარი, დალემანი, მასენა და სხვანი სარდლობდნენ სხვადასხვა შენაერთს. შტაბი, აი, უკვე ორი წელიწადია, იმყოფებოდა 10 ლიეზე მოწინავე საგუშაგოებიდან, ნიცაში, სადაც ვერ იგრძნობდით ომს.

II

არტილერიის უფროსმა მარტის ერთი ნაწილი მოანდომა არმიის პოზიციების გაცნობას და 1792 წლის ბრძოლების შესწავლას. რამდენიმე დღე გაატარა ბრუიში, რომელიც გენერალ მაკარს ეკავა; ის დარწმუნდა რომ მტრის პოზიციის ეს უბნები მეტად ძლიერი იყო, და ფრანგებისათვის დამღუპველი იერიშები 8 და 12 ივნისს—უგნურება.

მთებში ყველგან თავისთავად მეტად ძლიერი პოზიციებია და მათზე იერიშებს უნდა ვერიდოთ. სამთო ომის ოსტატობა ისაა რომ მტრის ფრთებთან ან ზურგში დაიკავო პოზიციები და ამით ის დააყენო ისეთი აუცილებლობის წინაშე რომ ან დასცალოს თავისი პოზიცია უბრძოლველად, რათა მეორე დაიკავოს, ცოტა უკან, ან იერიშზე გადმოვიდეს. სამთო ომში იერიში ხელსაყრელი არ არის. შეტევითი ომშიც-კი ოსტატობა ისაა რომ მხოლოდ მოგერიებითი ბრძოლები აწარმოო და აიძულო მტერი—თვითონ მიმართოს იერიშს.

მტრის პოზიციები კარგად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. მარჯვენა ფრთა კარგად იყო დაცული, მარცხენა-კი—ცუდად. ამ მხრიდან საკმაოდ ადვილგასავალი ადგილები იყო. ნაპოლეონმა მაშინვე შეადგინა მოქმედების გეგმა რომლითაც ჯარი დაიპყრობდა ალპების მბრძანებელ მთაგრეხილს და აიძულებდა მტერს დაშვებულიყო ისეთ მაღლობებიდან როგორიც რაუსი და ფურშია. ამ გეგმით უნდა შემოევლოთ მტრის მარცხენა ფრთა მდ. მდ. როიზე, ნერვიასა და ტაჯიაზე გადასვლით, აეღოთ ტანარდის მთა, როკა-ბარბონი, ტანარელო და წაერთმიათ გზატკეცილი, საორჯიოს მიმავალი,—მტრის საკომუნიკაციო ხაზი, მარტის ბორცვის უკან.

ონელია მეკობრეთა თავშესაფარი იყო. იქიდან ისინი ეცემოდნენ ნიციდან გენუას მიმავალ გზებს. ამას ზარალი მოჰქონდა ჯარისათვის; უფრო მეტად ზარალდებოდა პროვანსის მომარაგება სურსათით. პროვანსში მძვინვარებდა სიმშილი. განზრახული ოპერაციით ეს ამოცანაც წყდებოდა: როცა ჯარი მონტე-გრანდეზე ავიდოდა, ის გაბატონდებოდა ტანაროს სათავეებზე და ონელიის მთელ ხეობაზე; ქალაქი ონელია, ორმეა, გარესიო და ლოანო მის ხელში გადავიდოდა.

ამგვარად, ლაშქრობის ეს გეგმა სამ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწევდა: 1) ნიცის საგრაფოს დაცვა მოეწყობოდა მის ბუნებრივ პოზიციებზე, ალპების მბრძანებელ ქედზე; 2) მარჯვენა ფრთა წაიწევდა იმ ადგილზე, სადაც გაცილებით უფრო ნაკლები სიმაღლის მთები იყო და მით უფრო მეტად ხელსაყრელი; 3) დაიცვებოდა გენუის რივიერის ერთი ნაწილი და მოისპობოდა მეკობრეთა ბუნაგი, რომელიც ხელს უშლიდა მიმოსვლას გენუასა—დიდ სავაჭრო ცენტრსა—ჯარსა და მარსელს შორის. შიში არ იყო, რომ მტერი ისარგებლებს საფრანგეთის ჯარის გაყოფას მისი მარჯვენა ფრთის წაწევის გამო და თვითონ დაიწყებს შეტევას. ასეთი შეტევა მთა-ბორცვიან ქვეყანაში საშიში არაა, რამდენადაც დრო იკარგებოდა გადამწყვეტ დარტყმებზე. რამდენიმე დღის სავალი მანძილის მოგებით საფრანგეთის ჯარის მარჯვენა ფრთა მოეკცეოდა მტერს გვერდიდან და მაშინ უკანასკნელი ხელიდან გაუშვებდა შეტევაზე გადასვლისათვის საჭირო დროს. სამთო ომში რომ მტერი აიძულო—გამოვიდეს თავისი პოზიციებიდან და იერიში მოიტანოს,—ეს არის, როგორც უკვე ვთქვით, ომის ოსტატობა. მართლაც, პოზიციები ბეოლეტის, ბრუის, პერუსის უღელტეხილებთან,—შეიძლება, უფრო ნაკლებძლიერნი ვიდრე პიემონტის პოზიციები,—მეტისმეტად ძლიერნი აღმოჩნდნენ. პიემონტელებს ვერ უშველიდათ მათი რიცხვობრივი სიჭარბე. მტერს, როცა ამ პოზიციებს გადალახავდა, შეაჩერებდა საკმაოდ ძლიერი პოზიციები ბრუის, კასტილიონეს და ლუსერამის უღელტეხილებთან. პიემონტელებს შეეძლოთ გადაეწყვიტათ იერიშის მიტანა ტანარდისა და ტანარელოს მთის პოზიციებზე მის შემდეგ, როცა მათ ფრანგები დაიკავებდნენ, მაგრამ ეს პოზიციები თავისთავად მაგარი იყო. ხელახლად მეორდებოდა სამთო ომის იგივე წესი: აიძულე მტერი—გადმოვიდეს იერიშზე. ფრანგის ყველა მხედრობას, რომელიც ბრუის ბანაკში დარჩა, შეეძლო, მდ. როიზე და ჯიოვეს მთაზე გადასვლით, მიშველებოდა თავის ჯარს. ოპერაცია მდ. ტანაროს სათავისა და ორმეას მიმართულებით იქნებოდა თავისთავად მარჯვე დივერსია; ამის გამო მტერი თავის შიკრავებს და ძლიერ

სახიფათო სამთო ბრძოლებისაგან და იძულებული გახდებოდა გადაეყვანა თავისი ჯარი ბარში დედა-ქალაქის დასაცავად.

ეს გეგმა ირჩეოდა საბჭოში, სადაც იყვნენ ორი სახალხო წარმომადგენელი—ჯარის კომისრები, გენერალი დიუმერბიონი, არტილერიის უფროსი, გენერალი მასენა, გენერალი ვიალი—საინჟენერო ნაწილის უფროსი, ბრიგადის გენერალი რიუსკა, მსუბუქი ჯარების ოფიცერი, ამ მთების შვილი, რომელიც მათ საუცხოოდ იცნობდა. გეგმის ავტორის რეპუტაციამ უშველა რომ დიდი კამათი არ გაიმართა. ყველას ახსოვდა მისი მოქმედება ტულონში.გეგმა მიიღეს.

ერთი პოლიტიკური დაბრკოლება იყო: უნდა დაეკავებინათ გენუის რესპუბლიკის მიწაწყალი. მაგრამ მოკავშირეებმა უკვე თვითონ ჩაიდინეს ეს, ექვსი თვის წინათ, როცა 2.000 პიემონტელმა გაიარა გენუის რესპუბლიკის მიწაწყალზე, ონელიაში გემებზე ჩასასხდომად, ტულონს გამგზავრებისას. მათ უნდა გაევლოთ მცირე შეუიარაღებელ ნაწილებად, ისინი-კი ყველანი ერთად გავიდნენ, შეიარაღებულნი და დოლის ცემით. ამ საკითხის გადაწყვეტას ხელი შეუწყო „ლ ა-მ ო დ ე ს ტ“-ის უბედურებამაც. ამ ფრეგატმა ღუზა ჩაუშვა გენუის ნავსადგურში და მიება ნაპირს. 5 ოქტომბერს 1793 წ. ინგლისის სამმა ხომალდმა ორი ფრეგატითურთ აგრეთვე ჩაუშვეს ღუზა ნავსადგურში; ინგლისელთა ერთი 74-ზარბაზნიანი ხომალდი დადგა „ლ ა-მ ო დ ე ს ტ“-ის გვერდით. ეკიპაჟის უფროსმა ზრდილობიანად სთხოვა ფრეგატის საგუშაგო ოფიცერს—გადაენაცვლებიათ ერთი კანჯო, რომელიც ხელს უშლიდა ინგლისის გემის მანევრობას. ფრანგებმა ეს ხალისით შეასრულეს. ნახევარი საათის შემდეგ ინგლისელმა კაპიტანმა მოსთხოვა „ლ ა-მ ო დ ე ს ტ“-ის მეთაურს თეთრი ალამის აღმართვა და თანაც განაცხადა რომ ის არავითარ სამფეროვან ალამს არ ცნობს. მოკავშირეებს მაშინ ტულონი ეკავათ. ფრანგის ოფიცერმა ამ გამოწვევას ისე უპასუხა როგორც ღირსება მოითხოვდა. მაგრამ ინგლისელებს მზად ჰქონდათ სამი სააბორდაჟო კიბე. მათ გადისროლეს ისინი ფრეგატზე და აიყვანეს ის აბორდაჟზე. იმ წამსვე შეიქმნა გაცხარებული სროლა. „ლ ა-მ ო-დ ე ს ტ“-ის ეკიპაჟს არაფერი არ ჰქონდა მომზადებული; ხალხის ერთი ნაწილი წყალში გადაცვივდა; ინგლისელები დაედევნენ მათ კანჯოებით, ზოგი მოჰკლეს, ზოგი დასჭრეს. გენუელები ძალიან გაბრაზებული იყვნენ. დრეიკს, ინგლისის ამ საზიზღარ აგენტს, ყიჟინა დასცეს. და იგი ძლივს გადარჩა დიდ უსიამოვნებას. დოჟად იმ დროს დორია იყო; სენატს მოუხდა ბოდიშის მოხდა, მაგრამ ფრეგატი აღარ დაუბრუნებიათ. სახალხო წარმომადგენლებმა მარსელში გენუის გემებს დაადვეს ემბარგო. ისინი ელოდნენ რომ კონვენტი ომს გამოუცხადებდა გენუას, მაგრამ საფრანგეთი და მეტადრე მისი სამხრეთი ნაწილი სიმშილით იტანჯებოდა: გენუის ფლოტი აუცილებლად საჭირო იყო პროვანსის მოსამარაგებლად სურსათით. კონვენტმა გულში ჩაიმარხა თავისი ჯავრი, და გამოაცხადა რომ ყველაფერი მოხდა გენუის სისუსტის გამო და ურთიერთობა გაგრძელდება ისე როგორც წინათაო. მაგრამ ნაკლები სიმართლე არაა ისიც რომ ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი დაარღვიეს.

6 აპრილს 14.000 კაცისაგან შემდგარი დივიზია, ხუთ ბრიგადად, გადავიდა მდინარე როიზე და დაიკავა ვენტიმილის ციხედარბაზი. ერთი ბრიგადა მასენას

სარდლობით დაიძრა ტანარდის მთისკენ და დაიკავა აქ პოზიცია. მეორე ბრიგადა გადავიდა მდინარე ტაჯიოზე და დაიკავა პოზიცია მონტე-გრანდეზე. სამი დანარჩენი ბრიგადა არტილერიის უფროსის პირდაპირი სარდლობით დაიძრა ონელიისკენ და დაამარცხა ავსტრიის დივიზია, რომელიც სანტ-ალათის მაღლობებზე იყო განლაგებული. ფრანგების ბრიგადის გენერალი ბრიულე მოჰკლეს. მეორე დღეს ჯარი ონელიაში შევიდა. აქ მან ხელში ჩაიგდო 12 ზარბაზანი. ქალაქისა და ხეობის მოსახლეობა გაიქცა. კიდევ 12 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში სენ-სილვესტრის უღელტეხილის ახლოს. პიემონტელებს უნდოდათ მათი გატანა ორმეაში, მაგრამ ისინი ჩაიგდო ხელში მე-2 ბრიგადამ, რომელიც მეცალუნის უღელტეხილზე გადმოდიოდა. ჯარი დაიძრა პონტე-დი-ნავისკენ. იქ ავსტრიის დივიზიის ნაშთები იდგა. ამ ნაშთებზე იერიში მიიტანეს, დაამარცხეს, და არიოლოს მთიდან მდ. ტანაროში ჩარეკეს. ორმეას ციხე იმავე დღეს დანებდა; მასში 400 ციხოვანი იდგა, იქ იყო იარაღის საწყობი, რომელშიც რამდენიმე ათასი თოფი და ოციოდე ზარბაზანი ინახებოდა. მაუდის ფაბრიკის ნაწარმით გამოტენილი იყო მაღაზიები, რამაც საშუალება მოგვცა—ჯარი შეგვემოსა. მეორე დღეს, 18-ს, ჯარმა გარესია აიღო და აღადგინა თავისი მიმოსვლა სან-ბერნარდოსა და როკა-ბარბონის მთებიდან, ლოანოსთან, პატარა ზღვისპირა ქალაქთან, რომელიც სარდინიის მეფეს ეკუთვნოდა.

პიემონტში დიდი განგაში ატყდა. მტერი საჩქაროდ სცლიდა ალპების ფერდობებს, მაგრამ დაიგვიანა და თან ვერ წაიღო თავისი არტილერია. მასენა ტანარელოდან საორჯიოს საზურგო მისასვლელებზე გამოვიდა; ამნაირად, ხელში ჩაიგდო გზატკეცილი და მტერს მოუჭრა დასახევი გზა მარტის ბორცვის უკან. საორჯიო 29 აპრილს დანებდა. ამ ციხეს შეეძლო უფრო დიდხანს გაძლება: იქ ბლომად იყო საჭურველი და საბრძოლო მასალა. 8 მაისს მასენა დაიძრა ტენდის უღელტეხილისაკენ, არდენტის უღელტეხილზე გავლით, იმ დროს, როცა გენერალ მაკარს იერიში მიჰქონდა წინიდან. იერიში გამარჯვებით დასრულდა. ჯარმა დაიკავა ზღვისპირა ალპების მთელი მბრძანებელი ქედი. მისი მარჯვენა ფრთა, ორმეას წინ მდგომი, უკავშირდებოდა ტენდის უღელტეხილს, ტერმინის უღელტეხილზე გავლით, და ტენდის უღელტეხილიდან ეჭირა ალპების ქედი არჟანტერის უღელტეხილამდე, სადაც იდგა ალპის არმიის განაპირა საგუშაგო. ამ გეგმის შესრულებამ მოგვცა 3.000—4 000 ტყვე, 60-70 ზარბაზანი, ორი ციხე და ხელში ჩაგვიგდო ალპების ყველა მაღლობი აპენინების პირველ გვერდობებამდე. არმიას, ამნაირად, ეკავა დასავლეთ რივიერის ნახევარზე მეტი. და, თუმცა თავისი მარჯვენა ფრთით 15 ლიეზე გაიჭიმა, მისი განლაგება უფრო მტკიცე შეიქმნა, და მის დასაცავად უფრო ცოტა მხედრობა იყო საჭირო. მეტს არაფერს შეეძლო დაებრკოლებინა საზღვაო მიმოსვლა ნაპირების გასწვრივ, გენუასა და პროვანსს შორის. ჯარის დანაკლისი დიდი არ იყო. საორჯიოსი და სხვა პუნქტების დაცემამ, რომლებზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ და რომელთათვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა, განამტკიცა ჯარში არტილერიის უფროსის სახელი, და ყველა ხედავდა მასში მომავალ მთავარსარდალს.

III

სამთო არტილერიის აღჭურვილობა გაუმჯობესდა. პოდპოლკოვნიკი ფოტრიე, არტ. პარკის გამგის თანაშემწე, საარტილერიო სახელოსნოების ოფიცერი, მზრუნველობით უკვირდებოდა ყოველ წვრილმანს. სამგირვანქიანი პიემონტური ზარბაზნები, რომელიც იპოვეს ნიცის თოფხანაში, და ორმეას და საორჯიოს სიმაგრეებში, აგრეთვე მტრის მიერ მიტოვებულ პოზიციებზე, საკმაოდ მსუბუქები იყო რომ საპალნიანი ჯორებით გადაეტანათ. მაგრამ ეს ყალიბი ვერ აკმაყოფილებდა ყველა საჭიროებას. კორსიკის ომის დროს (1768 წ.) გააკეთეს ლაფეტის კავები და წყვილა ხელნები, რომელსაც ხმარობდნენ 4-გირვანქიანი ზარბაზნების გადასატანად რაზმეულებისათვის. ეს მოწყობილობა გამოდგა 8- და 12-გირვანქიანი ზარბაზნებისათვისაც და 6-დუიმიანი ჰაუბიცებისათვისაც. მოაწყვეს აგრეთვე გადასატანად ჯორის ზურგით სამთო სამჭედურიც. ონელიის, ორმეას და საორჯიოს წინააღმდეგ ლაშქრობის დროს 24-ზარბაზნიანი არტილერიის პარკი თან მიჰყვებოდა ჯარს. ზარბაზნებს დიდი სარგებლობა მოჰქონდა, მეტადრე იმ შთაბეჭდილებით, რომელსაც ისინი ახდენდნენ თავის არმიას და მტრის ჯარზე.

პიემონტის არმიას, განლაგებულს ბარში და ალპების ბორცვიან მისადგომებზე, ყველაფერი უხვად ჰქონდა. მან დაასვენა თავისი დაქანცული ძალები, შეავსო დანაკარგი და დღითი-დღე ძლიერდებოდა ავსტრიის ახლადმოსული ათასეულებით, მაშინ როდესაც საფრანგეთის არმია, რომელიც იდგა ალპების მბრძანებელ ჯაჭვის თხემებზე, ნახევარწრეწირად, 60 ლიეს მანძილზე, მონბლანიდან ტანაროს სათავემდე,—იღუპებოდა სიმშილისა და ავადმყოფობისაგან. მიმოსვლა ძალიან საძნელო იყო, სურსათ-სანოვაგე—მცირე და მეტად ძვირი. დიდი ტანჯვა ადგათ ცხენებს, და არმიის მთელი ნივთიერი ნაწილი ცუდ მდგომარეობაში იყო. მაღალი მთების ჰაერი და ცუდი წყალი იწვევდა ბევრ დაავადებას. არმიის დანაკარგი ავადმყოფობისაგან სამი თვის განმავლობაში უდრიდა დიდი ბრძოლის შედეგად მიღებულ დანაკარგს. ასეთი მოგერიება უფრო ცუდი იყო ფინანსებისა და ხალხისათვისაც, ვიდრე შეტევა. ალპების დაცვას, ამ უსარგებლობის გარდა, აქვს კიდევ სხვაც, რომელიც დაფარულია ამ ქვეყნის ტოპოგრაფიულ თავისებურებაში: არმიის სხვადასხვა ნაწილს, რომლებიც ამ მწვერვალებზე არიან განლაგებული, ვერ ძალუძს ერთიმეორის დახმარება; ისინი სრულიად განთიშულნი არიან. იმისათვის, რომ მარჯვენა ფრთიდან მარცხენაზე გახვიდე, საჭიროა 20 დღე, მაშინ როდესაც ის არმია, რომელიც პიემონტს იცავს, განლაგებულია მდიდარ ბარში და შეუძლია რამდენსამე დღეში თავი მოუყაროს ძალებს საიერიშო ადგილის პირდაპირ. საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტს უნდოდა რომ არმია შეტევაზე გადასულიყო. არტილერიის უფროსი დაესწრო თათბირს ამ საკითხზე კოლმარში, ალპის არმიის ოფიცრებთან ერთად, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა. ჯერ საჭირო იყო ორთავე არმიის დაქვემდებარება ერთ მთავარსარდლისადმი.

სექტემბერში ავსტრიის ერთმა დივიზიამ თავი მოიყარა მდ. ბორმიდაზე. მისი საწყობები დეგოში იყო. ინგლისელთა დივიზია უნდა გადმომსხდარიყო

ვადოში, და არმიის ორთავე ამ ნაწილს, შეერთების შემდეგ, უნდა დაეკავებინა სავონა და აეძულებინა გენუის რესპუბლიკა, რომელსაც ყოველგვარი გზები წართმეული ჰქონდა ზღვაზედაც და ხმელეთზედაც, ომი გამოეცხადებინა საფრანგეთის წინააღმდეგ. ვადოს ნავსადგურმა შესცვალა ონელიას ნავსადგური და გახდა ინგლისის კრეისერებისა და მეკობრეების თავშესაფარი. ამათ შესწყვიტეს ყოველგვარი ვაჭრობა გენუასა და მარსელს შორის. არტილერიის უფროსის რჩევით უნდა აეღოთ პოზიციები: სან-ჯიაკომო, მონტენოტე და ვადო. არმიის მარჯვენა ფრთა, ამნაირად, იქნებოდა გენუის კარებთან. ამისთვის მთავარსარდალი დიუმერბიონი თვითონ წაუძღვა სამ დივიზიას, რომელშიც 18.000 კაცი იყო და 20 სამთო ქვემეხი.

არტილერიის უფროსი ხელმძღვანელობდა არმიის ერთ ნაწილს, რომელმაც გაიარა ბარდინეტოს უღელტეხილი და შევიდა მონფერატოში, ბორმიდის გაყოლებით მიმავალი გზატკეცილით. 4 ოქტომბერს ის დაბანაკდა ბიესტროს მაღლობებზე, 5-ს დაეშვა ბარში. არტილერიის უფროსი იმედობდა—თავს დასხმოდა ავსტრიის არმიის ზურგს, მაგრამ ამ არმიამ დროზე შეამჩნია ეს და დაიწყო დახევა ქაიროსა და დეგოსაკენ. მას ენერგიულად დაედევნა ფრანგების მოწინავე რაზმი გენერალ ჩერვონის უფროსობით. ზარბაზნების სროლა გრძელდებოდა მთელ საღამოს 5 ოქტომბერს; საღამოს 10 საათზე კიდევ ისმოდა. ავსტრიის არმიამ დაიხია აქვისკენ, მიატოვა საწყობები და ტყვეები და დაჰკარგა ათასი კაცი.

გენერალ დიუმერბიონს არ ჰქონდა არც ბრძანება, არც შემუშავებული გეგმა იტალიაში შესვლაზე; მისი ცხენოსანი ჯარი ალაფის ნაკლებობის გამო რონაზე იდგა. თუ მტერს დაედევნებოდა—ის დამორდებოდა საოპერაციო ხაზს და მიიზიდავდა თავისკენ ავსტრიელებისა და სარდინელების მთელ ძალებს; ამიტომაც იძულებული გახდა—დასჯერებოდა უბრალო დაზვერვას, მონტენოტეზე გავლით დაეხია სავონაზე და დამდგარიყო ვადოს მაღლობებზე, სავონის ველზე-კი დაეტოვებინა ერთი საყარაულო რაზმი.

არტილერია იმგვარად იყო ზღვის პირზე განლაგებული რომ შეეძლო დაეცვა ფრანგების ესკადრა რომელიც ამ რეიდზე იდგა. ინჟენერებმა ააგეს ვადოს მაღლობებზე ძლიერი ციხეები, რომელნიც უკავშირდებოდნენ პოზიციებს ტანაროს მაღლობებზე სან-ჯიაკომოს, მელონიოს, სეტეპანის, ბარდინეტოს და სან-პერნარდოს გზებით. არმიის მარჯვენა ფრთის ასეთი გაჭიმვა ასუსტებდა მის პოზიციას, მაგრამ იძლეოდა შემდეგ უპირატესობებს: 1) არმიას საშუალება ეძლეოდა გაბატონებულიყო მთელ დასავლეთ რივიერაზე და მთელ სანაპიროზე, აგრეთვე ირღვეოდა კავშირი ავსტრიისა და სარდინიის არმიებს შორის და წყდებოდა მათი და ინგლისის ფლოტის შეთანხმებული მოქმედება; 2) უზრუნველყოფილი ხდებოდა საზღვაო გზა გენუიდან მარსელში, ვინიდან არმია ბატონობდა სანაპიროს ყველა ნავსადგურს და შეეძლო დაედგა ბატარიები საზღვისპირო მიმოსვლის დასაცავად; 3) ასეთ მდგომარეობაში არმიას შეეძლო დახმარებოდა საფრანგეთის მომხრეებს გენუაში, და დაესწრო მტრისთვის ამ ქალაქის გალაყანთან მისვლა თუ მტერი იქით წასვლას მოინდომებდა. ამ ოპერაციას, რომელმაც დაშალა მტრის გეგმა და განამტკიცა

გენუის ნეიტრალიტეტი, გამოეხმაურნენ იტალიაში და მან იქ დიდი განგაში გამოიწვია. ამგვარად, არმიის მოწინავე საგუშაგოები იმყოფებოდნენ გენუიდან 10 ლიეს მანძილზე, ცხენოსანი პატრულები და მზირები-კი ზოგჯერ 3 ლიეზე უახლოვდებოდნენ.

შემოდგომის დამლევი ნაპოლეონმა მოანდომა ბატარიის მოწყობას სანაპირეზე ვადოდან ვარამდე, რათა უზრუნველეყო საზღვაო მიმოსვლა გენუასა და ნიცას შორის. იანვარში მან ერთი ღამე გაატარა ტენდის უღელტეხილზე, საიდანაც, მზის ამოსვლისას, თვალწინ გადაეშალა ნაყოფიერი ველები, რომლებზეც ის უკვე ოცნებობდა.

ზამთრის განმავლობაში მან რამდენიმეჯერ იმგზავრა ტულონსა და მარსელს თოფხანებისა და სანაპირო ბატარიების შესამოწმებლად. ერთი ასეთი მგზავრობის დროს მარსელში არეულობა მოხდა, და სახალხო წარმომადგენელმა მენიემ არტილერიის უფროსს განუცხადა თავისი შიში: ვაი თუ ხალხის ბრბო მივიდეს თოფისწამლის სარდაფებთან და იარაღის საწყობებთანო. ესენი სენ-ნიკოლას და სენ-ჟანის ციხეებში იყო მოთავსებული, მაგრამ ციხეები უკვე დაენგრიათ რევოლუციის დროს. ამ წარმომადგენლის თხოვნით ნაპოლეონმა შეადგინა პროექტი ქონგურიანი კედლის ასაშენებლად. ამ კედელს უნდა დაეფარა ციხეები ქალაქის მხრიდან. გეგმა გაგზავნეს პარიზს, მაგრამ კონვენტმა არ მიიღო, როგორც კონტრრევოლუციური, ხალხის წინააღმდეგ მიმართული. კონვენტმა განსაკუთრებული დადგენილებით გამოითხოვა ტრიბუნალში მარსელის არტილერიის უფროსი. ეს იყო პოლკოვნიკი სიუნი; ის გაემგზავრა იქით, მაგრამ პირველივე ჩვენებითგან გამოირკვა რომ ეს გეგმა მისი შედგენილი არ იყო. მაშინ არმიის არტილერიის უფროსს უბრძანეს—მისულიყო ტრიბუნალში. იმ დროს, ტერორის ხანაში, ბრალდება უდრიდა განაჩენს. ნაპოლეონს დიდი შრომა დასჭირდა რომ ბრალდება გაებათილებინა და დადგენილება გაეუქმებინა. მან ეს მოახერხა როცა მტერმა შეტევა დაიწყო. სახალხო წარმომადგენლებმა მისწერეს პარიზში რომ ნაპოლეონის ყოფნა არმიაში აუცილებელიაო, და ჩააგონეს ბუი-დიუ-რონის დეპარტამენტის დეპუტატებს—უარი ეთქვათ მათ მიერ წამოყენებულ ბრალდებებზე.

IV

1792 და 1793 წლების განმავლობაში საფრანგეთის ფლოტი ბატონობდა ხმელთაშუა ზღვაში. ონელიის აღების შემდეგ კონტრ-ადმირალი ტრიუგე ღუზაზე დადგა გენუის ნავსადგურში, სადაც დიდხანს დარჩა. კონტრ-ადმირალმა ლა-ტუშ-ტრევილმა ისარგებლა ეს გარემოება და 16 დეკემბერს 1792 წელს, 10 სახაზო გემისაგან შემდგარ ესკადრით, ნეაპოლს მოადგა. ნავსადგურის უფროსი შეეგება მას და შესთავაზა საშვები ექვსი გემისათვის, თანაც განუცხადა რომ მეფეს არ შეუძლია ძალიან ბევრი ხომალდის მიღება თავისი ნეიტრალიტეტის დაურღვევლადაო. ადმირალი უსაშვებოდაც იოლად წავიდა: ჩაუშვა ღუზა სასახლის ფანჯრების წინ და ნაპირზე გაგზავნა სენიორი ბელვილი რომელიც ეროვნული გვარდიის გრენადერის ფორმით წარუდგინა მეფეს კავალერმა აქტონმა. ბელვილმა გადასცა მეფეს კონტრ-ადმირალის წერილი რომელშიაც შემდეგი მოთხოვნილება იყო:

1) მეფემ უნდა გამოაცხადოს თავისი ნეიტრალიტეტი; 2) მან უნდა უარჰყოს თავისი კონსტანტინეპოლელი ელჩის ნოტა რომლითაც წინადადება ეძლეოდა ოსმალეთის ხონთქარს—არ მიეღო ბ-ნი სემონვილი საფრანგეთის ელჩად. მან ყველაფერი მოიპოვა, რასაც მოითხოვდა: ნეაპოლის სამეფო კარმა დიდ ბედნიერებად მიიჩნია რომ ასე ადვილად გადარჩა ამ უსიამოვნო სტუმრობას.

იანვარში 1793 წელს ადმირალი ტრიუგე გამოვიდა გენუიდან და დადგა ღუზაზე აიაჩიოს ნავსადგურში, კორსიკის კუნძულზე. იქ მას შეუერთდა 4.000 მარსელელის ტრანსპორტი რომელსაც მან დაუმატა 2.000 კაცი სასაზღვრო ჯარი; ეს ჯარი მე-23 დივიზიის მეთაურმა პაოლიმ გადასცა მის განკარგულებაში. ამ მხედრობით ადმირალი ტრიუგე გაემართა სენ-პიერის კუნძულებისაკენ და შეუერთდა ადმირალ ლა-ტუშ-ტრეევილის ესკადრის ერთ ნაწილს. მან ციხეში მეციხოვნეები დასტოვა და 12 თებერვალს ჩაუშვა ღუზა სარდინიის დედაქალაქის—კალიარის წინ. იმავე დღეს 800 კაცი, პოლკოვნიკ კოლონ ჩეზარის მეთაურობით, გავიდა ზღვით ბონიფაჩიოდან კორვეტის თანხლებით და დაიწყო კონტრშეტევა სარდინიის ჩრდილო ნაწილის წინააღმდეგ. ამ ექსპედიციის ამბავი უკვე ექვსი თვის წინათ იცოდნენ, და სარდინელები ამისთვის მოემზადნენ. ფრანგების დივიზია დაუბრკოლებლად გადმოვიდა კალიარის სანაპირეზე, მაგრამ მეორე დღეს განთიადზე, როცა ამ დივიზიაზე იერიში მიიტანა სარდინიის დრაგუნთა ლეგიონმა, მარსელის ფალანგის ჯარისკაცებმა ასტეხეს ყვირილი ღალატზე და გაიქცნენ; ყველანი ტყვედ ჩაცვივოდნენ რომ სასაზღვრო ქვეითა ჯარის ბრიგადას სიმედგრე არ გამოეჩინა და არიერგარდი არ შეექმნა. ადმირალმა მოახერხა ხელახლად ჩაესვა თავისი ჯარი გემებში დიდი ზარალის მიუღებლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ესკადრა იდგა ღუზაზე ციხეების პირისპირ თოფის და ზარბაზნის ცეცხლში. ორი სახაზო გემი დაიწვა. ადმირალი დაბრუნდა ტულონს ამ ექსპედიციის ამბებით. დაეკარგა სამი 74—80-ზარბაზნიანი გემი და რამდენიმე ფრეგატი.

1793 წლის მარტიდან, როდესაც ესპანეთმა საფრანგეთს ომი გამოუცხადა, ინგლის-ესპანეთის შეერთებული ფლოტი გაბატონებული იყო ხმელთაშუა ზღვაში და დაცურავდა გენუისა და პროვანსის სანაპიროებთან. ტულონის ღალატმა მოსპო საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტი. როცა ქალაქი დაიბრუნეს, იქ აღმოჩნდა მხოლოდ 18 ხომალდი და გადარჩა რამდენიმე საწყობი. ესპანეთის ფლოტი ინგლისელების უკმაყოფილო იყო და თავის ნავსადგურებში დაბრუნდა. 1794 წ. კონტრ-ადმირალი მარტენი ათი ხომალდით გავიდა ტულონიდან გაშლილ ზღვაში; მას დაედევნა ინგლისის ესკადრა და ამიტომ ის ღუზაზე დადგა ჟუანის ყურეში, სადაც არტილერიის უფროსს მოწყობილი ჰქონდა ძლიერი ბატარიები, რათა მისი (ყურეს) დაცვა უზრუნველეყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ადმირალმა ისარგებლა ზურგქარი და წავიდა ტულონს. ეს ესკადრა შემოდგომაზე შეივსო იმ ხომალდებით, რომლებიც ტულონში ააგეს.

1795 წლის დამდეგს ინგლისის ადმირალი გოტემი 15 საბრძოლო გემით, (მათ შორის ოთხი—სამერდოიანი) და ნეაპოლის ორ ხომალდით დაცურავდა კორსიკასა და იტალიას შორის. ადმირალი მარტენი, რომელსაც ჰყავდა 16 საბრძოლო და 5 სატრანსპორტო ხომალდისაგან შემდგარი ესკადრა, 10.000-კაციან დესანტით, იდგა ტულონის რეიდზე. ამ ძალების დანიშნულებაზე სხვადასხვა

აზრი ტრიალებდა, სანამ არ ჩამოვიდა კონვენტის წევრი ლეტურნერი, საგანგებო რწმუნებულობით აღჭურვილი. მან გამოაცხადა რომ საზოგადოებრივი დაცვის კომეტეტის განზრახვაა—დაიკავოს რომი, რათა დასაჯოს პაპი იმ შეურაცხებისათვის, რომელსაც იგი ყოველდღე აყენებდა რესპუბლიკას,—და შური იძიოს ბასვილის სიკვდილისათვის. ბასვილს, საფრანგეთის აგენტს პაპთან, 1792 წელს მოაგლიჯეს სამფეროვანი კოკარდი, ისე როგორც რომის სკოლის ფრანგ მხატვრებსაც. ბევრი ფრანგი ემიგრანტი, რომელიც ამ დედაქალაქში ცხოვრობდა, აქეზებდა ხალხს. 13 იანვარს 1793 წელს ვილაც არამზადამ ქვები ესროლა ბასვილის ეტლს სეირნობის დროს. მისმა მეეტლემ გადაუხვია გვერდზე და ბასვილი შინ წაიყვანა. სახლის კარები შეამტვრიეს. ბასვილი ხიშტით დასჭრეს მუცელს ქვემოთ; შემდეგ გაათრიეს ქუჩებზე, პერანგის ამარა, შიგანგადმოყრილი, და, ბოლოს, შეაგდეს სატუსაღოში, საგზაო საწოლზე, და იქ გარდაიცვალა მეორე დღეს.

ამ მკვლელობამ მთელი საფრანგეთი აღაშფოთა. დადგა დრო—გადაეხდევინებინათ სამაგიერო: უნდა გადმომსხდარიყვნენ ტიბრის შესართავთან და დაეპყროთ რომი, სადაც საფრანგეთს ბევრი მომხრე ჰყავდა. თებერვალში 1795 წელს ტულონში შეიკრიბა სამხედრო საბჭო, რათა გამოეთქვათ მოსაზრებანი ამ გეგმის შესრულების შესაძლებლობაზე. არტილერიის უფროსის მიერ ითქვა შემდეგი: ეს ექსპედიცია სახელს გაუტეხს იტალიის არმიას და გათავდება დამარცხებით. თუ მაინც უნდა გაგზავნონ იგი, მაშინ იმავე დროს უნდა აიღონ არჟანტეროს მთა, ორბეტელო და ციხე ჩივიტა-ვეკია და იქ დასტოვონ არმია. 10.000 კაცი მას მეტად მცირედ მიაჩნია ასეთი დაკვრისათვის. ცხენოსანი ჯარის გარეშე ამის გაკეთება არ შეიძლება. საჭიროა, სულ ცოტა, 1.500 ცხენოსანი ეგერი ან ჰუსარი, ეს კი არტილერიისა და შტაბის ცხენებთან ერთად ძალიან გაადიდებდა აღალს. არმია ხმელეთზე გადასვლისთანავე იძულებული იქნება იბრძოლოს 25.000—30.000 ნეაპოლელის წინააღმდეგ (ამ რიცხვში 5.000 კაცი კარგი ცხენოსანი ჯარი შედის). მას აგრეთვე შიში უნდა ჰქონდეს ავსტრიის დივიზიისა, რომელიც თავმოყრილია ლომბარდიაში. არმია ვერ დაეყრდნობა თავის მომხრეებს რომში, ვინაიდან ეს ოპერაცია დიდხანს ვერ გაგრძელდება. ბასვილის სისხლს რომ აიღებს და ქალაქს კონტრიბუციას დაადებს, მან უნდა იფიქროს უკან წამოსვლა. ზღვაზე ბრძანებლობის დროსაც-კი ასეთი ოპერაცია, მხოლოდ 10.000 კაცის საშუალებით, სახიფათო იქნებოდა. თუ კი ზღვიდან ზურგი გამაგრებული არ ექნება—ექსპედიცია უთუოდ დაილუპება. ეს ნიშნავს რომ საფრანგეთის ესკადრა ჯერ მარტოდ უნდა გავიდეს, დაამარცხოს ინგლისის ესკადრა და გააგდოს იგი ხმელთაშუა ზღვიდან. ამის შემდეგ გავა დესანტიც. დესანტის გადმოსხდომის შემდეგ ესკადრა და სატრანსპორტო ხომალდები წავლენ ნეაპოლს. სახალხო წარმომადგენელი უკმაყოფილო იყო რომ არტილერიის უფროსმა არ მოიწონა მისი წინადადებანი, და ყველა უფროს ოფიცერს გამოათქმევინა თავ-თავისი აზრი. მეზღვაურებმა განაცხადეს რომ ესკადრისათვის საშიშია ტრანსპორტების გასვლა გაშლილ ზღვაში, სანამ ამ ადგილებში მტრის ფლოტი დაცურავსო. გადაწყდა რომ კონტრადმირალი მარტენი გავიდეს მარტოდ ზღვაზე და გარეკოს ინგლისელები.

ის 1-ლ მარტს გავიდა ზღვაზე. მივიდა სენ-ფლორანს და იქ შეიპყრო ტყვედ ინგლისის 74-ზარბაზნიანი გემი „ბ ე რ ვ ი კ“-ი, რომელიც ამ რეიდიდან გამოდიოდა. საფრანგეთისა და ინგლისის ესკადრები შეხვდნენ ერთმანეთს 8 მარტს ლივორნოს არხში. მტრის დანახვისას ლეტურნერის გამბედაობა შენელდა: მან უბრძანა დახევა. ინგლისის ფლოტი მაშინ, თავის მხრით, დაედევნა მას. 13-ს ორივე ესკადრა იყო ტრავერსზე: ნოლის კონცხი—გენუის რივიერა. ღამით „მ ე რ კ უ რ“-ი, 74-ზარბაზნიანი გემი, და გემი „ს ა ნ-კ ი უ ლ ო ტ“-ი დაშორდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს განთიადზე „ს ა ი რ ა“-ს, 74-ზარბაზნიან გემს, რომელმაც ანძები დაჰკარგა გემ „ვ ი ქ ტ უ ა რ“-თან შეხლის დროს, მართვა მოეშალა; „ს ა ნ ს ე რ“-მა აიყვანა იგი ბუქსირზე. ორივე ფლოტი თანატოლი იყო გემების რიცხვით, მაგრამ—არა მათი ძალით. საფრანგეთის ესკადრა 15 ხომალდიდან შემცირდა 13-მდე, რომელთაგან არც ერთი არ იყო სამერდოიანი. ინგლისის ესკადრას 13 ხომალდში ჰყავდა ოთხი—სამერდოიანი. საფრანგეთის ესკადრა განაგრძობდა დახევას, მაგრამ თავიდან ვერ აიცილა ორი ბრძოლა: „ს ა ნ ს ე რ“-ი და „ს ა ი რ ა“ იბრძოდნენ ინგლისის სამერდოიანი და ორი 74-ზარბაზნიანი გემების პირისპირ. „ტ ო ნ ა ნ“-ი, „დ ი უ კ ე ნ“-ი და „ვ ი ქ ტ უ ა რ“-ი მთელ დღეს იბრძოდნენ; საფრანგეთის დანარჩენი სახაზო ხომალდები არ იბრძოდნენ. მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ „ს ა ნ ს ე რ ი“ და „ს ა ი რ ა“ ტყვედ წაიყვანეს. ესკადრა ღუზაზე დადგა იერის კუნძულებთან, სადაც მივიდნენ „ს ა ნ-კ ი უ ლ ო ტ ი“ და „მ ე რ კ ი უ რ“-ი. „ს ა ი რ ა“ ჩაიძირა სპეციის რეიდზე. ინგლისის სამერდოიანი გემი „ი ლ უ ს ტ რ ი ო ზ“-ი ჩაიძირა ბრძოლის შედეგად. ამგვარად, თითოეულმა მხარემ ორ-ორი გემი დაჰკარგა. ეს იყო პირველი ბრძოლა ხმელთაშუა ზღვაზე ამ ომში.

ეს ამბავი კარგად მოუხდა რესპუბლიკას. ამ ცუდად მოფიქრებულ ექსპედიციას შეეძლო მხოლოდ სამწუხარო ბოლო ჰქონებოდა. ჯარი გადმოსხდა და გაიგზავნა ნიცას, სადაც იგი ძალიან ხელს დაგვრჩა ორი თვის შემდეგ ამ საგრაფოს საზღვრების დასაცავად ავსტრიის გენერალ ვენსის იერიშების წინააღმდეგ. ეს წამოწყება რამდენმე მილიონად დაჯდა, მაგრამ დიდი შედეგები არ მოუცია. ტოსკანის დიდმა მთავარმა იცნო რესპუბლიკა და პარიზის ელჩად გაგზავნა გრაფი კარლეტი. კონვენტმა მიიღო იგი 14 მარტს 1795 წელს. ვენეციის რესპუბლიკამ, რომელიც არ შევიდა კოალიციაში და მიიღო საფრანგეთის წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლად კვირინი გაგზავნა. მისი ელჩად დანიშვნა მოხდა 14 მარტს. გენუამ გაიმაგრა თავისი ნეიტრალიტეტის მდგომარეობა. ნეაპოლის მეფე კოალიციაში შევიდა როგორც კი ინგლისისა და ესპანეთის ესკადრები გაბატონდნენ ხმელთაშუა ზღვაში; იგი დიდად შველოდა ტულონის დაცვას. მაგრამ ამ მეფეს, ისე როგორც პაპს, სარდინიის მეფეს, მოდენისა და და პარმის მთავრებს, თავი უნდა მოეხარა რესპუბლიკის ავტორიტეტის წინაშე 1796 წლის ლაშქრობაში.

V

9 ტერმიდორიდან (27 ივლისი 1794 წ.) საფრანგეთის სამხრეთი დიდად აღტყინებული იყო. მარსელის რევოლუციურმა ტრიბუნალმა ეშაფოტზე გაგზავნა ქალაქის მთელი წარჩინებული ვაჭრები. იაკობელებს კვლავ დიდი

ძალა-უფლება ჰქონდათ; ისინი ნანობდნენ მონტანიარების დაღუპვას და უკმაყოფილონი იყვნენ მოქმედი კანონების. მეორე მხრით, ღელავდნენ პარიზის სექციები. ტულონის მოსახლეობა, თოფხანის მთელი მუშები, ესკადრის ეკიპაჟები იაკობელებს ემხრობოდნენ; ისინი სიძულვილით უყურებდნენ ხალხის წარმომადგენლებს მარიეტსა და კამბონს, რომელთაც რეაქციონერების პარტიის წევრობას აბრალებდნენ.

ამ გარემოებაში საფრანგეთის ერთმა გემმა მოიყვანა ტულონში ერთი ნადავლი ხომალდი ესპანეთისა. მასზე ოცამდე ემიგრანტი იყო, უმთავრესად შაბრიიანის ოჯახის წევრები. თოფხანაში და ქუჩებზე შფოთიანი კრებები გაიმართა. ხალხის ბრბომ გასწია საპატიმროებისკენ, რათა დაეხოცნათ ის უბედურები. სახალხო წარმომადგენლები წავიდნენ თოფხანაში. მათ სიტყვები წარმოსთქვეს ოფიცერთა საკრებულოს დარბაზშიც და სახელოსნოებშიც, მუშებში. დაჰპირდნენ რომ ემიგრანტებს საგანგებო კომისიას გადასცემდნენ და 24 საათში გაასამართლებდნენ. მაგრამ ვინაიდან თვითონ ისინი იყვნენ საეჭვონი, ამიტომ მათი სიტყვები ცუდად გაიგეს. ერთმა ყველას გასაგონად დაიძახა: „ფარანზე[1]—ემიგრანტების მფარველებიო!“ დღე თითქმის მიწურული იყო; ფარნებს ანთებდნენ. საშინელი არევ-დარევა შეიქმნა. სასწრაფოდ მოვიდა ეროვნული გვარდია, მაგრამ ის ვერაფერს გახდა. ამ დროს არტილერიის უფროსმა შეამჩნია თოფჩები, რომელნიც მის ხელქვეით მსახურობდნენ ტულონის ალყის დროს. ის ავიდა ხარაჩოზე. თოფჩებმა აიძულეს ბრბო რომ პატივისცემით მოპყრობოდა მათ გენერალს და სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. ნაპოლეონმა მოახერხა—კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა ხალხზე და დაემშვიდებინა იგი. სახალხო წარმომადგენლები უვნებლად გამოვიდნენ თოფხანიდან. მაგრამ ქუჩებში უფრო დიდი არეულობა სუფევდა. მაშინ არტილერიის უფროსი გაემართა საპატიმროს კარებთან. ის დაჰპირდა ხალხს რომ მეორე დღეს, გათენებისას, ემიგრანტებს გადასცემდნენ სასამართლოს და იქ გაირჩეოდა მათი საქმე. ღამით მან განკარგულება გასცა—ჩაესვათ ისინი არტ. პარკის სამუხტო ყუთებში და გაეტანათ ქალაქ-გარეთ არტილერიის ტრანსპორტის სახით. იერის რეიდზე მათ ელოდათ ხომალდი, რომელზედაც ისინი ავიდნენ და ამნაირად გადარჩნენ სიკვდილს.

მღელვარება ტულონში თანდათან მატულობდა და, ბოლოს, 30 მაისს იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ. ქალაქში მყოფი სახალხო წარმომადგენლები ზოგი დააპატიმრეს, ზოგი გაიქცა. მარსელში სახალხო წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს და გაილაშქრეს ტულონზე. ტულონელები შეეგებნენ მათ 3.000 კაცით და ორი ზარბაზნით. ომი გაიმართა კუჟის მაღლობებზე. გამარჯვება ტულონელების მხარეზე იხრებოდა, სანამ გენერალი პაქტო არ მოვიდა სასაზღვრო ჯარით. რამდენიმე დღის შემდეგ ტულონი დამორჩილდა. ეს ამბები მოხდა ერთი თვის შემდეგ მას მერმედ, რაც ნაპოლეონმა პროვანსი დასტოვა.

VI

მთავრობის კომიტეტებმა შეადგინეს იმ უფროს ოფიცერთა სია, რომელნიც უნდა დაენიშნათ თანამდებობებზე 1795 წლის ლაშქრობაში. ძალიან ბევრმა

[1] ე. ი. საღრჩობელაზე—ფრანგული გამოთქმაა დიდი რევოლუციის დროინდელი. საღრჩობელაზე ეკიდა ფარანი, რომელიც ქუჩას ანათებდა. მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი

ოფიცერმა, რომელნიც დათხოვილი იყვნენ ჯარიდან 1792 წლის დამლევს და 1793—1794 წლებში, სამსახური მიიღო. აღმოჩნდა ბევრი არტილერიის გენერალი, რომელთა დანიშვნაც არსად არ შეიძლებოდა. ნაპოლეონს მაშინ ოცდახუთი წელიწადი შეუსრულდა. ის ყველაზე უფრო ახალგაზრდა იყო. იგი შეიტანეს ქვეითი ჯარის გენერლების სიაში, არტილერიაში გადაყვანის უფლებით, როცა იქ ადგილი განთავისუფლდებოდა. ის იძულებული იყო დაეტოვებინა იტალიის არმია იმ დროს, როდესაც კელერმანმა ის-ის იყო მიიღო ამ არმიის სარდლობა. ნაპოლეონი ეთათბირა ამ გენერალს მარსელში, აცნობა ყველაფერი რაც მას სურდა, და გაემგზავრა პარიზს. შატილიონ-სიურ-სენში, თავისი ადიუტანტის—კაპიტან მარმონის—მამასთან, მან გაიგო 1-ლი პრერიალის ამბები და გადასწყვიტა—დაეცადა იქ რამდენსამე დღეს, სანამ დედაქალაქში სიწყნარე არ ჩამოვარდებოდა.

პარიზში ჩასვლისას ნაპოლეონი წარუდგა ობრის, საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტის წევრს, და მოახსენა მას თავისი სამხედრო მუშაობა. აუწყა მას რომ ის მეთაურობდა არტილერიას ტულონის ალყის დროს, იყო იტალიის არმიის არტილერიის უფროსად ორი წლის განმავლობაში, მოაწყო ხმელთაშუა ზღვის სანაპირო დაცვა, და უმძიმს იმ დარგის იარაღის ჯარის მიტოვება, რომელშიც სიყმაწვილიდან მსახურობს. ობრიმ მიუგო რომ არტილერიის გენერლები ძალიან გამრავლდაო, რომ ის ყველაზე უმცროსია, და როგორც-კი ადგილი განთავისუფლდება, მას დანიშნავენო. რამდენიმე დღის შემდეგ საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტმა ნაპოლეონს ბრძანება მისცა—გამგზავრებულიყო ვანდეის არმიაში ქვეითი ბრიგადის უფროსად. ამის საპასუხოდ მან სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა.

რვა დღის შემდეგ, მას მერმე, რაც ნაპოლეონმა გადადგომის თხოვნა შეიტანა და საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტიდან პასუხს ელოდა, კელერმანი დაამარცხეს, დაჰკარგა თავისი პოზიცია სან-ჯიაკომოსთან, და მოიწერა რომ, თუ საჩქაროდ არ დამეხმარებიან, იძულებული ვიქნები ნიცაც-კი დავსტოვოო. დიდი განგაში ატყდა. საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტმა გამოიწვია ყველა დეპუტატი, იტალიის არმიაში ნამყოფი, რათა მიეღო მათგან ცნობები—როგორი მდგომარეობა იყო ადგილზე. ყველამ ერთპირად ნაპოლეონი დაასახელა როგორც საუკეთესო მცოდნე იმ პოზიციებისა, რომელიც არმიას ეკავა, და როგორც ყველაზე უფრო უნარიანი რომ მიუთითოს—რა უნდა გაკეთდეს. მან განკარგულება მიიღო—გამოცხადებულიყო კომიტეტში. ის მონაწილეობას იღებდა ბევრ თათბირში სიეიესთან და დულსე-დე-პონტეკულანთან, ლეტურნერთან და ჟან დებრისთან. შეადგინა ინსტრუქციები, რომელიც მოიწონა კომიტეტმა. განსაკუთრებული დეკრეტით ის დაინიშნა არტილერიის ბრიგადის გენერლად საგანგებო მინდობილებათათვის სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობაში, შემდეგ განკარგულებამდე. სწორედ ამ თანამდებობაზე მან გაატარა ორი თუ სამი თვე, 13 ვანდემიერამდე.

VII

1795 წ. 19 მაისს კელერმანმა იტალიის არმიის სარდლობა მიიღო. ეს არმია იმ პოზიციებზე იდგა, სადაც ის ნაპოლეონმა დააყენა გასულ წელს

ოქტომბერში, ქაიროს ბრძოლის შემდეგ. ეს პოზიციები იყო შემდეგი: მარცხენა ფრთა მიჰყვებოდა არჟანტერის უღელტეხილიდან საბიონის უღელტეხილამდე; შუაგულს 8.000 კაცის შედგენილობით, გენერალ მაკარის სარდლობით, ეკავა საბიონის უღელტეხილი, ტენდის უღელტეხილი, მონ-ბერნარი, ტანარელო; მარჯვენა ფრთას ეკავა ტერმინის უღელტეხილი, ორმეას მაღლობები, სან-ბერნარდოს კლდეკარი, ბარდინეტო, სეტეპანი, მელონიო, სან-ჯიაკომო, მადონა, ვადო; მასში 25.000 კაცი იყო, დივიზიის გენერლების—სერიურიეს, ლაჰარპის და მასენას უფროსობით.

ვენის სამეფო კარი ძალიან შეაშინა ქაიროს ომმა და საფრანგეთის არმიის იმ პოზიციებმა, რომლებიც დაიკავა მან 1794 წლის დამლევს. ვადოს პოზიციიდან ეს არმია ემუქრებოდა გენუას, რომლის აღება მას მილანის ოლქში შესვლის შესაძლებლობას აძლევდა. ვენამ 1795 წლის ლაშქრობისათვის თავი მოუყარა 30.000 ავსტრიელისაგან შემდგარ არმიას გენერალ ვენსის სარდლობით; ამ ჯარს უნდა ებრძოლნა პიემონტის ჯართან ერთად. ინგლისის ესკადრა დაცურავდა სავონისა და ვადოს სანაპიროებთან ავსტრიის გენერლის დასახმარებლად; ამ გენერალმა თავისი შტაბი გადაიტანა თანდათანობით აქვში, დეგოში, საიდანაც ის დაიძრა სავონის მაღლობებისაკენ, რომლებიც აიღო 23-ს. აქ ის დაუკავშირდა ინგლისის ესკადრას.

გენერალ ვენსმა თავისი არმია სამ კორპუსად გაჰყო. ამ კორპუსებმა მიატოვეს მთები 23 ივნისს. მარჯვენამ, რომელიც ხუთი რაზმეულისაგან შედგებოდა, იერიში მიიტანა ფრანგების მარცხენა ფრთაზე ტერმინის კლდეკარიდან ორმეას მაღლობებამდე; შუაგული—დაიძრა სამ ძირითად რაზმეულად და იერიში მიიტანა ყველა პოზიციაზე ბარდინეტოდან სან-ჯიაკომომდე; მარცხენამ—იერიში მიიტანა პოზიციების მარჯვენა ფრთაზე ვადოსთან. 25-სა და 26-ს ყველგან გააფთრებული ბრძოლა იყო; საფრანგეთის არმიამ შეინარჩუნა თავისი პოზიციები, მელონის სანგრისა, სპინარდოს კლდეკარისა და სან-ჯიაკომოს ქედის გარდა. მტერი, რომელმაც მელონის სანგარი დაიკავა, ემუქრებოდა ჯარის შუაგულს. ეს პოზიცია დაშორებული იყო ფინალეს—ზღვის ნაპირზე—მხოლოდ 2 ლიეთი. 27-ს კელერმანმა, რომელიც გრძნობდა ამ პოზიციის დაუფლების დიდ მნიშვნელობას, უბრძანა მისი იერიშით აღება, მაგრამ დამარცხდა. 28-ს მან დახევა დაიწყო, დასცალა სან-ჯიაკომო, ვადო, ფინალე და დაიკავა დროებითი პოზიცია. 7 ივლისს მან მიიღო საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტის ბრძანებები მის 24, 25, 26, 27 და 28 ივნისის მოხსენებათა საპასუხოდ და ამაშინვე შეუდგა ბორგეტოს პოზიციაზე განლაგებას.

კელერმანი მამაცი ჯარისკაცი იყო, მეტისმეტად მხნე, ბევრი ძვირფასი თვისების მქონე, მაგრამ მას სრულებით არ ჰქონდა ის უნარი, რომელიც აუცილებელია მთავარსარდლისათვის. ამ ომის დროს ის მხოლოდ შეცთომებს ჩადიოდა. კომიტეტმა მას შენიშვნები გაუგზავნა:

„არმია 1794 წელს გაიჭიმა ტანაროს მაღლობებამდე და თავისი მარჯვენა ფრთა გამოიყვანა ბარდინეტოზე, მელონიოზე, სან-ჯიაკომოზე მხოლოდ იმიტომ რომ დაეკავებინა ვადო; ვადოდან ის მხოლოდ იმისთვის უნდა გამოსულიყო რომ ხელი შეეშალა ავსტრიის არმიისათვის—დაკავშირებოდა ინგლისის ესკადრას, და რომ საჩქაროდ დახმარებოდა გენუას, თუ მტერი წამოვიდოდა ამ

ქალაქისაკენ ზღვით ან ბოკეტის უღელტეხილით. არმიას ვადო ეკავა არა როგორც მოგერიებითი არამედ შეტევითი პოზიცია, რათა მეტი შესაძლებლობა ყოფილიყო მტერზე თავდასხმისა თუ ის რივიერაზე გამოჩნდებოდა. როგორც-კი ავსტრიელები სავონისკენ დაიძრნენ, არმია მაშინვე უნდა შეგებებოდა და დაეწყო ბრძოლა, რათა დაეშალა მათთვის ამ ქალაქის აღება, და ხელში ჩაეგდო გენუისკენ მიმავალი გზები. რამდენადაც მან ეს ვერ მოახერხა: 1) უნდა დაეცალა ვადო, რათა თავისი მარჯვენა ფრთით სან-ჯიაკომოს დაყრდნობოდა; 2) როდესაც-კი, 25 რიცხვის ბრძოლების შედეგად, მტერმა მელონიო და სან-ჯიაკომოს ქედი აიღო, მას უნდა ესარგებლა ის წარმატება, რომელიც გენერალმა ლაჰარპმა მოიპოვა მის მარჯვენა ფრთაზე, დაეცალა ვადო და წაეყვანა ლაჰარპის ჯარი სან-ჯიაკომოს და მელონიოს ასაღებად; ეს იერიში სრული გამარჯვებით დასრულდებოდა; 3) როდესაც 27 რიცხვს კელერმანმა გადასწყვიტა მელონიოზე იერიშის მიტანა, კიდევ დრო იყო—ისე გადაეჯგუფებინა მარჯვენა ფრთა რომ ამ ფრთას იერიშში მონაწილეობა მიეღო. ამ ხერხით კიდევ შეიძლებოდა გამარჯვება".

ამ შენიშვნებმა, ოსტატის ხელით დაწერილმა, ძალიან გააოცა შტაბი, თუმცა ჩქარა მიხვდა—ვისი ნაკარნახევიც იყო ისინი.

დასავლეთ რივიერაზე ნიცის საგრაფოს დასაცავად და რივიერის მისავალი გზის მოსაჭრელად სამი ხაზი არსებობს; ამ ხაზების მარჯვენა ფრთა ზღვას ეკვრის, მარცხენა კი—მბრძანებელ ქედს. პირველი ხაზია ბორგეტოს ხაზი, მეორე—მონტე-გრანდეს ხაზი, მესამე—ტაჯიის ხაზი. ნაპოლეონს დიდი ხნით ადრე დაზვერილი ჰქონდა ეს სამი ხაზი ბრიგადის გენერლის თანაშემწის სენტ-ილერის თანხლებით; ეს იყო მამაცი და ჩინებული ოფიცერი, შემდეგ დიდებით შემოსილი ას ბრძოლაში; ის გარდაიცვალა დივიზიის გენერლის ხარისხში ესლინგის ველებზე. ბორგეტოს ხაზის მარჯვენა ფრთა ეკვროდა ზღვას, სოფ. ბორგეტოსთან, ლოანოდან ერთ ლიეზე, და თავდებოდა ბორცვთან, რომელიც მთელ ლოანოს ხეობას ბრძანებლობდა, მარცხენა-კი—ეკვროდა ცალკე მდგომ უზარმაზარ კლდეს. მასენამ განკარგულება გასცა რომ ამ კლდეზე სანგარი გაეკეთებინათ. ამ სანგარს ჯარმა მ ც ი რ ე გ ი ბ რ ა ლ ტ ა რ ი დაარქვა, მიულგრავის ციხის (ტულონში) მოსაგონებლად. სანგარი შან-დე-პრეტრის პირდაპირ იყო. იქიდან გზა მოდიოდა ფლატეებიან მთებზე იმ მაღლობებამდე, რომელნიც ბრძანებლობდნენ ორმეას, ლოანოს და როკა-ბარბონას. სან-ბერნარდოს და გარესიოს მთები ამ ხაზის გარეთ იყო, და, ბუნებრივია, მტერს ეკუთვნოდა. ეს ხაზი მეტისმეტად ძლიერია. მისი სიგრძე არის 4—6 ლიე, მაგრამ თითქმის ყველგან მიუვალია. მასზე იერიშის მიტანა შეიძლება მხოლოდ ცუკარელოს უღელტეხილიდან, სადაც დგას თანამოსახელე (ცუკარელოს) ციხედარბაზი. ეს იყო საუცხოვო საბრძოლო უბანი. ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში ვენსი რამდენიმეჯერ აპირებდა ამ ხაზზე თავდასხმას, მაგრამ ეს ერთჯერაც ვერ გაბედა. ცუკარელოდან ხაზი იხრება ალბენგისაკენ, პატარა ნაკადულის—აროზიის უკან გავლით: ეს საიმედო პოზიციაა იმ შემთხვევისათვის თუ ხაზის ნაწილი ცუკარელოდან ბორგეტომდე გადმოლახული იქნება.

მონტე-გრანდეს პოზიცია, რომელიც პიცოს და მეცალუნას უღელტეხილებს ეყრდნობა და აკრავს ზღვას სან-ლორენცოს უკან, უფრო მდარე ხაზია

მაგრამ მაინც ძალიან მაგარია. ის ხაზი, რომლის მარჯვენა ფრთა მდ. ტაჯიის შესართავს ეყრდნობა, შუაგული—მონტე-სეპოს და მარცხენა ფრთა—არდენტის უღელტეხილს, უფრო სუსტია ვიდრე ბორგეტოს ხაზი, მაგრამ უფრო მაგარი ვიდრე მონტე-გრანდეს ხაზი. პირველი ხაზი იცავს ონელიას და რივიერის ყველა პოზიციას ონელიიდან ბორგეტომდე. მეორე ხაზი იცავს ონელიას და ორმეას და ყველა გასასვლელს ტანაროს ხეობიდან. მესამე იცავს დასავლეთ ონელიის მთელ ნაწილს ონელიიდან სან-რემომდე. ამ ხაზის თავისებურება ისაა რომ იგი სან-რემოს იცავს, და თუ ვინიცობაა ხაზი გაარღვიეს,—შეიძლება ამ ქალაქის დატოვება და ოსპედალეტოზე (სან-რემოსა და ბორდიგერას შორის) დაყრდნობა, და, ამგვარად, მეორე არანაკლებ საიმედო ხაზის შექმნა. მტერს შეუძლია პირველ ხაზს ტანაროს ხეობიდან შემოუაროს, დაიპყროს მონტე-არიოლო და შემდეგ დაემუქროს მონტე-გრანდეს და ონელიას. მაგრამ ორმეა და მონტე-არიოლო იმდენად ახლოს არიან ხაზთან რომ უკანასკნელის რეზერვებით შეიძლება ამ პოზიციის დაცვაც. ამ ხაზის თავისდავლა შეიძლება ტენდის უღელტეხილიდანაც, მაგრამ ეს გამოიწვევდა საომარი ასპარეზის შეცვლას. მტერს არ შეუძლია ასეთი დიდი მანძილის გადანაცვლება ისე რომ ჩვენ ვერ გავიგოთ, მაშინ-კი შეიძლება მასზე იერიშის მიტანა, როცა ის ჯერ კიდევ გზაში იქნება. მეორე ხაზს და მეტადრე მესამეს ის უპირატესობა აქვს რომ მათი შემოვლა ტანაროს ხეობიდან არ შეიძლება. ისინი ემიჯნებიან ტენდის უღელტეხილს. არდენტესა და ტანარდის უღელტეხილები არათუ ეხმარებიან ტენდის უღელტეხილის დაცვას, არამედ, ტენდის უღელტეხილის დაპყრობის შემთხვევაში, ნიცას მიმავალ გზასაც-კი სჭრიან. მაშასადამე, თუ მხედველობაში მივიღებთ ნიცის საგრაფოს დაცვას, ტაჯიის ხაზი ყველაზე უკეთესად უნდა ჩაითვალოს იმიტომ რომ შეიძლება მთელი ჯარის თავმოყრა ტენდის უღელტეხილის ახლოს და ამ უღელტეხილის დაცვა.

VIII

მთავრობამ გადასწყვიტა რომ იტალიის არმიის სარდლობა კელერმანს ვერ ძალუძს. სექტემბერში ის დანიშნეს ალპის არმიის მთავარსარდლად, იტალიის არმია გენერალ შერერს მიანდვეს, აღმოსავლეთი პირენეის არმიის ყოფილ მთავარსარდალს. შერერმა მოიყვანა იტალიაში ორი კარგი დივიზია დამხმარე ჯარი. ავსტრიის არმიაც აგრეთვე გააძლიერეს. მან ვერ გაამართლა 1795 წლის ლაშქრობაში მასზე დამყარებული იმედები, მაგრამ მაინც დიდ წარმატებას მიაღწია: დაიპყრო სან-ჯიაკომოს და ვადოს პოზიციები, მოსწყვიტა გენუა და კავშირი გაბა ინგლისის ესკადრასთან. დამდეგ ნოემბერს საფრანგეთის არმიას ხუთი დივიზიით ეკავა სულ იგივე ბორგეტოს ხაზი: ერთი დივიზია გენერალ სერიურიეს უფროსობით იდგა ორმეაში, ორი დივიზია გენერლების—მასენას და ლაჰარპის უფროსობით იდგა ცუკარელოსა და კასტელ-ვეკიოში, ორიც—გენერლების ოჟეროსა და სორეს უფროსობით—ბორგეტოს ახლო. მწყობრში იყო 35.000—36.000 კაცი. ავსტრიის არმიის მთავარი ბანაკი ფინალეში იყო. მისი მარჯვენა ფრთა, რომელსაც პიემონტელები შეადგენდნენ, გარესიოში იმყოფებოდა; შუაგული, არჟანტოს უფროსობით,—როკა-ბარბონაში, მარცხენა ფრთა-კი, მთლად ავსტრიელებისაგან შემდგარი,—ლოანოს წინ, სადაც ბევრი სანგარი

იყო აგებული ბარის დასაცავად. არმიაში 45.000 კაცი იყო. საშემოდგომო დაავადებებმა მას, ისე როგორც პიემონტელების არმიასაც, დიდი ზარალი მიაყენა. საფრანგეთის არმია დიდ მზრუნველობას იჩენდა რომ როგორმე თავი გაეტანა. შემოდგომის დადგომამ აიძულა იგი—საზამთრო ბინები დაეკავებინა. შერერმა გადასწყვიტა—ერისკენია ბრძოლა, რომელიც კავშირს აღადგენდა გენუასთან და აიძულებდა მტერს—დაეზამთრებია მთებს-გადაღმა.

საღამოს 21 ნოემბერს მასენამ თავისი დივიზიით და ლაჰარპის დივიზიით შეტევა დაიწყო. განთიადზე მან იერიში მიიტანა მტრის შუაგულზე, რომელიც როკა-ბარბონაზე იყო განლაგებული, დაამარცხა იგი, დაედევნა კვალდაკვალ, გადააგდო ბორმიდაში, აიღო მელონიო და დაასრულა დღე მოწინავე რაზმის სან-ჯიაკომოს მაღლობებზე დაყენებით. 22-ს განთიადზე სერიურიემ სროლა აუტეხა მტრის მარჯვენა ფრთას და შებორკა მთელი პიემონტის არმია. ოჟერო ბორგეტოდან გამოვიდა, იერიში მიიტანა მტრის მარცხენა ფრთაზე და დაიკავა მთელი მისი პოზიცია. მტერმა როცა ნახა, რომ მასენა უკვე სან-ჯიაკომოს ბორცვს იკავებს, სწრაფად დაიხია ფინალეზე და განაგრძო სავონისკენ სწრაფად დახევა. სერიურიეს, რომელმაც ორჯერ უფრო ძლიერი მტერი შეკავა და თვითონ-კი დიდად არ დაზარალებულა, 23-ს ორი ბრიგადა დამხმარე ჯარი მოუვიდა. 24-ს მან იერიში მიიტანა და უკუაგდო პიემონტის არმია ჩევას გამაგრებულ ბანაკში. ავსტრიისა და სარდინიის არმიები ძალიან დაზარალდნენ. მათ დასტოვეს დიდი ნაწილი თავიანთი არტილერია, საწყობები, აღალი და 4.000 ტყვე. ავსტრიის არმიამ მიატოვა მთელი გენუის რივიერა და აპენინის მთების გადაღმა გადავიდა. ორივე არმია საზამთროდ დაბანაკდა. ფრანგებს გენუისკენ გზა გაეხსნათ. მთავარი ბანაკი ნიცას დაბრუნდა. ასე დასრულდა 1795 წელი.



იტალიის ლაშქრობა [1]

1796—1797 წწ.

I თავი [2]

იტალიის სხვადასხვა სახელმწიფოს მდგომარეობა 1796 წ.

 სარდინიის მეფე 1792 წლამდე ფლობდა სავოიას, ნიცის საგრაფოს, პიემონტს და მონფერატოს. სავოია და ნიცის საგრაფო მას 1792, 1793, 1794 და 1795 წლების ლაშქრობაში წაარეცვეს, და საფრანგეთის არმიამ დაიკავა ალპების მბრძანებელი თხემი. პიემონტი და მონფერატო მოთავსებულია მდ. ტიჩინოსა, პარმის სამფლობელოებსა, გენუის რესპუბლიკასა და ალპებს შორის. მისი მოსახლეობა 2 მილიონი იყო. სარდინიის მეფის ქვეშევრდომების რიცხვი 3 მილიონს აღწევდა, 500.000 სარდინიელის, 400.000 სავოიელის და ნიცის საგრაფოს მცხოვრებთა ჩათვლით. მშვიდობიან დროს სარდინიის მეფის ჯარში 25.000 კაცი ითვლებოდა. მისი შემოსავალი 25 მილიონს უდრიდა. 1796 წლის ლაშქრობის დროს მისი ჯარი ინგლისის ფულადი დახმარებით და მთელი ძალების მეტისმეტი დაძაბვით, 60.000 კაცს შეადგენდა. მისი ჯარი გამოიბრძმედა ხანგრძლივ ომში, სიმაგრეები—ბრუნეტო, სუზა, ფენესტრელა, ბარი, ტორტონა, კერასკო, ალესანდრია და ტურინი კარგ მდგომარეობაში იყო, საკმაოდ შეიარაღებული და სურსათით სრულიად მომარაგებული. ამ სიმაგრეების გამო—მთის უღელტეხილებთან—ეს საზღვარი მიუვალად უნდა ჩათვლილიყო.

გენუის რესპუბლიკა, პიემონტის სამხრეთით, შემოსაზღვრულია ზღვით და შედგება დასავლეთ რივიერისაგან, რომლის სანაპირო 30 ლიეა, და აღმო-

---

[1] იტალიის ლაშქრობის პირველი თერთმეტი თავი გადმობეჭდილია დედნიდან, რომელიც შესწორებულია ნაპოლეონ 1-ის ხელით.

[2] პირველ თავში გამოტოვებულია იტალიის გეოგრაფიული აღწერილობა, როგორც ამჟამად არასაინტერესო.

რუს. რედ. შენიშვნა

სავლეთ რივიერისაგან, რომლის სანაპირო 25 ლიეა; შიგ 500.000 მცხოვრებია. მას მშვიდობიანობის დროს მხოლოდ 4.000 კაცი ჰყავდა ჯარში. მაგრამ საჭიროების დროს გენუის ყველა მოქალაქე ჯარისკაცი ხდებოდა; ამის გარდა იწვევდნენ კიდევ 8.000—10.000 კაცს საიმპერატორო მამულებიდან და ფონტანაბუონის ხეობებიდან. პატარა ციხე გავი იცავდა ბოკეტის ულელტეხილს.

ლუკას რესპუბლიკა პატარა ქვეყანაა ტოსკანის ზღვის გაყოლებით; მოსახლეობა 140.000 კაცია, სახელმწიფო შემოსავალი—2 მილიონი. პარმის სამთავროში, პიაჩენცასა და გუასტალაში 500.000 მცხოვრები იყო. ამ ქვეყნებს პოს ახლოს ესაზღვრებოდა მოდენის სამფლობელოები. მათ სამხედრო ძალას 3.000 კაცი შეადგენდა, და შემოსავალიც 4 მილიონი იყო.

ავსტრიის ლომბარდია, რომელსაც სარდინიის მეფის სამფლობელოებიდან ჰყოფდა მდ. ტიჩინო, შვეიცარიიდან—ალპის მთები, პარმის სამთავროდან—მდ. პო, და აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ვენეციის რესპუბლიკის სამფლობელოები, ჰყავდა 1.200.000 სული მოსახლეობა. მისი მთავარი ქალაქი იყო მილანი, რომლის ციხე კარგ მდგომარეობაში იყო. იტალიის ეს ნაწილი ავსტრიას ეკუთვნოდა და შეიარაღებული ძალა არ ჰყავდა, გადასახადსაც-კი ისდიდა რომ ლაშქრის მოკრებისაგან განეთავისუფლებინათ. ავსტრიაში იტალიელთა მხოლოდ ერთი ლეგიონი იდგა—სტრასოლდოს ლეგიონი. პავია, მილანი, კომო, ლოდი, კრემონა და მანტუ ლომბარდიის ცალკე პროვინციებს შეადგენდნენ. პიკიგეტონეს სიმაგრეები ადაზე ცუდ მდგომარეობაში იყო. მანტუ—თუმცა მოუვლელი მაგრამ მაინც კარგი სიმაგრე იყო.

ვენეციის რესპუბლიკას დასავლეთით საზღვრავდა ავსტრიის ლომბარდია, ჩრდილოეთით—კარნის ალპები, რომლებიც ტიროლს კარინთიდან ჰყოფენ, აღმოსავლეთით—კარინთი, კარნიოლი, ისტრია და დალმაცია. მისი მოსახლეობა 3 მილიონი იყო. შეეძლო გამოეყვანა ჯარში 25.000 კაცი. მისი ფლოტი ბატონობდა ადრიატიკის ზღვაში. ჰყავდა სლავონელთა 13 ლეგიონი; ესენი კარგი მეომრები იყვნენ. ბერგამო, ბრეშია, კრემონა, პოლეზინო, ვერონა, ფელტრე, ბელუნო, ვიჩენცა, პადუა, ბასანო, ტრევიზა, ფრიული მისი სამფლობელოები იყო იზონცოს მარჯვენა ნაპირზე ; ისტრია და დალმაცია მის სამფლობელოებს შეადგენდა ადრიატიკის სანაპიროზე.

მოდენის დიდ სამთავროს შეადგენდა რეჯიოს, მოდენის და მირანდოლის სამთავროები. ის ესაზღვრებოდა მდ. პოს, პარმის სამთავროს, ბოლონის სალეგატოს და ტოსკანის აპენინებს. მას განაგებდა ესტეს გვარეულობის უკანასკნელი ნაშიერი. მემკვიდრედ მისი ქალიშვილი იყო, ერცჰერცოგ ფერდინად ავსტრიელის ცოლი. მოდენის ჰერცოგი ნამდვილი ავსტრიელი იყო. ჯარი 6.000 კაცი ჰყავდა. ჰქონდა თოფხანა, საარტილერიო საწყობი და მდიდარი ხაზინა. მოსახლეობა მის სამფლობელოებში 400.000 კაცს აღემატებოდა.

ტოსკანაში, რომელიც შემოსაზღვრულია მხელთაშუა ზღვით, აპენინებით, გენუის და ლუკის რესპუბლიკებით და პაპის სამფლობელოებით,— 1 მილიონი მოსახლეობა იყო. მას ფლობდა ერცჰერცოგი ფერდინანდი, იმპერატორის ძმა. ჯარი მას ჰყავდა 6.000 კაცი. შემოსავალი 15 მილიონ ფრანკს უდრიდა. საგაჭრო ნავსადგურად ლივორნო იყო. ტოსკანის დიდმა მთავარმა იცნო საფრანგეთის რესპუბლიკა 1795 წ.; ის ნეიტრალიტეტს იცავდა და ყველასთან

დაზავებული იყო; იტალიაში მარტოოდენ ტოსკანა და ვენეციის რესპუბლიკა იყვნენ ის სახელმწიფოები, რომელთაც საფრანგეთთან მშვიდობიანობა ჰქონდათ.

პაპის საფლობელოები ესაზღვრებოდა მდ. პოს, ტოსკანას, ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვებს და ნეაპოლის სამეფოს. მოსახლეობა 2.500.000 კაცს უდრიდა, ამათგან სამ სალეგატოში—ბოლონის, ფერარის და რომანის —იყო 900.000 კაცი, მარკიეში და წმ. პეტრეს მამულებში, რომის ჩათვლით,—1.600.000 კაცი. ანკონა, ნავსადგური ადრიატიკის ზღვაზე, ცუდად იყო გამაგრებული. ჩივიტა-ვეკია, ნავსადგური ხმელთაშუა ზღვაზე, კარგად გამაგრებული იყო. პაპს ჰყავდა ჯარი—4.000 ან 5.000 კაცი.

ნეაპოლის სამეფოს, რომელიც პაპის სამფლობელოებს და ზღვას ესაზღვრებოდა, ჰყავდა 6 მილიონი სული მოსახლეობა; ამათგან 4.500.000—კონტინენტზე და 1.500.000—სიცილიაში. ნეაპოლის არმიას 60.000 კაცი შეადგენდა. ცხენოსანი ჯარი ჩინებული იყო. ფლოტს შეადგენდა 3 სახაზო გემი და რამდენიმე ფრეგატი.

კორსიკა საფრანგეთს ეკუთვნოდა გასული საუკუნის შუადან. მისი მოსახლეობა 180.000 კაცს უდრის. იმ დროს კორსიკა ინგლისის ხელში იყო.

მალტის კუნძულის მოსახლეობა 100.000 კაცი იყო. კუნძულს ფლობდა მალტის რაინდების ორდენი.

ამგვარად, იტალიის სახელმწიფოთა ჯარებში 160.000 კაცი იყო. ამ ჯარების გადიდება ადვილად შეიძლებოდა 300.000 კაცამდე. იტალიის არმია უფრო ძლიერი იყო ქვეითი ჯარით ვიდრე ცხენოსანი მხედრობით.

II თავი

მონტენოტეს ბრძოლა

I. ლაშქრობის გეგმა.—II. არმიების მდგომარეობა.—III. ნაპოლეონის ჩამოსვლა ნიცას (27 მარტს 1796 წ).—IV. მონტენოტეს ბრძოლა (12 აპრილს).—V. მილეზიმოს ბრძოლა (14 აპრილს).—VI. დეგოს ბრძოლა (15 აპრილს).—VII. სან-მიქელეს ბრძოლა (19 აპრილს). მონდოვის ბრძოლა (22 აპრილს).—VIII. დროებითი ზავი კერასკოში (28 აპრილს).—IX. საჭირო იყო თუ არა პოზე გადასვლა და საფრანგეთს დაშორება?—X. ადიუტანტ მიურატს, პიემონტზე გავლით, მიაქვს პარიზს არმიის გამარჯვების ამბავი.

I

სარდინიის მეფეს, რომელსაც თავისი სამეფოს გეოგრაფიული მდებარეობისა და სამხედრო მდგომარეობის გამო ალპების მ ე კ ა რ ე შეარქვეს, 1796 წელს ჰქონდა ციხეები პიემონტისკენ გადამყვან ყველა უღელტეხილთან. იტალიაში ალპებიდან შესასვლელად, უნდა აღებულიყო ერთი ან რამდენიმე ამ ციხეთაგანი. გზები ვერ იყო გამოსადეგი საალყო არტილერიის გადასატანად. სამ მეოთხედ წელიწადს მთები თოვლით იყო დაფარული, და ციხეების გარემოცვაზე მხოლოდ ძალიან მცირე დროის დათმობა შეიძლებოდა. ნაპოლეონს აზრად მოუვიდა ალპების შემოვლა და იტალიაში შესვლა ისეთ ადგილიდან, სადაც ეს მაღალი მთები წყდებოდა და აპენინები იწყებოდა. მონბლანი ყვე-

ლაზე უფრო მაღალი წერტილია ალპებისა, საიდანაც ამ მთების გრეხილი მიდის დაბლა-დაბლა ადრიატიკის ზღვის ნაპირებისკენ და აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისკენ სან-ჯიაკომოს მთამდე, სადაც აპენინები იწყება და თანდათან მაღლდება რომისკენ. მაშასადამე, სან-ჯიაკომოს მთა ალპებისა და აპენინების ყველაზე უფრო დაბალი წერტილია იმ ადგილზე სადაც პირველნი თავდებიან და მეორენი იწყებიან. სავონას, საზღვაო ნავსადგურსა და სიმაგრეს, ისეთი მოხერხებული ადგილი ეჭირა რომ შეიძლებოდა გამომდგარიყო არმიისთვის როგორც საწყობი და როგორც დასაყრდნობი წერტი. ამ ქალაქიდან მადონამდე 3 მილია. იქ გზატკეცილი იყო. მადონიდან კარკარემდე 6 მილია. ეს გზა შეიძლებოდა რამდენსამე დღეში გაკეთებულიყო არტილერიის სავალ გზად. კარკარედან გადიოდა საურმე გზები პიემონტსა და მონფერატოს. ეს იყო ერთადერთი ადგილი რომლითაც შეიძლებოდა იტალიაში შესვლა, მთებზე გაუვლელად. ადგილი აქ იმდენად უმნიშვნელოდ არის ამაღლებული რომ, შემდგომ, იმპერიის დროს, პროექტი წარმოიშვა—ადრიატიკის ზღვა ხმელთაშუა ზღვისთვის შეეერთებინათ არხით, რომელსაც შეადგენდა მდინარეები პო, ტანარო, ბორმიდა და რაბების სისტემა ბორმიდიდან სავონამდე. იტალიაში შესვლა სავონის, კადიბონის, ჯარკარის დამდ. ბორმიდის გზით გააცალკევებდა სარდინიის არმიას ავსტრიის არმიიდან, ვინაიდან ეს მარშრუტი ლონბარდიასაც და პიემონტსაც ერთნაირად ემუქრებოდა. შეიძლებოდა წასვლა როგორც მილანისკენ ისე ტურინისკენ. პიემონტელებისათვის ხელსაყრელი იყო ტურინის დაცვა, ავსტრიელებისათვის—მილანისა.

II

მტრის მხედრობას სარდლობდა გენერალი ბოლიე, ჩინებული ოფიცერი, სახელმოხვეჭილი ჩრდილოეთის ლაშქრობებში. მხედრობა კარგად იყო მომარაგებული. მას შეადგენდნენ ავსტრიელები, სარდინიელები და ნეაპოლელები. რიცხვით ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთის არმიას და თანდათან უნდა გადიდებულიყო სამატი ჯარებით ნეაპოლის, პაპის, მოდენის და პარმის ოლქებიდან. არმია მკვეთრად იყო გაყოფილი ორ დიდ ჯგუფად: ავსტრიის არმია, შედგენილი ოთხი ქვეითი დივიზიისაგან (42 ათასეული, 44 ცხ. ასეული და 140 ზარბაზანი) 45.000 კაცით, გენერლების—არჟანტოს, მელასის, ვუკასოვიჩის, ლიპტაის და სებოტენდორფის უფროსობით, და სარდინიის არმია, რომელსაც შეადგენდა სამი ქვეითი და ერთი ცხენოსანი დივიზია, სულ 25.000 კაცი და 60 ზარბაზანი; მას მეთაურობდა ავსტრიის გენერალი კოლი და გენერლები პროვერი და ლატური. სარდინიის დანარჩენი მხედრობა ან მეციხოვნედ იდგა ან ჰერცოგ აოსტის სარდლობით იცავდა საზღვარს საფრანგეთის ალპების არმიისაგან.

საფრანგეთის არმიას შეადგენდა ოთხი მოქმედი ქვეითი და ორი ცხენოსანი დივიზია, გენერლების—მასენას, ოჟეროს, ლაჰარპის, სერიურიეს, სტენჟელის და კილმენის უფროსობით. ამ არმიაში იყო 25.000 ქვეითი, 2.500 ცხენოსანი, 2.500 არტილერისტი, მესანგრე, სამეურნეო-ადმინისტრაციული პერსონალი და სხვ. სულ 30.000 კაცი. მთელ არმიაში ითვლებოდა 106.000 კაცი, მაგრამ 36.000 კაცი გამოაკლდა ტყვეების, გარდაცვლილების და დეზერტირე-

ბის სახით. 20.000 იმყოფებოდა მე-8 სამხედრო ოლქში და ასრულებდა სამსახურს ტულონში, მარსელში, ავინიონში და რონის შესართავიდან ვარის შესართავამდე. მათი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ პროვანსის დასაცავად. 50.000 კაცი ვარის მარცხენა ნაპირზე იდგა. მათგან 5.000 კაცი ჰოსპიტლებში იწვა, 7000 კაცი იმყოფებოდა ქვეითი ჯარის, ცხენოსან და არტილერიის სათადარიგო ნაწილებში. მხოლოდ 38.000 კაცს შეეძლო სალაშქროდ გამოსვლა. 8.000 კაცი (ქვეითი და არტილერიის) ასრულებდა საგარნიზონო სამსახურს ნიცაში, ვილფრანშში, მონაკოში, გენუის და საორჯიოს სანაპიროებზე და იდგა ტალად ალპების მბრძანებელ ქედზე არჟანტერის უღელტეხილიდან ტანარომდე. ცხენოსანი ჯარი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. თუმცა ის დიდხანს ისვენებდა რონაზე, მაგრამ იქაც სურსათის საქმე ვერ იყო კარგად.

ნიცის და ანტიბის თოფხანებში ბევრი იყო არტილერია, მაგრამ გადასაზიდი საშუალება არ იყო. ყველა შესაბმელი ცხენი სიმშილით გაწყდა. ფინანსები იმდენად გამოლეული იყო რომ, თუმცა მთავრობა დიდ ღონისძიებას ხმარობდა, მაინც ძლივს შესძლო მიეცა ჯარისთვის მხოლოდ 2.000 ლუიდორი (ოქროთი) და 1 მილიონის თამასუქები, რომელთა ერთი ნაწილი გაპროტესტებული იყო. ჯარში ყველაფრის ნაკლებობა იყო, და საფრანგეთიდან რისიმე მიღების იმედიც არ იყო. ჯარს მხოლოდ გამარჯვების იმედი უნდა ჰქონოდა. მხოლოდ იტალიის სოფელ-ქალაქებში შეეძლო მას თავისი ტრანსპორტის მოწყობა, არტილერიის შებმა, ჯარისკაცების შემოსვა და ცხენოსანი ჯარის მოწესრიგება. საფრანგეთის არმიაში სოლოდ 30.000 კაცი იყო და 30 ზარბაზანი. მის წინააღმდეგ იდგა 80.0000 კაცი და 200 ზარბაზანი. რიცხვობრივი სისუსტისა და არტილერიის და ცხენოსანი ჯარის ნაკლებობის გამო ვერ შესძლებდა ის გენერალურ ბრძოლაში ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევას. მაშასადამე, რიცხვობრივი ნაკლებობა მას უნდა შეევსო—სისწრაფით, არტილერიის ნაკლებობა—შესაფერი პოზაციების არჩევით. ფრანგი ჯარისკაცების მორალური მდგომარეობა ჩინებული იყო. მათ სახელი გაითქვეს და სამხედრო გამობრძმედა მიიღეს ალპებსა და პირენეებზე. გაჭივრება, სიღარიბე და სიღატაკე კარგ ჯარისკაცს ჰქმნის.

III

ნაპოლეონი ნიცას მივიდა 27 მარტს. ის ჯარი, რომელიც მას გენერალმა შერერმა უჩვენა, იმაზე უარესი აღმოჩნდა, რისი წარმოდგენაც შეიძლებოდა. პურს ცუდად აწოდებდნენ, ხორცს უკვე დიდიხანია არ აძლევდნენ. მიმოზიდვისათვის მხოლოდ 500 ჯორი ჰყავდათ. 30 ზარბაზანზე მეტის წაღების ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა, წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლებოდა. ჯარს არ შეეძლო ამ ადგილზე კიდევ დარჩენა; ან უნდა წინ წასულიყო ან—დაეხია. ნაპოლეონმა ბრძანება გასცა წინ წასვლის, რათა დაემარცხებინა მტერი ანაზდეულობით და თავზარი დაეცა მისთვის გადამწყვეტი წარმატებებით. მთავარი ბანაკი ომის დაწყებიდან ერთჯერაც არ გამოსულა ნიციდან. მან ისიც-კი დასძრა ლაშქრობად და გაგზავნა ალბენგს. სამეურნეო-ადმინისტრაციული ნაწილი თავისთავს მუდამ ისე უყურებდა როგორც უმოძრავო დაწესებულებას და თავის შინაურ სიკეთეზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე ჯარის საჭიროებაზე.

2 სურ. გენერალი ბონაპარტი—იტალიის არმიის მთავარსარდალი 1796 წელს

ჯარების დათვალირების დროს ნაპოლეონმა სთქვა: „ჯარისკაცებო, თქვენ არ გაცვიათ, ცუდათ იკვებებით, მთავრობას ბევრი მართებს თქვენი და ვერაფერს გაძლევსთ. თქვენი მოთმინება და გულადობა, რომელიც ამ კლდეებში გამოიჩინეთ, განსაცვიფრებელია, მაგრამ ეს თქვენ ვერავითარ სახელს ვერ გძენსთ, მისი ბრწყინვალება არ ჩანს თქვენზე. მე მინდა წაგიყვანოთ მსოფლიოს ყველაზე უფრო ნოყიერ ადგილებში. მდიდარი ქვეყნები, დიდი ქალაქები თქვენს უფლებაში იქნება. თქვენ იქ იპოვით პატივს, სახელსა და სიმდიდრეს. იტალიის არმიის ჯარისკაცებო, ნუთუ ვერ გამოიჩენთ საკმაო გულადობას და გამძლეობას?“ ამ სიტყვას ახალგაზრდა, ოცდაექვსი წლის გენერალისას, რომლის სახელი იწვევდა ტულონის, საორჯიოს და ქაიროს ბრძოლების მოგონებას, — მოწონების შეძახილებით შეხვდნენ.

ალპებისათვის რომ შემოგევლო და კადიბონის უღელტეხილიდან იტალიაში შესულიყავ, საჭირო იყო მთელი ჯარის თავმოყრა მის შორეულ მარჯვენა ფრთაზე. ეს — სახიფათო ოპერაციაა. ბოგერიეტიდან შეტევაზე გადასვლა ყველაზე უფრო რთული ოპერაციაა. სერიერიეს, თავისი დივიზიით გარესიოში, მინდობილი ჰქონდა კოლის მეთვალყურეობა ჩევის ახლოს, მასენას და ოჟეროს — ლოანოში, ფინალესა და სავონაში. ლაჰარპი იმნაირად იდგა რომ გენუას ემუქრებოდა: მისმა მოწინავე რაზმმა, ბრიგადის გენერალ ჩერვონის მეთაურობით, ვოლტრი დაიპყრო; საფრანგეთის ელჩმა მოითხოვა გენუის სენატში ჯარის გაშვება ბოკეტის უღელტეხილიდან, და გავის ციხის გასაღები; ამასთან განაცხადა რომ ფრანგებს განზრახული აქვთ ლომბარდიაში შესვლა და თავიანთ ოპერაციების დროს გენუაზე დაყრდნობა. ქალაქში ალიაქოთი ატყდა: სენატი, საბჭოები შეუწყვეტლივ თათბირობდნენ.

IV

შეშფოთებული ბოლიე მაშინვე გაემართა გენუის საშველად. მან თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა ნოვში და არმია სამ ნაწილად გაჰყო: მარჯვენა ფრთას, რომელიც შედგებოდა პიემონტელებისაგან კოლის მეთაურობით, და რომლის მთავარი ბანაკი ჩევაში იდგა, დაევალა სტურის და ტანაროს ბდინარეთა დაცვა; შუაგული, რომელსაც მთავარი ბანაკი სასლოში ჰქონდა, არჟანტოს მეთაურობით დაიძრა მონტენოტესკენ, რათა მოეწყვიტა საფრანგეთის არმია გენუასკენ მისი გადასვლის დროს, მის მარცხენა ფრთაზე დატაკებით, და გადაეჭრა მისთვის სავონაში კორნიშის გზა. პირადად თვითონ ბოლიე მარცხენა ფრთით დაიძრა ბოკეტის გზით ვოლტრისკენ გენუის დასაცავად.

პირველი შეხედვით ეს განკარგულებები მეტად გონიერი ჩანს, მაგრამ თუ ადგილმდებარეობის პირობებს გავიცნობთ, ცხადი იქნება რომ ბოლიემ მიმოფანტა თავისი ძალები, რადგან მის შუაგულსა და მარცხენა ფრთას შორის გზები არ იყო, მაშინ როცა საფრანგეთის არმია ისე იყო განლაგებული რომ მას შეეძლო რამდენსამე საათში თავისმოყრა და მტრის ცალკე ნაწილებზე თავდასხმა.

გენერალმა არჟანტომ, მტრის ჯარის ცენტრის სარდალმა, დაიკავა ქვედა მონტენოტე 10 აპრილს. 11-ს ის გავიდა მონტელეჯინოსკენ რათა მადონის გზით სავონასთან გამოსულიყო. პოლკოვნიკმა რამპონმა, რომელიც დანიშ-



3 ხურ. მილეზიმოს ბრძოლა 14 აპრილს 1796 წელს.

ნული იყო მონტელეჯინოს სამი სანგრის დამცველად, როცა მტრის წამოსვლა გაიგო, შეახვედრა წინ ძლიერი მზვერავი რაზმი. უკანასკნელი დაბრუნდა დღის 12—2 საათს შუა. არჟანტომ სცადა ამ რაზმის შეპყრობა; რამპონმა მოიგერია ზედიზედ მისი სამი იერიში. ვინაიდან არჟანტოს ჯარი დაიქანცა, ის გაჩერდა პოზიციებზე იმ ანგარიშით რომ მეორე დღეს ალყა შემოერტყა სანგრებისთვის და აეღო ისინი. ბოლიე თავისი მხრით გავიდა 10 რიცხვს გენუასთან. იმავე დღეს ის შეებრძოლა გენერალ ჩერვონს ვოლტრის წინ. ჩერვონი მას მთელ დღეს იგერიებდა. 11 რიცხვს მან დაიკავა პოზიცია ფურშის მთაზე, საღამოსა და ღამით მოიხსნა იქიდან და შეუერთდა თავის დივიზიას—ლაჰარპს, რომელმაც 12-ს გათენებამდე დაიკავა პოზიცია მონტელეჯინოზე, რამპონის უკან. ღამით მთავარსარდალი ოჟეროსა და მასენას დივიზიებით გავიდა, ბრიკ-დე-მენაოსა და კასტელაცოზე გავლით, მონტენოტეს იქით. გათენებისას 12-ს, არჟანტოს, ყოველი მხრით გარსშემორტყმულს, დაეტაკნენ რამპონი, ლაჰარპი და მასენა; დამარცხება სრული იყო: მტრის ჯარი დახოცეს, წარტყვევნეს ან გაჰფანტეს. ოთხი დროშა, ხუთი ზარბაზანი და 2.000 ტყვე შეადგენდა ამ დღის ნადავლს.

იმავე დროს ბოლიე ვოლტრში გამოჩნდა. იქ მან ვერავის მიუსწრო. დაუბრკოლებლად გააბა კავშირი ინგლისის ადმირალ ნელსონთან. მხოლოდ 13-ს დღისით გაიგო ამ გენერალმა მონტენოტესთან განადგურებისა და პიემონტში ფრანგების გამოსვლის ამბავი. მას მოუხდა თავისი ჯარის სასწრაფოდ უკან წაყვანა, და კვლავ იმავე ცუდი გზების გავლა, რომელთა გავლასაც მისივე გეგმა აიძულებდა მას. შემოვლა იმდენად შორიდან მოუხდა რომ მხოლოდ ნაწილს მის ჯარს ორი დღის შემდეგ შეეძლო მილეზიმოში მისვლა, და 12 დღე დასჭირდა საწყობების გახიზნვას ვოლტრიდან და ბოკეტიდან. გახიზნვის უზრუნველსაყოფად მას იქ მოუხდა ნაწილი ჯარის დატოვება.

V

12 აპრილს არმიის მთავარი ბანაკი კარკარეს მივიდა. პიემონტელებმა მილეზიმოსკენ დაიხიეს, ავსტრიელებმა-კი—დეგოსკენ. ამ ორ პოზიციას აკავშირებდა პიემონტის ბრიგადა, რომელსაც ბიესტროს მაღლობები ეკავა. მილეზიმოში პიემონტელები იდგნენ გზის ორთავე მხარეს; ეს გზა პიემონტს ჰკვეთდა. მათ შეუერთდა კოლი იმ ჯარით, რომლის გამოყოფა შეეძლო მას მარჯვენა ფრთიდან. დეგოში ავსტრიელები იმ პოზიციებზე იდგნენ, რომელიც იცავდა აქვის გზას—პირდაპირ მიმავალს მილანის ოლქში. მათ შეუერთდა ბოლიე იმ ჯარით, რომელიც მან ვოლტრიდან გამოიყვანა. ამნაირად, ორი გასავალი პიემონტისკენ და მილანის ოლქისკენ დაცული იყო. მტერს იმედი ჰქონდა რომ მას ეყოფა დრო ამ გასავლებზე გამაგრებისათვის. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის უპირატესობა, რომელიც ფრანგებმა მიიღეს მონტენოტეს ბრძოლის შედეგად, მტერს მაინც მეტი რესურსები გააჩნდა თავისი დანაკარგების შესავსებად. მაგრამ მილეზიმოს ბრძოლამ 14 აპრილს გახსნა ორივე გზა—ტურინისკენაც და მილანისკენაც.

ოჟერო, რომელიც არბიის მარცხენა ფრთას შეადგენდა, დაიძრა მილეზიმოსკენ, მასენა—შუაგულით—გაემართა ბიესტროსა და დეგოსკენ, ლაჰარპმა კი

კი არმიის მარჯვენა ფრთით შეუტია ქაიროს მაღლობებს. ამგვარად, საფრანგეთის არმიას ეკავა 4 ლიე სივრცე მარჯვენა ფრთიდან მარცხნისაკენ. მტერმა დაიკავა კოსერიის ბორცვი, რომელიც ბორმიდის ორსავე ტოტს ბრძანებლობდა, და დაეყრდნო მას თავისი მარჯვენა ფრთით. 13-ს გენერალი ოჟერო, ვისი ჯარიც მონაწილეობას არ იღებდა მონტენოტეს ბრძოლაში, ისეთი სისწრაფით ეკვეთა მტრის მარჯვენა ფრთას რომ გამოაგდო იგი მილეზიმოს ხეობიდან და შემოერტყა კოსერიის ბორცვს. ავსტრიის გენერალი პროვერა მოემწყვდა თავისი 2.000-კაციან არიერგარდით. ამ უიმედო მდგომარეობაში ის მამაცურად იბრძოდა. შეიმალა ძველ დანგრეულ ციხე-დარბაზში და იქ ჩასაფრდა. ამ მაღლობიდან ის ხედავდა სარდინიის არმიის მარჯვენა ფრთას. ეს არმია ემზადებოდა ბრძოლისათვის, რომელიც მეორე დღეს უნდა გადაეხადა. პროვერას იმედი ჰქონდა რომ სარდინიის ჯარები მას გამოიხსნიდა. მთავარსარდალს ესმოდა აუცილებლობა კოსერიის ციხედარბაზის აღებისა იმავე დღეს, 13-ს. მაგრამ ციხედარბაზი მეტად გამაგრებული აღმოჩნდა, და მისი აღება ვერ მოხერხდა. მეორე დღეს დაიწყო ბრძოლა. მედგარი ბრძოლის შემდეგ მასენამ და ლაჰარპმა აიღეს დეგო, მენარმა და ჟუბერმა—ბიესტროს მაღლობები. კოლის ყველა იერიში კოსერიის გამოსახსნელად ამაო გამოდგა; ის დაამარცხეს და კვალდაკვალ დაედევნენ. მაშინ პროვერამ იარაღი დაჰყარა. მტერმა, რომელსაც დაედევნა სპინიოს ხეობაში, აქვისკენ მიმავალ გზაზე, 400 მხედარი მე-22 ცხენოსან-ეგერთა, მე-7 ჰუსართა და მე-15 დრაგუნთა ლეგიონებისა, დასტოვა 30 ქვემეხი, 60 საყუმბარო ყუთი, 15 დროშა და 6.000 ტყვე, რომელთა შორის იყვნენ ორი გენერალი და 24 პოლკოვნიკი. ყველაზე უფრო გადამწყვეტ მომენტში მთავარსარდალი იმყოფებოდა ყველგან.

ამ დროიდან ორივე არმია, ავსტრიისა და სარდინიის, გაიყო. ბოლიემ თავისი მთავარი ბანაკი აქვში გადაიტანა, მილანის ოლქისკენ მიმავალ გზაზე, კოლიმ-კი გასწია ჩევასკენ ტურინის დასაცავად.

VI

15 აპრილს, დილას 3 საათზე, დეგოში მოვიდა ავსტრიის გრენადერთა დივიზია ვუკასოვიჩისა, გამოგზავნილი ვოლტრიდან სასელოს გზით. პოზიციებზე მხოლოდ ფრანგის რამდენიმე ათასეული იდგა. გრენადერებმა ადვილად აიღეს სოფელი; ფრანგების მთავარ ბანაკში განგაში ატყდა. ძნელი გასაგები იყო—რანაირად გაჩნდა მტერი დეგოში თუ-კი მოწინავე საგუშაგოებმა, რომელნიც აქვის გზაზე იდგნენ, ვერაფერი შეამჩნიეს. ნაპოლეონი წავიდა იქით. ორი საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ დეგო დაიბრუნეს, და მტრის დივიზია თითქმის მთლიანად დაატყვევეს ან დახოცეს. გამარჯვება გადასწყვიტა შტაბის პოლკოვნიკმა ლანიუსმა, შემდგომ დივიზიის გენერალმა, გმირულად დაღუპულმა 1801 წელს ბრძოლის ველზე, ალექსანდრიასთან, ეგვიპტეში. მსუბუქი ჯარის ორი ათასეულით ის ავიდა დეგოს ბორცვის მარცხენა ფერდობზე. უნგრეთის გრენადერთა ათასეულები ეკვეთნენ მათ, რათა ფერდობზე არ აეშვათ. ფრანგების ორთავე რაზმეულმა სამჯერ სცადა ფერდობზე ასვლა, მაგრამ უკუაგდეს. მესამეჯერ ლანიუსმა თავისი ხმლის წვერით ასწია ქუდი მაღლა, მამაცურად გასწია წინ და გაიტაცა ყველანი; ამით გადასწყვიტა

გამარჯვება. ამ ვაჟკაცობისათვის, რომელიც მთავარსარდლის თვალწინ მოხდა, ლანიუსი დააჯილდოვეს ბრიგადის გენერლის ხარისხით. გენერლები კოსი და ბანელი მოჰკლეს. ისინი მოვიდნენ აღმოსავლეთ პირენეებიდან. იმ ოფიცრებმა, რომელნიც პირენეის არმიაში მსახურობდნენ, იშვიათი გულადობა გამოიჩინეს.

დეგოში ნაპოლეონმა პირველად შეამჩნია ათასეულის ერთი მეთაური, რომელიც ლეგიონის მეთაურად დანიშნა, ეს იყო ლანი, შემდგომ—იმპერიის მარშალი, მონტებელოს ჰერცოგი; მან უაღრესი ნიჭი გამოიჩინა და ყველა ისტორიულ ამბავში დიდი მონაწილეობა მიიღო.

დეგოს ბრძოლის შემდეგ სამხედრო ოპერაციები მიმართული იყო უმთავრესად პიემონტელების წინააღმდეგ. ავსტრიელების მიმართ კმარობდნენ მოგერიებითი ბრძოლებს. ლაჰარპი სან-ბენედეტოს უთვალთვალებდა მდ. ბელბოზე. ბოლიე მხოლოდ თავს უყრიდა თავისი არმიის ნაშთებს და მათ რაზმავდა. ლაჰარპის დივიზია, რომელიც იძულებული იყო რამდენსამე დღეს შეჩერებულიყო ამ პოზიციაზე, იტანჯებოდა სურსათის ნაკლებობის გამო. მას მოსაზიდი საშუალება ცოტა ჰქონდა და ის ადგილიც, სადაც ჯარი იდგა, გამოფიტული იყო. დივიზიაში არეულობამ იჩინა თავი ძარცვაგლეჯის გამო.

როცა სერიურიემ გარესიოში გაიგო მონტენოტისა და მილეზიმოს ბრძოლების ამბავი, აიღო სან-ჯიოვანი-დი-მიურიალდოს მაღლობი და შევიდა ჩევას იმავე დღეს როდესაც ოჟერო მონტე-ცემოლოს მაღლობებზე მოვიდა. 17-ს კოლიმ, ამაო წინააღმდეგობის შემდეგ, დასცალა ჩევის გამაგრებული ბანაკი, გადავიდა მდ. ტანაროზე, გაშორდა მდ. კურსალიას და თავისი მარჯვენა ფრთით დაიკავა მადონა-ვიკო. იმავე დღეს მთავარ-სარდალმა თავისი მთავარი ბანაკი ჩევას გადმოიტანა. მტერმა მიატოვა აქ საველე არტილერია, რომლის წაღების დრო მას არ ჰქონდა, და დასჯერდა მხოლოდ მას რომ მეციხოვნეები დასტოვა ციხეში.

მონტე-ცემოლოს მაღლობებზე ასული ჯარი აღტაცებით გასცქეროდა დიდებულ სანახაობას: მის თვალწინ გადაშლილიყო პიემონტის ვოცელი და წაყოფიერი მინდორ-ველები; პო, ტანარო და სხვა მდინარენი მიიკლაკნებოდნენ შორს. თითქოს ჯადოსნობით გაქრა ის საშინელი დაბრკოლებები, რომლებიც სულ სხვა მსოფლიოს მიჯნად გვეჩვენებოდა და რომლებშიც ასე ბრისხანედ გამოიხატა ბუნების ჟინი. „ჰანიბალმა ალპები გადალახაო,—სთქვა ნაპოლეონმა, როცა ამ მთებს გადახედა,—ჩვენ კი მათ შემოვუარეთო“. კარგი ნათქვამია, რითაც ორ სიტყვაშია გამოხატული ლაშქრობის აზრი და არსი.

არმია გადავიდა ტანაროზე. ახლა, როდესაც ის პირველად აღმოჩნდა ბარში, იგრძნო ცხენოსანი ჯარის საჭიროება; ცხენოსან ჯარის სარდალი გენერალი სტენჟელი გადავიდა კურსალიაზე, ლეზენიოსთან, და დაზვერა ადგილები. მთავარი ბანაკი შევიდა ლეზენიოს ციხედარბაზში, ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, იქ ახლოს, სადაც ლეზენიო მდ. ტანაროს შეერთვის.

VII

19 აპრილს გენერალი სერიურიე გავიდა სან-მიქელეს ხიდზე, რათა კოლის მარჯვენა ფრთისთვის შეეტია. იმავე დროს მასენა გავიდა მდ. ტანაროზე,



4 სურ. მუნდოვის ბრძოლა 22 აპრილს 1796 წელს.

რათა იმავე ჯარის მარცხენა ფრთისთვის თავი დაეცვლო, კოლიმ იცოდა თავისი პოზიციის უვარგისობა, დასტოვა იგი ღამის განმავლობაში და გასწია მარჯვენა ფრთაზე რომ მონდოვთან დაბანაკებულიყო. შემთხვევით, სან-მიქელეს წინ ის თავისი ჯარით იმ დროს აღმოჩნდა ფონთან, როცა სერიურიე ხიდზე გადიოდა, კოლი გაჩერდა, გაშალა რიცხვობრივად მეტი ჯარი და აიძულა სერიურიე—დაეხია. მაგრამ სერიურიეს შეეძლო სან-მიქელეში გამაგრება, მის ერთ-ერთ ქვეითი ლეგიონს რომ ძარცვა-გლეჯა არ დაეწყო. 22-ს სერიურიე გადავიდა ხიდზე ტორეში, მასენა—სან-მიქელეში და მთავარსარდალი—ლეზენიოში. სამივე ეს რაზმეული გაემართა მონდოვისკენ. კოლიმ აქ უკვე რამდენიმე სანგარი ააგო და დაიკავა პოზიციები მარჯვენა ფრთით მადონა-ვიკოში და მარცხენა ფრთით ბიკოკში. სერიურიმ აიღო ბიკოკი და გადასწყვიტა მონდოვის ბრძოლის ბედი. ეს ქალაქი ყველა საწყობითურთ გამარჯვებულს ჩაუვარდა ხელში.

გენერალი სტენჟელი ცხენოსანთა რაზმით, რომელშიც ათას კაცზე მეტი იყო, მტრის დევნისას გავიდა ვაკეზე, სადაც მასზედ იერიშით წამოვიდა პიემონტის კარგად მოვლილი, მამაცი ცხენოსანი ჯარი. მან ყველა საჭირო განკარგულება გასცა. დახევის დროს, ხელჩართულ ბრძოლაში, ის სასიკვდილოდ დაიჭრა ხმლით და მოკვდა. პოლკოვნიკმა მიურატმა სამი ცხენოსანი ლეგიონით უკუაგდო პიემონტელები და თავისი მხრით სდია მათ რამდენიმე საათის განმავლობაში. გენერალი სტენჟელი, ალზასელი, ჩინებული ჰუსართა ოფიცერი იყო. ის დიუმურიესთან მსახურობდა. იყო მარჯვე, ჭკვიანი, მარდი: მასში ახალგაზრდობის ყველა თვისება შეხამებული იყო მოწიფულობის თვისებებთან. ის ნამდვილი მებრძოლი გენერალი იყო. სიკვდილის წინ ორი თუ სამი დღით ადრე, როდესაც ის პირველი შევიდა ლეზენიოში, იქ რამდენიმე საათის შემდეგ მთავარსარდალი მივიდა, და რასაც კი ეს უკანასკნელი მოითხოვდა—ყველაფერი მზად იყო: იწროები, ფონი—დაზვერილი, მეგზური—მონახული, ღვდელი და ფოსტმაისტერი—დაკითხული, მცხოვრებლებთან ურთიერთობა—მოგვარებული, ჯაშუშები—გაგზავნილი სხვადასხვა მიმართულებით, ფოსტაში წერილები—დაჭერილი, და ისეთები, რომლებშიც შეიძლებოდა სამხედრო ხასიათის ცნობები ყოფილიყო,—გადათარგმნილი და გასინჯული, ღონისძიებანი საწყობების მოსამზადებლად—ნახმარი. საუბედუროდ, სტენჟელი ბეცი იყო, რაც არსებითი ნაკლია მის ხელობის კაცისათვის, და ეს გარემოება მისთვის საბედისწერო შეიქმნა.

ამ ბრძოლაში პიემონტელებმა დაჰკარგეს 3.000 კაცი, რვა ზარბაზანი, ათი დროშა, 1.500 ტყვე, მათ შორის—სამი გენერალი. მონდოვის ბრძოლის შემდეგ მთავარსარდალი კერასკოსკენ დაიძრა. სერიურიე გაემართა ფოსანოსკენ, და ოჟერო—ალბისკენ. ბოლიე ნახევარი თავისი ჯარით აქვიდან დაიძრა ნიცა-დელა-პალისკენ რომ დივერსია მოეწყო პიემონტელების სასარგებლოდ, მაგრამ ერთობ გვიან იყო. როცა გაიგო კერასკოში დადებული დროებითი ზავის ამბავი, მან პოსკენ დაიხია.

VIII

ეს სამი რაზმეული ერთდროულად შევიდა კერასკოში, ფოსანოსა და ალბაში. კოლის მთავარი ბანაკი ფოსანოში იდგა. კერასკო, სტურის და ტანაროს შესართავთან, მაგარი ციხე იყო მაგრამ ცუდად შეიარაღებული, და სურსათი სრულებით არა ჰქონდა. მის დაუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარისთვის. მაშინვე დაიწყეს ციხის მოწესრიგება საომრად. ფრანგების მოწინავე რაზმი გადავიდა სტურზე და წაიწია წინ პატარა ქალაქ ბრაზე. ამასობაში, სერიურიეს მოსვლით შესაძლებლობა მოგვეცა დავკავშირებოდით ნიცას პონტე-დი-ნავიდან, საიდანაც იწყო მოსვლა არტილერიის დამხმარე ძალებმა და მასალებმა. ამ ბრძოლებში ჯარმა ბევრი ზარბაზანი და ცხენი ჩაიგდო ხელში. მტერს ბევრი წაართვეს მონდოვის ველზეც. კერასკოში შესვლის რამდენიმე დღის შემდეგ ჯარს უკვე 60 ქვემეხი ჰქონდა ყუმბარების მარაგით.

ჯარისკაცები, რომელთაც ათი დღის განმავლობაში სურსათი არ მიეღოთ, ახლა თავის დროზე, წესიერად იღებდნენ. შეწყდა ძარცვა და უწესობა, სწრაფი გადანაცვლების ჩვეულებრივი შედეგი. დისციპლინა თანდათან გვარდებოდა. ჯარმა სწრაფად შეიცვალა თავისი სახე იმ დოვლათის შედეგად, რასაც ეს მშვენიერი მხარე იძლეოდა. ამასთან, ზარალი არ იყო ისე დიდი, როგორიც შეიძლებოდა გვეფიქრა. მოძრაობის სისწრაფე, ჯარების გულმხურვალება და, მეტადრე, ოსტატობა რომ მტერს პირისპირ დაუყენო თანაბარი ძალა მაინც, ხშირად-კი—მეტიც, იმ მუდმივ წარმატებებთან ერთად, რომელთაც ჯარი აღწევდა, ყველა ამან ბევრი ხალხი გადაარჩინა. ამასთან, დანაკარგი მუდამ შეივსებოდა ხოლმე, რადგან ჯარისკაცები, როგორც-კი გამარჯვების ხმა გავარდა, ყველა უღელტეხილიდან მოდიოდნენ, ყველა საკრებ ადგილიდან. ამ დრომდე საფრანგეთის ჯარის სიღარიბე აუწერელი იყო: ოფიცრები მრავალი წლის განმავლობაში ღებულობდნენ მხოლოდ რვა-რვა ფრანკს თვეში, შტაბს-კი სრულებით არ ჰყავდა ცხენები. მარშალ ბერთიეს ქაღალდებში შენახულა ალბენგში გაცემული ბრძანება—დივიზიის გენერლებისათვის ჯილდოდ რვა-რვა ლუიდორის მიცემაზე.

კერასკო დაშორებულია ტურინს 10 ლიეთი, ალესანდრიას—15-ით, ტორტონას—18-ით, გუნუას—25-ით და სავონას—20-ით. სარდინიის მეფემ არ იცოდა—რა ექმნა: მისი ჯარი სულით დაეცა და ნაწილობრივად განადგურდა. ავსტრიის არმია ფიქრობდა მხოლოდ—როგორ დაეცვა მილანი. მთელი პიემონტი ძლიერ აღელვებული იყო. სამეფო კარს არავითარი ნდობა არ ჰქონდა. მან ქედი მოიხარა ნაპოლეონის წინაშე და ზავი ითხოვა. ბევრი ამჯობინებდა რომ არმია ტურინისკენ დაძრულიყო, მაგრამ ტურინი მაგარი ციხე იყო და მის ასაღებად მძიმე ქვემეხები იყო საჭირო. მეფეს კიდევ ბევრი ციხე რჩებოდა, და, თუმცა ფრანგებმა ის-ის იყო ზედიზედ გაიმარჯვეს, მცირეოდენი მათი დამარცხებაც-კი ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა. მტრის შეერთებული ორი არმია უფრო მეტი იქნებოდა ვიდრე ფრანგის არმია. მათ ექნებოდათ კარგი არტილერია და ეყოლებოდათ უფრო კარგი ცხენოსანი ჯარი, რომელსაც ჯერ დანაკლისი არ ჰქონდა.

საფრანგეთის არმია, თუმცა ბევრჯერ გამარჯვებული, შემკრთალი იყო. წარმატება უცნაურად ეჩვენებოდა. ოფიცრებს, გენერლებსაც-კი, არ ესმოდათ—როგორ შეიძლებოდა იტალიის დაპყრობის ფიქრი ასეთი მცირე არტილერიით,

რომლის პირადი შედგენილობა, თან კიდევ,—დაავადებათა და საფრანგეთზე დაშორებისდა შედეგად,—დღითიდღე კლებულობდა. ჯარში ასეთი სულიერი განწყობილების კვალი გამოიხატა იმ ბრძანებაში, რომლითაც მთავარსარდალმა მას მიჰმართა კერასკოში:

„ჯარისკაცებო, 15 დღის განმავლობაში თქვენ ექვსჯერ გაიმარჯვეთ, ხელთ იგდეთ 21 დროშა, 55 ზარბაზანი, მრავალი ციხე, და დაიპყარით პიემონტის ყველაზე უფრო მდიდარი ნაწილი, ტყვედ წამოიყვანეთ 15.000 კაცი, თქვენ მიერ მოკლული და დაჭრილია 10.000 კაცი.

ამ დრომდე თქვენ იბრძოდით უნაყოფო კლდეებისათვის, თქვენის დიდებით შემოსილ, მაგრამ სამშობლოსათვის უსარგებლო კლდეებისათვის. ახლა თქვენ თქვენი დამსახურებით გაუტოლდით იმ არმიას, რომელმაც ჰოლანდი და რაინი დაიპყრო.

ყველაფერს მოკლებულებმა, თქვენ ყველაფერი მიიღეთ. თქვენ იმარჯვებდით უზარბაზნოდ, გადადიოდით მდინარეებზე უხიდოდ, გადიოდით დიდ მანძილებს უფეხსაცმლოდ, ისვენებდით უღვინოდ და, ხშირად, უპუროდ. მხოლოდ რესპუბლიკურ ფალანგებს, მხოლოდ თავისუფლების ჯარისკაცებს შეუძლიათ გადატანა იმისი, რაც გადაიტანეთ თქვენ. სამშობლო გადაგიხდისთ მადლობას, ჯარისკაცებო! მადლიერი სამშობლო დავალებულია თქვენგან თავისი აყვავებით, და თუ თქვენ, ტულონის ბრძოლაში გამარჯვებულთ, წინასწარ გვაუწყეთ 1794 წლის უკვდავი ლაშქრობა, ახლანდელი თქვენი გამარჯვებანი მოასწავებენ კიდევ უფრო სახელოვან ლაშქრობას.

ორივე არმია, რომელსაც თქვენ ამას წინათ შეებრძოლეთ, გაიქცა დამარცხებული, ის ხალხი, რომელიც თქვენს სიღატაკეს დასცინოდა, რომელსაც თქვენი მტრების წარმატებები უხაროდა, შეშფოთდა და ძრწის.

ჯარისკაცებო, თქვენ კიდევ ბევრი საქმე დაგრჩათ გასაკეთებელი. არც ტურინი და არც მილანი აღებული არაა. ამბობენ რომ თქვენს შორის არიან ისეთები, რომელთაც ვაჟკაცობა შეუსუსტდათ და ამჯობინებენ აპენინებისა და ალპების მწვერვალებზე დაბრუნებასაო. მე არ შემიძლია—ეს დავიჯერო. მონტენოტეს, მილეზიმოს, დეგოს და მონდოვის ბრძოლებში გამარჯვებულთ სურვილი სწვავთ რომ უფრო შორს მოჰფინონ ფრანგი ერის დიდება“.

საზავო მოლაპარაკება ხდებოდა მთავარ ბანაკში, სალმატორისის—იმ დროს სარდინიის მეფის კარისკაცის, შემდეგ-კი იმპერატორ ნაპოლეონის სასახლის პრეფექტის—სახლში.

პიემონტის გენერალი ლა-ტური და პოლკოვნიკი კოსტა[1] მონაწილეობდნენ როგორც მეფის წარმომადგენლები. გრაფი ლა-ტური ძველი მეომარი იყო, სარდინიის სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი, ყოველი ახალი აზრის მტერი, მცირედ განათლებული და ვიწრო გონების პატრონი. პოლკოვნიკი კოსტა, სავოიელი, ძალლონით სავსე იყო. ის თავისუფლად მსჯელობდა, იყო ჭკვიანი და კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. ფრანგების მიერ წამოყენებული პირობები შემდეგი იყო: მეფე უნდა გამოეთიშოს კოალიციას და გაგზავნოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი პარიზს საბოლოო ზავის შესაკრავად. ჩევა, კონი, ტორტონა ან, მის მაგიერ, ალესანდრია უნდა გადაეცეს საფრან-

[1] პიემონტის არმიის შტაბის უფროსი.

ფრანგ. რედ. შენიშვნა.

გეთის არმიას მთელი არტილერიითა და საწყობებითურთ. საფრანგეთის არმია იკავებს მთელ იმ ადგილს, რომელიც მას უპყრია. სამხედრო გზები გახსნილი იქნება ყოველი მიმართულებით თავისუფალ მიმოსვლისათვის არმიიდან საფრანგეთს და უკან. ვალენცა დაუყოვნებლივ გადაეცემა ფრანგებს და დარჩება მათ ხელში სანამ მდ. პოზე გადასვლა არ დასრულდება. ადგილობრივი მილიცია განიარაღდება, სამწყობრო მხედრობა-კი გარნიზონებში ბრუნდება.

ახლა შეიძლებოდა ავსტრიელების დევნა შუაგულ ლომბარდიამდე, და ალპის არმიის გადაყვანა იტალიაში. პარიზთან კავშირი სანახევროდ მოკლდებოდა. არმიამ მიიღო არტილერიის დიდი მარაგი საალყო პარკის მოსაწყობად და თვითონ ტურინის გარშემოსადგომად თუ დირექტორია ზავს არ მოიწონებდა.

IX

დროებითი ზავის ჩამოგდებისა და კონის, ტორტონის და ჩევას ციხეების დაკავების შემდეგ წამოიჭრა საკითხი: საჭიროა თუ არა წინ წასვლა, და სადამდე. დროებითი ზავი, რომლითაც საფრანგეთს ბარდებოდა ყველა ციხე და პიემონტის არმია ეთიშებოდა ავსტრიისას, სასარგებლოდ მიაჩნდათ. მაგრამ განა უფრო ხელსაყრელი არ იქნება რომ, ვიდრე არმია წინ წავიდოდეს, რევოლუცია მოახდინონ პიემონტსა და გენუაში?

საფრანგეთის მთავრობას შეეძლო ულტიმატუმის წარდგენა, მაგრამ არმიის ასე დიდი მანძილით დაშორება საფრანგეთზე და მდ. ტიჩინოზე გადასვლა, ზურგის საეჭვო მდგომარეობის დროს, საშიში იყო. სარდინიის სამეფოკარის განზრახვა ცხადი იყო. იქ ბატონობდნენ აზნაურები და სამღვდელოება —რესპუბლიკის დაუძინებელი მტრები. თუ ფრანგები წინ წავიდოდნენ და დამარცხდებოდნენ, მაშინ ისინი აუცილებლად შურს იძიებდნენ. გენუა დიდ ეჭვებს იწვევდა. იქ ოლიგარქია ბატონობდა, და საფრანგეთის მომხრეებს, თუმცა რიცხვმრავალთ, პოლიტიკაზე გავლენა არ ჰქონდათ. გენუელი ბურჟუები მჭერმეტყველი იყვნენ მაგრამ მჭერმეტყველობის იქით აღარ მიდიოდნენ. ქვეყანას ოლიგარქები მართავდნენ, ჯარს ისინი სარდლობდნენ და მათ განკარგულებაში იყო 10.000 გლეხი ფონტანა-ბუონას ხეობაში და სხვებიც, რომელთაც ისინი გაიწვევდნენ საჭიროების დროს თავიანთი თავის დასაცავად. სად უნდა გაჩერებულიყო არმია ტიჩინოზე გადასვლის შემდეგ? საჭირო იყო თუ არა გადასვლა მდ. ადაზე, ოლიოზე, მინჩიოზე, ადიჯეზე, ბრენტაზე, პავიაზე, ტალიამენტოზე, იზონცოზე? შეიძლებოდა თუ არა თავის ზურგში ასეთი მრავალრიცხოვანი და მტრულად განწყობილი მოსახლეობის დატოვება? განა უკეთესი არ იქნებოდა თანდათანობითი წინსვლა, დასაყრდენი პუნქტების მოწყობით, მთავრობათა შეცვლით და მართვაგამგეობის იმ ადამიანებისთვის ჩაბარებით, რომელნიც ისეთივე რწმენისანი იყვნენ როგორისაც ფრანგები? თუ ფრანგები ვენეციის სამფლობელოებამდე მივლენ, იძულებული იქნება თუ არა ეს რესპუბლიკა, რომელსაც 50-ათასიანი არმია ჰყავს, მტრის მხარეზე გადავიდეს?

ამაზე უპასუხებდნენ: საფრანგეთის არმიამ უნდა მოიხმაროს თავისი გამარჯვება. ის მხოლოდ იქ უნდა გაჩერდეს, სადაც საუკეთესო დამცველი ხაზია ავსტრიის არმიის წინააღმდეგ; ავსტრიის არმია უთუოდ ტიროლიდან და ფრიუ-

ლიდან გამოვა. ეს ხაზია ადიჯე: ის იცავს მდ. პოს ჭალებს, ჰკვეთს მთელ შუა და ქვედა იტალიას, აცალკევებს მანტუს ციხეს, და, როგორც ეტყობა, ამ ციხის აღება შესაძლებელია უფრო ადრე, ვიდრე მტრის ჯარი მის დახმარებას მოახერხებდეს.

იმ გარემოებამ, რომ მარშალ ვილარს არ ესმოდა ეს ძირითადი პრინციპი, შერყვნა 1793 წლის ომის მთელი მიზანი. ოქტომბერში ის მეთაურობდა 50.000 კაცს, თავმოყრილს ვიჯევანოს ბანაკში. ვინაიდან წინ მტრის ჯარი არ ედგა,—შეეძლო წასვლა, საითაც უნდოდა. ის დასჯერდა იმას რომ დაბანაკდა ოლიოზე, მდ. პოს ორსავე ნაპირას. სამი თვის შემდეგ სერალიოს მოვიდა მერსი. მარშალ კუანიმ ეს ვერ გამოიყენა. ის მდ. პოს ხან ერთ ნაპირზე გადაადგუფებდა ჯარს და ხან მეორეზე.

ამ გენერლებს რომ იტალიის ტოპოგრაფია შეესწავლათ,—ნოემბრიდან მოკიდებული ვილარი დაიკავებდა პოზიციას ადიჯეზე და, ამნაირად, გადაჰკვეთდა მთელ იტალიას, კუანი-კი გამოიყენებდა თავის გამარჯვებებს, რათა წასულიყო იქით ძალიან სწრაფად.

ადიჯეზე არის შესაძლებლობა რომ ჯარის ყველა დანაკარგი შეავსო ვინაიდან მოსახლეობას იქ შეუძლია მისი ადვილად შენახვა.

უკეთესი საშუალება, რომ ხელი შეუშალო ვენეციის გალაშქრებას საფრანგეთის წინააღმდეგ, ესაა—დაემუქრო ვენეციას ომს. ის ომისთვის მზად არ არის, და მას დრო არ ექნება—ჯარი შეადგინოს. თუ ჯარი ტიჩინოს მარჯვენა ნაპირზე დარჩება, ავსტრიელები აიძულებენ ამ რესპუბლიკას რომ მათთან ერთად გამოილაშქროს. სარდინიის მეფე საშიში არ არის: მისი ლაშქარი დაშლილია, ინგლისელები არ დაეხმარებიან, მისი ქვეყნის შინაური მდგომარეობა ცუდია. მას დარჩა მხოლოდ 15.000—18.000 კაცი. ეს ჯარი ქალაქებშია მოფანტული და ძლივს კმარა შინაგანი მშვიდობიანობის დასაცავად.

მეორე მხრით, ვენის სამეფო კარის უკმაყოფილება ტურინის მთავრობის მიმართ თანდათან იმატებს. ვენა უსაყვედურებს ტურინს რომ ის პირველ დამარცხებისთანავე სულით დაეცა. სულ სხვანაირად მოქმედებდა 1705 წელს, ვიქტორ ამედე კასანოსთან ვანდომის გამარჯვების შემდეგ, როდესაც პრინცი ევგენი უკუაგდეს იზეოს ტბის ნაპირებზე, და საფრანგეთის სამმა არმიამ დაიპყრო ყველა მისი სამფლობელო და ნიცის საგრაფოც-კი. მას მხოლოდ ტურინი დარჩა, მაგრამ ავსტრიასთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია. ამიტომ მას აუნაზღაურდა ყველაფერი შემდეგ წელს ტურინის ბრძოლით, როდესაც ყველა მისი სამფლობელო დაუბრუნდა.

გენუის ოლიგარქები საშიში არ არიან. უკეთესი თავმდები მათ გამოლაშქრების საწინააღმდეგოდ—ის ვეებერთელა სარგებლობაა, რომელსაც ისინი თავიანთი ნეიტრალიტეტით პოულობენ. თუ არმია ადიჯეზე მივა, მას შეუძლია დაიპყროს ყველა ის სახელმწიფო, რომელიც ავსტრიის სამეფო გვარეულობას ეკუთვნის იტალიაში, და პაპის ყველა სამფლობელო აპენინების ამიერ მხარეზე, შეუძლია გამოაცხადოს თავისუფლების პრინციპები და აამხედროს იტალიელთა პატრიოტიზმი უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. ერთიანი იტალიის ლოზუნგი, რომელიც გამოცხადდება მილანში, ბოლონიასა და ვერონაში, ჯადოსნურ გავლენას მოახდენს. მაგრამ თუ ეს ლოზუნგი მდ. ტიჩინოს მარჯვენა ნაპირზე იქნება გამოცხადებული, ის გამოიწვევს იტალიელთა მხრივ შეკითხვას: „რატომ თქვენ თვითონ წინ არ მიდიხართო?“.

X

პოლკოვნიკი მიურატი გაიგზავნა პარიზს 31 დროშით და საზავო ხელშეკრულებით. მისმა მისელამ პარიზს, მონ-სენისის გზით, ამ ნადავლითა და სარდინიის მეფის დამორჩილების აქტით, დედაქალაქში სიხარული გამოიწვია. ადიუტანტი ჟიუნო, რომელიც გაიგზავნა მილეზიმოს ბრძოლის შემდეგ, ნიცის გზით, ჩავიდა პარიზს მიურატის შემდეგ.

ალბის პროვინცია, რომელიც ფრანგებმა დაიკავეს, მთელს პიემონტში ყველაზე უფრო ოპოზიციური იყო მეფის ხელისუფლების მიმართ. აქ წინათ უკვე ხდებოდა არეულობა; რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ განმეორდა. თუ სარდინიის მეფესთან ომი გაგრძელდებოდა,—სწორედ აქ დაუჭერდნენ მხარს ფრანგებს.

ამგვარად, ორი კვირის განმავლობაში გეგმის პირველი ნაწილი შეასრულეს და დიდი შედეგები მიიღეს: დაეცა პიემონტის ციხეები და კოალიცია დასუსტდა.

თვის განმავლობაში ამ ლაშქრობის დაწყებიდან მთავრობამ ხუთჯერ გამოიტანა დადგენილება—21, 22, 24, 25, და 26 აპრილის სხდომებზე—რომ იტალიის არმიამ კარგად ემსახურა სამშობლოსაო,—და ყოველთვის—ახალ-ახალ გამარჯვებისათვის.

კერასკოში დადებულ დროებითი ზავის პირობების თანახმად, სარდინიის მეფემ გაგზავნა პარიზს გრაფი რეველი საბოლოო ზავის შესაკრავად. ზავი დაიდო 15 მაისს 1796 წელს. ამ ხელშეკრულებით ციხეები ალესანდრია და კონი გადადიოდა იტალიის არმიის ხელში, სუზა, ბრუნეტო, ეგზილი ისპობოდა, და იხსნებოდა ალპის უღელტეხილები. ამით მეფე რესპუბლიკის სამოწყალოდ ხდებოდა, მას აღარ რჩებოდა, ტურინისა და ბარის ციხის გარდა, სხვა გამაგრებული პუნქტები.

III თავი

ლოდის ბრძოლა

მე-3 სქემა

1. პოზე გადასვლა (7 მაისს 1796 წ.).—11. ფომბიოს ბრძოლა (8 მაისს). გენერალ ლაჰარპის სიკვდილი.—111. ზავი პარმის ჰერცოგთან (9 მაისს).—IV. ლოდის ბრძოლა (10 მაისს).—V მილანში შესვლა (15 მაისს).—VI. ზავი მოდენის ჰერცოგთან (17 მაისს)..—VII. ბერთიე. —VIII. მასენა.—IX. ოჟერო.—X. სერიურიე.

I

კონის, ტორტონის და ჩევას ციხეები ფრანგებმა მაისის დამდეგს აიღეს. მასენა თავისი დივიზიითურთ დაიძრა ალესანდრიისკენ და ხელში ჩაიგდო იქ მრავალი საწყობი, რომლებიც ავსტრიის არმიას ეკუთვნოდა. მთავარი ბანაკი ტორტონას მოვიდა, ალბასა, ნიცა-დელა-პალიასა და ბოსკოს მონასტერზე გამოვლით. ტორტონა მეტად კარგი ციხე იყო; შიგ ბევრი ქვემეხი და საომარი მარაგი იყო.

ბოლიემ, სასოწარკვეთილმა, დაიხია მდ. პოს გაღმა მილანის დასაცავად. ის ვარაუდობდა—დაეცვა გადასასვლელი პოზე, ვალენციის პირდაპირ, და თუ ამ გადასასვლელს მტერი ჩაიგდებდა ხელში, მაშინ დაეცვა იგი სეზიიდან და ტიჩინოდან. მან თავისი არმია დააბანაკა მდ. აგონიას მარცხენა ნაპირზე, ვალეჯიოსთან. აქ მას მოემატა სამარქაფო დივიზია, ათი ათასეულისაგან შედგენილი, და მისი არმია კვლავ გაუთანაბრდა საფრანგეთის არმიას. ვალენციაში ფრანგები უნდა გადასულიყვნენ პოზე. კერასკოში დადებული დროებითი ზავის ერთი მუხლი ითვალისწინებდა ამ ქალაქის ფრანგებისათვის გადაცემას მდინარეზე გადასასვლელად. მასენამ ალესანდრიაში მისვლისთანავე წასწია ჯარის ნაწილები ვალენციის მიმართულებით.

ოჟერო ალბიდან გამოვიდა და დაბანაკდა სკრივიის შესართავთან. სერიურიე გაემართა ტორტონისაკენ, სადაც ლაჰარპი მივიდა აქვის გზით. მთელ არმიაში მოკრებილ 3.500 გრენადერისაგან შედგა 10 ათასეული. ამ რჩეული ჯარით, ცხენოსანი რაზმით და 24 ზარბაზნით ნაპოლეონმა გასწია სწრაფად პიაჩენცისკენ, რათა იქ ხელთ ეგდო პოზე გადასასვლელი. მდინარეზე გადასვლის შემდეგ საფრანგეთის დანარჩენი არმია უნდა მისულიყო პიაჩენცას.

7 მაისს, დილას 9 საათზე, ნაპოლეონი მივიდა ამ ქალაქთან; მან 36 საათში გაიარა 16 ლიე. გავიდა ცხენით მდინარის პირზე და დარჩა იქ იმ დრომდე სანამ არმია მდინარეზე არ გადავიდა და მოწინავე რაზმი მარცხენა ნაპირზე არ დაბანაკდა. ბორანი იტევდა 500 კაცს და 50 ცხენს და გადასვლა დასრულდა ნახევარ საათში. არტილერიის პოლკოვნიკმა ანდრეოსიმ, პონტონის პარკის უფროსმა და შტაბის პოლკოვნიკმა ფრონტენმა ხელთ იგდეს მდ. პოს უბანზე კასტელ-სან-ჯიოვანიდან პიაჩენცამდე ათი ხომალდი 5.000 დაჭრილი ავსტრიელით და წამლებით. პირველი გადავიდა პოლკოვნიკი ლანი 900 გრენადერითურთ. მტრის ჭუსართა ორი ასეული ამაოდ ცდილობდა ხელი შეეშალა გადასვლისათვის. რამდენიმე საათის შემდეგ მთელი მოწინავე რაზმი გადავიდა მეორე ნაპირზე. ღამით 7-დან 8 მაისს მოვიდა მთელი არმია. 9 მაისს დასრულდა ხიდის გადება. 7 რიცხვს საღამოს გენერალ ლაჰარპმა, გრენადერების სარდალმა, თავისი მთავარი ბანაკი დასცა კაჩინა-დემეტრაში, ფომბიოსა და მდ. პოს შორის. ეს მდინარე პიაჩენცაში ძალიან სწრაფია; მისი განი 250 ტუაზია. ასეთ მდინარეზე გადასვლა მეტად საპასუხისმგებლო ოპერაციაა.

II

ლიპტაის ავსტრიელთა დივიზია, რვა ათასეულისა და რვა ცხენოსანი ასეულის შედგენილობით, პავიიდან გამოსული მივიდა ღამით ფომბიოს, რომელიც პიაჩენციდან ერთ ლიეზეა. 8 მაისს დღის 1-ლ საათზე შენიშნეს რომ სამრეკლოები და სახლები სოფელში დაბარიკადებულია და დაკავებულია ჯარის მიერ, და გზატკეცილზე, რომელიც ბრინჯის ყანებზე გადის, ზარბაზნებია დადგმული. აუცილებელი იყო მტრის გამოგდება ფომბიოდან. მას შეიძლება დამხმარე ჯარი მოსვლოდა და ბრძოლა სახიფათო იქნებოდა, რადგან უკან მდინარე იყო. ნაპოლეონმა გასცა საჭირო განკარგულებანი. ლანმა დაიწყო იერიში მარცხენა ფრთაზე, ლანიუსმა—შუაგულზე, დალემანმა—მარჯვენა ფრთაზე. საათის განმავლობაში სოფელი აიღეს, ავსტრიის დივიზია გაანადგურეს. მან დაჭ-



5 სურ. ფრანგების გადასვლა მდ. პოზე 7 მაისს 1796 წელს.



6 სურ. ფრანგების გადასვლა მდ. პოზე. ბრძოლა მდინარის მარცხენა ნაპირზე 7 მაისს 1796 წელს.

კარგა თავისი ზარბაზნები, 2.000 ტყვე და სამი დროშა. ვინც გადარჩა, — პიციგეტონესკენ გაიქცა და მდ. ადა გასცურა. პიციგეტონეს ციხე მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ შეაიარაღეს. იგი შორს იყო ბრძოლის ველიდან, და მტერი მასზე არ ზრუნავდა. ლიპტაიმ მაინც მოასწრო ასაწევი ხიდის გახსნა და სანგრებზე საველე ზარბაზნების დადგმა. ფრანგის მოწინავე რაზმი დაღამებისას სოფელ მალეოში გაჩერდა. ლაჰარპი უკან წამოვიდა რომ კოდონიოს წინ დამდგარიყო და დაეცვა პავიიდან და ლოდიდან მომავალი გზები.

ტყვეებისაგან გაიგეს რომ ბოლიე თავისი ჯარით ფომბიოსკენ მოდიოდა. ფიქრობდნენ რომ ზოგი მისი ნაწილი, რომელმაც მომხდარი ბრძოლის ამბავი არ იცოდა, ღამის გასათევად კოდონიოში მოვაო. ამის გამო ჯარი გაფრთხილეს. მთავარსარდალმა განკარგულება გასცა რომ ფხიზლად ყოფილიყვნენ; ამის შემდეგ ის დაბრუნდა პიაჩენცას, მთავარ ბანაკში. ღამის განმავლობაში ჭასენა გადავიდა პოზე და დადგა მარქაფად ხიდთან, რათა საჭიროების დროს დახმარებოდა ლაჰარპს.

რასაც მოელოდნენ, ის მოხდა. ტორტონიდან პიაჩენცაში ჯარის მოძრაობა ბოლიეს ვერ გამოეპარებოდა. მან დასძრა თავისი ჯარი ადგილის დასაკავებლად ტიჩინოსა და ადას შორის, იმ იმედით რომ დროზე მისულიყო პიაჩენცასთან და ხელი შეეშალა მდინარეზე გადასვლისთვის. მან იცოდა რომ პონტონის პარკი ფრანგებს სრულებით არა ჰქონდათ. ერთი მისი ცხენოსანი ლეგიონი, რომელიც რაზმეულის (კოლონის) წინ მიდიოდა, გენერალ ლაჰარპის მოწინავე საგუშაგოებთან გამოჩნდა, პავიისკენ მიმავალ გზაზე, და განგაში ასტეხა. ფრანგებმა იარაღს წამოავლეს ხელი. რამდენიმე ბათქის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. მაგრამ ლაჰარპი პატრულისა და რამდენიმე ოფიცრის თანხლებით წავიდა წინ რომ დარწმუნებულიყო—რა მოხდა,—და პირადად გამოეკითხნა გზისპირა მოსახლეებისათვის. უკანასკნელებმა უთხრეს მას რომ ეს განგაში ასტეხა ცხენოსანმა ლეგიონმა, რომელმაც არ იცოდა ფრანგების გადასვლა პოზეო. ლაჰარპი უკან წამოვიდა, მაგრამ იმის მაგიერ რომ გზატკეცილით დაბრუნებულიყო, საუბედუროდ, ბილიკს გაჰყვა. ჯარისკაცებმა ვერ იცნეს თავისი გენერალი და გაბმული სროლით შეხვდნენ. ლაჰარპი უსულოდ დაეცა; ის მოჰკლეს მისმავე ჯარისკაცებმა. ლაჰარპი წარმოშობით შვეიცარიელი იყო, ვოს კანტონიდან. იგი იყო გულადი ოფიცერი, გრენადერი ტანითაც და სულითაც; ჯარში დიდი სახელი ჰქონდა. მისი სიკვდილი გაიგეს მთავარ ბანაკში დილას 4 საათზე. ამ დივიზიაში დაუყოვნებლივ გაიგზავნა ბერთიე. მას დახვდა ჯარი სასოწარკვეთილი.

III

პარმაში, ტრებიაზე გადასვლის დროს, ნაპოლეონმა მიიღო ჰერცოგის ელჩები; ჰერცოგი თხოულობდა ზავსა და მეჯარველობას. პარმის ჰერცოგს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა: მისი სამფლობელოების დაპყრობა ხელსაყრელი არ იყო. ნაპოლეონმა დაუტოვა მას მისი სამთავრო და თანაც დააკისრა ყველა ის ვალდებულება, რისი შესრულებაც მის ქვეყანას შეეძლო. ასეთი გადაწყვეტილება უმარტივესი და ყველაზე უფრო გონივრული იყო. 9 მაისს, დილას, პიაჩენცაში ხელი მოაწერეს საზავო პირობებს. ჰერცოგი იხდიდა 2 მილიონს

ფულადად, მიაწვდიდა ჯარს დიდ რაოდენობა ხორბალს, შვრიას და სხვ., გამოჰყავდა 1.600 საარტილერიო და საჯდომი ცხენი და იხდიდა იმ სამხედრო გზებისა და ჰოსპიტლების შენახვის ხარჯებს, რომლებიც მის სამფლობელოებში იყო. ნაპოლეონმა რეკვიზიცია უყო ხელოვნების ზოგიერთ ნივთს, პარიზის მუზეუმისათვის,—ასეთი მაგალითი პირველი ეს იყო ისტორიაში. პარმამ გადასცა 20 სურათი, ფრანგი კომისრების არჩევით. ამ სურათებში ერია სახელგანთქმული წმ. იერონიმე. ჰერცოგი 2 მილიონს იძლეოდა რომ ეს სურათი არ წაეღოთ, და ჯარის რწმუნებულებსაც ძალიან სურდათ ასეთი გაცვლა. მთავარსარდალმა-კი სთქვა რომ 2 მილიონიდან, რომელსაც მოგვცემენ, ჩქარა არაფერი დარჩება, მაშინ როდესაც ასეთი შედევრი შეამკობს პარიზს მრავალი საუკუნის მანძილზე და გამოიწვევს სხვა ასეთივე შედევრების წარმოშობასაო.

პარმის, პიაჩენცის და გვასტალის სამთავროები ფარნეზეს გვარეულობის მფლობელობაში იყო. ელისაბედმა, ფილიპე V-ის დამ, ამ გვარეულობის ერთადერთმა მემკვიდრემ, ეს სამთავროები ესპანეთს გადასცა. მისმა შვილმა დონ-კარლოსმა მიიღო ისინი 1714 წელს. შემდგომ, როდესაც მან ნეაპოლის ტახტი დაიკავა, 1748 წ. აახენის ხელშეკრულების ძალით, ეს ქვეყნები ავსტრიის ხელში გადავიდა, შემდეგ გადაეცა ინფანტს დონ-ფილიპს. 1762 წლიდან ჰფლობდა მისი შვილი ფერდინანდი. ეს იყო კონდილიაკის ცნობილი მოწაფე; გარდაიცვალა 1802 წელს; ცხოვრობდა კოლორნოს ციხედარბაზში, გარშემოხვეული ბერებით, და გულმოდგინედ ასრულებდა სარწმუნოების ყველა წესს.

IV

არმიამ პიაჩენცაში მოაგროვა 400 საარტილერიო ცხენი. 10-ს ის გავიდა კაზალ-პუსტერლენგოდან ლოდისკენ, სადაც ბოლიემ თავი მოუყარა სებოტენდორფის და როზელმინის დივიზიებს, კოლი და ვუკასოვიჩი-კი გაგზავნა მილანსა და კასანოს. ამ ჯარების ბედი ახლა დამოკიდებული იყო მოძრაობის სისწრაფეზე. შეიძლებოდა მათი მოწყვეტა ოლიოდან და ტყვედ წაყვანა, მაგრამ კაზალიდან ერთ ლიეზე ფრანგის მოწინავე რაზმმა აღმოაჩინა ავსტრიის გრენადერების ძლიერი არიერგარდი, მოხერხებულად ჩამჯდარი ლოდის გზატკეცილის დასაცავად. საჭირო გახდა მანევრების გაკეთება. ბოლოს, მტრის რაზმი აირია. მას კვალდაკვალ დაედევნენ ლოდამდე. ეს ციხე გალავნიანი იყო, მტერმა სცადა კარების დაკეტა, მაგრამ ფრანგი ჯარისკაცები შევიდნენ შიგ გაქცეულებთან ერთად შუადაშუა. ბოლიემ გამოსდგა 25—30 ზარბაზანი ხიდის დასაცავად, მაგრამ ფრანგებმა დაუყოვნებლივ დაუპირისპირეს მას ამოდენივე.

ავსტრიის ხაზზე იდგა 12.000 ქვეითი და 4.000 ცხენოსანი. ამას რომ დავუმატოთ კასანოსკენ დახეული 10.000 კაცი, ფომბიოში მებრძოლი 8.000 კაცი და პიციგეტონეში თავშეფარებული მათი ნაშთები, და მილანის ციხედარბაზის 2.000 ციხოვანი—გამოვა 35.000—36.000 კაცი.

ნაპოლეონმა, ამ იმედით რომ გზას გადაუჭრიდა კასანოსკენ მიმავალ დივიზიას, გადასწყვიტა გადასულიყო იმავე დღეს მდ. ადის ხიდზე მტრის ცეცხლში და გაეოცებია ის ასეთი გაბედული ოპერაციით. ამ მიზნით, ლოდში რამდენიმე საათის დასვენების შემდეგ, საღამოს 5 საათზე, დაახლოებით, მან

უბრძანა გენერალ ბომონს, ცხენოსან ჯარის სარდალს, გადასულიყო ადაზე ხიდიდან ნახევარ ლიეს მოშორებით, წყალღმა, სადაც ფონი იყო. მეორე ნაპირს გადასვლისას მას უნდა დაეწყო ზარბაზნის სროლა მსუბუქი ბატარეიისათვის მტრის მარცხენა ფრთაზე. იმავე დროს ხიდთან და მარჯვენა ნაპირის კიდეზე მან გამოსდგა ჯარის მთელი არტილერია. ქალაქის სანგრების უკან მან დააყენა გრენადერთა რაზმეული. როგორც-კი ნაპოლეონმა შეატყო, რომ მტრის ცეცხლი შენელდა და ფრანგის ცხენოსანი ჯარის თავი მარცხენა ნაპირზე ეწყობა, და ამ გადაჯგუფებამ რამდენიმედ მტრის შეშფოთება გამოიწვია,—უბრძანა იერიში. გრენადერთა რაზმეულის თავი, უბრალო ნახევარმობრუნებით მარცხნით, ხიდზე გაჩნდა, ჩქარი ნაბიჯით რამდენსამე წამში გადავიდა ხიდზე და სწრაფად ხელთ იგდო მტრის ზარბაზნები. რაზმეულს მტერმა ესროლა მხოლოდ იმ მომენტში როდესაც წყობას იცვლიდა ხიდზე გასავალად. ის არ დაზარალებულა, რადგან მყის მეორე ნაპირს გახტა. რაზმეული დაეცა მტერს და აიძულა სრულიად უწესრიგოდ დაეხია კრემისკენ. დახევის დროს მტერმა დაჰკარგა არტილერია, მრავალი დროშა და 2.500 ტყვე. ეს ასეთი ენერგიული ოპერაცია, მტრის საშინელ ცეცხლში ჩატარებული, სამხედრო სპეციალისტების მიერ ერთერთ უბრწყინვალეს ოპერაციად ითვლება ომის მთელი დროის განმავლობაში. ფრანგებს 200 კაცზე მეტი არ დაუკარგნიათ, მტერი-კი განადგურდა [1].

მაგრამ კოლი და ვუკასოვიჩი გადავიდნენ ადაზე კასანოსთან და იხევდნენ გზატკეცილით ბრეშიისკენ; ამ გარემოებამ აიძულა ფრანგები—დაძრულიყვნენ პიციგეტონესკენ. მათ საჭიროდ მიაჩნდათ მტრის დევნა, რათა მისთვის შესაძლებლობა არ მიეცათ ამ ციხის შეიარაღებისა და სურსათით მომარაგებისა. როგორც-კი შემოერტყნენ მას,—ის დანებდა. ციხეში 300 კაცი იყო; ისინი მტერმა შესწირა რომ თავისი დახევა უზრუნველეყო.

ნაპოლეონი ღამის შემოვლის დროს წააწყდა ტყვეების ბანაკს, სადაც ერთი ძველი უნგრელი ოფიცერი იყო. ნაპოლეონმა ჰკითხა მას: „როგორ მიდის თქვენთან საქმეო?“ ძველ კაპიტანს არ შეეძლო არ ეღიარებინა რომ ყველაფერი ცუდად მიდიოდა. „მაგრამ,—დაუმატა მან,—აქ შეუძლებელია რისიმე გაგება; ჩვენ საქმე გვაქვს ახალგაზრდა გენერალთან, რომელიც მუდამ ერთთავად ხან ჩვენ ზურგში ამოჰყოფს თავს, ხან ჩვენ ფრთაზეო. ომში ასეთი ხერხით მოქმედება აუტანელია და ეწინააღმდეგება ყველა წესსაო“.

ფრანგების მსუბუქი ცხენოსანი ჯარი მარჯვე იერიშის შემდეგ კრემონაში შევიდა და ავსტრიელების არიერგარდს ოლიომდე სდია.

---

[1] „წმ. ელენეს დღიურში“ ასეა გადმოცემული: „ვანდამიერი და მონტენოტეც-კი, — სთქვა იმპერატორმა, — არ მაგულიანებდა ჯერ კიდევ რომ ჩემი თავი არაჩვეულებრივ ადამიანად მიმეღო. მხოლოდ ლოდის შემდეგ დამებადა აზრი რომ მე შემეძლო ჩვენს პოლიტიკურ სარბიელზე გადამწყვეტ პირად გავმხდარიყავი. დიდებისმოყვარეობის პირველი ნაპერწკალი მაშინ ამენთოო“. („წმ. ელენეს დღიური“, ლაკაზი, I ნაწ., 193 გვ., 1823 წ. გამოც.). ამაზევეა ლაპარაკი „ტყვეობის ამბებში“: „სწორედ საღამოს ლოდთან მე ვირწმუნე ჩემი თავი როგორც არაჩვეულებრივი ადამიანი და გავიმსჭვალე დიდებისმოყვარეობით იმ დიადი საქმეების შესასრულებლად, რომლებიც ამდრომდე ფანტაზიად მეჩვენებოდა“. („წმ. ელენეს კუნძულზე იმპერატორ ნაპოლეონის ტყვეობის ამბები“ გენერალ მონტოლონისა, II ტ., 424 გვ., პარიზი, 1847).

ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

V

არც ერთი ფრანგული ნაწილი მილანს არ შესულა, თუმცა ეს დედაქალაქი უკვე ზურგში მოექცა არმიას, რომელიც კრემონაში იყო დაბანაკებული. ავსტრიის მთავრობის დაწესებულებანი მანტუს გაიხიზნა. ქალაქს ეროვნული გვარდია იცავდა. მუნიციპალიტეტმა დეპუტაცია გამოგზავნა ლოდს მელცის მეთაურობით. ამ დეპუტაციამ ზეიმით განაცხადა თავისი დამორჩილება.

15 მაისს ნაპოლეონი საზეიმო თალში გატარებით მილანს შევიდა, გარშემოხვეული ხალხითა და ქალაქის ეროვნული გვარდიით. გვარდიის უფროსად აირჩიეს ჰერცოგი სერბელონი.

ოქერომ პავია დაიკავა, სერიურიემ—ლოდი და კრემონა, ლაჰარპის დივიზიამ—კომო, კასანო, ლუკო. სუბუქი ჯარი მდ. ოლიოზე დაბანაკდა. ლოდში, კასანოში, ლუკოსა და პიციგეტონეში აშენდა ხიდისწინა სიმაგრეები, რომლებიც შეიარაღეს და მოამარაგეს სურსათით.

მილანში ნაპოლეონმა შემდეგი ბრძანება გასცა:

„ჯარისკაცებო, თქვენ აპენინის მთებიდან დაეშვით როგორც მთის ნიაღვარი, თქვენ დაამხვეთ და გაჰფანტეთ ყველაფერი, რაც-კი თქვენს მოძრაობას ეწინააღმდეგებოდა.

ავსტრიის ტირანიისგან განთავისუფლებული პიემონტი დაემორჩილა მშვიდობიანობისა და საფრანგეთთან მეგობრობის ბუნებრივ გრძნობებს.

მილანი თქვენია და მთელს ლომბარდიაზე რესპუბლიკის დროშა ფრიალებს.

პარმისა და მოდენის ჰერცოგები თავიანთ პოლიტიკურ არსებობას მხოლოდ თქვენს სულგრძელობას უნდა უმადლოდნენ.

არმია, რომელიც თქვენ ამაყად გემუქრებოდათ, ადგილს ველარ პოულობს რომ თავი დაიფაროს თქვენი ვაჟკაცობისაგან. პომ, ტიჩინომ, ადამ ერთი დღითაც კი ვერ შეგაჩერათ თქვენ. იტალიის ეს ნაქები ზღუდე-სიმაგრეები საკმაოდ ძლიერი ვერ აღმოჩნდა; თქვენ ისინიც ისევე სწრაფად დასძლიეთ როგორც აპენინის მთები.

ეს წარმატებანი ახარებენ თქვენი სამშობლოს გულს. თქვენმა წარმომადგენლებმა კონვენტში დღესასწაული დააწესეს თქვენ გამარჯვებათა საპატივსაცემოდ. ამ დღესასწაულს გადაიხდიან რესპუბლიკის ყველა ადგილში: იქ თქვენი მამები, თქვენი დედები, თქვენი ცოლები, თქვენი დები, თქვენნი შეყვარებულნი გაიხარებენ თქვენი წარმატებებით და იამაყებენ მით რომ ისინი თქვენი მახლობლები არიან.

დიახ, ჯარისკაცებო, თქვენ ბევრი საქმე გააკეთეთ. მაგრამ განა ეს ნიშნავს რომ მეტი არაფერია გასაკეთებელი? განა არ იტყვიან ჩვენზე რომ გამარჯვება მოახერხეს, მაგრამ ვერ მოახერხეს გამარჯვების გამოყენებაო? განა შთამომავლობა არ გვისაყვედურებს რომ ლომბარდიაში კაპუა ვიპოვნეთ? მაგრამ მე უკვე ვხედავ თუ როგორ ავლებთ იარაღს ხელს. თქვენ გიმძიმთ ლაჩრული მოსვენება. დღენი, დაკარგულნი სახელისათვის, დაკარგულია თქვენი ბედნიერებისათვისაც. მაშ ასე, გავსწიოთ წინ! კვლავ მოგვიხდება დიდი მანძილების გადავლა რათა მტერი დავამარცხოთ, დიდებით შევიმოსოთ და ბოროტმოქმედთ სამაგიერო გადავუხადოთ!



7. ხურ. ფრანგების გადასვლა-მდ. ადაჯე ლოდის-ხიდით 10-მაისს 1796 წელს.

დაე, ძრწოდნენ ისინი, ვინც ამწვავებდა სამოქალაქო ომს საფრანგეთში, ვინც ფლიდურად ხოცდა ჩვენს დესპანებს და სწვავდა ჩვენს ხომალდებს ტულონში: შურისძიების საათმა დაჰკრა!

მაგრამ ხალხთ შიში ნუ ექნებათ: ჩვენ ყველა ხალხის მეგობრები ვართ და მეტადრე ერთგული მეგობრები ბრუტოსების და სციპიონების შთამომავალთა და აგრეთვე იმ დიდ ადამიანთა შთამომავლებისა, რომელნიც ჩვენ სამაგალითოდ მიგვაჩნია. კაპიტოლიუმის აღდგენა, იქ იმ გმირების ქანდაკებათა დადგმა, რომელთაც კაპიტოლიუმი ასახელეს, მრავალი საუკუნის მონობით გაშეშებული რომაელი ხალხის გამოღვიძება,—ასეთია ჩვენთა გამარჯვებათა ნაყოფი. იგი ეპოქას შეჰქმნის ისტორიაში. თქვენ მიგეკუთვნებათ უკვდავი სახელი რომ სახე შეუცვალეთ ევროპის ყველაზე უფრო უმშვენიერეს მხარეს.

საფრანგეთის ხალხი, თავისუფალი, პატივცემული მთელი მსოფლიოს მიერ, დასდებს ევროპასთან სასახელო ზავს, რითაც ანაზღაურდება ყოველგვარი მსხვერპლი მიტანილი მის მიერ მთელი ექვსი წლის განმავლობაში. თქვენ დაუბრუნდებით თქვენს კერებს და თქვენი თანამოქალაქენი თქვენს დანახვაზე იტყვიან: „ის იტალიის არმიაში იყოო!“

არმიამ ეს ექვსი დღე დასვენება გამოიყენა ნივთიერი მხარის გასაუმჯობესებლად. პიემონტმა და პარმამ ყველაფერი მოიტანეს, მაგრამ უფრო მეტი მარაგი ლომბარდიაში აღმოჩნდა. საშუალება მოგვეცა—ჯამაგირები დაგვერიგებინა და ყველა საჭიროება დაგვეკმაყოფილებინა.

მილანი მდებარეობს მსოფლიოს ერთერთ უმდიდრეს ვაკეზე — ალპის მთებსა და მდ. პოსა და ადას შორის. მისი მოსახლეობა 120.000 კაცს უდრიდა. ციხის გალავანის წრეხაზი 10.000 ტუაზი იყო. ქალაქს ათი კარი ჰქონდა და 140 მონასტერი. არხის მეშვეობით ის დაკავშირებულია მდ. ტიჩინოსა და ადასთან. მათი წყალი შემოდის მილანში რაბების საშუალებით. მეორე არხი გაყვანილია, როცა იტალიაში მეფის ხელისუფლება იყო, მილანის შესაერთებლად პავიასთან და მდ. პოსთან პირდაპირი მიმოსვლისათვის და გენუასთან მიმოსვლის ხელშესაწყობად. გენუის საქონელი საჭაპანო ტრანსპორტით მოდიოდა კამბიომდე მდ. პოზე, აქ ტვირთავდნენ გემებზე და უშვებდნენ ამ მდინარეზე და ქვედა ტიჩინოდან შემოდიოდა პავიაში, სადაც მილანისათვის გადატვირთავდნენ. ახალი არხის მეშვეობით საქონელი განაგრძობდა გზას მილანამდე და იქიდან იგზავნებოდა ადაზე.

მილანი დაარსებულია 580 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე. ამ ქალაქს 40-ჯერ ალყა ჰქონია შემორტყმული, 20-ჯერ ის ბრძოლით აუღიათ. ოთხჯერ იგი მთლიანად დაუნგრევიათ. მისი ციხე აგებულია ვისკონტის სასახლის ნანგრევებზე.

მილანი ავსტრიის ლომბარდიის დედაქალაქი იყო. ავსტრიის ლომბარდიას შვიდი პროვინცია შეადგენდა: მილანის, პავიის, ვარეზეს, კომოს, ლოდის, კრემონასი და მანტუს. ლომბარდიას განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდა. ავსტრიის იმპერატორი აქ გენერალგუბერნატორად ნიშნავდა სეფეწულს სამეფო გვარიდან და უმაღლეს მართვაგამგეობას ანდობდა საგანგებო შინისტრს. ლომბარდიას ჰქონდა რაღაც მსგავსი პარლამენტისა, შვიდი პრო-



8 ხურ. ფრანგების შესვლა მილანში 15 მაისს 1796 წელს.

ვინციის მიერ არჩეული. ეს პარლამენტი ხშირად ოპოზიციაში უდგა გენერალ-გუბერნატორს და ავსტრიის მინისტრს. შეძლებული აზნაური გრაფი მელეი ამ დეპუტატებში ყველაზე უფრო გავლენიანი იყო თავისი განათლებით, პატრიოტიზმით და პატიოსნებით. შემდეგში ის იყო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და იტალიის სამეფოს კანცლერი. ის განუყრელად ერთგულობდა იტალიის დამოუკიდებლობის იდეას. მწვანე, თეთრი და წითელი ფერები თავისუფალი იტალიის ეროვნულ ფერებად გახდა. ეროვნული გვარდია ყველა ქალაქში დგებოდა. სერბელონს, მილანის ეროვნული გვარდიის ლეგიონის პირველ მეთაურს, დიდი სახელი ჰქონდა ხალხში; იგი დიდი ქონების პატრონი იყო და შემდგომ ძალიან ცნობილი პარიზში, სადაც დიდხანს ცხოვრობდა როგორც ციზალპინის რესპუბლიკის ელჩი.

მილანში, როგორც იტალიის სხვა დიდ ქალაქებშიც, და, შეიძლება, ევროპის სხვა დიდ ქალაქებშიაც, საფრანგეთის რევოლუციამ პირველად მეტად მხურვალე თანაგრძნობა გამოიწვია. რამდენიმე ხნის შემდეგ ტერორმა შესცვალა ეს განწყობილებანი. მაგრამ რევოლუციის იდეები მილანში ბევრ მის მხურვალე დამცველს შერჩა. ხალხს იტაცებდა თანასწორობის იდეა. ავსტრიელები აქ დიდხანს ბატონობდნენ, მაგრამ მათ ამ ხალხის გული მაინც ვერ მოინადირეს. გენერალ-გუბერნატორი ერცჰერცოგი ფერდინანდი არც უყვარდათ და არც პატივს სცემდნენ; აბრალებდნენ ვერცხლისმოყვარეობას, ტაცებისა და ფლანგვის წახალისებას, ხორბლის სპეკულაციას და სხვა მსგავს ცოდვებს. მას ცოლად ჰყავდა პრინცის ქალი ბეატრიჩე ესტე, მოდენის უკანასკნელი ჰერცოგის ასული.

მილანის ციხე კარგად შეიარაღებული იყო და სურსათით კარგად მომარაგებული. ბოლიემ დასტოვა შიგ 2.500 კაცი მეციხოვნე. საფრანგეთის გენერალი დესპინუა დაინიშნა მილანის მხედრობისა და ციხის ალყის სარდლად. არტილერიაში შედგა საალყო პარკი ქვემეხებისა და საომარი მასალებისა, რომელიც წამოღებული იყო პიემონტის სიმაგრეებიდან: ტორტონიდან, ალესანდრიიდან, კონიდან, ჩევადან, კერასკოდან. ამ ციხეებში ფრანგის ჯარი იდგა.

VI

სამ სამოავროს—მოდენას, რეჯიოს და მირანდოლას—ქვემო პოს მარჯვენა ნაპირზე, მართავდა უკანასკნელი ხელმწიფე ესტეს გვარეულობიდან. ეს იყო ძველი კრიჟანგი; მისი ერთადერთი სიამოვნება იყო ოქროს დაგროვება; ქვეშევრდომებს ის სძულდათ. არმიის მიახლოებისას მან ნაპოლეონს გაუგზავნა კომანდორი ესტე, თავისი დედით-სხვა ძმა, და სთხოვა ზავი და მფარველობა. ქალაქ მოდენას გარშემო ბასტიონებიანი ზღუდე ერტყა, ჰქონდა მდიდარი თოფხანა და ჰყავდა 4.000 ჯარისკაცი. თუმცა ამ ხელმწიფეს რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას ისე მოექცნენ როგორც პარმის ჰერცოგს, მაგრამ მხედველობაში მიიღეს მისი ნათესაობა ავსტრიის სამეფო გვარეულობასთან. დროებითი ზავი დასდეს და ხელი მოაწერეს მილანში 17 მაისს. ის იხდიდა 10 მილიონს, გამოჰყავდა ცხენები, იძლევოდა სურსათს და განსაზღვრულ რაოდენობა ხელოვნურ ნაწარმოებს. ზავზე მოსალაპარაკებ-

ლად მან პარიზს გაგზავნა სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მაგრამ ზავი ვერ შეჰკრეს, მოლაპარაკება გაჭიანურდა და, ბოლოს, შეწყდა. მას სურდა თავისი საუნჯე საიმედო ადგილს შეენახა და ამიტომ გადაგზავნა იგი ვენეციას, სადაც თვითონაც გარდაიცვალა 1798 წელს. მისი სიკვდილით დაივსო ესტეს გვარეულობა, მეტად სახელოვანი საშუალო საუკუნეებში და ქებაშესხმული არიოსტოსა და ტასოს მიერ. მისი ქალი, პრინცესა ბეატრიჩე, ერცჰერცოგ ფერდინანდის ცოლი, ავსტრიის დედოფლის დედა იყო; გარდაიცვალა 1816 წელს.

მდ. პოზე გადასვლის, ლოდის ბრძოლის, ლომბარდიის დაკავების და პარმის და მოდენის ჰერცოგებთან დაზავების ამბებმა გააბრუა დირექტორია, რომელმაც მიიღო დამღუპველი გეგმა იტალიის არმიის ორ არმიად გაყოფისა. ნაპოლეონი 20.000 კაცით, პოზე გადასვლის შემდეგ, უნდა დაძრულიყო რომისა და ნეაპოლისკენ, კელერმანს-კი მეორე 20.000 კაცით უნდა ემოქმედნა პოს მარცხენა ნაპირზე და დაეცვა მანტუს ალყა. ნაპოლეონმა, ასეთი უმადურობით აღშფოთებულმა, გადადგომა ითხოვა, რათა მას მონაწილეობა არ მიეღო იტალიის არმიისა და თავისი თანამებრძოლების დაღუპვაში. ის ლაპარაკობდა რომ ყველანი, ვინც ნახევარკუნძულის შუაგულში გაიგზავნენ, დაიღუპებიან, რომ მთავარი არმია, რომელსაც კელერმანს ანდობენ, მცირეა, მტერს ვერ გაუმაგრდება და რამდენიმე კვირის შემდეგ იძულებული იქნება ალპების იმიერ გადავიდესო. „ერთი ცუდი გენერალი ორ კარგს აჯობებსო",—განაცხადა მან. მთავრობა შეკრთა და უარჰყო ეს თავისუფლების დამღუპველი ღონისძიებანი. ამ დროიდან იტალიის არმიის მიმართ ის ყველაფერს იწონებდა, რასაც კი ნაპოლეონი აკეთებდა ან მოისურვებდა გაკეთებას.

VII

ბერთიე ორმოცდაორი წლის ასაკში იდგა. მისი მამა ინჟენერ-გეოგრაფი იყო. ბერთიე ახალგაზრდობისას მონაწილეობდა ამერიკის ომში, როშამბოს შტაბზე მირიცხულ ლეიტენანტის ხარისხით. რევოლუციის ხანაში ის პოლკოვნიკი იყო, მეთაურობდა ვერსალის ეროვნულ გვარდიას და ძლიერ ოპოზიციაში უდგა ლეკუანტრის პარტიას. დასჭრეს ვანდეაში, სადაც ის რევოლუციურ ჯარების შტაბის უფროსად იყო გაგზავნილი. 9 ტერმიდორის შემდეგ ის იყო შტაბის უფროსად კელერმანთან ალპის არმიაში და თან გაჰყვა მას იტალიის არმიაში. სწორედ ის იყო რომ ბორგეტოს ხაზის დაკავების განკარგულება გასცა, რამაც მტერი შეაჩერა. როდესაც კელერმანი ალპის არმიაში დაბრუნდა, მან თან ბერთიეც წაიყვანა. ნაპოლეონმა რომ იტალიის არმიის სარდლობა მიიღო, ბერთიემ ითხოვა მისი შტაბის უფროსობა და მოიპოვა კიდეც ეს ადგილი. ის ნაპოლეონთან იყო ამ თანამდებობაზე იტალიის და ეგვიპტის ლაშქრობებში. შემდეგში გახდა სამხედრო მინისტრი, დიდი არმიის შტაბის უფროსი, ნევშატელის და ვაგრამის პრინცი, ითხოვა ბავარიის პრინცესა და აივსო ნაპოლეონის წყალობით. ის ვეებერთელა ენერგიის პატრონი იყო, თან დაჰყვებოდა მთავარსარდალს ყველა დაზვერვაში და ჯარების შემოვლაში, და ეს სრულებით არ ანელებდა მის საშტაბო მუშაობას. ხასიათი ჰქონდა გაუბედავი, მცირედ გამოსადეგი არმიის სარდლობისათვის, მაგრამ კარგი შტაბის

9 სურ. გენერალი მასენა.

უფროსის ყველა თვისების მქონე იყო. კარგად იცოდა რუკა, ძალიან გონივრულად მიჰყავდა დამზვერავი ნაწილი, პირადად თვითონ ზრუნავდა ბრძანებათა დაგზავნაზე, დახელოვნებული იყო რომ არმიის ყველაზე უფრო რთული მოძრაობა ნათლად და მარტივად წარმოედგინა მოხსენებაში. თავდაპირველად უნდოდათ რომ მთავარსარდალს აეთვალწუნებია იგი,—და ლაპარაკობდნენ:—ბერთიე მისი დამრიგებელიაო, სწორედ ის ხელმძღვანელობს ოპერაციებსაო,—მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. ბერთიე აკეთებდა ყველაფერს, რაც მაზედ დამოკიდებული იყო, რათა ეს ხმები, რომელიც მას ჯარში სასაცილოდ ხდიდა, შეეწყვიტნა. იტალიის ლაშქრობის შემდეგ მან სასარდლოდ მიიღო არმია, რომელიც დანიშნული იყო რომის ასაღებად, და გამოაცხადა იქ რომის რესპუბლიკა.

VIII

მასენამ—ნიცელმა—საფრანგეთის სამსახური დაიწყო „იტალიის სამეფო“ ლეგიონში. რევოლუციის დასაწყისში ის ოფიცერი იყო. სწრაფად დაწინაურდა, გახდა დივიზიის გენერალი და მსახურობდა მთავარსარდლების—დიუგომიეს, დიუმერბიონის, კელერმანისა და შერერის ხელქვეით. ის მაგარი აგებულობისა იყო, დაუღალავი, განსაკუთრებით მცოდნე სამთო ომისა, გამბედავი, მამაცი და ერთობ დიდებისმოყვარე. მისი დამახასიათებელი თვისება იყო ჯიუტობა. ის არადროს გულს არ იტეხდა. დისციპლინას ყურადღებას არ აქცევდა, არ ზრუნავდა სამეურნეო-ადმინისტრაციულ ნაწილზე და ამის გამო არ უყვარდათ ჯარისკაცებს. მისი განკარგულებები ვერ იყო კარგად მოფიქრებული. მისი საუბარი ნაკლებშინაარსიანი იყო, მაგრამ ზარბაზნის პირველ გასროლისთანავე, ტყვიების ზუზუნში, საფრთხეში, მისი აზრი ძლიერი და ნათელი ხდებოდა. როცა დამარცხდებოდა, ის კვლავ ისე შეუდგებოდა საქმეს, როგორც გამარჯვებული. იტალიის ლაშქრობის შემდეგ მან საპატიო გამწესება მიიღო—დირექტორიაში უნდა მიეტანა ლეობენის წინასწარი ხელშეკრულება. ეგვიპტის ლაშქრობაში ის ჰელვეციის არმიას სარდლობდა. ფიქრობდა რომ მან რესპუბლიკა გადაარჩინა ციურიხის ბრძოლაში გამარჯვებით. შემდეგში ის იყო მარშალი, რივოლის ჰერცოგი, ესლინგის თავადი.

IX

ოჟერო (სენ-მარსოს გარეუბნიდან) რევოლუციის დასაწყისში სერჟანტი იყო. როგორც ეტყობა, ის გამოჩენილი უნტერ-ოფიცერი ყოფილა, რადგან ნეაპოლში გაუგზავნიათ ნეაპოლის ჯარის გასაწრთვნელად. ჯერ ვანდეაში მსახურობდა. გენერლობა მან მიიღო აღმოსავლეთ პირენეის არმიაში, სადაც ერთ-ერთ მთავარ დივიზიას მეთაურობდა. ესპანეთთან ზავის დადების შემდეგ მან თავისი დივიზია იტალიის არმიაში მოიყვანა და აქ ჩაატარა ყველა ლაშქრობა ნაპოლეონთან, რომელმაც ის პარიზს გაგზავნა 18 ფრიუქტიდორის გადატრიალების მოსახდენად. ამის შემდეგ დირექტორიამ ის რაინის არმიის სარდლად დანიშნა. სრულებით გაუნათლებელი კაცი იყო და არც ცოტაოდნად შესამჩნევი ჭკუა ჰქონდა. თავის ჯარისკაცებში იცავდა წესრიგს და დისციპლინას და მათაც უყვარდათ იგი. იერიშები წესიერად და რიგზე მიჰქონდა, კოლონებს კარგად განაწესებდა, მარქაფს კარგად აყენებდა და იბრძოდა შეუ-

10 სურ. გენერალი ოჟეროო.

პოვრად. მაგრამ ხშირად გული უტყდებოდა, რაც უნდა აიხსნას მისი ხასიათის თვისებით ანდა მისი ჭკუის ნაკლებანგარიშიანობითა და არასაკმაო გამჭრიახობით. თავისი პოლიტიკური რწმენით ის ბაბეფის პარტიას ემხრობოდა. 1798 წელს აირჩიეს დეპუტატად საკანონმდებლო კორპუსში. არც იყო არავინ იმაზე უფრო გამოუსადეგარი პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის, რომელშიც მას მაინც უყვარდა მონაწილეობის მიღება. იმპერიის დროს ის იყო კასტილიონის ჰერცოგი და საფრანგეთის მარშალი.

X

სერიურიე, ენის დეპარტამენტის მკვიდრი, რევოლუციის დასაწყისში ქვეითი ჯარის მაიორი იყო. მან შეინარჩუნა მაიორის ყველა გარეგანი თვისება და პირქუშობა, დისციპლინის მიმართ მკაცრი იყო და ჰგავდა არისტოკრატს, რისთვისაც ბევრჯერ ჩავარდნილა საფრთხეში, მეტადრე რევოლუციის დასაწყისში. მან მოიგო მონდოვის ბრძოლა, აიღო მანტუ და პატივი ჰქონდა ენახა—როგორ გაატარეს მის წინ დამორჩილებული ფელდმარშალი ვურმზერი. ის იყო მამაცი, პირადად გამბედავი, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. არ ყოფილა ისე ფიცხი როგორც წინამომდევნონი, მაგრამ ის მათ სჯობდა თავისი ზნეობრივი თვისებებით, თავისი პოლიტიკური რწმენის ზომიერებით და პატიოსნობით ურთიერთობაში.

მან მიიღო საპატიო გამწესება: წაეღო დირექტორიაში ის დროშები, რომელიც ერცჰერცოგ კარლოსს წაართვეს. შემდეგში ის იყო საფრანგეთის მარშალი, ინვალიდთა სახლის კომენდანტი და სენატორი.

IV თ ა ვ ი

პავიის აჯანყება

მე-4 სქემა

I. არმია სტოვებს თავისს სადგომს რომ ადიჯეს ხაზი დაიკავოს.—II. პავიის აჯანყება (24 მაისს 1796 წელს).—III. პავიის აღება და გაძარცვა (26 მაისს).—IV. აჯანყების მიზეზები.—V. არმია შედის ვენეციის რესპუბლიკის მიწაწყალზე (28 მაისს).—VI. ბორგეტოს ბრძოლა. მდ. მინჩიოზე გადასვლა (30 მაისს).—VII. არმია მიდის ადიჯესთან (3 ივნისს).—VIII. მანტუს აღწერილობა.— IX. მანტუს გარემოცვა (4 ივნისს).—X. დროებითი ზავი ნეაპოლთან (5 ივნისს).

I

ლაშქრობის დასაწყისში მანტუ განიარაღებული იყო. ვენის სამეფო კარს იმედი ჰქონდა რომ მისი არმია შეტევას დაიწყებდა. ის ვარაუდობდა გამარჯვებას და არა დამარცხებას, და მხოლოდ კერასკოს ხელშეკრულობის შემდეგ მან განკარგულება გასცა რომ შეეიარაღებინათ და მოემარაგებინათ სურსათით მანტუ და ლომბარდიის სიმაგრეები. სამხედროებში არიან ისეთი პირები, რომელნიც ფიქრობენ: მილანის ოლქში დროის დაკარგვის ნაცვლად საფრანგეთის არმიას რომ სვლა განეგრძო და უკუეგდო ბოლიე ადიჯეს გაღმა,—მანტუს უეცრად ხელში ჩაიგდებდაო. მაგრამ არ შეიძლება ზურგში დაიტოვო ამდენი დიდი ქალაქი

ერთ მილიონზე მეტი მოსახლეობით, თუ მათი მართვა-გამგეობა ხელთ არ გექნება და მათი გული—მოგებული.

ფრანგები დარჩნენ ლომბარდიაში მხოლოდ შვიდ-რვა დღეს. 25 მაისისათვის ყველა სადგომი აყრილი იყო. ეს რამდენიმე დღე კარგად გამოიყენეს: შეადგინეს ეროვნული გვარდია ლომბარდიის ყველა ქალაქში, ჩამოაყალიბეს ადგილობრივი ხელისუფლება, აღადგინეს მშვიდობიანობა მხარეში,—ყველაფერი ეს უზრუნველყოფდა ფრანგების ბატონობას. გენერალ დესპინუამ იკისრა მილანის გარნიზონის სარდლობა. ერთი ბრიგადით ალყა შემოარტყეს ქალაქის ციხეს. ქვეითსა და ცხენოსან დივიზიებში შედგა მოკეთებულ ავადმყოფებისა და სუსტების პატარა რაზმები საგარნიზონო სამსახურისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტებში. ოჟეროს დივიზიის ერთი რაზმი 300 კაცის რაოდენობით დადგა ქალაქ პავიის ციხეში,—ეს საკმაო იყო ამ ციხისა და ტიჩინოს ხიდის დასაცავად.

II

24 მაისს მთავარი ბანაკი ლოდს მივიდა. სულ ორი საათი გავიდა მთავარსარდლის იქ მისვლის შემდეგ რომ მოვიდა პავიისა და ამ პროვინციის მთელი სოფლების აჯანყების ამბავი. ამ პროვინციიდან ოჟეროს დივიზია 20 მაისს გავიდა. მცირე მღელვარება მილანშიც-კი დაეტყო. მაშინვე 300 ცხენოსნით, ექვსი ქვემეხით და გრენადერთა ათასეულით ნაპოლეონმა გასწია ამ დედაქალაქისკენ. ის იმავ საღამოს მივიდა იქ და მშვიდობიანობა აღდგენილი დახვდა. ქალაქის ციხიდან ჯარი გამომხტარიყო, მაგრამ ისევ უკუეგდოთ შემოზვინულის გადაღმა. ცალკე ჯგუფები გაეფანტათ. მთავარსარდალმა განაგრძო გზა პავიისკენ.

მეამბოხეებს განზრახვა ჰქონდათ—შეერთებოდნენ მილანის ციხის ჯარს და ამიტომ ბინასკოში გამოგზავნეს 800-კაციანი მოწინავე რაზმი. ლანმა იერიში მიიტანა ამ რაზმზე. ბინასკო აიღეს, გაძარცვეს, დასწვეს. იმედობდნენ რომ ხანძარი, რომლის დანახვა შეიძლებოდა პავიის გალავნიდან, დააშინებდა ამ ქალაქს. მაგრამ არ გამოვიდა ასე. ქალაქში შევარდა 8.000—10.000 გლეხი და გახდა იქ ბატონ-პატრონი. მათ ბელადობდნენ თავიანთი წრის ფანატიკოსები და ავსტრიის აგენტები, რომელთაც დიდად არ აწუხებდათ—რა დაატყდებოდა ქვეყანას. დამარცხებისას საშუალება ჰქონდათ—შვეიცარიაში გაქცეულიყვნენ.

საღამოს მილანში გამოქვეყნდა მოწოდება, რომელიც ღამით პავიის კარებზეც გააკრეს:

„გზააბნეული ხალხი, რომელსაც ნამდვილი საშუალება არა აქვს წინააღმდეგობის გაწევისა, ბევრ თემში უკიდურესობამდე მივიდა, არ ცნობს რესპუბლიკას და მამაც არმიას, რომელმაც მეფეები დაამარცხა. ეს გაუგებარი სიგიჟე სიბრალულს იწვევს: ატყუებენ საწყალ ხალხს, მის დასაღუპავად. მთავარსარდალს, ერთგულს თავისი ერის პრინციპებისას—არ ეომოს ხალხებს, სურს დასტოვოს თავისუფალი გზა მონანიებისათვის. მაგრამ ისინი, რომელნიც 24 საათში იარაღს არ დაჰყრიან, ჩაითვლებიან მეამბოხეებად. მათ სოფლებს დასწვავენ. დაე, ბინასკოს სასტიკმა მაგალითმა მათ თვალები აუხილოს! მისი ბედი მოელის ყველა იმ თემს, რომელიც ამბოხებას განაგრძობს“.

III

26 მაისს პატარა კოლონამ ბინასკო დასტოვა და ნაშუადღევს 4 საათზე პავიას მივიდა. ქალაქის კარები დაკეტილი იყო. აღმოჩნდა რომ ფრანგი მეციხოვნენი დანებებულან, და უკვე რამდენიმე საათი გასულა რაც მეამბოხეები ციხეს დაპატრონებიან. ამ წარმატებამ ისინი ძალიან გაამხნევა. თითქოს ძნელი უნდა იყოს—1.500 კაცით და ექვსი ზარბაზნით დაიპყრო აჯანყებული ქალაქი, რომელსაც 30.000 სული მოსახლეობა ჰყავს. ამ ქალაქს გალავანი ჰქონდა და ძველი ბასტიონებიანი ზღუდე, რომელიც, მართალია, ცუდ მდგომარეობაში იყო, მაგრამ იერიშისგან დაიცავდა. გარემო სოფლებში ყველგან განგაში იყო. უმცირესი ნაბიჯის უკან გადადგმაც-კი უბედურობას გაადიდებდა და გვაიძულებდა უკვე ოლიოზე მდგომ არმიის გამოწვევას. ასეთ გარემოებაში გონიერება გვიკარნახებდა შეტევას. ექვსი ზარბაზნის სროლას ვერ შეეძლო კარების დანგრევა. მაგრამ ტყვიებმა და ყუმბარებმა გლეხები მაინც ჩამოჰყარა გალავნიდან და გრენადერებს შესაძლებლობა მისცა—კარები ნაჯახებით დაექციათ.

გრენადერები თოფებ-მომარჯვებული ჩქარი ნაბიჯით შევიდნენ ქალაქში, მიაღწიეს მოედანს და მოთავსდნენ ქუჩების კუთხეების სახლებში. ცხენოსანი ნახევარასეული დაიძრა ტიჩინოს ხიდისკენ და მიიტანა იქ მარჯვე იერიში. გლეხები შეშინდნენ, რათა მათთვის გზა არ მოეჭრათ, მიატოვეს ქალაქი და გაიქცნენ მინდვრად. მაშინ ქალაქის ხელისუფალნი და თავად-აზნაურობა, მილანის მთავარეპისკოპოსისა და პავიის ეპისკოპოსის წინამძღოლობით, გამოვიდნენ შეწყალების სათხოვნად.

სამასი ფრანგი, რომელთაც ქალაქის ციხე ეკავათ და ტყვედ ჩაბარდნენ, არეულობის დროს დაუძვრნენ ხელიდან აჯანყებულებს და უიარაღოდ მოვიდნენ მოედანზე. მთავარსარდლის პირველი ფიქრი იყო—დაეხვრიტა ეს მეციხოვნეები ათზე ერთი.

„ლაჩრებო,—უთხრა მან მათ,—თქვენ მოგანდვეთ არმიის მეტისმეტად მნიშვნელოვანი საგუშაგო, თქვენ-კი ის უბადრუკ გლეხებს დაუთმეთ და არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეთ“!

კაპიტანი, რომელიც ამ რაზმს მეთაურობდა, დააპატიმრეს. ის აღმოჩნდა მცირედგანვითარებული ადამიანი. თავის გასამართლებლად მან გენერალ ჰაკენის ბრძანება დაიმოწმა. ჰაკენი ის-ის იყო პავიას ჩამოვიდა პარიზიდან. მეამბოხეებმა ის დააპატიმრეს საფოსტო ცხენების გამოცვლის დროს. ნას დამბაჩა მიადვეს გულზე და დაემუქრნენ მოკვლას თუ არ უბრძანებდა ციხეს—დანებებოდა მეამბოხეებს. მან დაიყოლია მეციხოვნეები რომ დანებებოდნენ. მაგრამ რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო ჰაკენი, ეს არ ამართლებდა ციხისთავს, რომელიც სრულებით არ იყო მისი ხელქვეითი, და თუნდაც მისი ხელქვეითი ყოფილიყო, არ უნდა შეესრულებინა მისი ბრძანება მისი დაპატიმრების მომენტიდან. კაპიტანი საველე სასამართლოს გადასცეს და დახვრიტეს.

ქალაქში დიდი არეულობა სუფევდა. დაიწყო ხანძარი, ქალაქი დარბევის აუცილებლობის წინაშე დადგა.

ძარცვა რამდენიმე საათს გაგრძელდა და მოსახლეობას უფრო მეტი შიში აჭამა ვიდრე ზარალი მიაყენა. გაძარცვეს მხოლოდ ოქრომჭედლების ორიოდე

მაღაზია, მაგრამ ხმა გავარდა ქალაქის დიდ დარბევაზე, და ეს—მთელი იტალიისთვის გაკვეთილი იყო.

ყველა სოფელში დაიგზავნა მოძრავი რაზმები, რომლებმაც მთელ მოსახლეობას იარაღი აჰყარეს. მთელი ლომბარდიიდან წამოიყვანეს მძევლები, რომლებიც გამოჰყავდათ ყველაზე უფრო წარჩინებულ ოჯახებიდან, თუნდაც ამ ოჯახებზე ეჭვიც არ ყოფილიყო მიტანილი. ფიქრობდნენ რომ საფრანგეთში მოგზაურობა სასარგებლო იქნება უფრო გავლენიან პირებისათვისო. რამდენიმე თვის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ. ბევრმა თითქმის ყველა ჩვენი პროვინცია მოიარა და ნამდვილი ფრანგი გახდა.

ქალაქი პავია მდებარეობს 5 ლიეზე მილანიდან, მდ. ტიჩინოზე, 2 ლიეს დაშორებით პოსთან შერთვამდე. ქალაქის განი 850 ტუაზს უდრის. მისი წრეხაზი—2.500 ტუაზია. შიგ არის ქვის ხიდი ტიჩინოზე, ერთადერთი ამ მდინარეზე. ქალაქს გარშემო აქვს დანგრეული გალავანი.

IV

ამ აჯანყების მიზეზად მიაჩნდათ მეტისმეტად დიდი ხარკი—20 მილიონი, არმიისთვის საჭირო რეკვიზიციები, და შეიძლება ცალკეული შევიწროებანიც. მაგრამ ჩვენი მხედრობა შიშველი იყო, ამიტომ დაიმსახურეს მათ ყაჩაღებისა და მაწანწალების სახელი, რომელიც მტერმა შეარქვა. ლომბარდიელებს, იტალიელებს თავისთავი დამარცხებულად არ მიაჩნდათ. დამარცხდა ავსტრიელების არმია, რომელშიც იტალიელთა ნაწილები არ ყოფილა. ლომბარდია განსაკუთრებულ გადასახადსაც-კი იხდიდა ჯარის გამოყვანის ნაცვლად.

ვენის სამეფო კარს გარკვეული აზრი ჰქონდა შედგენილი რომ იტალიელისგან კარგი ჯარისკაცი ვერ გამოვაო. ეს გარემოება, რომელიც აიძულებდა მოსახლეობას ადგილობრივი ინტერესებით ეცხოვრა, მეტად ხელს უწყობდა საზოგადოებრივი შეგნების ჩამორჩენას იტალიაში. საფრანგეთის არმიას რომ საფრანგეთიდან ფულადი დახმარება ჰქონოდა,—მას შეეძლო იტალიელთა ნაწილების შედგენა. მაგრამ ერთი საქმეა—მოუწოდო ერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ჩამოაყალიბო მისი საზოგადოებრივი შეგნება, და მეორეა—წაართვა მას იმავე დროს საარსებო, სასიცოცხლო საშუალებანი. ამ წინააღმდეგობათა შეთანხმებისათვის ნიჭია საჭირო.

თავდაპირველად იყო უკმაყოფილება, დრტვინვა, შეთქმულობა. მთავარსარდლის ყოფაქცევა დამარცხებულ ქვეყანაში მეტად საძნელოა. თუ ის მკაცრია—აღიზიანებს თავის მტრებს და ადიდებს მათ რიცხვს; თუ ის რბილია,—შესაძლებლობას აძლევს—განაგრძონ ბოროტმოქმედება და ძალმომრეობა, რაც დაკავშირებულია ომიანობასთან. როგორც არ უნდა იყოს, თუ ამბოხება ამ გარემოებაში დროზე ჩააქრეს და გამარჯვებულმა მოახერხა ერთდროულად მკაცრ, სამართლიან და ლმობიერ ღონისძიებათა შეფარდება,—ისინი მხოლოდ კარგ ზედმოქმედებას მოახდენენ, კარგ ნაყოფს გამოიღებენ და თავდებობას გაგვიწევენ მომავალში.

V

ამ ხნის განმავლობაში არმია განაგრძობდა წინსვლას ოლიოსკენ ბერთიეს უფროსობით. მთავარსარდალი შეუერთდა არმიას სონსინოში და 28-ს მასთან

ერთად შევიდა ბრეშიაში, ვენეციის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში მატერიკზე. მისი მცხოვრებლები უკმაყოფილონი იყვნენ ვენეციის დიდკაცობის ბატონობის. ბრეშია 11 ლიეზეა კრემონიდან, 15-ზე—მანტუდან, 38-ზე—ვენეციიდან, 24-ზე—ტრიენტიდან, 40-ზე — მილანიდან. იგი დაიპყრო ვენეციის რესპუბლიკამ 1426 წელს. ქალაქ ბრეშიაში 50.000 მცხოვრებია. მთელ პროვინციაში ითვლებოდა 500.000 კაცი, რომელთაგან ნაწილი ცხოვრობდა მთებში და ნაწილი—მდიდარ ბარში.

გამოქვეყნდა ასეთი მოწოდება:

„ავსტრიელების რკინის უღლისაგან ევროპის ყველაზე უმშვენიერესი ქვეყნის განსათავისუფლებლად საფრანგეთის არმიას უძნელეს დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდა. მისი შრომა დაგვირგვინებულია გამარჯვებით. მტრის არმიის ნაშთებმა მინჩიოს გაღმა მხარეს დაიხიეს. საფრანგეთის არმია მათ დევნაში შემოდის ვენეციის რესპუბლიკის მიწაწყალზე, მაგრამ მას არ ავიწყდება ხანგრძლივი მეგობრობა, რომელიც აკავშირებს ორსავე რესპუბლიკას. სარწმუნოება, ხელისუფლება და ადათი, აგრეთვე საკუთრება შეწყნარებული იქნებიან. ხალხს დარდი ნურაფრის ექნება: დაცული იქნება უმკაცრესი დისციპლინა, და ყველაფერი, რაც არმიას დაესაჭიროება, შეისყიდება ნაღდ ფულად, საცნობარო ფასებში.

მთავარსარდალი წინადადებას აძლევს ოფიციალურ პირთ, ქალაქის ხელისუფალთ და სამღვდელოებას—აცნობონ ეს მოსახლეობას, რათა ის ნდობა, რომელიც ძველთაგან აკავშირებს ორსავე ერს, მტკიცე მეგობრობად გადაიქცეს.

ერთგული თავისი პატიოსნობის პრინციპებისა და თავისი გამარჯვების უფლებათა, ფრანგი ჯარისკაცი მრისხანეა მხოლოდ თავისი თავისუფლებისა და თავისი მთავრობის მტრებისათვის“.

სენატმა გამოგზავნა არმიასთან თავისი წარმომადგენლები პროტესტი ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ; ის დათანხმდა—ყველაფერი მიეცა რაც არმიას სჭირდებოდა იმ პირობით რომ ამისთვის შემდეგში გადაუხდიან.

მინჩიოზე მდგომ ბოლიეს დიდი დამხმარე ძალა მიუვიდა. როგორც კი მან არმიის წინსვლის ამბავი გაიგო, თავისი მთავარი ბანაკი მინჩიოს გაღმა გადაიტანა: მას უნდოდა მტრის მოგერიება ამ მდინარეზე რათა ხელი შეეშალა მანტუს გარშემორტყმისათვის,—მანტუ დღითიდღე ძლიერდებოდა. მან ვენეციელების პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და ძალით აიღო პესკიერის სიმაგრე, რომელსაც თავისი მარჯვენა ფრთით დაეყრდნო. ამ ფრთას სარდლობდა გენერალი ლიპტაი. თავისი შუაგულით ბოლიე ეყრდნობოდა ვალეჯიოს და ბორგეტოს, სადაც დააყენა პიტონის დივიზია, სებოტენდორფის დივიზია-კი პოცოლოში დააყენა. კოლი, მანტუს მეციხოვნე ჯარით გაძლიერებული, გოიტოში დადგა; სამარქაფო ჯარი, 15.000 კაცი, მელასის მეთაურობით, ვილაფრანკაში იმყოფებოდა, გამზადებული გასასვლელად რაგინდარა საშიშ ადგილისაკენ.

VI

29 მაისს საფრანგეთის არმია განლაგებული იყო მარცხენა ფრთით დეზენცანოში, შუაგულით—მონტე-ქიაროში, მარჯვენა ფრთით—კასტილიონეში;

ის არად აგდებდა მანტუს, რომელიც ნის მარჯვენა ფრთაზე იყო. 30-ს განთიადზე არმია ბორგეტოზე გამოვიდა და მტერს ისე შთააგონა თითქოს უნდა პესკიერასთან მინჩიოზე გადასვლაო, რათა მიეზიდა იქითკენ მისი ვილაფრანკის მარქაფი.

ბორგეტოსთან მიახლოებისას ფრანგის მოწინავე რაზმმა აღმოაჩინა ავსტრიელებისა და ნეაპოლელების 3.000 ცხენოსანი, ვაკეზე, და 4.000 ქვეითი გამაგრებული ამ სოფელში, ვალეჯიოს მაღლობებზე.

გენერალ მიურატმა შეუტია მტრის ცხენოსან რაზმს და ამ ბრძოლაში დიდ წარმატებას მიაღწია. აქ, პირველად, ფრანგის ცხენოსანმა ჯარმა, რომელიც ამოდენხანს ცუდ მდგომარეობაში იყო, მარჯვედ შეებრძოლა ავსტრიის ცხენოსან ჯარს. მან მტერს ცხრა ზარბაზანი წაართვა, ორი დროშა და 2.000 ტყვე, მათ შორის პრინცი კუტო, რომელიც ნეაპოლის ცხენოსან ჯარს სარდლობდა. ამ დროიდან მოკიდებული ფრანგის ცხენოსანი ჯარი ეჯიბრებოდა ვაჟკაცობაში ქვეითი ჯარს. პოლკოვნიკი გარდანი, რომელიც გრენადერებს მიუძღოდა, ჩქარი ნაბიჯით და მომარჯვებული თოფებით შევიდა ბორგეტოში. მტერმა დასწვა ხიდი, და მისი აღდგენა ხდებოდა ვალეჯიოს მაღლობიდან დაშენილ ტყვიების ქვეშ. გარდანი გადავიდა წინ მდინარეში. ავსტრიელებმა დაასკვნეს რომ მათ პირისპირ ის მრისხანე რაზმია, რომელიც იბრძოდა ხიდზე, ლოდშიო; მათ დაიხიეს. ვალეჯიო აიღეს დილას 10 საათზე.

შუადღისას დასრულდა ხიდის შეკეთება და ფრანგის დივიზიები გავიდნენ მინჩიოზე. ოჟერო მარცხენა ნაპირით მიიწევდა პესკიერისკენ და დაიკავა კასტელნუოვოს მაღლობები. სერიურიე მიჰყვებოდა უკან იმ მხედრობას, რომელმაც ვალეჯიო დასცალა, ვილაფრანკის მიმართულებით. მთავარსარდალი ამ რაზმთან იყო მანამდე ვიდრე მტერი ჩანდა, მაგრამ ვინაიდან უკანასკნელი თავს არიდებდა შებრძოლებას, ის ვალეჯიოს დაბრუნდა, სადაც მთავარი ბანაკი უნდა გადმოტანილიყო. მასენას დივიზია, რომელსაც მთავარი ბანაკი უნდა დაეცვა, ჯერ კიდევ არ გადმოსულიყო ხიდზე; ის მარჯვენა ნაპირზე სადილს ამზადებდა. სებოტენდორფის დივიზია, როცა მას ვალეჯიოს მხრიდან ზარბაზნების სროლა მოესმა, დაიძრა იქითკენ, მინჩიოს მარცხენა ნაპირით, წყალალმა. მისი ცხენოსანი პატრულები ვალეჯიოს მოვიდნენ, გზაზე არავინ შეხვედრიათ. ისინი შევიდნენ დაბაში და მიაღწიეს იმ სახლს, რომელშიც მთავარსარდალი იმყოფებოდა. მცველებმა ძლივს მოასწრეს ჰიშკრის მიხურვა და განგაშის ატეხა. ამით მთავარსარდალს დრო მიეცა—შემხტარიყო ცხენზე და ბაღებით გასულიყო სოფლიდან.

მასენას ჯარისკაცებმა მიატოვეს სადილი და გადავიდნენ ხიდზე. დოლის ცემამ გააქცია ავსტრიის ჰუსარები, სებოტენდორფს სდევნეს მთელ საღამოს; ის დიდად დაზარალდა.

იმ საფრთხემ, რომელსაც ნაპოლეონი გადურჩა, აგრძნობინა მას რომ საჭიროა მომზადებული, რჩეული ხალხისაგან ბადრაგის შედგენა. მათი მოვალეობა იყო ნაპოლეონის უსაშიშრობის დაცვა. შედგა ჯარის ნაწილი, რომელსაც ეწოდა გიდები. მისი მოწყობა მიანდვეს ბესიერს, ცხენოსანი ასეულის მეთაურს. ამ ნაწილს მაშინვე მიაკუთვნეს განსაკუთრებული ფორმის ტანსაცმელი, ისეთივე როგორიც შემდგომ გვარდიის ცხენოსან ეგერებს ჰქონდათ. ამ ეგერე-

ბის ჩანასახი იყვნენ ეს გიდები. ამ ნაწილში ჩარიცხეს რჩეულნი, რომელთაც—სულ მცირე—ათი წლის ნამსახურობა ჰქონდათ. ამ ნაწილმა ბრძოლებში უდიდესი სამსახური გაგვიწია. ოცდაათი-ორმოცი ამ ვაჟკაცთაგანი, დროზე გამოყვანილი, მუდამ გამარჯვებით აგვირგვინებდა საქმეს. გიდები ბრძოლის დროს იგივენი იყვნენ, რაც შემდეგში მორიგე ცხენოსანი ასეულები იმპერატორთან, და ეს ადვილი ასახსნელია, რადგან პირველნიც და მეორენიც ნაპოლეონს გვერდზე ჰყავდა და ის მათ გადაისროლიდა ბრძოლაში ყველაზე უფრო საძნელო წუთებში.

ბესიერმა, ლანგედოკის მკვიდრმა, სამსახური დაიწყო მე-22 ცხენოსანეგერთა ლეგიონში, აღმოსავლეთ პირენეის არმიაში. ის გულადი იყო და არ ჰკარგავდა სიმშვიდეს ყველაზე უფრო ძლიერ ცეცხლში. მას ფრიად კარგი მხედველობა ჰქონდა და ძალიან გაწაფული იყო ცხენოსან ჯარის გადაჯგუფებაში და მისი წყობის შეცვლაში. მეტადრე კარგად ხელმძღვანელობდა სამარქაფო ცხენოსან ჯარს. ყველა დიდ ბრძოლაში, შემდეგში, მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის. იგი და მიურატი პირველხარისხოვანი მხედართმთავრები იყვნენ, მაგრამ სრულიად მოპირდაპირე თვისებებით. მიურატი საწინაო უფროსი იყო, გულფიცხი და მგზნებარე. ბესიერს ჰქონდა სამარქაფო ცხენოსან ჯარის უფროსის თვისებები: ის იყო ენერგიით სავსე, მაგრამ ფრთხილი და წინდახედული. გიდების შედგენის დროიდან მას მიანდვეს მთავარსარდლისა და მთავარ ბანაკის განსაკუთრებული დაცვა. შემდეგში ის იყო ისტრიის ჰერცოგი, იმპერიის მარშალი და გვარდიის ერთი მარშალთაგანი.

VII

იტალიის დასაცავად და მანტუს ალყის შემოსარტყმელად საფრანგეთის არმიას სჭირდებოდა ადიჯეს ხაზისა და ვერონისა და ლენიაგოს ხიდების დაკავება. პროვედიტორ ფოსკარელის ყველა ცდა—დაებრკოლებინა ვერონისკენ სვლა—ამაო შეიქმნა. 3 ივლისს მასენამ დაიკავა ეს ქალაქი, რომელიც მდებარეობს 32 ლიეზე მილანიდან, 25-ზე—ვენეციიდან, 16-ზე—ტრიენტიდან. ვერონაში მდ. ადიჯეზე სამი ქვის ხიდი იყო; პონტე-ვეკიოს ხიდს ჰქონდა 60 ტუაზი სიგრძე და სამი თაღი. ამ ქალაქში 60.000 მცხოვრები იყო. ის მოფენილია დიდ სივრცეზე, ლამაზია და მდიდარი; აქვს კარგი ჰავა. მისი გალავანი მდინარის ორსავე ნაპირზე 6.000 ტუაზს უდრის. ციხეები აგებულია მაღლობებზე, რომლებიც ბრძანებლობენ მარცხენა ნაპირს.

პორტო-ლენიაგოს შეიარაღების შემდეგ მზვერავმა ჯარმა თავისი მარცხენა ფრთით დაიკავა მონტე-ბალდოს მაღლობები, შუაგულით — ვერონა, მარჯვენა ფრთით—ქვედა ადიჯე. ის იფარავდა მანტუს ალყას. სამფეროვანი დროშა ფრიალებდა ტიროლის კლდეკარებზე. ახლა საჭირო იყო მანტუს აღების დაჩქარება და ავსტრიისთვის ამ სიმაგრის წართმევა. იმედობდნენ რომ ამ საქმეს მოათავებდნენ ავსტრიის ახალი არმიის მოსვლამდე, მაგრამ რამდენი ბრძოლა, რამდენი მრისხანე ამბავი, რამდენი საშიშროება იყო კიდევ წინ დასაძლევი!

VIII

მანტუ მდებარეობს სამ ტბას შორის. ეს ტბები წარმოშობილია მდ. მინჩიოს წყლებით. მინჩიო გამოდის გარდის ტბიდან, პესკიერასთან, და ერთვის

დ. პოს გოვერნოლოს ახლოს. მანტუ უერთდებოდა ხმელეთს ხუთი ჯებირის მსაშუალებით. პირველი მათგანი, ფავორიტის ჯებირი, რომელიც ჰყოფდა ზედა ტბას ქვედა ტბისგან, 300 ტუაზი სიგრძის, აგებული იყო ქვისაგან. ამ ჯებირის გასწვრივ ქალაქის წისქვილები იყო. ამ ჯებირზე გაკეთებული იყო რაბის საკეტები წისქვილებზე წყლის მისაშვებად. ჯებირზე გაყვანილ გზატკეცილის ბოლოში იდგა ფავორიტის ციხე—წესიერი ხუთკუთხედი, საკმაოდ ძნელმისადგომი, რადგან მისი მისადგომების ერთი ნაწილის დაცვა შეიძლებოდა წყლის ადიდებით. გზატკეცილი, გაყვანილი ამ ჯებირზე, აკავშირებდა მანტუს როვერბელასთან, აქედან ვერონასთან ან პესკიერასთან. გზატკეცილი, რომელიც სენ-ჟორჟის ჯებირზე იყო გაყვანილი, 180 ტუაზი სიგრძისა, გამოდიოდა სენ-ჟორჟის გარეუბანში; ეს იყო გზა პორტო-ლენიაგოსკენ, და იკეტებოდა ქვის ჭიშკრით. შუა ტბაზე მოწყობილი იყო ასაწევი ხიდები. მესამე ჯებირზე გადიოდა პიეტოლის გზატკეცილი. ქვედა ტბის სიგანე სულ მხოლოდ 80 ტუაზი იყო; სივრცე, ტბასა და თვითონ სიმაგრეს შორის, დაკავებული იყო გამაგრებული ბანაკით; ბანაკს გარშემოვლებული ჰქონდა თხრილები წყლით და დაცული იყო სიმაგრის ქვემეხების ცეცხლით. მეოთხე ჯებირზე, ჩერეზის კარებთან, გაყვანილი გზატკეცილი მიდიოდა მოდენას, ის იკეტებოდა ქვის ჭიშკრით. აქ ტბა გვარიანად ფართო იყო. დასასრულ, მეხუთე ჯებირზე გადიოდა პრადელის გზატკეცილი; მისი სიგრძე უდრიდა 200 ტუაზს; ეს იყო კრემონას მისავალი გზა. ამ გზატკეცილს იცავდა მახვილკუთხოვანი „ვერკი“, რომელიც შუა ტბაზე იყო მოთავსებული. ამგვარად, ჯებირებზე გაყვანილ ყველა ხუთ გზატკეცილში მხოლოდ ერთი ფავორიტის გზატკეცილი იყო დაცული ციხით. დანარჩენი ოთხი—დაუცველი იყო. ამის შედეგად, ალყაშემომრტყმელს შეეძლო, თუ ამ გზატკეცილების ბოლოგასასვლელებს დაიკავებდა, ერთი მუჭა ხალხით მანტუს მთელი გარნიზონი შეეკრა.

იტალიის სამეფოს არსებობის დროს უნდოდათ ამ დიდი სიმაგრის გაუმჯობესება. გრძნობდნენ რომ საჭირო იყო ყველა კაშხალის გამოსასვლელებთან სიმაგრეთა აგება. ინჟენერმა შასელუმ ააგო გრძელვადიანი ციხე სენ-ჟორჟის გზატკეცილის წინ, მეორე ციხე, რომელიც რამდენიმე მილიონად დაჯდა,—პიეტოლის გზატკეცილის წინ, დაარღვია გზატკეცილი ჩერეზაში და ააგო ციხე პრადელის გზატკეცილის წინ. ამჟამად, მაშასადამე, მანტუს რომ ალყა შემოარტყა,—უნდა შეჰკრა ოთხი ციხე ოთხსავე გამოსასვლელთან.

სერალიო არის ადგილი მინჩიოსა, მანტუსა, პოსა და ფოსა-მაესტრის არხს შორის; ეს არხი გამოდის ტბიდან მანტუში და ერთვის პოს ბორგოფორტეს ახლოს. სერალიო სამკუთხედია, 6—7 კვ. ლიე; ეს— კუნძულია. მანტუს სჭირდებოდა გარნიზონი—სულ ცოტა—12.000 კაცი. ეს ჯარი რაც შეიძლება დიდხანს უნდა გამაგრებულიყო სერალიოში რომ გამოეყენებინა ყველა არსებული იქ საშუალება, აგრეთვე იმისთვისაც რომ შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა პოს მდინარეზე და ჰქონოდა შესაძლებლობა—გაეტანა მარაგი ამ მდინარის მარჯვენა ნაპირიდან.

გოვერნოლო ოდესღაც გამაგრებული ყოფილა.

სენ-ბენედეტის სააბატო, ბენედექტელი ბერების მთავარი ადგილსამყოფელი, პოს მარჯვენა ნაპირზეა, მინჩიოს შესართავის პირდაპირ. მანტუს

გარნიზონმა ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს იზრუნა რომ მოეწყოთ შიგ მოკეთებულ ავადმყოფთა ჰოსპიტალი. ჰაერი იქ ძალიან საღია.

IX

ალყაშემორტყმულს ესმოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის გამაგრებას თითოეული ამ ხუთი გზატკეცილის დასაწყისში და დიდი დაძაბულობით აგებდა იქ სიმაგრეებს, მაგრამ აღარ დააცალეს. 4 ივნისს თვითონ მთავარსარდალი მივიდა სენ-ჟორჟის გარეუბანთან, აიღო იგი ცხარე ბრძოლის შემდეგ და უკუაგდო მტერი სიმაგრეში. მტერმა ძლივს მოასწრო ასაწევი ხიდების გახსნა კაშხალზე; რამდენიმე წუთით რომ დაგვიანებოდა,—სიმაგრის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა. ოჟერომ ხელთ იგდო ჩერეზის კარები. მტერმა დასცალა პიეტოლე და დაიხია სიმაგრეში.

ახლა მტერს შეეძლო მხოლოდ ფავორიტის ციხიდან გამოხტომა, ასე რომ შეიძლებოდა საალყო ჯარის შემცირება.

გარემოცვა დააკისრეს სერიურიეს. მან თავისი მთავარი ბანაკი მოათავსა როვერბელაში, იმ პუნქტში, რომელიც უფრო ახლოა ფავორიტის ციხესთან. სამი ათასი კაცი მან ამ ციხის გარშემო დააყენა, 600 კაცი—სენ-ჟორჟში, 600—პიეტოლეში, 600—ჩერეზაში, 1000—პრადელაში, 2.000 კაცი, არტილერია, ცხენოსანი და ქვეითი, როგორც მოძრავი კოლონა—ტბის ირგვლივ და მარქაფად. თორმეტიოდე კარჭაპი, ზარბაზნებით შეიარაღებული, პირადი შემადგენლობით საფრანგეთის ფლოტიდან, მიმოდიოდა ტბებზე. 8.000 კაცი, ყველა სახის ჯარები, იარაღში ჩამსხდარი, სერიურიემ შემოარტყა სიმაგრეს, რომელშიც ითვლებოდა 14.000 ციხოვანი; ამათგან 10.000-ზე მეტი მწყობრში იყო.

ცირკუმვალაციური ხაზების აგება ვერ მოიფიქრეს და შეცთომა დაუშვეს. მაგრამ ინჟენრები იმედს იძლეოდნენ რომ სიმაგრე დაგვნებდება უფრო ადრე ვიდრე ავსტრიელების არმია შესძლებდეს მის დასახმარებლად მოსვლასო. უეჭველია, ეს ხაზები საჭირო არ იყო ვურმზერის წინააღმდეგ, როდესაც მას სურსათი შემოჰქონდა სიმაგრეში კასტილიონის ბრძოლის წინა დღეს. ნაპოლეონი, რომელმაც მაშინ ალყა მოხსნა და თავისი საალყო პარკი მიატოვა, მიატოვებდა აგრეთვე ცირკუმვალაციურ ხაზებსაც, მაგრამ როდესაც ვურმზერი უკუაგდეს მანტუში, ბასანოს ბრძოლის შემდეგ, შესაძლებელია, იქ რომ ცირკუმვალაციური ხაზები ყოფილიყო, იძულებული იქნებოდა — ისინი გადაელახა, და, იქნებ, იარაღიც დაეყარა. ეს იყო მესამე გარემოცვის დროს. იმ დროსვე სენ-ჟორჟის ირგვლივ დაიწყო ცირკუმვალაციური ხაზების ასაგები მუშაობა, და სწორედ ამ ხაზებს უნდა უმადლოდნენ რომ დაგვნებდა გენერალ პროვერას კორპუსი, და ფავორიტის ბრძოლაში, იანვარში 1797 წელს, წარმატება მოვიპოვეთ.

X

ნეაპოლის მეფემ, რაკი ნახა რომ ზემო იტალია ფრანგების ხელშია, მთავარ ბანაკში გამოგზავნა თავადი ბელმონტე და ითხოვა დროებითი ზავი, რომელსაც ხელი მოაწერეს 5 ივნისს. ნეაპოლის ცხენოსანმა დივიზიამ, 2.400 მხე-

დარმა, მიატოვა ავსტრიის არმია. ნეაპოლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გაემგზავრა პარიზს, რესპუბლიკასთან საბოლოო ზავის დასადებად. ვინაიდან ნეაპოლის მეფეს შეეძლო 60.000 ქვეითის გამოყვანა,—ეს დროებითი ზავი დიდი მოვლენა იყო, მით უფრო რომ მისი სახელმწიფო, ომის ასპარეზს დაშორებული, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ზემო იტალიაში გაბატონებულ ჯარის გავლენის სფეროს გარეთ რჩებოდა: პოდან ნახევარკუნძულის ბოლომდე 200 ლიე მანძილია.

დიდი შრომა დასჭირდა მთავარსარდალს რომ საფრანგეთის მთავრობისათვის თავისი პოლიტიკა ჩაეგონებინა; მთავრობას უნდოდა რომის, ნეაპოლის და ტოსკანის გარეეოლუციონერება, ამასთან, ანგარიშს არ უწევდა მანძილს, წარმატების შესაძლებლობას და ძალებს. მთავრობას მცთარი წარმოდგენა ჰქონდა ადგილზედაც, ამ ხალხების განწყობილებაზედაც, რევოლუციონერების ძალაზედაც.

იტალიის არმიის საინჟენერო ნაწილს მეთაურობდა პოლკოვნიკი შასელუ, რომელსაც გენერლობა ებოძა. ეს იყო საინჟენერო კორპუსის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი — უსწორმასწორო ხასიათის, მაგრამ თავისი ხელოვნების კარგი მცოდნე.

ლესპინასი, არტილერიის უფროსი, ძველი ოფიცერი იყო, პირადად გულადი და ძალიან გულმოდგინედ საქმის წამყვანი.

დომარტენი, სიუნი, სონჟი დამსახურებული ოფიცრები იყვნენ.

არტილერიის უფროსი დიუჟარი, გაგზავნილი ნიცის და პროვანსის სანაპიროების შესაიარაღებლად, მოჰკლეს ტენდის უღელტეხილზე ალპის კონტრაბანდისტებმა.

ბოლიემ ამდენი დამარცხების შემდეგ თავისი მბრძანებლის წყრომა დაიმსახურა და ის უკან დააბრუნეს. ავსტრიის არმიის დროებითი სარდლობა მიიღო მელასმა რომლის მთავარი ბანაკი ტრიენტში იყო. იტალიაში ავსტრიის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა ფელდმარშალი ვურმზერი, წინათ—ზემო რაინის არმიის სარდალი.

V თ ა ვ ი

ლაშქრობა პოს მარჯვენა ნაპირზე

I. აპენინის მთებში ფრანგების შესვლის მიზეზები.—II. არეულობა საიმპერიო მამულებში.—III. შესვლა ბოლონიასა და ფერარაში (19 ივნისს 1796 წელს).—IV. დროებითი ზავი პაპთან (23 ივნისს).—V. შესვლა ლივორნოში (27 ივნისს).—VI. ნაპოლეონი ფლორენციაში.—VII. ამბოხება ლუგოში.—VIII. სანგრების აგება მანტუს წინ (18 ივლისს).—IX. პიემონტსა და ლომბარდიაში საქმეები კარგად არის.

I

არმიამ თავისი დანიშნულების ადგილს მიაღწია: მას ეკავა ადიჯეს ხაზი, იფარავდა მანტუს ალყას და შუა და ქვემო იტალიას. მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ავსტრიის არმიებისათვის თუ ისინი წამოვიდოდნენ ტიროლიდან ან ფრიულიდან. მას თვითონ არ შეეძლო წინ წასვლა თუ არ აიღებდა მან-

ტუს და არ გააუვნებლებდა პოს შარჯვენა ნაპირის სახელმწიფოებს. მაგრამ მანტუს ალყისათვის საჭირო იყო საალყო პარკი, რომელიც ჯარმა ანტიბაში დასტოვა. ის პარკი-კი, რომელიც შეადგინეს ტორტონის, კონის და ჩევას სიმაგრეებზე მოხსნილ მსხვილყალიბიან ზარბაზნებისაგან, მილანის ციხის ალყაზე იყო დაკავებული. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ამ ციხის აღების დაჩქარება.

ავსტრიის დესპანი გენუაში—ჟიროლა—აქეზებდა საიმპერიო მამულებს აჯანყებისაკენ და ადგენდა რაზმებს გაქცეულ ავსტრიელ ტყვეებისაგან, პიემონტელ დეზერტირებისა და კონტრაბანდისტებისაგან. გენუის ოლიგარქია ყველაფერს იწონებდა რასაც-კი ეს დესპანი ამზადებდა საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა: არმიიდან გენუასა, სავონასა და ნიცას მიმავალი გზები ისე იყო გადაჭრილი რომ 600-კაციან ათასეულს რამდენიმეჯერ უხდებოდა ბრძოლაში ჩაბმა სანამ არმიას მიაღწევდა.

აუცილებელი იყო სასწრაფო და ძლიერმოქმედი წამალი.

რომის სამეფო კარმა გამოიყვანა შეიარაღებული ძალები. ძალიან საწყენი იქნებოდა რომ ამ ძალებს მიმატებოდა კიდევ 5.000 ინგლისელი, კორსიკის კუნძულზე მყოფი, იმ მომენტში როდესაც ავსტრიის არმიას შეტევის შესაძლებლობა ექნებოდა.

ამიტომ საჭირო იყო პოზე გადასვლა, პაპის არმიის უკუგდება აპენინის მთებს იქით და დროებითი ზავზე ხელის მოწერინება, შემდეგ აპენინის მთებზე გადასვლა, ლივორნოს დაკავება, იქიდან ინგლისელთა ფაქტორიის გაგდება, 500—600 კორსიკელ ლტოლვილის თავის მოყრა ამ ქალაქში და მათი გადაყვანა კორსიკაში აჯანყების დასაწყებად. ეს შეაჩერებდა იქ ინგლისელთა დივიზიას, რადგან ის თვითდაცვას მოუნდებოდა.

რაინიდან წამოსული ფელდმარშალი ვურმზერი 30.000-იანი რჩეული ჯარითურთ მოისწრაფოდა იტალიისკენ. 15 ივლისზე ადრე იქ მისვლა მას არ შეეძლო. მაშასადამე, რჩებოდა 30—40 დღე, რომლის განმავლობაში დაუბრკოლებლად შეიძლებოდა საჭირო რაზმების გამოყოფა, იმ ვარაუდით რომ ისინი დაბრუნებულიყვნენ ადიჯეზე შუა-ივლისს.

II

7 ივნისს ნაპოლეონი გაემგზავრა მილანს და განკარგულება გასცა—აეგოთ საფარი ციხის წინ. იქიდან 13-ს ის დაიძრა ტორტონისაკენ, თან ახლდა 1.200 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც პოლკოვნიკ ლანის მეთაურობით გაემართა საიმპერიო მამულებისკენ. პოლკოვნიკი ლანი იერიშით შევიდა არქვატს. დახვრიტა აჯანყებულნი, რომელთა მიერ დახოცილი იყო 150 კაცი—ფრანგის რაზმი, დაანგრია ძირფესვიანად გენუის სენატორის და ამბოხების თავის მარკიზ სპინოლის ციხედარბაზი. იმავე დროს ადიუტანტი ბიურატი გაემგზავრა გენუას, იქ ის შეიყვანა სენატში საფრანგეთის რესპუბლიკის დესპანმა გენუაში ფეპუმ; მიურატმა მოითხოვა და მიიღო კიდეც ქ. ნოვის გუბერნატორის გადაყენება, გენუიდან დესპან ჟიროლის გაძევება და გენუის მხედრობისაგან რაზმების შედგენა სხვადასხვა საეტაპო პუნქტზე; ამ რაზმების მოვალეობა უნდა ყოფილიყო გზების გაწმენდა, ფრანგების ტრანსპორტების ბადრაგობა და გზების უშიშრობის აღდგენა.

გენერალი ოჟერო თავისი დივიზიითურთ გადავიდა პოზე ბორგოფორტეში 14 ივნისს, ოთხ ეჯად გაიარა მანძილი ბოლონიამდე და ფერარამდე და დაიპყრო ორივე ეს სალეგატო, რომელიც პაპს ეკუთვნოდა.

გენერალ ვობუამ თავი მოუყარა მოდენაში ბრიგადას, რომელშიც 4.000 კაცი იყო და 700 ცხენი.

ტორტონიდან ნაპოლეონი, პიაჩენცის, პარმის და რეჯიოს გავლით, 19-ს მივიდა მოდენას. მისმა ყოფნამ ამ ორ უკანასკნელ ქალაქში შეაგულიანა მოსახლეობა—მოეთხოვათ თავისუფლება. მაგრამ სარეგენტო ზუსტად ასრულებდა დროებითი ზავის ხელშეკრულებას. მთავარსარდალმა მთელი თავისი გავლენა მოიხმარა რომ ეს ხალხი თავისი ჰერცოგის მორჩილებაში გაეჩერებინა. მან მოდენაში მონაწილეობა მიიღო სარეგენტოს მიერ მისთვის გამართულ ზეიმებში; ის ურჩევდა მართველობას—მოეპოვებინა ხალხის ნდობა და დაემსახურებინა მის თვალში ის პატივისცემა, რომელიც მას, მართველობას, სჭირდებოდა.

ბებერი ჰერცოგი თავისი განძითურთ უკვე დიდიხანია ვენეციას გაიქცა. მოდენიდან ბოლონიისკენ გზატკეცილი გადის ურბინოს ციხის მიწაყრილების ქვეშ; ურბინოს ციხე ეკუთვნოდა პაპს. ეს ციხე შედგებოდა ძველი კოშკებისაგან და წინწაწეულ ვერკებისაგან, ის შეიარაღებული იყო, სეფრსათით მიმარაგებული და თავს იცავდა 800 ციხოვანით. ოჟეროს დივიზიის ჯარებს, რომელნიც იმავე დღეს ბოლონიას შევიდნენ, დრო არ ჰქონდათ დაეპყროთ იგი ანდა ალყა შემოერტყათ. პოლკოვნიკი ვინიოლი, შტაბის უფროსის თანაშემწე, წავიდა იქ 200 გიდით და აიძულა გარნიზონი—დანებებულიყო. ციხე შეიარაღებული იყო 60 ზარბაზნით; მათი ნახევარი გაიგზავნა ბორგოფორტეში, სადაც საალყო პარკი იყო.

III

ოჟეროს დივიზიამ ბოლონიაში ხელში ჩაიგდო ერთი კარდინალი და 400 კაცი. კარდინალმა ითხოვა—გაეშვათ რომში და პატიოსანი სიტყვა მისცა რომ დაბრუნდებოდა. ვინაიდან ის იქ ცუდად იქცეოდა, გენერალმა ბერთიემ უბრძანა,—დაბრუნებულიყო მთავარ ბანაკში. მან ძალიან დახვეწილი სტილით უპასუხა: რომ ცოდვათაგან განმწმენდ წმიდა მამის ლოცვებით მე განთავისუფლებული ვარ ჩემი სიტყვისგანო. ამაზედ ჯარში ბევრი იცინეს.

ფერარის ციხეში 114 ქვემეხი აღმოჩნდა და მრავალი ყუმბარა. ორმოცი ქვემეხი გაიგზავნა ბორგოფორტის პარკში.

ბოლონია ანუ, ადგილობრივი სახელით, დოტა მდებარეობს აპენინის ბეთბის ძირში, მდ. რენოზე. მასში 50.000—60.000 მცხოვრებია. ბოლონიის მეცნიერებათა აკადემია ყველაზე უფრო სახელგანთქმულია იტალიაში. ქალაქის ლამაზი ქუჩები შემოქმედილია თაღიანი ტალანებით, მოსიარულეთათვის.

არხის მეშვეობით ქალაქი დაკავშირებულია ვენეციასთან. ბოლონია დიდ გავლენას ახდენს ყველა სამ სალეგატოზე. ყველანი ისინი უკმაყოფილონი არიან პაპების ბატონობის, რომელიც ყველა ერისკაცისათვის სამარცხვინოა. „რა ცუდიაო,—ამბობდნენ ისინი—სამეფოების ბედთვა-გამგეობის ქვეშ იყო. ჩვენ სამშობლო არა გვაქვს; ჩვენი ხელმძღვანელობა ბარბაროსებს, რომელნიც საგნებს მცთარი თვალსაზრისით იხილავენ; ისინი ბაეშობიდანვე გვინერგავ-

ვენ საღვთისმეტყველო მეცნიერებას, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლებადაა საჭირო საერო საქმეებზე მსჯელობისათვისო".

ეტისმეტად სწყუროდა თავისუფლება ბოლონიას. იქ, როგორც ბრეშიაში, ცხოვრობდნენ იტალიის დამოუკიდებლობის ყველაზე უფრო მბურვალე მომხრეები, რომელნიც ყველაფერს ჩაიდენდნენ ოღონდ გაემარჯვათ. არსად სხვაგან არ გამოუჩენიათ ფრანგებისადმი ამაზე მეტი გულითადი ერთგულობა. ამ ქალაქმა შეინარჩუნა ასეთი განწყობილება.

არმიის შესვლა ქალაქში საერთო ზეიმი იყო. სენატის დეპუტატები—კაპრარა, მარესკალკი და ალდინი ონაწილეობას იღებდნენ არმიის პატივისცემაში. პირველი ორნი ამ ქვეყნის საუკეთესო გვარიშვილები იყვნენ. კაპრარა, იმ დროს—სენატორი, შემდგომ იტალიის მეფის ობერ-შტალმაისტერი იყო, მარესკალკი-კი—საგარეო საქმეთა მინისტრი. ალდინი საუკეთესო ვექილი იყო ბოლონიაში და სენატის რწმუნებული; შემდგომ ის გახდა მინისტრი—იტალიის სამეფოს სახელმწიფო მდივანი. ბოლონიაში იმ დროს იმყოფებოდა 300—400 ესპანელი იეზუიტი. მათ ეშინოდათ: არ იცოდნენ—რა ბედი ეწეოდათ. მათგან ყველაზე უფრო შეძლებულნი და ახალგაზრდები რომში გაიქცნენ. მთავარსარდლის შტაბმა დაამშვიდა ისინი და განკარგულება გასცა რომ მათ სათანადო პატივისცემით მოპყრობოდნენ. მათ შორის იყვნენ თვალსაჩინო ნიჭის პატრონები.

იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რომელიც ნაპოლეონმა ბოლონიაში დაჰყო, ამ ქალაქმა სრულებით შეიცვალა თავისი სახე. არადროს რევოლუციას არ შეუცვლია უფრო უსწრაფესად ხალხის ზნე-ჩვეულება. ყველა, ვინც სამღვდელოებისა არ იყო, სამხედრო ტანსაცმელით გამოეწყო და დაშნა ჩამოიკანკურა. ქალაქი და კერძო პირები ზეიმებს მართავდნენ. ეს ზეიმები წააგავდნენ დიდებულ სახალხო ზეიმებს როგორსაც პირველად ხედავდა იტალია. ფრანგების მთავარსარდალი გამოდიოდა ხალხში უუდამ უმცველოდ, ყოველ საღამოს თეატრში დადიოდა და ბოლონიელ ჯარისკაცების გარდა სხვა არავითარი მხლებლები არ ახლდა.

IV

ამ დროს ვატიკანში განგაში ატყდა. ესპანეთის დესპანი აზორა, პაპის მიერ სრული უფლებებით აღჭურვილი, სასწრაფოდ მოვიდა 23 ივნისს დროებითი ზავის შესაკრავად. ამ ზავით დაცული იყო პაპის უფლებები. პაპმა იკისრა დესპანის გაგზავნა პარიზს რესპუბლიკასთან საბოლოო ზავის დასადებად. დროებითი ზავი უნდა გაგრძელებულიყო ზავის დადებამდე. ბოლონია და ფერარა რჩებოდა საფრანგეთის არმიის ხელში; არმია თავის გარნიზონს აყენებდა ანკონაში; პაპი იხდიდა 21 მილიონს ფულადად, მოგვაწოდებდა ცხენებსა და ხორბალს და იძლეოდა ხელოვნების ას ნაწარმოებს, ფრანგი კომისრების არჩევით, პარიზის მუზეუმში გასაგზავნად.

სამხედრო მდგომარეობა ისეთი იყო რომ ნაპოლეონის ვარაუდში არ შედიოდა რომისკენ გალაშქრება. მაგრამ პაპის მტრები ამ დროებითი ზავის უკმაყოფილო იყვნენ. ბოლონიის მოსახლეობა უფრო მეტად ამჟღავნებდა შიშს

რომ პაპის ბატონობა უკანვე არ დაბრუნებულიყო. მოსახლეობას ადვილად განუმარტეს რომ ახლა ზავის პირობებში ჩართული იქნება გარანტია, რომლითაც მისი თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნებაო. მოსახლეობამ, როცა ეს დაპირება მიიღო, მაშინვე შეაიარაღა ეროვნული გვარდია.

V

ამ დიდი საქმის დასრულების შემდეგ, რომლითაც უზრუნველყოფილი გახდა სიწყნარე არმიის ფრთებზე და რამაც არმიისადმი მოსახლეობის სიმპათიები გამოიწვია, ნაპოლეონი გადავიდა აპენინის მთებზე, და—პისტოიში 26 ივნისს შეუერთდა ვობუას დივიზიას. ის დაბინავდა იმ ეპისკოპოსთან, რომელმაც დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია თავისი ლიბერალური სარწმუნოებრივი-აზრებით.

ტოსკანის დიდი ჰერცოგის პირველი მინისტრი მანფრედინი, შეწუხებული იმ ხმებით რომ საფრანგეთის არმიას განზრახული აქვს ფლორენციაში გავლაო,—სასწრაფოდ მოვიდა მთავარ ბანაკში. ის დაამშვიდეს და დაარწმუნეს რომ ფრანგებს უნდათ მეგობრობა დიდ ჰერცოგთან და გაივლიან მის მიწაწყალზე მხოლოდ იმისთვის რომ სიენაში გავიდნენ.

27 ივნისს, ფუჩეკიოდან გამოსვლის შემდეგ, მიურატი, რომელიც მოწინავე რაზმს მეთაურობდა, სწრაფად შემობრუნდა ლივორნოსკენ და 8 საათში უკვე იქ იყო; მას იმედი ჰქონდა—უეცრად დაიჭერდა ინგლისელ ვაჭრებს, რომელთაც ნავსადგურში 100 დატვირთული ხომალდი ჰყავდათ, მაგრამ ისინი დროზედ გააფრთხილეს და თავი შეაფარეს კორსიკის ნავსადგურებს.

ლივორნოს სიმაგრე გათვალისწინებული იყო 8.000—10.000 მცხოვრებისთვის. ვაჭრობა აქ ისე კარგად მიდიოდა რომ მოსახლეობა 60.000 კაცამდე გადიდდა, და ამან გამოიწვია მრავალი გარეუბნის გაშენება. ნავსადგურში შესვლა ძნელი იყო. რეიდი დაშორებული იყო ნაპირს და ვერ იყო კარგად დაცული. ყოველ წელიწადს იქ მრავალი მარცხი ხდებოდა. ლივორნომ შესცვალა პიზის ნავსადგური, რომელიც არნოს—ტოსკანის უმთავრესი მდინარის—შესართავში იყო. ეს—ფლორენციის საზღვაო ნავსადგურია, რომელსაც ხშირად ეწვევოდნენ ინგლისელები. მათ აქ აგებული ჰქონდათ საწყობები თავიანთი ფართლეულისათვის, ინდოეთისა და სხვა კოლონიების საქონლისათვის. ლივორნოს აღება და ფაქტორიების დანგრევა ძალიან საგრძნობი იყო ლონდონის ვაჭრობისათვის.

ლივორნოში შეიკრიბა საფრანგეთიდან ჩამოსული კორსიკელი ლტოლვილები, 600 კაცი. კორსიკასთან მიმოსვლა შეიძლებოდა დაუბრკოლებლად. კორსიკაზე გაიგზავნა მოწოდებანი. მეფის მოადგილემ ელიოტმა ეს მალე იგრძნო; მოხდა რამდენიმე აჯანყება. ლტოლვილები გავლენიანი პირები იყვნენ, და მათი სიახლოვე და მათი მოწოდებანი აგზნებდა გულად მთიელებს. აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ. ინგლისელებს ყოველდღე მრავალი ხალხი აკლდებოდათ და არ ჰქონდათ საკმაო ძალა რომ ამ მხარეში გამაგრებულიყვნენ. იტალიის სანაპიროებზე ინგლისელების თავდასხმის შიში უკვე აღარ იყო. ბოლოს, ოქტომბერში ჯენტილი და კორსიკელი ლტოლვილები გადმოვიდნენ კუნძულზე, დაიპყრეს იგი და გარეკეს ინგლისელები.

ლივორნოს ტოსკანელი ციხისთავი სპანოკი ძალიან კარგ განწყობილებაში იყო ინგლისელებთან. ზოგი მისი საქციელის მოთმენა აღარ შეიძლებოდა; ის დააპატიმრეს და გაიგზავნა ფლორენციაში, სადაც იგი დიდი ჰერცოგის განკარგულებაში გადასცეს.

საფრანგეთის ელჩმა ბელვილმა იკისრა ინგლისურ საქონელზე ატეხილი დავის მოგვარება. თუმცა მარსელიდან და გენუიდან მთელი ხროვა ქურდ-ბაცაცა მოცვივდა, ჯარის საჭურჭლეში მაინც 12 მილიონი შემოვიდა.

ქალაქის ციხისთავად დასტოვეს ვობუა 2.000 კაცით—გარნიზონით, და მთელი ჯარი გაბრუნდა უკან, აპენინის მთებსა და პოზე გადავლით, ადიჯესკენ არმიასთან შესაერთებლად.

VI

მთავარსარდალი, დიდი ჰერცოგის მიპატიჟებით, ლივორნოდან ფლორენციაში წავიდა. ის მივიდა იქ ყოველგვარ მხლებელთა გარეშე, და დაბინავდა საფრანგეთის დესპანთან, სადაც მას ელოდა გვარდიის ათასეული, ჰერცოგის მიერ გამოგზავნილი საპატიო ყარაულად. მთავარსარდალი მეტად კმაყოფილი იყო დიდი ჰერცოგის მიღების და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ყველაფერს, რაც კი ყურადღების ღირსი იყო ამ ძველებურ და დიდ დედაქალაქში. ფრანგის ჯარები ორჯერ იყვნენ გავლით დიდ საჰერცოგოში მაგრამ ფლორენციაზე დაშორებით. მკაცრი დისციპლინა იყო დაცული, და მოსახლეობას არავითარი საჩივარი არ განუცხადებია. ტოსკანის მთავრობა გამოტყდა რომ ინგლისელები უფრო მეტი ბატონ-პატრონები იყვნენ ლივორნოში ვიდრე თვითონ ის, და უჩივოდა ინგლისის რეზიდენტის ქედმაღლობას.

დიდ ჰერცოგთან სადილობის დროს ნაპოლეონმა მიიღო ცნობა შილანის ციხის აღების. ციხე დანებდა 29 ივნისს. უზარმაზარი კოშკები, ვისკონტის სასახლის ნაშთები, ბრძანებლობდა სანგრებს. რამდენიმე ქვემეხი ზემოდან უშენდა სანგრებს და ამან შეაგვიანა რამდენიმე დღით მისადგომების აგება. გარნიზონი, რიცხვით 2.500 კაცი, დაგვნებდა. ამ ციხე-დარბაზში აღმოჩნდა 100 ქვემეხი. საალყო პარკი სასწრაფოდ გაიგზავნა მანტუში, გემებით მდ. პოზე. ურბინოსა და ფერარის ციხეებიდან მოხსნილ ქვემეხებითურთ შედგა 200-ქვემეხიანი პარკი, კარგად მომარაგებული ყუმბარებით. ეს პარკი საკმარისი იყო მანტუს ალყისათვის.

ნასადილევს დიდმა ჰერცოგმა წაიყვანა თავისი სტუმარი ფლორენციის სახელგანთქმულ გალერიაში ხელოვნების ნაწარმოებთა სანახავად. ნაპოლეონი მოხიბლა მედიცის ვენერამ. ანატომმა ფონტანამ აჩვენა მას ადამიანის სხეულის საუკეთესო მოდელები, ცვილისაგან გაკეთებული; ნაპოლეონმა შეუკვეთა ასეთივე მოდელები პარიზისათვის.

მანფრედინი დიდი ჰერცოგის სახლთუხუცესი და პირველი მინისტრი ამ ხელმწიფის მოძღვარი იყო ისე როგორც ჰერცჰერცოგ კარლოსისა. ის იყო პადუელი, ვენეციის პროვინციიდან, ავსტრიის ლეგიონის შეფი და განათლებული ადამიანი; მან იმდენად ახლოს შეითვისა რევოლუციის თითქმის ყველა ფილოსოფიური იდეა, რამდენადაც თვითონ შორს იდგა მის უკიდურესობათაგან. ის

მუდამ ებრძოდა რომის სასახლის მისწრაფებას; იყო ჭკუიანი, ყველას მიერ პატივცემული და ფარულად მოწადინებული იტალიის დამოუკიდებლობის.

VII

ნაპოლეონმა მცირე ხანს დაჰყო ფლორენციაში და შემდეგ ის ბოლონიას გაემგზავრა. იქ მან რამდენიმე დღე მოანდომა ხალხის თავისუფლების საკითხებს. ლუგოში ამბოხება დაიწყო, ფრანგის მცირე რაზმის წინააღმდეგ უწესოებანი ჩაიდინეს. გენერალი ბეირანი თავისი ბრიგადითურთ დაიძრა იქითკენ; მას წინააღმდეგობა გაუწია ქალაქში შევარდნილმა 4.000—5.000 გლეხმა. მან შეუტია მათ, დაამარცხა, აიღო ქალაქი და გაძარცვა. იმოლის ეპისკოპოსმა, — შემდგომ პაპმა პიუს VII-ემ, რომლის ეპარქიაში ამბოხება მოხდა, სცადა ხალხის დამშვიდება. მან ლუგოში ედესის ეპისკოპოსიც-კი—იმ დროს თავისი უფროსი ქორეპისკოპოსი და შემდეგ სულიერი მამა—გაგზავნა, მაგრამ ის ვერაფერს გახდა. მეამბოხეები მას პატივისცემით ხვდებოდნენ, მაგრამ არ ემორჩილებოდნენ მის რჩევა-შეგონებას. ისინი მხოლოდ ძალას დაემორჩილნენ.

არმია გადავიდა პოზე. მარჯვენა ნაპირზე დარჩა მხოლოდ ჟანდარმთა რამდენიმე საყარაულო რაზმი, და შესაკრებ წერტებზე კიდევ—რამდენიმე ჯგუფი. მოსახლეობა იმდენად კარგი თვალით უყურებდა არმიას რომ ზურგში წესრიგისათვის კმაროდა ეროვნული გვარდია. თუმცა მოდენის მმართველი მტრის ერთგული იყო მაგრამ ძალაუფლება მას არ ჰქონდა; რეჯიოსა და მოდენის პატრიოტები გაცილებით უფრო ძლიერი იყვნენ.

VIII

მანტუს ციხისთავად იყო კანტო-დ'ირლი; მის განკარგულებაში იყვნენ გენერლები როკავინი, როზელმინი და ვუკასოვიჩი 12.000 ქვეითით, 500 ცხენოსნით, 600 მეზარბაზნით, 150 მენაღმით, 100 მეზღვაურით—სულ ერთად 14.000 კაცით. მთავარსარდლის მთავარი ბანაკი ბოლონიიდან როვერბელაში გადმოვიდა; აქ იდგა სერიურიე, საბლოკადო კორპუსის სარდალი.

ქვედა ტბაზე ფრანგების ბევრი კარაპა დაცურავდა. პოლკოვნიკმა ანდრეოსიმ მრავალი გემი მოამზადა და იმედი ჰქონდა რომ ციხეს უეცრად აიღებდა. უკვე 1.000 გრენადერი ისხდა გემებზე და უნდა გადმოსულიყვნენ დილის 2 საათზე სასახლის ბატარიასა და ბასტიონთან, დაეკავებინათ გალავნის კარები და დაეშვათ სენ-ჟორჟის გზატკეცილის ასაწევი ხიდები რომლებზედაც ჯარი გავიდოდა და ქალაქში შევიდოდა. ამ გეგმის განხორციელება თითქოს სრულიად შესაძლებელი იყო. პოლკოვნიკი ლაგოცი, მანტუელი, რამდენიმე პატრიოტთან ერთად უნდა წაძღოლოდა რაზმს. მაგრამ ვინაიდან მდ. პოს დონე ძალიან დაიწია, ქვედა ტბის მდინარება-კი მეტად სწრაფია, ამიტომ ხომალდების გასავალად მასში საკმაო წყალი არ აღმოჩნდა. ხომალდები იძულებული შეიქმნენ მიფარებულიყვნენ შუაგულ ლელიანში, რათა ციხიდან არ შეემჩნიათ. აქ ღამით ისინი მეჩეჩზე შედგნენ და იქიდან მათი ჩამოყვანა ვერ შესძლეს. მეორე ღამეს წყალმა კვლავ დაიკლო. იძულებული გახდნენ—ეს ექსპედიცია მიეტოვე-

ბინათ. მაშინ აღიძრა საკითხი: გააკეთონ თუ არა სანგარი. ტიროლის ქარიშხალი ეს-ეს არის უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მასელუმ მოითხოვა სიმაგრის აღება 15 დღეში სანგრის შემწეობით. სიმაგრე ცუდად იყო შეიარაღებული და ციხის ჯარი—შესუსტებული. მთავარსარდალმა გადასწყვიტა — აეღო სიმაგრე.

გენერლები მიურატი და დალემანი გადავიდნენ ქვედა ტბის ტოტზე პიეტოლეში, სადაც ეს ტოტი ფრიად ვიწროა, და ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს წყალშეუვალი უბანი პიეტოლედან სასახლემდე და მილიარეტოს გამაგრებული ბანაკი. 18 ივლისს ყველა დაბრკოლება გადალახული იყო. წინ დარჩა მხოლოდ უბრალო ბასტიონი და წყლით ავსებული ფართო ორმო. საინჟენერო გენერალმა მასელუმ გათხარა სანგარი. ამის შემდეგ ალყა სრულიად ჩვეულებრივ ალყად გადაიქცა. 22-ს სანგარი უკვე 50 ტუაზზე იყო დახურულ გზიდან. მტერმა ამაოდ სცადა რამდენიმე გამოხტომით წინსვლა შეენელებინა. შეტაკებანი სისხლისმღვრელი იყო, მაგრამ მტერს მუდამ უკუაგდებდნენ ზარალით. მეტადრე კარგად მოქმედებდა პოლკოვნიკი დიუპუი, თავისი გრენადერთა ათასეულით; ეს ის პოლკოვნიკია, რომელმაც შემდგომ თავი ისახელა ეგვიპტეში ქაიროს არეულობის დროს.

IX

ახლოვდებოდა მომენტი როცა ავსტრიელებს შესაძლებლობა ექნებოდათ—შეტევა დაეწყოთ. ნაპოლეონმა, დამშვიდებულმა მანტუს საალყო მუშაობის მსვლელობით, გადასწყვიტა ლომბარდიის შინაური საქმეების ისე დაყენება რომ უზრუნველეყო თავისი ზურგი იმ ბრძოლების დროს, რომელიც უნდა დაწყებულიყო. ის წავიდა მილანს იმ ვარაუდით რომ შეტევის მომენტისათვის დაბრუნებულიყო.

სარდინიის მეფემ თავისთავი მთლიანად რესპუბლიკის განკარგულებაში გადასცა. ყველა თავისი სიმაგრე ჩაგვაბარა. სუზა, ეგზილი და დემონტე უნდა დანგრეულიყო. ალესანდრია იტალიის არმიის ხელში იყო. მილანში იმყოფებოდა სარდინიის საქმეთა რწმუნებული კავალერი ბორგეზე; მაგრამ მეფე ხშირად აგზავნიდა მთავარ ბანაკში გრაფ სენ-მარსანს—ან საგანგებო განმარტებათა წარმოსადგენად, ანდა მხარეში მშვიდობიანობის დაცვისთვის აუცილებელი დახმარების სათხოვნად. შეუძლებელი იყო სარდინიის საქმეები ამაზე უფრო სანდო პირის ხელში ყოფილიყო. თავისი ხასიათით და პირადი ღირსებით იგი მოსწონდა მთავარსარდალს. სენ-მარსანი, პიემონტის ერთ-ერთი საუკეთესო გვარიშვილთაგანი, 25—30 წლისა იყო, თავდაჭერილი, ლმობიერი, განათლებული, და თავისუფალი ყოველგვარ ცრუ რწმენისაგან: საგნებზე საღად მსჯელობდა; წინასწარგანწყობილი იყო ავსტრიის პოლიტიკის წინააღმდეგ—ეს გრძნობა მას გადმოცემული ჰქონდა თავისი წინაპრებისაგან და განმტკიცებული საკუთარი გამოცდილებით.

VI თავი

კასტილიონეს ბრძოლა

მე-5 და მე-6 სქემები

I. ფელდმარშალ ვურმზერის მოსვლა იტალიაში ახალი არმიით.—II. საფრანგეთის არმიის მდგომარეობა.—III ავსტრიის არმიის ლაშქრობის გეგმა.—IV. ვურმზერი გამოდის სამ კოლონად (29 ივლისს 1796 წელს): მარჯვენათი—გზატკეცილზე, კიეზისკენ, ცენტრალურით—მონტე-ბალდოს მიმართულებით, ადიჯესა და გარდის ტბას შორის, მარცხენათი—ადიჯეს ხეობაში.—V. ნაპოლეონის ბიერ მიღებული სწრაფი გადაწყვეტილება. სალოს ბრძოლა. ლონატოს ბრძოლა (31 ივლისს).—VI. ლონატოს ბრძოლა (3 აგვისტოს).—VII. მტრის მარჯვენა ფრთის სამი დივიზიისა და შუაგულის ერთი ნაწილის ტყვედ დანებება.—VIII. კასტილიონეს ბრძოლა (5 აგვისტოს).—IX. მანტუს მეორე გარემოცვა (დამლევ აგვისტოს).—X. იტალიის სხვადასხვა ხალხის ყოფაქცევა ავსტრიელების წარმატებათა ამბის გაგებისას.

I

როდესაც ვენის სამეფო კარმა გაიგო ფრანგების მოსვლა ტიროლის საზღვარზე და ალყის შემორტყმა მანტუზე, უარი სთქვა შეტევაზე, რომელსაც ალზასში აპირობდა, და დანიშნა ფელდმარშალი ვურმზერი, ზემო რაინის არმიიდან გამოყოფილი 30.000 კაცით, იტალიაში გასაგზავნად. იქ ეს არმია შეუერთდა ბოლიეს ჯარებს, რომელიც შეივსო ორი თვის განმავლობაში, და მანტუს გარნიზონს, და გაიზარდა 80.000 კაცამდე, მანტუში დარჩენილ ავადმყოფების ჩაუთვლელად.

საფრანგეთის არმიამ ბოლიეს არმიის დამარცხებით შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა. რაინის არმიებსაც რომ ასევე გაემარჯვნათ,—ევროპაში ატეხილი დიდი ბრძოლა გათავებული იქნებოდა.

ამასობაში, ავსტრიის მეფის მზადების ამბები ვენეციის ოლქებამდე მივიდა; ამას დაემატა ის რომ ვაჭრების წერილებმა ეს ხმები კიდევ უფრო გაზვიადა: ვითომ აგვისტოს დამლევამდე ავსტრიელები მილანს დაიპყრობენო, ფრანგები ნახევარკუნძულს დაჰკარგავენ, ვერ შესძლებენ ალპის მთებთან მისვლას, და კვლავ გამართლდება ამ წელს ის ანდაზა რომ იტალია მათ საფლავად იქცევაო.

II

ნაპოლეონი გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ყველა ამ მზადებას და ძლიერ წუხდა. ის უკეთადებდა ხოლმე დირექტორიას რომ არ შეიძლება 40-ათასიანი არმიით ავსტრიის მთელი ძალების იერიშის მოგერიებაო. ის მოითხოვდა რომ ან მისთვის გაეგზავნათ დამხმარე ჯარი, ანდა რაინის არმიებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ ლაშქრობა. მან მოაგონა მათ ის დაპირება, რომელიც მას მისცეს პარიზიდან წამოსვლის დროს,—რომ ისინი დაიწყებდნენ მოქმედებას 15 აპრილს. მაგრამ გავიდა ორი თვე და ისინი ჯერ კიდევ არ გამოსულიყვნენ თავიანთი საზამთრო ბინებიდან. დასასრულ, ივნისში მათ დაიწყეს ლაშქრობა; მაგრამ ასეთი დივერსია იმ დროს სრულიად უსარგებლო იყო იტალიის არმიისათვის: ვურმზერის 30.000 კაცი უკვე მოდიოდა და მოსალოდნელი იყო ჩქარა მათი მოსვლა დანიშნულ ადგილას. ასეთ მდგომარეობაში თავისთავის ანაბა-

რად დარჩენილმა ნაპოლეონმა თავი მოუყარა ადიჯესა და კიეზაზე მთელ თავის არმიას, დასტოვა მხოლოდ ერთი ათასეული ფერარის ციხეში, ორი—ლივორნოში და საეტაპო გუნდები კონში, ტორტონაში, ალესანდრიაში, მილანსა და პიციგეტონეში. მანტუს ალყამ ავადმყოფობა გამოიწვია. თუმცა ამ სიმაგრის წინ მას მხოლოდ 7.000—8.000 კაცი ედგა, ესე იგი ორი მესამედი გარნიზონი,—ზარალი მაინც მნიშვნელოვანი იყო. ადიჯეზე მზვერავ არმიაში 30.000 კაცზე მეტის შეგროვება შეუძლებელი იყო. ასეთ მცირე ჯარს უხდებოდა ბრძოლა ავსტრიის მთავარ არმიასთან. იტალიასა და ტიროლს შორის ძალიან გაცხოველებული მიწერ-მოწერა იყო. ტიროლში თავს იყრიდა მტერი. ყოველდღე შეიძლებოდა დარწმუნება თუ რა მავნე გავლენა ჰქონდა ამ მზადებას იტალიის ხალხთა განწყობილებაზე. ფრანგების მომხრენი თრთოდნენ, ავსტრიის მომხრენი იმუქრებოდნენ, მაგრამ ყველას უკვირდა რომ ისეთმა ძლიერმა სახელმწიფომ, როგორიც საფრანგეთია, დახმარება ვერ აღმოუჩინა იმ არმიას რომელმაც ასე კარგად ემსახურა მას. ეს კილვა ჯარისკაცებშიაც-კი გავრცელდა, მოსახლეობასთან მათი მისვლა-მოსვლის გამო.

სორეს დივიზია იდგა პოზიციაზე სალოში, აფარავდა ადგილს იდროსა და გარდის ტბებს შორის და სჭრიდა ტრიენტიდან ბრეშიაში მიმავალ გზას კიეზის ხეობაში. მასენას, რომელიც ბუსოლენგოში იყო დაბანაკებული, ეკავა კორონა და მონტე-ბალდო ჟუბერის ბრიგადით, მისი დივიზიის მეორე ნაწილი დაბანაკებული იყო რივოლის ტაფობზე. დალემანის ბრიგადა, დესპინუას დივიზიიდან, იცავდა ვერონის ხიდებს, ამ დივიზიის მეორე ბრიგადა იცავდა ადიჯეს პორტო-ლენიაგომდე, ოჟეროს დივიზიას ეკავა პორტო-ლენიაგო და ქვედა ადიჯე. პესკიერის ციხისთავად იყო გენერალი გილიომი; აქ ექვსი კატარღა მე-2 რანგის კაპიტნის ალემანის უფროსობით ბრძანებლობდა გარდის ტბაზე. სერიურიე ხელმძღვანელობდა მანტუს ალყას. კილმენი არმიის ცხენოსან ჯარს სარდლობდა, დომარტენი—არტილერიას. მთავარი ბანაკი გადაიტანეს კასტელნუოვოში, ადიჯის, კიეზის და მანტუს მახლობლად.

III

ვურმზერმა თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა ტრიენტში და თავი მოუყარა მთელ არმიას იტალიის ტიროლში. არმია სამ კორპუსად გაჰყო. მარცხენას, რომელსაც სარდლობდნენ გენერლები დავიდოვიჩი, მესაროში და მიტროვსკი, შეადგენდა 20.000 კაცი და უნდა გაევლო ადიჯეს ხეობა: მესაროშს უნდა ევლო მარცხენა ნაპირის გზატკეცილზე და შესულიყო ვერონაში ძაღლობებით; დავიდოვიჩი და მიტროვსკი, ცხენოსანი ჯარითა და არტილერიით უნდა გადასულიყვნენ ადიჯეზე იმ ხიდით რომელიც დოლჩესთან იყო აგებული, და წასულიყვნენ კოსარიისკენ. ცენტრი, 30.000 კაცის შემადგენლობით, ვურმზერის სარდლობით (ოთხი დივიზია გენერლების მელასის, სებოტენდორფის, ბაიალიჩის და ლიპტაის) უნდა შესულიყო იტალიაში მონტე-ბალდოზე და ადიჯესა და გარდის ტბას-შუა მდებარე ადგილზე გავლით. მარჯვენას, 20.000 კაცის შემადგენლობით, კეაჟდანოვიჩის, ოტის, პრინც რაისის და ოჩკაის უფროსობით, უნდა გაევლო კიეზა, წასულიყო ბრეშიისაკენ და შემოევლო საფრანგეთის მთელი არმიისათვის, გამოეცალკევებინა იგი მილანიდან და მოეჭრა მისთვის უკანდა-

სახელვი გზები. მისი სრული დამარცხება ეფექტური შედეგი იქნებოდა ასეთი ხელოვნურად მოფიქრებულ კომბინაციისა. რადგან ვურმზერს დიდი უპირატესობა ჰქონდა თავისი ძალების სიჭარბით, იგი ფიქრობდა არა უბრალო გამარჯვებას არამედ ამ გამარჯვების ისე გამოყენებას რომ იგი გადამწყვეტი და საბედისწერო ყოფილიყო მტრისათვის[1].

IV

ძლივს გავიდა რამდენიმე დღე ნაპოლეონის მილანში მოსვლიდან რომ მან გაიგო ტიროლიდან ჯარების დაძვრა. იგი სასწრაფოდ გაემგზავრა კასტელნუოვოს, თავის მთავარ ბანაკში. ამ პატარა დაბაში ის ახლოს იყო მონტებალდოს მთებსა და ვერონასთან. დილას 29 ივლისს მან გაიგო რომ კორონაზე მტერმა დიდი ძალებით იერიში მიიტანა, რომ გენერალ მესაროშის მსუბუქი ჯარები გამოვიდნენ ვერონის ხიდებზე, ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, და მრავალრიცხოვანი რაზმები ჩამოდიან როკა-დ'ანფოდან. მთელი ღამის განმავლობაში ცნობები ყოველსაათობით ერთიმეორეზე მოდიოდა. გამოირკვა შემდეგი: ჟუბერი, რომელზედაც იერიში მიიტანეს კორონაზე, მთელ დღეს იგერიებდა მტერს, მაგრამ საღამოს მან დაიხია რივოლის ტაფობზე, სადაც დიდი ძალებით იდგა მასენა; ავსტრიის საბანაკო ცეცხლებით მოფენილია მთელი ადგილი გარდის ტბასა და ადიჯეს შუა; ვერონის მაღლობებზე თავმოყრილია მესაროშის დივიზიის ყველა მსუბუქი ჯარი. კვაჟდანოვიჩი, ბრეშიის მხრიდან კიეზის ხეობაში გამოსული, სამ რაზმად გაიყო: ერთი იფარავს სანტ-ოზეტოს[2] მაღლობებს და, როგორც ეტყობა, ბრეშიისკენ მიდის, მეორემ დაიკავა პოზიცია გავარდოსთან,—მოსალოდნელია მისი წამოსვლა პონტე-სან-მარკოსა და ლონატოსკენ, მესამე გაემართა სალოსკენ, სადაც იბრძოდა დღის სამი საათიდან. 30-ს დილით მოვიდა ცნობა რომ სანტ-ოზეტის რაზმი შევიდა ბრეშიაში, სადაც წინააღმდეგობას არ შეხვედრია, იქ ამ რაზმმა ტყვედ ჩაიგდო ოთხი ასეული რომელიც ჰოსპიტლების დასაცავად იყო დატოვებული. ამნაირად, ერთი იმ გზათაგანი, რომლებიც საფრანგეთის არმიას აკავშირებდა მილანთან, გადაჭრილი აღმოჩნდა. გადარჩა მხოლოდ ერთადერთი—კრემონის გზა. ყველა გზაზე ბრეშიიდან მილანში, კრემონაში, მანტუში შენიშნეს პირები რომლებიც ავრცელებდნენ ხმებს რომ ერთი არმია, 80.000 კაცის რაოდენობით, გამოვიდა ბრეშიიდან, მეორე არმია კი, 100.000 კაცისაგან შემდგარი,—ვერონიდან, რომ სორემ, რომელსაც ეშინოდა—არ მოეწყვიტნათ იგი ბრეშიისა და

---

[1] ნაპოლეონის ხელით დაწერილი შენიშვნა:

ავსტრიის გენერლები:

მარჯვენა ფრთა	შუაგული	მარცხენა ფრთა
1. კვაჟდანოვიჩი.	1. ვურმზერი.	1. დავიდოვიჩი.
2. ოჩკაი.	2. მელასი.	2. მესაროში.
3 ოტი.	3. სებოტენდორფი.	3. მიტროვ კი.
4. პრინცი რაისი.	4. ლიპტაი.	
	5. ბაიალიჩი.	

[2] თანამედროვე რუკებზე ეს ადგილი აღნიშნულია სანტ-ეზებიოს სახელით.

ფრ. რედ. შენიშვნა.

არმიისაგან, დაიხია დეზენცანოს მაღლობებზე, და დასტოვა სალოსთან გენერალი გიო 15.000 კაცით, უეცარი თავდასხმისაგან დაცულ ძველებურ ციხედარბაზში, რომ მტრის გავარდელი რაზმის მიერ გაგზავნილია პონტე-სან-მარკოზე რამდენიმე ცხენოსანი პატრული, მაგრამ მათ აკავებს ეგერთა ასეული, რომელიც ამ ხიდს იცავსო.

V

ვურმზერის გეგმა ახლა გამომჟღავნებული იყო. მან ხელში ჩაიგდო თაოსნობა და იმედი ჰქონდა—ხელიდან არ გაეშვა იგი. ის ფიქრობდა რომ საფრანგეთის არმია უმოძრავოდ დგას მანტუს ირგვლივ და, თუ ამ ადგილს ალყას შემოარტყამდა, ამით ამ არმიასაც ალყაში მოამწყვდევდა. ამ განზრახვის ჩასაშლელად საჭირო იყო ინიციატივის ხელიდან გამოგლეჯა, მანტუს ალყის მოხსნა და ამით საალყო ჯარის ამოძრავება, სანგრებისა და საალყო პარკის დატოვება, რათა არმია სწრაფად დაძრულიყო მტრის ერთერთი კორპუსის წინააღმდეგ და შემდეგ ერთიმეორეზე მიყოლებით თავს დასხმოდა ორ დანარჩენსა. თითო ფრანგზე მოდიოდა ორ-ნახევარი ავსტრიელი, მაგრამ თუ მათ ცალკცალკე შეებრძოლებოდა საფრანგეთის მთელი არმია, მაშინ ამ უკანასკნელს ბრძოლის ველზე რიცხვობრივი უპირატესობა ექნებოდა. ნაპოლეონი ჯერ დაიძრა მარჯვენა კორპუსის წინააღმდეგ რომელსაც კვაჟდანოვიჩი სარდლობდა.

სერიურიეს დივიზიამ დასწვა საალყო ლაფეტები და ბაქნები, თოფისწამალი წყალში გადაჰყარა, ყუმბარები მიწაში ჩამარხა, ქვემეხები გამოჩურთა და ღამით 31 ივლისიდან 1 აგვისტოს მოხსნა მანტუს ალყა. ოჟეროს დივიზია გაემართა ლენიაგოდან მინჩიოზე, ბორგეტოში. მასენას ჯარები მთელ დღეს იცავდნენ მაღლობებს ადიჯესა და გარდის ტბას შორის. დალემანის ბრიგადა გაიგზავნა ლონატოზე.

ნაპოლეონი წავიდა მაღლობებზე დეზენცანოს უკან, ადგილი უბრძანა სორეს—ხელახლად დაძრულიყო სალოსკენ გენერალ გიოს გამოსახსნელად; ეს გენერალი განსაცდელში იყო ჩავარდნილი ცუდ პოზიციაზე, სადაც იგი დასტოვა სორემ. გიო ებრძოდა იქ 48 საათის განმავლობაში მტრის მთელ დივიზიას, რომელიც ხუთჯერ გადმოვიდა იერიშზე და ხუთჯერვე უკუაგდეს. სორე მივიდა სწორედ იმ წუთს როდესაც მტერი უკანასკნელ ღონეს ძაბავდა; იგი თავს დაესხა მას ფრთებზე, შემუსრა იგი და ხელთ იგდო დროშები, ზარბაზნები და ტყვეები.

იმავე დროს გენერალ ოჩკაის ავსტრიის დივიზია გავარდოდან მიდიოდა ლონატოზე, რათა მაღლობებზე პოზიცია დაეკავებინა და დაკავშირებოდა ვურმზერს მინჩიოზე. ნაპოლეონი თვითონ წაუძღვა მის წინააღმდეგ დალემანის ბრიგადას. ბრიგადამ საკვირველი გულადობა გამოიჩინა. ოჩკაი გააქციეს საშინლად დაზარალებული. სორეს და დალემანის მიერ დამარცხებული ამ ორი დივიზიის ნაშთები თავს იყრიდნენ გავარდოში. სორეს ეშინოდა რომ მტერი თავს არ დასხმოდა და კვლავ შუა პოზიცია დაიკავა სალოსა და დეზენცანოს შორის.

ამასობაში ვურმზერმა განკარგულება გასცა—გადასულიყო ადიჯეზე მისი არტილერია და ცხენოსანი ჯარი. მას ეკავა მთელი ადგილი ადიჯესა და გარდის ტბას შორის, და ერთ-ერთი თავისი დივიზია დააყენა პესკიერის მაღლო-

ბებზე, რათა დაეფარა ეს სიმაგრე და დაეცვა თავისი სამიმოსვლო გზები. ორი სხვა დივიზია ცხენოსანი ჯარის ერთი ნაწილითურთ ბორგეტოსკენ გაგზავნა, მინჩიოს ხიდის დასაკავებლად და კიეზაზე გამოსასვლელად, იმ მიზნით რომ თავის მარჯვენა კოლონას დაკავშირებოდა. ორი უკანასკნელი ქვეითი დივიზიით და დარჩენილი ცხენოსანი ჯარით ის დაიძრა მანტუსკენ, რათა მოეხსნა ალყა ამ სიმაგრეზე. მაგრამ ალყა უკვე მოხსნილი იყო 24 საათით ადრე. მან იქ იპოვა სანგრები და ბატარიები ჯერ კიდევ დაუზიანებელი. ქვემეხები—გადაბრუნებული და გამოჩურთული, ყველგან—ლაფეტების, ბაქნების და საჭურველის ნარჩენები. იმ აჩქარებას, რომელმაც თითქოს გამოიწვია ეს ლონისძიება, ის უნდა გაეხარებინა; ყველაფერი, რასაც აქ ვურმზერი ხედავდა, ცხადად მოწმობდა უფრო შიშს ვიდრე წინასწარ გაანგარიშებულ გეგმას.

მასენა, რომელიც იგერიებდა მტერს მთელ დღეს—30 ივლისს, ღამით გადავიდა პესკიერაში მინჩიოდან და განაგრძობდა სვლას ბრეშიისკენ. ავსტრიის დივიზიამ, რომელიც პესკიერის წინ გამოჩნდა, დაინახა მინჩიოს მარჯვენა ნაპირზე ურიცხვი მსროლელები; ესენი გამოგზავნილი იყვნენ მასენას არიერგარდიდან და გარნიზონიდან პიჟონის მეთაურობით. პიჟონს ნაბრძანები ჰქონდა—არ გადმოეშვა მტერი ამ მდინარეზე და, როცა მტერი მას გადმოლახავდა, თავი მოეყარა ლონატოსთან. ოჟეროო, რომელიც ბრეშისაკენ მიდიოდა, გადავიდა ბორგეტოში, ჩასტეხა ხიდი და დასტოვა არიერგარდი მარჯვენა ნაპირის დასაკავებლად; ამ არიერგარდს ნაბრძანები ჰქონდა—თავი მოეყარა კასტილიონეში როდესაც მტერი მდინარეს გადმოლახავდა. მთელ ღამეს, 31 ივლისიდან 1-ლ აგვისტოს, ნაპოლეონი ოჟეროსა და მასენას დივიზიებით გზად იყო ბრეშიისაკენ, სადაც მივიდა დილას 10 საათზე.

მტრის დივიზიამ, როდესაც გაიგო რომ საფრანგეთის არმია ყველა გზით მისკენ მიემართება, სასწრაფოდ დაიხია. როცა ეს დივიზია ბრეშიაში შევიდა, იქ 500 ავადმყოფი ფრანგი დახვდა, მაგრამ ისე ცოტა ხანს დარჩა ამ ქალაქში რომ ვერ მოასწრო მათი დაკითხვა და თავისი მოქმედების შეთანხმება ტყვეების მიერ მოცემულ ჩვენებასთან. გენერალი დესპინუა და შტაბის პოლკოვნიკი ერბენი, თითოეული—რამდენიმე ათასეულით, დაედევნენ მტერს სანტ-ოზეტოსა და კიეზოსკენ. ნაპოლეონი ორი დივიზიით—ოჟეროსით და მასენასით—უკან გამობრუნდა სწრაფი კონტრმოძრაობით და გაემართა მინჩიოდან კიეზისკენ, საიდანაც ორივე ეს დივიზია წინათ გამოვიდა, რათა დახმარებოდნენ თავიანთ არიერგარდებს, რომელნიც ახლა მოწინავე რაზმებად გადაიქცნენ.

VI

2 აგვისტოს ოჟეროო, მარჯვენა ფრთაზე, მონტე-ქიარო დაიკავა; მასენა, შუაგულში, დადგა პონტე-სან-მარკოსთან და დაუკავშირდა სორეს; უკანასკნელს ეკავა მარცხენა ფრთაზე მაღლობები სალოსა და დეზენცანოს შუა. უკან შებრუნებული ფრონტით, რათა შეეკავებინა კვაჟდანოვიჩის უკვე არეულ-დარეული მარჯვენა ფრთა.

ამასობაში, ოჟეროსა და მასენას მიერ მინჩიოზე დატოვებული არიერგარდები იხევდნენ მტრის დივიზიების მოწოლის გამო, რომელთაც ამ მდინარის ფონები გადმოლახეს. ოჟეროს არიერგარდმა, რომელსაც ნაბრძანები

ჰქონდა თავის მოყრა კასტილიონეში, ნაადრევად მიატოვა თავისი საგუშაგო და უწესრიგოდ დაბრუნდა თავის მთავარ ძალებთან. გენერალი ვალეტი, რომელიც ამ არიერგარდს სარდლობდა, გადააყენეს თანამდებობიდან მწყობრის წინაშე იმიტომ რომ ამ შემთხვევაში არ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე. გენერალ პიჟონზე-კი უნდა ითქვას რომ მან მასენას არიერგარდით სრული წესრიგით მიაწია ლონატოს. მტერმა ისარგებლა გენერალ ვალეტის წინდაუხედაობა და 2 აგვისტოს კასტილიონე დაიპყრო; იქ ის გამაგრდა.

3 აგვისტოს მოხდა ბრძოლა ლონატოსთან. ეს ბრძოლა დაიწყო ვურმზერის ორმა დივიზიამ რომელნიც გადავიდნენ მინჩიოს ხიდზე, ბორგეტოსთან. მათში ერია ლიპტაის დივიზია და ბაიალიჩის დივიზიის ერთი ბრიგადა; ეს ბრიგადა ბაიალიჩმა დასტოვა პესკიერის წინ. ავსტრიელების ძალა ცხენოსანი ჯარითურთ 30.000 კაცს უდრიდა. ფრანგებს ჰყავდათ 20.000—23.000 კაცი. ვურმზერს ორი ქვეითი დივიზიით და ცხენოსანი ჯარით, რომლებიც მან მანტუს წაიყვანა, და მით უფრო კვაჟდანოვიჩს, რომელიც უკვე იხევდა, არ შეეძლოთ აქ ყოფილიყვნენ.

დილას, განთიადზე, მტერი დაიძრა ლონატოსკენ, რომელზედაც მან სწრაფი იერიში მიიტანა. ის აქ იმედობდა—დაკავშირებოდა თავის მარჯვენა ფრთას რომლის ბედი მას აწუხებდა. მასენას მოწინავე რაზმი უკუაგდეს, ლონატო აიღეს. მთავარსარდალი, რომელიც პონტე-სან-მარკოში იმყოფებოდა, ჯარებს სათავეში ჩაუდგა. ავსტრიის მთავარსარდალმა მეტად გასჭიმა თავისი ჯარები,—ამით მას ეწადა თავისი მარჯვენა ფრთის წაწევა იმ მიზნით, რომ გაეხსნა თავისთვის გზები სალოსკენ,—რის გამო მისი ფრონტი ფრანგებმა გაარღვიეს შუაგულში. ლონატო ხელახლად აიღეს იერიშით და მტრის ხაზი ორად გასჭრეს. ერთმა ნაწილმა დაიხია მინჩიოსკენ, მეორემ მოკურცხლა სალოსკენ, მაგრამ მას წინ შეეგება გენერალი სორე, ზურგიდან-კი დასცხო გენერალმა სენტ-ილერმა, და იძულებული გახდა—იარაღი დაეყარა. თუ ფრანგებს შუაგულში შეუტიეს, სამაგიეროდ მათ მარჯვენა ფრთას შეუტიეს. ოჟერომ შემორკალა ლიპტაის დივიზია, რომელიც კასტილიონეს იფარავდა, და მედგარი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა იგი. მტერმა დაჰკარგა კასტილიონე და დაიხია მანტუსკენ, საიდანაც მას მოუსწრო დამხმარე ჯარმა მაგრამ უკვე მის მერმედ როცა ბრძოლა გათავებული იყო. ოჟეროს დივიზიამ ამ შეუპოვარ ბრძოლაში ბევრი გულადი მებრძოლი დაჰკარგა. ჯარს გული დასწყვიტა მეტადრე გენერალ ბეირანისა და პოლკოვნიკ პურაის—ფრიად წარჩინებულ ოფიცრების—დაკარგვამ.

VII

კვაჟდანოვიჩმა ღამით მიიღო ლონატოს ბრძოლის გათავების ცნობა. მას მთელ დღეს მოესმოდა იქიდან ზარბაზნების გრიალი. მისი მდგომარეობა ძალიან მძიმდებოდა: არმიის მთავარ ძალებთან შეერთება შეუძლებელი გახდა. თანაც ის ფიქრობდა რომ ფრანგის დივიზიები, რომელნიც მის წინააღმდეგ 2 აგვისტოს მოქმედებდნენ, განაგრძობენ მუდამ მის უკან სვლას, და ამით მის წარმოდგენაში საფრანგეთის არმია უზარმაზარი ხდებოდა. მას ეჩვენებოდა რომ ეს არმია ყველგან იმყოფება. ვურმზერმა ერთი ნაწილი თავისი ჯარები მანტუდან მარქარში გაგზავნა სერიურიეს დასადევნებლად და დაჰკარგა დრო სანამ ამ ჯარს

კასტილიონესკენ გამოაბრუნებდა. 4 აგვისტოს მან ეს ვერ მოახერხა. ის მთელ დღეს მოუნდა თავისი ნაწილების შეკრებას და მოწესრიგებას და თავისი არტილერიის მომარაგებას საბრძოლო მასალებით.

ნაპოლეონმა ნაშუადღევს, 2 ან 3 საათზე, დაზკერა ავსტრიის არმიის საბრძოლო ხაზი. ის მას მრისხანე ეჩვენა: ამ ხაზზე კიდევ იყო 25.000—30.000 მებრძოლი.

მან უბრძანა—გაემაგრებიათ კასტილიონე. შეასწორა ოჟეროს მიერ დაკავებული პოზიცია და წავიდა ლონატოს, რათა პირადად თვალყური ედევნებინა თავისი ჯარების მოძრაობისთვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ჯარების თავმოყრას ღამით კასტილიონეს ირგვლივ. მთელ დღეს სორე და ერბენი, ერთი მხრით, დალემანი და სენტ-ილერი, მეორე მხრით, შეუჩერებლივ მისდევდნენ მტრის მარჯვენა ფრთის სამ დივიზიას და იმ დივიზიებს, რომლებიც მოსწყვიტეს ცენტრს ლონატოს ბრძოლაში. ყოველ ნაბიჯზე იჭერდნენ ტყვეებს. ათასეულები სრული თავიანთი შემადგენლობით ყრიდნენ იარაღს—ზოგი სანტ-ოზეტოში, ზოგიც გავარდოში, ბევრმა არ იცოდა რა ექნა და ისინი დაიფანტნენ ახლო ხეობებში. მათგან 4.000—5.000 კაცი,—როცა გლეხებისაგან მათ გაიგეს რომ ლონატოში მხოლოდ 1200 ფრანგიაო, გაემართა იქითკენ იმ იმედით, რომ გაიკაფავდნენ გზას მინჩიოსკენ. საღამოს 5 საათი იყო. ნაპოლეონიც, კასტილიონიდან წამოსული, შევიდა ლონატოში, მეორე მხრიდან. მასთან მოციქული მიიყვანეს. ამავე დროს აცნობეს რომ მტრის რაზმები პონტე-სანმარკოს ხიდზე გამოდიან, მიზნად აქვთ ლონატოს დაკავება და მოითხოვენ ამ ქალაქის ჩაბარებასაო. ამასობაში სალო და გავარდო მუდამ ფრანგებს ეკავათ. ცხადი იყო რომ ესენი უნდა ყოფილიყვნენ გზადაბნეული კოლონები, რომელნიც ცდილობდნენ გაღწევას. ნაპოლეონმა უბრძანა თავის შტაბს—ცხენებზე შესხდომა, შემდეგ თვალახვეულ ოფიცრის—მოციქულის—მოყვანა და მისთვის თვალსახვევის მოხსნა მთავარი ბანაკის ხმაურობა-მოძრაობაში. „უთხარით თქენს გენერალს,—განუცხადა მას ნაპოლეონმა,—რომ მას რვა წუთის ვადას ვაძლევ იმისათვის რომ იარაღი დაჰყაროს; ის მოემწყვდა საფრანგეთის მთელ არმიას შორის. ამ დროის გასვლის შემდეგ ნურაფრის იმედი ნუ ექნებაო“. დაქანცულებმა და მთელი სამი დღის განმავლობაში ნახეტიალებმა, გულგატეხილებმა, რომელთაც არ ესმოდათ თუ რა მოხდა, დარწმუნებულებმა რომ გლეხებმა ისინი მოატყუილეს, მათ—ამ 4.000—5.000 კაცმა—იარაღი დაჰყარეს. ეს შემთხვევა გვიჩვენებს თუ რა უწესრიგობა და არევ-დარევა იყო სალოსთან, ლონატოსთან, გავარდოსთან, დამარცხებულ ავსტრიის დივიზიებში რომელთაც სდევნიდნენ ყველა მიმართულებით და რომელნიც თითქმის განადგურდნენ. მთელი დანარჩენი დღე, 4 აგვისტო, და მთელი ღამე დასჭირდა კოლონების შეკრებასა და თავმოყრას კასტილიონეში.

VIII

5-ს განთიადზე საფრანგეთის არმიამ, 20.000 კაცის რაოდენობით, დაიკავა კასტილიონის მაღლობები—საუცხოვო პოზიცია. სერიურიეს დივიზიამ, 5.000 კაცის შემადგენლობით, ბრძანება მიიღო გამოსულიყო მარკარიდან, ევლო ღამით და დილას თავდასხმოდა ვურმზერის ზურგსა და მარცხენა ფრთას. სერიურიეს

ზარბაზნების სროლა საერთო ბრძოლის დაწყების ნიშანი უნდა ყოფილიყო. დიდ მორალურ წარმატებას მოელოდნენ ამ უეცარი იერიშისაგან, და რომ იგი საგრძნობი გაეხადათ, საფრანგეთის არმიამ თავი ისე მოაჩვენა თითქოს იხევდა. როგორც კი მას სერიურიეს, რომლის ავადმყოფობის გამო მის მაგივრობას გენერალი ფიორელა სწევდა, შემომვლელ კოლონის ზარბაზნების გრიალი მოესმა, არმია სწრაფად დაიძრა წინ და ეძგერა მტერს, რომელსაც შეერყა თავისთავის რწმენა და გამოეცალა თავისი პირველი აღფრთოვანება. მედოლის[1] ბორცვი, რომელიც შუა ვაკეზეა ამართული, მტრის მარცხენა ფრთის დასაყრდენი წერტი იყო. მასზე იერიშის მიტანა მინდობილი ჰქონდა შტაბის პოლკოვნიკს ვერდიეს; ადიუტანტმა მარმონმა გაგზავნა იქითკენ რამდენიმე საარტილერიო ბატარია. ბორცვი აიღეს. მასენამ შეუტია მარჯვენა ფრთას, ოჟერომ—შუაგულს, ფიორელამ დაარტყა ზურგიდან მარცხენა ფრთას; მსუბუქმა ცხენოსანმა რაზმმა ანაზდად იერიში მიიტანა მთავარ ბანაკზე და კინალამ ტყვედ ჩაიგდო თვითონ ვურმზერი. მტერმა ყველგან დახევა დაიწყო. ფრანგის ჯარების მხოლოდ მეტისმეტ დაქანცულობამ იხსნა ავსტრიის არმია, რომელმაც უწესრიგოდ მოკურცხლა მინჩიოს მარცხენა ნაპირზე; ის იმედოვნობდა—აქ თავს მოვიყრი და გავმაგრდებიო. მისთვის ხელსაყრელი იყო აქ დარჩენა რადგან ინარჩუნებდა მანტუსკენ მიმავალ გზებს. მაგრამ ოჟეროს დივიზია დაიძრა ბორგეტოსკენ, მასენას დივიზია-კი—პესკიერისკენ. გენერალმა გილიომმა, პესკიერის ციხისთავმა, რომელსაც მარტო 400 ციხოვანი ჰყავდა, ამოჰქოლა კარები. რამდენიმე საათის დაკარგვა მოუხდათ ამ კარების განგრევაზე. ავსტრიის ჯარი, რომელიც პესკიერას გარს ადგა, დასვენებული იყო. ის დიდხანს გაუმაგრდა მე-18 სასაზღვრო ნახევარბრიგადას, რომელსაც პოლკოვნიკი სიუშე მეთაურობდა, მაგრამ, ბოლოს, დამარცხდა, დაჰკარგა 18 ზარბაზანი და ბევრი ტყვე.

მთავარსარდალი სერიურიეს დივიზიითურთ ვერონისკენ გაემართა, სადაც მივიდა 7-ს, ღამით. ვურმზერმა ქალაქის კარების ჩაკეტვის განკარგულება გასცა; ამით მას სურდა—მოეგო ღამე ვერონის გასახიზნად. მაგრამ ნაპოლეონმა უბრძანა—კარები ზარბაზნის ყუმბარებით ჩაემტვრიათ,—და აიღო ქალაქი. ავსტრიელები ძლიერ დაზარალდნენ.

ოჟეროს დივიზია, რადგან მას გაუძნელდა მდინარეზე გადასვლა ბორგეტოსთან, პესკიერის ხიდზე გავიდა. ვურმზერმა, რომელმაც მინჩიოს ხაზი დაჰკარგა, სცადა შეენარჩუნებინა მონტე-ბალდოს და როკა-დ'ანფოს მნიშვნელოვანი პოზიცია. გენერალ სენტ-ილერმა შეუტია კვაჯდანოვიჩს იდროს ხეობაში, 12 რიცხვს აიღო როკა-დ'ანფო, ლოდრონე, რივა და წაართვა ბევრი ტყვე. ამ გარემოებამ აიძულა ავსტრიელები—დაეწვათ თავისი სატბაო ფლოტილია. მასენა დაიძრა მონტე-ბალდოსკენ; 11 რიცხვს მან კორონა აიღო. ოჟერო აჰყვა ზემოთ ადიჯეს მარცხენა ნაპირს, ქედ-ქედ, და მივიდა ალას მაღლობამდე. ამ სამი დივიზიის ბრძოლებმა და მანევრებმა მოგვცა 2.000 ტყვე და რამდენიმე ზარბაზანი.

ორი ასეთი ბრძოლის წაგების შემდეგ, რომელიც ლონატოსა და კასტილიონესთან მოხდა, ვურმზერს უნდა შეეგნო რომ მას არ შეუძლია აიძულოს ფრანგები—უარი სთქვან ადიჯეს ხაზის დაცვაზე. მან დაიხია როვერეტოსა და ტრიენტში.

---

[1] მონტე-მედელანო. სოლფერინოს სამხრეთ-დასავლეთითაა 3.800 მ-ზე.
ფრ. რედ. შენიშვნა.

თვითონ საფრანგეთის არმიასაც სჭირდებოდა დასვენება.

ავსტრიის არმია თავისი დამარცხების შემდეგ მაინც შედგებოდა 40.000 კაცისაგან, მაგრამ იმ განსხვავებით რომ ამიერიდან ფრანგების იტალიის არმიის ერთი ათასეული დაიფრენდა მტრის ოთხ ათასეულს, და ფრანგები ყველგან კრებდნენ ზარბაზნებს, ტყვეებს და სამხედრო საჭურველის ნივთებს. ვურმზერმა, მართალია, მიაწოდა მანტუს ციხოვანთ სურსათ-სანოვაგე, მან გამოიყვანა იქიდან ეუკასოვიჩის და როკავინის ბრიგადები, რომლებიც ახალი ჯარებით შესცვალა, მაგრამ მან უკან წაიყვანა მხოლოდ ნახევარი თავისი საუცხოვო არმია. თუმცა ესეც კია რომ ამ არმიაში, მისი დამარცხების შემდეგ, ასეთი დემორალიზაცია სრულებით არ იქნებოდა, ის რომ ასე გულდაჯერებული არ ყოფილიყო ლაშქრობის დაწყებისას.

ავსტრიის მთავარსარდლის გეგმა, რომელიც გაიმარჯვებდა სხვა გარემოებაში და სხვა კაცის წინააღმდეგ, ვიდრე მისი მოპირდაპირე იყო, აუცილებლად მარცხით უნდა დასრულებულიყო; თუმცა, ერთი შეხედვით, ამ დიდი და საუცხოვო არმიის დამარცხება რამდენიმე დღის განმავლობაში, თითქოს მარტო ნაპოლეონის ოსტატობას უნდა მიეწეროს, ვინაიდან იგი არ ჩერდებოდა ერთხელ მიღებულ გეგმაზე, არამედ ყოველთვის მოქმედებდა მდგომარეობასთან შეხამებით,—მაინც უნდა გამოვტყდეთ რომ ავსტრიელების გეგმა ძირითადად მანკიერი იყო. მოქმედება ცალკეული კორპუსებით, რომელთაც ერთმანეთში მისავალი გზები არა აქვთ, წინააღმდეგ შეჯგუფებული არმიისა, რომლის ნაწილები კარგად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული, ყოველთვის შეცთომა იქნება. ავსტრიელების მარჯვენა კორპუსს შეეძლო შუაგულთან დაკავშირება მხოლოდ როვერეტოდან და ლედროდან. მეორე შეცთომა იყო მარჯვენა ფრთის დაყოფა რამდენიმე კოლონად და სხვადასხვა მიზნის დასახვა მისი სხვადასხვა დივიზიისათვის. ის დივიზია, რომელიც ბრეშიასთან მივიდა, მოწინააღმდეგეს ვერ შეხვდა, ის-კი, რომელმაც ლონატომდე მიაღწია, შეეტაკა იმ ჯარს, რომელიც წინადღით ვერონაში იყო მარცხენა ფრთის წინ, ეს უკანასკნელი-კი ამ დროს შედიოდა ვერონის ოლქში და მოპირდაპირეს ვერავის ხვდებოდა.

ავსტრიის არმია შედგებოდა ძალიან კარგი ნაწილებისაგან. მაგრამ ამ არმიაში უვარგისი ნაწილებიც ერივნენ. ყველა, ვინც ვურმზერს მოჰყვა რაინის ოლქიდან, ჩინებული იყო, მაგრამ ბოლიეს ძველი არმიის კადრები, ბევრჯერ დამარცხებულნი, დემორალიზებული იყვნენ. ბრძოლებსა და შეტაკებებში 29 ივნისიდან 12 აგვისტომდე საფრანგეთის არმიამ ხელთ იგდო 15.000 ტყვე, 70 ზარბაზანი და ცხრა დროშა; მტერს მოუკლეს და დაუჭრეს 25.000 კაცი. საფრანგეთის არმიის ზარალი უდრიდა 7.000 კაცს, რომელთაგან 1.400 ტყვედ ჩავარდა, 600 მოიკლა და 5.000 დაიჭრა, ამათში ნახევარი—მსუბუქად.

IX

მანტუს გარნიზონმა ალყის მოხსნის შემდეგ პირველი დღეები მოანდომა მტრის ნაგებობათა დანგრევას, საალყო პარკის ქვემეხებისა და მოწყობილობათა გატანას. ვურმზერის სწრაფმა დახევამ ჩქარა დააბრუნა ფრანგები ციხესთან. საალყო პარკის დაკარგვამ წაართვა მათ ალყის განგრძობის საშუა-

ლება. დაკარგვა ამ პარკის, რომელიც დიდი გაჭირვებით შეიქმნა იტალიის სხვადასხვა სიმაგრიდან წამოღებულ ქვემეხებისაგან, მეტად საგრძნობი იყო. ესეც კია რომ წელიწადის ძალიან ცუდი დრო დადგა; სანგრების აგება და მომსახურება მეტად საშიში იყო ჯარისთვის ამ დროს, როცა შემოდგომის ავდრის მიერ გამოწვეული ავადმყოფობა და სიკვდილიანობა თანდათან მატულობდა. ფრანგებს არ დაუწყიათ მეორე საალყო პარკის შექმნა: კვლავ რატომ უნდა დაეკარგათ იგი ახალი შემთხვევების დროს როცა იძულებული იქნებოდნენ მეორედ მოეხსნათ ალყა. ისინი დაკმაყოფილდნენ უბრალო გარემოცვას. ეს დაეკისრა გენერალ საიუგეს. მან იერიში მიიტანა გოვერნოლოზე და უბრძანა გენერალ დალემანს — შეეტია ბორგოფორტეზე.

24 აგვისტოს მის ხელში იყო მთელი სერალიო. მან შერეკა მტერი ციხეში და შემოადგა მას გარშემო. გაადიდა სანგრებისა და სხვა ნაგებობათა რიცხვი კონტრვალაციურ ხაზზე. მისი ჯარის რიცხვი ყოველდღე კლებულობდა მომაკვდინებელ ციებ-ცხელებისაგან, და შიშით ითვალისწინებდნენ დანაკლისის მატებას ამ შემოდგომის განმავლობაში. მართალია, ციხოვანებიც იმავე სენით ხდებოდნენ ავად მაგრამ ისინი უკეთესად იყვნენ დაფარული საბლებში და უფრო კარგად მოწყობილი, ვიდრე გარემდგომნი.

X

როგორც კი საფრანგეთის არმიის მარცხის პირველი ხმები დაირხა, იტალიის მოსახლეობამ გამოამჟღავნა—ვის მხარეზე იხრებოდა იგი. მტრის მომხრეთა პარტია ყველაზე უფრო ამოძრავდა კრემონაში, კაზალ-მაჯიორესა და პავიაში, მაგრამ საერთოდ ლომბარდიაში კარგი განწყობილება ჭარბობდა. მილანში ხალხი იჩენდა შეუდრეკელ სიმტკიცეს და უცვლელ ერთგულობას საფრანგეთისადმი. ამისთვის მან ამ დროიდან დაიმსახურა ნაპოლეონის ნდობა; ნაპოლეონმა ანდო მათ იარაღი, რასაც მილანი დაჯინებით თხოულობდა; მან შესძლო ამ იარაღის კარგად გამოყენება. რამდენიმე ხნის შემდეგ ნაპოლეონი სწერდა მილანელებს:

„როდესაც საფრანგეთის არმიამ დახევა იწყო და ავსტრიის მომხრეები და იტალიის თავისუფლების მტრები მას დაღუპულად სთვლიდნენ, როდესაც თქვენ თვითონ ვერ იფიქრებდით რომ ეს დახევა მხოლოდ ხერხი იყო,—მაშინ გამოიჩინეთ თქვენ ერთგულობა საფრანგეთისადმი და სიყვარული თავისუფლებისადმი. თქვენ დაამტკიცეთ თქვენი გულმოდგინება და შეუდრეკელი სიმტკიცე, რამაც გამოიწვია არმიაში თქვენდამი პატივისცემა. ამ დამსახურებისათვის თქვენ აყვანილი იქნებით რესპუბლიკის განსაკუთრებულ მფარველობაში. თქვენი ხალხი სულ უფროდაუფრო დღითი-დღე ღირსი ხდება თავისუფლებისა, დღითი-დღე მას მხნეობა ემატება, და ის, უეჭველია, ერთ მშვენიერ დღეს დიდებით გამოვა მსოფლიო სარბიელზე. მიიღეთ ჩემი სიამოვნების გრძნობა და ფრანგი ხალხის გულითადი სურვილი—გიხილოს თქვენ თავისუფალი და ბედნიერი“.

ბოლონიის, ფერარის, რეჯიოს და მოდენის მოსახლეობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ფრანგების ბედისადმი. მათი მარცხის ამბებს უნდობლად შეხვდა, გამარჯვების ამბები-კი, პირიქით, აღტაცებით მიიღო. პარმა ერთგული დარჩა, მაგრამ მოდენის სარეგენტომ მტრობა გამოამჟღავნა.

რომში ფრანგებს შეურაცხყოფას აყენებდნენ ქუჩებში. დროებითი ზავის პირობების შესრულება შეაჩერეს. კარდინალმა მათეიმ, ფერარის არქიეპისკოპოსმა, დაამტკიცა თავისი სიხარული მანტუს ალყის მოხსნისას. ის მოუწოდებდა ხალხს აჯანყებისაკენ, ხელში ჩაიგდო ფერარის ციხე და მასზე ეკლესიის ალამი აღმართა. პაპმა მაშინვე გაგზავნა იქ ლეგატი. ხალხს არწმუნებდნენ რომ ფრანგები უკვე ალპების გადაღმა არიანო. კასტილიონეს ბრძოლის შემდეგ კარდინალი მათეი ბრეშიაში გამოიწვიეს. როცა მთავარსარდალთან შეიყვანეს—ყველაფერზე ასე პასუხობდა: „ცოდვილი ვარ“ (peccavi); ამან განაიარაღა გამარჯვებული, რომელიც დაკმაყოფილდა კარდინალის სამი თვით შინაურ პატიმრობას სემინარიაში. შემდეგში ეს კარდინალი პაპის სრულუფლებიან წარმომადგენლად იყო ტოლენტინოში.

ჯილდოდ კარგი მოქმედებისათვის ლონატოს ბრძოლის დროს ოჟეროს შემდეგში მიეცა კასტილიონის ჰერცოგის წოდება. ამ ბრძოლაში ოჟერო მარჯვენა ფრთას სარდლობდა და დავალებული ჰქონდა კასტილიონეს აღება. ლონატოს ბრძოლა ყველაზე უფრო ბრწყინვალე გმირობაა ამ გენერლის ცხოვრებაში. შემდეგში ნაპოლეონი ამას არაოდეს არ ივიწყებდა.

VII თ ა ვ ი

მანევრირებანი და ბრძოლები მინჩიოსა და ბრენტას შუა

მე-6 სქემა

I. ავსტრიის არმიის მდგომარეობა ტიროლში 1-ლ სექტემბერს 1796 წ.—II. როვერეტოს ბრძოლა (4 სექტემბერს).—III. ვურმზერი ბასანოს ვაკეებზე ჩამოდის.—IV. პრიმოლანოს, კავოლოს, ჩისმონეს ბრძოლები (7 სექტემბერს).—საფრანგეთის არმიამ გადალახა ბრენტის ხეობა.—V. ვერონის ბრძოლა (7 სექტემბერს).—VI. ბასანოს ბრძოლა (8 სექტემბერს).—VII. ვურმზერი გადადის მდ. ადიჯეს პორტო-ლენიაგოს ხიდით (11 სექტემბერს).—VIII. სენ-ჟორჟის ბრძოლა (15 სექტემბერს). ვურმზეი იკეტება მანტუში.—IX. მანტუს მესამე გარემოცვა.

I

სამბრ-მაასის და რაინ-მოზელის არმიები, ბოლოს, რაინზე გადვიდნენ. ისინი სწრაფად შეიჭრნენ გერმანიის შუაგულში; პირველმა მიაღწია მდ. რეგნიცს, მეორემ—მდ. ლეხს. ვურმზერი 20-ათასიან შემვსებ ჯარს აგროვებდა ტიროლში. მან შეტევა დაიწყო; ის აპირებდა—30.000 კაცით გასულიყო ტრიენტიდან, ბრენტის ხეობებზე გავლით, ბასანოდან ქვედა ადიჯესკენ, მანტუს გამოსახსნელად. ტიროლის დასაცავად დასტოვა დავიდოვიჩი 25.000 კაცით.

ნაპოლეონი მიხვდა—რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თუ ის მიიზიდავდა ავსტრიის არმიას: ვინაიდან ამით ხელი ეშლებოდა ამ არმიას—გამოეყო ძალა რაინის არმიის წინააღმდეგ რომელიც ბავარიის ბარს უახლოვდებოდა. როგორც-კი მან ვურმზერის განზრახვა გამოიცნო, გადასწყვიტა—დაუყოვნებლივ შეეტია მისთვის და ნაწილ-ნაწილ დაემარცხებინა იგი იტალიაში შემოსვლისას,

და ამით დაესრულებინა იმ არმიის განადგურება, რომელმაც მას ამდენი სარჯელი მიაყენა და რისთვისაც ეს არმია საკმაოდ ვერ დაისაჯა ლონატოსა და კასტილიონესთან დამარცხებით.

გენერალ კილმენს 2.500—3.000-კაციან რაზმით, რომელსაც შეადგენდა ყოველგვარი იარაღის მხედრობა, დავალებული ჰქონდა ადიჯეს დაცვა და ამასთან მანტუს გარემოცვის დაფარვა; ამ გარემოცვას ხელმძღვანელობდა გენერალი საიუგე. კილმენმა დაიკავა ვერონისა და პორტო-ლენიაგოს ვაკეები. ვერონის გალავნის ერთი ნაწილი, ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, აღადგინეს, და ციხეებს შეეძლოთ ალყის გაძლება. კილმენისადმი მიცემულ დარიგებაში ყველაფერი იყო გათვალისწინებული.

1-ლ სექტემბერს ვურმზერი თავისი მთავარი ბანაკით ჯერ კიდევ ტრიენტში იმყოფებოდა, დავიდოვიჩი-კი—როვერეტოში. ის ფარავდა ტიროლს ვუკასოვიჩის დივიზიით, რომელიც მარკოში იდგა, მოწინავე რაზმით — სერავალეში და საწინაო სამზირებით—ალაში, და რაისის დივიზიით, რომელიც იდგა მორში, ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე, მოწინავე რაზმით—მდ. სარცის ხიდთან და საწინაო სამზირებით—ლოდრონზე. დავიდოვიჩის მარქაფი იდგა კალიანოს საუცხოვო პოზიციაზე, როვერეტოს იქით. სამი დივიზია და ცხენოსან ჯარის მარქაფი, რომლებითაც ვურმზერს ადიჯეზე მოქმედება უნდოდა, გზად იყენენ ტრიენტსა და ბასანოს შორის, მესაროშის დივიზია იდგა ამ ქალაქის ახლოს, სებოტენდორფის დივიზია—როვიგოსა და მანიანოში და კვაჟდანოვიჩის დივიზია—ლავისში.

ვობუას დივიზია, რომელიც საფრანგეთის არმიის მარცხენა ფრთას შეადგენდა, იმავე დღეს, 1-ლ სექტემბერს, დაიძრა ლოდრონიდან და აჰყვა ზემოთ კიეზას, ტრიენტში მიმავალ გზატკეცილით. მასენას დივიზია, ცხენოსანი ჯარის მარქაფი და მთავარი ბანაკი გადავიდნენ ადიჯეზე პოლის ხიდით და გაემართნენ მარცხენა ნაპირის გზატკეცილით. ვერონიდან გამოსული ოჟეროს დივიზია მიდიოდა მეორე ხაზში იმავე გზატკეცილზე, და მსუბუქი ქვეითი ჯარით ეკავა მთების ზედა ქედი; ეს მთები ბრძანებლობდნენ გზატკეცილს და ადიჯეს მარცხენა ნაპირის ველს.

ტიროლი ავსტრიის სამეფო გვარეულობის ერთ-ერთი ძველი სამფლობელოა. მის სამხრეთ ნაწილს—ტრენტინოს, იტალიის ტიროლად წოდებულს, განაგებდა ეპისკოპოსი, ტრიენტის მფლობელი. ტრიენტიდან იტალიაში სამი გზატკეცილი მიდის: ერთი, ბრენტის მარცხენა ნაპირით,—ბასანოს, ერთი, როვერეტოზე გავლით, ადიჯეს მარცხენა ნაპირზე,—ვერონას და ერთიც—ბრეშიას; ეს გზატკეცილი გადადის მდ. სარკაზე და მერმე გარდის ტბის ორსავე ნაპირზე გავლით მიჰყვება კიეზას და გადის როკა-დ'ანფოში. ვერონისა და ბასანოს გზატკეცილები ერთიმეორეს უერთდებიან განივი გზით.

II

პრინც რაისს უნდოდა მდ. სარკის ხიდის დაცვა, მაგრამ გენერალმა სენტ-ილერმა, ვობუას დივიზიის მოწინავე რაზმის სარდალმა, შეუტია მას, იერიშით დაიკავა ხიდი, ხელთ იგდო დიდძალი ტყვე და სდია კვალდაკვალ მორამდე. თავისი მხრით გენერალმა პიჟონმა, მასენას მოწინავე რაზმის სარდალმა, დაამარცხა ვუკასოვიჩის მოწინავე რაზმი სერავალეში, სდია მას მარკომდე და ხელთ იგდო რამდენიმე ასეული ტყვე. ორივე არმია 4 სექტემბერს განთიადზე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა, თითოეული — ადიჯეს ორსავე ნაპირზე.

იერიში სწრაფი იყო, წინააღმდეგობა—შეუპოვარი, მაგრამ როგორც-კი ავსტ-
რიის მწყობრები შედრკა, ნაპოლეონმა უბრძანა გენერალ დიუბუას—მიეტანა
იერიში. დიუბუას იერიში მარჯვე იყო, მაგრამ თვითონ ის სამი ტყვიით გან-
გმირული, ბრძოლაში მოიკლა. ეს იყო გულადი ოფიცერი, რომელმაც თავი
ისახელა წინანდელ ლაშქრობაში რაინზე.

არმია ფეხდაფეხ შეჰყვა მტერს როვერეტოში. მტერმა მხოლოდ კალიანოს
წინ, ხეობაში—მეტად მაგარ პოზიციაზე—მოახერხა თავმოყრა. აქ ადიჯე ჩა-
ჭედილია მთების ციცაბო მწვერვალებს შორის. ხეობას 40 ტუაზიც არა აქვს
განი. ცალკეული საფორტიფიკაციო ნაგებობანი და მთლიანი გალავანი, მრა-
ვალი ბატარეის დახმარებით, იცავდნენ შესავალს. გენერალი დავიდოვიჩი მარ-
ქაფითურთ პოზიციაზე იყო. გენერალმა დომარტენმა აამოქმედა ერთი მსუბუქი
ბატარია, რომელიც ხეობას გამჭოლ ცხრილავდა. მთებზე შეტევა დაიწყეს
მსროლელებმა და იქ ცოტათი გაიმარჯვეს. ცხრა ათასეული მიჯრილ კოლო-
ნად გაექანა მთის ვიწროებისკენ, ეკვეთა მტერს და უკუაგდო იგი. არტი-
ლერია, ცხენოსანი და ქვეითი ჯარები ერთმანეთში აირივნენ. ხელთ იგდეს 15
ზარბაზანი, შვიდი დროშა, 7.000 ტყვე.

თავისი მხრით გენერალმა ვობუამ გადალახა მორის ბანაკი; იგი მტრის დევ-
ნით ადიოდა ზემოთ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ტრიენტის მიმართულებით.
მთავარსარდლის ადიუტანტი ლემარუა მძიმედ დაიჭრა როვერეტოზე მიტანილ
მამაცურ და ბრწყინვალე იერიშის დროს. ეს ახალგაზრდა ლამანშის დეპარ-
ტამენტის მკვიდრი იყო; მან თავი ისახელა პარიზში ვანდემიერის დღეს.

არმია სვლას განაგრძობდა ღამით. 5-ს დღისით იგი ტრიენტში შევიდა.
საღამოს ვობუას დივიზიამ წინ წაიწია და დაიკავა პოზიცია ავიჩიოზე, ტრიენ-
ტიდან 3 ლიეზე. დავიდოვიჩის ჯარის ნაშთები პოზიციაზე იდგნენ ამ
მდინარის უკან. ნაპოლეონმა უბრძანა ცხენოსანი ჯარის უფროსს—სამი ასე-
ულით მდინარეზე გადასვლა ფონით, მტრის ხაზის გადაჭრა და ზურგიდან
დარტყმა ხიდის დამცველი ჯარისთვის; ამავე დროს ნაპოლეონი თვითონ
აპირებდა იერიშის მიტანას მათზე. მტერმა ძლიერ უწესრიგოდ მიატოვა თა-
ვისი პოზიცია, და გენერალი ვობუა დადგა ავიჩიოს ნაპირებზე.

III

როვერეტოსთან ბრძოლის წაგებამ, იმის მაგივრად რომ შეეჩერებინა
ვურმზერის სვლა ბასანოსკენ, აიძულა იგი უფრო დაეჩქარებინა ეს სვლა.
მართლაც, ვინაიდან ის მოწყვეტილი იყო ტრიენტისა და ტიროლისაგან,
ჩქარა უნდა გამოსულიყო ხეობებიდან და თავი მოეყარა ბასანოში თავისი არ-
მიისათვის. მაგრამ მას სხვა მიზეზი აქეზებდა: მას ეგონა რომ ნაპოლეონს
უნდა ინსბრუკისკენ წასვლა, რაინის არმიასთან—რომელიც ამ დროს ბა-
ვარიაში იყო შესული—შესაერთებლადო, და, ამ მცთარ მოსაზრებაზე დაყრდნო-
ბილმა, განკარგულება გასცა რომ მესაროშის დივიზია მანტუზე მისულიყო.
7 სექტემბერს ეს დივიზია უკვე ვერონამდე მივიდა, ამასობაში მთავარი ბა-
ნაკი სებოტენდორფისა და კვაჟდანოვიჩის დივიზიებითურთ თავიანთი მარქა-
ფებით მოვიდნენ ბასანოში. ამ ჯარის მოწინავე რაზმმა დაიკავა პოზიცია პრი-
მოლანოსთან იმ მიზნით რომ ბრენტის ხეობა დაეცვა. ღამით 5—6 სექტემ-

ბერს ტრიენტში მიიღეს ცნობა, გენერალ კილმენის მიერ გამოგზავნილი, რომ მესაროშის დივიზია გადავიდა ბრენტაზე და გაემართა ადიჯესკენ და, შესაძლებელია,—7 სექტემბერს ვერონას შეუტიოსო. ნაპოლეონს მაშინვე მოუვიდა თავში გეგმა—ჩაჰკეტოს ვურმზერი ბრენტასა და ადიჯეს შუა, ანდა, თუ მისი მიახლოებისას ის პიავისკენ დაიხევდა, გარშემოერტყას მესაროშის დივიზიას და ხელში ჩაიგდოს იგი; ამ დივიზიამ უკვე თვითონ შეუშვირა თავი დარტყმას—ის მეტად წამოიწია წინ.

იტალიის ტიროლის დაცვა ნაპოლეონმა გენერალ ვობუას დაავალა. ვობუას შეეძლო მოქმედება ბრენერამდე.

ღამის განმავლობაში ის დაკავებული იყო ამ მხარის მართვა-გამგეობის მოგვარებით; მან განკარგულება გასცა—გამოექვეყნებინათ შემდეგი მოწოდება:

„ტიროლელებო, თქვენ თხოულობთ საფრანგეთის არმიის მფარველობას: მაგრამ ჯერ თქვენ ამის ღირსი უნდა იყვნეთ. ვინაიდან უმეტესობა თქვენგანი კარგად არის განწყობილი ჩვენ მიმართ,—წინააღმდეგობა გაუწიეთ იმ პირთ, რომელთაც არ სურთ—დაემორჩილონ არმიას. მათ უგნურ მოქმედებას შეუძლია თავს დაატეხოს თქვენს სამშობლოს ომის ყველა საშინელება. საფრანგეთის არმიის უპირატესობა ამჟამად ყველასათვის უდავოა. ინგლისის ოქროთი მოსყიდულმა მინისტრებმა უღალატეს თავის იმპერატორს. ეს უბედური ხელმწიფე ნაბიჯს ვერ გადადგამს უშეცთომოდ. თქვენ ზავი გინდათ? ფრანგები ამისთვის იბრძვიან. ჩვენ მოვედით თქვენს მიწაწყალზე მხოლოდ იმისთვის რომ ვაიძულოთ ვენის სამეფო კარი—ყურად იღოს აოხრებული ევროპის მუდარა და ყური დაუგდოს მის ხალხთა ხმას. ჩვენ აქ მოვდივართ არა ჩვენი სამფლობელოების გასადიდებლად; ბუნებამ შემოფარგლა ჩვენი საზღვრები რაინითა და ალპებით, ისე როგორც ტიროლი მან ავსტრიის საზღვრად გახადა.

ტიროლელებო, რაც არ უნდა გქონდესთ წინათ გაკეთებული, დაუბრუნდით თქვენს კერებს, მიატოვეთ ის დროშები, რომელნიც უძლური არიან დაგიცვან თქვენ. მე ამას ვლაპარაკობ არა იმიტომ რომ თითქოს არიან მტრები რომელთაც ძალუძთ ალპებისა და იტალიის მომრევთა შეშინება, არამედ იმიტომ რომ მე ვცდილობ აგაცილოთ ზედმეტი მსხვერპლი, რასაც მოითხოვს ჩემი ერის კეთილშობილება. ჩვენ მრისხანე ვართ ბრძოლაში მაგრამ—მეგობრები იმათი ვინც მასპინძლურად გვექცევა.

სარწმუნოება, ადათი, საკუთრება დამორჩილებულ თემებში პატივდებული იქნება“...

6 სექტემბერს განთიადზე ოჟეროს დივიზიით—მეწინავედ,—შემდეგ მასენათი და მარქაფით ნაპოლეონი დაიძრა ბრენტის ხეობებში რათა სასწრაფოდ გამოსულიყო ბასანოზე. უნდა გაევლოთ ეს 20 ლიე ძნელ გზაზე, სულ დიდი,—ორ დღეში. საღამოს მთავარი ბანაკი და არმია დადგა ბორგო-დი-ვალ-სუგანაში.

IV

7-ს განთიადზე ნაპოლეონმა განაგრძო წინსვლა. მის მოწინავე რაზმს არ დაყოვნებია შეტაკება ვურმზერის მოწინავე რაზმთან, პრიმოლანოს გალმა პოზიციაზე. მისი იქიდან გამოძევება, როგორც ჩანდა, შეუძლებელი იყო მაგრამ

ფრანგების დატაკებას ვერაფერი უმაგრდებოდა. მე-5 ქვეითმა მსუბუქმა ნახევარბრიგადამ (გაფანტულ წყობილებაში), რომელსაც ეხმარებოდა მე-4 სასაზღვრო ბრიგადის სამი ათასეული, სამ მიჯრილ კოლონად, უკუაგდო ავსტრიელთა ორმაგი ხაზი. მე-5 დრაგუნთა ლეგიონმა, პოლკოვნიკ მილიოს მეთაურობით, მოსწყვიტა იგი გზატკეცილიდან. მტრის მოწინავე რაზმმა თითქმის მთლიანად დაჰყარა იარაღი. არტილერია, დროშები, პარკები და აღალი—ყველა ხელთ იგდეს ფრანგებმა. პატარა ციხე კავოლო ამაოდ ცდილობდა წინააღმდეგობას,—მას თავი დაუარეს და აიღეს.

ღამით საფრანგეთის არმია სოფელ ჩისმონეში გაჩერდა. ნაპოლეონი დაბინავდა იქ თავისი მთავარი ბანაკით, უამალოდ, ქანცგაწყვეტილი სიმშილისა და დაღლილობისაგან. მთელი ღამე მან ბანაკში გაატარა. ერთმა ჯარისკაცმა (რომელიც იცნო შემდეგ იმპერატორმა ბულონის ბანაკში 1805 წელს) გაუზიარა მას თავისი ულუფა პური.

ფრანგებმა ხელთ იგდეს პარკები საომარი მასალითურთ, 12 ზარბაზანი, ხუთი დროშა და 4.200 ტყვე.

V

იმავე საღამოს მესაროშის დივიზიამ იერიში მიიტანა ვერონაზე, რომლის აღების იმედი ჰქონდა მას წინააღმდეგობის გაუწევლად. მაგრამ ვერონის წინ მთელი ადგილი მომარჯვებული იყო თავდაცვისათვის; ვიჩენცის კარების წინ ძლიერი რაველინი იყო აგებული. გენერალი კილმენი უცდიდა მესაროშს. ქალაქის მისადგომებს იცავდა რამდენიმე ცხენოსანი ასეული, რომლებმაც დაიხიეს საფორტიფიკაციო ნაგებობათა გადაღმა და შეიტყვილეს ავსტრიის კოლონა 30 ქვემეხის ცეცხლში. რამდენიმე ამაო ცდის შემდეგ მესაროში დარწმუნდა რომ ციხეს ვერ აიღებდა, დადგა სან-მიქელეში და მოითხოვა დამხმარე ჯარი და ნავტიკები, რათა ადიჯეზე გადასულიყო და ქალაქისთვის ალყა შემოერტყა. მაგრამ ვურმზერმა, რომელიც თვითონ აღმოჩნდა ამ დროს ბასანოში მოულოდნელი თავდასხმის წინაშე, უბრძანა მას—რაც შეიძლებოდა ჩქარა დაეხია მისკენ. ის იმედოვნებდა—დროზედ მოეყვანა ეს დივიზია, რათა შეეჩერებინა საფრანგეთის არმია ბასანოს წინ. მაგრამ უკვე ერთობ გვიან იყო: მესაროშის დივიზია მხოლოდ მონტებელომდე მივიდა 8 სექტემბერს, იმ დღეს, როცა ბასანოსთან ბრძოლა მოხდა.

VI

8 სექტემბერს ნაპოლეონი საწინაო სამზირებზე იმყოფებოდა. 6 საათზე მოწინავე რაზმმა იერიში მიიტანა და უკუაგდო ექვსი ათასეული, რომელიც პოზიციაზე იდგა ხეობაში ბრენტის ორსავე ნაპირზე. მათ ნაშთებმა დაიხიეს მთავარი ძალების ხაზზე; ამ ძალებს 20.000 კაცი შეადგენდა, მაგრამ მათ მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობა შესძლეს. ოჟეროს დივიზიამ იერიში მიიტანა მარცხენა ფრთაზე, მასენას დივიზიამ—მარჯვენაზე. მტერი ყველა წერტილზე დაამარცხეს და უკუაგდეს ბასანოზე. მე-4 სასაზღვრო ნახევარბრიგადა გავიდა ხიდზე ისე როგორც ლოდში. 3 საათზე არმია ბასანოში შევიდა, ხელთ იგდო 6.000 ტყვე, რვა დროშა, ორი საპონტონო პარკი, 200 საბარგო ოთხთვალა,

32 ზარბაზანი, სხვადასხვაგვარი აღალის 100 ოთხთვალა—ყველანი ოთხ-ოთხად შებნული.

ვურმზერმა უწესრიგოდ დაიხია ვიჩენცისკენ, რადგან მას პავიისკენ დასვლის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. იქ ის შეუერთდა მესაროშის დივიზიას. ამნაირად, ის მოწყვეტილი აღმოჩნდა ავსტრიის ოლქებიდან და ავსტრიისკენ მიმავალ გზებიდან. ბასანოდან მოწყვეტილმა გენერალმა კვაჟდანოვიჩმა 3.000 კაცით დაიხია ფრიულზე. 9-ს მასენას დივიზია დაიძრა ვიჩენცისკენ, ოჟეროს დივიზია—პადუასკენ; მათ გადასჭრეს ორივე ეს დიდი გზა იმ შემთხვევისთვის თუ ვურმზერი შეეცდებოდა ბრენტაზე დაბრუნებას, რათა პიავემდე მიეღწია. დამარცხებულს როვერეტოში, ბრენტის ხეობაში, ბასანოში და ვერონასთან მას მხოლოდ დემორალიზებული ჯარი ჰყავდა. უკეთესი ჯარი—მან დაჰკარგა. მისი არმია, 60.000 კაცისაგან შემდგარი, მხოლოდ 16.000 კაცზე დადგა. არადროს არ ყოფილა ამაზე უფრო კრიზისული მდგომარეობა. მას თავისი გადარჩენის იმედი ეკარგებოდა. ფრანგები ყოველ წუთს ელოდნენ მის დანებებას.

VII

ამ 16.000 კაცში 6.000 ცხენოსანი იყო, ჩინებულად გაწრთვნილი და არადემორალიზებული, ჯერ არნაბრძოლი და სრულიად დაუზარალებელი. მათ მთელი მიდამო გაავსეს: ეძებდნენ გასავალს ადიჯეზე. ორი ასეული გავიდა ამ მდინარეზე, მათ გამოიყენეს ალბარედოს ბორანი ფრანგების დაბანაკების გაძმოსარკვევად და მანტუს თაობაზე ცნობების მისაღებად. ვურმზერს არ შეეძლო ადიჯეზე გადასვლა, რადგან მას კვალდაკვალ მისდევდა საფრანგეთის არმია და ბასანოში მან დაჰკარგა თავისი საპონტონო პარკი. მისი მდგომარეობა უიმედო იყო, მაგრამ ამ დროს ფრანგებმა მოულოდნელად დასცალეს ლენიაგო, ხიდის დაურღვევლად. ამ შეცთომამ ათასეულის მეთაურისამ გადაარჩინა იგი. კილმენმა, როცა მას ვერონაში მესაროშის დივიზიამ შეუტია, გამოიწვია 400 კაცი, რომელნიც ლენიაგოს იცავდნენ, და სიუგეს უბრძანა—შეეცვალა ისინი მანტუს გარშემო მდგომ ჯარის ერთი რაზმით. ათასეულის მეთაურმა, რომელიც ამ რაზმს უფროსობდა და რომელმაც დაჰკარგა რამდენიმე კაცი (დაჩეხილი გზაში ლენიაგოდან მანტუმდე), წარმოიდგინა რომ ავსტრიის მთელი არმია გადავიდა ალბარედოში და ეს-ეს არის გადაუჭრის მას დასახევ გზას. მან დაუჯერა მტრის მიერ გავრცელებულ ხმებს რომ თითქოს საფრანგეთის არმია დამარცხებულიყოს და ტიროლში დაღუპულიყოს. მან თავისთავი მოწყვეტილად ჩასთვალა, დაიბნა, დასცალა ციხე და დაიწყო მანტუსკენ დახევა. ვურმზერს აცნობეს ეს ბედნიერი გარემოება; ის მაშინვე წავიდა ლენიაგოსკენ და შევიდა შიგ ისე რომ თოფის გასროლა არ დასჭირებია; მან იქ გამოიყენა ხიდი ადიჯეზე გადასასვლელად. ამ დროს მთავარსარდალი არკოლეს მივიდა. როცა მან ეს სამწუხარო ამბავი მიიღო, დაიკავა ბორანი რონკოსთან, მაშინვე მისცა განკარგულება მასენას—გადასულიყო მარჯვენა ნაპირზე, და უბრძანა ოჟეროს—დაძრულიყო პადუიდან ლენიაგოსკენ. მას მაინც კიდევ ჰქონდა იმედი რომ ფელდმარშალს მოიმწყვდევდა, რაკი მას მოლინელაში მისვლას დაასწრებდა. კილმენი ყველა მით, რაც მის განკარგულებაში

იყო, დაბანაკდა ამ მდინარეზე, მანტუსკენ მიმავალი გზის გადაკვეთით; მაგრამ ის სუსტი იყო. ვურმზერმა ძვირფასი დრო დაჰკარგა ლენიაგოში ან იმის გამო რომ მეტისმეტმა დაღლილობამ აიძულა ის—დაესვენებინა ჯარი, ან იმის გამო რომ ფიქრობდა, თითქოს, ფრანგები გზაში არიან—ვიჩენციდან რონკოსკენო; ის შეყოყმანდა იმ იმედით რომ გაიხსნიდა ბუნებრივ გზებს პადუის გზის გასწვრივ. მას ბევრი ცხენოსანი ჰყავდა და შეეძლო ადგილის დაზვერვა ძალიან შორ მანძილზე. მზვერავებმა ბოლოს აცნობეს მას რომ ფრანგები იყვნენ მონტანიანაში, სწორედ მის პირდაპირ, როცა პადუის გზაზე მოდიოდნენო, და ახლა ისინი ორივე გზატკეცილით ლენიაგოდან მოდიანო. მაშინ ვურმზერი ვაემართა მანტუზე.

რონკოდან სანგვინეტოში ორი გზა მიდის; ერთი მარცხენა,—ადიჯეს გასწვრივ, ჰკვეთს ჩერეაში ლენიაგოდან მანტუს მიმავალ გზას, მეორე—რონკოდან პირდაპირ სანგვინეტოს. გენერალმა პიჟონმა მასენას მოწინავე რაზმით პირდაპირ სანგვინეტოსკენ გასწია. მაგრამ მიურატი, მსუბუქი ცხენოსანი რაზმით დასაზვერავად გაგზავნილი, წავიდა ჩერეას გზით, როგორც მტერთან ახლოსმიმყვანი გზით, და ჩქარა მასა და მტრის ჯარებს შორის ქვემეხების სროლა გაიმართა. პიჟონი, როცა მას ზარბაზნების სროლა მოესმა, თავისი მარცხენა ფრთით ჩერეაზე დაყრდნობილი, მივიდა იქ; მან რუს გაღმა დარაზმა საბრძოლო წესზე მე-4 მსუბუქი ნახევარბრიგადა, რათა მტრისთვის გზა გადაეღობნა. ვურმზერს გზები გადაუჭოეს. მას დაღუპვა მოელოდა თუ ის გზის გახსნას ვერ მოახერხებდა. მან იერიში მიიტანა ჩერეაზე, გაშალა მთელი თავისი ჯარი და ალყა შემოარტყა ამ სუსტ მოწინავე რაზმს, რომელიც ჩქარა გაარღვია; 300 თუ 400 კაცი ტყვედ ჩაიგდო.

ამის შემდეგ მან სწრაფად განაგრძო სვლა სანგვინეტოსკენ. მებოძირზე ჩერეასთან მთავარსარდალმა, რომელიც ჭენებით შემოვიდა სოფელში იმ წუთს, როცა მისი მოწინავე რაზმი ბრძოლის ველიდან გარბოდა, ძლივს მოასწრო შემობრუნება და მიმალვა. რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ადგილზე, სადაც სულ ახლა ნაპოლეონი იყო, ვურმზერი მივიდა. გაიგო თუ არა ეს მან ერთი დედაბრისაგან, ბრძანება გასცა—დადევნებოდნენ ნაპოლეონს ყოველი მიმართულებით, და დაჟინებით მოითხოვა რომ ის ცოცხლად მოეყვანათ.

სანგვინეტოში მისვლის შემდეგ ვურმზერი შეუდგა ღამით ლაშქრობას. როცა გაიგო რომ მოლინელასთან მას საიუგესი და კილმენის მთავარი ძალები ელიან, დასტოვა შარაგზა, გაჰყვა მარცხნივ და 12 სექტემბერს მივიდა ვილიმპენტაში, სადაც პატარა, სუსტად დაცული ხიდი იყო. ეს ხიდი ვურმზერის ცხენოსანმა ჯარმა უეცრად ჩაიგდო ხელში. გენერალმა შარტონმა, რომელიც საჩქაროდ გამოიწვიეს ამ ხიდის დასაცავად საალყო ჯარის მე-12 მსუბუქი ნახევარბრიგადის 500 კაცით, ვერ მოასწრო დროზე მოსვლა. ის, მაშინ, დაერაზმა გზაზე ოთხკუთხედად; მან ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, მაგრამ ის ასჩეხეს ავსტრიის ბეგთაროსნებმა და დაიღუპა თავის რაზმთან ერთად. 14-ს დუე-კასტელში ცოტა ნუგეში კიდევ მიიღო ფელდმარშალმა ერთი გამარჯვებით, რომელიც წააგავდა ჩერეას და ვილიმპენტის გამარჯვებებს: მსუბუქი ქვეითი ჯარის ერთი ათასეული მოამწყვდია და შემუსრა ორმა ბეგთაროსანმა ლეგიონმა; ათასეულმა დაჰკარგა 300 კაცი. არმია მეტისმეტად დაქანცული იყო, ამიტომ დაუდევრობას იჩენდა სამსახურში.

VIII

ამ პატარ-პატარა გამარჯვებებმა, რომლებიც ავსტრიის არმიამ მოიპოვა ჩერეას, ვილიმპენტის და დუე-კასტელის ბრძოლებში, ასწია მისი სულიერი განწყობილება. გარნიზონი გამოვიდა ქალაქიდან და ვურმზერმა თავისი არმია დააბანაკა სენ-ჟორჟსა და ქალაქის ციხეს შორის. მას ჰყავდა მაშინ 35.000 კაცი: 5.000 კაცი ჰოსპიტლებში იწვა, 5.000 კაცი მან დასტოვა ციხის დასაცავად და .... ში[1] დააბანაკა—25.000 კაცი, რომელთაგან 5.000 ცხენოსანი იყო. როცა ის ამგვარად ლაგდებოდა, იმედი ჰქონდა—ხელში ჩაეგდო ისეთი შემთხვევა რომ ლენიაგომდე მიეღწია და ადიჯეზე გადასულიყო. მაგრამ გენერალმა ბონმა, რომელიც ოჟეროს დივიზიას სარდლობდა, აიღო ლენიაგო 13 სექტემბერს, ხელთ იგდო აქ 1.700 ტყვე და 24 საველე ქვემეხი, გაათავისუფლა 500 ფრანგი, დატყვევებული ჩერეაში და სხვა მცირე ბრძოლებში. 14-ს ის გოვერნოლოში მივიდა და შეადგინა არმიის მარცხენა ფრთა; მასენა იყო დუე-კასტელში და შეადგენდა შუაგულს; საიუგე საბლოკადო ჯარით ფავორიტაში იყო და მარჯვენა ფრთას შეადგენდა. კილმენმა თავი მოუყარა მთელ ცხენოსან ჯარს. გაძლიერებულმა ლაშქრობამ ამ 15 დღის განმავლობაში ძალიან დაასუსტა ლეგიონები. არმიაში 16-ს, საღამოს, ითვლებოდა 24.000 კაცი, ამათში 3.000 ცხენოსანი იყო. ორივე არმია რიცხვობრივად თანაბარი იყო მაგრამ მორალური მდგომარეობით—სხვადასხვა. მტრის მხოლოდ ცხენოსან ჯარს შერჩა მხნე სულიერი განწყობილება.

15 სექტემბერს გენერალი ბონი გამოვიდა გოვერნოლოდან და გაემართა სენ-ჟორჟისაკენ; თავისი მარცხენა ფრთით ის ეყრდნობოდა მინჩიოს, ატყდა ცხარე ბრძოლა; ავსტრიელებმა მოიშველიეს თავიანთი მარქაფი. ბონი არათუ შეაჩერეს არამედ ცოტა ადგილიც-კი წაართვეს. თავისი მხრით საიუგე ჩაერია ომში მარჯვენა ფრთაზე. მტერს მოეჩვენა რომ მთელი ხაზი დამარცხებულია. ამ დროს, ანაზდად, რაზმეულებად გაშლილი მასენა თავს დაესხა მტრის შუაგულს და არივდარია მტრის ჯარი, რომელმაც სასწრაფოდ შეაფარა თავი ქალაქს. მან დაჰკარგა 3.000 ტყვე, სამი დროშა და 11 ზარბაზანი; ამ ტყვეებში იყო ერთი ცხენოსანი ბეგთაროსანი ლეგიონი სრული საჭურველით.

სენ-ჟორჟის ბრძოლის შემდეგ, რომელიც მეტად დაძაბული იყო, ვურმზერი გაიფანტა სერალიოში. მან გასდო ხიდი პოზე და შეიტანა სურსათი ციხეში.

24 სექტემბერს ოტმა იერიში მიიტანა გოვერნოლოზე. ის ნოიგერიეს; დაჰკარგა 1.000 კაცი და ექვსი ზარბაზანი. ამ ადგილის დაკავებისას, ფელდმარშალს უნდოდა ეცადა აქედან ადიჯესკენ გასვლა.

ბოლოს, 1 ოქტომბერს კილმენი, რომელიც გარემოცვას ხელმძღვანელობდა, შევიდა სერალიოში, დაიკავა პრადელა, ჩერეზა და გარსშემოადგა ციხეს. ეს ოპერაცია, რომლის დროსაც ძალიან გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა და რომელიც ჩატარდა მცირე ჯარით, სასახელოა გენერალ კილმენისათვის.

---

[1] დედანში გაურკვეველი სიტყვაა.—ფ რ ა ნ გ უ ლ ი გ ა მ ო ც ე მ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

1-ლიდან 18 სექტემბრამდე მტერმა 27.000 კაცი დაჰკარგა, მათში 18.000 ტყვედ, 3.000 მოკლული, 6.000 დაჭრილი, აგრეთვე—75 ზარბაზანი, 22 დროშა და ალამი, 30 გენერალი, მთავარ ბანაკის 80 მოხელე, 6.000 ცხენი. 16.000 კაცი ფელდმარშალითურთ იძულებული იყო მანტუს შეფარებოდა. მთელი არმიიდან 10.000 კაცმა თავს უშველა გაქცევით ტიროლს, დავიდოვიჩის მეთაურობით, და ფრიულს—კვაჟდანოვიჩის მეთაურობით.

საფრანგეთის არმიამ დაჰკარგა 7.500 კაცი, მათგან—1.400 ტყვე, 1.800 მოკლული, 4.300 დაჭრილი.

მარმონი, რომელიც მთავარსარდალმა პარიზს გაგზავნა როვერეტოს, ბასანოს, სენ-ჟორჟის, პრიმოლინოსა და ჩისმონეს ბრძოლებში წართმეულ დროშებით, ერთერთი მისი ადიუტანტი იყო. ნაპოლეონმა პირველად ის ტულონში ნახა არტილერიის უმცროს ლეიტენანტად და შეიყვარა იგი. შემდეგში ის გახდა რაგუზის ჰერცოგი და საფრანგეთის მარშალი.

IX

ვინაიდან არმიას ამჟამად მოპირდაპირე არ ჰყავდა, მას სჭირდებოდა ცოტა დასვენება. ვობუამ ტრიენტი დაიკავა და გამაგრდა ავიჩიოს ნაპირზე. მასენას დივიზიამ ბასანო დაიკავა და თვალყურს ადევნებდა მდ. პიავეზე გადასვლას. ოჟეროს დივიზიამ ვერონა დაიკავა. კილმენი საოდლობდა მანტუს გარემომცველ ჯარს. როვერეტოს, ბასანოს და სენ-ჟორჟის ბრძოლებმა, ხშირმა პატარ-პატარა შეტაკებამ და ავადმყოფობამ გარემომცველ ჯარებში დაასუსტა არმია.

მანტუს ციხოვანები პირველად ხშირად გამოდიოდნენ სიმაგრიდან და თავს ესხმოდნენ გარემდგომ ჯარს, მაგრამ მარცხმა და ავადმყოფობამ ჩქარა ვააგრილა მათი აღგზნება. ოქტომბრის დამლევს ციხოვანთა შემადგენლობა ასეთი იყო: მწყობრში კიდევ ითვლებოდა 17.000 კაცი, 10.000 კაცი—ჰოსპიტლებში, 30.000 მჭამელი. ეს გარემოება იმედს იძლეოდა რომ ციხე ჩქარა დაგვნებდებოდა. მაგრამ ძველმა მარშალმა განკარგულება გასცა—დაეშაშხათ ცხენოსანი ჯარის მეტი წილი ცხენები. ეს ღონისძიება დამატებით სხვა ყოველგვარ სურსათის მარაგთან, რომელიც მან ჩოაგროვა გარემო უბნებიდან და მეტადრე მოდენის ოლქიდან (ამ ოლქმა შემოიტანა ციხეში ალყის ორი შეწყვეტის განმავლობაში წინასწარ დამზადებული ალალი), შესაძლებლობას აძლევდა ციხეს—გაცილებით უფრო დიდხანს გაეძლო ვიდრე ნავარაუდევი იყო. ყოველგვარი ეჭვაუდობის გარეშე, მთელი იტალიის მოლოდინის წინააღმდეგ, საფრანგეთის არმიას ბედად ეწერა კვლავ უფრო სისხლისმღვრელი და უფრო სახელოვანი გამარჯვებანი, და ავსტრიას უნდა გამოეყენა და დაეკარგა კვლავ ორი ახალი არმია, სანამ იტალიის ეს სიმაგრე არ დაეცემოდა.

კილმენი, ტომით ირლანდელი, ცხენოსანი ჯარის ჩინებული ოფიცერი იყო. მან არ იცოდა აღელვება და ჰქონდა მარჯვე სამხედრო თვალი, ძალიან ეხერხებოდა ცალკეული ძხვერავი კორპუსების სარდლობა და ისეთ ყველაზე უფრო რთულ მინდობილობათა შესრულება რომელთათვისაც საჭიროა მოსაზრებულობა, ჭკუა და სიფხიზლე. პრერიალის დღეს ის იბრძოდა სენტ-ანტუანის გარეუბნის წინააღმდეგ. იტალიის ლაშქრობის დროს ის ორმოცდაათი წლისა

იყო, დაახლოებით. მან დიდი სამსახური გაუწია არმიას, რომელშიაც ის ერთ-ერთი გამოჩენილი გენერალი იქნებოდა რომ უფრო ჯანმრთელი ყოფილიყო. კარგად იცნობდა ავსტრიის არმიას, კარგად ჰქონდა შესწავლილი მისი ტაქტიკა; არ უჯერებდა იმ ყალბ ხმებს რომლებსაც ჩვეულებრივად, ეს არმია დაჰყრიდა ხოლმე, და არ აქცევდა ყურადღებას იმ მეწინავე რაზმებს, რომლებსაც იგივე არმია ახვედრებდა გზებზე, რათა ამით დაერწმუნებინა ფრანგები დიდი ძალების არსებობაში იქ, სადაც ეს ძალები არ არსებობდა. მისი პოლიტიკური მრწამსი მეტად ზომიერი იყო.

VIII თ ა ვ ი

არკოლის ბრძოლა

მე-7 სქემა

I. ფელდმარშალ ალვინცს შემოჰყავს იტალიაში მესამე არმია—II. საფრანგეთის არმიის კარგი მდგომარეობა. იტალიის ყველა ხალხი წინასწარმეტყველებს მის გამარჯვებას.—III. ბრძოლა ბრენტაზე (5 ნოემბერს 1796 წელს). ვობუა უწესრიგოდ სცლის ტიროლს.—IV. ბრძოლა კალდიერონთან (12 ნოემბერს).—V. დრტვინვა ჯარში და სხვადასხვა სულიერი გაწყობილება რომელიც აღელვებს ფრანკის ჯარისკაცს —VI. არბიის გასვლა ადგილით რონკოზე; ის გადადის იქ მდ. ადიჯეზე ნავტიკებით (14 ნოემბერს)— VII. არკოლის ბრძოლა; პირველი დღე (15 ნოემბერი).—VIII. მეორე დღე (16 ნოემბერი).—IX. მესამე დღე (17 ნოემბერი).—X. საფრანგეთის არმია ზეიმით შედის ვერონაში მარჯვენა ნაპირის ვენეციურ კარებიდან (18 ნოემბერს).

I

ყველა შიკრიკს, რომელთაც მიჰქონდათ ვენაში ერცჰერცოგ კარლოსის გამარჯვებათა ამბები, კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ვურმზერის შიკრიკები და მიჰქონდათ მოხსენებანი მხოლოდ მის დამარცხებებზე. მთელი სექტემბერი სასახლემ გაატარა გადასვლებში სიხარულიდან მწუხარებაში. კმაყოფილება, რომელსაც ის განიცდიდა თავის გამარჯვებათა გამო, ვერ ანაზღაურებდა სასოწარკვეთილებას, რომელიც მას ემართებოდა თავის დამარცხებათა შედეგად. გერმანია გადარჩა, მაგრამ იტალია დაიკარგა, და არმიაც, რომელიც ამ საზღვარს იცავდა, გაქრა. ამ არმიის მრავალრიცხოვანმა შტაბმა, ძველმა ფელდმარშალმა და მცირე რამე ნაშთებმა შესძლეს თავის გადარჩენა მხოლოდ მანტუში ჩაკეტვით. მანტუ ჩქარა იძულებული გახდებოდა—კარები გაეღო გამარჯვებულისათვის ვინაიდან დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი და შემოდგომის ცივება მუსრს ავლებდა. სასახლის სამხედრო საბჭო გრძნობდა რომ საჭიროა ძალღონის საგანგებო დაძაბვა. მან შეკრიბა ორი არმია: ერთი—ფრიულში, მეორე—ტიროლში, მისცა მათ სარდლად ფელდმარშალი ალვინცი და უბრძანა გალაშქრება მანტუს გამოსახსნელად და ვურმზერის განსათავისუფლებლად.

II

სამბრ-მაასისა და რაინის არმიების მარცხმა სწრაფი შედეგი გამოიღო იტალიაში. ორთავე არმიამ ვერ შესძლო რაინის მარჯვენა ნაპირზე გამაგრება,— და საჩქაროდ იყო საჭირო რომ კიდევ მათ გამოეყოთ დიდი ძალა—იტალიის არმიის დასახმარებლად. დირექტორია ბევრ დაპირებას იძლეოდა მაგრამ ცოტას ასრულებდა. მან მაინც გამოგზავნა 12 ათასეული, რომლებიც ვანდეის არმიიდან გამოიყვანა. ისინი მოვიდნენ ძილანს სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში, თორშეტ კოლონად. ხმა გავარდა რომ თითოეული ეს კოლონა სრული ლეგიონიაო. ეს იქნებოდა დიდი დახმარება, თუმცა, საფრანგეთის ჯარისკაცს იტალიაში არ სჭირდებოდა ამგვარი გამხნევება. ის მთელი თავისი არსებით ენდობოდა თავის ბელადს, მას სჯეროდა თავისი საკუთარი უპირატესობა. ის დროზე ღებულობდა ჯამაგირს, კარგად იყო ჩაცმული, დაპურებული; არტილერია საუცხოო იყო და მრავალრიცხოვანი, ცხენოსან ჯარს კარგი ცხენები ჰყავდა.

იტალიის ხალხებმა თავისი ბედი არმიის ინტერესებს დაუკავშირეს— მასზე იყო დამოკიდებული მათი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ ფრანგ ჯარისკაცს უპირატესობა აქვს გერმანელ ჯარისკაცზე ისევე როგორც მძლე გენერალს, რომელმაც ბოლიე და ვურმზერი დასძლია, ფელდმარშალ ალვინცზე. ივლისთან შედარებით საზოგადოებრივი აზრი ახლა ძლიერ შეიცვალა. მაშინ, ვურმზერის მოსვლა რომ გაიგეს, მთელი იტალია ელოდა მის გამარჯვებას. ამჟამად არავინ არ ეჭვობდა საფრანგეთის არმიის გამარჯვებას. საზოგადოებრივი აზრი ხალხებისა პოს გაღმა, ბოლონიაში, მოდენასა და რეჯიოში ისეთი იყო [რომ საკმაოდ მიაჩნდათ თავიანთი ძალა პაპის არმიის უკუსაგდებად თუ ეს. არმია წამოვიდოდა მათ მიწაწყალზე, როგორც ის იმუქრებოდა.

III

ოქტომბრის დამდეგს ფელდმარშალი ალვინცი თავისი არმიით ჯერ კიდევ იზონცოს წინ იდგა, მაგრამ ამ თვის დამლევს მან თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა კონელიანოში. პიავეს გაღმა. ბასანოში დაბანაკებული მასენა თვალყურს ადევნებდა მის მოძრაობას. დავიდოვიჩმა შეაგროვა ტიროლში 18.000-კაციანი კორპუსი, ამაში შედიოდა ტიროლის ლაშქარიც. დივიზიის გენერალი ვობუა ტრიენტს იფარავდა—მას ეკავა ავიჩიო 12.000-კაციანი რაზმით. ოჟეროს დივიზია, ცხენოსანი ჯარის მარქაფი და ფრანგების მთავარი ბანაკი მოთავსდნენ ვერონაში.

გეგმით, ალვინცი ვერონაში უნდა შეერთებოდა დავიდოვიჩს და იქიდან გაელაშქრებია მანტუზე. 1-ლ ნოემბერს მან პიავეზე გასდვა ორი ხიდი და სამ კოლონად გაემართა ბრენტასკენ. მასენას იერიშის მუქარის გამო ის იძულებული იყო გაეშალა მთელი თავისი არმია. როცა მასენამ შეხედა რომ მის წინ 40.000 კაცზე მეტია, მიატოვა თავისი ბანაკი ბასანოში, გადავიდა უკანვე ბრენტაზე და წავიდა ვიჩენცისკენ, სადაც მასთან შესაერთებლად მივიდა 5 ნოემბერს ნაპოლეონი ოჟეროს დივიზიითა და თავისი მარქაფით. 6 ნოემბერს განთიადზე ნაპოლეონი დაიძრა, რათა შებრძოლებოდა ალვინცის, რომელიც კვალდაკვალ მოჰყვებოდა მასენას. მთავარი ბანაკი ალვინცის გადატანილი ჰქონდა ფონტანინაში, მოწინავე რაზმი ლიპტაის უფროსობით გაგზავნილი იყო ბრენტის მარჯვენა ნაპირზე კარმინიანოში. ეს რაზმი წინ იყო წამოწეული

მარცხენა ფრთის მიმართ, რომელსაც გენერალი პროვერა სარდლობდა. მარჯვენა ფრთა, კვაჟდანოვიჩის მეთაურობით, პოზიციაზე იყო ბასანოსა და ვიჩენცას შორის. გენერალი მიტროვსკი სარდლობდა მზვერავ კორპუსს ბრენტის ხეობაში და გენერალი ჰოჰენცოლერნი—სამარქაფო ჯარს.

ვარიჟრაჟზე მასენამ იერიში მიიტანა და რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ დაახევინა კვაჟდანოვიჩის, ლიპტაის მოწინავე რაზმს და პროვერას დივიზიას და დიდი ზარალი მიაყენა მათ ხალხის მხრით; წამოიყვანა ტყვეები.

ნაპოლეონი ოჟეროს დივიზიით დაედევნა კვაჟდანოვიჩს; მან დაახევინა მას ნოვედან და უკუაგდო ბასანოსკენ. ნაშუადღევის 4 საათი იყო. ნაპოლეონი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხიდზე გადასვლას და იმავე დღეს ქალაქის აღებას. მაგრამ, ვინაიდან ჰოჰენცოლერნის მარქაფი უკვე ახლოვდებოდა, მან უბრძანა თავისი მარქაფის ბრიგადას—წამოწეულიყო წინ რომ დახმარებოდა იერიშის მიტანას ხიდზე. მაგრამ ერთი ათასეული, რომელსაც 900 კროატი შეადგენდა, გზამოჭრილი აღმოჩნდა და შევარდა სოფელში შარაგზაზე. როგორც-კი გამოჩნდა სამარქაფო ჯარის მეწინავე რაზმი, რომელიც სოფელზე გავლას აპირებდა, კროატებმა დაუშინეს მას ძლიერად. რაზმი იძულებული გახდა ჰაუბიცები აემოქმედებინა; სოფელი აღებულ იქნა და კროატები—გაწყვეტილი. მაგრამ ამან გამოიწვია შეფერხება ორი საათით, და როდესაც მარქაფი ხიდთან მივიდა, უკვე დაღამებული იყო. გაღმა ნაპირზე გადასვლა ძალაუნებურად მეორე დღისთვის გადაიდო.

ვობუამ ბრძანება მიიღო—იერიში მიეტანა მტრის პოზიციებზე ავიჩიოს მარჯვენა ნაპირზე. 1-ლ ნოემბერს მან შეუტია სან-მიქელესა და სეგონცანოს პოზიციებს. მოპირდაპირე ძლიერი იყო და მამაცად იბრძოდა. ვობუას გამარჯვება არ იყო სრული, და ახალი იერიშის ცდაც მეორე დღეს მარცხით დასრულდა. თავისი მხრით მტერმაც შემოუტია ვობუას და დაახევინა მას მისი ლავისის პოზიციიდან, და იძულებული გახადა იგი—დაეტოვებინა ტრიენტი. ვობუამ თავი მოუყარა თავის ჯარს და დაიკავა პოზიცია კალიანოში, მაგრამ ლაუდონმა, რომელიც თავისი ტიროლელებით მანევრს აკეთებდა ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე, დაიკავა ნომი და ტორბოლე. მისი განზრახვა იყო, როგორც ეტყობა, მონტე-ბალდოსა და რივოლისკენ წასვლა. ვობუას აღარავინ დარჩენოდა მარჯვენა ნაპირზე და მან ვერაფერი ვერ დაუპირდაპირა ლაუდონის ტაქტიკურ ხერხს. ეს ხერხი რომ შესრულებულიყო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა ვობუას მთელი კორპუსი და მთელი არმიაც.

ამ სამწუხარო ამბებმა მოაწია მთავარ ბანაკამდე დილას ორ საათზე. მეტი ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო ვერონისკენ სასწრაფოდ წასვლა და თავდაპირველ განზრახვასა და დივერსიაზე ხელის აღება. მთავარსარდლის უახლოესი განზრახვა იყო—ალვინცის გადაგდება პიავეს გაღმა, ბრენტის ხეობებზე აღმა აყოლა და დავიდოვიჩის უკუგდება. გაიგზავნა პოლკოვნიკი ვინიოლი, მინდობილობათა ოფიცერი ჯარის შტაბთან, რომ ვერონასთან მოეგროვებინა ყველა ჯარი, რომელსაც-კი შეხვდებოდა, და შემდეგ გაესტუმრებინა კორონასა და რივოლისაკენ. ის შეხვდა მე-40 ნახევარბრიგადის ათასეულს, რომელიც ის-ის იყო მოვიდა ვანდეიდან, და მითი შეაჩერა კორონაზე ასული მტრის პირველი მსროლელები. მეორე დღეს ამ მნიშვნელოვან პოზი-

II

სამბრ-მაასისა და რაინის არმიების მარცხმა სწრაფი შედეგი გამოიღო იტალიაში. ორთავე არმიამ ვერ შესძლო რაინის მარჯვენა ნაპირზე გამაგრება,— და საჩქაროდ იყო საჭირო რომ კიდევ მათ გამოეყოთ დიდი ძალა—იტალიის არმიის დასახმარებლად. დირექტორია ბევრ დაპირებას იძლეოდა მაგრამ ცოტას ასრულებდა. მან მაინც გამოგზავნა 12 ათასეული, რომლებიც ვანდეის არმიიდან გამოიყვანა: ისინი მოვიდნენ ძილანს სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში, თორმეტ კოლონად. ხმა გავარდა რომ თითოეული ეს კოლონა სრული ლეგიონიაო. ეს იქნებოდა დიდი დახმარება, თუმცა, საფრანგეთის ჯარისკაცს იტალიაში არ სჭირდებოდა ამგვარი გამხნევება. ის მთელი თავისი არსებით ენდობოდა თავის ბელადს, მას სჯეროდა თავისი საკუთარი უპირატესობა. ის დროზე ღებულობდა ჯამაგირს, კარგად იყო ჩაცმული, დაპურებული; არტილერია საუცხოვო იყო და მრავალრიცხოვანი, ცხენოსან ჯარს კარგი ცხენები ჰყავდა.

იტალიის ხალხებმა თავისი ბედი არმიის ინტერესებს დაუკავშირეს— მასზე იყო დამოკიდებული მათი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ ფრანგ ჯარისკაცს უპირატესობა აქვს გერმანელ ჯარისკაცზე ისევე როგორც მძლე გენერალს, რომელმაც ბოლიე და ვურმზერი დასძლია, ფელდმარშალ ალვინცზე. ივლისთან შედარებით საზოგადოებრივი აზრი ახლა ძლიერ შეიცვალა. მაშინ, ვურმზერის მოსვლა რომ გაიგეს, მთელი იტალია ელოდა მის გამარჯვებას. ამჟამად არავინ არ ეჭვობდა საფრანგეთის არმიის გამარჯვებას. საზოგადოებრივი აზრი ხალხებისა პოს გაღმა, ბოლონიაში, მოდენასა და რეჯიოში ისეთი იყო [რომ საკმაოდ მიაჩნდათ თავიანთი ძალა პაპის არმიის უკუსაგდებად თუ ეს. არმია წამოვიდოდა. მათ მიწაწყალზე, როგორც ის იმუქრებოდა.

III

ოქტომბრის დამდეგს ფელდმარშალი ალვინცი თავისი არმიით ჯერ კიდევ იზონცოს წინ იდგა, მაგრამ ამ თვის დამლევს მან თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა კონელიანოში, პიავეს გაღმა. ბასანოში დაბანაკებული მასენა თვალყურს ადევნებდა მის მოძრაობას. დავიდოვიჩმა შეაგროვა ტიროლში 18.000-კაციანი კორპუსი, ამაში შედიოდა ტიროლის ლაშქარიც. დივიზიის გენერალი ვობუა ტრიენტს იფარავდა —მას ეკავა ავიჩიო 12.000-კაციანი რაზმით. ოჟეროს დივიზია, ცხენოსანი ჯარის მარქაფი და ფრანგების მთავარი ბანაკი მოთავსდნენ ვერონაში.

გეგმით, ალვინცი ვერონაში უნდა შეერთებოდა დავიდოვიჩს და იქიდან გაელაშქრებია მანტუზე. 1-ლ ნოემბერს მან პიავეზე გასდვა ორი ხიდი და სამ კოლონად გაემართა ბრენტასკენ. მასენას იერიშის მუქარის გამო ის იძულებული იყო გაეშალა მთელი თავისი არმია. როცა მასენამ შეხედა რომ მის წინ 40.000 კაცზე მეტია, მიატოვა თავისი ბანაკი ბასანოში, გადავიდა უკანვე ბრენტაზე და წავიდა ვიჩენცისკენ, სადაც მასთან შესაერთებლად მივიდა 5 ნოემბერს ნაპოლეონი ოჟეროს დივიზიითა და თავისი მარქაფით. 6 ნოემბერს განთიადზე ნაპოლეონი დაიძრა, რათა შებრძოლებოდა ალვინცის, რომელიც კვალდაკვალ მოჰყვებოდა მასენას. მთავარი ბანაკი ალვინცის გადატანილი ჰქონდა ფონტანინაში, მოწინავე რაზმი ლიპტაის უფროსობით გაგზავნილი იყო ბრენტის მარჯვენა ნაპირზე კარმინიანოში. ეს რაზმი წინ იყო წამოწეული

მარცხენა ფრთის მიმართ, რომელსაც გენერალი პროვერა სარდლობდა. მარჯვენა ფრთა, კვაჟდანოვიჩის მეთაურობით, პოზიციაზე იყო ბასანოსა და ვიჩენცას შორის. გენერალი მიტროვსკი სარდლობდა მზვერავ კორპუსს ბრენტის ხეობაში და გენერალი ჰოჰენცოლერნი—სამარქაფო ჯარს.

გარიჟრაჟზე მასენამ იერიში მიიტანა და რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ დაახევინა კვაჟდანოვიჩის, ლიპტაის მოწინავე რაზმს და პროვერას დივიზიას და დიდი ზარალი მიაყენა მათ ხალხის მხრით; წამოიყვანა ტყვეები.

ნაპოლეონი ოჟეროს დივიზიით დაედევნა კვაჟდანოვიჩს; მან დაახევინა მას ნოვედან და უკუაგდო ბასანოსკენ. ნაშუადღევის 4 საათი იყო. ნაპოლეონი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხიდზე გადასვლას და იმავე დღეს ქალაქის აღებას. მაგრამ, ვინაიდან ჰოჰენცოლერნის მარქაფი უკვე ახლოვდებოდა, მან უბრძანა თავისი მარქაფის ბრიგადას—წამოწეულიყო წინ რომ დახმარებოდა იერიშის მიტანას ხიდზე. მაგრამ ერთი ათასეული, რომელსაც 900 კროატი შეადგენდა, გზამოჭრილი აღმოჩნდა და შევარდა სოფელში შარაგზაზე. როგორც-კი გამოჩნდა სამარქაფო ჯარის მეწინავე რაზმი, რომელიც სოფელზე გავლას აპირებდა, კროატებმა დაუშინეს მას ძლიერად. რაზმი იძულებული გახდა ჰაუბიცები აემოქმედებინა; სოფელი აღებულ იქნა და კროატები—გაწყვეტილი. მაგრამ ამან გამოიწვია შეფერხება ორი საათით, და როდესაც მარქაფი ხიდთან მივიდა, უკვე დაღამებული იყო. გაღმა ნაპირზე გადასვლა ძალაუნებურად მეორე დღისთვის გადაიდო.

ვობუამ ბრძანება მიიღო—იერიში მიეტანა მტრის პოზიციებზე ავიჩიოს მარჯვენა ნაპირზე. 1-ლ ნოემბერს მან შეუტია სან-მიქელესა და სეგონცანოს პოზიციებს. მოპირდაპირე ძლიერი იყო და მამაცად იბრძოდა. ვობუას გამარჯვება არ იყო სრული, და ახალი იერიშის ცდაც მეორე დღეს მარცხით დასრულდა. თავისი მხრით მტერმაც შემოუტია ვობუას და დაახევინა მას მისი ლავისის პოზიციიდან, და იძულებული გახადა იგი—დაეტოვებინა ტრიენტი. ვობუამ თავი მოუყარა თავის ჯარს და დაიკავა პოზიცია კალიანოში, მაგრამ ლაუდონმა, რომელიც თავისი ტიროლელებით მანევრს აკეთებდა ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე, დაიკავა ნომი და ტორბოლე. მისი განზრახვა იყო, როგორც ეტყობა, მონტე-ბალდოსა და რივოლისკენ წასვლა. ვობუას აღარავინ დარჩენოდა მარჯვენა ნაპირზე და მან ვერაფერი ვერ დაუპირდაპირა ლაუდონის ტაქტიკურ ხერხს. ეს ხერხი რომ შესრულებულიყო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა ვობუას მთელი კორპუსი და მთელი არმიაც.

ამ სამწუხარო ამბებმა მოაწია მთავარ ბანაკამდე დილას ორ საათზე. მეტი ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. საჭირო იყო ვერონისკენ სასწრაფოდ წასვლა და თავდაპირველ განზრახვასა და დივერსიაზე ხელის აღება. მთავარსარდლის უახლოესი განზრახვა იყო—ალვინცის გადაგდება პიავეს გაღმა, ბრენტის ხეობებზე აღმა აყოლა და დავიდოვიჩის უკუგდება. გაიგზავნა პოლკოვნიკი ვინიოლი, მინდობილობათა ოფიცერი ჯარის შტაბთან, რომ ვერონასთან მოეგროვებინა ყველა ჯარი, რომელსაც-კი შეხვდებოდა, და შემდეგ გაესტუმრებინა კორონასა და რივოლისაკენ. ის შეხვდა მე-40 ნახევარბრიგადის ათასეულს, რომელიც ის-ის იყო მოვიდა ვანდეიდან, და მითი შეაჩერა კორონაზე ასული მტრის პირველი მსროლელები. მეორე დღეს ამ მნიშვნელოვან პოზი-

ციაზე მივიდა ჟუბერი მე-4 მსუბუქი ნახევარბრიგადით, რომელიც წამოყვანილი იყო მანტუს საალყო ჯარიდან. ამ წუთიდან საშიში აღარაფერი იყო. ვობუამ გასდო ხიდები ადიჯეზე, ხელახლად გადავიდა მარჯვენა ნაპირზე და მტკიცედ დაიკავა კორონისა და რივოლის პოზიციები.

საფრანგეთის არმია ბრენტიდან მთელ დღეს, 7-ს, ქალაქ ვიჩენცაზე გავლით, უკან მიდიოდა. ვიჩენცას, რომელიც მოწმე იყო საფრანგეთის არმიის გამარჯვებისა, ვერ აეხსნა მისი უკან წასვლა. თავისი მხრით ალვინციასაც დილას, 3 საათზე, ის იყო უნდა დაეწყო დახევა, პიავეზე გადასასვლელად; მაგრამ მას ჩქარა აცნობეს მისმა მსუბუქ ცხენოსან ჯარის ნაწილებმა ფრანგების დახევა. ის ხელახლად გაემართა ბრენტისკენ და მეორე დღეს გადავიდა ამ მდინარეზე, რათა მოპირდაპირეს დადევნებოდა.

ნაპოლეონი მივიდა ვობუას დივიზიაში; უბრძანა—თავი მოეყარათ დივიზიისათვის რივოლის ტაფობზე. აქ მან გამოუცხადა დივიზიას: „ჯარისკაცებო, მე უკმაყოფილო ვარ თქვენი. თქვენ ვერ გამოიჩინეთ ვერც დისციპლინა, ვერც სიმტკიცე, ვერც გულადობა. ვერ შეინარჩუნეთ ვერც ერთი პოზიცია. თქვენ შიშმა აგიტანათ და ჩამოარეკინეთ თქვენი თავი ისეთ პოზიციებიდან სადაც რამდენსამე ვაჟკაცს შეეძლო მთელი არმიის შეჩერება. 39-ე და 85-ე ნახევარბრიგადის ჯარისკაცებო, თქვენ არა ხართ ფრანგი ჯარისკაცები. არმიის შტაბის უფროსო, განკარგულება მოახდინეთ რომ დააწერონ მათ დროშებს: „ესენი აღარ არიან იტალიის არმიის ჯარისკაცები“!

ამ სიტყვამ, წარმოთქმულმა მკაცრი კილოთი, ცრემლები მოაყენა თვალზე ძველ ჯარისკაცებს. დისციპლინამ ვერ შეაკავა მათი მწუხარების ხმამაღალი გამოთქმა. ის გრენადერები, რომელთაც საპატიო იარაღი ჰქონდათ მიღებული, იძახდნენ: „გენერალო, ჩვენ ცილი დაგვწამეს! გაგვაგზავნე მოწინავე რაზმში, და თქვენ ნახავთ—ეკუთვნის თუარა იტალიის არმიას 39-ე და 85-ე ნახევარბრიგადა“. როცა ამგვარად სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა, ნაპოლეონმა მიმართა მათ რამდენიმე სანუგეშო სიტყვით. ეს ორი ნახევარბრიგადა რამდენიმე დღის შემდეგ დიდებით შეიმოსა.

IV

თუმცა ალვინციმ ბრენტაზე მარცხი განიცადა, მისი ოპერაციები მაინც, როგორც ეტყობოდა, მეტად ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა. მან დაიპყრო მთელი ტიროლი და მთელი ადგილი ბრენტასა და ადიჯეს შორის. მაგრამ ყველაზე უფრო მეტი სიძნელე კიდევ წინ ედგა: ეს იყო ადიჯეს გადალახვა საფრანგეთის არმიის პირისპირ და დავიდოვიჩთან შეერთება. დავიდოვიჩთან შესაერთებელ გზაზე იდგა მამაცთა კორპუსი, ვერონის წინ გამაგრებული. ვერონიდან ვიჩენცამდე გზატკეცილი მიდის ადიჯეს გასწვრივ სამი ლიეს მანძილზე, ვილანოვამდე, სადაც უხვევს მართი კუთხით მარცხნივ და მიემართება პირდაპირ ვიჩენცისკენ. ვილანოვაში მას ჰკვეთს პატარა რუ—ალპონე, რომელიც გაივლის არკოლეს და შეერთვის ადიჯეს ალბარედოს ახლოს.

ვილანოვადან მარცხნივ მაღლობებია, რომლებიც კალდიერის პოზიციის სახელით არიან ცნობილი. მისი დაკავებით შეიძლება ვერონის დაფარვა და ქვედა ადიჯეზე მომანევრე მტრის საზურგო გზების გადაჭრა. როცა მონტე-

ბალდოს თავდაცვა უზრუნველჰყო და ვობუას ჯარი განამტკიცა, ნაპოლეონმა გადასწყვიტა კალდიეროს დაკავება რათა მეტი შანსი ჰქონოდა მას თავდაცვის დროს და თავისი მდგომარეობისათვის დიდი სიმტკიცე მიეცა.

11-ს, ნაშუადღევს 2 საათზე, არმია გადავიდა ვერონის ხიდებზე, ვერდიეს ბრიგადამ, რომელიც მეწინავედ მიდიოდა, დაამარცხა მტრის მოწინავე რაზმი, ხელთ იგდო რამდენიმე ასეული ტყვე და ღამით დაიკავა პოზიცია კალდიეროს ძირში.

ბანაკთა ცეცხლები, ჯაშუშთა მოხსენებანი, ტყვეთა ჩვენებანი საეჭვოდ აღარ ხდიდნენ ალვინცის განზრახვებს: ის ბზად იყო ბრძოლისათვის და უნდოდა მტკიცედ დამკვიდრებულიყო ამ საუცხოვო პოზიციებზე, დაყრდნობილი თავისი მარცხენა ფრთით არკოლის ჭაობებს და მარჯვენა ფრთით—ოლივეტოს მთას და სოფელ კოლონიოლოს. ეს პოზიცია კარგი იყო ორივე მიმართულებით. მან კიდევ გაამაგრა იგი რამდენიმე სანგრით და მეტად ძლიერი ბატარიებით. განთიადზე დაზვერეს მტრის საბრძოლო ხაზი: მისი მარცხენა ფრთა მიუვალი იყო, მარჯვენა, როგორც ჩანდა, უფრო სუსტი იყო. ამ შეცთომას რომ უსარგებლოდ არ ჩაევლო, მასენამ ბრძანება მიიღო—დაძრულიყო ის თავისი დივიზიით იმ ბორცვის დასაკავებლად რომელიც მტრის მარჯვენა ფრთაზე იყო გადამდგარი და არ იყო დაკავებული მტრის მიერ დაუდევრობის გამო. ბრიგადის გენერალი ლონეი მსროლელთა რაზმითურთ მამაცად აფორთხდა მაღლობზე, მაგრამ მეტად წინ წაიწია და მას დროზე ვერ დაეხმარა დივიზია რომელიც, აგრეთვე ასული მაღლობზე, შეაჩერა ხრამმა. ლონეი დამარცხდა და ტყვედ წაიყვანეს. მტერმა შეიგნო თავისი შეცთომა და შეასწორა თავისი პოზიცია.

გამარჯვების იმედით იერიშის მიტანის შესაძლებლობა მეტი აღარ იყო. მაგრამ სროლა მაინც დაიწყეს მთელ ხაზზე და გაგრძელდა მთელ დღეს. მოვიდა კოკისპირული წვიმა. მიწა იმდენად დალბა რომ ფრანგების არტილერიას სულ მცირე მოძრაობაც არ შეეძლო იმ დროს როცა ავსტრიელების არტილერია უკვე იდგა პოზიციაზე და აქტიურად ისროდა. მტერმა რამდენჯერმე სცადა იერიშის მიტანა მაგრამ უკუაგდეს. ღამე ორთავე არმიამ პოზიციაზე გაათია, ერთმანეთის პირისპირ. წვიმა ისევე კოკისპირულად ასხამდა მთელი ღამის განმავლობაში, ასე რომ მეორე დღეს მთავარსარდალმა ამჯობინა—წასულიყო უკან თავის ბანაკში, ვერონის წინ. ორთავე მოპირდაპირის ზარალი ამ ბრძოლაში თანაბარი იყო. მტერი საბუთიანად სთვლიდა თავისთავს გამარჯვებულად. მისი საწინაო სამზირები სან-მიქელეს მიუახლოვდა, და ფრანგების მდგომარეობა მართლაც კრიზისული შეიქმნა.

V

ვობუა მნიშვნელოვანად დაზარალდა; მას 8.000 კაცზე მეტი აღარ დარჩა. ორ სხვა დივიზიას, ბრენტაზე შეტაკებისა და კალდიეროზე უხეირო თავდასხმის შემდეგ, წყობილებაში აღარ ჰყავდა 13.000 კაცზე მეტი. ყველა ფიქრობდა რომ მტერს მეტი ძალები ჰყავსო. ვობუას ჯარისკაცებმა, თავიანთი დახევის გამართლების მიზნით, განაცხადეს რომ ერთი სამს ვებრძოდითო. მტერიც, უეჭველია, დაზარალდა, მაგრამ ის რიცხვობრივად სჭარბობდა და მან დიდი

სივრცის მოგება მოახერხა. ალვინცი ფიქრობდა რომ მას ადვილად შეუძლია გაუსწორდეს მცირერიცხოვან ფრანგებს და ამიტომ ის საეჭვოდ აღარ თვლიდა არც მანტუს განთავისუფლებას და არც იტალიის დაპყრობას. ამ თავისმოცთუნებაში ის აგროვებდა და ამზადებდა დიდძალ კიბეს, და იმუქრებოდა ვერონის აღებას იერიშით.

მანტუს ციხოვანნი გამოცოცხლდნენ, ხშირად გამოხტოდნენ ციხიდან და მოსვენებას არ აძლევდნენ გარემომცველებს რომელნიც იყვნენ სულ 8.000—9.000 კაცი, 25.000 ციხოვანის პირისპირ; უკანასკნელებში, მართალია, 10.000—12.000 კაცი ავადმყოფი იყო.

ფრანგები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ რომ შეტევა მეტი აღარ შეეძლოთ. მათ ერთი მხრით აკავებდათ კალდიეროს პოზიცია და მეორე მხრით—ტიროლის ხეობები; მაგრამ მტრის პოზიციაც რომ ხელსაყრელი ყოფილიყო მის წინააღმდეგ სამოქმედოდ, რიცხვობრივი მისი უპირატესობა მაინც ყველასათვის აშკარა იყო. უნდა დაენებებინათ მისთვის თაოსნობა და მოთმინებით დალოდებოდნენ თუ რას დააპირებდა იგი. წელიწადის დრო მეტისმეტად ცუდი იყო, და ყველა მოძრაობა ხდებოდა ტალახში. კალდიეროს ბრძოლამ, ტიროლის მარცხმა საგრძნობლად დააქვეითა ფრანგი ჯარისკაცის მორალური მდგომარეობა. მას, მართალია, კიდევ შერჩა თავისი უპირატესობის გრძნობა რიცხვობრივად თანასწორ მტრის მიმართ მაგრამ მას არ სჯეროდა თუ შეეძლო ამდენად უფრო მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლა. ბევრი ჯარისკაცი ორ-ორჯერ და სამ-სამჯერ იყო დაჭრილი სხვადასხვა ბრძოლაში იტალიაში. მათ ლაპარაკში გულგატეხილობა გამოსჭვივოდა. „ჩვენ მარტო არ შეგვიძლია ყველასათვის ვიმუშავოთო,—ამბობდნენ ისინი.—ალვინცის არმია, აქ რომ გამოჩნდა, ეს ის არმიაა, რომლის წინაშეც დაიხიეს რაინისა და სამბრ-მაასის არმიებმა. ეს უკანასკნელები-კი ახლა ცუღლუტობენ. რატომ უნდა ვასრულებდეთ ჩვენ მათ ვალდებულებას? თუ დაგვამარცხეს,—ჩვენ, შერცხვენილნი, გავიქცევით ალპებისკენ; თუ, პირიქით, გავიმარჯვეთ,—რა მოჰყვება ამ ახალ გამარჯვებას? ჩვენ დაგვიპირისპირებენ კიდევ ერთ არმიას, ალვინცის არმიის მსგავსს, ისე როგორც თვითონ ალვინცი შეენაცვლა ვურმზერს და მის არმიას, ვურმზერი-კი—ბოლიეს. ასეთ უთანასწორო ბრძოლაში ჩვენ ძალაუნებურად გავისრისებითო“. ნაპოლეონი მათ უპასუხებდათ: „ჩვენ ერთჯერ კიდევ უნდა გავიჭირვოთ, და იტალია ჩვენი იქნება. მტერი, უეჭველია, რიცხვით გვჭარბობს. მაგრამ ნახევარი მისი ჯარი ახალწვეულთაგან შედგება. თუ დავამარცხებთ, მანტუს ხელთ ვიგდებთ,—ჩვენ ყველაფრის პატრონი გავხდებით, ჩვენი ბრძოლა ამით დასრულდება, ვინაიდან, არა თუ იტალია, არამედ საერთო ზავიც დაკავშირებულია მანტუსთან. თქვენ გინდათ ალპებისკენ წასვლა მაგრამ ამის უნარი მეტი აღარა გაქვსთ. იმ ხრიოკ კლდეებზე მდგომ დამშეულ და თოვლიან ბანაკებიდან თქვენთვის სასიამოვნო იყო ლომბარდიის მშვენიერი ვაკეებისკენ გალაშქრება. მაგრამ იტალიის მხიარულ და აყვავებულ ბანაკებიდან არ შეგწევთ უნარი რომ თოვლს დაუბრუნდეთ. დამხმარე ჯარი ზოგი უკვე მოგვივიდა, ზოგიც გზაშია. დაე, ისინი, რომელთაც ბრძოლა აღარ უნდათ, ტყვილაუბრალოდ საბაბს ნუ ეძებენ, იმიტომ რომ—დაამარცხეთ ალვინცი, და მე ვარ თავდები თქვენი მერმისის“... ამ სიტყვებმა, რომლებიც გამე-

ორება იყო იმისი რაც გულში ჰქონდა ყველა კეთილშობილ ჯარისკაცს, ასწიეს შესუსტებული მორალური მდგომარეობა და თანდათან გამოიწვიეს მოპირდაპირე გრძნობები. არმიას, რომელიც ის-ის იყო კინაღამ სულიერად დაეცა, უნდოდა დახევა, მაგრამ ახლა, აღფრთოვანებით ავსებული, იგი დაჟინებით იმეორებდა რომ საჭიროა წინ წასვლაო: „განა შეუძლიათ იტალიის ჯარისკაცებს[1]) ამ მონებისგან გინებისა და შეურაცხების მოთმენაო“?

როდესაც ბრეშიაში, ბერგამოში, მილანში, კრემონაში, ლოდში, პავიაში, ბოლონიაში გაიგეს რომ საფრანგეთის არმიას მარცხი მოუვიდაო,—დაჭრილები და ავადმყოფები, ჯერ კიდევ კარგად ვერ მორჩენილნი, ეწერებოდნენ ჰოსპიტლებიდან, რათა დაბრუნებულიყვნენ მწყობრში. ნახევრად ავადმყოფ ვაჟკაცებს ჯერ კიდევ სისხლი სდიოდათ ჭრილობებიდან. ეს მგრძნობიარე სანახაობა სასიამო თრთოლას იწვევდა ადამიანის გულში.

VI

ბოლოს, 14 ნოემბერს, დაღამებისას, ვერონის ბანაკმა თოფი აიღო. დაიძრა სამი კოლონა სრულ სიჩუმეში, გადასჭრეს ქალაქი, გადავიდნენ ადიჯეზე სამი ხიდით და დაერაზმნენ მარჯვენა ნაპირზე. გამოსვლის საათი, მიმართულება, რომელიც დახევის მიმართულება იყო, სიჩუმე, რასაც იცავდნენ დღისით გაცემულ ბრძანების თანახმად, ერთი სიტყვით, საქმეების საერთო მდგომარეობა—ყველაფერი მაჩვენებელი იყო მოსალოდნელი დახევის. ეს პირველი ნაბიჯი დახევისაკენ იწვევდა აუცილებლად მანტუს ალყის მოხსნას და მოასწავებდა მთელი იტალიის დაკარგვას. ის მცხოვრებლები, რომელნიც თავიანთ ბედსა და იმედებს ფრანგების გამარჯვებაზე ამყარებდნენ, შეწუხებულნი და გულდაწყვეტილნი ადევნებდნენ თვალს არმიის მოძრაობას; მიმავალ არმიას მიჰქონდა ყველა მათი იმედი. მაგრამ ჯარმა, იმის მაგივრად რომ პესკიერის გზას გაჰყოლოდა, ანაზდად მოუხვია მარცხნივ და წავიდა ადიჯეს გასწვრივ. გათენებისას ის რონკოს მივიდა, სადაც ანდრეოსი ხიდის გადებას ათავებდა. შზის პირველ ამოსხივებასთან ერთად არმია, უბრალო მოვლით მარცხნივ, თავისდა განსაცვიფრებლად, მეორე ნაპირზე გაჩნდა. მაშინ ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთაც ეს ადგილები დავლილი ჰქონდათ, როცა ისინი ვურმზერს მისდევდნენ, მიხვდნენ თავიანთი გენერლის განზრახვას: „მას უნდა რომ შემოუაროს კალდიეროს, რომლის აღება შუბლიდან ვერ შესძლო; ვინაიდან შესაძლებლობა არაა რომ 13.000 კაცით 40.000-ის პირისპირ იბრძოლო ვაკეზე,—მას ბრძოლის ველი გადააქვს ვეებერთელა ჭაობებით გარშემორტყმულ გზატკეცილებზე, სადაც მარტო სიმრავლით ვერაფერს გააწყობ მაგრამ სადაც მეწინავე ნაწილების მამაცობა ყველაფერს გადასწყვეტსო“...

გამარჯვების იმედმა მაშინ ყველას გულები გამოაცოცხლა, და თითოეულმა დასდო აღთქმა რომ თავისთავს გადააჭარბებდა ასეთი კარგად მოფიქრებული და გაბედული გეგმის განსახორციელებლად.

---

[1]) „იტალიის არმია“, „იტალიის ჯარისკაცები“—ეს სიტყვები ამ წიგნში ყველგან ნიშნავს არა მართლა იტალიის არმიას და იტალიის ჯარისკაცებს, არამედ საფრანგეთის იმ არმიას და იმ ფრანგ ჯარისკაცებს, რომელნიც იბრძოდნენ იტალიაში ავსტრიის ჯარებისა და მათ მომხრეთა წინააღმდეგ. მთარგმნელის შენიშვნა

კილმენი დასტოვეს ვერონაში ყველა სახის ჯარების 1.500 კაცით; ქალაქის კარები მაგრად იყო ჩაკეტილი; გზებზე მოძრაობა მკაცრად აიკრძალა. მტერმა სრულებით ვერ შეამჩნია ეს გადაჯგუფება.

რონკოსთან ხიდი გასდვეს ალპონეს მარჯვენა ნაპირზე, თითქმის მეოთხედ ლიეზე მის შესართავიდან, და ამას აკრიტიკებდნენ საქმეში ცუდად ჩახედული სამხედრო პირები. მართლაც, ხიდი რომ მარცხენა ნაპირზე გადებულიყო, ალბარედოს პირდაპირ, მაშინ, ჯერ-ერთი, ჯარს მოუხდებოდა სვლა ვრცელ ვაკეზე, რისიც თავიდან აცილება სურდა მთავარსარდალს; მეორე, ალვინცი, კალდიეროს მაღლობებზე მდგომი, დაიკავებდა მსროლელებით ალპონეს მარჯვენა ნაპირს და ამით დამალავდა იმ რაზმის მოძრაობას, რომელიც მას შეიძლება ვერონისაკენ გაეგზავნა. ამ რაზმს დრო ექნებოდა ხელში ჩაეგდო ეს სუსტად დაცული ქალაქი, რათა შემდეგ წასულიყო ტიროლის არმიასთან შესაერთებლად. რივოლის დივიზია, რომელიც ორ ცეცხლს-შუა მოხვდა, იძულებული იქნებოდა პესკიერისაკენ დაეხია, და საფრანგეთის არმია სულ მთლიანად მოულოდნელ დარტყმის ქვეშ მოჰყვებოდა. ამის სანაცვლოდ, ალპონეს მარჯვენა ნაპირიდან ხიდის გადების საშუალებით ფრანგები ფასდაუდებელ უპირატესობებს ღებულობდნენ: პირველს—მტრის მიზიდვის შესაძლებლობას იმ სამ გზატკეცილისკენ რომლებიც ვრცელ ჭაობს ჰკვეთენ; მეორეს—ეხსნებოდა არმიას მიმოსვლა ვერონასთან დამბაზე, რომელიც ადიჯეს აყოლებით გაივლის სოფლებს—პორჩილეს და გომბიონს, სადაც ალვინცის მთავარი ბანაკი იდგა; ეს მაშინ როცა მტერს არ ჰქონდა არც მომარჯვებული პოზიცია დასაკავებლად, არც შესაძლებლობა რომ დაეფარა რაიმე ბუნებრივი ზღუდით თავისი ჯარების მოძრაობა თუ მათ ვერონის ასაღებად გაგზავნიდა. ვერონაზე იერიშის მიტანა ამიერიდან შეუძლებელი ხდებოდა რადგან საფრანგეთის არმია დასცხებდა მტრის ჯარების ბოლოს იმ დროს როცა ქალაქის კედლების წინ შეაჩერებდნენ მის თავს.

რონკოს ხიდიდან სამი გზატკეცილი მიდის: პირველი გზა-ტკეცილი—მარცხენა, რომელიც ვერონისაკენ მიიმართება, ადიჯეს აყოლებით, გაივლის სოფლებს—ბიონდსა და პორჩილეს, სადაც გადადის ვაკეში; მეორე გზატკეცილი—ცენტრალური—მიდის ვილანოვაში, ჰკვეთს მდ. ალპონეს ქვის პატარა ხიდით და გადის სოფელ არკოლეში; მესამე გზატკეცილი—მარჯვენა—მიდის ადიჯეს დაყოლებით და შედის ალბარედოში. რონკოდან პორჩილემდე 3.600 ტუაზია, პორჩილედან კოლდიერომდე—2.000 ტუაზი, კალდიეროდან ვერონამდე—3 ლიე, არკოლედან ვილანოვამდე—3.000 ტუაზი, რონკოდან არკოლემდე—2.200 ტუაზი, რონკოდან ალპონეს შესართავამდე—1.000 ტუაზი, ალპონეს შესართავიდან ალბარედომდე—500 ტუაზი.

VII

სამი კოლონა გაუდგა ამ სამ გზატკეცილს. მარცხენა კოლონა ავიდა ადიჯეს აყოლებით ჭაობის განაპირამდე სოფელ პორჩილესთან, სადაც გზატკეცილიდან ჩანდა ვერონის სამრეკლოები. ამ წუთიდან მტრისთვის შეუძლებელი შეიქმნა ამ ქალაქზე შეტევა. ცენტრალური კოლონა მიადგა არკოლეს, სადაც ფრანგმა მსროლელებმა ხიდამდე წაიწიეს, მტრის მიერ შეუმჩნევლად. იქ იდგა-

კროატების ორი ათასეული ორი ზარბაზანით, თავიანთი არმიის ზურგის დასაცავად და იმ ნაწილებთან საკავშიროდ, რომელთაც ლენიაგოს გარნიზონი წამოსწევდა მინდორზე, ვინაიდან ეს ციხე იდგა სულ 3 ლიეზე მარჯვენა ფრთიდან. ადგილი არკოლესა და ადიჯეს შორის სრულიად დაუცველი იყო. ალვინცი დაკმაყოფილდა მარტო მით რომ განკარგულება მისცა ჰუსართა პატრულებს—სამჯერ დღეში მოიარონ ჯებირები ჭაობებზე ადიჯეს ნაპირას. რონკოდან არკოლესკენ მიმავალ გზას 1.200 ტუაზის შემდეგ ხვდება რუ—ალპონე. აქედან ეს გზა 1.000 ტუაზის მანძილზე მიდის ამ პატარა რუს მარჯვენა ნაპირის აყოლებით ქვის ხიდამდე, შემოუვლის ამ ხიდს და შედის სოფელ არკოლეს.

კროატების ბანაკის მარჯვენა ფრთა ეყრდნობოდა სოფელს, მარცხენა—რუის შესართავს, ბანაკის შუბლის წინ იყო ჯებირი რომლიდან მას ჰყოფდა მხოლოდ რუ. კროატები პირდაპირ თავის წინ ისროდნენ და მათ ცეცხლში მოჰყვა გვერდით კოლონა რომლის თავი არკოლესთან მივიდა. კოლონამ საჩქაროდ დაიხია იმ ადგილამდე, სადაც გზატკეცილის მოსახვევი იფარავდა მის გვერდს მარცხენა ნაპირის ცეცხლისაგან. ოჟერო, აღშფოთებული ამ უკუსვლითი მოძრაობით, გრენადერთა ორი ათასეულით გავარდა ხიდზე. მაგრამ მას დაუშინეს ტყვია გვერდიდან და დაიხია თავის დივიზიასთან.

ალვინციმ, რომელსაც აცნობეს ეს იერიში, ჯერ ვერ გაიგო მისი მნიშვნელობა. მაგრამ, როცა გათენდა, კალდიეროდან და ახლო სამრეკლოებიდან მან დაინახა ფრანგების მოძრაობა. მის ჰუსართა მზვერავებს თოფის სროლა აუტეხეს ყველა ჯებირზე და ფრანგის ცხენოსანი ჯარი დაედევნა მათ. ახლა მისთვის ცხადი იყო რომ ფრანგები გადავიდნენ ადიჯეზე და იმყოფებიან მის ზურგში. მას უგნურობად ეჩვენებოდა მთელი არმიის ამგვარად გადასროლა გაუვალ ჭაობებში. მას ეგონა რომ ამ მხრიდან მარტო მსუბუქი ჯარი უტევდა, რათა მისთვის მოსვენება არ მიეცა და შეენიღბა ნამდვილი შეტევა, რომელიც უნდა წარმოებულიყო ვერონის გზატკეცილზე.

მაგრამ მზვერავები იტყობინებოდნენ რომ ვერონასთან სრული სიწყნარეაო, ამიტომ მან საჭიროდ ჩასთვალა ყველაზე უწინ ამ მსუბუქი მხედრობის უკუგდება ჭაობებიდან. ერთი დივიზია, მიტროვსკის სარდლობით, მან არკოლის ჯებირზე გაგზავნა და მეორე, პროვერას სარდლობით,—მარცხენა ჯებირზე. დილის 9 საათზე, დაახლოებით, ისინი სწრაფად გადავიდნენ იერიშზე. მასენას მინდობილი ჰქონდა მარცხენა ჯებირი. მან მტერი ახლოს მოუშვა და შემდეგ შეუტია მას ხიშტით, უკუაგდო იგი, დიდად დააზარალა და ბევრი ტყვე წამოიყვანა. ასეთივე ამბავი მოხდა არკოლის ჯებირზე. როგორც-კი მტერი გზატკეცილის მოსახვევს გასცდა, ოჟერო შეეგება მას სახიშტო იერიშით და გააქცია იგი. გამარჯვებულს დარჩა ტყვეები და ზარბაზნები; ჭაობები გვამებით მოიფინა.

არკოლეს ხელში ჩაგდება მეტისმეტად დიდ საქმედ ხდებოდა ვინაიდან იქიდან, როცა მტრის ზურგში მოექცეოდი, ადვილი იყო ალპონეს რუზე ვილანოვას ხიდის ხელში ჩაგდება; ეს ხიდი ერთადერთი დასახვევი გზა იყო, და ის უნდა დაკავებულიყო უფრო ადრე ვიდრე მტერი გადაჯგუფდებოდა. მაგრამ როდესაც არკოლემ მთელ რიგ იერიშებს გაუძლო, ნაპოლეონმა გადა-

სწყვიტა—პირადად თვითონ ეხმარა უკანასკნელი ღონე: სტაცა ხელი დროშას, გავარდა ხიდზე და იქ აღმართა იგი. იმ კოლონამ, რომელსაც ის სარდლობდა, უკვე ნახევარი ხიდი გაიარა; გვერდული სროლისა და მტრის ახალი დივიზიის მოსვლის გამო ეს იერიშიც დამარცხდა. მეწინავე რიგების გრენადერები, ზოზინით მიმავალ უკანა ამხანაგების მიერ მიტოვებულნი, შედრკნენ. მაგრამ მათ, უკან გამოქცეულთ, არ უნდოდათ რომ მათი გენერალი ტყვედ ჩავარდნილიყო. მოჰკიდეს მას ხელი ხელებში, ტანსაცმელში და თან წამოათრიეს გვამებსა და მომაკვდავებზე. ის ჩავარდა ჭაობში და ჩაეფლო შიგ წელამდე. მის ირგვლივ მტრის ჯარისკაცები დაძრწოდნენ.

გრენადერებმა შეხედეს რომ მათი გენერალი საფრთხეშია. შეიქმნა ყვირილი: „ჯარისკაცებო, წინ! ვუშველოთ გენერალს“! ეს ვაჟკაცები მაშინვე ჩქარი ნაბიჯით მიუბრუნდნენ მტერს, სახიშტო იერიშით უკუაგდეს იგი ხიდიდან და გადაარჩინეს ნაპოლეონი.

ეს დღე სამხედრო თავგანწირულობის დღე იყო. ლანი, რომელიც გოვერნოლის ჭრილობებს ირჩენდა, ნახევრადავადმყოფი მოიჭრა ბრძოლაში მილანიდან. ის ჩადგა მტერსა და ნაპოლეონს შუა და იფარავდა მას თავისი სხეულით; სამჯერ დაიჭრა მაგრამ ერთი წუთითაც არ მოშორებია. მუირონი, მთავარსარდლის ადიუტანტი, რომელიც სხეულით იფარავდა თავის გენერალს, მოჰკლეს. გმირული და ამაღელვებელი სიკვდილია! ბელიარი, ვინიოლი დაიჭრნენ იმ ჯარებში, რომელიც მათ საიერიშოდ დასძრეს. მოჰკლეს გულადი გენერალი რობერი, ბრძოლებში გამობრძმედილი ჯარისკაცი.

გენერალი გიო ბრიგადითურთ გადავიდა ბორანით ადიჯეზე ალბარედოში. არკოლეს შემოუარეს ზურგიდან. მაგრამ ალვინცი, რომელიც ამ დროს უკვე გაეცნო საქმის ნამდვილ ვითარებას, მიხვდა თუ რა საშიშროება მოელოდა მას. მან სასწრაფოდ მიატოვა კალდიერო—დაარღვია თავისი ბატარიები და გაიყვანა ალპონეს გაღმა მთელი თავისი აღალი და მარქაფი. ფრანგები გულდაწყვეტილნი ხედავდნენ რონკოს სამრეკლოდან, როგორ უძვრებოდათ ხელიდან მათ ეს დავლა, და სწორედ აქ, მტრის გამალებული მოძრაობის დანახვაზე, შეიძლებოდა გაგება თუ რამდენად დიდი იყო ნაპოლეონის განზრახვის გაქანება და მისი შედეგები. ყველასათვის ნათელი გახდა თუ როგორი შეიძლება იქნეს მსგავსი ღრმა და გაბედული კომბინაციის შედეგები. მტრის ჯარმა, თავისი სწრაფი დახევის წყალობით, თავიდან აიშორა განადგურება.

მხოლოდ 4 საათზე, დაახლოებით, გენერალმა გიომ შესძლო არკოლესკენ წასვლა ალპონეს მარცხენა ნაპირით. სოფელი ისე აიღეს რომ ტყვია არ უსვრიათ; მაგრამ ახლა მას მნიშვნელობაც აღარ ჰქონდა. ეს აღება დაავვიანეს 6 საათით: მტერმა უკვე დაიკავა თავისი ბუნებრივი პოზიცია. არკოლე ახლა მეტი არაფერი იყო თუ არა როგორც შუალა საგუშაგო ორთავე არმიის ფრონტებს შორის, დილას-კი ის მტრის ზურგში იყო მოქცეული.

მაგრამ ეს დღე მაინც დიდი შედეგებით დასრულდა: კალდიერო გასწმინდეს, ვერონას საფრთხე აღარ მოელოდა,ალვინცის ორი დივიზია დამარცხდა და დიდად დაზარალდა, ტყვეთა მრავალრიცხოვანი კოლონები და დიდი დავლა აღტაცებას იწვევდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებში. ყოველი მათგანი ხელ-ახლად იმსჭვალებოდა ნდობითა და გამარჯვების გრძნობით.



11 სურ. ნაპოლეონი არკოლის ხიდზე

VIII

ამასობაში, დავიდოვიჩმა ტიროლის ჯარებით იერიში მიიტანა კორონაზე და ხელთ იგდო იგი. მან დაიკავა რივოლი. ვობუა დადგა ბუსოლენგოს მაღლობებზე. კილმენი, კალდიეროს გაწმენდის გამო, აღარ შიშობდა მარცხენა ნაპირისათვის და მთელი თავისი ყურადღება მიაქცია ვერონის ციხის გალავანს მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ თუ დავიდოვიჩი ვერონისკენ წავიდოდა და აიძულებდა კილმენს მანტუსკენ წასვლას, ის მოხსნიდა ამ ქალიქის ალყას და გადაუჭრიდა დასახევ გზას რონკოში მყოფ მთავარ ბანაკს და არმიას. რივოლიდან მანტუმდე 13 ლიეა, რონკოდან ამ ქალაქამდე—10 ლიე, ძალიან ცუდი გზებით. ამიტომ განთიადზე საჭირო იყო ისე განლაგება რომ შესაძლებელი ყოფილიყო ვობუას დახმარება, მანტუს გარემოცვისა და არმიის გზების უზრუნველყოფა და დავიდოვიჩისთვის დარტყმა თუ ის დღისით წინ დაიძვროდა. ამ გეგმის შესრულებისათვის საჭირო იყო დროის ზუსტი გაანგარიშება. მთავარსარდალმა, რომელსაც არ შეეძლო სცოდნოდა—რა მოხდებოდა დღის განმავლობაში, ივარაუდა რომ ვობუას ცუდად მიუდის ყველა საქმე, რომ ის უკუგდებულია, და დაიკავა პოზიცია როვერბელასა და კასტელნუოვოს შორის.

მან განკარგულება გასცა—დაეცალათ ადიჯე; არმია გადაიყვანა ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე და მარცხენაზე დასტოვა მხოლოდ ერთი ბრიგადა და რამდენიმე ზარბაზანი და უბრძანა რომ ამ პოზიციაზე ჯარისკაცებმა დაისვენონ და წვენი მოიმხადონო. მტერი თუ რივოლისკენ წავიდოდა,—საჭირო იყო ადიჯეს ხიდის აყრა, ალვინცის თვალიდან მიმალვა, ვობუას დასახმარებლად დროზე მისვლა და მანტუს დაფარვა. მან არკოლეს ბანაკებში დასტოვა დანთებული ცეცხლები, რომლებსაც დროდადრო შეუკეთებდნენ ხოლმე საგუშაგოების მზირები, რათა ალვინცის ვერაფერი შეენიშნა. დილას 4 საათზე არმიამ თოფი აიღო, მაგრამ იმავე წუთს ვობუასგან მოგზავნილმა ოფიცერმა მოახსენა მთავარსარდალს რომ ვობუა ჯერ კიდევ საღამოს 6 საათზე ბუსოლენგოს პოზიციაზე იმყოფებოდა და დავიდოვიჩი არ დაძრულაო. ეს გენერალი სარდლობდა თავის დროზე ეურმზერის არმიის ერთერთ კორპუსს. მან ჭკუა ისწავლა და ერიდებოდა—თავი არ შეეშვირა დასარტყმელად.

ამასობაში, დილას 3 საათზე, დაახლოებით, ალვინცემ გაიგო ფრანგების დახევა და განკარგულება გასცა—დაეკავებინათ არკოლე და პორჩილე, და დღისით წარგზავნა ორი კოლონა ორთავე ჯებირზე. ატყდა თოფის სროლა 200 ტუაზზე რონკოს ხიდიდან. ფრანგები მომარჯვებული ხიმტებით გავიდნენ ხიდზე და დაეცნენ მტერს; მათ შემუსრეს იგი და ენერგიულად სდიეს მას ჭაობებიდან გასვლამდე; ჭაობები მტრის გვამებით აივსო. დროშები, ზარბაზნები და ტყვეები შეადგენდა ამ დღის ნადავლს, როცა ხელახლად დაამარცხეს კიდევ ავსტრიის ორი დივიზია. საღამოს, იმავე მიზეზებისა და იმავე კომბინაციების მიხედვით, მთავარსარდალმა უბრძანა იგივე მოძრაობა რაც წინა დღეს,—ყველა თავისი ჯარის თავმოყრა ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე და მარცხენა ნაპირზე მხოლოდ მოწინავე რაზმის დატოვება.

IX

ალვინცი, ჯაშუშის მიერ შეცთენილი (რომელიც არწმუნებდა მას რომ ფრანგები მანტუსკენ მიდიან და რონკოში მარტო ერთი არიერგარდი ჰყავსთო), —განთიადამდე გამოვიდა თავისი ბანაკიდან. დილას 5 საათზე ფრანგების მთავარ ბანაკმა გაიგო რომ დავიდოვიჩი უძრავად დგას, და ვობუა-კი იმავე პოზიციებზე იმყოფება. არმია უკანვე გადავიდა ხიდზე: ორთავე არმიის მეწინავე რაზმები შეხვდნენ ერთმანეთს შუა კაშხალზე. ბრძოლა მედგარი იყო, და წარმატება მერყეობდა რამდენიმე წუთის განმავლობაში. 75-ე ნახევარბრიგადა უკუაგდეს. ტყვეები ხიდამდე უწევდა. მთავარსარდალმა ჩაასაფრა 32-ე ნახევარბრიგადა: დააწვინა ის მიწაზე, პატარა ტირიფნარში, კაშხალის გასწვრივ, ხიდის თავის ახლოს. ჩასაფრებული რაზმი დროზე წამოხტა, დაუშინა ბათქით მტრის მიჯრილ კოლონას, შემდეგ ეძგერა ხიშტით და ჩააგდო ის მთლიანად ჭაობში. ეს იყო 3.000 კროატი; ისინი ყველანი იქ დაიღუპნენ.

მასენა მარცხენა ფრთაზე რამდენიმეჯერ ბეწვზე გადარჩა დამარცხებას, მაგრამ ის სულ მუდამ მიუძღვოდა ჯარს, თავისი დაშნის წვერზე ჩამოცმული ქუდით, როგორც თავისებური დროშით, და მან გაანადგურა თავისი მოპირდაპირე დივიზია.

ნაშუადღევს მთავარსარდალმა საბოლოოდ გადასწყვიტა რომ დადგა დრო საქმის დამთავრებისაო. ვობუა რომ ამავე დღეს დამარცხებულიყო დავიდოვიჩის მიერ,—მეორე ღამეს საჭირო იქნებოდა მის და მანტუს დასახმარებლად წასვლა. ალვინცი დაიძვროდა ვერონისკენ, მას მიათვისებდნენ გამარჯვების სახელსა და შედეგებს, სამ დღეში მოპოვებული წარმატებები-კი დაიკარგებოდა. ამის მაგივრად, თუ ნაპოლეონი უკუაგდებდა ალვინცის ვილანოვადან, ის შესძლებდა ვობუას დასახმარებლად წასვლას ვერონაზე გავლით. მან განკარგულება გასცა—ზედმიწევნით დაეთვალნათ ტყვეები და გამოერკვიათ დაახლოებით მტრის ზარალი. გამოანგარიშებით დამტკიცდა რომ სამ დღეში მტერი დაზარალებულა 25.000-ზე მეტი კაცით. ამგვარად, ალვინცის მებრძოლების რიცხვი მხოლოდ ერთ მესამედით სჭარბობდა ფრანგების ძალებს. ნაპოლეონმა ბრძანა—ამოსულიყვნენ ჭაობებიდან და მომზადებულიყვნენ მტრის შესატევად ვაკეზე. ამ სამი დღის ამბებმა იმდენად შესცვალეს ორთავე არმიის სულიერი განწყობილება რომ გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. არმია გადავიდა ალპონეს შესართავის ხიდზე. ელიოტს, მთავარსარდლის ადიუტანტს, მინდობილი ჰქონდა მეორე ხიდის გადება; მაგრამ ელიოტი იქ მოჰკლეს. ნაშუადღევს 2 საათზე საფრანგეთის არმია დაეწყო საბრძოლო წესით, მარცხენა ფრთით არკოლეში და მარჯვენათი—პორტო-ლენიაგოს მიმართულებით. მტრის მარჯვენა ფრთა ეყრდნობოდა ალპონეს, მარცხენა-კი—ჭაობებს. მტერი იდგა ვიჩენცისკენ მიმავალ გზის ორთავე მხარეზე. შტაბის პოლკოვნიკი ლორსე გაიგზავნა ლენიაგოდან 600—700 კაცით, ოთხი ზარბაზნით და 200 ცხენით, რათა შემოევლო ჭაობები რომლებსაც მტერმა თავისი მარცხენა ფრთა მიაბრჯინა. 3 საათზე, დაახლოებით, იმ წუთს როდესაც ამ რაზმმა წაიწია და ზარბაზნის სროლა გახურდა მთელ ხაზზე, მსროლელნი-კი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ,—ცხენოსან ასეულის მეთაურმა ერკიულმა ბრძანება მიიღო—25 გიდით და

ოთხი მენაღარით გაევლო ლელიანი და დაერტყა მტრის მარცხენა ფრთის სულ ბოლო კიდურზე, როგორც-კი ლენიაგოს ციხოვანნი მას ზურგიდან ქვემეხებს დაუშენდნენ. ერკიულმა გონიერად შეასრულა ეს მანევრი და დიდად შეუწყო ხელი იმ დღის გამარჯვებას. მტრის ხაზი გაარღვიეს, და მოპირდაპირემ დახევა დაიწყო. მისმა მთავარსარდალმა 6.000—7.000 კაცი გადაგზავნა ზურგის მიჯნებზე რათა უზრუნველეყო აღალი და დაეფარა დახევა. ბრძოლის ველზე აღარავინ დარჩა, ფრანგების გარდა. მტერს სდიეს მთელი საღამოს განმავლობაში, და მან ბევრი ტყვე დაჰკარგა. არმიამ ღამე თავის პოზიციაზე გაათია. თუმცა სამი დღე გამარჯვებისა იყო მაგრამ გენერლები და შტაბის ოფიცრები დაფიქრდნენ იმაზე თუ რას ბრძანებდა მთავარსარდალი მეორე დღეს. ისინი ფიქრობდნენ რომ ის დაკმაყოფილდება მტრის დახევით და არ დაიწყებს ბრძოლას ვიჩენცის ვაკეებზე, დაბრუნდება ვერონას ადიჯეს მარცხენა ნაპირით, რათა იქიდან შეუტიოს დავიდოვიჩს და დაიკავოს კალდიერო,—გაკეთებს იმას რაც მისი მანევრის თავდაპირველი მიზანი იყოო.

მაგრამ მტრის პირადი შემადგენლობა ისე დაზარალდა და მისი სულიერი განწყობილებაც ისე დასუსტდა რომ ვაკეზე ის უკვე საშიში აღარ იყო. დღისით გამოირკვა რომ ღამით მას ვიჩენცისკენ დაუხევია. არმია კვალდაკვალ დაედევნა; მაგრამ ვილანოვაში მისვლის შემდეგ მხოლოდ ცხენოსანმა ჯარმა განაგრძო დევნა. ქვეითი ჯარი შეჩერდა სანამ მტრის არიერგარდის მოქმედება გამოირკვეოდა.

მთავარსარდალი შევიდა სან-ბონიფაციოს მონასტერში. საყდარში მოთავსებული იყო ლაზარეთი. იქ ეწყო გროვებად 4.000—5.000 კაცი, მათგან მეტი წილი მკვდარი იყო. მძორის სუნი იდგა. მთავარსარდალმა, შეძრწუნებულმა, გასწია გასავლისკენ, ამ დროს უცებ მოესმა თავისი სახელი. ორი უბედური დაჭრილი ჯარისკაცი სამ დღეს იწვა მკვდრებში უჭმელი, ჭრილობაშეუხვეველი. ისინი ცოცხალ-მკვდრად გრძნობდნენ თავს, მაგრამ გამოცოცხლდნენ როცა თავიანთი გენერალი დაინახეს. მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს.

როცა მთავარსარდალმა ცნობა მიიღო რომ მტერი შეუჩერებლად იხევს და მისი არიერგარდი უკვე მონტებელოს გასცდაო,—ის მიბრუნდა მარცხნივ და გაემართა ვერონაზე, ტიროლის არმიის შესატევად. მზვერავებმა დაიჭირეს შტაბის ერთი ოფიცერი რომელიც დავიდოვიჩს ალვინცისთან გაეგზავნა. იგი ის-ის იყო დაეშვა მთებიდან, მას ეგონა—თავისიანებში ვარო. მის დეპეშებში გაიგეს რომ ავსტრიის ორთავე არმიას შორის სამი დღის განმავლობაში სრულებით კავშირი არ ყოფილა და დავიდოვიჩმა არაფერი იცის—რა მოხდა.

ალვინციმ დაჰკარგა არკოლის სამ დღეში 18.000 კაცი, ამათში—6.000 ტყვე, აგრეთვე—ოთხი დროშა და 18 ზარბაზანი.

X

საფრანგეთის გამარჯვებული არმია შევიდა ვერონას ვენეციის კარებიდან სამი დღის შემდეგ, რაც ის ფარულად გამოვიდა ამ ქალაქიდან მილანის კარებით. ძნელი ასაწერია მოსახლეობის გაოცება და აღფრთოვანება. ყველაზე უფრო აშკარა მტრებიც-კი ვერ მალავდნენ თავიანთ აღტაცებას, და თავიანთ მილოცვებს უერთებდნენ პატრიოტებისას.

მაგრამ არმია არ გაჩერებულა. ის გადავიდა ადიჯეზე და გაემართა დავიდოვიჩისკენ რომელმაც 17-ს შეუტია ბუსოლენგოს და უკუაგდო ვობუა კასტელნუოვოზე.

კასტელნუოვოსკენ გაიგზავნა მასენა; ის იქ შეუერთდა ვობუას, რის შემდეგ მან იერიში მიიტანა რივოლზე. ოჟერომ, რომელიც ადიჯეს მარცხენა ნაპირზე მიდიოდა დოლჩესკენ, ტყვედ ჩაიგდო 1.500 კაცი, ორი სანავტიკო პარკი, ცხრა ქვემეხი და დიდი აღალი.

მაგრამ ასეთი დიდი შედეგების მიღწევა უმსხვერპლოდ არ მომხდარა. ჯარს ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროებოდა დასვენება, და ტიროლს წასვლა და ტრიენტამდე მისვლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მან დაიკავა მონტე-ბალდო, კორონა, ადიჯესი და კიეზის ხეობები. ალვინცის არმია ბასანოში იყრიდა თავს, დავიდოვიჩი—ტრიენტში.

მოსალოდნელი იყო რომ მანტუ უფრო ადრე გააღებდა თავის კარებს, ვიდრე ავსტრიის მთავარსარდალი ახალი არმიის შედგენას მოახერხებდა. ამ სიმაგრის გარნიზონს ორჯერ ნაკლები ულუფის ძლევა დაუწყეს, დეზერტირობამ იმატა, ჰოსპიტლები გატენილი იყო. ყველაფერი მოასწავებდა ციხის მალე დანებებას: სიკვდილიანობა დიდი იყო, ავადმყოფობით ყოველთვიურად უფრო მეტი ხალხი იხოცებოდა, ვიდრე საჭირო იყო დიდი ბრძოლის მოსაგებად.

IX თ ა ვ ი

სამგრ-მაასისა და რაინის არმიების ოპერაციები გერმანიაში 1796 წელს

მე-8 სქემა

I. საზამთრო ბანაკები 1796 წ.—II. გერმანიაში ავსტრიის არმიებიდან 30.000 კაცის გამოყოფა იტალიაში გასაგზავნად.—III. ლაშქრობა და ბრძოლები ივნისში.—IV. რაინის არმია მიდის ნეკარს 18 ივლისს.—V. სამგრ-მაასის არმია მიდის მაინზე 12 ივლისს.—VI. სამგრ-მაასის არმიის გადასვლა მაინიდან ნაბზე. პოზიციები რომელიც ეკავა მას 21 აგვისტოს.—VII. რაინის არმიის გადასვლა ნეკარიდან ლეხზე. ნერესჰაიმის ბრძოლა (11 აგვისტოს). პოზიციები რომელიც ეკავა მას 23 აგვისტოს.—VIII. ერცჰერცოგ კარლოსის მანევრები სამგრ-მაასის არმიის წინაალმდეგ. ამბერგის ბრძოლა (24 აგვისტოს). ამ არმიის სასწრაფო დახევა. ვურცბურგის ბრძოლა (3 სექტემბერს). სამგრ-მაასის არმიის განლაგება ლანზე 10 სექტემბერს. მისი გადასვლა რაინზე 20-ს.—IX. რაინის არმიის ლაშქრობა და კონტრ-ლაშქრობა სექტემბრის განმავლობაში. მისი დახევა. ბიბერახის ბრძოლა (2 ოქტომბერს).—X. რაინის არმიის გადასვლა შვარცვალდზე. ელც-კანდერნის ბრძოლა. ამ არმიის გადასვლა რაინზე ჰიუნინგენის ხიდით 26 ოქტომბერს.—XI. ჰიუნინგენის საგარეუბნო სიმაგრისა და კელის გარემოცვა.—XII. შენიშვნები.

I

პრუსიამ ზავი დასდო რესპუბლიკასთან 1795 წელს აპრილში. 17 მაისს ხელმოწერილი შეთანხმებით დადგენილი იყო წესები რომლებიც უნდა შეესრულებინათ მეომარ არმიებს პრუსიის პროვინციებში გავლისას. მაგრამ ამ შეთანხმებამ ბევრი დავა გამოიწვია, და 1796 წელს 5 აგვისტოს ბერლინში

დაადგინეს რომ დააწესებდნენ სამიჯნო ხაზს რაინის ვეზელიდან ტიურინგენის მთების საზღვრის გასწვრივ, და არც ერთ მეომარ არმიას არ შეეძლებოდა მისი გადასვლა. პრუსიის მეფის ოლქები და პრუსიის კონფედერაციასთან შეერთებული გერმანიის სახელმწიფოები, ამ ხაზის სამხრეთით, ნეიტრალურდებოდნენ. მეომარ არმიებს შეეძლოთ იქ გავლა და საჭირო საზრდოს შესყიდვა, მაგრამ უფლება არ ჰქონდათ რაიმე სიმაგრის აგების.

1795 წელს, ზაფხულის განმავლობაში ავსტრიელები მოქმედებდნენ რაინზე ორი არმიით: ერთი—ქვემო-რაინის, ფელდმარშალ კლერფაიტის სარდლობით, მეორე—ზემო-რაინის, ფელდმარშალ ვურმზერის სარდლობით. პირველის პირისპირ ფრანგებმა გამოიყვანეს სამბრ-მაასის არმია, გენერალ ჟურდანის სარდლობით, მეორის წინააღმდეგ—რაინის არმია, პიშეგრიუს სარდლობით; ამ არმიას ეკავა კონტრვალაციური ხაზები მაინცის გარშემო. თუმცა პრუსია ომს ჩამოშორდა, მაგრამ ეს ლაშქრობა მაინც ავსტრიელების სასარგებლოდ დასრულდა. ოქტომბერში მათ გადალახეს მაინცის კონტრვალაციური ხაზები, ხელთ იგდეს იქ დიდი რაოდენობა საველე არტილერია და დაახევინეს პიშეგრიუს ვაისემბურგის ხაზებზე. საომარი მოქმედება დათავდა დროებითი ზავით რომელსაც ხელი მოაწერეს 23 დეკემბერს 1795 წელს. ამ ზავით დადგენილი იყო: 1) სამბრ-მაასის არმიას უკავია დიუსელდორფის ციხე, საწინავო სამზირებით სამ ლიეზე ვუპერის მარცხენა ნაპირას; შემდეგ მისი სამიჯნო ხაზი გრძელდება რაინის მარცხენა ნაპირას მთებამდე, მიდის ალზასის საზღვრებამდე, გაჰყვება ვაისემბურგის ხაზებს და იქიდან—რაინს ბაზელამდე; 2) ავსტრიელები აყენებენ საწინაო სამზირებს ზიგის მარცხენა ნაპირზე (მდ. ზიგი შეერთვის რაინს ბონთან); ადგილი ვუპერსა და ზიგს შორის ითვლება როგორც ნეიტრალური; ზიგის შესართავიდან ხაზი მიდის რაინის მარჯვენა ნაპირზე მდ. ნაგის შესართავამდე, საიდანაც იგი გადაჰკვეთს რაინს ბინგენთან და ადის, ნაგის მარჯვენა ნაპირის აყოლებით, მთებამდე. იმის გამო რომ ავსტრიელებს უკავიათ მაინცი და მთელი ადგილი რაინის მარცხენა ნაპირზე ვაისემბურგამდე, მათი ხაზი ვაისემბურგიდან გადადის მარჯვენა ნაპირზე და მიჰყვება მას ბაზელამდე. ამ პირობებს დასთანხმდნენ და თავიანთი მთავარი ბანაკები გადაიტანეს: ჟურდანმა—გუნდსრიუკს, პიშეგრიუმ—სტრასბურგს, კლერფაიტმა—მაინცს და ვურმზერმა—მანჰაიმს.

ზამთრის განმავლობაში საფრანგეთმა და ავსტრიამ გააკეთეს ყველაფერი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, თავიანთი არმიების შესავსებად, შესამოსად და საუკეთესო მდგომარეობაში ჩასაყენებლად. წარსული ლაშქრობის წარმატებებმა ვენის კაბინეტს დიდი იმედები გაუღვიძა. მან გაიწვია კლერფაიტი; ის ერცჰერცოგ კარლოსით შესცვალა. გენერალი პიშეგრიუ იწვევდა საფრანგეთის მთავრობის უნდობლობას. ოპერაციები, რომელთა შედეგად ლაშქრობა დამარცხებით დამთავრდა, იმდენად უწესოდ იყო ჩატარებული რომ ისინი საღალატოდ მიაჩნდათ. მაგრამ დირექტორიას არ ჰქონდა დამამტკიცებელი საბუთები. ვერ ბედავდნენ სავსებით ამის დაჯერებას მაგრამ ხელი ჩასჭიდეს პირველ მოხვედრილ საბაბს, რათა ეს გენერალი არმიიდან გამოეწვიათ. ის დანიშნეს ელჩად შვეიცარიაში. პიშეგრიუმ უარი სთქვა ამ დიპლომატიურ დანიშვნაზე; ის წავიდა საცხოვრებლად თავის მამულში. რაინის არმიის მთავარსარდლად დანიშნეს მორო და 23 მაისს 1796 წელს ის შეუდგა თანამდებობას.

II

ამასობაში, იტალიაში ლაშქრობა დაიწყო აპრილში. მონცენოტეს, მილეზიმოს და მონდოვის ბრძოლებმა აიძულა სარდინიის მეფე რომ მას კერასკოში ხელი მოეწერა შეთანხმებაზე და გამოსულიყო კოალიციიდან. სასახლის სამხედრო საბჭომ უბრძანა ერცჰერცოგს—უარი ეთქვა დროებითი ზავზე და დაეწყო საომარი მოქმედება რაინზე, ერთის მხრით იმიტომ რომ ხელი შეეშალა ფრანგებისათვის — ალპების გადაღმა დამხმარე ჯარების გაგზავნაში, მეორე მხრით-კი იმიტომ რომ აეშორებინა საზოგადოების ყურადღება იტალიაში ავსტრიის ჯარების განადგურებისაგან.

პარიზიდან გამგზავრებისას, დამლევ თებერვალს, ნაპოლეონმა დაპირება მიიღო რომ აპრილის განმავლობაში რაინისა და სამბრ-მაასის არმიები საომარ მოქმედებას დაიწყებენო. მაგრამ დამლევ მაისს ისინი მაინც კიდევ საზამთრო ბინებში იყვნენ. იტალიის არმიის ყველა გამარჯვება, მისი წინსვლა ნიშნავდა რომ საჭიროა საფრანგეთის არმიების სასწრაფო მოქმედება რაინზე. სხვადასხვა საბაბით ეს წუთი გვიანდებოდა. ბოლოს, მტრის გაუფრთხილებლობამ გაკეთა ის, რასაც საფრანგეთის მთავრობა ვერ მიხვდა—ებრძანებინა. მორომ, რომელიც მანამდე პარიზში იყო, ბოლოდ სტრასბურგამდე მისვლა მოასწრო. მთელი ჯარი, დაბანაკებული მოზელზე, საარსა და მაასზე, ამოძრავდა, და 1 ივნისს საომარი მოქმედება დაიწყო.

ამავე დროს ლოდის ბრძოლის, მინჩიოზე გადასვლის, ბორგეტოს ბრძოლის, მანტუს გარემოცვის, საფრანგეთის არმიის მთავარი ბანაკის ვერონაში მისვლისა და მისი საწინაო სამზირების ტიროლის მთებზე განლაგების ამბებმა შესცვალეს ვენის სამეფო კარის განზრახვები. ეს არმიაო—ამბობდნენ იქ—კი არ დადის, არამედ დაფრინავს ჰაერში, ვერავითარი ზღუდე მას ვერ აჩერებს; საჭიროა მისი მოჭკვიანებაო. სამეფო კარმა უბრძანა ვურმზერს იტალიაში წასვლა ქვემო-რაინის არმიის 30.000 კაცით. ეს არმია დანიშნული იყო ბოლიეს არმიის ნაშთების—რომლის გადაკეთება ხდებოდა ტიროლში, კარინთსა და კარნიოლში—მარქაფად; მასვე ევალებოდა მანტუს დასახმარებლად გასვლა, სანამ ეს სიმაგრე დაკარგავდა წინააღმდეგობის შესაძლებლობას, და ლომბარდიის საგვარეულო ოლქების უკან წართმევა,—ამ ოლქების დაცვა უფრო საჭირო იყო სასახლისათვის ვიდრე სახიფათო დაპყრობანი საფრანგეთში. მან გააერთიანა ერცჰერცოგის სარდლობით ორივე თავისი არმია, უბრძანა—არ დაეწყოთ საომარი მოქმედება და ეცნოთ არსებული დროებითი ზავი. მაგრამ ეს ბრძანება ძალიან გვიან მივიდა: ორი საათით ადრე დაიწყო საომარი მოქმედება.

ერცჰერცოგმა, ვურმზერის გამოყოფით დასუსტებულმა, უარი სთქვა ყველა თავის მიერ შედგენილ დაპყრობითი გეგმაზე, და შემოფარგლა თავისი პატივმოყვარული აღფრთოვანება მხოლოდ რაინის გადასასვლელებისა და გერმანიის საზღვრების დაცვით. მას ჰყავდა: 1) ქვემო რაინის არმია, არტილერიის გენერლის ვარტენსლებენის და ფელდმარშალ-ლეიტენანტების—კრაის, ვორონეკის, გოტცეს, გრუბერის, კოლორედო-მელსის, სტაადერისა და ლინდტის სარდლობით. ეს არმია შედგებოდა 101 ქვეითი ათასეულისაგან—71.000 კაცი,—139 ცხენოსან ასეულისაგან—22.700 კაცი, ერთად—93.700 კაცისაგან რომელთაგან უნდა გამოყოფილიყო ერენბრაიტენშტაინის, მაინცის და მანჰაიმის გარ-

ნიზონების დამხმარე ჯარები; 2) ზემორაინის არმია, არტილერიის გენერლის ლა-ტურის—წასულ ვურმზერის ნაცვლად,—და მისი ხელქვეითი ფელდმარშალ-ლეიტენანტების—სტარაის, ფრელიხის, თავადის ფიურსტენბერგის, რაისის, რიშის და პრინც კონდეს სარდლობით. მას შეადგენდა 58 ქვეითი ათასეული—65.000 კაცი,—120 ცხენოსანი ასეული—18.000 კაცი,—საერთოდ—83.000 კაცი. ავსტრიის ჯარების მთელი რაოდენობა რაინზე, ამგვარად, მაისში უდრიდა 176.700 კაცს. ამ არმიიდან 30.000 კაცის იტალიაში წასვლამ, თავდაპირველი გამოყოფილი 6.000 კაცის ჩაუთვლელად, შეამცირა ერცჰერცოგის არმია 140.000 კაცამდე.

საფრანგეთის ორთავე არმიაში, ერთად, იყო 150.000 კაცზე მეტი. სამბრ-მაასის არმიას შეადგენდა 65.000 კაცი ქვეითი, 11.000 ცხენოსანი, საერთოდ—76.000 კაცი; რაინ-მოზელის არმიას—71.000 ქვეითი, 6.500 ცხენოსანი, საერთოდ—77.500 კაცი. პირველი იყო გაყოფილი სამ კორპუსად. მარცხენა, კლებერის სარდლობით, კოლოსა და ლეფევრის დივიზიებისაგან შემდგარი, იმყოფებოდა რაინის მარჯვენა ნაპირზე, დიუსელდორფში. მთავარსარდალი ჟურდანი იმყოფებოდა გუნდსრიუკში შუა კორპუსით რომელიც შემდგარი იყო შამპიონეს, გრენიეს და ბერნადოტის დივიზიებისაგან. მარჯვენა, მარსოს სარდლობით, შედგებოდა მისი საკუთარი დივიზიისაგან და პონსეს დივიზიისაგან. გენერალი ბონო ცხენოსან მარქაფს სარდლობდა. რაინ-მოზელის არმია სამ კორპუსად იყო შემდგარი: დეზე სარდლობდა მარცხენას, მას ჰყავდა ბოპუის და დელმასის დივიზიები; სენ-სირი სარდლობდა შუალას რომელშიც იყო დიუჰემის და ტაპონიეს დივიზიები; ფერინო სარდლობდა მარჯვენას—დელაბორდის და ტაროს დივიზიებს, და გენერალი ბურსიე სარდლობდა ცხენოსან მარქაფს.

III

1 ივნისს კლებერი გამოვიდა დიუსელდორფიდან თავისი კორპუსით რომელშიც 30 ათასეული და 20 ცხენოსანი ასეული იყო; 2-ს მივიდა ზიგზე და გადავიდა ამ მდინარეზე მოწინავე რაზმების ბრძოლის შემდეგ; მან დაიპყრო უკერატის პოზიცია. 4-ს შეუტია ვიურტემბერგის პრინცს, რომელიც 15.000-კაციან კორპუსით ალტენკირხენის მაღლობებზე იდგა, დაამარცხა იგი, წაართვა 2.000 ტყვე, ოთხი დროშა, 12 ზარბაზანი და გასწია ლანზე. მთავარსარდალი ჟურდანი გადავიდა რაინზე ნაივიდში და შეუერთდა თავის მარცხენა კორპუსს ლანზე. მარსომ აჰყარა თავისი ბანაკი ბირკენფელდში და გასწია მაინცისკენ. ერცჰერცოგ კარლოსმა მოიშველია ზემო რაინიდან 8-ათასიანი რაზმი და შეუტია სამბრ-მაასის არმიას. 15 ივნისს მან იერიში მიიტანა ამ არმიაზე, დაამარცხა ვეცლარში ლეფევრის დივიზია და წაართვა მას ერთი დროშა და შვიდი ზარბაზანი. ჟურდანმა უარი სთქვა თავის განზრახვაზე, რომ ის შეებრძოლებოდა მტერს 17 ივნისს, და მთელ ფრონტზე დახევა დაიწყო. ის გადავიდა რაინზე კელნის და ნაივიდის ხიდებით, და კლებერი დიუსელდორფს გაგზავნა. მტრის მიერ ძლიერ შევიწროებული ეს გენერალი იძულებული იყო—19 ივნისს გადაეხადა ბრძოლა ალტენკირხენში. ამ ბრძოლიდან ის ღირსებით გამოვიდა, დიდი ზარალი არ მოსვლია, და დაიკავა დიუსელდორფის პოზიცია

როცა ვურმზერი რაზმითურთ იტალიას გაემგზავრა, მან შეამოკლა თავისი პოზიცია და მარცხენა ფრთა დააყენა რაინზე, მის მიერ გამაგრებულ პატარა ქალაქ ფრანკენტალთან, და მარჯვენა ფრთა—მთებში. მორომ უბრძანათ დეზეს და სენ-სირს რომ მათ იერიში მიეტანათ მასზე. პირველმა იწყო მანევრირება რაინსა და მთებს შუა, მეორემ—ჰამბურგიდან და ცვაიბრიუკენიდან. 15 ივნისს, ცხარე ბრძოლის შემდეგ, ავსტრიელების არიერგარდი უკუაგდეს და იძულებული გახდა დაეხია მანჰაიმის ხიდწინა სიმაგრეში, ათასი კაცის დაკარგვით. მაგრამ ეს პატარა წარმატება ვერ აანაზღაურებდა იმ მარცხებს, რომლებიც განიცადა ამ დროის განმავლობაში რაინზე დახეულმა სამბრ-მაასის არმიამ.

IV

საფრანგეთის მთავრობამ ბოლოს იგრძნო რომ მოროს მანევრები რაინის მარცხენა ნაპირზე ვერაფერს შველოდა სამბრ-მაასის არმიას. მან უბრძანა მოროს რაინზე გადასვლა. 24 ივნისს, 2 საათზე დილას, დეზემ 2.500 კაცით დაიპყრო ერლენ-რაინის კუნძული, და დილის განმავლობაში დაიპყრო კელი. მან ხელში ჩაიგდო 800 ტყვე და 12 ზარბაზანი. საღამოს დაიწყო ტივტივა ხიდის გადება და დაასრულა იგი 25-ს შუადღეზე. ამ დღეს მისი ორი დივიზია, ცხენოსანი მარქაფი, მთავარი ბანაკი და ფერინოს ერთ-ერთი დივიზია—საერთო რიცხვით—40.000 კაცი, გადავიდნენ მარჯვენა ნაპირას. გენერალი სენ-სირი თავისი ორი დივიზიითურთ დარჩა მარცხენა ნაპირზე მანჰაიმის ხიდწინა სიმაგრის პირდაპირ, ფერინოს მეორე დივიზია—ზემო რაინზე. გენერალ სტარაის 26 ათასეულით, რომელთა შორის იყო კონდეს არმიის ნაწილი და შვაბელთა კონტინგენტი, დაევალა რაინის დაცვა შვეიცარიიდან რაშტადტამდე. ლა-ტური 22 ათასეულით მანჰაიმში იყო. ის იცავდა შუა მანძილს რაშტადტიდან მაინამდე და ეკავა მარცხენა ნაპირზე მანჰაიმის ხიდწინა სიმაგრე. სტარაის მხედრობა მოფანტული იყო მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. მას ჰქონდა ორი პატარა ბანაკი, თითოეული—6.000 კაცზე, კელიდან რამდენსამე ლიეზე, ერთი—ვილშტედტში, მეორე—ოფენბურგთან. 26-ს ფერინო, რაინის აყოლებით, გაემართა ვილშტედტის ბანაკზე, და 28-ს—ოფენბურგის ბანაკზე. მტერმა ეს ბანაკები გახიზნა. იმავე დროს დეზემ თავისი კორპუსით და არმიის მარქაფით გაილაშქრა რენხზე. აქ იყო გენერალი სტარაი 10.000 კაცით. დეზე დაეტაკა მას, დაამარცხა იგი, წაართვა ათი ზარბაზანი, 1.200 ტყვე და სდია რაშტადტამდე, სადაც ის-ის იყო რომ მოვიდა მანჰაიმიდან გენერალი ლა-ტური 25.000 კაცით და დადგა პოზიციაზე მდ. მურგს გაღმა. მაგრამ როგორც-კი სენ-სირმა გაიგო მტრის მოძრაობა მანჰაიმიდან ზემო რაინისკენ, მაშინვე გაექანა იქით მარცხენა ნაპირით, გადავიდა კელნის ხიდზე და მიადგა ფრაიდენშტადტს; მან დაიპყრო სანგრები კნიბისის მთაზე და გადალახა მდ. მურგი ძალიან ცხარე ბრძოლის შემდეგ რომელიც 5 ივლისს მთელ დღეს გაგრძელდა. გენერალმა ლა-ტურმა, რომელმაც 1.000 ტყვე დაჰკარგა, დაიხია მდ. ალბსგაღმა. ფრანგების მთავარი ბანაკი გადავიდა რაშტადტს. ამ დროის განმავლობაში ფერინომ დაიკავა მდ. კინციგი, შემდეგ ის წავიდა ზემოთ, რაინის აყოლებით და, იმისდა მიხედვით თუ რამდენზე მიიწევდა წინ, ბრიგადები, რომელნიც მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდნენ, გადადიოდნენ ამ მდინარეზე და ემატებოდნენ მის კორპუსს.

როცა ერცჰერცოგმა 26 ივნისს გაიგო რაინზე გადასვლა კელთან. ის დაიძრა 24 ათასეულით და 29 ცხენოსან ასეულით თავისი ზემორაინის არმიის დასახმარებლად, ჟურდანზე თვალყურის დასაჭერად-კი დასტოვა 36.000 კაცი ვარტენსლებენის უფროსობით და 26.000 კაციც—გეხტსჰაიმის გამაგრებულ ბანაკში მაინცის დასაფარავად. ის შეუერთდა გენერალ ლა-ტურს მდ. ალბსგალმა, და მისი სარდლობის ქვეშ აღმოჩნდა 44 ათასეული და 80 ცხენოსანი ასეული, სახელდობრ: მის მარცხენა ფრთაზე, მთებში, გენერალ კაიმის სარდლობით, 18 ათასეული და 19 ცხენოსანი ასეული; შუაგულში, ეტლინგენის წინ, 13 ათასეული და 28 ცხენოსანი ასეული; მარჯვენა ფრთაზე გენერალ ლა-ტურის სარდლობით, 10 ათასეული და 29 ცხენოსანი ასეული და სამი ათასეულიც ოთხი ცხენოსან ასეულითურთ სათვალთვალო რაზმებში.

ასეთი მნიშვნელოვანი ძალებით მას განზრახული ჰქონდა—იერიში მიეტანა საფრანგეთის არმიაზე და გადაეგდო იგი რაინში. მაგრამ გენერალმა მორომ დაასწრო მას: 9-ს სენ-სირმა გადალახა როტენსოლი, დაამარცხა კაიმი, უკუაგდო საქსონელები ნეკარზე. ეს როცა ერცჰერცოგმა გაიგო, ბრძანა თავისი ცენტრისა და მარჯვენა ფრთის დაძვრა დეზეს წინააღმდეგ. დეზემ სოფელ მალშში შეაჩერა ერცჰერცოგი. მან დიდი მამაცობა გამოიჩინა, გაუძლო მტერს დღის დიდი ნაწილის განმავლობაში და მხოლოდ საღამოს დაიხია მეორე პოზიციაზე, ცოტათი უკან. ასეთმა ვაჟკაცურმა წინააღმდეგობამ შეაფიქრიანა მოპირდაპირე, რომელმაც, შეშინებულმა რომ მას გზას მოუჭრიდა გენერალი სენ-სირი, უკვე ნაიენბურგამდე მისულმა, დაიწყო დახევა 10-ს პფორცჰაიმზე, თანაც გამოჰყო ათი ათასეული ფილიპსბურგისა და მანჰაიმის ციხოვან ჯარების შესავსებად. მეორე დღეს განაგრძო თავისი გზა შტუტგარტზე, სადაც ის, გენერალ სენ-სირის მიერ დევნილი, გადავიდა მდ. ნეკარზე. თავისი მხრით გენერალმა ფერინომ დაიპყრო ბიბერახის პოზიცია კინციგზე, შემდეგ გადავიდა შვარცვალდზე და მივიდა ვილინგენს. მტერმა სრულებით დასცალა მთელი ადგილი რაინსა და შვარცვალდს შორის. „ტყის“ ქალაქებში ჩააყენეს ფრანგის გარნიზონები.

V

როგორც-კი სამბრ-მაასის არმიის მთავარ ბანაკში გაიგეს რომ რაინის არმია რაინზე გადავიდაო, გენერალი კლებერი 29 ივნისს გავიდა დიუსელდორფიდან. მას დაუმატეს გრენიეს დივიზია რომელიც გადავიდა რაინზე კელნში. ლიმბურგში მას ბრძოლა მოუხდა და 8 ივლისს ის გადავიდა ლანზე. მთავარსარდალი ჟურდანი დანარჩენი არმიითურთ შეუერთდა მას ნევიდის ხიდზე. მთავარსარდალმა მოწინავე რაზმების პატარ-პატარა შეტაკებით დაახევინა გენერალ ვარტენსლებენს, შემდეგ ის გადავიდა ლანზე სამ კოლონად სამი ხიდით: ჰისენის, ვეცლარის და ლაინის. ფრიდბერგში, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, მტერი დამარცხდა, და 12-ს ჟურდანი გადავიდა ნიდზე და გავიდა მაინის ვაკეებზე; მან დაიკავა პოზიცია ფრანკფურტის წინ და შეჰკრა ვერტენსლებენთან დროებითი ზავი რამდენიმე დღით, რათა მოლაპარაკებულიყვნენ ფრანკფურტის (რომელმაც თავისი კარები გააღო) ჩაბარების თაობაზე. ამან დრო მისცა მტერს რომ ორი ეჯი მოეგო და წასულიყო ზემო მაინზე. ფრანკ-

ფურტი კარგად იყო შეიარაღებული, და უხვად მომარაგებული საომარი მასალით და სურსათით. კიონიგსშტაინის ციხე, რომელიც ფრანკფურტიდან ერთ ეჯზე იდგა, კელნის დიდ გზატკეცილზე, დანებდა ფრანგებს 21 ივლისს. შიგ იყო 93 ზარბაზანი და 600 ციხოვანი.

VI

ჟურდანმა, როცა მთავრობის ინსტრუქცია მიიღო, დასტოვა მარსო ციხეების წინ 30.000 კაცით, თვითონ-კი მარტო ექვსი დივიზიით—50.000 კაცის რაოდენობით—გასწია წინ, გერმანიის შუაგულისაკენ. ის მიჰყვებოდა ტიურინგენის მთების (რომელნიც საქსონიას აშიასავით ევლებიან) განაპირებს, და ამგვარად შორდებოდა დუნაის. 21 ივლისს მისი მოწინავე რაზმი შვაინფურტს შევიდა, მთავარი ბანაკი-კი მივიდა იქ 26-ს. ვიურცბურგი და მისი ციხე, დაკავებული თავადი-ეპისკოპოსის 3000 კაცით, დანებდა მას 24-ს, და მეციხოვნე ჯარმა იარაღი დაჰყარა. კიონიგსჰოფენის ციხე დანებდა 3 აგვისტოს. გენერალმა ვარტენსლებენმა 31.000 კაცით, წინააღმდეგობის გაუწევლად, დაიხია ბამბერგზე. სამბრ-მაასის არმია დაედევნა მას და გადავიდა რეგნიცზე ბამბერგში; 6 აგვისტოს ფორხჰაიმთან მან დაამარცხა იგი. ამის გამო ვარტენსლებენი იძულებული გახდა დახეულიყო მდ. ვილსს გაღმა. ფრანგების მთავარი ბანაკი 11 აგვისტოს ლაუფში დადგა. როტენბერგის ციხე, ბაირაიტიდან ამბერგს მიმავალ გზატკეცილზე, დანებდათ ფრანგებს. შიგ აღმოჩნდა 43 ქვემეხი. 15 აგვისტოს ფრანგები დაიძრნენ ზულცბახისა და ამბერგისაკენ. მათ მთელ დღეს მოუხდათ ბრძოლა. ოთხი დივიზია გაიყვანეს ბრძოლაში. მტერმა დასცალა თავისი პოზიციები ვილსზე და დაიხია მდ. ნაბს გაღმა შვარცენფელდთან; იგი სულ უფროდაუფრო შორდებოდა ერცჰერცოგის ჯარს. 19-ს ფრანგის ჯარი უკვე ვილსის მეორე მხარეზე იყო. გენერალი ბერნადოტი წარგზავნეს ნაიმარკტს, რეგენსბურგიდან ნიურენბერგს მიმავალ გზატკეცილზე, რეგენსბურგიდან 10 ლიეზე. საფრანგეთის ორთავე არმიამ დაიპყრო დუნაის მარცხენა ნაპირი, და ამიერიდან შეიძლებოდა მათი ჩათვლა როგორც გაერთიანებული არმიის. 20-ს მთავარსარდალი ხუთი დივიზიით დაიძრა ნაბისკენ. ვოლფერინგენის მაღლობებზე გაიმართა ცხარე ბრძოლა, რის შემდეგაც მტერმა ღამით დასცალა ეს მაღლობები.

21 აგვისტოს სამბრ-მაასის არმიის პოზიცია ასეთი იყო: მთავარი ბანაკი იდგა ამბერგში; ხუთი დივიზია, 40.000 კაცი, იდგა მდ. ნაბის გასწვრივ, ვარტენსლებენის არმიის პირისპირ; მარჯვენა ფრთაზე, 10 ლიეზე, იდგა ბერნადოტის 7.000-კაციანი დივიზია, რეგენსბურგის გზის სათვალთვალოდ გაგზავნილი; მარსოს სამი დივიზიით, 30.000 კაცით, ეჭირა მაინცის და ერენბრაიტენშტაინის ალყა და იცავდა მდ. მაინს. ნაბი—პატარა მდინარეა რომელიც ჩაერთვის დუნაის რეგენსბურგის ზემოთ ერთ ლიეზე. სამბრ-მაასის არმიის საომარი ხაზი გადიოდა ლაუფზე, ნიურენბერგზე, ბამბერგსა და ვიურცბურგზე. ამ არმიას არ ჰქონდა გზა რაინის არმიასთან, თუმცა ორთავე არმიას ეკავა დუნაის მარცხენა ნაპირი და ორნივე განლაგებული იყვნენ ერცჰერცოგისა და ვარტენსლებენის არმიებს შორის. სამბრ-მაასის არმია იმყოფებოდა ერთი ეჯის მანძილზე ბოჰემიის საზღვრებიდან.

ამბერგისა და ვოლფერინგის ბრძოლები მეტად სისხლისმღვრელი იყო. ბრძოლის ველი ფრანგებს დარჩათ, თუმცა ორთავე მხრით ზარალი თანაბარი იყო. ერთი მხრითაც და მეორე მხრითაც ტყვეების რაოდენობა არ აღემატებოდა 200 — 300 კაცს. მხოლოდ ეს ორი დიდი ამბავია — თუმცა თავისთავად უმნიშვნელო—რომელიც მოხდა ფრანკფურტიდან გამოლაშქრების შემდეგ.

VII

რაინის არმია გადავიდა ნეკარზე 22 ივლისს და დაედევნა ერცჰერცოგ კარლოსს ორი გზატკეცილით—გმიუნდტენისა, მარცხნივ, და გიოპინგენისა, მარჯვნივ. ეს ორი გზატკეცილი, რომელთაგან პირველი მიდის რემსის ველზე და მეორე—ვილსისაზე, ჰკვეთს ალბის მთებს რომელთაც ვიურტემბერგის ალპები ეწოდებათ. რაინის არმიის მოძრაობა ნელი იყო, რამაც ერცჰერცოგ კარლოსს აფიქრებინა რომ ნეკარს იქით ის სერიოზულ მოქმედებას ვერ ბედავსო. მან განკარგულება მოახდინა რომ დაეკავებინათ პოზიცია ვაისენშტაინის ტაფობზე. მაგრამ 23 ივლისს დეზე მივიდა გმიუნდტს და კვალდაკვალ დაედევნა მტრის არიერგარდს, შეებრძოლა მას აალენში და წაართვა 500 ტყვე.

იმავე დღეს სენ-სირი მარჯვენა გზატკეცილით მივიდა ჰაიდენჰაიმს, მდ. ბრენცზე. 5 და 8 აგვისტოს მოწინავე რაზმების ბრძოლა იყო ცვალებადი წარმატებით და რამდენიმე ასი კაცის დაკარგვით. საქსონელ რაზმებმა დასტოვეს ავსტრიის ჯარი და დაბრუნდნენ საქსონიაში.

ამასობაში ერცჰერცოგ კარლოსმა, რომელიც ფიქრობდა რომ საფრანგეთის არმიები დაშორებული არიან ერთიმეორეს მარტო სამი ეჯით და აპირობენ ერთმანეთთან შეერთებას ალტმიულშიო,—გადასწყვიტა ერისკეცია შებრძოლება, რათა ხელი შეეშალა ამ შეერთებისთვის. მისი არიერგარდი გადაიქცა მოწინავე რაზმად. მან იგი წასწია ეგლინგენს სადაც ამ რაზმს 10 აგვისტოს დაეტაკნენ ფრანგები, დაამარცხეს და წაართვეს 300-400 ტყვე 11-ს განთიადზე გამოვიდა რვა კოლონად ავსტრიის მთელი არმია. ფრანგის არმია იდგა ნერესჰაიმის წინ; იქ მას ეჭირა ფრონტი 8 ლიეზე; მასში იყო 48 ათასეული და 66 ცხენოსანი ასეული, სულ—45.000 კაცი. დიუჰემი 6.000 კაცით შეადგენდა მარჯვენა ფრთას რომელიც წავიდა ბრენცზე, დუნაიდან ორ ლიეზე. ტაპონიე იყო ცენტრში და ჰყავდა ცხრა ათასეული დიუნსტელკინგენის მაღლობებზე, სამი—დიშინგენში, ცოტა უკან. ბოპუი შეადგენდა მარცხენა ფრთას შვაინდორფის წინ. დელმასი 8.000 კაცით შეადგენდა მოწინავე რაზმს და იმყოფებოდა ბონფინგენში. ერცჰერცოგის სამი მარცხენა კოლონიდან ორნი წავიდნენ დიშინგენსა და დილინგენს და შეუტიეს დიუჰემს შუბლიდან და უკანიდან, მოსწყვიტეს იგი ცენტრს და დაახევინეს ერთ ეჯზე. ამ დროს მესამე კოლონა გენერალ ფრელიხის სარდლობით გადავიდა დუნაიზე ულმში და დაესხა თავს საფრანგეთის არმიას ზურგიდან. ფრანგების მთავარი ბანაკი, აღალი და სამეურნეო-ადმინისტრაციული ნაწილი განდევნეს ჰაიდენჰაიმიდან აალენის მიმართულებით. ამგვარად, ბრძოლის დასაწყისშივე ფრანგის ჯარს შემოუარეს, გზები მოუჭრეს და მან დაჰკარგა თავისი საომარი ხაზი. აღალი და მარქაფი აირ-დაირია. ეს საკმაოდ მძიმე შედეგი იყო; მაგრამ ის სამი კოლონა, რომელიც ამ შედეგის მისაღწევად იყო გამოყენებული, აღმოჩნდა 3 ლიეზე ბრძოლის ველიდან და ვერ

შესძლო მონაწილეობა ბრძოლაში. ორი მარჯვენა კოლონა გამოვიდა ნორდ-ლინგენის გზატკეცილით, შევიდა მოწინავე რაზმსა და მარცხენა ფრთას შორის და დაეტაკა საბრძოლო ხაზის ბოლოს, სადაც სარდლობდა ენერალი გაზანი. ცენტრის სამი კოლონა, მთავარი იერიშისათვის განკუთვნილი, პირადად თვითონ ერცჰერცოგის ხელმძღვანელობით, შედგებოდა 19 ათასეულისაგან და 24 ცხენოსან ასეულისაგან. ეს კოლონები გამოვიდნენ ლაუფჰაუზენზე და უკუაგდეს სენ-სირის საგუშაგოები. სენ-სირი არ მოელოდა ასეთ ძლიერ იერიშს. მას ეკავა ის პოზიციები, რომლებზედაც წინა დღეს ეგლინგენის ბრძოლის საღამომ მოუსწრო. მან თავი მოუყარა თავის მხედრობას დიუნსტელკინ-გენის მაღლობებზე. ერცჰერცოგის ყველა ცდა ამ პოზიციების ასაღებად დღის დანარჩენი ნაწილის განმავლობაში ამაო გამოდგა. თითოეულმა მხარემ დაჰკარგა 6.000—7.000 კაცი. ღამით მან დასწია თავისი მარჯვენა ფრთა გზაზე ნორდლინ-გენსა და დონაუვერტს შუა, მეტინგენის ბანაკში, მარცხენა ფრთა-კი—დიდლინ-გენს, დუნაიზე. ცენტრმა ბრძოლის ველზე გაათია ღამე. ფრანგების პატარა კოლონამ ხელახლა აიღო ჰაიდენჰაიმი და აღადგინა არმიის მაკავშირებელი ხაზები. ამ გარემოებამ აიძულა მორო—დარჩენილიყო ბრძოლის ველზე, აეკრიბნა დაჭრილები და მომზადებულიყო ან დასახევად ან წინ წასასვლელად, შემდეგი ცნობების მიხედვით. მან გაიმარჯვა. სამბრ-მაასის არმია უკვე გადავიდა რეგნიცზე და, ეტყობოდა, მიდიოდა, ამბერგზე გავლით, რეგენსბურგს. მან მოიგო რამდენიმე ეჯი ერცჰერცოგ კარლოსის მიმართ, რომელმაც ვერ მოასწრო 11 აგვისტოს ბრძოლაში ფრანგის ჯარის დამარცხება და მისი უკუგდება ალბის მთების ხეობებში, და ახლა მასაც, შეშინებულს, რომ გარს არ შემორტყმოდნენ, არ შეეძლო ერთი წუთითაც დაყოვნება. ღამით მან იწყო დახევა რადგან საფრანგეთის ორთავე არმიის შეერთება მომხდარ ფაქტად ჩასთვალა, და ხელი აიღო მის დაბრკოლებაზე. ამის გამო მან დასტოვა დუნაის მარცხენა ნაპირი, ვერნიცი, ალმიული და გადავიდა უკან დუნაისა და ლეხზე. ლაშქრობა ავსტრიელებისათვის წაგებული აღმოჩნდა.

ამ ხნის განმავლობაში გენერალმა ფერინომ 23 ათასეულით და 17 ცხენოსანი ასეულით, მესამედი არმიით, გაიარა შვარცვალდის მთები და დაიპყრო ლინდაუ და ბრეგენცი კონსტანცის ტბაზე. აქ მან დასტოვა შვიდი ათასეული და სამი ცხენოსანი ასეული გენერალ დელაბორდის სარდლობით ტიროლის გამოსასვლელების სათვალთვალოდ; თვითონ-კი 16 ათასეულით და 14 ცხენოსანი ასეულით, შტოკახზე გავლით, გაემართა მემინგენს. 13-ს გენერალმა აბატუჩიმ, რომელიც მოწინავე რაზმს სარდლობდა, იერიში მიიტანა კონდეს კორპუსზე მინდელჰაიმში და მოსპო რამდენიმე მისი ლეგიონი, შემდეგ ის შეუერთდა რაინის არმიას და შეადგინა მისი მარცხენა ფრთა მდ. ლეხზე.

VIII

გენერალი მორო რამდენსაც ღღეს დარჩა ნერესჰაიმის ბრძოლის ველზე. ბოლოს ის დაიძრა დონაუვერტისკენ მაგრამ დაბრუნდა ჰოხშტედტს ისე რომ ცხენოსანი მზვერავებიც-კი არ გაუგზავნია ალტმიულზე, რათა დაკავშირებოდა სამბრ-მაასის არმიას. ასეთმა ძერყეობამ და უმიზნო მანევრებმა გაამხნევა ერცჰერცოგი; მიხვდა რომ მას კიდევ შეუძლია ხელი შეუშალოს ორი არმიის შე-

ერთებას, რისი იმედიც ის-ის იყო უკვე დაკარგული ჰქონდა. მან ლეხს-გაღმა დასტოვა გენერალი ლა-ტური 30 ათასეულით რათა შეეჩერებია და შეენელებია რაინის არმიის მოძრაობა, თვითონ-კი 30.000-კაციან რაზმით, რომელშიც იყვნენ ქვეითი, ცხენოსანი და არტილერიის ნაწილები, გადავიდა დუნაიზე და გაემართა ნიურენბერგის გზატკეცილზე. 22 აგვისტოს მან შეუტია გენერალ ბერნადოტს მისივე პოზიციაზე ნაიმარკტის წინ, სდია მას ლაუფამდე და ნიურენბერგამდე და უკუაგდო ფორხჰაიმზე. გენერალმა ვარტენსლებენმა მაშინვე შეტევა დაიწყო; ის გადავიდა ნაბზე. სამბრ-მაასის არმიამ დაიხია ამბერგსა და ზულცბახზე, მაგრამ ამ პოზიციაზე მას შეუტია შუბლიდან ვარტენსლებენმა, გვერდიდან და ზურგიდან ერცჰერცოგ კარლოსის არმიის რაზმმა; საფრანგეთის არმიის ძთავარსარდალმა არ იკისრა სერიოზული ბრძოლა. მისი უკუსვლა მეტად გაძნელდა, არმიამ დაჰკარგა თავისი საოპერაციო ხაზი—გზატკეცილი, მიმავალი ლაუფიდან ნიურენბერგს; არმიას მოუხდა მანევრირება მთებზე, აღალისთვის ძნელად გასავლელ გზებზე, მისი არტილერია და აღალი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ უწესრიგო გადასვლებმა დისციპლინაზეც ცუდი გავლენა მოახდინა არმიაში, რომელიც 26-ს ფორხჰაიმს მივიდა, მისი მარცხენა ფრთა-კი ებერმანშტადტს;აქ ის დარჩა 28-ს. მთავარსარდალი აპირებდა რამდენიმე შეტევითი ოპერაციის ჩატარებას მაგრამ ვერ შესძლო ამის გაკეთება ერცჰერცოგ კარლოსის სწრაფი მოძრაობისა და საფრანგეთის ჯარის ზურგში მისი შეტევითი დემონსტრაციების გამო. მტერმა უკვე გაგზავნა ერთი დივიზია ბამბერგზე, გამოიწვია განგაში მთავარ ბანაკში, შეიტანა არევ-დარევა აღალსა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში, გადაღობა გზა მიმავალი ბამბერგიდან შვაინფურტს, სადაც არმიამ შესძლო მისვლა მხოლოდ 31 აგვისტოს, სამი დღის აჩქარებული სვლის შემდეგ და ხიშტებით გზის გაკაფვით. ამ ქალაქში გაჩერდა ის დასასვენებლად, რაც ასე ძლიერ სჭირდებოდა მას.

ვიურცბურგი დაიკავა გენერალმა გოტცემ, რომელმაც თავისი დივიზიით გარემოიცო ქალაქის ციხე, სადაც დამწყვდეული იყო არტილერიის უფროსი—გენერალი ბოლემონი 8.000 კაციოთურთ. გოტცეს დაეხმარა სტარაის დივიზია. ერცჰერცოგი დანარჩენი ჯარით უკან იყო ერთ ეჯზე. ჟურდანმა ისარგებლა მტრის ჯარის ასეთი დაფანტულობა და გადასწყვიტა—გზა გაეხსნა თავისთვის ვიურცბურგისკენ. 2 სექტემბერს შუადღის წინ მან გაილაშქრა და მეორე დღეს, 3-ს, იერიში მიიტანა ერცჰერცოგ კარლოსზე. ბრძოლის დროს მოვიდნენ კრაი და ვარტენსლებენი და დაუპირისპირეს მას 40.000 კაცი ქვეითი და 12.000 ცხენოსანი. ფრანგები მხოლოდ 30.000 კაცი იყო: მათ ბრძოლა წააგეს. ლეფევრის დივიზია შვაინფურტში დასტოვეს.

ჟურდანმა დაიხია არნშტაინზე და მდ. ლანზე, სადაც ის 10 სექტემბერს მივიდა. მისი მხედრობა დაღლილობისაგან დასუსტდა და ზნეობრივადაც ძლიერ დაეცა. მან თავისი მთავარი ბანაკი ვეცლარში დააბინავა. 22 აგვისტოდან მას მოუხდა ბრძოლა ვარტენსლებენის და ერცჰერცოგის ჯართან, რომელშიც 68.000 მებრძოლი იყო, მას-კი ჰყავდა მხოლოდ 44.000. ლანზე მისვლის შემდეგ ის შეუერთდა მარსოს და ჰოლანდიდან მოსულ დივიზიას—10.000 კაცის შემადგენლობით,—ამიერიდან ის რიცხვობრივად თავის მოპირდაპირეზე უფრო ძლიერი იყო.

15 დღის განმავლობაში მან დაჭარგა ყველა თავისმიერ დაპყრობილი ადგილი გერმანიაში მხოლოდ მტრის მანევრებისა და ვიურცბურგის ბრძოლის წაგების გამო. მაგრამ კიდევ შეიძლებოდა საქმის გამოსწორება. ყველაფრიდან ჩანდა რომ ლაშქრობის ბედი უნდა შეცვლილიყო და გათავებულიყო ჩვენ სასარგებლოდ. მას ესმოდა რა უნდა გაეკეთებია, მაგრამ აკლდა მხნეობა და გამბედაობა. მან ნება მისცა მტერს რომ დაესწრო მისთვის ლანზე და უკუეგდო იგი რაინს გაღმა. სახელოვანი მარსო მოჰკლეს ალტენკირხენის ბრძოლაში. კლებერი და კოლო არმიიდან უკან გაიწვიეს ურჩობისათვის. ჯარი დაფანტული იყო: ერთი ნაწილი გავიდა რაინს გაღმა, ლეფევრის დივიზიას-კი დიუსელდორფის ბანაკი ეკავა.

ცოტა ხნის შემდეგ ჟურდანმა მიატოვა არმიის სარდლობა, მაგრამ რაღაც უცნაურობით დირექტორიამ მის ადგილზე დანიშნა ბერნონვილი, კაცი რომელსაც ძლივს შეეძლო ათასეულის წაყვანა.

ერცჰერცოგმა 12.000 კაცით მიატოვა ლანის ნაპირები იმ მიზნით რომ ეაელაშქრებია რაინ-მოზელის არმიის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ ბავარიაში იდგა. მან დასტოვა გენერალი ვერნეკი 50.000 კაცითურთ სამბრ-მაასის არმიის სათვალთვალოდ.

IX

23 აგვისტოს, ნერესჰაიმის ბრძოლის 12 დღის შემდეგ, საფრანგეთის რაინ-მოზელის არმია, ბოლოს გადავიდა დუნაიზე და გასწია ლეხისკენ. გენერალი დეზე, რომელიც არმიის მარცხენა ფრთას შეადგენდა, მივიდა ლეხის შესართავთან, რაინის პირდაპირ. შუაგული, სენ-სირის უფროსობით, იდგა აუგსბურგში, და მარჯვენა ფრთა, ფერინოს მეთაურობით, ლანდსბერგის პირდაპირ იყო. გენერალ-ლეიტენანტმა ლა-ტურმა, ლეხზე გადასასვლელების დასაცავად დანიშნულმა, სამი ათასეული დააყენა ინგოლშტადტში, რვა ათასეულისაგან შემდგარი დივიზია 20 ცხენოსანი ასეულითურთ—რაინის პირდაპირ ქვემო ლეხის დასაცავად და 15 ათასეული—ფრიდბერგის მაღლობებზე აუგსბურგის პირდაპირ. კონდეს კორპუსი შეადგენდა მარცხენა ფრთას ლანდსბერგის პირდაპირ. 24-ს გენერალმა ფერინომ ხელთ იგდო გადასასვლელი მდინარეზე, ჰაუნშტედტენთან. სენ-სირი გადავიდა ლეხჰაუზენის ფონზე, აუგსბურგის წინ, და დეზე—ლანდვაის ფონზე. აუგსბურგის ხიდები მაშინვე შეაკეთეს, და გენერალი ლა-ტური, რომელმაც ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ფრანგებს, უკუაგდეს ფრიდბერგის საუცხოო პოზიციებიდან. მან დაუტოვა გამარჯვებულს 17 ზარბაზანი და 1500 ტყვე.

ლეხზე გადასვლის შემდეგ საფრანგეთის არმიის მარჯვენა ფრთა გადავიდა დახაუზე, მიუნხენიდან 3 ლიეზე, და თავისი მოწინავე რაზმი დააყენა ამ ქალაქის გალავანთან, არმიის შუაგული დადგა პფაფენჰოფენთან, მარცხენა ფრთა—ჰაიდენფელდთან და თავისი მოთვალთვალე რაზმი გაგზავნა ინგოლშტადტზე. ავსტრიის მთავარსარდალმა თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა იზარის ლანდსგუტს, სადაც შეუერთდა არმიის მთავარ ძალებს. გენერალ ნაუენდორფის დივიზია (8.000 კაცი), რომელიც გამოყოფილი იყო ერცჰერცოგის მიერ დუნაის სათვალთვალოდ ამბერგის ბრძოლის შემდეგ, ეკავა აბენდსბერგი და იფარავდა

რეგენსბურგს; კონდეს კორპუსს მიუნხენი ეკავა. ასეთ მდგომარეობაში უცდიდა იგი რამდენიმე დღის განმავლობაში ფრანგი გენერლის შეტევას, მაგრამ, როცა დაინახა რომ ის არ იძვროდა, ეჭვი აიღო: ხომ არ გადავიდა ის დუნაის მარცხენა ნაპირს ერცჰერცოგ კარლოსის დასადევნებადაო. ამის გამო 1-ლ სექტემბერს ის მთელი თავისი არმიით რამდენიმე კოლონად დაიძრა ჰაიზენფელდისკენ, შეუტია ფრანგების მარცხენა ფრთას და მიაწია მდ. პაარამდე, მაგრამ უკუაქციეს; მან ტყვეებისაგან გაიგო რომ არმია უძრავად დგას და მთლიანად იმყოფება დუნაის მარჯვენა ნაპირზე. მაშინ ის დაბრუნდა თავის პოზიციებზე. ამ ბრძოლაში თანაბარი ზარალი იყო ერთსა და მეორე მხარეზეც. მტერმა ფრანგებს ერთი ჰაუბიცი დაუტოვა. 7 სექტემბერს გენერალმა მორომ ყოველგვარ გეგმის გარეშე გადასწყვიტა წინ წასვლა. 9-ს მარცხენა ფრთა წავიდა ნაიშტადტისკენ, დუნაის ნაპირ-ნაპირ, აბენდსბერგის პირდაპირ, შუაგული—მაინბურგს და მარჯვენა ფრთა—მოსბურგს. მიუნხენი და ფრაიზინგი ფრანგებმა დაიკავეს, მაგრამ მტერი იზარის მარცხენა ნაპირზე იდგა. მოროს დიდი დაბრკოლება არ შეხვედრია ამ წინსვლაზე. მან ხელთ იგდო 500—600 ტყვე.

მტერი ელოდა რომ მორო რეგენსბურგისკენ წავაო, მაგრამ 8-ს და 9-ს ის არ დაძრულა, 10-ს კი იწყო დახევა თავის წინანდელ პოზიციებზე და წარგზავნა გენერალი დეზე 12.000 კაცით სამბრ-მაასის არმიის საძებნად; ეს არმია ამ დროს დაშორებული იყო მას 80-ზე მეტი ლიეთი. დეზე ღამით, 11-დან 12 სექტემბერს, გადავიდა დუნაიზე ნაიბურგში და 12-ს მივიდა აიხშტეტს, საიდანაც წაიწია ჰაიდეკზე (შუა გზაა ნიურენბერგისაკენ). იქ მან გაიგო დაწვრილებით ამ ხანში მომხდარი ამბები და სამბრ-მაასის არმიის დახევინება რაინზე. ის უკან წავიდა და 16 შეუერთდა მთავარ არმიას დუნაიზე. ამასობაში გენერალმა ლა-ტურმა, როცა დეზეს მოძრაობა გაიგო, წაიწია და დაიწყო მცირე ბრძოლები მთელ ფრონტზე, მაგრამ, დეზეს რაზმის სისუსტე და დუნაის მარჯვენა ნაპირზე დარჩენილ ძალების სიჭარბე რომ გაიგო, უფრო ფრთხილად იწყო მოქმედება.

როცა ერცჰერცოგმა რაინი დასტოვა, მაინცის ციხეში დაანარჩუნა 15.000 კაცი ქვეითი და 12.000 ცხენოსანი, ერენბრაიტენშტაინისაში—3.000 კაცი ქვეითი, მანჰაიმისაში—8.000 კაცი ქვეითი და 300 ცხენოსანი და ფილიპსბურგისაში—2.500 კაცი ქვეითი და 300 ცხენოსანი. ჟურდანმა დასტოვა მდ. მაინზე მარსოს, პონსეს და ბონარის დივიზიები—26.000 კაცი—მაინცისა და ერენბრაიტენშტაინის გარემოსაცავად. მაგრამ მანჰაიმისა და ფილიპსბურგის წინააღმდეგ მორომ დასტოვა მხოლოდ მოძრავი კოლონა—2.800 კაცი—ქვეითი, ცხენოსანი და არტილერისტი, ბრიგადის გენერლის შერბის სარდლობით; ეს გენერალი გადმოიყვანა ლანდაუს ციხიდან. ერცჰერცოგმა ლანზე მისვლისთანავე უბრძანა გენერალ პეტრაშს რომ გაეწვია მანჰაიმის და ფილიპსბურგის ციხოვანთაგან ცხრა ათასეული, იერიში მიეტანა გენერალ შერბზე და აეღო კელის და ჰიუნინგენსის საგარეუბნო სიმაგრეები. გენერალი შერბი ჯერ კიდევ ბრუხზალში იყო. მან დროზე გაიგო ეს ამბავი გადმოსულთაგან[1] და 13 სექტემბერს და-

[1] გ ა დ მ ო ს უ ლ ი (გადასული)—ვინც გადმოდის (ან გადადის) მტრის მხარეზე.
მ თ ა რ.გ. შ ე ნ.

იწყო დახევა; ის მივიდა კელს რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მთლად აღდგენილი. პეტრაში დაედევნა და 18-ს შეუტია მას ოთხჯერ მეტი ძალებით, მაგრამ დამარცხდა და მრავალი ხალხი დაჰკარგა. ამ გამარჯვებისთვის ფრანგები ნაწილობრივ დავალებული არიან სტრასბურგის ეროვნული გვარდიის ერთგულობით.

მორო ძლიერ შეაშფოთა ამ ბრძოლამ, რომელმაც კინაღამ ხელი შეუშალა მის დახევას. მან რაინთან მიახლოების საჭიროება იგრძნო და იწყო დახევა. ის უკანვე გადავიდა ლეხზე იმავე დღეს როცა ჟურდანი გავიდა უკანვე რაინსგაღმა. 20-ს მან დაიკავა პოზიცია შმუტერს იქით, 21-ს—მინდელს იქით, 22-ს—გიუნცს იქით. ის მიდიოდა სამ კოლონად: ფერინო სარდლობდა მარცხენა კოლონას, სენ-სირი—შუაგულს და დეზე—მარჯვენას, თუ დახევის მიმართულებით ჩავთვლით. გენერალი ფრელიხი მისდევდა ფერინოს, ლა-ტური—სენ-სირს, გენერალი ნაუენდორფი მიდიოდა დუნაის მარცხენა ნაპირზე. ულმის სიმაგრე, რომელშიც არც ერთი მეციხოვნე არ იყო, დაიკავა, ბედზე, მონრიშარის რაზმმა 24 საათით ადრე ვიდრე გენერალი ნაუენდორფი მოახერხებდა შიგ შესვლას. 24-ს საფრანგეთის არმიამ დაიკავა პოზიცია ილერზე, ამასთან, ფერინო ეყრდნობოდა მემინგენს და დეზე—ულმს. 25, 26 და 27 სექტემბერს არმია განაგრძობდა დახევას. დეზე, რომელიც დუნაის მარცხენა ნაპირს მიჰყვებოდა, გაემართა აინგენისკენ. 6 საათის შემდეგ, რაც მან ულმი დასტოვა, იქ ავსტრიელები შევიდნენ. 27-ს საფრანგეთის არმია ფედერ-ზეეზე მივიდა. იქ მან გაიგო რომ გენერალმა პეტრაშმა შვარცვალდის ყველა კლდეკარი დაიკავა, შვარცვალდის ქალაქები-კი აჯანყებულ გლეხებს უკავიაო. 28-ს გენერალმა ლა-ტურმა მთელ ფრონტზე მიიტანა იერიში, მაგრამ ყველგან მოიგერიეს. გენერალმა ნაუენდორფმა, რომელიც მანამდე ავსტრიის არმიის მარჯვენა ფრთას შეადგენდა. მიატოვა ფრონტის ეს უბანი და გასწია ტიუბინგენისაკენ; ის შეუერთდა პეტრაშს როტვაილის პოზიციაზე. ამნაირად, დიდი რაზმებით დაიკავა კინციგისა და რეხის ველები, ეს იმ დროს როცა ერცჰერცოგი კარლოსი 12.000-კაციან კორპუსით მივიდა სოფელ რენხენს და გაგზავნა ცხენოსანი პატრულები კინციგს, კელის ახლოს. ამის გამო დასუსტებულ გენერალ ლა-ტურს სულ 25.000 კაცი ჰყავდა და იგი თავდასხმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ ის დაბანაკებული იყო შვაინჰაუზენში და ეგონა საშიში არაფერიაო. გენერალი მორო გრძნობდა რომ საჭირო იყო ლა-ტურის მოშორება, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ხეობათა გადალახვისა. 2 ოქტომბერს მან შეუტია მას ბიბერახში. ავსტრიელები დამარცხდნენ და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ; გამარჯვებულს დაუტოვეს ორი დროშა, რამდენიმე ზარბაზანი და 4.000—5.000 ტყვე.

X

ამ ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის არმია დახევას განაგრძობდა. აღალი, მძიმე ბარგი, დაჭრილები გაიგზავნა შვარცვალდის ქალაქებით ჰიუნინგენს საკმაო ბადრაგით, რათა უზრუნველყოფილიყო მათი გავლა. მარჯვენა ფრთამ იერიში მიიტანა ხეობებზე და 10 ოქტომბერს აიღო სოფლები როტვაილი და ვილინგენი. ზურგისკენ მიბრუნებით ის დაიძრა ვალ-დანფერის ხეობებისკენ. 12-ს ფრაიბურგს—რაინის ხეობაში—ჩამოვიდა სენ-სირი. ამ საშინელ ხეობაზე

ჭადასვლას არმიამ მოანდომა 13, 14 და 15 ოქტომბერი. მან დაიკავა პოზიცია პატარა მდინარე ელცს-გაღმა და დაფარა ფრაიბურგი.

ამასობაში, ერცჰერცოგი კარლოსი ჩამოვიდა ეტენჰაიმს, სადაც მას ერთიმეორეზე შეუერთდნენ: 15 ოქტომბერს—პეტრაში, 18-ს—ნაუენდორფი, 20-ს—ლა-ტური. კონდესა და ფრელიხის კორპუსები მიჰყვებოდნენ საფრანგეთის არმიას ვალ-დანფერის ხეობით და შვარცვალდის ქალაქებით. ამრიგად, 15-სათვის ფრანგები შეიკრიბნენ, მათი გზები საფრანგეთისაკენ გადიოდა ალტ-ბრაიზახის და ჰიუნინგენის ხიდებზე. ჯარის მორალური მდგომარეობა და მომარაგება გაუმჯობესდა, მაგრამ ის მაინც უმოქმედოდ დარჩა. 18-ს მტერმა 36.000 კაცით შეუტია მას; მტრის მარჯვენა ფრთა, პეტრაშის სარდლობით, ეკვროდა რაინს, შუაგულს სარდლობდა ვარტენსლებენი, და მარცხენა ფრთას — ლა-ტური. იბრძოდნენ შეუპოვრად, თანაბარი ზარალით და თანაბარი წარმატებით. ვინაიდგან ფრელიხი და კონდეს კორპუსი ვალდკირხს შევიდნენ შვარცვალდის ხეობით, ამიტომ მთავარსარდალმა საჭიროდ სცნო ფრაიბურგთან მიახლოება, რისთვისაც დაახევინა თავის მარჯვენა ფრთას, მაგრამ განუწყვეტლივ ფარავდა ამ ქალაქს და ნოი-ბრაიზახს. 21-ს დეზე გადავიდა რაინზე, ნოი-ბრაიზახში, და მარჯვენა ნაპირით დაეშვა სტრასბურგს. არმიამ დასცალა ფრაიბურგი და დაიკავა პოზიცია; მარჯვენა ფრთით დაეყრდნო კანდერნს და მარცხენათი—რაინს, შლიინგენში. 23-ს მას შემოუტიეს. დეზეს კორპუსის გამოყოფით დასუსტებული, ის რიცხვობრივად დიდად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ საუცხოო პოზიცია ეკავა და იცავდა მას, 26-ს კი ის, ცოტა შეფერთხილი, ჰიუნინგენის ხიდით გავიდა რაინს-გაღმა. ფერინო დარჩა ზემო რაინზე, დანარჩენი არმია-კი გაემართა სტრასბურგისაკენ.

ამრიგად, საფრანგეთის არმიამ, რომელმაც იომა გერმანიაში ოთხი თვის განმავლობაში, უვნებელჰყო ბადენის მარკგრაფი, ვიურტენბერგის ჰერცოგი და ბავარიის კურფიურსტი, დასდო მათთან დროებითი ზავი და დაადო კონტრიბუციები, რომელთა შეკრება ვერ მოასწრო, მრავალჯერ გამარჯვებულმა და არსებითად დამარცხების განუცდელმა,—დაიხია უკან რაინს-გაღმა. მარჯვენა ნაპირზე მას დარჩა მხოლოდ დიუსელდორფის ციხე და კელნისა და ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრეები.

XI

დიუსელდორფმა (ციხექალაქია ჩრდილოეთში) ვერ მიიქცია ავსტრიელების ყურადღება; მაგრამ კელის და ჰიუნინგენის სიმაგრეები საშუალებას აძლევდა არმიის ერთ ნაწილს რომ რაინის მარცხენა ნაპირზე დაეზამთრებია და გერმანია შეეშფოთებია. ავსტრიელებმა გადასწყვიტეს ამ გამაგრებული ადგილების დაპყრობა. 28 ოქტომბერს 40.000 კაცმა გარემოიცვა მათი ხიდწინა სიმაგრეები და კელის წინ ააგეს ხანდაკოვანი ხაზები. ამ ხაზებს შეადგენდა 15 სანგარი, მიკრული მარცხნითა და მარჯვნით რაინზე. ეს სანგრები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ თხრილებით, რომელთა სიგრძე თითქმის 3.500 ტუაზი იყო და რომელნიც მთლიანად გარსევლებოდნენ კელის სიმაგრეთა მთელ სისტემას. თავიანთი მხრით ფრანგებიც ასეთივე დაძაბულობით მუშაობდნენ, რათა გაეკეთებიათ მესრები, შეეიარაღებიათ ციხე და წინა სიმაგრეები რაი-

ნის აღმა და დაღმა, დაედგათ ბატარიები მთელ მარცხენა ნაპირზე და მტკიცედ მოწყობილიყვნენ ყველა კუნძულზე, მეტადრე—ერლენ-რაინისა და ტუფიუს[1] კუნძულებზე. ამ უკანასკნელი კუნძულის წინ, კელიდან 1.500 ტუაზზე, მათ ააგეს რაველინი, ხიდწინა სიმაგრის სახით. ამ რაველინიდან კინციგამდე 1.000 ტუაზი იყო. რაინის მართობულად მათ ააგეს ბანაკი-სიმაგრე 1.000 ტუაზზე და ხიდწინა სიმაგრე ერლენ-რაინის კუნძულზე. მანძილი კელიდან კინციგის შესართავამდე, რაინის დაღმა,—500 ტუაზია. ამ სიმაგრეებს იცავდა 16 ათასეული, რომელთაც ყოველ 24 საათში სცვლიდნენ. თავდაცვისათვის ასეთი სერიოზული მზადების მიუხედავად, ერცჰერცოგი კარლოსი დიდ შეუპოვრობას იჩენდა ციხის ალყის შემორტყმაში, რომლის გარემოცვაც მას შეეძლო მხოლოდ ერთი ნაპირიდან, ხოლო მოწყვეტა სტრასბურგიდან და საფრანგეთიდან მას არ შეეძლო. 21 ნოემბერს კინციგის სიმაგრეებზე ამოკეთებულ იქნა სანგარი. 22 ნოემბერს განთიადზე დეზემ 16.000 ქვეითი და 3.000 ცხენოსანი ჯარისკაცით მოაწყო გამოხდომა კელის გამაგრებული ბანაკიდან. მან გაარღვია ხანდაკოვანი ხაზი და დაიკავა მტრის ზურგში რაინიდან ერთ ლიეზე მდებარე სოფელი ზიუნტჰაიმი. მაგრამ მას მეტად უმნიშვნელო ძალები ჰყავდა. მან დაანგრია ხანდაკოვანი ხაზის რამდენიმე რედუტი, გამოჩურთა 15 ზარბაზანი, ექვსი თან წამოიღო და ხელთ იგდო 1.500 ტყვე, მაგრამ იძულებული იყო დაბრუნებოდა თავის სიმაგრეებს. 28 ნოემბერს მტერმა ერთბაშად ასტეხა სროლა ყველა თავისი ბატარიით. ვითომ-იერიშის სახით კინციგის სიმაგრეების პირდაპირ წამოწყებულ იქნა პარალელების გათხრა. მთავარი იერიში კი მიიტანეს რაველინზე კუნძულ ტუფიუს წინ და კუნძულ ერლენ-რაინის წინააღმდეგ. მტრის გეგმა ითვალისწინებდა ხიდების დანგრევას რაინზე. 6 დეკემბერს მტერმა დაიპყრო კუნძული ტუფიუ და რაველინი.

9 დეკემბერს მან ხელთ იგდო ყველა გარეთა თხრილი და კელის ძველ საყდარში მოთავსდა. 18 დეკემბერს იგი საფრანგეთის სანგრების მარჯვენა ფრთას და ტრუ-დე-ლუს რედუტს დაეპატრონა. 3 იანვარს მან დაიპყრო მთელი კუნძული ერლენ-რაინი, 6-ს იერიში მიიტანა ფლეშზე, რაინის აღმა, დაანგრია ხიდები და შევიდა კელში, რომელიც დაჰნებდა. ეს ციხე ფრანგებმა დასცალეს და ყველაფერი სტრასბურგის ნაპირზე გადაიტანეს. როგორც ერთის, ისე მეორის მხარეზე დანაკლისი მეტად დიდი იყო და საომარ მასალათა ხარჯიც—უდიდესი. საფრანგეთის არტილერიას უპირატესობა ჰქონდა ბატარიების უდიდესი რაოდენობის გამო, რომლებიც მან მარცხენა ნაპირზე დააყენა. ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის ყინვები ორსავე არმიას დიდ ტანჯვას აყენებდა.

ამ ხნის განმავლობაში თავადი ფიურსტენბერგი ჰიუნინგენის პირისპირ იდგა 13 ათასეულით. ამ ციხეში რაინის არმიის მარჯვენა ფრთა შევიდა, ფერინოს მეთაურობით. გენერალი აბატუჩი დანიშნულ იქნა ხიდისწინა სიმაგრის ციხისთავად, და რამდენადაც მტერი ემზადებოდა ამ ხიდისწინა სიმაგრის გარემოცვისათვის, ეს ახალგაზრდა ოფიცერიც დროს არ ჰკარგავდა და მოამზადა

[1] კელის ალყის თაობაზე დაწერილ მოხსენებებში ეს კუნძული დასახელებულია „ტყის კუნძულად" (Busch Insel); ამ ჟამად ის აღარ არსებობს.

ფრანგ. რედ. შენიშვნა.

ყოველივე, რაც კი საჭირო იყო ყველაზე შეუპოვარი თავდაცვის საწარმოებლად. მტრის ბატარიები მზად იყვნენ 25 ნოემბრისათვის და გაცხოველებით დაუწყეს სროლა ხიდისწინა სიმაგრეს. 29-ს ხიდი დანგრეულ იქნა. 30 ნოემბერს ავსტრიელები 6 000 კაცით იერიშზე გადავიდნენ. ბრძოლა იყო მედგარი და შეუპოვარი. მტერი მოგერიებულ იქნა. ბრძოლის ველზე და ტყვეების სახით მან დასტოვა ერთი მესამედი თავისი ხალხი. ახალგაზრდა აბატუჩიმ, 24 წლის გენერალმა, რომელიც ბრწყინვალე იმედებს იძლეოდა, მოაწყო გამოხდომა მეცხოვნე ჯარით, რათა განედევნა ავსტრიელები ლუნეტიდან, სადაც ისინი სანგრებში ჩაჯდომას აპირებდნენ. გამოხდომა წარმატებით ჩატარდა, მაგრამ იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. ამ იერიშს შედეგად მოჰყვა ალყის მოხსნა. მაგრამ 19 იანვარს 1797 წელს, კელის აღების შემდგომ, მტერმა კვლავ გათხარა სანგრები, და 19 თებერვალს გარნიზონმა მოახდინა კაპიტულაცია და რაინსგალმა წავიდა.

ორთავე ამ ოპერაციის წარმატებამ საშუალება მისცა ერცჰერცოგ კარლოსს დაბანაკებულიყო საზამთროდ მარცხენა ნაპირის გასწვრივ, ბრისჰაუში და ბადენის ოლქებში, და გამოეყო ძლიერი მაშველი ძალები არმიაში, რომელიც თავს იყრიდა პიავეს-გალმა და რომლის სარდლობაც მან იკისრა თებერვალში. ამ არმიას შური უნდა ეძია ბოლიესა, ვურმზერისა და ალვინცისათვის და კვლავ დაეპყრო მანტუა, ლომბარდია და იტალია.

XII

პ ი რ ვ ე ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ლაშქრობის გეგმაზე. ამ ლაშქრობის ცუდად დამთავრება უნდა მიეწეროს მთავრობის მიერ მიღებულ ოპერაციულ გეგმას. გერმანიაში შეჭრის მიზანი იყო: 1) დივერსიის მოხდენა, რაც საშუალებას არ მისცემდა ავსტრიელებს გამოეყოთ რაინის არმიებიდან ახალი რაზმები თავიანთი იტალიის არმიისთვის მაშველი ძალების გასაგზავნად; 2) გერმანიის კავშირის მეფეების ჩამოშორება იმპერატორისაგან, ბადენის, ვიურტემბერგის და ბავარიის თავის მხარეზე გადაბირება, პრუსიის კონფედერაციაში ნეიტრალური სახელმწიფოების—საქსონიის და ჩრდილოეთის მთავრების მიზიდვა, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულიყვნენ მასში; 3) გერმანიაში ომისთვის ხელის შეწყობა, გერმანიისთვის კონტრიბუციის დადება და ცხენების შეკრება ქვეითი ჯარის, ცხენოსანი ჯარისა და არტილერიის რეორგანიზაციის მიზნით; რესპუბლიკის რესურსების მოხმარა სამარქაფო ჯარის შესაქმნელად; 4) ციხექალაქების ერენბრაიტენშტაინის, მაინცის, მანჰაიმის და ფილიპსბურგის ხელში ჩაგდება რაინზე საზღვრების უზრუნველსაყოფად და თავის განკარგულებაში ჯარების ყოლა ამ ლაშქრობის დასაძთავრებლად და შემდგომის საწარმოებლად ამ ციხეების გარემოცვისათვის; 5) საფრანგეთის ჯარების საზამთრო ბანაკების და მათი დამცველი პოზიციების უზრუნველყოფა გერმანიაში, ინგოლშტადტისა და ულმის ხელში ჩაგდებით, რათა მანტუის აღების შემდგომ, 1797 წლის გაზაფხულზე, შესაძლებელი ყოფილიყო იერიშის მიტანა იმპერატორის სამფლობელოებზე ერთდროულად იტალიისა და გერმანიის მხრით.

ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ ორი რამე: 1) ციხექალაქების—ერენბრაიტენშტაინისა და ფილიპსბურგის ბლოკადა, მაინცისა და მანჰაიმისთვის ალყის

შემორტყმა; 2) ალყისა და ბლოკადის დაცვა ძლიერი არმიით, რომელიც გადაიტანდა ომს გერმანიის შიგნით და საფრთხეს შეუქმნიდა იმპერატორის სამფლობელოებს. ასეთი ძლიერი არმია შედგენილი უნდა ყოფილიყო ოთხი კორპუსისაგან, თითოეული სამი ქვეითი დივიზიის, რამდენიმე ცხენოსან-ეგერთა და ჰუსართა ბრიგადის შემადგენლობით და მძიმე ცხენოსანი ჯარის მარქაფისაგან. რიცხვობრივად არმია უნდა ყოფილიყო 140.000—150.000 კაცის შემადგენლობის.

ობსერვაციული არმია რაინზე უნდა შეედგინათ სამი კორპუსისაგან, რომლებიც შეიცავდნენ შვიდ დივიზიას და რამდენსამე ცხენოსან ბრიგიდას, სულ 60.000 კაცს. მის პირველ კორპუსს, ორი დივიზიის შემადგენლობით, უნდა დაეცვა ჰოლანდი და დიუსელდორფი და მოეხდინა ერენბრაიტენშტაინის ბლოკადა. მეორე კორპუსს, სამი დივიზიის შემადგენლობით, ალყა უნდა შემოერტყა მაინცისათვის. ორი დივიზიისაგან შემდგარი მესამე კორპუსით უნდა მოეხდინათ ფილიპსბურგის და მანჰაიმის ბლოკადა, დაეცვათ კელი და ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრე. ორთავე არმიის საერთო რაოდენობა უნდა ყოფილიყო 200.000—210.000 კაცი.

ეს ჯარები უკვე არსებობდა: რაინისა და სამბრ-მაასის არმიებში ლაშქრობის დასაწყისში 160.000 კაცი მოიპოვებოდა, ჰოლანდის არმიაში—30.000 კაცი, და 20.000 კაცის გამოყვანა შეიძლებოდა ვანდეიდან და შიდა საფრანგეთიდან, სადაც მათი საჭიროება არ ყოფილა. საერთოდ თავს მოიყრიდა 210.000 კაცი.

მაინცის წინ სანგრები უნდა გაემზადებიათ მეორე დღესვე ციხის ბლოკადის შემდეგ. ივნისი, ივლისი, აგვისტო და სექტემბერი საკმარისი იყო იმისათვის რომ იგი აეღოთ. ისიც კი იყო შესაძლებელი რომ იმავე საალყო პარკით დრო მოეგდოთ აგრეთვე მანჰაიმის ასაღებადაც. ციხექალაქები ერენბრაიტენშტაინი და ფილიპსბურგი ცხრა თვის ბლოკადას ვეღარ გაუძლებდნენ და ზამთრის განმავლობაში დანებდებოდნენ. ჯარების თავმოყრა დიდ საერთო არმიად უნდა მოეხდინათ სტრასბურგის კედლებთან რაინის მარცხენა ნაპირზე თებერვლის, მარტის და აპრილის განმავლობაში შენიღბული გადაჯგუფების გზით. შეიძლებოდა დიდი იმედები დაემყარებიათ ასეთ მნიშვნელოვან არმიაზე, რომელიც უნდა გადასულიყო რაინზე, მოულოდნელად და სწრაფად, ყველა მიმართულებით ჩაეხშო და გაენადგურებია მდინარის დასაცავად გაფანტული ჯარები. მტრის ჯარები იძულებული იქნებოდნენ დაეტოვებიათ რაინი და თავი მოეყარათ დუნაიზე. საფრანგეთის არმია დაიკავებდა ულმს. ამ პუნქტიდან, როგორც ცენტრიდან, მას შეეძლო მანევრირება ვიურტემბერგში ვერნიცისა და ლეხისაკენ და ბავარიაში, მხოლოდ ერთი საოპერაციო ხაზით—კელის, ნოი-ბრაიზახისა და ჰიუნინგენისაკენ. იგი ყველაფერს დასძლევდა თავისი მასით. საზამთროდ იგი უნდა დაბანაკებულიყო ავსტრიის საზღვრებზე, დაემორჩილებია, თავის მხარეზე გადაეყვანა და უვნებელეყო გერმანიის კავშირის მეფეები.

პარიზში მიღებული ლაშქრობის გეგმა სრულიად საწინააღმდეგოდ იყო შედგენილი: 1) ციხეები არც ბლოკირებული ყოფილა და არც ალყაშემორტყმული, მათ მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ შორიდან; 2) ორი არმია ორი ერთმა-

ნეთზე დამოუკიდებელი მთავარსარდლის მეთაურობით შევიდა გერმანიაში ორი სრულიად მოპირდაპირე საოპერაციო ხაზით. ისინი მიდიოდნენ ალალ ბედზე, შეუთანხმებლად, დამაკავშირებელი გზების გარეშე და უკუგდებულ იქნენ ნამდვილ დიდ ბრძოლაში დაუმარცხებლად. ეს მოხდა იმ დროს გაბატონებულ მცთარ შეხედულებათა მეოხებით. ემყარებოდნენ იმას რომ 1794 წლის ლაშქრობაში, როდესაც მოწინააღმდეგენი დაეუფლნენ ციხექალაქებს კონდეს, ვალანსიენს, ლანდრესს და კენუას, ფრანგებმა მარცხი განიცადეს სხვადასხვა პირდაპირ შეტევაში ცენტრზე და მხოლოდ მაშინ მიაღწიეს წარმატებას, როცა მათ თავისი ჯარები ორ არმიად დაჰყვეს—ჩრდილოეთის და სამბრ-მაასის არმიებად, ერთი—პიშეგრიუს არმია—მტრის მარჯვენა ფრთისკენ გაგზავნეს მენენით ზღვის გასწვრივ, მეორე კი—ჟურდანის არმია—მარცხენა ფრთისკენ სამბრზე. ამ საოპერაციო გეგმის შედეგი იყო აღნიშნული ციხეებისა და ბელგიის დაპყრობა. მტერი უკუგდებულ იქნა რურსა და რაინს გადაღმა, მცირე ხნის შემდეგ კი ერთიმეორეზე დანებდა ფლანდრიის ციხეებიც.

მაგრამ ამ წინანმძღვრებიდან გამოყვანილი პრინციპები შემცთარი იყო. 1794 წლის ლაშქრობის წარმატებები შეუძლებელია აიხსნას ლაშქრობის გეგმით. ისინი, პირიქით, მიუხედავად ამ გეგმის მცთარობისა, მიღწეულ იქნა მხოლოდდამხოლოდ იმ ჯარების უდიდესი რიცხვობრივი სიჭარბის გამო, რომლებიც რესპუბლიკამ ამ საზღვარზე გამოიყვანა. თუმცა ორ ცალკეულ არმიად დაყოფილნი, თითოეული ამ არმიის ჯარები რიცხვობრივად ავსტრიის თითქმის მთელი არმიის თანაბარი იყო. ფლერიუსის ბრძოლაში გენერალ კლერფაიტს ისეთივე ძალის არმია ჰყავდა, როგორც ჟურდანის არმია, მაგრამ ჟურდანის არმია მხოლოდ ნაწილი იყო იმ ჯარებისა, რომლებიც საფრანგეთს ჩრდილოეთში ჰყავდა, კლერფაიტმა კი თავი მოუყარა თავისი ძალების უდიდეს ნაწილს. მას რომ ბრძოლა საფუძვლიანად ჩაეტარებია და გამარჯვებული გამოსულიყო, იგი შემდგომ პიშეგრიუს დაამარცხებდა და ფრანგები, მიუხედავად ათასეულთა დიდი რაოდენობისა, დამარცხებული იქნებოდნენ მცთარი გეგმის გამო.

ორი არმიის ნაცვლად, რომელთაგან ერთი მარჯვენა ნაპირზე, ხოლო მეორე—მარცხენაზე იყო განლაგებული, საფრანგეთის მთელი არმია რომ თავმოყრილი ყოფილიყო სამბრთან, ფლერიუსის მინდვრებში, და საზვერავი კორპუსი დიუნკერკის მიმართულებით გამოეყო და დაეყენებია, მაშინ ჟურდანის არმია, რომელიც ორჯერ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კლერფაიტის არმია, უკუგდებული არ იქნებოდა, არამედ ნიაღვარივით თავს დაატყდებოდა მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას და გადუჭრიდა რაინისაკენ უკანდასახევ გზას. იგი აშკარა და გადამწყვეტ წარმატებას მიაღწევდა. მაგრამ უხერხულობანი, რომლებიც თანახლავს ომის ასეთ პრინციპებს, გაცილებით უფრო საშიში ხდება მტრის ქვეყანაში შეჭრისას. 1794 წელს საფრანგეთის ორთავე ჩრდილოეთის არმიას ჰქონდა თავისი ფლანგები, რომელთაგან ერთი ციხე-ქალაქებს: შარლემონს, ჟივეს და ფილიპვილს, ხოლო მეორე—ციხე-ქალაქს დიუნკერკს და ზღვას ეყრდნობოდა. მათი სხვა საფლანგო ჯგუფები მუდამ ციხეებს ეყრდნობოდნენ ანდა საფრანგეთის ტერიტორიის უბნებს ესაზღვრებოდნენ. მიმოსვლა ორსავე არმიას შორის ძნელი ხდებოდა მტრის მიერ მათი გათიშვის გამო, მაგრამ იგი ყოველთვის წარმოებდა ფრონტის ცოტა უკან. 1796 წლის ლაშქრობაში ორთავე არმიის

მარცხენა ფრთა, მარჯვენა ფრთა და ზურგი უსაფაროდ იყვნენ. ფლანდრიაში ყოველ 24 საათში პარიზიდან მოსული ბრძანებებით ორივე არმია თავის მოქმედებას ერთმანეთს უთანხმებდა. 1796 წელს ცენტრიდან მართვა სრულიად შეუძლებელი გახდა და ყველაფერში ერთი მთავარსარდლის განკარგულება უნდა ყოფილიყო, მთავარსარდალი კი ორი იყო. მაშასადამე, უნდა აღვიაროთ რომ 1794 წლის ლაშქრობის მცთარმა პრინციპებმა ხელი შეუშალა ფრანგებს მათ გადამწყვეტ წარმატებაში, 1796 წელს კი ეს პრინციპები იყო მიზეზი ამ არმიების ზარალისა და უბედურებისა.

რესპუბლიკას უნდოდა ზავი და საზღვრები რაინზე. ამ საზღვრების მოთხოვნა შეუძლებელი იყო, სანამ მოწინააღმდეგეს მაინცი ეკავა. საჭირო იყო— ალყაშემოერტყათ მაინცისათვის. ალყისშემორტყმა მით უფრო ნაკლებ სახიფათო იყო, რომ ეს ციხე მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

არმია, რომელიც მიიწევს წინ ქვეყნის დასაპყრობად, ორივე თავისი ფრთით ებრჯინება ნეიტრალურ ქვეყნებს ან დიდ ბუნებრივ ზღუდეებს, როგორიცაა დიდი მდინარეები ან მთაგრეხილები, ანდა ის ებრჯინება მხოლოდ ერთი ფრთით, ზოგჯერ კი არცერთით. პირველ შემთხვევაში მან უპირატესად თვალყური უნდა ადევნოს მხოლოდ იმას რომ არ გაარღვიონ მისი ფრონტი. მეორე შემთხვევაში ის უნდა დაეყრდნოს უზრუნველყოფილ ფრთას. მესამე შემთხვევაში მან თავისი სხვადასხვა კორპუსი უნდა აიძულოს—მტკიცედ დაეყრდნონ თავის ცენტრს და არაოდეს არ მოსწყდნენ ერთმანეთს. თუ ძნელია გაიმარჯვო, როდესაც ორი ფრთა ღია გაქვს, ეს სიძნელე ორკეცდება, თუ ფრთა ოთხია, სამკეცდება, თუ ის ექვსია, ოთხკეცდება, თუ ის რვაა, ე. ი. თუ იყოფა ორ, სამ ან ოთხ ნაწილად. არმიის საოპერაციო ხაზი პირველ შემთხვევაში შეიძლება ახლო იყოს მარჯვენა ან მარცხენა ფრთასთან. ეს მისთვის სულ ერთია. მეორე შემთხვევაში ის უზრუნველყოფილ ფრთას უნდა ეყრდნობოდეს. მესამე შემთხვევაში ის უნდა ეყრდნობოდეს არმიის მოძრაობის ფრონტის შუაგულს. ყველა შემთხვევაში ყოველ ხუთი ან ექვსი ეჯის შემდგომ საოპერაციო ხაზზე უნდა გვქონდეს ციხე ან გამაგრებული პოზიცია მათში სურსათ-სანოვაგისა და საომარ მასალათა საწყობების მოსათავსებლად, აღალების მოსაწყობად და ამ ადგილებისაგან მოძრაობის ცენტრის— საოპერაციო ხაზის შემამოკლებელი დასაყრდენი წერტილის შესაქმნელად.

ულმი გერმანიაში შეჭრის პირველ ბუნებრივ ღერძს წარმოადგენს. ეს ციხე, რომელიც დუნაიზე მდებარეობს, ორსავე ნაპირზე მანევრირების ადვილ შესაძლებლობას აძლევს იმას, ვინც მას დაიკავებს. ეს ერთადერთი პუნქტია მასში ძირითადი საწყობების მოსათავსებლად ევროპის ყველაზე დიდ მდინარეზე, რომელიც ინგოლშტადტის, რეგენსბურგის, პასაუს და ვენის კედლებს ჩაუდის. საფრანგეთის მხრით ეს ციხე შვარცვალდის გამოსასვლელთან მდებარეობს.

მ ე ო რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გენერალ ქეთრდანის მანევრირებაზე. 1 ლაშქრობის დასაწყისში სამბრ-მაასის არმიის მთავარსარდალი მანევრებს ერთდროულად რაინის ორსავე ნაპირზე აწარმოებდა, ამასთან იგი თავისი მარცხენა ფრთით ამ მდინარის მიერ შუაგულსა და მარჯვენა ფრთას მოშორებული იყო. ალტენკირხენში 7 ივნისს კლებერის წინააღმდეგ რომ 30.000 კა-

ცით მიეტანათ იერიში, და არა 15.000-ით, როგორც ეს იყო სინამდვილეში, იგი მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა ჩაყენებული. საჭირო იყო მთელი არმიის დიუსელდორფში თავმოყრა 1 ივნისს და მდინარეების—ზიგისა, ლანისა და მაინისაკენ გაჭრა, აქ კარგი პოზიციის დაკავება მაღლობებზე, სანგრებში ჩაჯდომა და ცდა, სანამ რაინის არმია რაინის მარჯვენა ნაპირზე არ გადავიდოდა.

2. სამბრ-მაასის არმია ივლისის პირველ რიცხვებში დაიძრა. რაინის არმიამ კელში მოაწყო მდინარეზე გადასვლა, რამაც აიძულა ერცჰერცოგი დაძრულიყო ზემო რაინისაკენ. მან ვარტენსლებენს მხოლოდ 36.000 კაცი დაუტოვა. ეს რაზმი განადგურებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმ დროის წესების მიხედვით ნაბრძანები იყო წინსვლა ყველა გზით, ისე როგორც ალყის შემოსარტყმელად. ვინაიდან მტრის არიერგარდს მხოლოდ მის თანაბარ ძალებით მისდევდნენ, მარჯვენა და მარცხენა ფრთის შემოუვლელად და შუაგულის გაურღვევლად, ის არაოდეს მძიმე მდგომარეობაში არ ვარდებოდა. იგი ისეთსავე ზიანს აყენებდა, როგორსაც თვითონ განიცდიდა.

3. სამბრ-მაასიის არმიის მთავარსარდალი მაინიდან შვაინფურტისა და ბამბერგისაკენ დაიძრა, ამასთან იგი თავისი მარცხენა ფრთით საქსონიის მთებს ებრჯინებოდა. საქსონია ის-იყო შეუერთდა პრუსიის ნეიტრალიტეტს და მისმა ჯარებმა სწორედ ამიტომ დასტოვეს ავსტრიის არმია; თავისი მარჯვენა ფრთა მას გაშიშვლებული ჰქონდა. ასეთი მიმართულების გამო ის კიდევ უფრო ადიდებდა იმ მანძილს, რომელიც ჰყოფდა მის არმიას რაინის არმიისაგან, ვინაიდან იგი დუნაის იმ მომენტში შორდებოდა, როცა რაინის არმია ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადადიოდა. ორივე არმია მოქმედებდა იმის საწინააღმდეგოდ, რაც უნდა გაეკეთებია. ერთი არმია თავის მარცხენა ფრთას ეყრდნობოდა, მეორე—თავის მარჯვენა ფრთას, მაშინ როდესაც პირველი თავის მარჯვენა ფრთას უნდა დაყრდნობოდა, ხოლო მეორე—თავის მარცხენა ფრთას, რათა მომხდარიყო მათი შეერთება კომპაქტურ მასად.

4. 8 აგვისტოს ბამბერგში რეგნიცზე გადასული სამბრ-მაასის არმია ნიურენბერგისა და ლაუფისაკენ დაიძრა, აქედან მარცხნივ გაუხვია და ზალცბახისა და ამბერგის გავლით მდ. ნაბს მიაშურა. ამასთან იგი თავისი მარჯვენა ფრთით 30 ლიეს მანძილზე მიებრჯინა ბოჰემიის გასასვლელებს, ხოლო მარცხენათი—დუნაის გადასასვლელებს, რომლებიც მტრის ხელთ იყო, ვინაიდან მას ჯერ კიდევ ეკავა ბავარია, ლეხის მარჯვენა ნაპირი და ვერნიცის მარცხენა ნაპირი. იგი, მაშასადამე, გაწვდილი იყო კოლონად 30 ლიეს სიგრძით და ყოველმხრივ მტრით იყო გარემოცული. ამგვარად, თუ გადასვლა ფრანკფურტიდან ბამბერგისაკენ 50 ლიეს მანძილზე ეწინააღმდეგებოდა იმ მიზანს, რომელიც მას უნდა დაესახა,—ორთავე არმიის შეერთებას, ბამბერგიდან ამბერგში გადასვლა სრული უაზრობა იყო და, ცხადია, მთელი არმიის ბედს სასწორზე სდებდა. ბავარიის ეს ნაწილი რეგნიცის მარჯვენა ნაპირზე წარმოადგენს ბოჰემიის მთათა შტოებისაგან შექმნილ ხეობათა მხარეს, უნაყოფოს, ძნელად გასავლელ მხარეს მხოლოდ ერთი გზით—ნიურენბერგიდან ამბერგს მიმავალი გზატკეცილით. თავისი უკანდახევის დასაფარავად ჟურდანმა ბერნადოტის დივიზია გაგზავნა მისგან 10 ლიეს მანძილზე მდებარე ნაიმარკტს, რათა დამუქრებოდა რეგენსბურგს. ფრანკფურტიდან მაინის მარცხენა ნაპირზე

გავლით სამბრ-მაასის არმია უნდა დაძრულიყო მერგენტჰაიმისაკენ, უზრუნველ-ეყო თავისი მარჯვენა ფრთა რაინის არმიის მარცხენა ფრთასთან შეერთებით, შემდგომ მთელი თავისი მარჯვენა ფრთით მობრუნებულიყო და მოეხდინა მარ-ცხენა ფრთით შემოვლა რეგენსბურგის მიმართულებით. ვიურცბურგში მისვლი-სას არმიას ჯერ კიდევ ჰქონდა დრო დაძრულიყო ნიურენბერგისაკენ, ბამბერგის გვერდის ავლით. ნიურენბერგში მისვლისას მისი მთავარსარდალი უნდა წასუ-ლიყო ნაიმარკტს მიმავალი გზით და მიახლოებოდა რეგენსბურგს. როგორც არ უნდა ყოფილიყო, დახევის აუცილებლობის შემთხვევაში, რეგნიცით პირაღმა წასვლით, და არამც და არამც ამ მდინარით დაღმა დაშვებით, იგი უზრუნ-ველჰყოფდა ამ დახევას რაინის არმიის მარცხენა ფრთის მიმართულებით.

5. სამბრ-მაასის არმიის მთავარსარდალმა ერთდროულად შეიტყო რომ ერცჰერცოგი კარლოსი მის შესახვედრად მოიწევს, მან უკვე დაამარცხა ბერნა-დოტი, ხელთ იგდო ლაუფი და ნიურენბერგი და რომ არმიის ყველა გზა გადა-ჭრილიაო. სწორედ ეს მოწმობდა იმას რომ მისი ოპერაციული ხაზი ცუდი იყო და რომ მან ომის წარმოების ყველა წესის წინააღმდეგ მოახდინა მანევრირება.

6. რაკი ბერნადოტი დამარცხდა, რა-ღა შეეძლო გაეკეთებინა მთავარსარ-დალს, ისეთ ყალბ მდგომარეობაში ჩავარდნილს, როგორშიც ის იყო? მას უნდა დაეჩქარებინა ნაბზე გადასვლა ერცჰერცოგის ამბერგთან მისვლამდე და დაძრულიყო რეგენსბურგისაკენ, რომელსაც მხოლოდ...[1] ლიეთი იყო დაშორე-ბული, და აქ შეერთებოდა რაინის არმიას. პირველივე ენერგიული მოძრაობა აიძულებდა ერცჰერცოგ კარლოსს შეჩერებულიყო, უკან გაეწვია გამოყოფილი რაზმები, რაც ერთბაშად ცხადჰყოფდა და გაჰფანტავდა ამ მოჭორილ ქარიშ-ხალს. ავსტრიელები ძალიან დახელოვნებული არიან ცრუ ხმების გავრცელება-ში და მოსახლეობისთვის მცთარი წარმოდგენის შექმნაში. ისინი დიდი ოსტა-ტები არიან ჯარების ზურგში განგაშის ატეხაში, მაგრამ საკმაოა მახვილის ამოწვდა და ჭეშმარიტებაც მყისვე აშკარავდება.

7. 1) ვიურცბურგის ბრძოლაში ჟურდანმა სრულიად უდროო დროს დას-ტოვა შვაინფურტთან თავისი ძალების ერთი მეოთხედი; ლეფევრის დივიზია რომ დაემატებინა, — იგი გამარჯვებას მოიპოვებდა.

2) ლეფევრს რომ ამ ქალაქიდან დილის 2 საათზე გაელაშქრნა და 2 სექ-ტემბერს 10 საათზე ბრძოლის ველზე ყოფილიყო, მაშინ, შეტევაზე უეცარი გადასვლით, მას შეეძლო გოტცესა და სტარაის 20 ათასეული შეემუსრა, ხელთ ეგდო ვიურცბურგი და იქ მორსოს შეერთებოდა. ერცჰერცოგმა ძეტად არაგონივრულად დაქსაქსა თავისი ძალები. მათი თავმოყრა მან შესძლო მხო-ლოდ ბრძოლის დღეს, 3 სექტემბერს, დიდი დაგვიანებით, მაგრამ ჟურდანმა, რომელიც 2 სექტემბერს შუადღისას მივიდა, 18 საათი დრო მისცა ერცჰერ-ცოგს არმიის შესაკრებად. 3 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ერცეჰერცოგს უკვე 45.000 კაცი ჰყავდა საბრძოლო ხაზზე.

3) ჟურდანმა ბრძოლის ველზე სამჯერ მეტი ადგილი დაიკავა, ვიდრე საჭირო იყო. ძალაუნებურად მას მოუხდა ერთ ხაზზე გაწვდილიყო: რარიგ

[1] გამოტოვებულია ფრანგულ ტექსტში.

უშიშარიც არ უნდა ყოფილიყო მისი მხედრობა, შეუძლებელი იყო მისი ხაზის გაურღვევლობა.

8. 1) ლანი კობლენციდან გისენამდე 24 ლიეს მანძილზე მიედინება. დიუსელდორფიდან იგი 30 ლიეზე მიედინება. ჟურდანს რომ ყველა დივიზია თავის უკიდურეს მარცხენა ფრთაზე, ვეცლარში, შეეჯგუფებია, იგი დაამსხვრევდა და უკუაგდებდა თავის მოწინააღმდეგეს რაინისკენ, მალე ამის შემდგომ კი—დუნაისკენ. ძალების მხრივ მას დიდი უპირატესობა ჰქონდა მარსოს კორპუსთან და ჰოლანდის დივიზიასთან შეერთების შემდგომ. მან თვითონ აღიარა ეს განზრახვა, მაგრამ დრო, რომელიც საჭირო იყო მის შესასრულებლად, მის პროექტირებაზე დაჰკარგა. მისი არმია კორდონად გაიწვადა ლანის გასწვრივ. მარსოს კორპუსის დახევის გამო სწორედ ეს კორდონი გაარღვიეს ლიმბურგის მიმართულებით. მაშინ მთავარსარდალმა დაჩქარებით გაიყვანა თავისი კოლონები ალტენკირხენისკენ.

2) იქ მას ჯერ კიდევ ჰქონდა დრო შეტევის განსაახლებლად და ყოველივეს გამოსასწორებლად, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა.

3) რამდენადაც მან დახევის ბრძანება გასცა, სულ მცირე—დიუსელდორფის გამაგრებულ ბანაკამდე მაინც უნდა დაეხიათ მთელი ჯარით შეჯგუფებულად. სანამ არმია რაინის მარჯვენა ნაპირზე იდგა თავმოყრილ მასად, ერცჰერცოგს არ შეეძლო შეესუსტებია თავისი ძალები, იმიტომ რომ ყოველ წუთს ემუქრებოდა მას არმიის შეტევითი მოძრაობის საშიშროება. მაგრამ ყოველივე წაგებული იყო, როცა ჟურდანმა ალტენკირხენიდან დაანაწილა თავისი არმია და მარტოოდენ მისი მარცხენა ფრთა განაგრძობდა სვლას დიუსელდორფისაკენ, არმიის დანარჩენი ნაწილი კი უკანვე დაბრუნდა რაინით. თითქოს მარცხენა ნაპირს და გუნდსრიუკს რაღაც ემუქრებოდა! არა მის წინააღმდეგ, აოამედ ჯერ კიდევ გერმანიის გულში მყოფ რაინ-მოზელის არმიის წინააღმდეგ ემზადებოდა სალაშქროდ ერცჰერცოგი.

9. ჰოლანდიდან მოყვანილი ჯარებით გაძლიერებული სამბრ-მაასის არმიის საქციელი ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის განმავლობაში აუხსნელია. მაგრამ მას მეთაურად ისეთი უცნაური გენერალი (ბურნონვილი) ჰყავდა რომ გასაკვირველი არაფერია. ამასობაში ჰოშს სანაპიროზე ბევრი არაფერი გაუკეთებია, ხოლო შაიოში მჯდომ კლებერს—სრულიად არაფერი. იგი ათვალწუნებული იყო. აი როდის მიეცათ შემთხვევა დაევიწყებიათ მისი შეცოდებანი, თუ კი ასეთები მას ჰქონდა, და გამოეყენებიათ მისი ნიჭი და პატრიოტიზმი. მაშინ რომ სამბრ-მაასის არმია ჰოშისთვის ჩაებარებიათ, ის კიდევ შესძლებდა—ეხსნა ლაშქრობა.

გენერალი ჟურდანი ძლიერ მხნედ იყო ბრძოლის დღეს, მტრის წინაშე და ცეცხლქვეშ, მაგრამ მას არ ჰქონდა აზრის სითამამე ღამის სიჩუმეში, ბრძოლის წინ. მას არ აკლდა ინტელექტური ნიჭი, მაგრამ ის იყო გაუბედავი და ომის ყველაზე მცთარი პრინციპებით გამსჭვალული.

მესამე შენიშვნა. გენერალ მორეს მანევრირებაზე. 1. რაინზე გადასვლა 24 ივნისს მოხდა. ის უნდა მომხდარიყო ამ თვის 1-დან 4-მდე, იმ დროს როცა სამბრ-მაასის არმია დაიძრებოდა. 24 ივნისს, გადასვლის დღეს, ჯარების პირველი ნაწილი მარჯვენა ნაპირზე დილის 3 სა-

ათზე მივიდა. ხიდი შუადღისას უნდა დამთავრებულიყო და არმია 25-ს განთიადის წინ გადაეყვანათ და დაეწყოთ მარჯვენა ნაპირზე. ხიდი მზად იყო მხოლოდ 25-ს შუადღისას, 24 საათის დაგვიანებით. რაინის მსგავს მდინარეებზე გადასვლა ერთერთი ისეთი ძნელი ოპერაციაა, რომლის დროსაც ჯარები ასეთი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში არ უნდა იქნენ დაყენებული შესაძლებელი დარტყმის ქვეშ თუ უზრუნველყოფილი არ არის მისი დამაკავშირებელი გზები.

2. 26 ივნისს რაინის არმიას მარჯვენა ნაპირზე მხოლოდ 40.000 კაცი ჰყავდა; სენ-სირი 20.000 კაცით დარჩა პალატინატში მარცხენა ნაპირზე, დელაბორდი-კი 10.000 კაცით—ზემო რაინზე.

სამ კორპუსს და მარქაფს, რომლებიც შეადგენდნენ მთელ არმიას 70.000 კაცის რაოდენობით, 26 ივნისს არა უგვიანეს შუადღისა უნდა გაელაშქრნათ მარჯვენა ნაპირზე, რათა მოულოდნელად დასხმოდნენ და გაენადგურებიათ მდინარის გასწვრივ გაფანტული მტრის დივიზიები. 27 ივნისს არმია უნდა შესულიყო რაშტადტში, 30-ს—ფორცჰაიმში, განეცალკევებინა ფილიპსბურგი, მანჰაიმი და მოეწყვიტა მტერი ნეკარისაგან, რომელზეც ის 1-დან 4 ივლისამდე უნდა ყოფილიყო. მისი მთავარსარდალი მაშინ 15 დღით მოგებული იქნებოდა, თავიდან აიცდენდა ბევრ უმნიშვნელო ბრძოლას და ამის ნაცვლად რამდენიმე სასახელო გამარჯვებას მოიხვეჭდა,—სანამ ერცჰერცოგი კარლოსი მოასწრებდა ლანის ნაპირებიდან აქ დაბრუნებას, რითაც კიდევ უფრო დაასუსტებდა თავის მტერს, რომელიც უკვე მაშინ ჩამოუვარდებოდა მას თავისი ძალებით. საფრანგეთის მთავარსარდლის გაუბედავობის მეოხებით მტრის მთავარსარდალს დრო მიეცა 9 ივლისს თავისი არმიის თავმოყრისათვის ეტლინგენთან, კელიდან სამ ეჯზე, რაინზე გადასვლის 13 დღის შემდგომ. როგორ შეიძლებოდა საფრანგეთის მთავარსარდალს ჰქონოდა რესპუბლიკის ტერიტორიის დაკარგვის შიში, როცა მან შეტევა 70.000 კაცით დაიწყო?

3. რაინზე გადასვლის შემდგომ, ჯერ კიდევ სამბრ-მაასის არმიასთან შეერთება არ მოეხდინა რომ ამ მთავარსარდალმა გამოჰყო თავისი მარჯვენა ფრთა 20.000 კაცის რაოდენობით—თითქმის თავისი არმიის ერთი მესამედი—ფერინოს მეთაურობით, რომელიც მდინარის აღმა გაემართა კონსტანცის ტბისაკენ, მაშინ როდესაც შუაგულმა და მარჯვენა ფრთამ ნეკარს მიაშურეს. ამგვარად, არმია ორ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა ვიურტემბერგის ალპებით, შვარცვალდის მთებით და დუნაით, მაშინ როდესაც ფერინოს წინააღმდეგ მოქმედი გენერალი სტარაი, პირიქით, შვარცვალდის მთების გასასვლელებისათვის ბრძოლის შემდგომ, ნეკართან შეჯგუფდა და ერცჰერცოგ კარლოსის მარცხენა ფრთას მიეკედლა. რაინის არმიის დანარჩენი ორი მესამედი 50.000 კაცის შემადგენლობით ნეკართან მივიდა. მტრის ჯარის მომეტებული ნაწილი მათ წინაშე აღმოჩნდა. ჟურდანს მაინზე და ფერინოს კონსტანცის ტბაზე თავიანთ მეწინავე ნაწილებში ფრიად უმნიშვნელო ძალები ჰყავდათ. ამრიგად, ამ ლაშქრობა-მანევრში ფრანგებმა სამი ცალკეული შენაერთი შეჰქმნეს, რომელთაც ურთიერთშორის არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, სამი სხვადასხვა ოპერაციული ხაზით და ექვსი ფრთით, რომელთაგან ხუთი უსაფაროდ აღმოჩნდა. ვი-

ნაიდან ფრთები ყველაზე სუსტ უბანს წარმოადგენენ, ისინი დაფარული უნდა იყოს, ხოლო როცა ეს შეუძლებელია, რაც შეიძლება უნდა შევამციროთ ისინი.

4. არმიის ლაშქრობა რაინიდან შტუტგარტზე და ვიურტემბერგის ალპებზე ამ ომის სულის შესაბამისია, მაგრამ მთავარსარდალს განკარგულება უნდა გაეცა—დაეკავებიათ ულმი—იმდენად მნიშვნელოვანი ციხე რომ მის დაუპატრონებლად შეუძლებელია ომის წარმოება დუნაის აუზში, რომელიც გადაჭიმულია ტიროლის და შვეიცარიის მთებიდან ტიურინგიისა და საქსონიის მთებამდე. თავისი მარჯვენა ფრთით იგი დუნაის უნდა მიბრჯენოდა; მაშინ ნერესჰაიმში მისვლისას ფრთა უსაფაროდ არ აღმოჩნდებოდა. მაგრამ მთავარსარდალმა, თუმცა იგი შემოვლილი იყო ნერესჰაიმის ბრძოლაში მარჯვნითაც და მარცხნითაც და არავითარი დასაყრდენი ცენტრში არ ჰქონდა, მაინც დაიცვა საფრანგეთის იარაღის ღირსება და გამოიჩინა სიმშვიდე და გამძლეობა.

5. ნერესჰაიმის ბრძოლის შემდგომ იგი სწრაფად უნდა დაძრულიყო ვერნიცისა და ალტმიულისკენ, შეერთებოდა ჟურდანს, მოეთავსებინა თავისი მთავარი ბანაკი რეგენსბურგში, გაემაგრებინა ეს პუნქტი, ულმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი, და ეწარმოებინა მანევრები ორთავე ნაპირზე. ორთავე არმიის შეერთება შესაძლებელი იყო 15—16 აგვისტოს, და ლაშქრობის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ნაცვლად ამისა მან გააკეთა ყოველივე, რაც კი სასურველი იყო მისი მტრისათვის. ის 12 დღეს უმოქმედოდ იყო ლაშქრობის ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, ბოლოს გადასწყვიტა გადასულიყო დუნაისა და ლეხზე, ამის შემდგომ კი კვლავ უმოქმედობას მიეცა 16 დღით. თითქოს მან არ იცოდა რომ მის მარცხენა ფრთაზე საფრანგეთის არმია არსებობდა. მხოლოდ 10 სექტემბერს, ნერესჰაიმის ბრძოლის ერთი თვის შემდგომ, როცა სამბრ-მაასის არმია 80 ლიეთი იყო მასზე დაშორებული, მან გადასწყვიტა—ჟურდანის ამბების მიღების მიზნით გამოეყო დეზეს დივიზია დუნაის მარცხენა ნაპირზე.

19 სექტემბერს მან დაიწყო დახევა და გადავიდა უკანვე ლეხზე. მაშინ სამბრ-მაასის არმია გამოვიდა ბრძოლიდან რაინის მარცხენა ნაპირზე, და მის წინ მტრის მთელი ძალა აღმოჩნდა. ამგვარად, 32 დღეს ის გენერალ ლა-ტურის პირისპირ იდგა, რომელსაც ორჯერ ნაკლები ძალა ჰყავდა, და არც კი ცდილა მიეყენებია მისთვის ზარალი, შეჰბმოდა მას და გაენადგურებია იგი; პირიქით, მას არავითარი ზიანი მისთვის არ მიუყენებია.

ამ ლაშქრობის ერთადერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ბიბერახის ბრძოლა, რომელიც გამოიწვია დახევის უზრუნველყოფის აუცილებლობამ, ბრძოლა, რომელსაც უფრო საგრძნობი შედეგები მოჰყვებოდა, მეორე დღეს რომ ოპერაცია გაგრძელებულიყო, სახელდობრ გაგრძელებულიყო გენერალ ლა-ტურის დევნა არმიის ერთი ნაწილით, ხოლო დარჩენილი ძალებით—მანევრირება შვარცვალდის მთებში გასასვლელების კვლავ გახსნის მიზნით.

სწორედ ამ დახევაში იგრძნობოდა ულმის, ამ—დუნაის გასაღების, მნიშვნელობა.

6. 14 ოქტომბერს ფრაიბურგსა და ალტ-ბრაიზახში მისვლისას შეიძლებოდა მიღებულიყო ორში ერთი გადაწყვეტილება: გადასულიყვნენ რაინზე იმავე დღეს და დაესვენებიათ ჯარი, იმისთვის რათა შეეთანხმებიათ თავისი მოქმედება სამბრ-მაასის არმიასთან, ანდა დაუყოვნებლივ დაძრულიყვნენ ერცჰერცოგ კარლოსის წინააღმდეგ, რათა ესარგებლათ მომენტი, როცა მას ნაკლები ძალები ჰყავდა, და უკუეგდოთ იგი რენხსა და მურგს-გაღმა, ხელი შეეშალათ ლა-ტურთან შეერთებისათვის; მაშინ ის ბადენის ოლქებსა და ბრისჰაუში დადგებოდა. ნაცვლად ამისა მორო პოზიციაზე დარჩა ფრაიბურგთან და მით საშუალება მისცა ერცჰერცოგ კარლოსს—თავი მოეყარა თავისი რაზმებისათვის. და, რაც ყველაზე უფრო საოცარია, ეს ის რომ ჟურდანმა თავისი არმიის ერთი მესამედი გენერალ დეზეს მეთაურობით რაინის მარცხენა ნაპირზე გაგზავნა და თვითონ უფრო მეტად გაიყინა ისეთსავე მერყევ მდგომარეობაში, რითაც დანარჩენი ორი მესამედი სრული განადგურების საფრთხეში ჩააყენა. ეს იყო არსებითი შეცთომა. არმია საფრანგეთში უწესრიგოდ დაბრუნდა, მას დამარცხებულის იერი ჰქონდა—იერი, როგორიც მას, ბიბერახის წარმატებებით თავმომწონეს, 20 ოქტომბრამდე არ ჰქონია და არც ექნებოდა, უფრო ადრე რომ დაბრუნებულიყო.

7. ამ ლაშქრობის თავისებურებას წარმოადგენს ის რომ საფრანგეთის გენერლებს, ყველა მათი შეცთომის მიუხედავად, რაიმე არსებითი ზარალი არ განუცდიათ და მათ ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა ყოველივე გამოესწორებიათ. მორო ბიბერახის ბრძოლის შემდგომ ისევ განაგებდა ლაშქრობის ბედს. საამისოდ მისთვის საკმარისი იყო დაძრულიყო როტვაილისაკენ, გაენადგურებია პეტრაში და ნაუენდორფი, რომელთაც ერთად არა ჰყავდათ 15.000 კაცზე მეტი, ამის შემდგომ კი გაელაშქრნა ერცჰერცოგის წინააღმდეგ, რომელიც იმყოფებოდა რენხის შესართავთან 9.000 კაცზე ნაკლები ჯარით.

15 ოქტომბერსაც კი, რაინის ველზე მისვლისას, მას ჯერ კიდევ შეეძლო ყველაფრის გამოსწორება. კელისაკენ რომ სწრაფად დაძრულიყო, ის რენხიდან უკუაგდებდა ერცჰერცოგს და ხელს შეუშლიდა მის შეერთებას ნაუენდორფისა და ლა-ტურის კორპუსთან. სამბრ-მაასის არმიასთან კავშირის დამყარებით იგი აუცილებლად დაითანხმებდა მას—კვლავ შეტევაზე გადასულიყო.

ბოლოს, მას კიდევ შეეძლო ყველაფრის გამოსწორება თვით თავისი ხიდწინა სიმაგრეების გარემოცვის დროსაც კი. კელის გამაგრებულ ბანაკიდან რომ გამოსულიყო 50.000 კაცით, იგი გაანადგურებდა გენერალ ლა-ტურის საალყო არმიას, რომელიც სულ ბევრი 35.000 კაცისაგან შედგებოდა, და დუნაიზე საზამთროდ დაბანაკებასაც კი მოასწრებდა.

მეოთხე შენიშვნა. ერცჰერცოგ კარლოსის მანევრირებაზე. 1. საფრანგეთისა და ავსტრიის არმიები რიცხვობრივად თანაბარი იყვნენ, მაგრამ ერცჰერცოგს ცხენოსანი ჯარი 20.000 კაცით მეტი ჰყავდა, ვიდრე მოწინააღმდეგეს. სხვა ხალხის ხელში ამ უპირატესობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ გერმანელებმა არ იციან თავისი ცხენოსანი ჯარის მოხმარება, ეშინიათ—შეახვედრონ იგი მტრის დარტყმას და უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ის სინამდვილეში ღირს.

ცხენოსანი არტილერია ცხენოსანი ჯარის დამატებას წარმოადგენს. 20.000 მხედარი და მსუბუქი ცხენოსანი არტილერიის 120 ქვემეხი 120 ქვემეხის მქონე ქვეითი ჯარის 60.000 კაცს უდრის. ძნელია განსაზღვრა, რომელ მათგანს ექნებოდა უპირატესობა ისეთი ვრცელი ვაკეების მქონე ქვეყნებში, როგორიცაა ეგვიპტე, პოლონეთი და სხვ. ორი ათასი ცხენოსანი ჯარი ცხენოსანი არტილერიის 12 ქვემეხით უდრის, მაშასადამე, ქვეითი ჯარის 6.000 კაცს 12 ქვემეხით. სახაზო საბრძოლო წყობაში დივიზიას უკავია ხაზი სიგრძით 500 ტუაზი. ერთ ტუაზზე მოდის თორმეტი ქვეითი ჯარისკაცი ან ოთხი მხედარი. ზარბაზნის ერთი გასროლა, რომელიც ყველაფერს გაგმირავს რაც ერთ კუბურ ტუაზზე იმყოფება, მოჰკლავდა, მაშასადამე, 12 ქვეითი ჯარისკაცს ან ოთხ ცხენოსანს მათი ოთხი ცხენითურთ. 12 ქვეითი ჯარისკაცის დაკარგვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოთხი ცხენოსანი ჯარისკაცისა და ოთხი ცხენის დაკარგვა, იმიტომ რომ რვა ქვეითი ჯარისკაცის დაკარგვა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ოთხი ცხენის დაკარგვა. ოთხი ცხენოსანი ჯარისკაცისა და ოთხი ცხენის აღჭურვილობა და შეიარაღება არ ეთანაბრება 12 ქვეითი ჯარისკაცის აღჭურვილობას და შეიარაღებას. ამგვარად, თვით ფინანსიური თვალსაზრისითაც კი, ქვეითი ჯარის დანაკლისი უფრო ძვირად ღირს, ვიდრე ცხენოსანი ჯარის დანაკლისი.

ერცჰერცოგი რომ ისეთი ჯარის მეთაური ყოფილიყო, რომელსაც სჩვევია ცხენოსან მწყობრში გაბედვით მოქმედება, ის მონახავდა უნარიან უფროსებს, რომლებიც აღაგზნებდნენ ცხენოსან ჯარს და ჩააბამდნენ ბრძოლაში, და საფრანგეთის არმიას, 20.000 კაცით ნაკლები ცხენოსანი ჯარით, ვეღარ შეეძლებოდა გერმანიაში შეჭრა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რას აკეთებდა ნაპოლეონი ცხენოსანი ჯარით რუსთა და პრუსიელთა ქვეითი ჯარის წინააღმდეგ ვოშანთან, ნანჟისთან და ა. შ.

2. გაიგო თუ არა ერცჰერცოგმა, ივნისში, რომ საფრანგეთის არმიამ კელში რაინი გადალახა, გენერალ ლა-ტურის დასახმარებლად გაილაშქრა ლანის ნაპირებიდან. მან დასტოვა გენერალი ვარტენსლებენი 36.000 კაცით ქვემო რაინზე და 26.000 კაცი ჰეხტსჰაიმის გამაგრებულ ბანაკში მაინცის წინ. ერცჰერცოგს მაინცის გარნიზონში უნდა დაეტოვებია მხოლოდ 8.000 კაცი რამდენიმე ათასი სუსტი ჯარისკაცით და მხოლოდ 25.000 კაცი ვარტენსლებენისთვის, 60.000 კაცით კი დაძრულიყო თავისი ზემო რაინის არმიის დასახმარებლად. მაშინ იგი მდ. ალბზე თავს მოუყრიდა 90.000—100.000 კაცს. ვის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა? 9 ივლისს იგი დაამარცხებდა დეზეს, უკუაგდებდა მას რაინის მარცხენა ნაპირზე, ხელთ იგდებდა კელს და რაინის ხიდს. სრულიადაც არ უნდა ჰქონოდა მას სამბრ-მაასის არმიის შიში, იმიტომ რომ იგი გაფანტულად იყო. ამ არმიას რომ კიდევაც შეტევა დაეწყო და 10-დან 15 ივლისამდე მაინზე მისულიყო, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას მისთვის, თუ უკვე მაშინ იგი კელის მფლობელი აღმოჩნდებოდა, მოროს არმია-კი მის მიერ ალხასში უკუგდებული იქნებოდა?

3. მას რომ ერთ რომელიმე პუნქტში თავის მარჯვენა ფრთაზე თავი მოეყარა ყველა 50.000 კაცისათვის, რომლებიც დაყენებული ჰყავდა მდ. ალბის

ვასწვრივ, იგი 9 ივლისს, მდ. მურგზე კოლონებად გამოსული, შემოუვლიდა დეზეს მარჯვნივ და მარცხნივ, და შუაგულში გაარღვევდა მას. მისი შემუსრვითა და ალზასში რაინის მარცხენა ნაპირზე უკუგდებით იგი ხელთ იგდებდა კელის ხიდს. რაინიდან მოწყვეტილი სენ-სირი უკუგდებული იქნებოდა მდ. ნეკარზე, ფერინო კი—ჰიუნინგენზე.

როდესაც ორი არმია პირისპირ დგას საომარი წესით, როდესაც ერთი მათგანი, როგორც საფრანგეთის არმია, იძულებულია აწარმოოს დახევა ხიდზე გადასვლით, მეორეს კი, როგორც ავსტრიის არმიას, შეუძლია დაიხიოს ნახევარწრეხაზის რომელ წერტილზედაც სურს, ყოველგვარი უპირატესობა ამ უკანასკნელის მხარეზეა; ეს უკანასკნელი გაბედულად უნდა მოიქცეს, აგემოს მტერს გამანადგურებელი დარტყმები და აწარმოოს მანევრები მის ფრთებზე. მას ყოველმხრივ ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს, და ის-ღა დარჩენია რომ გამოიყენოს ეს მდგომარეობა.

4. ერცჰერცოგ კარლოსს უნდა შეეიარაღებინა, მოემარაგებინა სურსათითა და საიმედო მეციხოვნე ჯარით ულმი, ეს—გასაღები დუნაისა.

5. ბრძოლა ნერესჰაიმთან წარმოდგენილი იყო ერთადერთ საშუალებად, რომელიც კი ერცჰერცოგს დარჩენოდა, რათა ხელი შეეშალა საფრანგეთის ორთავე არმიის შეერთებისათვის მდ. ალტმიულზე. თუ გამარჯვებული გამოვიდოდა, იგი უკუაგდებდა რაინ-მოზელის არმიას ვიურტემბერგის ალპებში და ნეკარზე. მთავარი არმიის დამარცხების შემთხვევაში სამბრ-მაასის არმია, რომელიც მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, იძულებული გახდებოდა დაეხია მაინზე. მაგრამ ნერესჰაიმის ბრძოლაში საფრანგეთის არმია გაფანტული იყო სიგრძით 8 ლიეს ხაზზე, ძნელად მისადგომ ადგილზე; მისი ფრთები დაუცავი იყო, ერცჰერცოგი მთელ მდინარე დუნაის ფლობდა. მთელი ძალით მას იერიში უნდა მიეტანა თავისი მარცხენა ფრთის მიმართულებით, საბრძოლო ხაზი კი დუნაის პარალელურად უნდა მოეწყო; ულმის, გიუნცბურგის და დილინგენის ხიდებისაკენ დასახევი გზა მას უზრუნველყოფილი ჰქონდა. მას რომ ამნაირად დაეწყო მანევრირება, უდიდეს წარმატებას მიაღწევდა. ფრანგებს ძვირად დაუჯდებოდათ თავისი მარჯვენა ფრთის დუნაით უზრუნველყოფის უგუნური უგულვებელყოფა და ის რომ მათ არ დაიკავეს ულმი ფერინოს ჯარებით.

6. ნერესჰაიმის ბრძოლაში დამარცხების შემდგომ ერცჰერცოგი აღარ ფიქრობდა საფრანგეთის ორთავე არმიის შეერთებისათვის ხელის შეშლას. მას თუ მაინც კიდევ ეწადა ხელი შეეშალა ამ შეერთებისათვის, მაშინ უნდა დაეხია მდ. ვერნიცისა და ალტმიულისაკენ დუნაის მარცხენა ნაპირის მიყოლებით. მდ. ვერნიცის გალმა რომ 30.000 კაცი გენერალ ლა-ტურის მეთაურობით დაეტოვებია, ის მოიგებდა იმ ხუთ თუ ექვს ეჯს, რომელსაც ის საჭიროებდა, რათა ქურდანის წინააღმდეგ გაელაშქრნა. ამის ნაცვლად იგი გადავიდა დუნაიზე და მდ. ვერნიცის მარცხენა ნაპირი და მდ. ალტმიული საფრანგეთის არმიებს მიუტოვა. თავის მხრივ, ვარტენსლებენი მთელი აგვისტოს თვის განმავლობაში ისე ეწეოდა მანევრებს რომ დუნაიზე შორს ყოფილიყო

და ბოჰემია დაეფარა. მაშასადამე, აღარაფერი ხელს არ უშლიდა საფრანგეთის არმიების შეერთებას.

7. ნერესჰაიმთან ბრძოლის შემდგომ, როცა ერცჰერცოგი უკვე დუნაისა და ლეხზე გადავიდა, მას აზრად აღარ ჰქონდა ბავარიის დაცვა, რაც არ უნდა ეთქვათ ამაზე. მისი მდგომარეობა ორჭოფული იყო. რაინ-მოზელის არმია 60.000 კაცისაგან შედგებოდა, სამბრ-მაასისა კი—50.000 კაცისაგან, მაშასადამე, საფიქრებელი იყო რომ რეგენსბურგის წინ უკვე თავმოყრილია 110.000 კაცი დუნაის ორთავე ნაპირზე. მას შეეძლო დაეპირისპირებინა მათთვის მხოლოდ 90.000 კაცი. ნერესჰაიმის ბრძოლამ გააუარესა მისი მდგომარეობა, ხოლო ფრანგებისათვის იგი ხელსაყრელი აღმოჩნდა. ის დამშვიდდა, როდესაც გაიგო რომ მორო, რომელიც რამდენსამე დღეს უმოქმედოდ იყო, საოცარ გაუბედავობას იჩენდა, ხან თითქოს დონაუვერტისაკენ დაიძრა, ხან ჰეხშტედტისაკენ დაიხია ისე რომ არც კი გაუგზავნია ცხენოსანი პატრულები მდ. ალტმიულზე, და რომ, დასასრულ, ფრანგი გენერლები ისე ეწევიან მანევრირებას, თითქოს, ორთავემ დაივიწყა საფრანგეთის მეორე არმიის არსებობა გერმანიაში, მდ. ალტმიულის გასწვრივ მეთვალყურე 400 ჰუნგრელი ჰუსარი-კი განაგრძობდა იქ დგომას და თვით ნიურენბერგამდე და მდ. ვერნიცამდე პატრულების გზავნას. სწორედ მაშინ დაებადა მას აზრი—გადაედგა თავისი მოხდენილი ნაბიჯი—28.000 კაცით გადასულიყო 17 აგვისტოს დუნაიზე და დაეწყო შეტევა სამბრ-მაასის არმიის წინააღმდეგ. ამბობენ რომ, როცა მან განუცხადა გენერალ ლატურს რომ გტოვებ ლეხზე 30.000 კაცითაო, გენერალმა, შეშფოთებულმა იმ საფრთხით, რომელზიც შესაძლოა ჩავარდნილიყო ასეთი სუსტი კორპუსი, მოახსენა: „როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ძლევამოსილ ფრანგის არმიას, ორჯერ უფრო ძლიერს, ვიდრე ჩვენაო?“ ერცჰერცოგმა ამაზე უპასუხა: „დაე, მორო თუნდ ვენამდე მივიდეს, თუ-კი მე ამასობაში ჟურდანის არმიას დავამარცხებო“. ის მართალი იყო, მაგრამ მას უნდა დაემშვიდებია ეს გენერალი, დაეყენებია რეგენსბურგის წინ და ებრძანებია რომ განლაგებულიყო დუნაის მარცხენა ნაპირზე. იმ შემთხვევაში მორო ვერაფერს ვერ ეწეოდა ვერც მარცხენა ნაპირზე, ვერც ერცჰერცოგის წინააღმდეგ.

8. ერცჰერცოგმა მხოლოდ 22 აგვისტოს მიიტანა იერიში ბერნადოტზე, ესე-იგი დუნაიზე გადასვლის ხუთი დღის შემდგომ, მაგრამ იერიში იმდენად დუნე იყო რომ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა მას. ეს იყო საუცხოო განზრახვის ცუდი შესრულება: საჭირო იყო ბერნადოტის გარემოცვა და იერიშის მიტანა მასზე დუნაიზე გადასვლის 24 საათის შემდგომ, მაგრამ ისე მძაფრად და ძალთა ისეთი სიჭარბით რომ ამას შედეგად მისი სრული დაღუპვა უნდა მოჰყოლოდა.

9. ერცჰერცოგი 24 აგვისტოს დაიძრა ამბერგისაკენ, მაგრამ მცირე რიცხოვანი ხეედრობით, იმიტომ რომ თავისი 28.000 კაცი მეტწილად მან მეორეხარისხოვანი ამოცანების შესასრულებლად გამოიყენა. ბერნადოტის კვალდაკვალ მას მხოლოდ რამდენიმე ცხენოსანი ასეული უნდა გაეგზავნა, ჟურდანის ზურგს კი მთელი თავისი მხედრობით უნდა დასტეხოდა თავს, მთელის

სიმძაფრით უნდა მიეტანა იერიში. ნაბის ნაპირებზე გადასწყვეტდა იგი ლაშქრობის ბედს.

10. როცა 20 სექტემბერს ჟურდანმა თავისი არმია დაქსაქსა და უკანვე რაინის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, ერცჰერცოგს უნდა გაელაშქრნა ულმზე 40.000 კაცით, ებრძანებია გენერალ ლა-ტურისათვის—გადასულიყო დუნაის მარცხენა ნაპირზე ინგოლშტადტის ხიდით, რაცა, რაც შეიძლება, სწრაფად წასულიყო მასთან შესაერთებლად. იგი სწორედ იმ დროს მივიდოდა ულმს, რა დროსაც საფრანგეთის არმია, რომელსაც უნდა გაეძლო მაშინ 70.000 კაცის იერიშისათვის, და მისი დახევა მაშინ მართლაც უაღრესად ძნელი იქნებოდა. ამის ნაცვლად ერცჰერცოგი მხოლოდ 12.000 კაცით დაბრუნდა ზემო რაინზე და დიდი ჯარი სრულიად უსაფუძვლოდ დაუტოვა გენერალ ვერნეკს ქვემო რაინზე. მან უხეიროდ გამოიყენა ნაწილი ამ 12.000 კაცისა მეორეხარისხოვან ამოცანების შესრულებაზე, ასე რომ კელთან მხოლოდ 8.000—9.000 კაცით მივიდა.

11. მას უნდა ებრძანებია ლა-ტურის, ფრელიხისა და ნადაშტისათვის ეწარმოებინათ მანევრები დუნაის მარცხენა ნაპირზე იმგვარად რომ დაეფარათ დახეული ჯარი. იქ მათ შეეძლოთ გამკლავებოდნენ პეტრაშს და ყველა სხვა რაზმს.

12. ამ ლაშქრობაში გადაჯგუფების დროს ერცჰერცოგი სწორი პრინციპებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ გაუბედავად, და პრინციპებიც პოლომდე მოფიქრებული არ იყო. დიდ ბრძოლებს ის არ უმართავდა მტერს, და უკანასკნელ წუთამდე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრანგ გენერლებს შესაძლებლობა ეძლეოდათ გამოესწორებინათ თავისი საქმეები, მაშინ როდესაც მურგზე ბრძოლის მომენტიდან ერცჰერცოგს უნდა გადაეჭრა ლაშქრობის ბედი.

მ ე ხ უ თ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კელისა და ჰიუნინგენის გადამოღვაწ. დეკემბრის დამლევისათვის საფრანგეთის არმიები უკვე ორ თვეს იყვნენ დასვენებული. ჩატარდა მათი რეორგანიზაცია, მოხდა მათი შევსება ახალწვეულებით; მათ სავსებით აღადგინეს თავისი ძალები და რიცხვობრივად ისინი ავსტრიის არმიებს აღემატებოდნენ. მაგრამ, თუმცა ერცჰერცოგი ასეთი არმიების წინაშე იდგა, მან მაინც გაბედა სანგრების გაკეთება იქვე კელისა და ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრეების წინ. სამბრ-მაასის არმიის რაზმით განმტკიცებული რაინის არმია რომ კელით ან ჰიუნინგენით შეტევაზე გადასულიყო, გათენებისას მას შეეძლო—ორჯერ მეტი ძალებით იერიში მიეტანა ერცჰერცოგ კარლოსის ბანაკებზე, დაუფლებოდა ყველა ხანდაკოვან ხაზს, ხელთ ეგდო მთელი არტილერია, პარკები, საწყობები და მიეღწია ბრწყინვალე გამარჯვებისათვის, რომელიც ერთიორად აანაზღაურებდა ყველა მის დამარცხებას, აღადგენდა საფრანგეთის იარაღის ღირსებას, საეჭვოდ გახდიდა გერმანიის უშიშროებას და შესაძლებლობას მისცემდა საფრანგეთის არმიას—დაეზამთრებინა რაინის მარჯვენა ნაპირზე .საფრანგეთის არმია რომ მარტოოდენ ახალი გაწვევის, გაუწვრთნელ, მორალურ სიმტკიცეს მოკლებულ ჯარისკაცთაგან, ყოფილიყო შემდგარი, —ვარაუდი, პირდაპირ საწინააღმდეგო იმისა, რაც არსებობდა,—საფრანგეთის მთავარსარდალს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გაებედნა ბრძოლა ალყის მოსახსნელად. მაგრამ მაშინაც კი, მას რომ ბევრი ხალხი, მრავალი საშუალება და

მდგომარეობაც უფრო ხელსაყრელი ჰქონოდა, ვიდრე მოწინააღმდეგეს, მას ერთიმეორეზე უნდა აეგო სიმაგრეები, ბატარიები, გაეადვილებინა თავისთვის მოძრაობა მარცხენა ნაპირისა და კუნძულების პოზიციებზე დაყრდნობილი კონტრშეტევებით. მაშინაც კი ამ ალყებს შედეგად უნდა მოჰყოლოდა მტრის გაწბილება, მისი პარკებისა და მხედრობის დაღუპვა და აეძულებინა იგი, თუნდაც დაღლილობის გამო, საზამთროდ დაბანაკებულიყო.

ორივე ეს ალყა ღირსებას არ ჰმატებს ერცჰერცოგ კარლოსის სიფრთხილეს, ვაგრამ მისი ჯარებისათვის უაღრესად სასახელოა და მათ სიმამაცესა და კარგ სულიერ განწყობილებას მოწმობს. სამხედრო საქმის მცოდნენი ამ ალყებს—ერთსაც და მეორესაც—მუდამ შეაფასებენ როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც ნაკლებად საპატიოა საფრანგეთის არმიებისათვის. მართლაც, ორთავე ხიდწინა სიმაგრის დაპატრონებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის. რაინი დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. ორთავე ამ ციხის დაპყრობა აიძულებდა მოწინააღმდეგეს დაეტოვებია ფრანგის ჯარების ხელში რაინის მთელი ხეობა თვით შვარცვალდის მთებამდე, ეს კი ხელსაყრელი იყო საფრანგეთისათვის როგორც სამხედრო, ისე ფინანსიური თვალსაზრისით. გერმანიის საგანგაშო განწყობილება საშუალებას არ მისცემდა ავსტრიელებს —გაეგზავნათ დიდი ჯარი იტალიაში.

ფრანგი ოფიცრები თავის გასამართლებლად ამბობდნენ რომ მთავრობამ სრულ სიღატაკემდე მიგვიყვანაო; ჯამაგირს არ იძლეოდა. ცუდად გვკვებდა, საინჟინრო და საარტილეროო ნაწილებს არავითარი სახსარი არ გააჩნდათ თავის საჭიროება-მოთხოვნილებათა დასაფარავადო. მაგრამ ამ მიზეზებს სრულიად არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. გაჭირვება-ნაკლებობა წარმოშობს მხოლოდ დიდ სურვილს და მისწრაფებას—თავზარი დასცენ მტერს გამანადგურებელი დარტყმით და გაუმართონ გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც გამარჯვების ყველა შესაძლებლობა ფრანგების ხელთ იქნებოდა. 50-ათასიანი ჯარის გასაშლელად კუნძულებზე და რაველინიდან კინციგამდე მდებარე ადგილზე უფრო მეტი სივრცე იყო, ვიდრე ეს საჭიროა.

თავის მხრით, ავსტრიელი ოფიცრები, რომელთაც სურდათ გაემართლებიათ ამ იერიშების გაუფრთხილებლობა და მოუფიქრებლობა ერცჰერცოგ კარლოსის მხრივ, ამბობდნენ რომ ჩვენ ვიცოდით საფრანგეთის ჯარში არსებული სულიერი დაცემის ამბავი და ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მის მეთაურებზე ლაშქრობის ბედმა, და მეტადრე მათი გაუბედაობა, სწორედ ის, რის იმედიც ჰქონდა ერცჰერცოგ კარლოსს, რათა წარმატებით ჩაეტარებია ასეთი სახიფათო წამოწყება, რომელიც აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნდა იტალიის ლაშქრობის წარმატებისათვისო.

სხვები ამბობდნენ რომ ორთავე ალყის შემორტყმა წამოწყებულ იქნა ვენიდან მიღებული პირდაპირი ბრძანების საფუძველზე და წინააღმდეგ ერცჰერცოგის მოსაზრებისაო. შესაძლებელია ასეც იყოს.

X თავი

დიპლომატიური მოლაპარაკებანი 1796 წლის განმავლობაში

9 სქემა

I. მოლაპარაკება გენუის რესპუბლიკასთან.—II. სარდინიის მეფესთან.—III. პარმის ჰერცოგთან.—IV. მოდენის ჰერცოგთან.—V. რომის პაპთან.—VI. ტოსკანის დიდ ჰერცოგთან.—VII. ნეაპოლის მეფესთან.—VIII. გერმანიის იმპერატორთან.—IX. ლომბარდიის კონგრესი.—X. ცისპადანის რესპუბლიკა.

I

გენუის რესპუბლიკის მმართველი არისტოკრატიის უმცირესობა, მესამე წოდების უმრავლესობა და მთლიანად დასავლეთ რივიერის მთელი ხალხი გამსჭვალული იყო საფრანგეთის იდეებისადმი კეთილსასურველი განწყობილებით. ქალაქი გენუა ერთადერთი ქალაქი იყო ამ სახელმწიფოში, მას ძლიერი სიმაგრეები ჰქონდა. იგი გარშემოვლებული იყო ორმაგი ბასტიონებიანი ზღუდით, დაცული იყო მრავალრიცხოვანი არტილერიით, სასაზღვრო ჯარების 6.000 კაცით და ეროვნული გვარდიის 6.000 კაცით. სენატის პირველსავე მოწოდებაზე 30.000 კაცი დაბალი კორპორაციებიდან, ისეთნი, როგორც მენახშირენი და მებარგულები, პოლჩევერის, ბიზანიოს და ფონტანა-ბუონის ხეობათა გლეხობა, მზად იყვნენ დაძრულიყვნენ მთავრის დასაცავად. ამ დედაქალაქის დასაპყრობად საჭირო იყო 40-ათასიანი არმია, საალყო პარკი და დრო—ორი თვე.

1794 და 1795 წლებში და 1796 წლის დამდეგს ავსტრია-სარდინიის არმია გენუის ჩრდილოეთით იდგა და ამ ქალაქს ბოკეტის ულელტეხილით უკავშირდებოდა. საფრანგეთის არმია დასავლეთით იდგა და მასთან კავშირი სავონიდან მომავალი სანაპირო გზით (კორნიშით) ჰქონდა. ორ მებრძოლ არმიას შორის მდებარე გენუას ორთავე არმიისგან შეეძლო მიეღო დახმარება. მას ერთნაირად ეჭირა თავი ერთისა და მეორის მიმართ. რომლის მხარეზეც იგი გამოვიდოდა, ის მხარე უდიდეს სარგებლობას ჰპოვებდა. იტალიის საქმეებში გენუას ეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სენატი გრძნობდა მისი ასეთი მდგომარეობის მთელ სისუსტეს და იმავე დროს ძლიერებას. ის ამჯობინებდა დაეცვა ნეიტრალიტეტი და მუდამ უარს აცხადებდა კოალიციების მუქარისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ქალაქის ვაჭრობა ფართოვდებოდა და ვეება სიმდიდრეს იზიდავდა რესპუბლიკაში.

გენუის ნავსადგური ხელთ იგდო ინგლისის ესკადრამ. ფრეგატ „მოდესტის“ კატასტროფამ ძლიერ აღაშფოთა ფრანგები. კონვენტმა ეს შეურაცხყოფა გულში ჩაიხვია და ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა მოეთხოვა ანაზღაურება. საფრანგეთის ერთგული მრავალი წარჩინებული ოჯახი გაძევებულ იქნა. ეს იყო კიდევ ერთი შეურაცხება საფრანგეთის მთავრობისა. ლოანოს ბრძოლის შემდგომ, 1795 წლის ზამთარში, დირექტორიამ მომენტი მით უფრო ხელსაყრელად მიიჩნია რომ ხარჯთაღრიცხის გარეშე გათვალისწინებულ დახმარებას 5—6 მილიონს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სიღატა-

კის გამო, რასაც იტალიის არმია განიცდიდა. ეს მოლაპარაკება დაიწყო იმ დროს, როცა ნაპოლეონი მივიდა არმიის სარდლად. მან დაჰგმო ეს პოლიტიკური ნაბიჯი, რომელსაც არავითარი შანსი არ ჰქონდა რომ რაიმე წარმატებით დაგვირგვინებულიყო, და რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა ამ ქალაქის მოსახლეობის გაღიზიანებას და უკმაყოფილებას. „საჭიროაო,—ამბობდა ის,—ან იერიშის მიტანა ციხის სანგრებზე და იქ გამაგრების შემდგომ არისტოკრატიის განადგურება, ან გენუის დამოუკიდებლობის ცნობა და, რაც მთავარია, მისი ფულის მისთვის დატოვება“.

რამდენიმე დღის შემდგომ, როცა მტრის ჯარები უკუგდებულ იქნენ პოს იქით და სარდინიის მეფემ იარაღი დაჰყარა, გენუის რესპუბლიკა მთლიანად საფრანგეთის ხელში აღმოჩნდა. დირექტორიას სურდა მასში დემოკრატიის დამყარება, მაგრამ საფრანგეთის ჯარები უკვე წინ იყვნენ. ასეთი რევოლუციის წარმატების უზრუნველსაყოფად საჭირო იყო 15.000 ფრანგისაგან შემდგარი რაზმი ახლოს ან, შესაძლოა, თვით გენუის კედლებთან ყოფილიყო რამდენიმე კვირის განმავლობაში. და ეს იმ დროს, როცა ყველგან აშკარად ლაპარაკობდნენ ვურმზერის მოსვლაზე, რომელმაც მაშინ გადასჭრა გერმანია და შევიდა ტიროლში. შემდგომ ვურმზერის დამარცხება, მანევრირება ტიროლსა და ბრენტის ხეობებში, ალვინცის შეტევა ვურმზერის გასათავისუფლებლად მანტუაში—ეს ერთიმეორეზე მომხდარი ამბები საჭიროდ ხდიდნენ მთელი არმიის თავმოყრას ადიჯეზე. თუმცა, არმიას გენუელების არავითარი შიში არ უნდა ჰქონოდა: გაბატონებულ კლასში თავი იჩინა უთანხმოებამ, ხალხი კი ჩვენ მხარეზე იდგა.

იმპერატორის დესპანმა ჟიროლამ ისარგებლა არმიის წასვლა, და დიდგვაროვან ფეოდალთა საიდუმლო მხარდაჭერით გამოიწვია აჯანყება საიმპერიო მამულებში. მან მოაწყო რაზმები პიემონტელ დეზერტირებისა და მაწანწალებისაგან, რომლებიც დარჩენილი იყვნენ უსაქმოდ პიემონტის მსუბუქ ჯარის ნაწილთა დაშლის შემდგომ, და ფრანგების ცუდი მეთვალყურეობის გამო გზიდან გაქცეულ ავსტრიელი ტყვეებისაგან. ამ ბრბოებით მოდებული იყო აპენინები და არმიის ზურგი. ივნისის თვის განმავლობაში აუცილებელი გახდა—ბოლო მოღებოდა ამას. 1.200 კაცისაგან შემდგარი რაზმი და მთავარსარდლის ყოფნა ტორენტოში საკმაო აღმოჩნდა სრული წესრიგის დასამყარებლად. მთავარსარდალმა ინსტრუქცია მისცა საფრანგეთის დესპანს გენუაში ფეპს—დაეწყო მოლაპარაკება ჩვენი გავლენის გაძლიერების მიზნით მთავრობაში, ისე რომ საჭირო არ ყოფილიყო საამისოდ იქ არმიის ყოფნა. მან მოითხოვა: 1) ავსტრიის დესპანის ჟიროლას გაძევება; 2) დიდგვაროვან ფეოდალთა გაძევება, რესპუბლიკის ერთერთი სტატუტის შესაბამისად; 3) გაძევებული ოჯახების დაბრუნება. ეს მოლაპარაკება გაჭიანურდა.

ამასობაში შეიპყრეს საფრანგეთის ხუთი სავაჭრო გემი გენუის ბატარიების ცეცხლის სფეროში ისე რომ ამ უკანასკნელთ ვერ აღმოუჩინეს მათ დახმარება. ფრანგი აგენტების მუქარით შეშფოთებულმა სენატმა წარგზავნა პარიზს სენატორი ვინჩენტე სპინოლა, კაცი პატივცემული და საფრანგეთისათვის შესაფერისი. რამდენიმე კვირის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკების შემდგომ, 6 ოქტომბერს 1797 წელს, საგარეო საქმეთა მინისტრ შარლ დელაკრუასთან ერთად მან ხელი მოაწერა შეთანხმებას. საფრანგეთის ყველა

პრეტენზია გენუისადმი დავიწყებას მიეცა; სენატმა გადაიხადა 4 მილიონი კონტრიბუციის სახით და დააბრუნა გაძევებულნი. შესაძლებელი და საჭიროც იყო გამოეყენებიათ ეს საბაბი გენუასთან შეტევითი და თავდაცვითი კავშირის დასადებად, საიმპერიო მამულებით და მასადი-კარარის ოლქით მისი ტერიტორიის გასადიდებლად და მისგან 2.400 კაცის ქვეითი ჯარის, 400 ცხენოსანის და 200 არტილერისტის კონტინგენტის მისაღებად. მაგრამ ოლიგარქებთან ასეთი კავშირის მიზანშეწონილება ზიზღს ჰგვრიდა პარიზელ დემოკრატებს. შეთანხმების მეოხებით მშვიდობიანობა მაინც აღდგენილ იქნა და იგი გაგრძელდა 1797 წლის ივნისში მონტებელოში შეთანხმების დადებამდე, და სანამ საფრანგეთის არმია იტალიაში იმყოფებოდა, გენუის მოსახლეობის ყოფაქცევაზე საჩივრის რაიმე საბაბი არ წამოჭრილა.

II

კერასკოში დადებულმა დროებითმა ზავმა ავსტრიის არმია განაცალკევა და საფრანგეთის არმიას საშუალება მისცა გაეძევებია იგი იტალიიდან, შემორტყმოდა მანტუას და დაეკავებია ადიჯეს ხაზი. მაისში პარიზში დადებული ზავით საფრანგეთის ხელში მოექცა პიემონტის ყველა სიმაგრე, გარდა ტურინისა. სარდინიის მეფე, ამგვარად, რესპუბლიკაზე სრული დამოკიდებული აღმოჩნდა. მისი ჯარი შემცირებულ იქნა ნორმამდე—20.000 კაცამდე. მის მიერ გამოშვებული ქაღალდის ფული კერძო პირთა და სახელმწიფოს გაკოტრებას იმუქრებოდა. მისი ხალხი უკმაყოფილებამ მოიცვა და პარტიებად დაიყო. საფრანგეთის იდეების მიმდევარნიც კი აღმოჩნდნენ, თუმცა მცირე რაოდენობით. პოლიტიკურ მოღვაწეებს პიემონტის გარევოლუციურება სურდათ, იმისთვის რომ დამშვიდებული ყოფილიყვნენ ჯარის ზურგის მხრივ და გაედიდებიათ ჩვენი საშუალებანი ავსტრიის წინააღმდეგ, მაგრამ შეუძლებელი იყო სარდინიის სამეფო ტახტის დამხობა ქვეყნის საკმეებში პირდაპირი ჩარევის გარეშე და ჯარის დაუხმარებლად, მანტუის წინ დატრიალებული ამბები კი რესპუბლიკის მთელ ძალებს იპყრობდნენ იტალიაში. ამასთან რევოლუციას პიემონტში შეიძლებოდა სამოქალაქო ომი მოჰყოლოდა, და მაშინ საჭირო იქნებოდა ამ ქვეყანაში უფრო მეტი ფრანგის ჯარის დატოვება, ვიდრე იქიდან პიემონტელთა მიღება, დახევის შემთხვევაში კი მოსახლეობა აუცილებლად ექსცესებს მიმართავდა. გარდა ამისა, შეშფოთდებოდნენ ესპანეთის და პრუსიის მეფეები, როცა დაინახავდნენ რომ სიძულვილის გამო რესპუბლიკა ტახტიდან აგდებს მეფეებს, რომლებთანაც ის-ის იყო მან ზავი დასდო.

ამ მოსაზრებებმა ნაპოლეონს აფიქრებინა რომ საჭირო იყო იმავე შედეგის მიღწევა შებრუნებული გზით, სახელდობრ: შეტევითი და თავდაცვითი ხელშეკრულების დადებით სარდინიის მეფესთან. ასეთ გადაწყვეტილებას ყოველმხრივი სარგებლობა მოჰქონდა და არავითარ უხერხულობას არ ჰბადებდა: 1) ეს ხელშეკრულება თავისთავად იქნებოდა მოწოდება, რომელიც შეაკავებდა უკმაყოფილოებს, რადგან მისი გამოქვეყნებისთანავე ისინი აღარ დაუჯერებდნენ ჯარის იმ დემოკრატიული ელემენტების განცხადებებს, რომლებიც განუწყვეტლივ აღუთქვამდნენ საფრანგეთის ეხრივ დახმარებას; მაშასა-

დამე, ქვეყანა დამშვიდებული იქნებოდა; 2) 10.000 საიმედო, საუცხოოდ გაწვრთნილი და ძველი ჯარისკაცისაგან შემდგარი დივიზია გააძლიერებდა საფრანგეთის არმიას და მისცემდა მას მეტ შესაძლებლობას წარმატებისათვის; 3) ტურინის ხელშეკრულების მაგალითი გავლენას მოახდენდა ვენეციელებზე და მიიყვანდა მათ იმ გადაწყვეტილებამდე რომ საფრანგეთთან კავშირში ჰპოვონ თავიანთი მიწაწყლის ხელშეუხებლობა და თავისი კონსტიტუციის დაცვა. იმავე დროს საფრანგეთის არმიასთან შეერთებული პიემონტელი ჯარები გაიმსჭვალებოდნენ მისი საბრძოლო სულისკვეთებით და შეეთვისებოდნენ მთავარსარდალს, რომელიც მათ გამარჯვებისაკენ წაიყვანდა. ყოველ შემთხვევაში ისინი იქნებოდნენ მძევლები, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ პიემონტის ხალხის ჩვენდამი კარგ განწყობილებას. ის რომ მართალი ყოფილიყო, თითქოს მეფის ტახტის სიმტკიცეს ის გარემოება არყევდა რომ იგი დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის—ლიგურიასა, ლომბარდიასა და საფრანგეთს შორის—იმყოფებოდა, მაშინ მისი დამხობა ამბების ბუნებრივი განვითარების შედეგი იქნებოდა და არა იმ პოლიტიკური აქტის, რომელსაც შეუძლია დასთესოს ჩვენდამი უნდობლობა საფრანგეთთან კავშირში მყოფ სხვა მეფეებს შორის. „საფრანგეთის კავშირი სარდინიასთანო,—სწერდა ნაპოლეონმა,—ესაა ბუმბერაზი რომელიც ქონდრის კაცს ეხვევა. თუ ბუმბერაზი მას დაახრჩობს, ეს მხოლოდ თავისი სურვილის წინააღმდეგ და მარტოოდენ მათი ორგანოების ძალისა და სიდიდის არაჩვეულებრივი განსხვავების გამოო“.

მაგრამ დირექტორიას არ სურდა გაეგო ასეთი პოლიტიკის სიღრმე და მიზანშეწონილება. მან მოლაპარაკების ნება დართო მაგრამ მის დამთავრებას ხელს უშლიდა. ტურინში მრავალი თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას საელჩოს მდივანი გენუაში პუსელგი. ის დარწმუნდა რომ სამეფო კარი თანახმაა საფრანგეთთან კავშირის, მაგრამ ეს გამოუცდელი შუამავალი აშკარად გადაჭარბებულ დათმობებზე დაიყოლიეს. სარდინიის მეფეს იგი დაჰპირდა ლომბარდიას, მაშინ როდესაც არავითარი საკითხი არ შეიძლებოდა ამ მეფის სამფლობელოთა გადიდებისა და ამ მხრივ მისთვის რაიმე იმედის მიცემის. ის ისედაც მოგებული რჩებოდა, რადგან იგი ხელშეკრულებით თავისი სამეფოს ხელუხლებლობის გარანტიას ღებულობდა.

როდესაც მანტუამ კარი გააღო და ნაპოლეონი ტოლენტინოსკენ დაიძრა, რათა იქ პაპისთვის ზავის პირობები ეკარნახებია და იქიდან ვენისკენ წასვლის შესაძლებლობა მისცემოდა, მან საჭიროდ სცნო პიემონტთან საქმეების მოგვარება და გენერალი კლარკი აღჭურვა სრული უფლებით—ეწარმოებია მინისტრ სენმარსანთან მოლაპარაკება შეტევითი და თავდაცვითი კავშირზე. ასეთი კავშირის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ბოლონიაში 1 მარტს 1797 წელს. მეფემ რესპუბლიკისაგან მიიღო თავის სამფლობელოთა ხელუხლებლობის გარანტია, საფრანგეთის არმიის განკარგულებაში გადასცა კონტინგენტი 8.000 კაცი ქვეითი ჯარის, 2.000 ცხენოსნის და 20 ზარბაზნის. სამეფო კარს ტურინში ეჭვი არ ეპარებოდა მთავარსარდლის ბრძანებით ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციაზე და მან დაუყოვნებლივ გამოიყვანა თავისი კონტინგენტი, რომელიც განზრახული იყო გაეგზავნათ საფრანგეთის არმიასთან ერთად კარინთიაში, მაგრამ დირექტორია აყოვნებდა ამ ხელშეკრულების

რატიფიკაციას. მთელი 1797 წლის ლაშქრობის განმავლობაში კონტინგენტი პიემონტში იყო, ბანაკად ნოვარასთან ახლოს.

III

ესპანეთთან ჩვენი ურთიერთობით წინასწარ გადაწყვეტილი იყო ის პოლიტიკა, რომლის მხარდაჭერა მოგვიხდა პარმის მემკვიდრე ჰერცოგთან. თავდაპირველად 9 მაისს 1796 წელს მას შესთავაზეს დროებითი ზავი და რამდენიმე თვის შემდგომ მან პარიზში ხელი მოაწერა ზავს რესპუბლიკასთან, მაგრამ საფრანგეთის დესპანმა ვერ შესძლო მთავარსარდლის მიერ დასახული მიზნის განაღდება. იტალიის არმიის წარმატებებმა აიძულა ესპანეთის მეფე— დაედო 1796 წლის აგვისტოში რესპუბლიკასთან ხელშეკრულება შეტევითსა და თავდაცვით კავშირზე[1]. ამის გამო ადვილი იქნებოდა[2] მადრიდის სამეფო კარის წაქეზება, რათა მას გაეგზავნა 10.000 კაცისაგან შემდგარი დივიზია მდ. პოზე პარმის ინფანტის დასაცავად, და, ამ სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოების დაპირებით, აღნიშნული დივიზიის საფრანგეთის დროშის ქვეშ დაყენება. მისი იქ ყოფნა გავლენას მოახდენდა რომსა და ნეაპოლზე და სამხედრო მოქმედების წარმატებასაც ბევრად ხელს შეუწყობდა. ესპანეთთან კავშირმა აიძულა ინგლისი—წასულიყო ხმელთაშუა ზღვიდან და საფრანგეთისა და ესპანეთის ესკადრებს გაბატონებული მდგომარეობა შეუქმნა იქ, რითაც ადვილდებოდა ესპანეთის ჯარების გადაგზავნა იტალიაში. საფრანგეთის არმიის რიგებში ესპანეთის ჯარების ყოფნა ხელსაყრელ გავლენას მოახდენდა ვენეციის სენატის გადაწყვეტილებაზე საფრანგეთთან კავშირში შესვლის შესახებ, რაც არმიას 10.000 სლავონელით გაადიდებდა.

IV

1796 წლის 17 მაისს მილანში დადებული დროებითი ზავით შეწყდა მოდენის ჰერცოგთან ომის მდგომარეობა. საფრანგეთის არმია მცირერიცხოვანი იყო, მის მიერ დაკავებული ქვეყანა კი—ვეებერთელა. ორი-სამი ათასეულის გამოყოფა მეორეხარისხოვანი ამოცანების შესასრულებლად შეცთომა იქნებოდა. მოდენასთან დადებული დროებითი ზავი ამ სამთავროს ყველა საშუალებას არმიის განკარგულებაში გადასცემდა და არ მოითხოვდა ჯარების გაგზავნას იქ საზოგადოებრივი სიმშვიდის დასაცავად. ჰერცოგის სრული რწმუნებულებით აღჭურვილმა კომანდორმა დ'ესტემ პარიზში დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო ზავზე. საფრანგეთის სამინისტრო სავსებით გონივრულად მოიქცა, რომ არ აჩქარიდა მის დადებას. მთლიანად ავსტრიელებზე მინდობილმა ჰერცოგმა ვენეციას მიაშურა, ხოლო სარეგენტომ, რომელიც მის სახელმწიფოს მართავდა, სურსათით დატვირთული რამდენიმე ალალი გაატარა მანტუასკენ

---

[1] სენტ-ილდეფონსის ხელშეკრულება, 1796 წელს 13 აგვისტოს ხელმოწერილი და დირექტორიის მიერ 29 აგვისტოს რატიფიცირებული.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

[2] ხელნაწერში ეს ადგილი გამოტოვებულია, რის გამო ტექსტი მოყვანილია „Mémoires pour servir à l'histoire de France sous le règne de Napoléon I-er"-დან, 1830 წლის გამოც.

აგვისტოს დამდეგს და სექტემბრის დამლევს, იმ მომენტში, როცა ბლოკადა მოხსნილ იქნა. როგორც კი გაიგო მთავარსარდალმა დროებითი ზავის ასეთი აშკარა დარღვევა, მან მიუთითა ეს სარეგენტოს, რომელიც ამაოდ ცდილობდა გაემართლებინა თავი წინანდელ ხელშეკრულებათა არსებობით. ამასობაში, ამასთან დაკავშირებით, ბორგოფორტესთან პოზე გადასულ მანტუის მეციხოვნეთა რაზმს გზა გადაუჭრეს: 29 სექტემბერს იგი გაემურა რეჯიოსაკენ იმ განზრახვით რომ შემდგომ ტოსკანისაკენ დაძრულიყო, მაგრამ რეჯიოს მცხოვრებლებმა ჩაჰკეტეს ქალაქის კარი, და რაზმმა თავი შეაფარა მონტე-კიარუგოლოს ციხეს, სადაც პატრიოტები გარს შემოერტყნენ მას და იარაღი დააყრევინეს. მომხდარ შეტაკებაში მოკლულ იქნა რეჯიოს ორი მცხოვრები. ესენი იყვნენ პირველი იტალიელები, რომელთაც სისხლი დაღვარეს თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. რეჯიოს ეროვნული გვარდიის რაზმი, რომელმაც ტყვეები მიიყვანა მილანს, ზეიმით იქნა მიღებული იქ ლომბარდიის კონგრესის, მილანის ეროვნული გვარდიისა და მთავარსარდლის მიერ. ამ შემოხვევის გამო რაღდენიმე საზოგადოებრივი დღესასწაული გაიმართა, რამაც აღაფრთოვანა იტალიელები. რეჯიომ თავისუფლება გამოაცხადა. მოდენის მოსახლეობასაც იგივე სურდა, მაგრამ გარნიზონმა შეაკავა. ასეთ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო ორი აზრის არსებობა. მთავარსარდალმა განაცხადა რომ მილანის დროებითი ზავი დარღვეულია სურსათის მანტუაში გაშვებითო. მან უბრძანა ჯარებს—დაეკავებიათ სამივე საჰერცოგო—რეჯიო, მოდენა და მირანდოლა, და, 1796 წელს 4 ოქტომბერს, დამპყრობისადმი მიკუთვნებულ უფლებით, მან მათი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ გადაწყვეტილებამ გაუმჯობესა არმიის მდგომარეობა, იმიტომ რომ არაკეთილსურველი სარეგენტო შეცვლილ იქნა მთლიანად საფრანგეთის საქმისადმი ერთგული დროებითი მთავრობით. ამ სამი საჰერცოგოს ყველა ქალაქში იწყეს მგზნებარე პატრიოტებისაგან შემდგარი ეროვნული გვარდიის რაზმების შეიარაღება.

V

ვინაიდან რომთან ომის მდგომარეობა შეწყვეტილ იქნა 23 ივნისს 1796 წელს ბოლონიაში დადებული დროებითი ზავით, რომის კარმა მონსინიორი პეტრარკი პარიზს წარგზავნა. რამდენიმე კვირის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკების შემდგომ ამ დესპანმა რომის სასახლეს გაუგზავნა დირექტორიასთან დადებული ხელშეკრულების პროექტი. კარდინალთა კონგრეგაციამ სცნო რომ იგი ბევრ ისეთ რამეს შეიცავს, რაც სარწმუნოების საწინააღმდეგოა და ამიტომ მიუღებელიც. მონსინიორი პეტრარკი უკან გაიწვიეს. სექტემბერში მოლაპარაკება განახლდა ფლორენციაში. არმიაში მყოფმა მთავრობის კომისრებმა საამისო რწმუნება დირექტორიისაგან მიიღეს. მათ პირველსავე თათბირებზე წარუდგინეს პაპის რწმუნებულს მონსინიორ გალეპის 60 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულება და განუცხადეს რომ შეუძლებელია მასში რაიმეს შეცვლაო. რომში დაასკვნეს რომ ეს ხელშეკრულებაც აგრეთვე სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართულ პუნქტებს შეიცავსო. მონსინიორი გალეპი უკან გაიწვიეს და მოლაპარაკება 25 სექტემბერს შეწყდა. რომის სასახლეს ეშვი აღარ

ეპარებოდა რომ საფრანგეთის მთავრობას მისი დაღუპვა სურდა და სასოწარკვეთილებას მიეცა; მან გადასწყვიტა მხოლოდდამხოლოდ ვენას დაკავშირებოდა. მან იმით დაიწყო რომ უარი სთქვა ბოლონიის დროებითი ზავის პირობების შესრულებაზე. მას კიდევ გადასახდელი ჰქონდა 16 მილიონი, რაც უკვე გაიგზავნა ბოლონიას, სადაც იგი არმიის ხაზინას უნდა გადასცემოდა, მაგრამ ჯერ გზაში იყო. ეს ფულით დატვირთული აღალები რომს დაუბრუნდა, და მათმა დაბრუნებამ იქ ტრიუმფი გამოიწვია. მონსინიორი ალბანი 6 ოქტომბერს ვენას გაემგზავრა იმ დავალებით რომ ეთხოვნა ამ სამეფო კარის მხარდაჭერა. რომის დიდკაცობამ მოაწყო პატრიოტული შეწირულებანი და შეუდგა ლეგიონების შედგენას. პაპმა დაგზავნა მოწოდებანი სამღვთო ომისათვის, უკეთუ მის ტერიტორიას თავს დაესხმოდნენ. რომის ყველა ამ ღონისძიებას შედეგად მოჰყვა მხოლოდ 10-ათასიანი არმიის შექმნა სავსებით უვარგისი ჯარებისაგან. რომს ნეაპოლის მეფის იმედი ჰქონდა, რომელმაც საიდუმლოდ იკისრა მისთვის 30.000 კაცისაგან შემდგარი არმიით მხარდაჭერა, და თუმცა ვატიკანისთვის ცნობილი იყო ორთავე სიცილიის კაბინეტის არაკეთილსინდისიერება და მტრული განწყობილება, მან მაინც მიმართა მას დახმარებისათვის. „მათი სიგიჟის მდგომარეობაში ყველა საშუალება კარგიაო,—სწერდა დესპანი კაკო,—ისინი გახურებულ რკინასაც კი ხელს ჩასჭიდებდნენო“. ასეთმა ვითარებამ მთელი იტალია დააღონა.

ნაპოლეონს არ სურდა ზედმეტი დაბრკოლებები ჰქონოდა. მას უკვე ემუქრებოდა ალვინცი, რომლის ჯარები თავს იყრიდნენ ტიროლში და პიავეზე. მან უსაყვედურა საფრანგეთის სამინისტროს რომ არ მიმიწვიე იმ მოლაპარაკებაში, რომლის ხელმძღვანელობაც მხოლოდდამხოლოდ მე შემეძლოო. ეს მოლაპარაკება რომ ნაპოლეონისთვის დაევალებიათ, როგორც ეს საჭირო იყო, იგი ორი-სამი კვირით დააყოვნებდა მოლაპარაკების დაწყებას იმისთვის, რათა ჯერ ის 16 მილიონი მიეღოთ, რომლის გადახდაც პაპმა იკისრა ბოლონიაში დადებული დროებითი ზავის საფუძველზე. საქმე არ დაზიანდებოდა იმის გამო რომ ხელშეკრულებაში ერთმანეთში აირეოდა სასულიერო და საერო საქმეები, იმიტომ რომ საერო საქმეების მოსაგვარებლად,—ეს კი მთავარი იყო,—რამდენიმე თვით სასულიერო საქმეებზე შეთანხმების დაყოვნებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაგრამ ბოროტება ჩადენილ იქნა. მთავრობამ ეს სცნო და ნაპოლეონი აღჭურვა სრული უფლებით—გამოესწორებინა ბოროტება თუ შესაძლებელი იქნებოდა. საქმე ის იყო რომ დრო მოეგოთ, დაეცხროთ ვნებათა ღელვა, აღედგინათ ნდობა და დაეწყნარებიათ შეშფოთებული ვატიკანი. ნაპოლეონმა დაავალა საფრანგეთის წარმომადგენელს რომში კაკოს—მოეხდინა გაუხმაურებლად დეზავუირება ყოველივე იმისა, რაც კი სასულიერო საკითხებს შეეხებოდა—როგორც პარიზის, ისე ფლორენციის მოლაპარაკებაში; ეუწყებინა რომ მოლაპარაკების განახლება დავალებული აქვს ნაპოლეონს და რომ ეს მოლაპარაკება იწარმოებს არა დირექტორიასთან და არც კომისრებთან, არამედ მასთან. ასეთმა დასაწყისმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მის გასაძლიერებლად მთავარსარდალი 19 ოქტომბერს 1796 წლეს ფერარას გაემგზავრა, იქ ამ ქალაქის არქიეპისკოპოსთან, კარდინალ მატეისთან გაჩერდა და მასთან რამდენიმე თათბირი ჰქონდა. მან იგი დაარწმუნა თავის

მშვიდობიან განზრახვებში და გაგზავნა რომს—გადაეცა უშუალოდ პაპისთვის სამშვიდობო სიტყვები. რამდენიმე დღის შემდგომ არკოლის ბრძოლამ ბოლო მოუღო იმ იმედებს, რომლებიც ის-იყო წარმოიშვა იტალიაში ალვინცის არმიის მოახლოებით. ნაპოლეონმა მომენტი ხელსაყრელად სცნო რომის საქმეების დამთავრებისათვის. 1797 წლის იანვარში 1.500 ფრანგით და 4.000 ცისპადანელით და ლომბარდიელით ის გაემართა ბოლონიისაკენ და იქიდან იმუქრებოდა რომისაკენ დაძვრას[1]. მაგრამ ამჯერად რომის სასახლის კარი ასეთ მუქარას დაცინვით შეხვდა. მას გამართული ჰქონდა მიმოწერა ვენასთან ხელშეკრულების დადებაზე და იცოდა რომ ორი ახალი მრავალრიცხოვანი არმია შემოდიოდა იტალიაში. კარდინალი ბუსკა და ავსტრიის დესპანი რომში ხმამაღლა აცხადებდნენ: „თუ საჭიროება მოითხოვს, პაპი რომს დასტოვებს, ვინაიდან რაც უფრო დაშორდება საფრანგეთის მთავარსარდალი ადიჯეს, მით უფრო დარწმუნებული ვიქნებით საკუთარ უშიშროებაშიო“. მარჯლაც, რამდენიმე დღის შემდგომ ნაპოლეონი, რომელსაც ეუწყა ალვინცის შეტევა, გადავიდა უკანვე პოზე და სწრაფად დაიძრა ვერონისაკენ. მაგრამ 1797 წლის იანვარში რივოლთან მომხდარმა ბრძოლამ სამუდამოდ მოსპო საფრანგეთის მტრების იმედები. ცოტა ხნის შემდეგ დანებდა მანტუა. დადგა რომის დასჯის მომენტი, და გალებისა და იტალიელების მცირერიცხოვანი არმია დაიძრა აპენინებისაკენ. პაპის კარსა და საფრანგეთს შორის არსებული ყველა სიძნელე მოგვარებულ იქნა ტოლენტინოში დადებული ხელშეკრულებით, როგორც ეს გადმოცემული იქნება XII თავში.

VI

ევროპის ხელმწიფეთაგან ტოსკანის დიდმა ჰერცოგმა პირველმა იცნო რესპუბლიკა. როცა საფრანგეთის არმიამ იტალია დაიკავა, იგი, მაშასადამე, სამშვიდობო დამოკიდებულებაში იყო საფრანგეთთან. აპენინების იმიერ მდებარე მის სამფლობელოებს არავითარი გავლენა არა ჰქონდათ საომარი მოქმედების ასპარეზზე. თუ მანტუის გარშემორტყმის შემდგომ ფრანგის ერთი ბრიგადა ლივორნოსაკენ გაემართა, ეს ჩადენილ იქნა იქიდან ინგლისის ვაჭრობის გაძევებისა და კორსიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაადვილების მიზნით; დანარჩენში ტოსკანის სამფლობელოებს პატივისცემით ეპყრობოდნენ. ლივორნოს მეცხრამეტე ჯარი 1.800 კაცს არაოდეს არ აღემატებოდა. ეს, უეჭველად, მსხვერპლია—სამი ათასეულის მეორეხარისხოვანი მიზნისათვის გამოყენება, მაგრამ იქ დანიშნულ იქნა მე-75 ნახევარბრიგადა, რომელიც ძლიერ დაზარალდა და დასვენებას საჭიროებდა. დიდი ჰერცოგის პრემიერ-მინისტრმა მანფრედინიმ მოსაზრებულობა და ენერგია გამოიჩინა მისი მეფისათვის მავნე დაბრკოლებათა აცილებაში და დიდი ჰერცოგი მას უნდა უმადლოდეს თავის სამფლობელოთა დაცვა-შენარჩუნებას. მთავარსარდალსა და მარკიზ მანფრედინის შორის დადებულ იქნა სამი თუ ოთხი მცირემნიშვნელოვანი შეთანხმება. მათგან უკანასკნელის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილ იქნა ბოლონიაში, ლივორნოდან გაჰყავდათ საფრანგეთის მეცხრამეტე ჯარი. ამ შემთხვევის გამო დიდმა ჰერცოგმა ძველი ანგარიშის დასაფარავად 2 მილიონი გადასცა არმიის ხაზინას.

---

[1] 13 იანვარს 1797 წელს.—შენიშვნა ფრანგ. რედ.

კამპო-ფორმიის ზავის საფუძველზე ამ მეფემ ხელუხლებლად შეინარჩუნა თავისი სამფლობელოები. ის ცოტათი შეაშფოთეს, მაგრამ მისთვის ვნება არ მიუყენებიათ, და იტალიის ომის განმავლობაში იგი არც ერთხელ არ დაუჩაგრავსთ როგორც არსებული ტრაქტატებისადმი პიტივისცემის გამო, ისე იმ სურვილის გამო რომ შეენელებინათ ლოთარინგიის სასახლის მტრული განწყობილება რესპუბლიკისადმი და ჩამოეცილებინათ იგი ინგლისისაგან.

VII

როდესაც საფრანგეთის არმია ადიჯეზე მივიდა და ამის გამო შუა და ქვემო იტალია გერმანიისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ, თავადი პინიატელი მთავარ ბანაკში მივიდა და ნეაპოლის მეფისათვის დროებითი ზავი გამოითხოვა, რაც ხელმოწერილი იქნა 1796 წლის 5 ივნისს. ნეაპოლის ცხენოსანი დივიზია 2.000 ცხენის რაოდენობით, რომელიც შეადგენდა ბოლიეს ჯარის ნაწილს, საფრანგეთის ჯართან დაბანაკდა ბრეშიასთან ახლოს. ნეაპოლის რწმუნებული პარიზს გაემგზავრა რესპუბლიკასთან საბოლოო ზავის ჩამოსაყალიბებლად და ხელმოსაწერად. მოლაპარაკების დროს სიძნელეები წარმოიშვა იმის გამო რომ პარიზი რაღაც მიზეზებს გამოეკიდა, ხოლო ორთავე სიცილიის სამეფო კარმა მრავალ არაკეთილსინდისიერ ხერხს მიმართა, რასაც იგი ჩვეული იყო. დირექტორიას დიდ წარმატებად უნდა მიეჩნია ის რომ შესაძლო გახდა ნეაპოლის მეფის გაუვნებლება; მას თოფქვეშ ჰყავდა 60.000 კაცი და კიდევ მის განკარგულებაში იყო 25.000—30.000 კაცი პოზე გასაგზავნად. ნაპოლეონი დაჟინებით მოითხოვდა ამ ხელშეკრულების დადების დაჩქარებას. საგარეო საქმეთა სამინისტრო პარიზში რამდენიმე მილიონის კონტრიბუციას მოითხოვდა, რის გადახდაზეც ნეაპოლის სამეფო კარი სამართლიანად უარს ამბობდა. სექტემბრის განმავლობაში, როცა ცნობილი გახდა რომ ესპანეთის კავშირმა საფრანგეთთან და კორსიკის განთავისუფლებამ ინგლისის უღლიდან აიძულა დიდი ბრიტანეთი—გაეწვია თავისი ესკადრები ხმელთაშუა ზღვიდან, რის გამო ხმელთაშუა ზღვასა და ადრიატიკაში ბატონობა ტულონის ესკადრებს გადაეცა,—ნეაპოლის სამეფო კარმა ხელი მოაწერა ყველაფერს, რაც დირექტორიას სურდა, და 8 ოქტომბერს დადებულ იქნა ზავი. მაგრამ ამ კარის არაკეთილსინდისიერება და ხელშეკრულებებზე თავისივე ხელმოწერისადმი უპატივცემლობა ისეთი იყო რომ ზავის დადების შემდგომ დიდხანს აწუხებდა ეს კარი იტალიას თავის საზღვრებზე ჯარების მუდმივი გადაჯგუფებით და თავდასხმის მუქარით, თითქოს ომის მდგომარეობა ყოფილიყო. ძნელია იმ ზიზღის გამოთქმა, რასაც ასეთი ურცხვობა და თავის თავისადმი სრული უპატივცემლობა ჰბადებდა, და სწორედ ამან გამოიწვია ბოლოსდაბოლოს კაბინეტის დამხობა.

VIII

საფრანგეთის მთავრობამ წერილობით უბრძანა ნაპოლეონს სექტემბრის დამდეგს, როდესაც რაინის და სამბრ-მაასის არმიები ჯერ კიდევ გერმანიაში იმყოფებოდნენ, ეცნობებინა იმპერატორისათვის რომ, უკეთუ იგი არ დათანხმდება ზავზე, ფიუმესი და ტრიესტის მისი საზღვაო ნაგებობანი დანგრეული იქნებაო. ასეთი უადგილო განცხადების გამო რისმე იმედი შეუძლებელი იყო.

მაგრამ, მოგვიანებით, როცა სამბრ-მაასისა და რაინის არმიები უკუაგდეს საფრანგეთის საზღვრების შიგნით და როცა კელისა და ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრეები გარშემორტყმული იქნენ, მორომ დროებითი ზავი ითხოვა, რაც ერცჰერცოგმა უარჰყო და ორთავე ხიდწინა სიმაგრის მიღებაზე განაცხადა სურვილი. როდესაც ფელდმარშალი ვურმზერი 30.000 ავსტრიელით გარემოცულ იქნა მანტუაში და ალვინცის ცდამ არკოლესთან—დაეხსნა იგი—მარცხი განიცადა, დირექტორიას იმედები დაესახა რომ დადებული იქნებოდა საერთო დროებითი ზავი, რომლის მიხედვით ჰიუნინგენი და კელი საფრანგეთს დარჩებოდა, მანტუა კი—ავსტრიას. გენერალმა კლარკმა მიიღო საამისოდ საჭირო სრული რწმუნებულება, რათა გამგზავრებულიყო ვენას და შეეთავაზებინა ეს საერთო დროებითი ზავი, რომელიც 1797 წლის ივნისამდე უნდა გაგრძელებულიყო. მიცემული იყო წინადადება მოეხსნათ კელისა და ჰიუნინგენის ალყა და მანტუასათვის status quo დაეწესებინათ. ავსტრიისა და საფრანგეთის კომისრებს ყოველდღიურად უნდა მიეწოდებინათ ამ ციხეში მცხოვრებლებისა და ჯარისათვის საჭირო სურსათი.

გენერალი კლარკი 1796 წლის 1 დეკემბერს მივიდა მილანს მოქმედების შესათანხმებლად მთავარსარდალთან, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მოეპოებინა ამ რწმუნებულისთვის ყველა საჭირო პასპორტი. ნაპოლეონმა მას უთხრა: „კელისა და ჰიუნინგენის ალყის მოხსნევინება ადვილია. კელი ჰერცოგის მიერ ალყაშემორტყმულია ორმოცი ათასი კაცით,—დაე, მორომ გათენებისას სამოცი ათასი კაცით მოახდინოს გამოხდომა გამაგრებული ბანაკიდან, დაამარცხოს საალყო ჯარი, ხელთ იგდოს ყველა პარკი და დაანგრიოს მოალყეთა ყველა სიმაგრე; თუმცა, კელი ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრითურთ მანტუად არ ღირს; შეუძლებელია მანტუის მცხოვრებთა, მამაკაცთა, ქალთა, ბავშთა და თვით მეციხოვნე ჯარის რაოდენობის დადგენა. ფელდმარშალი ვურმზერი ყველასთვის ულუფის ნახევრად შემცირებით ექვსი თვის განმავლობაში კიდევ ექვსი თვის სურსათის მარაგს გამორჩება. თუ ფიქრობენ რომ დროებითმა ზავმა დასაწყისი უნდა მისცეს ზავზე მოლაპარაკებასო, ეს კიდევ ერთი საბაბია—არ შევთავაზოთ იგი, სანამ მანტუა ავსტრიის ხელთ არის. საჭიროა ბრძოლის მოგება კელის კედლებთან და მანტუის ჩაბარების დალოდება, ხოლო ამის შემდგომ დროებითი ზავისა და საბოლოო ზავის შეთავაზება“.

მაგრამ მთავრობის ბრძანებები გარკვეული იყო. გენერალმა კლარკმა მისწერა იმპერატორს და გაუგზავნა მას დირექტორიის წერილი. ამის გამო იმპერატორის ადიუტანტი ბარონი ვინცენტი და გენერალი კლარკი 3 იანვარს ვიჩენცას გაემგზავრნენ; აქ ორჯერ შედგა მათი თათბირი. ბარონ ვინცენტმა განაცხადა რომ იმპერატორს არ შეუძლია მიიღოს ვენაში იმ რესპუბლიკის რწმუნებული რომელსაც ის არ სცნობსო; რომ მას არ შეუძლია თავის მოკავშირეებისაგან განცალკევებით იმოქმედოს და, დასასრულ, თუ საფრანგეთის მინისტრს სურს რაიმე ცნობები წარუდგინოს, მას შეუძლია მათი გაგზავნა ტურინს ავსტრიის დესპანის ბ-ნ ჟირალდის მისამართითო. საბედნიეროდ. დროებითი ზავის ეს დამღუპველი აზრი მოწინააღმდეგემ უარჰყო, საფრანგეთის რწმუნებულმა ძლივს მოასწრო დაბრუნება ადიჯეზე რომ დაიწყო ალვინცის შეტევა მანტუის გასათავისუფლებლად. ამან გამოიწვია

ბრძოლა რივოლსა და ფავორიტასთან, რაც შემდეგ თავში იქნება გადმოცემული.

მაგრამ ლუქსემბურგის[1] კაბინეტმა, გაუგებარია—რატომ, ბარონ ვინცენტის ამ პასუხში კარი ღიად დაინახა მოლაპარაკებისათვის და 1797 წლის იანვარში გაუგზავნა გენერალ კლარკს ინსტრუქციები ზავის დასადებად შემდეგი პირობებით: 1) იმპერატორი ხელს იღებს ბელგიაზე და ლუქსემბურგის ოლქზე; 2) რესპუბლიკისიდ ის სცნობს ლიეჟსა და, გერმანიის მთავრების მიერ დათმობილ, სხვა მიჯნის-გარე სამფლობელოებს; 3) ის პირობას იძლევა მოახდინოს გავლენა, რათა გერმანიაში გაძოიძებნოს ერთგვარი ანაზღაურება ჰოლანდის შტატჰალტერისათვის; 4) თავის მხრივ, საფრანგეთის რესპუბლიკა უბრუნებს იმპერატორს ყველა მის სამფლობელოს იტალიაში. ეს პირობები არ იქნა მოწონებული ნაპოლეონის მიერ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკას უფლება ჰქონდა მოეთხოვა საზღვარი რაინზე და ერთი სახელმწიფო იტალიაში იმ მიზნით, რათა გაემაგრებია იქ საფრანგეთის გავლენა და დამოკიდებულ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა გენუის რესპუბლიკა, სარდინიის მეფე და პაპი, ვინაიდან იტალიის მიჩნევა ისეთად, როგორიც ის იყო ომამდე, აღარ შეიძლებოდა. უკეთუ ფრანგები ოდესმე კვლავ გადავლენ ალპების იმიერ, ისე რომ იქ ძლიერ მოკავშირეს არ იყოლიებენ, მაშინ გენუისა და ვენეციის არისტოკრატები და სარდინიის მეფე დემოკრატიული იდეების გავრცელებისაგან თავიანთ სახელმწიფოთა დაცვის აუცილებლობის ზედგავლენით განუყრელი კავშირით შეეკვრიან ავსტრიას. ვენეცია, რომელსაც მთელი საუკუნის განმავლობაში არავითარი გავლენა არა ჰქონია ევროპის წონასწორობაზე, ამიერიდან განსწავლული იმ საფრთხით, რომელიც ეს-არის თავიდან აიცილა, გამოიჩენს ენერგიას, მონახავს ფულსა და ჯარს, რათა გააძლიეროს იმპერატორი და ჩაახშოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეები თავის კონტინენტურ სამფლობელოებში. პაპი, მეფეები, თავადაზნაურობა შეერთდებიან თავიანთი პრივილეგიების დასაცავად და ჩაჰკეტენ ალპებს, რათა დაიფარონ თავიანთი სამფლობელოები აქედან თანამედროვე იდეების შეჭრისაგან.

სამი თვის შემდგომ ნაპოლეონმა ხელი მოაწერა ზავის წინასწარ პირობებს, რასაც საფუძვლად ედო საზღვრის მიღება რაინზე (ციხექალაქ მაინცის ჩათვლით) 1.500.000 კაცით მეტი მოსახლეობით, ვიდრე ამას დირექტორია მოითხოვდა, და იტალიაში ერთი ან ორი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა, რომლებსაც მიმოსვლა ექნებოდათ შვეიცარიასთან, გადალობავდნენ მთელს იტალიას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ალპებიდან პომდე გარშემორტყმული იქნებოდნენ სარდინიის საძეფოზე, და პოს ხაზით შუა და ქვემო იტალიას დაიფარავდნენ. საფრანგეთის ჯარებს გენუით, პარმით, მოდენით, ბოლონიით, ფერარით და მესტრეთი უცებ შეეძლოთ გამჩდარიყვნენ პიაეზე, მინჩიოს, მანტუისა და ადიჯეს შემოვლით. ამ რესპუბლიკით, 3 მილიონი მცხოვრებით, უზრუნველყოფილი იქნებოდა საფრანგეთის გავლენა სარდინიის სამეფოს 3 მილიონ მცხოვრებსა და საეკლესიო სამფლობელოების და ტოსკანის 3 მილიონ მცხოვრებზე და თვით ნეაპოლის სამეფოზეც კი.

---

[1] ლუქსემბურგის სასახლე—დირექტორიის რეზიდენციაა.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

IX

ლომბარდიის მოსახლეობისადმი დამოკიდებულებაში საჭირო იყო სიფრთხილის გამოჩენა. საფრანგეთი თანხმდებოდა ზავის დადებას, თუ იმპერატორი უარს იტყოდა ბელგიასა და ლუქსემბურგზე. ამის სამაგიეროდ იგი თანახმა იყო დაებრუნებია მისთვის ლომბარდია. მაშასადამე, არ შეიძლებოდა არც რაიმე ვალდებულების თავის თავზე მიღება, არც რაიმე ისეთი გარანტიის გაცემა, რაც ეწინააღმდეგებოდა კაბინეტის ამ იდუმალ ზრახვებს. მეორეს მხრივ, ჯარისათვის საჭირო ყველა ხარჯი ქვეყანას უნდა ეხადა, ეს კი არამც თუ ნთქავდა მთელ შემოსავალს,—გადასახადთა გადიდებასაც იწვევდა.

საფრანგეთში ყველა არაპირდაპირი გადასახადი გაუქმებულ იქნა. მის საგადასახადო სისტემას მრავალი ნაკლი ახლდა. ხაზინა დამოუკიდებელი იყო. ყველაფერი იქ უწესრიგოდ, დაუდევრად და უცოდინრად კეთდებოდა. ყველა დაწესებულება ცუდად მუშაობდა. იტალიის კონტრიბუციებიდან მეტად მნიშვნელოვანი თანხების გაგზავნა უხდებოდათ რაინის არმიების, ტულონის და ბრესტის ესკადრების და თვით მთავრობის დაწესებულებათა შესანახად პარიზში. ყოველივე ამასთან ერთად საჭირო იყო წინააღმდეგობის გაწევა იტალიაში ავსტრიის პარტიის გავლენისათვის, იმ პარტიის, რომელიც შედგებოდა თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ნაწილისაგან, და რომელზეც მეტი თუ ნაკლები წარმატებით იმოქმედა რომმა. ნაპოლეონი თავშეურცხვენლად მხარს უჭერდა იტალიის დამოუკიდებლობის მოსურნე პარტიას და, მიუხედავად კრიზისული მდგომარეობისა, ამ ხალხების დემოკრატიულ უმრავლესობის სიმპათიები მოიხვეჭა. ის არა მხოლოდ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა რელიგიას, არამედ არ ივიწყებდა არაფერს, რასაც კი შეეძლო სამღვდელოების გადაბირება მის მხარეზე. მან შესძლო სრულიად მართებულად, თილისმასავით, გამოეყენებია სიტყვები თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა და მეტადრე ე რ ო ვ ნ უ ლ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა, რომლებიც რომის დროიდან მოყოლებული მუდამ საამოდ ხვდებოდნენ იტალიელთა გულს. პროვინციების, ქალაქებისა და თემების მმართველობა მან თვით მოსახლეობას მიანდო, რისთვისაც შეარჩია ყველაზე ღირსეული ადამიანები, რომელთაც ხალხი უდიდეს პატივსა სცემდა. საპოლიციო სამსახური დაეკისრა ეროვნულ გვარდიას, რომელიც მთელს იტალიაში საფრანგეთის მაგალითისამებრ შეიქმნა და რომელსაც ეროვნული ფერები ჰქონდა: წითელი, თეთრი და მწვანე. პატრიოტთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა. საფრანგეთის იდეები ყოველდღე ახალ-ახალ წარმატებებს ჰპოებდნენ, ვურმზერის არმიის განადგურების შემდგომ-კი მთავარსარდალმა ლომბარდიის კონგრესი აღჭურვა სრული უფლებით—შეეკრიბნა 3.000-კაციანი ლეგიონი.

ნოემბერში პოლონეთიდან საჩქაროდ მოვიდნენ პოლონელი გენერლები ზაიონჩეკი და დომბროვსკი ოფიცერთა დიდი რიცხვით, რათა შეეთავაზებიათ იტალიისთვის თავისი სამსახური, და მთავარსარდალმა ნება დართო კონგრესს—შეეკრიბნა ლეგიონი 3.000 პოლონელისაგან. ეს მხედრობა არაოდეს არ გაუყვანიათ საბრძოლო ხაზზე ავსტრიელებთან საბრძოლველად, არამედ იგი მსახურებდა საზოგადოებრივი სიმშვიდის დასაცავად და პაპის ჯარის შესაკავებლად.

X

როდესაც გართულებულმა ვითარებამ აიძულა მთავარსარდალი—გამოეცხადებინა ცისპადანის რესპუბლიკა, ამან ლომბარდიის კონგრესი დიდად შეაშფოთა. მან განუმარტა კონგრესს რომ ეს აუცილებელია მდ. პოს სამხრეთით შექმნილი მდგომარეობის გამოო. არმიის საოპერაციო ხაზი ცისპადანის ტერიტორიაზე არ გადიოდა. ბოლოს, ძნელი არ აღმოჩნდა ყველაზე უფრო საქმეში ჩახედულ ადამიანთა დარწმუნება რომ მათ საშიში არა აქვთ რა თუ საფრანგეთის მთავრობას არ სურს მიიღოს თავის თავზე ვალდებულებანი, რომელთა შესრულება მას არ შეუძლია სამხედრო წარუმართებლობის შემთხვევაში, ვინაიდან სავსებით ცხადია რომ საფრანგეთის პარტიის ბედი იტალიაში დამოკიდებულია ბრძოლის ველზე მიღწეულ წარმატებებზე. გარანტია, რომელსაც ამჟამად საფრუნგეთი აძლევს ცისპადანის რესპუბლიკას, ხელსაყრელია აგრეთვე ლომბარდიელებისათვის, ვინაიდან, თუ საფრანგეთი ოდესმე დათანხმდება ლომბარდიაში ავსტრიელების დაბრუნებას, ცისპადანის რესპუბლიკა ლომბარდიელებს თავშესაფარად და კერად გამოადგებათ, სადაც შემოინახება იტალიის თავისუფლების ღვთიური ცეცხლი.

პოს მარჯვენა ნაპირზე მდებარე რეჯიო, მოდენა, ბოლონია და ფერარა შეიცავდნენ მთელ სივრცეს ადრიატიკის ზღვიდან პარმის სამფლობელოებამდე, რომლებიც ესაზღვრებოდნენ გენუის რესპუბლიკას და მისი საშუალებით კი—საფრანგეთს. თუ იმის შიში იქნებოდა რომ ზავის დადების გასაადვილებლად ავსტრიისათვის ლომბარდიის გადაცემა მოუხდებოდათ, საჭირო იყო პოს მარჯვენა ნაპირზე შეექმნათ დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელზეც ავსტრიის სამეფო კარს არ შეეძლო რაიმე უფლება და პრეტენზიები ჰქონოდა.

ამ ოთხმა სახელმწიფომ რამდენიმე თვე დაჰყო დამოუკიდებლად თავისი მუნიციპალიტეტების მმართველობაში. კაპრარისაგან და სხვ.[2] შედგენილი საზოგადოებრივი უშიშროების ხუნტა დაარსებულ იქნა ამ ქვეყნების თავდაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესათანხმებლად და მტრული ელემენტების ასალაგმავად. საბოლოოდ ეს ოთხი რესპუბლიკა გაერთიანდა მოდენაში მოწვეულ კონგრესზე, რომლის სხდომები ნოემბრის განმავლობაში იმართებოდა. საერთოიტალიის ფერებად მათ ლომბარდიის ფერები მიიღეს, შეთანხმდნენ მმართველობის ზოგიერთი ძირითადი დებულების შესახებ, სახელდობრ: ფეოდალური პრივილეგიების გაუქმების, თანასწორობის, ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა და სხვ. შესახებ, გაერთიანდნენ საერთო თავდაცვისათვის და ერთად გადასწყვიტეს—გამოეყვანათ პირველი იტალიური ლეგიონი 3.000 კაცის შემადგენლობით. ეს კონგრესი შეიკრიბა ყველა წოდების პირებისაგან. აქ იყვნენ კარდინალები, აზნაურები, ვაჭრები, იურისტები, მწერლები. გამოცხადებული იქნა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, და, ბოლოს, 1797 წლის იანვრის დამდეგს ეს ხალხები გაერთიანდნენ ერთ რესპუბლიკად, რომელსაც ცისპადანის რესპუბლიკა ეწოდა. მის დედაქალაქად გამოცხადებულ იქნა ბოლონია, და მათ მიიღეს წარმომადგენლობითი, კონსტიტუციური წყობილება. ეს

[2] ხელნაწერში აქ მცირე ხარვეზია.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

იგრძნეს რომშიაც. ამ ახალი რესპუბლიკის ორგანიზაცია და პრინციპები-მტკიცე ზღუდეს წარმოადგენდნენ იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომლის პროპაგანდასაც პაპის ტახტი ეწეოდა, და იმ ჯარების წინააღმდეგ, რომელთაც ის თავს უყრიდა რომანიაში. ლომბარდიის კონგრესი დაუკავშირდა ცისპადანის რესპუბლიკას, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული იტალიის ყველა ხალხის ყურადღებას იპყრობდა. იტალიის ყველა სხვა ქალაქს შორის ქალაქი ბოლონია მუდამ უდიდეს ენერგიას იჩენდა და ყველაზე განათლებული ქალაქი იყო. 1797 წლის თებერვალში, ტოლენტინოს ზავის შემდგომ, პაპის მიერ დათმობილი რომანია სრულიად ბუნებრივად ცისპადანის რესპუბლიკას უნდა შეერთებოდა. ამან მისი მოსახლეობა 2 მილიონამდე აიყვანა.

ასეთი იყო იტალიის მდგომარეობა 1796 წლის დამლევს, იმ დროისათვის, როცა,—1797 წლის გაზაფხულზე,—საფრანგეთის არმიამ იულიოსის ალპებზე გადასვლა და ვენისაკენ დაძვრა გადაწყვიტა.

XI თავი

ბრძოლა რივოლთან

მე-6 და მე-10 სქემა

I. რომის საკმეები.—II. ავსტრიის არმიის მდგომარეობა.—III. საფრანგეთის არმიის მდგომარეობა.—IV. მოქმედების გეგმა, ვენის სამეფო კარის მიერ მიღებული.—V. ბრძოლა სან-მიქელესთან (1797 წლის 12 იანვარს).—VI. ფელდმარშალ ალვინცის მიერ კორონის დაკავება.—VII. ბრძოლა რივოლთან (14 იანვარს).—VIII. გენერალ პროვერას გადასვლა ადიჯეზე; მისი დაძვრა მანტუასაკენ (14 იანვარს).—IX. ბრძოლა ფავორიტასთან (16 იანვარს).—X. მანტუის კაპიტულაცია (2 თებერვალს).

I

ვენეციის სენატის უკმაყოფილება ფრანგების მიმართ დღითიდღე ძლიერდებოდა, მაგრამ ამ უკმაყოფილების გრძნობას ორმაგი შიში აკავებდა: ძლევამოსილი არმიის ყოფნა, და მღელვარება, რამაც მოიცვა მეტწილად მისი ქალაქები კონტინენტზე. ამასობაში ის ჰკრებდა სლავონელთა ახალ ჯარებს; ზღვის ლაგუნებში ერთიმეორეზე ახალ-ახალი ათასეულები მოდიოდნენ. მტრულად განწყობილი პარტიები გამოსვლას ამზადებდნენ ამ რესპუბლიკის ყველა ქალაქში.

ვერონისა და ბრეშიის ციხედარბაზები დაკავებული იყო ფრანგის ჯარების მიერ. ბერგამოში მომხდარმა არეულობამ აიძულა დაეკავებიათ ციხე; ის დაიკავა გენერალმა ბარაგე-დ'ილიემ. ასეთი სიფრთხილე თითქოს საკმაო იყო, ვინაიდან ნაპოლეონი იმედოვნებდა რომ მანტუა მალე ჩაბარდებოდა. მას არ უნდოდა რომ ამ ციხის დაცემამდე შეედავებოდა სენატს, რადგან ეს მის მდგომარეობას გაართულებდა. ამგვარად, ორივე მხარე ჯერ-ჯერობით მალავდა თავის ზრახვებს.

რომთან მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნა. გამოცდილებით დამტკიცდა რომ პაპის კართან ვერაფერს გახდებოდნენ თუ ძალას არ მიმართავდნენ. საჭირო

იყო ბოლო მოღებოდა ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობას, რომელიც ხელს უწყობდა მღელვარებას იტალიაში.

ჯერ კიდევ ავსტრიის ახალი ჯარების მოსვლამდე 6 იანვარს 1797 წელს 3.000 ფრანგი და 4.000 იტალიელი გადავიდა პოზე და ფეხი შედგა ბოლონიაში, საიდანაც მთავარსარდალი მილანს გაემგზავრა. ტოსკანის დიდი ჰერცოგის პირველი მინისტრი მანფრედინი სასწრაფოდ მივიდა იქ მისი ინტერესების დასაცავად. იგი დაბრუნდა ფლორენციაში დარწმუნებული რომ ფრანგები რომისაკენ დაიძრნენ. ვატიკანი მშვიდად შეხვდა ამ მუქარას. მან იცოდა ვენაში მიღებული გეგმები და მათი წარმატების იმედი ჰქონდა. ავსტრიის დესპანი ამხნევებდა მას. ვატიკანი ფიქრობდა შეეტყუებია ფრანგები იტალიის სიღრმეში. თუ მდგომარეობა აიძულებდა, პაპი მზად იყო რომიც კი დაეტოვებია, ოღონდ ამას ხელი შეეწყო ადიჯეზე ფრანგების დამარცხებისათვის. სწორედ იქ უნდა გადაწყვეტილიყო იტალიის ბედი.

II

მართლაც, ალვინცი ყოველდღე ღებულობდა მნიშვნელოვან მაშველ ჯარებს. პადუის, ტრევიზისა და ბასანოს ოლქები მისი ჯარებით იყო დაკავებული. ავსტრიამ ისარგებლა არკოლის ბრძოლის შემდგომ გავლილი ორი თვე და ფრიულს გამოგზავნა დივიზიები გადმოყვანილი რაინის ნაპირებიდან, სადაც საფრანგეთის არმიები საზამთროდ იყვნენ დაბანაკებული. მან მთელს მონარქიაში გააღვივა ეროვნული მოძრაობა, თავი მოუყარა ტიროლში რამდენსამე საუკეთესო მსროლელ ათასეულს, შთააგონა მათ აუცილებლობა საკუთარი მიწაწყალის დაცვისა და ბრძოლა იტალიის უკანვე დაბრუნებისათვის, ვინაიდან ეს საარსებო საჭიროება იყო მათი თითიანი ოლქების აყვავებისათვის. მისმა წარმატებებმა გერმანიაში უკანასკნელი ლაშქრობის დროს და დამარცხებებმა იტალიაში სხვადასხვანაირად, მაგრამ ერთიდაიმავე მიმართულებით იმოქმედა მის ხალხთა საზოგადოებრივ აზრზე. დიდმა ქალაქებმა თავის მხრივ შესთავაზეს მოხალისეთაგან შემდგარი ათასეულების გამოყვანა. ვენამ ოთხი ასეთი ათასეული გამოიყვანა. ვენის ათასეულებმა დედოფლისაგან მიიღეს მისი საკუთარი ხელით ამოქარგული დროშები; მათ ისინი დაჰკარგეს, მაგრამ ღირსეულად იცავდნენ. 1797 წლის იანვრის დამდეგს ავსტრიის არმია იტალიაში შედგებოდა რვა არათანაბარი ძალის ქვეითი დივიზიისაგან, რომელთაც მიემატა რამდენიმე მსუბუქი ცხენოსანი ბრიგადა, და სამარქაფო ცხენოსანი ჯარის ერთი დივიზიისაგან; საერთოდ 65.000—70.000 მებრძოლი (64 ათასეული, 30 ცხ. ასეული)და 6.000 ტიროლელი, მანტუის 24.000 მეციხოვნის ჩაუთვლელად; სულ 96.000—100.000 კაცი.

III

საფრანგეთის არმია არკოლეს შემდგომ გაძლიერებულ იქნა პროვანსიდან წამოყვანილი ორი ქვეითი ნახევარბრიგადით (მათ რიცხვში იყო მე-57 ნახევარბრიგადა) და ერთი ცხენოსანი ლეგიონით — საერთოდ 7.000 კაცით; ამან შეავსო დანაკლისი არკოლეს ბრძოლისა და მანტუის ბლოკადის გამო.

არმია შედგებოდა ხუთი დივიზიისაგან; ერთს მეთაურობდა ჟუბერი და ეკავა მონტე-ბალდო, რივოლი და ბუსოლენგო; რეი ნაკლები ძალის მეორე დივიზიით იდგა მარქაფად დეზენცანოში; მასენა ვერონაში იყო და მოწინავე რაზმი სან-მიქელეში ჰყავდა. ოჟერო იყო ლენიაგოში, მისი მოწინავე რაზმი—ბევილაქვაში; სერიურიე მანტუის ბლოკადას ახორციელებდა. ამ ხუთ დივიზიაში დაითვლებოდა 42.000 კაცი, რომელთაგან მხოლოდ 31.000 კაცი იყო ობსერვაციულ ჯარში. ჟუბერმა კორონა სანგრებით შემოჰფარა; ვერონა, ლენიაგო, პესკიერა, პიციგეტონე კარგ მდგომარეობაში იყვნენ; ბრეშიისა და ბერგამის კოშკები, ფუენტის ციხე, ფერარის კოშკი და ურბანოს ციხე აგრეთვე ფრანგების მიერ იყვნენ დაკავებული, საკანონერო ნავებმა კი მათ ბატონობა მოუპოვეს ოთხ ტბაზე: გარდასა, კომოსა. ლუგანოსა და მაჯიორეზე.

IV

ვურმზერის შეტევა სამი მიმართულებით წარმოებდა; კიეზის გზატკეცილით, მონტე-ბალდოზე და ადიჯეს ველით; სამივე მისი კოლონა მანტუასთან უნდა შეყრილიყო. რამდენიმე თვის შემდგომ ალვინცი თავის მხრივ შევიდა იტალიაში ორი არმიით: ერთი გაემართა ტიროლით, მეორე კი მდინარეებით პიავეთი, ბრენტათი და ადიჯეთი; ისინი ვერონაში უნდა შეერთებულიყვნენ. ამჯერად ვენის სამეფო კარმა მიიღო ახალი გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო საომარ მოქმედებათა რომის ასპარეზზე წარმოებულ ოპერაციებთან. მან წერილობითი ბრძანება გასცა დაეწყოთ ორი დიდი შეტევა შემდეგი მიმართულებით: მთავარი—მონტე-ბალდოზე, დამხმარე—ქვემო ადიჯეზე, პადუის აკეებზე. ორივე ეს შეტევა ერთმანეთზე დამოუკიდებლად უნდა ეწარმოებინათ. ვშემტევი კორპუსები მანტუაში უნდა შეერთებულიყვნენ. მთავარი კორპუსი ტიროლზე უნდა გამოსულიყო; იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთის არმიას დაამარცხებდა, იგი მანტუის კედლებთან გამოვიდოდა და იქ ადიჯეზე გადმოსვლის შემდგომ მანტუაში მისულ კორპუსს მიუსწრებდა. თუ მთავარი კორპუსის შეტევა მარცხით დამთავრდებოდა, წარმატებით კი—მხოლოდ დამხმარესი, მით მანტუას ალყა მოიხსნებოდა და ციხე მომარაგებული იქნებოდა. ამის შემდგომ კორპუსი, რომელიც ალყას მოხსნიდა მანტუას, მყის სერალიოში გაჩნდებოდა და რომთან მიმოსვლას დაამყარებდა. მაშინ ვურმზერი თავისი ცხენოსანი ჯარის 5.000 კაცით, თავისი შტაბით და მრავალრიცხოვანი საველე არტილერიით გაემგზავრებოდა იმ ჯარის ხელმძღვანელობის მისაღებად, რომელიც რომანიაში დგებოდა. მანტუაში მყოფი გენერლების, ოფიცრებისა და დაქვეითებული ცხენოსნების დიდი რაოდენობა განკუთვნილი იყო პაპის არმიაში დისციპლინის დასანერგავად და დივერსიის მოსაწყობად, რომელსაც უნდა აეძულებინა ფრანგები გაეგზავნათ აგრეთვე ორი კორპუსი—ერთი პოს მარცხენა ნაპირის სათვალთვალოდ, მეორე მარჯვენა ნაპირისა. ვენიდან მანტუას გაგზავნილი ფრიად გაგებული საიდუმლო აგენტი შეპყრობილ იქნა გუშაგის მიერ სწორედ იმ მომენტში, როდესაც მან უკვე განვლო გარსშემომდგარი ჯარის უკანასკნელი საგუშაგო. სასაქმებელით იგი აიძულეს გაეცა მის მიერ გადაყლაპული დეპეში, რომელიც მოთავსებული იყო ლუქის ბურთულაში. ეს დეპეში წარმოადგენდა ფრანგულ ენაზე ძალიან წვრილად დაწერილ წერილს, თვით იმპერა-

ტორ ფრანცის მიერ ხელმოწერილს. იმპერატორი აუწყებდა ვურმზერს რომ უახლოეს დროში განგათავისუფლებო, გიბრძანებ—არავითარ შემთხვევაში ტყვედ არ დანებდე, არამედ დასცალე ციხე, გადადი პოზე და მიაშურე პაპის სამფლობელოებს, საღაც უნდა მიიღო მისი არმიის ხელმძღვანელობაო.

V

ვენის კარის მიერ მიღებული გეგმის შესასრულებლად ალვინციმ იკისრა 45.000 კაცისაგან შემდგარი მხედრობის ხელმძღვანელობა და თავისი მთავარი ბანაკი ბასანოდან როვერეტოში გადაიტანა. გენერალმა პროვერამ მიიღო ქვემო ადიჯეს მიმართულებით მოქმედებისათვის განკუთვნილი კორპუსის ხელმძღვანელობა. ეს კორპუსი შედგებოდა სამი დივიზიისაგან, 20.000 კაცის რაოდენობით. მისი მთავარი ბანაკი პადუაში იდგა. 12 იანვარს კორპუსის მარცხენა ფრთის დივიზიამ, ბაიალიჩის მეთაურობით, დაიკავა პოზიცია კალდიეროში, ჰოჰენცოლერნმა კი, რომელიც მოწინავე რაზმს სარდლობდა,—მონტანიანაში. 12-ს ჰოჰენცოლერნი დაიძრა ბევილაქვასკენ, სადაც იმყოფებოდა მოწინავე რაზმი მამაც გენერალ დიუფოს მეთაურობით, რომელმაც სუსტი წინააღმდეგობის შემდგომ ადიჯეს-გაღმა დაიხია და პორტო-ლენიაგოს ხიდებზე გადავიდა. ბაიალიჩის დივიზიამ იერიში მიიტანა სან-მიქელეზე. ის შედგებოდა რვა ათასეულისა და ექვსი ცხენოსანი ასეულისაგან. მასენა ამ თავისი მოწინავე რაზმის დასახმარებლად გაემართა. ავსტრიელები ძლეულ იქნენ; მათ ფეხდაფეხ სდევდნენ კალდიერომდე და 900 ტყვე დაატოვებინეს.

მთავარსარდალმა, რომელსაც მისმა ვენეციელმა აგენტებმა აცნობეს ავსტრიის არმიის მსვლელობა პადუასკენ, განკარგულება გასცა—გამოეყვანათ იტალიელთა ნაწილები ტრანსპადანის საზღვრებზე, რათა პაპის არმია დარტყმის მუქარის ქვეშ ჰყოლოდათ, და 3.000 ფრანგი ბოლონიიდან ფერარას გაგზავნა, სადაც ისინი პოზე გადავიდნენ პონტე-დი-ლაგოსკუროში. თვითონ ის პირადად გადავიდა პოზე ბორგოფორტეში და როვერბელის მთავარი ბანაკისაკენ გაემართა. ვერონას იგი სწორედ სან-მიქელის ბრძოლის დროს მივიდა. საღამოს მან უბრძანა მასენას გაეყვანა მთელი თავისი დივიზია ღამით ვერონას იქით. მტერი მოქმედებას შეუდგა. საჭირო იყო მთელი ჯარი ხევს-გარეთ დაეყენებინათ, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ—დაუყოვნებლივ იქით წარმართულიყვნენ, სადაც ნამდვილი შეტევა დაიწყებოდა. ღამით ლენიაგოდან მან ცნობა მიიღო რომ შემჩნეულია ავსტრიის არმიის მოძრაობა ქვემო ადიჯეზეო, რომ მასთან არის მისი გენერალური შტაბი და რომ ორი საბონდო პარკი დაინახესო. გენერალ დიუფოს ცნობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა რომ მის წინაშე დიდი ძალები იყო გაშლილი. მან დაინახა 12.000 კაცზე მეტი და ივარაუდა რომ ეს მხოლოდ პირველი ხაზიაო. ჟუბერი კორონადან იუწყებოდა რომ 12-ს, მთელი დღის განმავლობაში იერიში მოჰქონდათ ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ გავუძელი და მტრის ყველა იერიში მოვიგერიეო. ეს, თითქოს, ადასტურებდა იმ აზრს რომ მტერი მთავარ შეტევას ქვემო ადიჯეზე აწარმოებდა.

VI

მტერს ჯერ კიდევ არ გამოემჟღავნებია თავისი განზრახვა და გადაწყვეტილების მიღება ნაადრევი იყო. ჯარები მზად იყვნენ ღამით მოძრაობისათვის. დეზენცანოში მდგომი დივიზია 13-ს კასტელნუოვოსკენ გაემართა, რათა იქ შემდგომ ბრძანებებს დალოდებოდა. კიეზიდან დამამშვიდებელი ცნობები მოდიოდა. დაიწყო კოკისპირული წვიმა. 10 საათზე მხედრობა თოფ ქვეშ იდგა, მაგრამ ნაპოლეონს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა—რომელი მიმართულებით წარეგზავნა ის: დაღმა თუ აღმა ადიჯეს ნაპირებით?

საღამოს 10 საათზე მოვიდა ცნობები მონტე-ბალდოდან და ქვემო ადიჯედან. ჟუბერი იტყობინებოდა რომ 13-ს, დილის 9 საათზე, მტერი დიდის ძალებით გაიშალაო, რომ მე მთელი დღე ვიბრძოდი და ჩემი პოზიცია ძლიერ დავიწროვდაო. იგი მტკიცედ იდგა, მაგრამ ნაშუადღევის 2 საათზე შეამჩნია, რომ მარცხენა ფრთიდან გარდას ტბის გაყოლებით მას შემოუარა ავსტრიელთა დივიზიამ, რომელიც მასა და პესკიერას შუა ჩადგომას იმუქრებოდა, მარჯვენა ფრთიდან კი მას დაუარა მტრის მეორე დივიზიამ, რომელმაც გამოიარა ადიჯეს მარცხენა ნაპირის გაყოლებით, გასდო ხიდი დოლჩესთან ახლო, რივოლიდან ერთ ლიეზე, გადმოვიდა ამ მდინარეზე და გაემართა მარჯვენა ნაპირით მონტე-მანიონის ძირის გასწვრივ, რივოლის ტაფობის ხელში ჩასაგდებად. როდესაც ეს შეამჩნია, მან საჭიროდ სცნო გაეგზავნა ერთი ბრიგადა ამ მნიშვნელოვანი ტაფობის—მთელი პოზიციის გასაღების—უზრუნველსაყოფად. იგი იტყობინებოდა რომ 4 საათზე აუცილებლადაც-კი ვცანი განმეგრძო დახევა, რათა დღისით მივსულიყავ რივოლის ტაფობზე, და რომ იძულებული ვიქნები—დავცალო ღამით ადგილი, თუ სხვა ბრძანებებს არ მივიღებო. ქვემო ადიჯეზე პროვერას მარცხენა ნაპირი ეკავა. მსროლელნი ორივე ნაპირის გასწვრივ ისროდნენ. მტრის გეგმა ნათელი გახდა. ცხადი იყო რომ იგი მოქმედებდა ორი კორპუსით: მთავარით—მონტე-ბალდოზე და ნაკლებმნიშვნელოვანით—ქვემო ადიჯეზე.

თითქოს, ოჟეროს დივიზია საკმარისი უნდა ყოფილიყო მდინარეზე გადასვლისა და მისი დაცვისათვის პროვერასთან ბრძოლის საწარმოებლად. მაგრამ უახლოესი საფრთხე მონტე-ბალდოს მხრით იყო მოსალოდნელი. არცერთი წუთი არ უნდა დაკარგულიყო, ვინაიდან თუ მტერი რივოლის ტაფობს დაეპატრონებოდა, ამით იგი თავის არტილერიას და ცხენოსან ჯარს უერთდებოდა. თუ იერიშს მიიტანდნენ მასზე ამ მნიშვნელოვანი პუნქტის ხელში ჩაგდებამდე, იგი იძულებული იქნებოდა უარტილერიოდ და უკავალერიოდ ებრძოლნა. მთელი ჯარი გაუდგა გზას იმ ანგარიშით რომ რივოლში გათენებისას იქნებოდნენ. მთავარსარდალიც იქით გაემართა და დილის 2 საათზე მივიდა ადგილზე.

VII

გამოიდარა. მთვარეს კაშკაში გაჰქონდა. მთავარსარდალი ხან ერთ, ხან მეორე მაღლობზე ადიოდა და თვალყურს ადევნებდა მტრის კოცონთა ხაზებს. ადიჯესა და გარდას ტბას შუა მდებარე მთელი ადგილი კოცონებით იყო მოფენილი; ჰაერი თითქოს იწვოდა. მთავარსარდალმა ნათლად გაარჩია

ხუთი ბანაკი, თითოეული — ერთი კოლონის შემადგენლობით, რომელთაც უკვე წინადღით დაიწყეს თავისი მსვლელობა. ბანაკთა კოკონების მიხედვით მტრის ძალები ნავარაუდევი იყო 40.000—45.000 კაცად. ფრანგებს შეეძლოთ მხოლოდ 22.000 კაცით მოქმედება. დისპროპორცია კვლავ ძალიან დიდი იყო, მაგრამ ფრანგებს უპირატესობა ჰქონდათ 60 ქვემეხისა და რამდენიმე ცხენოსანი ლეგიონის სახით. მტრის ხუთი ბანაკის განლაგების მიხედვით შეიძლებოდა ვარაუდი რომ ის შეტევას დილის 10 საათზე უფრო ადრე არ დაიწყებდა. პირველი კოლონა, ლუზინიანის მეთაურობით, მარჯვენა ფრთაზე, ძალიან შორს იყო. თითქოს, მას მიზნად ჰქონდა რივოლის ტაფობის გარემოცვა ზურგიდან. მას 10 საათზე უფრო ადრე არ შეეძლო მოსვლა. მეორე კოლონას, ლიპტაის მეთაურობით, როგორც ჩანდა, განზრახვა ჰქონდა იერიში მიეტანა ტაფობის მარცხენა მხარეზე. მესამე კოლონა, კებლესის მეთაურობით, მონტე-მანიონეს ძირს მიჰკვროდა. მეოთხე კოლონა, ოჩკაის მეთაურობით, მონტე-მანიონეს მწვერვალზე იყო და სან-მარკოს სამლოცველოსკენ მიეშურებოდა. მეხუთე კოლონა 14 ათასეულიდან შედგებოდა, მასთან იყო არტილერია, ცხენოსანი ჯარი და არმიის აღალები. ის გადავიდა ადიჯესა და დოლჩეზე და მარჯვენა ნაპირით დაეშვა მონტე-მანიონეს ძირთან. ის იდგა დელა-დოგანას სასტუმროს პირდაპირ, მაღლობზე სოფელ ინკანალეს ახლოს რივოლის ტაფობის ძირას, და უნდა გამოსულიყო გზატკეცილზე, რომელიც იქ გადიოდა. მაშინ ალვინცი შიიღებდა არტილერიასაც და ცხენოსან ჯარსაც. მეექვსე კოლონა, ვუკასოვიჩის მეთაურობით, ადიჯეს ნარცხენა ნაპირზე იყო, ვენეციის კიუზის პირდაპირ.

ამ დაკვირვებათა საფუძველზე ნაპოლეონმა შეადგინა თავისი გეგმა. მან უბრძანა ჟუბერს, რომელმაც დასცალა სან-მარკოს სამლოცველო მონტე-მანიონეზე და ახლა რივოლის ტაფობი ეკავა მარტოოდენ არიერგარდით, დაუყოვნებლივ გადასულიყო შეტევაზე, კვლავ დაეკავებინა სამლოცველო, გათენებამდე, და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შორს დაეხევინებინა ოჩკაის მეოთხე კოლონისთვის. ათმა კროატმა, რომელთაც ერთმა ტყვემ აცნობათ სან-მარკოს სამლოცველოს დაცლა, ის-იყო ხელთ იგდო იგი, იმ დროს, როდესაც ჟუბერმა დილის 4 საათზე გაგზავნა სამლოცველოსკენ გენერალი ვიალი და კვლავ დაიკავა სამლოცველო. დაიწყო თოფის სროლა კროატთა ერთ ლეგიონთან და შემდგომ თანდათან ოჩკაის მთელ კოლონასთან. განთიადისას ეს კოლონა უკუგდებულ იქნა უკვე მონტე-მანიონეს შუა ქედამდე. ავსტრიელთა მესამე კოლონამ, კებლესის მეთაურობით, დააჩქარა მაშინ თავისი სვლა და 9 საათზე ცოტა უფრო ადრე მივიდა რივოლის ტაფობის მარცხენა მაღლობებთან. მას სრულიად არ გააჩნდა არტილერია. ამ პოზიციაზე მდგომ ფრანგთა მე-14 და მე-85 ნახევარბრიგადებს თითოეულს თითო ბატარია ჰქონდა. მე-14-ს მარჯვენა ფრთა ეკავა, მან მოიგერია მტრის იერიშები. მე-85-ეს შემოერტყენ ფლანგებიდან და უკუაგდეს. მთავარსარდალმა სასწრაფოდ მიაშურა მასენას დივიზიას, რომელმაც მთელი ღამე ლაშქრობაში გაატარა და სოფელ რივოლში ისვენებდა, და წაიყვანა იგი შეტევაზე მტრის წინააღმდეგ. ნახევარ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში კებლესის კოლონა დამარცხებულ და უკუქცეულ იქნა. ლიპტაის კოლონა სასწრაფოდ დაიძრა კებლესის დასახმარებლად. 10 საათი და 30 წუთი იყო.

კვაჟდანოვიჩმა, რომელიც შუაგულ ველზე იმყოფებოდა, შეამჩნია რომ ჟუბერმა არავინ არ დასტოვა სან-მარკოს სამლოცველოში და კვალდაკვალ გამოუდგა ოჩკაის, ხოლო როდესაც თვითონ რივოლის ტაფობის მახლობლად გაისმა სროლა, მან მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია და სამი ათასეული გაგზავნა სამლოცველოს დასაკავებლად. ამ წამოწყების წარმატებაზე იყო დამოკიდებული ბრძოლის დასასრული, მაგრამ მისი შესრულება[1] სამძიმო იყო: ეს იყო ნამდვილი იერიში, დაკავშირებული მაღლა ცოცვასთან. ჟუბერმა გასცა ბრძანება ჩქარი ნაბიჯით დაბრუნებულიყო სამი ათასეული, რომელთაც დაასწრეს მტრის ათასეულებს სამლოცველოსთან მისვლა და უკუაგდეს მტერი ძირს, ველის შუაგულში. რივოლის ტაფობზე განლაგებული 15-ქვემეხიანი ბატარია ფრანგებისა ანადგურებდა ყველას და ყველაფერს, რაც კი გამოჩნდებოდა და ცდილობდა გამოსულიყო იწრობიდან ტაფობზე. პოლკოვნიკმა ლეკლერკმა 300 ცხენოსანით იერიში მიიტანა ოცეულებად; ცხენოსანი ასეულის უფროსმა ლასალმა 200 ჰუსარით მიიტანა იერიში ცოტა მოშორებით აქედან. ამ იერიშების სიმძაფრემ გადასწყვიტა ბრძოლის წარმატებითი დამთავრება: მტერი უკუგდებულ იქნა ხევში; ყოველივე, რამაც ტაფობზე ამოსვლა მოასწრო—ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია,—წამოყვანილ იქნა. ნახევარმა არმიამ, კვაჟდანოვიჩისა და ვუკასოვიჩის კოლონებისაგან შედგენილმა, ვერც-კი მოასწრო მთებიდან გამოსვლა, სრულიად უსარგებლოდ იდგა და არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია.

ამასობაში ლუზინიანის პირველი კოლონა მისთვის დანიშნულ პოზიციაზე მივიდა. ის შეხვდა დეზენცანოს მარქაფის ფრანგთა დივიზიას, შედგენილს მე-57 და მე-58 ნახევარბრიგადებისგან, რომლებიც ორსაში იდგნენ პოზიციაზე, და დასტოვა აქ ერთერთი თავისი ბრიგადა მათთვის წინააღმდეგობის გასაწევად. მეორე ბრიგადამ 5.000 კაცის შემადგენლობით, პიპოლოს მაღლობზე დაიკავა პოზიცია, ვერონის გზის ორსავე მხარეზე, რივოლის ტაფობის უკან, და მარჯვენა ფრთით ადიჯეს მიებრჯინა. მას სრულიად არ გააჩნდა არტილერია. ის ფიქრობდა, რომ საფრანგეთის არმიას შემოვუარეო. მაგრამ ეს მეტად გვიან მოხდა: ის-იყო ავიდა მაღლობზე რომ მისთვის თვალსაჩინო გახდა ოჩკაის, კეტლესის და ლიპტაის დამარცხება. მან მყის იგრძნო, თუ რა მოელოდა მას, და გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა. მეოთხედი საათის განმავლობაში მას უშენდნენ მარქაფის თხუთმეტი 12-გირვანქიანი ქვემეხიდან, შემდგომ იერიში მიიტანეს მასზე ხიშტებით და იგი მთლიანად ტყვედ იქნა წამოყვანილი. მეორე მისმა ბრიგადამ, რომელიც ცოტა უფრო უკან იდგა, დეზენცანოს მარქაფის პირდაპირ მდებარე პოზიციაზე, ამის შემდგომ დაიხია. მას გამოუდგნენ, გაჰფანტეს და მეტწილად ამოსწყვიტეს ან ტყვედ წაიყვანეს. ნაშუადღევის 2 საათი იყო. მტერი ყველგან დამარცხებულ და დევნილ იქნა. ჟუბერი ისეთი სიმძაფრით უტევდა რომ ერთ წუთს ეგონათ—ალვინცის მთელი არმია ტყვედ იქნება წამოყვანილიო. ბრენტის ხეობა მტრის ერთადერთ დასახევ გზად დარჩა. მაგრამ ალვინციმ იგრძნო საფრთხე, რომელიც მას ემუქრებოდა, მიუსწრო მარქაფით, შეაჩერა ჟუბერი და ცოტა კიდევაც დაახევინა.

---

[1] ხელნაწერში ამ ადგილას გამოტოვებულია.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

ბრძოლა მოგებულ იქნა. ფრანგებმა ხელთ იგდეს 12 ზარბაზანი, დროშები და 7.000 ტყვე. მე-18 და მე-32 ნახევარბრიგადისაგან შემდგარი ორი ნაკრები რაზმი, რომელიც ის-იყო შეუერთდა არმიას, ლუზინიანის დივიზიას წააწყდა იმ მომენტში, როცა იგი ვერონის გზატკეცილზე გადადიოდა. მათ გაავრცელეს ზურგში ხმები რომ საფრანგეთის არმია გარშემორტყმულია და დაიღუპაო.

ამ დღეს მოავარსარდალს რამდენჯერაც შემოერტყნენ მტრის ჯარისკაცები და თვითონ მას რამდენიმე ცხენი დაუჭრეს.

გენერალ შაბოს ვერონა უმნიშვნელო რაზმით ეკავა.

VIII

იმავე დღეს პროვერამ ხიდი გასდო ანჯიარში, ლენიაგოს ახლო, გადავიდა მდინარეზე და მანტუასკენ გაემართა. მან დასტოვა მარქაფი ხიდების დასაცავად. ოჟერომ ცუდად განაწესრიგა: მას შეეძლო მიეტანა იერიში ამ ხიდებზე მხოლოდ 1797 წ. 15 იანვარს. ბრძოლამ რამდენმე საათს გასტანა. ოჟერომ გასწყვიტა და ტყვედ ჩაიგდო მცველი რაზმი და დასწვა ბონდები. მაგრამ პროვერამ გადუსწრო მას ერთი ეჯით; მანტუის ბლოკადა მძიმე მდგომარეობაში მოექცა. ძნელია წინააღმდეგობის გაწევა მტრისათვის, რომელსაც აქვს საბონდო პარკი მდინარეზე გადასასვლელად. როცა ჯარს, რომელიც იცავს მდინარის გადასასვლელებს, მიზნად აქვს ალყის დაფარვა, მან წინასწარ უნდა იხმაროს ზომები იმისათვის, რათა მტერს დაასწროს მისვლა შუალედურ პოზიციასთან მდინარესა, რომელსაც იგი იცავს, და იმ ციხეს შორის, რომელსაც იგი იფარავს. როგორც კი პროვერა ადიჯეზე გადავიდა, ოჟერო მოლინელასაკენ უნდა დაძრულიყო და მასზე უფრო ადრე მისულიყო იქ.

14-ს, ნაშუადღევის 2 საათზე, რივოლის ცხარე ბრძოლის დროს, ნაპოლეონმა გაიგო რომ პროვერამ ხიდი გასდო ანჯიარში, და მყისვე მიხვდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას. მან მასენას, მიურატს და ჟუბერს მიანდო მეორე დღეს ალვინცის დევნის საქმე და ამავე საათს ოთხი ლეგიონით გაეშურა მანტუასკენ. მას უნდა გაევლო 13 ლიე. როვერბელაში ის შევიდა იმ დროს, როცა პროვერა სენ-ჟორჟს უახლოვდებოდა. 16-ს განთიადზე ჰოჰენცოლერნი მოწინავე რაზმითურთ გაჩნდა სენ-ჟორჟის კარებთან თეთრ ლაბადებში გამოწყობილი ლეგიონით.

რაკი იცოდა რომ ამ გარეუბანს მხოლოდ უბრალო ხანდაკოვანი ხაზი იფარავდა, იგი იმედოვნებდა — მოულოდნელი თავდასხმით დაპატრონებოდა მას. ამ პუნქტის უფროსმა მიოლისმა მხოლოდ ქალაქის მიმართულებით დააყენა მცველი რაზმი. მან იცოდა რომ მას იფარავდა ერთი დივიზია ადიჯეზე და რომ მტერი ძლიერ შორს იყო. ჰოჰენცოლერნის ჰუსარები წააგავდნენ ფრანგების 1-ლი ლეგიონის ჰუსარებს. მაგრამ სენ-ჟორჟის მეცხრამეტე ჯარის ერთმა ძველმა სერჟანტმა, რომელიც ციხიდან 200 ნაბიჯზე შეშას სჩეხდა, დაინახა ეს ცხენოსანი ჯარი. იგი შეეჭვდა და ეს თავისი ეჭვი მის გვერდით მყოფ მედოლეს გაუზიარა. მათ შეამჩნიეს რომ ეს თეთრი ლაბადები თავისი სიახლით დიდად განირჩეოდნენ ბერშენის ჰუსართა ლაბადებისაგან. ამ ყოჩაღმა ადამიანებმა იგრძნეს რომ ეს კარგს არაფერს მოასწავებდა და მყის სენ-ჟორჟში ამოჰყვეს თავი, ასტეხეს იქ განგაში და დაუშვეს ბერა. ჰოჰენცო-

ლერნმა გაჰქუსლა ცხენი, მაგრამ ვერ მოასწრო გასხლტომა. ის იცნეს და დაუშინეს ფინდიხი. მალე ჯარმა მიწაყრილები დაიკავა. შუადღისას პროვერა გარს შემოერტყა ციხეს. მამაცი მიოლისი 1.500 კაცით მთელი დღის განმავლობაში იგერიებდა მტერს და ამნაირად დრო მისცა რივოლიდან გამოსულ მაშველ ძალებს—მოსულიყვნენ.

IX

პროვერა ტბით ნავის საშუალებით დაუკავშირდა მანტუას და შეუთანხმა მას თავისი მოქმედება მეორე დღისათვის. 16-ს განთიადზე ვურმზერი მეციხოვნე ჯარით გამოხლტა ციხიდან და დაიკავა პოზიცია ფავორიტასთან. ნაპოლეონმა დილის 1 საათზე ფავორიტასა და სენ-ჟორჟს შორის დააყენა გენერალი ვიქტორი ოთხი ლეგიონით, რომლებიც მან მოიყვანა,—რათა ხელი შეეშალნა მოსულ მაშველ ძალებთან მანტუის მეციხოვნეთა შეერთებისათვის. განთიადზე სერიურიემ მოალყე ჯარებთან ერთად იერიში მიიტანა მეციხოვნეებზე, ვიქტორის დივიზიამ კი იერიში მიიტანა პროვერას ჯარზე. ამ ბრძოლაში მე-57 ნახევარბრიგადამ მ რ ი ს ხ ა ნ ე ს სახელწოდება დაიმსახურა: იგი ხიშტებით ეკვეთა ავსტრიელთა ხაზს, უკუაგდო და გაანადგურა ყოველივე, რაც კი ცდილობდა წინააღდგომოდა მას. ნაშუადღევის 2 საათზე, მას შემდგომ რაც მეციხოვნე ჯარი უკუგდებულ იქნა ციხეში, პროვერა დანებდა და იარაღი დაჰყარა. გამარჯვებულს ხელთ ჩაუვარდა მრავალი დროშა, აღალი, რამდენიმე პარკი და 6.000 ტყვე, ამათში—რამდენიმე გენერალი. ამავე დროის განმავლობაში პროვერას მიერ მდ. მოლინელაზე დატოვებულ არიერგარდს შეუტია გენერალმა პუანმა, ოჟეროს დივიზიიდან, დაამარცხა და ტყვედ წამოიყვანა იგი. პროვერას კორპუსიდან მხოლოდ 2.000 კაცი გადარჩა, რომლებიც დარჩენილი იყვნენ ადიჯეს გაღმა. ყველა დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს ან-და დახოცეს. ამ ბრძოლას ეწოდა ბრძოლა ფავორიტასთან, მანტუის ჰერცოგთა სასახლის სახელწოდების მიხედვით; ეს სასახლე ბრძოლის ველის ახლოს იყო.

რივოლთან ჟუბერი 15-ს მთელი დღის განმავლობაში ავიწროებდა ალვინცის და ისე სწრაფად მივიდა ბრენტის ხეობასთან რომ 6.000 კაცი მოსწყვიტა მის ჯარს და ტყვედ წამოიყვანა. მიურატმა მსუბუქი ჯარის ორი ათასეულით ნავებზე გარდას ტბით შემოუარა კორონას. თვითონ ალვინციმ ძლივს მოასწრო გასხლტომა. ჟუბერი ტრიენტისკენ გაემართა, და დაიკავა ძველი პოზიციები მდ. ავიჩიოზე. სხვადასხვა დაზვერვის დროს მან დაახლოებით 1.000 ტყვე წამოიყვანა. გენერალი ოჟერო კასტელფრანკოს წავიდა და იქიდან ტრევიზას. მასაც მოუხდა რამდენიმე მცირე შეტაკება. მასენამ დაიკავა ბასანო და თავისი წინა საგუშაგოები პიავეზე დააყენა. ორ საავანგარდო ბრძოლაში მან ხელთ იგდო 1.200 ტყვე.

ავსტრიის ჯარები უკანვე მდ. პიავეზე გადავიდნენ.

ტიროლის ყველა ხეობა თოვლმა დაჰფარა, და ეს ყველაზე დიდი დაბრკოლება იყო, რომელიც ჟუბერს უნდა დაეძლია. ფრანგის ქვეითი ჯარმა ყველაფერი გადალახა. ჟუბერი ტრიენტში შევიდა და იტალიის მთელი ტიროლი

დაიკავა. მან ხელთ იგდო ყველა ავსტრიელი ავადმყოფი და მრავალი საწყობი. ჯარმა იგივე პოზიციები დაიკავა, რაც მას არკოლის ბრძოლის წინ ეჭირა.

იანვრის განმავლობაში სხვადასხვა ბრძოლაში აღებული ნადავლი იყო: 25.000 ტყვე, 24 დროშა და ალამი და 60 ქვემეხი. მტრის დანაკლისი 35.000 კაცზე ნაკლები არ იყო. ბესიერმა დროშები პარიზს წაიღო. ტყვეები ისე დიდის რაოდენობით იყვნენ რომ გვაბრკოლებდნენ. მრავალი მათგანი გაიქცა გზიდან შვეიცარიით, თუმცა გენერალი რეი მათ გზავნიდა 4.000 კაცისაგან შემდგარი ბადრაგის თანხლებით.

იმ დამსახურების აღსანიშნავად, რომელიც ამდენ ბრძოლაში გენერალ მასენას მიუძღვოდა, იმპერატორმა შემდგომ მას რივოლის ჰერცოგობა უბოძა.

X

მანტუის მეციხოვნეები უკვე დიდი ხანია რაც ნახევარ ულუფაზე იმყოფებოდნენ; ცხენები სულ შესჭამეს. ვურმზერს აცნობეს რივოლის ბრძოლის შედეგი, და მას აღარაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მას მოსთხოვეს—დანებებულიყო. მან ამაყად უპასუხა რომ სურსათი კიდევ ერთ წელს მეყოფაო. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მისი პირველი ადიუტანტი კლენაუ სერიურიეს მთავარ ბანაკში მივიდა. იგი ირწმუნებოდა რომ მეციხოვნე ჯარს კიდევ სამი თვის სურსათი მოეპოვებაო, მაგრამ ფელდმარშალი ფიქრობს რომ ავსტრიას არ ძალუძს დროზე იხსნას ციხე და ჩემს მოქმედებას შევუფარდებ იმ პირობებს, რომლებსაც შემთავაზებენო. სერიურიემ უპასუხა რომ ამაზე მთავარსარდალს შეეკითხებიო. ნაპოლეონი როვერბელას გაემგზავრა და, თავის მაზარაში გახვეული, ინკოგნიტოდ დაესწრო ორ გენერალს შორის გამართულ საუბარს. კლენაუმ მოიშველია ყველა ჩვეულებრივი საბუთი და დიდხანს ილაყბა იმ ვითომდა დიდ საშუალებებზე, რომლებიც ვურმზერის განკარგულებაში იყო, და სურსათის დიდ რაოდენობაზე, რომელიც მას სამარაგო საწყობებში მოეპოვებოდა. მთავარსარდალი მაგიდას მიუახლოვდა, აიღო კალამი და ვურმზერის წინადადებათა გვერდით დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში სწერდა თავის გადაწყვეტილებებს, სანამ დისკუსია სერიურიესთან ჯერ კიდევ გრძელდებოდა. როცა დაამთავრა, მან უთხრა კლენაუს: „ვურმზერი რომ დანებებულიყო იმ შემთხვევაში თუ მას ექნებოდა თვრამეტი ან ოცი დღის საყოფი სურსათი, იგი საპატიო კაპიტულაციის ღირსი არ იქნებოდა. მაგრამ მე პატივს ვცემ ფელდმარშლის წლოვანებას, სიმამაცეს და უბედურებას, რომელიც მას დაატყდა. აი პირობები, რომლებსაც მე მას ვთავაზობ თუ იგი ხვალ გააღებს ციხის კარებს. თუ იგი დააყოვნებს ციხის ჩაბარებას ნახევარი თვით, ერთი თვით, ორი თვით, პირობები მისთვის იგივე რჩება. მას შეუძლია დაელოდოს პურის უკანასკნელ ლუკმამდე. მე დაუყოვნებლივ გადავალ პოზე და გავილაშქრებ რომზე. აი თქვენ ჩემი განზრახვები. კეთილი ინებეთ და მოახსენეთ ისინი თქვენს მთავარსარდალს“.

კლენაუ, რომელმაც პირველ სიტყვებში ვერაფერი გაიგო, მალე მიხვდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ის გაეცნო შეთავაზებულ გადაწყვეტილებებს და მადლობის გრძნობით გაიმსჭვალა ასეთი მოულოდნელი გულუხვობისათვის.

ამის შემდეგ დაფარვას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. მან აღიარა რომ მხოლოდ სამი დღის საყოფი სურსათი-ღა დაგვრჩაო. ვურმზერმა კაცი გამოგზავნა მთავარსარდალთან, რომელსაც პოზე გადასვლის განზრახვა ჰქონდა, და სთხოვდა მოეხდინა გადასვლა მანტუაში, შემოვლისა და ცუდ გზებზე სიარულის ასაცილებლად, მაგრამ ყველა სამგზავრო განკარგულება გაცემული იყო ადრევე. ვურმზერი მადლობას უხდიდა წერილში ნაპოლეონს, ხოლო რამდენიმე დღის შემდგომ ადიუტანტი გაგზავნა მასთან ბოლონიაში და აცნობა რომ შეთქმულებაა შენი მოწამლვის მიზნით, რაც შესრულებულ უნდა იქნას რომანიაშიო, და არიგებდა მას, თუ როგორ უნდა დაეცვა ამისაგან თავი. ეს გაფრთხილება სასარგებლო აღმოჩნდა.

გენერალი სერიურიე მანტუას იბარებდა და ნახა — როგორ გაიარა მის წინ მოხუცმა ფელდმარშალმა და მისი არმიის მთელმა შტაბმა. ნაპოლეონი უკვე რომანიაში იყო. მთელს ევროპაში აღნიშნეს ის გულგრილობა, რომლითაც მან თავი აარიდა ისეთ სასიამოვნო სანახაობას, როგორიცაა სახელგანთქმული ფელდმარშლის, ავსტრიის შეიარაღებულ ძალთა გენერალისიმუსის, დანებება თავისი შტაბითურთ და ამ ფერდმარშლის მიერ თავისი ხმლის მისთვის გადაცემა.

მანტუის ციხეში იყო კიდევ 20.000 კაცი, რომელთაგან 12.000 სავსებით ჯანმრთელი იყო, 30 გენერალი, 80 სხვადასხვა მოხელე და მოსამსახურე და ვურმზერის მთელი მთავარი ბანაკი. სამი ბლოკადის განმავლობაში ივნისიდან ამ ციხეში სამხედრო საავადმყოფოებში მოკვდა და სხვადასხვა გამოხდომის დროს მოკლულ იქნა 27.500 კაცი.

ენის დეპარტამენტის, წინანდელი ბრესტის პროვინციის, მკვიდრი ჟუბერი საადვოკატო კარიერისათვის ემზადებოდა. რევოლუციამ აიძულა იგი — ჯარში შესულიყო. ის მსახურებდა იტალიის არმიაში, სადაც მან მიიღო ბრიგადის გენერლობა. იგი იყო მაღალი ტანის, გამხდარი და ბუნებით სუსტი აგებულებისა ჩანდა, მაგრამ მან გააკაჟა თავისი სხეული ლაშქრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სიძნელეებსა და სამთო ომში. ის იყო შეუპოვარი, ფხიზელი, ენერგიული. 1796 წლის ნოემბერში იგი დაინიშნა დივიზიის გენერლად ვობუას ნაცვლად. ის სარდლობდა ტიროლში მოქმედ ჯარებს. ლაშქრობა გერმანიაში, როგორც ამას შემდგომ დავინახავთ, მან ღირსეულად ჩაატარა. იგი დიდი ერთგული იყო ნაპოლეონის, რომელმაც მას დაავალა იტალიის არმიის ნადავლი დროშების წაღება დირექტორიასთან. 1797 წლის ნოემბერში იგი დაქორწინდა სენატორ სემონვილის ქალიშვილზე. 1799 წელს ის ჩაება პარიზის ინტრიგებში და დანიშნულ იქნა იტალიის არმიის მთავარსარდლად მოროს დამარცხების შემდეგ. ის გმირულად მოკვდა ნოვთან ბრძოლაში. ახალგაზრდობის გამო ჟუბერმა ჯერ კიდევ ვერ ნოასწრო მთელი საჭირო გამოცდილების შეძენა. იგი დიდი მხედართმთავრის როლისათვის იყო შექმნილი.

XII თ ა ვ ი

ტოლენტინო

I. რომთან დადებული დროებითი ზავის დარღვევა (1797 წლის 1 თებერვალს).—II პაპის არმია.—III. ბრძოლა სენიოსთან; რომანიის დამორჩილება.—IV. სენიოს ბრძოლაში წაყვანილი ტყვეების დაბრუნება. V. ბრძოლა ანკონასთან და მისი აღება.—VI. კამალდულელთა ორდენის გენერალის მისია პაპ პიი VI-სთან.—VII. ტოლენტინოს ხელშეკრულება (19 თებერვალი).—VIII. მანტუა—IX. სამბრ-მაასისა და რაინის არმიების ორი დივიზიის მისვლა იტალიაში.

I

კარდინალი ბუსკა უკვე ექვსი თვე იყო რაც კარდინალ ცელადას მაგიერობას სწევდა რომის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე. მან გასწყვიტა საფრანგეთთან ურიერთობა, აშკარად დაუკავშირდა ავსტრიას და უფრო გულმოდგინებით, ვიდრე წარმატებით, ჩუშაობდა დიდი ჯარის შექმნაზე. მას სურდა კვლავ ის დრო დაბრუნებულიყო, როცა პაპის ჯარები სწყვეტდნენ ნახევარკუნძულის ბედს. ის აქეზებდა და აიძულა კიდეც რომის დიდკაცობა—გამოეყვანა შეჭურვილი ლეგიონები, ცხენები და მოეცა შეიარაღება. ამ კარდინალს დიდად სწამდა იტალიელთა ერთგულება თავისი სარწმუნოებისადმი და აპენინის ხალხთა ბუნებრივი საბრძოლო სულისკვეთება. ნაპოლეონს მოუხდა ათასგვარი შეურაცხყოფისა და წყენის გადატანა, მაგრამ მანტუის დაცემამ მას, ბოლოს, სამაგიეროს გადახდევინების შესაძლებლობა მისცა.

კარდინალ ბუსკას შიკრიკი, წარგზავნილი რომის საქმეთა რწმუნებულთან ვენაში, მონსენიორ ალბანისთან, შეპყრობილ იქნა მეცოლას ახლოს 10 იანვარს 1797 წელს; ამან ვატიკანის მთელი პოლიტიკა გამოამჟღავნა. ეს მინისტრი-კარდინალი სწერდა: „ფრანგებს ზავი სურდათ, ამას ისინი დაჟინებით მიესწრაფოდნენ, მაგრამ მას, ბუსკას, ზავის დადებისაგან თავი შორს ეკავა, ვინაიდან პაპი მთლიანად მიენდო ავსტრიის სასახლის ბედს. ბოლონიის დროებითი ზავის პირობები არ სრულდება და არც იქნება შესრულებული, მიუხედავად განუწყვეტელი ჩივილისა საფრანგეთის დესპანის კაკოს მხრივ. წმინდა ტახტის სამფლობელოებში ენერგიულად წარმოებს ახალი ჯარების შეგროვება. პაპი ღებულობს გენერალ კოლის, რომელიც მას იმპერატორმა შესთავაზა თავისი არმიის სარდლად. საჭიროა რომ ამ გენერალმა მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიყვანოს ავსტრიელი ოფიცრები, განსაკუთრებით—საარტილერიო და საინჟენრო. გაცემულია განკარგულება მათ შესახვედრად ანკონაში. პაპმა გულისტკივილით, გაიგო რომ კოლიმ უნდა ინახულოს და შეუთანხმდეს ალვინცის, რომლის მოქმედებით პაპი უკმაყოფილო იყო. კარგი იქნებოდა რომ კოლის მოეხდინა პაპის ჯარების დათვალიერება რომანიაში, სანამ რომს გაემგზავრებოდეს, და ა. შ.“

დაუყოვნებლივ გაიგზავნა შიკრიკი საფრანგეთის დესპან კაკოსთან, რომელსაც ებრძანა დაეტოვებინა რომი. „რამდენიმე თვის განმავლობაშიო,—სწერდა მას ნაპოლეონი,—შეურაცხყოფას გაყენებდნენ და გამცირებდნენ,

ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა აეძულებინეთ რომიდან წასვლაზე. ამჟამად თავი აარიდეთ ყველაფერს, რასაც კი შეუძლია თქვენი დაყოვნება. გამოდით ამ წერილის მიღებისთანავე". ამ დესპანმა სახელმწიფო მდივანს ბუსკას მისწერა: „მე მიწვევენ ჩემი მთავრობის ბრძანებით და ვალდებულს მხდიან ამ საღამოსვე წავიდე ფლორენციას. მაქვს პატივი ვაუწყო ეს თქვენს მაღალუსამღვდელოესობას. მიიღეთ ჩემი თქვენდამი პატივისცემა".

კარდინალმა ბუსკამ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი როლი და უპასუხა: „კარდინალი ბუსკა დიდი ხანია ელოდა იმ ცნობის, რომელიც ღრმად პატივცემულმა ბ-ნმა კაკომ ეს-ორის ახლა გადასცა. მისი უეცარი წასვლა ფლორენციას საშუალებას არ აძლევს კარდინალს—გააკეთოს სხვა რამე გარდა იმისა რომ დაარწმუნოს იგი მისდამი თავის ღრმა პატივისცემაში".

იმავე დროს გენერალი ვიქტორი ქვეითი ჯარის 4.000 კაცით და 600 ცხენოსნით გადავიდა პოზე ბორგოფორტეში და შეუერთდა ლაგოცის იტალიის დივიზიის 4.000 კაცს ბოლონიაში. ეს 9.000 კაცი საკმაო იყო საეკლესიო ოლქის დასაპყრობად.

რამდენიმე დღის შემდგომ ნაპოლეონი გაემგზავრა ბოლონიას და გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც შემდეგ მუხლებს შეიცავდა:

„მუხ. I. წმიდა ტახტმა ოფიციალურად უარი სთქვა 23 ივნისს ბოლონიაში ესპანეთის შუამავლობით დადებული და 27 ივნისს რომში ზეიმით რატიფიცირებული დროებითი ზავის VIII და IX მუხლის შესრულებაზე.

მუხ. II. ის განუწყვეტლივ იარაღდება და თავისი მანიფესტებით მოუწოდებს ხალხებს ომისაკენ. მან დაარღვია ბოლონიის ტერიტორიის ხელუხლებლობა; მისი მხედრობა 10 მილით მიუახლოვდა ამ ქალაქს და მის დაკავებას იმუქრებოდა.

მუხ. III. მან დაიწყო საფრანგეთისადმი მტრული მოლაპარაკება ვენის კართან, როგორც ეს მტკიცდება კარდინალ ბუსკას წერილებით და პრელატ ალბანის მისიით ვენაში.

მუხ. IV. მან თავისი ჯარების სარდლობა ვენის კარის მიერ გამოგზავნილ ავსტრიელ გენერლებსა და ოფიცრებს მიანდო.

მუხ. V. მან უარი სთქვა ეპასუხნა საფრანგეთის რესპუბლიკის დესპანის, მოქალაქე კაკოს მიერ მისთვის შეთავაზებულ წინადადებებზე საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

მუხ. VI. ამგვარად, დროებითი ზავის ხელშეკრულება დარღვეულია წმიდა ტახტის მიერ.

ამის გამო ვაცხადებ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკასა და რომის კარს შორის 23 ივნისს დადებული დროებითი ზავი შეწყვეტილია".

ამ მანიფესტის დასადასტურებლად გამოაქვეყნეს კარდინალ ბუსკას წერილები, რომლებიც მათ ხელში ჩაუვარდათ. აქვე შეიძლებოდა მრავალი სხვა საბუთის დართვა, მაგრამ ეს წერილებიც ყველაფერს ამტკიცებდნენ: კარდინალ მატეის, ბრუშიაში სამ თვეს შეთვალყურეობაში ყოფნის შემდგომ, ნება მიეცა დაბრუნებულიყო რომს. მან რამდენჯერმე მისწერა წერილი ნაპოლეონს, რომელთანაც მას ნაცნობობა ჰქონდა. ნაპოლეონმა ისარგებლა ეს გარე-

მოება და მატეის ხელით წარგზავნა კარდინალ ბუსკას ეს ჩამორთმეული წერილები. წერილების წაკითხვამ შეაძრწუნა საღმრთო კოლეგია და ენა დაუბა ამ მინისტრის მომხრეთ.

II

1797 წლის 2 თებერვალს მთავარი ბანაკი იმოლაში მოთავსდა ეპისკოპოს კიარამონტის, შემდგომ პაპი პიი VII-ის სასახლეში. საფრანგეთის მცირერიცხოვანი არმია კასტელ-ბოლონიეზეს მიუახლოვდა; მის წინ სენიოს მარჯვენა ნაპირზე პოზიციაზე იდგა პაპის არმია და იცავდა ხიდის გადასასვლელს. ეს არმია 6.000—7.000 რეგულარული მხედრობისა და იმ ფანატიკოს გლეხებისაგან შედგებოდა, რომლებიც საგანგაშო ზარის ხმაზე შეგროვდნენ და ბერების უფროსობის ქვეშ იყვნენ. მას რვა ზარბაზანი ჰქონდა. ფრანგები ბრძოლისთვის მოემზადნენ. მღელვარე დღე იყო. როდესაც ფრანგები საგუშაგო რაზმს აყენებდნენ, მოვიდა მოციქული და კარდინალ-მთავარსარდლის სახელით მასხარას სახით განაცხადა რომ „ოუ ფრანგის ჯარი წინსვლას განაგრძობს, მას სროლას აუტეხენო“. ამ საშინელ მუქარაზე ბევრი იცინეს.

მას უპასუხეს რომ „სრულიად არ გვსურს თავს დავიტეხოთ კარდინალის რისხვა, და თუ პოზიციაზე დავდეგით, ეს უბრალოდ, იმისთვის რომ ღამე გავათენოთ“. მაგრამ კარდინალ ბუსკას იმედები წარმატებით ხორციელდებოდა. რომანია ბობოქრობდა; აქ გამოცხადებულ იქნა საღმრთო ომი, და საგანგაშო ზარის რეკა მთელ სამ დღეს არ შემწყდარა. მოსახლეობა გააფთრებამდე და გაშმაგებამდე იყო მიყვანილი. ორმოცსაათიანი პარაკლისები, საყოველთაო-სახალხო პროცესიები ქალაქებისა და დაბა-სოფლების მოედნებზე, ცოდვათა მიტოვების სიგელები, სასწაულებიც კი—ყოველივე ამოქმედებულ იქნა. აქ იყო სისხლმომდინარე მოწამეთა ხატები, იქ—მტირალი ღვთისმშობლის ქანდაკებები. ყველაფერი მოასწავებდა ისეთ ხანძარს, რომელსაც ფერფლად უნდა ექცია ეს საუცხოო პროვინკია. კარდინალმა ბუსკამ საფრანგეთის ელჩს კაკოს უთხრა: „რომანიისაგან ჩვენ შევქმნით ვანდეას, ჩვენ მასში ავაგებთ ლიგურიის ერთ-ერთ სიმაგრეს, ჩვენ მისგან შევქმნით იტალიის ციხესიმაგრესაო“.

იმოლაში გამოკრულ იქნა შემდეგი მოწოდება:

„საფრანგეთის არმიამ ფეხი შედგა პაპის მიწაწყალზე. იგი ერთგული იქნება იმ პრინციპების, რომლებსაც მუდამ ადგას,—იგი მფარველობას გაუწევს სარწმუნოებას და ხალხს. ფრანგ ჯარისკაცს ცალი ხელით ხიშტი მოაქვს—გამარჯვების ეს უტყუარი საწინდარი, მეორეთ—ზეთის ხის რტო—მშვიდობიანობის სიმბოლო და თავისი მფარველობის საწინდარი. ვაი მათ, ვინანიც, პირმოთნეთა მიერ გაბრიყვებულნი, თავიანთ საცხოვრებელთ თავს დაატეხენ იმ არმიის რისხვას, რომელმაც ექვსი თვის განმავლობაში ტყვედ წამოიყვანა 100.000 კაცი იმპერატორის საუკეთესო მხედრობიდან, ხელთ იგდო 400 ზარბაზანი, 110 დროშა და მოსპო ხუთი არმია!“

III

3 ივნისს, დილის 4 საათზე, გენერალი ლეონი, საფრანგეთის მცირე არმიის მოწინავე რაზმის მეთაური, აჰყვა მდ. სენიოს აღმა მიმართულებით ერთნახევარ

ლიეზე, განთიადზე ფონს გავიდა, დაიკავა საბრძოლო ხაზი პაპის ჯარის ზურგში და მით გადაუჭრა მას ფაენცასკენ მიმავალი გზა. გენერალი ლაგოცი, რომელსაც იფარავდა ბატარეა და უამრავი მეთოფე, მიჯრილი კოლონით გადავიდა ხიდზე. შეიარაღებული ბრბო მყისვე გაიქცა. არტილერია, აღალები—ყველაფერი წაართვეს; 400—500 კაცი აჰკუწეს; რამდენიმე ბერი დაიღუპა ჯვარცმით ხელში. თითქმის მთელი რეგულარული ჯარი ტყვედ იქნა წამოყვანილი. კარდინალ-გენერალი გაიქცა. ბრძოლა ერთ საათსაც არ გაგრძელებულა. ფრანგების მხრივ დანაკლისი უმნიშვნელო იყო.

იმავე დღეს ფრანგები ფაენცას მიადგნენ. ქალაქის კარი ჩარაზული იყო, საგანგაშო ზარი გუგუნებდა, მიწის ზვინულებზე რამდენიმე ზარბაზანი იდგა, ხოლო გაცოფებული ხალხი ლანძღვა-გინებით პასუხობდა კარის გაღების მოთხოვნაზე. მოუხდათ კარის მოგლეჯა და ისე შესვლა ქალაქში. „ამ ქალაქს ისევე უნდა მოვექცეთ როგორც პავიასაო!“ ყვიროდნენ ჯარისკაცები. ეს იყო ძარცვა-გლეჯის მოთხოვნა. „არაო,—უპასუხა მათ ნაპოლეონმა:—პავიაში იყვნენ მეამბოხენი, რომელთაც ფიცი გასტეხეს და ჩვენი ჯარისკაცების, თავისი სტუმრების, ამოწყვეტა უნდოდათ; აქ მხოლოდ გააფთრებამდე მისული მყვირალებია, რომლებიც ლმობიერობით უნდა დავამარცხოთო“. მხოლოდ რამდენიმე ტაძარი, იქნა შებღალული. ამ მშვენიერი ქალაქის მისი საკუთარი უგუნურობისგან გადარჩენის შემდგომ შეუდგნენ პროვინციის გადარჩენას. ყველა ოლქში დაგზავნეს აგენტები, რათა ეუწყებინათ მოსახლეობისათვის მომხდარი ამბები, დაეცხროთ აღელვება და მძვინვარება, რამაც უკიდურესობამდე მიაღწია. ყველაზე უტყუარი საშუალება აღმოჩნდა სამხედრო ტყვეების თავიანთ სახლებში გაშვება.

IV

სენიოზე ბრძოლაში წამოყვანილ ტყვეებს თავი მოუყარეს ერთ-ერთი მონასტრის ბაღში. ისინი ჯერ კიდევ შიშით იყვნენ შეპყრობილი და არ იცოდნენ—შეარჩენდნენ თუ არა მათ სიცოცხლეს. ნაპოლეონის მოახლოებისას ტყვეებმა მაშინვე დაიჩოქეს; ისინი ხმამაღლა თხოულობდნენ შებრალებას. ნაპოლეონმა მათ იტალიურად უთხრა: „მე მეგობარი ვარ იტალიის ყველა ხალხის და მეტადრე რომის მოსახლეობის. მე მოვედი თქვენთან თქვენივე სიკეთისათვის. თქვენ თავისუფალი ხართ; დაუბრუნდით თქვენს ოჯახებს და უთხარით მათ, რომ ფრანგები—სარწმუნოების, წესრიგის და ღარიბი ხალხის მეგობრები არიანთქო“. დაბნეულობა სიხარულმა შესცვალა. ამ საცოდავებმა იწყეს მადლობის გამოთქმა ისეთი სიცხოველით, როგორც ეს იტალიის ხასიათს სჩვევია.

ნაპოლეონი იქიდან სატრაპეზოში გაემართა, სადაც თავი მოუყარეს ყველა ოფიცერს. ისინი რამდენსამე ასეულს შეადგენდნენ და მათ შორის რამდენიმე კაცი რომის საუკეთესო გვარეულობიდან იყო. მან დიდხანს ესაუბრა მათ, ილაპარაკა იტალიის თავისუფლებაზე, პაპის მთავრობის ყოველგვარ ბოროტებაზე, იმაზე, რაც მასში სახარების სულს ეწინააღმდეგებოდა, ძლევამოსილი არმიისათვის წინააღმდეგობის გაწევის უაზრობაზე, იმ არმიისათვის, რომელიც შედგება მსოფლიოში ყველაზე დისციპლინებულ და ყველაზე გამობრძმედილ

ჯარისკაცებისაგან. მან ნება დართო მათ წასულიყვნენ თავიანთ სახლებში და სთხოვა მხოლოდ რომ მისი ამ კეთილმოწყალების სანაცვლოდ ყველასთვის გაეცნოთ ის გრძნობები, რომლებიც ამოძრავებდა მას მთელი იტალიისა და მეტადრე რომის მოსახლეობის მიმართ. ეს ტყვეები მისიონერებად იქცნენ, რომლებიც პაპის ყველა სამფლობელოს მოედვნენ და დაუღალავად აქებდნენ და ადიდებდნენ იმას, ვინც ასე კარგად მოექცა მათ. ამ ამბავმა აპენინის ყველაზე შორს მივარდნილ ქოხმახებს მიაღწია. საქმე კარგად შეტრიალდა: განწყობილება შეიცვალა.

არმია მივიდა ფორლს, ჩეზენას, რიმინს, პეზაროსა და სინიგალიას. მოსახლეობა ყველგან კეთილსასურველად განწყობილი აღმოჩნდა. იგი ერთიდან მეორე უკიდურესობაში მოექცა: სიხარულის აშკარა გამოხატულებით ღებულობდა იმავე ფრანგებს, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინათ სარწმუნოების, საკუთრებისა და კანონების საშინელ ძტრებად მიაჩნდა.

V

პაპის არმიის სარდალი კოლი წინათ პიემონტის არმიას მეთაურობდა მონდოვსა და კერასკოსთან. მან იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. მან კარგი პოზიცია აირჩია ანკონის წინ მაღლობებზე და აქ მოახდინა იმ 3.000 კაცის განლაგება, რომელიც მას დარჩა. მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა საფრანგეთის არმია, სხვადასხვა საბაბით ის და ავსტრიელი ოფიცრები ლორეტოს წავიდნენ. რომანელების მიერ დაკავებული პოზიცია მეტად ძლიერი იყო. გენერალმა ვიქტორმა მოციქული გაგზავნა მათთან და შეუთვალა: დაგვნებდითო.

იმ დროს, როდესაც მოლაპარაკება წარმოებდა, საფრანგეთისა და იტალიის ჯარებმა მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოუარეს პოზიციას, გარემოიცვეს იგი, ხელთ იგდეს მტერი თოფის გაუსროლელად და ისე შევიდნენ სიმაგრეში რომ წინააღმდეგობა არავის ვაუწევია.

ამ ტყვეებსაც ისე მოექცნენ, როგორც წინანდელთ, სენიოზე წამოყვანილთ: ისინი გაგზავნილ იქნენ თავიანთ სახლებში. ესენი ახალ მისიონერებად გამოდგნენ, რომლებიც წინამორბედობდნენ ჯარს.

ანკონა სანაპიროს ერთადერთი ნავსადგურია ვენეციიდან ბრინდიზამდე, იტალიის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილამდე. მაგრამ ეს ნავსადგური მოუვლელობის გამო მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო; ფრეგატებსაც კი არ შეეძლო იქ შესვლა. იმ დღეებში ნაპოლეონმა დაათვალიერა ყველაფერი, რაც უნდა გაკეთებულიყო ციხის გასაუმჯობესებლად და ნავსადგურის შესაკეთებლად. იტალიის სამეფოს არსებობის დროს უდიდესი სამუშაოები იყო შესრულებული. ამჟამად ნავსადგურს შეუძლია მიიღოს ყოველგვარი გემი, სამანძიანიც კი. ებრაელები, ისეთივე მრავალრიცხოვანნი ანკონაში, როგორც მაჰმადიანები ალბანეთსა და საბერძნეთში, ძველისძველ დამამცირებელ ჩვეულებებს ემონებოდნენ. ნაპოლეონის ერთ-ერთ პირველ საზრუნავს შეადგენდა ამ ჩვეულებათაგან მათი განთავისუფლება.

სწორედ იმ დროს, მიუხედავად ჯარის იქ ყოფნისა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შიეშურებოდა ღვთისმშობლის ხატთან, რომელიც მსხვილი კურცხლებით

ტიროდა. აღმოჩნდნენ კეთილგონიერი ადამიანები, რომელთაც ეს ამბავი მოიტანეს. იქ გაიგზავნა მონჟი. მან გვაცნობა რომ ღვთისმშობელი მართლაც ტირის. მონასტრის წინამძღვარს უბრძანეს—მოეტანა იგი მთავარ ბანაკში. აღმოჩნდა რომ ეს იყო ოპტიკური თვალთმაქცობა, რომელიც ხელოვნურად იყო მოწყობილი ჭიქის საშუალებით. მეორე დღეს ღვთისმშობელი კვლავ დადგმულ იქნა საყდარში, მხოლოდ უჭიქოდ: ის უკვე აღარ ტიროდა. ამ თაღლითური ოინის გამომგონებელი ერთი კაპელანი შეპყრობილ იქნა. ეს იყო ხელის შემართვა არმიის უშიშროებაზე.

VI

ამ დროს ვატიკანში დაბნეულობა სუფევდა. იქ ყოველ საათს ცუდი ცნობები მისდიოდათ. ჯერ გაიგეს რომ პაპის არმია, რომელზეც ამდენს იმედს ამყარებდნენ, საესებით მოსპობილ იქნა, ისე რომ სუსტი წინააღმდეგობაც კი არ გაუწევია. უფრო გვიან შიკრიკებმა, რომლებიც იუწყებოდნენ საფრანგეთის არმიის სხვადასხვა ქალაქში მისვლას, მოახსენეს მოსახლეობის განწყობილებაში მომხდარი ცვლილებები. სიძულვილი და ფანატიზმი მეგობრობის გრძნობამ და თავისუფლების სურვილმა შესცვალა. ბუსკა მიხვდა რომ ვანდეა სურვილის მიხედვით არ იქმნება, რომ, თუ მას მართლაც წარმოშობენ არაჩვეულებრივი გარემოებანი, მხოლოდ დიდ შეცთომებს შეუძლიათ მიანიჭონ მას სიმტკიცე და ხანგრძლივობა. მალე გაიგეს რომ საფრანგეთის არმია უკვე დაეპატრონა ანკონას, ლორეტას, მაჩერატას და მისი მოწინავე რაზმი აპენინის მთაგრეხილზე იმყოფებაო. „ფრანგები კი არ მოდიანო,—ამბობდნენ პრელატები,—ისინი მოფრინავენო“.

ამასობაში ფაენციდან და ანკონიდან გაშვებული ტყვე ოფიცრები და ჯარისკაცები რომის ყველა გარეუბანში ხმამაღლა გამოსთქვამდნენ არმიისადმი ნდობის იმ გრძნობებს, რომლითაც ისინი განიმსჭვალნენ. თავისუფლების პარტიამ თავი წამოჭყო და აშკარა ხდებოდა მისი არსებობა შიგ ქალაქში. საღმრთო კოლეგიამ ყოველივე იმედი დაჭკარგა და გადასწყვიტა უშიშარ ადგილას გადასვლა. ჩატარებული იქმნა ყოველივე სამზადისი ნეაპოლს გასაქცევად.

სასახლის ეტლები უკვე შებმული იყო, როცა კამალდულის ორდენის გენერალი ვატიკანში მივიდა და პაპის ფერხთ განერთხო. ჩეზენაზე გავლით მას შეხვდა ნაპოლეონი, რომელმაც იცოდა, თუ რა ნდობით სარგებლობდა ეს ბერი პიი VI-ს თვალში. ნაპოლეონმა მას დაავალა წასულიყო პაპთან და დაერწმუნებია იგი რომ ნაპოლეონი მას არავითარ ვნებას არ მიაყენებს, რომ ის მას პატივს სცემს და რომ პაპს შეუძლია დარჩეს რომში. მან მხოლოდ თავისი კაბინეტი უნდა შესცვალოს და წარგზავნოს ტოლენტინოს სრულუფლებიანი რწმუნებული რესპუბლიკასთან საბოლოო ზავის დადებისა და ხელმოწერის ყველა უფლებით. კამალდულელთა გენერალმა თავისი დავალება წარმატებით შეასრულა.

პაპი დამშვიდდა, მან გადააყენა მარცხიანი ბუსკა, თავისი კაბინეტის საბჭოში დააყენა კარდინალი დორია, რომელიც უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო თავის შეხედულებათა ზომიერებით, უარი სთქვა რომიდან წასვლაზე და დანიშნა რწმუნებულები საბოლოო ზავზე მოსალაპარაკებლად და მის ხელმოსაწერად.

დირექტორიის ინსტრუქციები კრძალავდნენ რომთან ყოველგვარ მოლაპარაკებას. დირექტორიას საჭიროდ მიაჩნდა—ბოლო მოღებოდა პაპის საერო ხელისუფლებას და ამიერიდან აღარ ეფიქრათ მაზე, ვინაიდან შეუძლებელი იყო გამოენახათ სხვა უფრო ხელსაყრელი შემთხვევა, როცა პაპის კარი ამაზე უფრო აშკარა დამნაშავე იქნებოდა, და უაზრობა იყო ჰქონოდათ იმედი გულწრფელი ზავისა კლერიკალებთან, რომლებიც ასე მტრულად იყვნენ განწყობილი რესპუბლიკური პრინციპებისადმი. ეჭვს გარეშეა პაპის საერო ხელისუფლება შეუთავსებელი იყო იტალიის კეთილდღეობასთან. გამოცდილებით ჩანდა რომ ამ კარისაგან არ უნდა ჰქონოდათ არც ზომიერების, არც გულწრფელობის მოლოდინი. მაგრამ ნაპოლეონს მიაჩნდა რომ შეუძლებელი იყო რომის როგორც გარეგოლუციურება, ისე მისი შეერთება ტრანსპადანის რესპუბლიკასთან. თვინიერ ნეაპოლზე შეტევისა და ამ ტახტის დამხობისა. ამ სამეფოში თავისუფლების პარტია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო იმისთვის რომ შეეშფოთებინა სამეფო კარი, მაგრამ მეტად სუსტი იყო იმისთვის რომ დასაყრდენად ყოფილიყო და ნამდვილი დახმარება აღმოეჩინა საფრანგეთის ჯარისათვის. ნეაპოლის სამეფო კარი გრძნობდა რომ რევოლუციას რომში შედეგად მისი დამხობა მოჰყვებოდა. მაგრამ ნეაპოლზე შეტევისათვის საჭირო იყო 20.000—25.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, ეს კი სრულიად არ ეთავსებოდა ნაპოლეონის პროექტს—ეკარნახებია ზავი ვენის ახლოს.

VII

საფრანგეთის არმიის მოწინავე რაზმმა აპენინები გადაიარა; იგი რომიდან სამ ეჯზე იმყოფებოდა. მთავარი ბანაკი 13 თებერვალს მივიდა ტოლენტინოს. კარდინალი მატეი, მონსინიორი გალეპი, ბრას ჰერცოგი და მარკიზი მასინი, პაპის სრულუფლებიანი დესპანები, ერთდროულად მივიდნენ იქ. თათბირები 14-ს გაიხსნა. ყველას მაგიერ მონსინიორმა გალეპიმ ილაპარაკა. ამ პრელატის სიტყვებში მეტისმეტად დიდი ადგილი ეკავა ქადაგებას სათნოებაზე. მაგრამ პაპის კარი დამნაშავე იყო და ამიტომ ის უნდა დასჯილიყო. მას შეეძლო მხოლოდ იმ პირობით არსებობა, თუ დასთმობდა დაპყრობილ პროვინციებს ანდა ტოლფასიან ხარაჯას გადაიხდიდა. დაპყრობილი იყო სამი სალეგატო, საჰერცოგო ურბინო, ანკონა, პროვინციები მაჩერატა და პერუჯა. ამგვარად, მოლაპარაკების ბაზის გამორკვევის შემდგომ ზავის დადებას მხოლოდ ხუთი დღე მოუნდა საკამათოდ. გალეპიმ, რომელიც თავდაპირველად პაპის ფინანსების სრულ დაღუპვაზე ლაპარაკობდა, გამონახა საშუალებანი, რომელთა მეოხებით შეიძლებოდა პროვინციების გამოსყიდვა ან-და იმათი რიცხვის შემცირება, რომლებიც პაპს უნდა დაეთმო. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა იმ მონასტერში, სადაც მთავარი ბანაკი დადგა.

ნაპოლეონი დიდხანს დაჟინებით მოითხოვდა პაპისგან რომ ინკვიზიცია მოსპობილიყო. ის უმტკიცებდა მას რომ ინკვიზიცია ის აღარ არის, რაც წინათ იყო, რომ ამჟამად ინკვიზიცია უფრო საპოლიციო ტრიბუნალს წარმოადგენს, ვიდრე სარწმუნოებრივი სინდისის სასამართლოსო, რომ აუტოდაფე უკვე აღარ არსებობსო. ის დარწმუნებული იყო თავისი მსჯელობის სისწორეში, მაგრამ უარი სთქვა ხელშეკრულების ამ პარაგრაფზე პაპის საა-

მებლად, რომელსაც ამის გამო კერძო მიმოწერა ჰქონდა მასთან. ნაპოლეონი დაკმაყოფილდა ბოლონიის სალეგატოებს, ფერარასა და რომანიას, და უფლებას—ჰყოლოდა მეცხოვნე ჯარი ანკონაში. ეს იყო იმავე პრინციპის შედეგი, რომლის მიხედვითაც მან თავს იდვა პატივისცემით მოპყრობოდა პაპის საერო ხელისუფლებას. მას რომ, როგორც ეს ტრანსპადანის პატრიოტებს სურდათ, გაედიდებინა ეს ახალი რესპუბლიკა ურბინოს საჰერცოგოთი, ანკონით, ფერარის და მაჩერატის პროვინციებით და მისი საზღვრები ტრონტოსა და აპენინებზე დაეწესებინა, იგი ნეაპოლის სამეფოს მოსაზღვრე აღმოჩნდებოდა. ამ სახელმწიფოსთან ომი გარდუვალი იქნებოდა. ომი მოხდებოდა, თუნდაც საფრანგეთსა და ნეაპოლს არ სდომოდათ. თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ეს სამეფო კარი რომთან მოლაპარაკობას, იქიდან ჩანს რომ თავადი პინიატელი, ნეაპოლის პრემიერ-მინისტრი, მოჰყვებოდა საფრანგეთის მთავარ ბანაკს ბოლონიიდან. ეს საკმარისად მაჩვენებელი იყო მისი შეშფოთების. ამ თავადს არც ნიჭი აკლდა და არც ენერგია, მაგრამ დაზვერვის ხერხებში იგი არაფერს არ თაკილობდა. ბევრჯერ, განსაკუთრებით ლორეტაში და ტოლენტინოს მოლაპარაკების განმავლობაში, წაუსწრიათ, როცა იგი ფარულად ყურს უგდებდა კარებთან, რის გამო შესაძლებელი იყო რომ ბოქაულებს გაეძევებიათ და ამრიგად სირცხვილში ჩაეგდო თავი.

ზავმა შეაჩერა ფრანგის ჯარების წინსვლა.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდგომ მთავარსარდალმა დაავალა გენერალ ვიქტორს—თვალყური ედევნებინა მისი შესრულებისათვის, თავისი ადიუტანტი პოლკოვნიკი ჟიუნო წარგზავნა მოკრძალებული წერილით პაპისადმი და გაემართა მანტუას.

VIII

მანტუა უკვე მთელი თვე რესპუბლიკის ხელთ იყო. სამხედრო საავადმყოფოები მასში ჯერ კიდევ გავსებული იყო ავადმყოფი ავსტრიელებით. ნაპოლეონი გაჩერდა ჰერცოგის სასახლეში და აქ რამდენიმე დღე დაჰყო. ამ ქალაქში მრავალი საუცხოო სურათი აღმოჩნდა. მან განკარგულება გასცა გაეგზავნათ ისინი პარიზის მუზეუმში. თვალწარმტაცმა ფრესკებმა ჯულიო რომანოს ტიტანების ომიდან მცოდნეთა აღტაცება გამოიწვია „ტე“-ს, სასახლეში. მხატვართა კომისიამ წარადგინა რამდენიმე პროექტი, რათა მოეხსნათ ფრესკები და გაეგზავნათ ისინი პარიზს, მაგრამ საშიში იყო რომ ეს შედევრები შეიძლება დაღუპულიყო ან გაფუჭებულიყო. ნაპოლეონმა ბრძანა დაეწესებინათ სანიმუშო საინჟენრო არსენალი და დაავალა გენერალ შასელუს, ინჟენერთა უფროსს, გაეუმჯობესებია საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ყველაზე სუსტ პუნქტებს მაშინ პრადელისა და პიეტოლის უბნები წარმოადგენდა. დაუყოვნებლივ შეუდგნენ იქ მუშაობას, რათა საერთო დონემდე მიეყვანათ ისინი. გაცემული იყო ყოველგვარი განკარგულება მანტუის შესაიარაღებლადაც.

შემდგომ იგი გაემგზავრა მილანს, იტალიის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცენტრში. საზოგადოებრივმა აზრმა აქ დიდ წარმატებებს მიაღწია.

IX

არკოლის ბრძოლის დროს საფრანგეთის მთავრობამ იტალია კინალამ დაკარგულად ჩასთვალა, და ნაპოლეონს მოუხდა სერიოზულად დაფიქრებულიყო, თუ რა გზას დასდგომოდა საფრანგეთში განწყობილების გამოსაკეთებლად. საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო, მას ვერ გაეგო, თუ რატომ იყო რომ მთელ სიმძიმეს მხოლოდდამხოლოდ ერთ არმიას აკისრებდნენ და იმავე დროს მთელ ქება-დიდებასაც მას მიუძღვნიდნენ. იტალიის არმია თვითონ ძალიან ხმამაღლა სჩიოდა ამას, და ბოლოს გადასწყვიტეს სერიოზულად დახმარებოდნენ მას. დირექტორიამ უბრძანა სამბრ-მაასის არმიის ექვსი ქვეითი და ორი ცხენოსანი ლეგიონისაგან შემდგარ ერთ დივიზიას და ერთს ასეთივე ძალის დივიზიას რაინის არმიიდან—გადასულიყო ალპებზე, რათა იტალიის არმიას შესაძლებლობა მისცემოდა—შეჰბმოდა თანაბარ ძალებს ახალ მოსალოდნელ ბრძოლაში. იტალიის არმიას ემუქრებოდა მაშინ მის მიერ შემდგომ რივოლში დამარცხებული არმია. გზაში ამ მაშველი ძალების მიღება შეფერხდა. ალვინცის მოქმედება დააჩქარა მანტუამ, რომელსაც ძლიერ აწვებოდნენ. მაშველი ძალები მხოლოდ ალპების ძირამდე იყვნენ მისული, როცა გამარჯვებამ რივოლსა და ფავორიტასთან და მანტუის დანებებამ თავიდან ააცილა იტალიას ყოველგვარი საშიშროება. მხოლოდ ტოლენტინოდან დაბრუნების შემდგომ მოახდინა ნაპოლეონმა ამ ახალი ჯარების დათვალიერება. ისინი მშვენივრად იყვნენ, კარგ მდგომარეობაში და კარგად დისციპლინებული. სამბრ-მაასის დივიზიას ბერნადოტის მეთაურობით გზაში დეზერტირობის ძალიან მცირე შემთხვევები ჰქონდა. რაინის დივიზია დელმასის მეთაურობით უფრო სუსტი იყო და უფრო მეტად დაზარალდა დეზერტირობით. ამ დამხმარე რაზმში უნდა ყოფილიყო 30.000 კაცი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ 19.000 აღმოჩნდა. მათი მოსვლის შემდგომ იტალიის არმიას შესაძლებლობა ჰქონდა წამოეწყო—რა სახის ოპერაციაც სურდა, მას შეეძლო აეძულებინა ვენის საიმპერატორო კარი—უარი ეთქვა ინგლისთან კავშირზე.

XIII თ ა ვ ი

ტალიამენტო

I. 1797 წლის ლაშქრობის გეგმა.—II. პიავეზე გადასვლა (12 მარტს).—III. ბრძოლა ტალიამენტოსთან (16 მარტს).—IV. ეროცჰერცოგ კარლოსის დახევა.—V. ბრძოლა გრადისკასთან (19 მარტს).—VI. გადასვლა იულიოსის ალპებზე და მდ. დრავაზე (29 მარტს).—VII. ბრძოლა ტიროლში.

I

ორთავე არმიის—სამბრ-მაასისა და რაინის—წარუმატებლობამ წარსული ლაშქრობის განმავლობაში, ამ არმიების გაუბედავობამ, რაც მათ გამოიჩინეს კელისა და ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრის ალყის დროს, საესებით დაამშვიდა

ამ მხრივ სასახლის სამხედრო საბჭო. თებერვლის დამლევს მან გამოჰყო თავისი საუკეთესო მხედრობის ექვსი დივიზია რაინზე (40.000 კაცი)—ოთხი ფრიულში, ორი ტიროლში. გერმანიაში სახელმოხვეჭილმა ერცჰერცოგ კარლოსმა ბიილო ავსტრიის ჯარების სარდლობა იტალიაში და თავისი მთავარი ბანაკი 6 თებერვალს ინსბრუკს გადაიტანა, მცირე ხნის შემდგომ კი—ვილახსა და გიორცში. თებერვლის განმავლობაში მისმა ინჟენერებმა მოახდინეს იულიოსისა და ნორიჩეს ალპების უღელტეხილთა გამოკვლევა და შეადგინეს იმ სიმაგრეების პროექტი, რომლებიც მათ უნდა აეგოთ თოკლის გადნობისთანავე.

ნაპოლეონს მოუთმენლობა სწვავდა: მას უნდოდა დაესწრო მათთვის, გადასულიყო შეტევაზე და განედევნა ერცჰერცოგი კარლოსი იტალიიდან ჯერ კიდევ გერმანიიდან დაძრული ძლიერი მაშველი ძალების მოსვლამდე.

ნაპოლეონის არმია შედგებოდა რვა ქვეითი დივიზიისაგან და ცხენოსანი ჯარის მარქაფისაგან—53.000 ქვეითი ჯარისკაცისაგან, 120 ქვემეხის მომსახურე 3.000 არტილერისტისაგან, და 5.000 ცხენოსანისაგან. სარდინიის მეფის მიერ წარმოდგენილი კონტინგენტი 8.000 ქვეითი ჯარისკაცს, 2.000 ცხენოსანს და 20 ქვემეხს უდრიდა. ვენეციასთან აგრეთვე დიდიხანია რაც წარმოებდა მოლაპარაკება შეერთებაზე; მისი კონტინგენტი ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც პიემონტის. ამგვარად, ვარაუდობდნენ რომ გერმანიაში 70.000 ქვეითი ჯარისკაცით, 9.000 ცხენოსნით და 160 ქვემეხით შევიდოდნენ. მაგრამ დირექტორია, ყოვლად უცნაურად დაბრმავებული, უარს ამბობდა—დაემტკიცებია ბოლონიის[1] საკავშირო ხელშეკრულება, და მით საფრანგეთის ჯარს სარდინიის კონტინგენტი მოაკლო. ვენეციის სენიორიამ უარჰყო ყოველგვარი წინადადება კავშირზე, და მის მიმართ საჭირო იყო სიფხიზლე. ეს არა მხოლოდ აკლებდა არმიას ვენეციის კონტინგენტს, არამედ აიძულებდა 10.000 კაცის დატოვებას მარქაფად, ზურგის უზრუნველყოფისა და ვენეციის ოლიგარქიაზე მეთვალყურეობისათვის. ამგვარად, ნაპოლეონს შეეძლო შესულიყო გერმანიაში მხოლოდ 50.000 კაცით, რომელთაგან 5.000 კაცი იყო ცხენოსანი და 2.500 არტილერისტი. ის ფიქრობდა რომ სამბრ-მაასისა და რაინის არმიები ერთ არმიად შეერთდებოდნენ და შემდგომ, 120.000 კაცის რაოდენობით, დაიძრებოდნენ სტრასბურგიდან ბავარიისკენ, გადავიდოდნენ ინზე, გავიდოდნენ ენსთან და შეუერთდებოდნენ იტალიის არმიას, რომელიც გადავიდოდა მდ. ტალიამენტოზე, იულიოსის ალპებზე, კარინთიაზე, მდინარეებზე დრავასა და მურზე და გაიწევდა ზემერინგისაკენ. ამნაირად თითქმის 200.000 კაცის რაოდენობით თავმოყრილი ფრანგები შევლენ ვენას, იმავე დროს კი მზვერავი არმია 60.000 კაცის რაოდენობით დაიცავს ჰოლანდს, გარემოიცავს ერენბრაიტენშტაინს, მაინცს, მანჰაიმს, ფილიპსბურგს და დაიცავს დიუსელდორფის, კელის და ჰიუნინგენის ხიდწინა სიმაგრეებს. მაგრამ დირექტორია განაგრძობდა სამბრ-მაასისა და რაინის არმიების ცალკ-ცალკე ყოლას: წარსული ლაშქრობის გამოცდილებამ მისთვის უკვალოდ ჩაიარა.

---

[1] ბოლონიაში 1797 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულება შეტევითი და თავდაცვითი კავშირისა დირექტორიამ არ დაამტკიცა (აგრეთვე მეორე, 1797 წლის 5 აპრილს დადებული, ხელშეკრულებაც).—შენიშვნა ფრანგ. რედ.

იტალიიდან ვენას სამი დიდი გზატკეცილი მიდის: 1) ტიროლის, 2) პონტების (ანუ კარინთიის) და 3) კარნიოლის.

პირველი გზატკეცილი ვერონიდან იწყება, მიდის ადიჯეს მარცხენა ნაპირის გაყოლებით ტრიენტამდე, გადაჰკვეთს ალპების მაღალ მთაგრეხილს ბრენერის უღელტეხილზე, ვერონიდან 60 ლიეზე, და იქიდან, ზალცბურგზე გავლით, თვით დუნაისთან გამოდის, რომლის ნაპირით ეშვება ვენამდე და ჰკვეთს ენსს. ვერონიდან ვენამდე ამ გზით 170 ლიეა.

მეორე გზატკეცილი ჰკვეთს პროვინციებს ვიჩენცას, ტრევიზას, გადადის მდინარეებზე: პიავეზე, ტალიამენტოზე, მიიმართება პონტებაზე და კარნიის ალპებზე და ტარვისის უღელტეხილზე. იქიდან იგი კარინთიაში ეშვება, ჰკვეთს დრავას ვილახში, გადის კლაგენფურტზე, ამ პროვინციის მთავარ ქალაქზე, ებრჯინება მურს, რომლის ნაპირითაც მიდის ბრუკამდე, გადაჰკვეთს ზემერინგს და ეშვება ვენის ველზე. ამ გზატკეცილით მანძილი სან-დანიელედან ვენამდე უდრის 95 ლიეს.

კარნიოლის გზატკეცილი გადადის მდ. იზონცოზე გრადისკაში, მიემართება ლაიბახისკენ, პროვინციის მთავარ ქალაქისკენ, გადაჰკვეთს მდ. სავას, გადადის მდ. დრავაზე მარბურგში, შედის შტირიაში, ჰკვეთს გრაცს, მის მთავარ ქალაქს, და უერთდება კარინთიის გზატკეცილს ბრუკში. ამ გზით მანძილი გიორციდან ვენამდე უდრის 105 ლიეს.

ტიროლის გზატკეცილი ხუთი განივი გზით არის დაკავშირებული კარინთიის გზატკეცილთან. პირველი, რომელსაც ეწოდება პ უ ს ტ ე რ ტ ა ლ ი ს, ბრიქსენიდან გამოიყოფა, გაუხვევს მარჯვნივ, შეხვდება ადიჯეს ერთერთ შენაკადს, გაივლის ლინცზე, შპიტალზე და ვილახის ახლო შეუერთდება კარნიოლის გზატკეცილს; მისი მანძილი 45 ლიეს უდრის. მეორე გამოდის ზალცბურგიდან, გაივლის რაშტადტს და აგრეთვე მიდის შპიტალამდე; მისი მანძილი 32 ლიეს უდრის. 4 ლიეზე რაშტადტს ქვემოთ ამ გზის განტოტება მიემართება მურით შაიფლინგამდე, სადაც კარინთიის გზატკეცილს ხვდება; ეს განტოტება სიგრძით 16 ლიეს უდრის. მესამე გზა ლინციდან დუნაიზე გადის, გადადის ენსზე როტენმანის ახლო, ჰკვეთს მაღალ მთებს და მე-36 ლიეზე კარინთიის გზატკეცილს უერთდება იუდენბურგში. მეოთხე გადის ენსიდან, მიჰყვება მდ. ენსის ნაპირით აღმა 20 ლიეს მანძილზე და ეშვება ლეობენთან; მისი სიგრძეა 28 ლიე. ბოლოს, მეხუთე გადის სანკტ-პელტენიდან და მიდის ბრუკთან; მისი სიგრძეა 24 ლიე.

კარინთიის გზატკეცილი სამი განივი გზით უკავშირდება კარნიოლის გზატკეცილს. პირველი გადის გიორციდან, ადის აღმა იზონცოთი, გაივლის კაპორეტოში, ჰკვეთს ავსტრიის კიუზას და ტარვისში კარინთიის გზატკეცილს უერთდება; მისი სიგრძე 21 ლიეს უდრის. მეორე გამოდის ლაიბახიდან, ჰკვეთს მდინარეებს სავასა და დრავას და გადის კლაგენფურტთან; მისი სიგრძეა 17 ლიე. მესამე გზა იწყება მარბურგიდან, ხვდება დრავას და აგრეთვე კლაგენფურტთან გადის; მისი სიგრძეა 26 ლიე. კლაგენფურტს იქით კარინთიის გზატკეცილს არავითარი გზები, კარნიოლის გზატკეცილთან დამაკავშირებელი, აღარ აქვს. ისინი პარალელურად მიდიან ერთმანეთს დაშორებული 29 ლიე მანძილით ბრუკამდე, სადაც ერთდებიან.

მარტის პირველ დღეებში ერცჰერცოგის არმია 50.000 კაცისგან შედგებოდა, რომელთაგან 15.000 კაცი იმყოფებოდა ტიროლში, დანარჩენი კი პიავეს უკან და იფარავდა ფრიულს. ის უცდიდა აპრილის განმავლობაში რაინიდან გამოგზავნილი ექვსი დივიზიის მოსვლას; ეს მის ძალებს 90.000-ზე მეტ კაცამდე აიყვანდა. უკვე ამ უპირატესობით აშკარა იყო, თუ რა წარმტაცი იმედები ესახებოდა ვენის კაბინეტს. საფრანგეთის არმიას იმ დროს სამი დივიზია ჰყავდა — დელმასის, ბარაგე-დ'ილიეს და ჟუბერის, გენერალ დიუმას ცხენოსანი ბრიგადით; ისინი თავმოყრილი იყვნენ იტალიის ტიროლში გენერალ ჟუბერის მეთაურობით; სულ ამ კორპუსში ითვლებოდა 17.000 კაცი. მასენას, სერიურიეს, ვიოს (ყოფილი ოჟეროს), ბერნადოტის დივიზიები და გენერალ დიუმას ცხენოსანი დივიზია—34.000—35.000 კაცი—თავმოყრილი იყვნენ ბასანოსა და ტრევიზას ოლქებში, მათი წინა საგუშაგოები პიავეს მარჯვენა ნაპირის გასწვრივ იყვნენ დაყენებული. ვიქტორის დივიზია ჯერ კიდევ აპენინებზე იმყოფებოდა. აპრილის პირველ რიცხვებში ის უნდა მისულიყო ადიჯეზე, რათა შეექმნა იქ მზვერავი კორპუსის ბირთვი ვენეციელთა წინააღმდეგ. თანდათანობით მომავალ ფრანგთა, ლომბარდიელთა, ცისპადანელთა და ბოლონიელთა სალაშქრო ათასეულებს ეს საარმიო კორპუსი 20.000 კაცამდე უნდა აეყვანათ.

როდესაც გაიგეს რომ ერცჰერცოგი 6 თებერვალს ინსბრუკს მივიდაო, ეგონათ რომ იგი მთელ თავის ძალებს თავს მოუყრის ტიროლში და ტალიამენტოს უკან 6.000-კაციან დივიზიის გამოყვანით დაკმაყოფილდებაო. ამით 20 დღით დაჩქარდებოდა რაინიდან გამოგზავნილი ექვსი დივიზიის შეერთება მის არმიასთან. მაშინ მას შეეძლო იერიში მიეტანა გენერალ ჟუბერზე, გაეძევებინა იგი ავიჩიოს პოზიციიდან და უკუეგდო იტალიაში. თებერვლის პირველსავე დღეებში მთავარსარდალმა აცნობა გენერალ ჟუბერს, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა მას და უბრძანა მდ. ავიჩიოსა და ტორბოლესა და მორის ხაზს შორის აერჩია სამი პოზიცია, რომლებზეც მას შეეძლო თავისი საარმიო კორპუსით შეეჩერებინა ერცჰერცოგის მსვლელობა და მოეგო რვა-ათი დღე, რათა ბრენტაზე მდგომი დივიზიებისათვის მიეცა შესაძლებლობა, ბრენტის ხეობებით დაძრულთ, გვერდიდან დაერტყათ ერცჰერცოგის ჯარისათვის.

II

მაგრამ ერცჰერცოგმა, თანახმად სასახლის სამხედრო საბჭოსმიერ მისთვის ნაბრძანები გეგმისა, თავის მთავარ ძალებს თავი მოუყარა ფრიულში, და ეს საფრანგეთის არმიას შესაძლებლობას აძლევდა მიეტანა მასზე იერიში ჯერ კიდევ 20 ეჯით დაშორებული რაინის დივიზიების მოსვლამდე.

ამას ითვალისწინებდა ნაპოლეონი, როცა მან 9 მარტს თავისი მთავარი ბანაკი ბასანოს გადაიტანა. ბრძანებაში შემდეგი სიტყვებით მიმართა მან ჯარს:

„ჯარისკაცებო, მანტუის აღებით ეს-ეს არის დამთავრდა იტალიის ომი, რომელმაც უკვდავჰყო თქვენი სახელი სამშობლოს გულში. თქვენ გაიმარჯვეთ

14 დიდ ბრძოლასა და 70 შეტაკებაში. თქვენ წამოიყვანეთ 100.000 ტყვე, ხელთ იგდეთ 500 საველე ზარბაზანი, 2.000 მძიმე ქვემეხი, ოთხი საბონდო პარკი. იმ ხარაჯით, რომელიც დაეკისრა თქვენ მიერ დაპყრობილ ქვეყანას, შესაძლებელი შეიქნა თქვენი რჩენა-შენახვა და თქვენთვის ჯამაგირის მოცემა. გარდა ამისა, თქვენ 30 მილიონი გაუგზავნეთ ფინანსთა მინისტრს სახელმწიფო ხაზინის დასახმარებლად. თქვენ გაამდიდრეთ პარიზის მუზეუმი ძველი და ახალი იტალიის ხელოვნების 300 ნაწარმოებით, რომელთა შექმნას სამი საუკუნე მოუნდა. რესპუბლიკას თქვენ შესძინეთ ევროპის უმშვენიერესი ოლქები. ტრანსპადანის და ცისპადანის რესპუბლიკები თავიანთ თავისუფლებას თქვენ უნდა გიმადლოდეს. საფრანგეთის ალმები პირველად ფრიალებენ ადრიატიკის ნაპირებზე ალექსანდრეს სამშობლოს პირისპირ, მისგან 24 საათის მანძილზე. სარდინიისა და ნეაპოლის მეფეები, პაპი, პარმის ჰერცოგი კოალიციას ჩამოცილებული არიან. თქვენ გააძევეთ ინგლისელები ლივორნოდან, გენუიდან, კორსიკიდან... მაგრამ თქვენ უფრო მაღალი დანიშნულება მოგელისთ! და თქვენ მისი ღირსი იქნებით!

მთელ მტრებში, რომლებიც გაერთიანდნენ რესპუბლიკის დასახრჩობად თვით მის წარმოშობისთანავე, ჩვენს წინაშე მხოლოდ ერთი იმპერატორი დარჩა.... მას უკვე აღარა აქვს არც თავისი პოლიტიკა, არც თავისი ნებისყოფა, მას აქვს მხოლოდ პოლიტიკა და ნებისყოფა იმ მუხანათი მთავრობის, რომელიც თვითონ არ განიცდის ომის მთელ სიმძიმეს და დასცინის კონტინენტის უბედურებას. აღმასრულებელი დირექტორია არაფერს არ ზოგავდა, რათა ევროპისათვის მშვიდობიანობა მიეცა; თავისი ზომიერებით მისნი წინადადებანი არ შეესაბამებოდნენ მისი არმიების ძალას... ვენამ მას ყური არ ათხოვა, ამიტომ ზავის იმედი აღარ არის, სანამ იმპერატორის სამემკვიდრეო სამფლობელოთა თვით გულამდე არ მივალთ.

იქ თქვენ შეხვდებით გულად ხალხს; პატივისცემით მოეპყარით მის სარწმუნოებას და მის ზნე-ჩვეულებას; დაზოგეთ მისი საკუთრება.

მამაც ჰუნგრელ ხალხს თქვენ მიანიჭებთ თავისუფლებას.

საჭირო იყო პიავეზა და ტალიამენტოზე გადასვლა ავსტრიის არმიის თავალწინ და მისი მარჯვენა ფრთის შემოვლა, რათა მასზე ადრე დაგვეკავებია პონტების ხეობანი. მასენა ბასანოდან გამოვიდა, გადავიდა მთებში პიავეზე, დაამარცხა ლუზინიანის დივიზია, ფეხდაფეხ სდია მას, ხელთ იგდო რამდენიმე ზარბაზანი და 600 ტყვე, რომელთა შორის თვითონ გენერალი ლუზინიანიც იყო, უკუაგდო დივიზიის ნაშთები ტალიამენტოს გაღმა, დაიპყრო ფელტრე, კადორე და ბელუნო. 12 მარტს სერიურიეს დივიზია აზოლოს გაემართა, განთიადზე პიავეზე გადავიდა, დაიძრა კონელიანოსაკენ, სადაც ავსტრიის მთავარი ბანაკი იდგა, და ამნაირად ქვემო პიავეს დამცველ ყველა დივიზიას შემოუარა. ამან საშუალება მისცა გიოს დივიზიას—ნაშუადღევის 2 საათზე გადასულიყო მდინარეზე ოსპედალეტოში, ტრევიზოს წინ. მდინარე ამ ადგილას საკმაოდ დიდია და ამიტომ საჭირო გახდა ხიდი. მაგრამ ჯარისკაცთა მონდომებამ და გულმოდგინებამ შესცვალა იგი. მხოლოდ ერთი შედოლე კინაღამ დაიხრჩო, მაგრამ გადაარჩინა მის საშველად გადამხტარ მარკიტანტ ქალმა. იმავე დღეს სერიურიესა და გიოს დივი-

ზიები მთავარი ბანაკითურთ გაჩერდნენ კონელიანოში. პადუაში მყოფი ბერნადოტის დივიზია მეორე დღეს დაეწია მათ.

მტერმა ბრძოლის ველად ტალიამენტოს ვაკეები აირჩია; მისი კარგი და მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარისთვის აქ უფრო მოსახერხებელი იყო გაშლა და მოქმედება. მტრის უკანა რაზმი ცდილობდა ღამით ფეხი მოეკიდებია საჩილეში, მაგრამ 13-ს გენერალმა გიომ განდევნა იქიდან.

III

16 მარტს, დილის 9 საათზე, ორივე არმია ერთმანეთს შეხვდა. საფრანგეთის არმია მიდიოდა მთავარი ბანაკითურთ ვალვასონეს წინ, ტალიამენტოს მარჯვენა ნაპირზე, მარცხნივ მას ახლდა გიოს დივიზია, შუაგულში—სერიურიეს დივიზია და მარჯვნივ—ბერნადოტის დივიზია. ავსტრიის არმია, თითქმის თანაბარი ძალით, ასეთივე წესით იყო დარაზმული მოპირდაპირე ნაპირზე. ასეთ პოზიციაზე მყოფს, მას პონტების გზატკეცილი დაფარული არა ჰქონდა. ოჩკაის კოლონას და ლუზინიანის დივიზიის ნაშთებს უკვე აღარ შესწევდათ ძალა—შეეჩერებინათ მასენა. ამავე დროს პონტება ყველაზე მოკლე გზა და ბუნებრივი მიმართულება იყო ვენის დასაფარავად.

ერცჰერცოგის ასეთი საქციელი შეიძლება აიხსნას იმ მოსაზრებით რომ იგი მხოლოდ ტრიესტისთვის—ავსტრიის საზღვაო ცენტრისთვის შიშობდა, ანდა რომ პოზიციები მის მიერ ჯერ კიდევ საბოლოოდ დაკავებული არ იყო, ტალიამენტოს ამოფარებით კი ის იმედოვნებდა მოეგო რამდენიმე დღე, რაც დროს მისცემდა რაინიდან მომავალსა და კლაგენფურტს უკვე მისულ გრენადერთა დივიზიას—გაეძლიერებინა მასენას წინააღმდეგ მოქმედი ოჩკაის დივიზია.

ქვემეხების სროლა დაიწყო ტალიამენტოს ორთავე ნაპირზე. მსუბუქმა ცხენოსანმა ჯარმა რამდენიმე იერიში მიიტანა ამ მთის ნაკადის ხრეშზე. საფრანგეთის არმიამ დაინახა რომ მტერს ძალიან კარგად ჰქონდა პოზიცია მომზადებული, შესწყვიტა სროლა, დაიბანაკა და შეუდგა სადილს. ამით ერცჰერცოგი მოსტყუვდა: მან იფიქრა—არმია იმიტომ გაჩერდა რომ მთელ ღამეს იმგზავრაო. მან ჯარები უკან დააყენა და თავის ბანაკში დაბრუნდა. მაგრამ ორი საათის შემდგომ, როცა ყოველივე დამშვიდდა, ფრანგის ჯარი მოულოდნელად თოფქვეშ დადგა. დიუფო მე-27 მსუბუქი ნახევარბრიგადით—გიოს მოწინავე რაზმით—და მიურატი მე-15 მსუბუქი ნახევარბრიგადით—ბერნადოტის მოწინავე რაზმით, თითოეული თავისი დივიზიის მხარდაჭერით, გადაეშვნენ მდინარეში, ამასთან თითოეულ ლეგიონში მათ ჰყავდათ მეორე ათასეულები გაშლილი სახით, პირველი და მესამე კი—კოლონად ქვეგანაყოფებით ოცეულის დისტანციაზე. მტერი სწრაფად სწვდა იარაღს, მაგრამ უკვე მთელმა პირველმა ხაზმა მოასწრო საუცხოო წესრიგით გადასვლა და საბრძოლო განლაგება მეორე ნაპირზე. ყოველი მხრიდან გაჩაღდა ქვემეხისა და თოფის ცეცხლი. ამ ორ დივიზიაზე დართული მსუბუქი ცხენოსანი ჯარი მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე იმყოფებოდა. გენერალ დიუგის ცხენოსანი ჯარის მარქაფის დივიზია და სერიურიეს დივიზია მდინარეზე გადავიდნენ იმ წამსვე, როგორც კი პირველი ხაზი 100 ტუაზით დაშორდა ნაპირს, და შეჰქმნეს მეორე ხაზი. რამდენიმე საათის ბრძოლისა და ქვეითი და ცხენო-

სანი ჯარის მთელი რიგი იერიშების შემდეგ მტერმა, რომელიც უკუგდებულ იქნა გრადისკასა და კოდროიპოზე, და როცა დაინახა რომ შემოვლილია, გენერალ დიუგის დივიზიის წარმატებითი შეტევის შედეგად, დაიწყო დახევა და დაუტოვა გამარჯვებულს რვა ქვემეხი და ტყვეები.

ზარბაზნების პირველ გასროლისთანავე მასენა სან-დანიელეში მდინარეზე გადავიდა. აქ იგი თითქმის არავითარ წინააღმდეგობას არ შეხვედრია, ხელთ იგდო ოზოპო—ეს გასაღები პონტების გზატკეცილისა, რომელიც სათანადოდ არ იყო დაცული მტრის მიერ, და ვენეციის კიუზა. ამრიგად, პონტების ხეობები მის ხელთ აღმოჩნდა. ოჩკაის დივიზიის ნაშთები მან უკუაგდო ტარვისისაკენ.

IV

ერცჰერცოგმა, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო კარინთიით დახევა, ვინაიდან პონტება მასენამ დაიკავა, გადასწყვიტა უდინესა, ჩივიდალესა, კაპორეტოსა, ავსტრიის კიუზასა და ტარვისზე გავლით გამოსულიყო ამ გზაზე. მან წარგზავნა იქ სამი დივიზია და აღალი გენერალ ბაიალიჩის უფროსობით, დანარჩენი ჯარით კი პალმანოვათი და გრადისკათი დაიძრა მდ. იზონცოს დასაცავად და კარნიოლის დასაფარავად. მაგრამ მასენა ტარვისიდან მხოლოდ ორ ეჯზე იმყოფებოდა; ბაიალიჩი კი, რომელიც აღნიშნული გზით მიდიოდა, მისგან ექვს ეჯზე იმყოფებოდა, მაშასადამე ეს მანევრი არმიას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა, და ერცჰერცოგი ამას გრძნობდა. მან პირადად კლაგენფურტს მიაშურა, რათა სათავეში ჩასდგომოდა იქ მყოფ გრენადერთა დივიზიას, და მასენას შეკავების მიზნით ტარვისის წინ დაიკავა პოზიცია. ეს გენერალი ორი დღით შეფერხდა, მაგრამ მიიღო თუ არა ბრძანება,—გაელაშქრნა რადაც არ უნდა დაჯდომოდა ტარვისზე, იგი სასწრაფოდ გაემართა იქით. იქ მის წინ გაჩნდა ერცჰერცოგიც ოჩკაის დივიზიის ნაშთებით და რაინიდან მოსული გრენადერთა საუცხოო დივიზიით. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. იგრძნობოდა რომ ერთსაც და მეორე მხარესაც შეგნებული ჰქონდა გამარჯვების მთელი მნიშვნელობა, ვინაიდან თუ მასენა ტარვისის გასასვლელს დაეპატრონებოდა, იზონცოს ველით მომავალი ავსტრიელთა სამი დივიზია დაკარგულად უნდა ჩათვლილიყო. ერცჰერცოგი თავს არ იზოგავდა და მრავალჯერ კინალამ ტყვედ ჩაუვარდა ფრანგ მეთოფეებს. გენერალმა ბრიუნმა, შემდგომ საფრანგეთის მარშალმა, რომელიც მასენას დივიზიაში ბრიგადას მეთაურობდა, უდიდესი სიმამაცე გამოიჩინა ამ ბრძოლაში. ავსტრიელები დამარცხდნენ. მათ ბრძოლაში ჩააბეს მთელი ძალები უკანასკნელ ათასეულამდე, მაგრამ ვერ მოახერხეს წესრიგით დახევა, და მათი ნაშთები ვილახისკენ, დრავას-გაღმა მდებარე შესაკრებ პუნქტისკენ, გაიქცნენ. ტარვისს დაპატრონებული მასენა განლაგდა იქ ფრონტით ვილახისა და ავსტრიის კიუზასაკენ, საიდანაც უნდა გასულიყო ტალიამენტოს ბრძოლის ველიდან ამ გზით დახეული სამი დივიზია.

V

მეორე დღეს, ტალიამენტოზე ბრძოლის შემდეგ, ერცჰერცოგის მთავარი ბანაკი შევიდა პალმანოვას, ვენეციელთა კუთვნილ ციხეში. აქ მოთავსებული

იყო ავსტრიელთა საწყობები. ერცჰერცოგმა განსაზრა რომ მას მოუხდებოდა 5.000—6.000 კაცის დატოვება ციხის დასაცავად, ვინაიდან მისი საციხო არტილერია ჯერ კიდევ არ მოსულიყო, და ამიტომ დასცალა იგი. ფრანგებმა აქ მეციხოვნე ჯარი დააყენეს და უზრუნველჰყვეს იგი იერიშისაგან. ბერნადოტის დივიზია გრადისკას წინ გაჩნდა იზონცოზე გადასასვლელად. მას დაკეტილი დახვდა ქალაქი, საიდანაც მალე ზარბაზნების სროლა აუტეხეს. იგი შეეცადა მოლაპარაკებოდა ციხისთავს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. ამშინ მთავარსარდალი სერიურიესთან ერთად მალფალკონის გზით დაიძრა იზონცოს მარცხენა ნაპირისაკენ. ხიდის გასაკეთებლად ძვირფასი დრო უნდა დაკარგულიყო. პოლკოვნიკი ადრეოსი, საბონდო პარკების უფროსი, პირველი გადაეშვა იზონცოში, რათა გაეზომა მისი სიღრმე. კოლონებმა მის მაგალითს მიბაძეს; ჯარისკაცები წელამდე წყალში და კროატთა ორი ათისეულის ცეცხლში, რომელნიც შემდეგ გააქციეს, გადიოდნენ მეორე ნაპირს. გადასვლის შემდეგ სერიურიეს დივიზია დაიძრა გრადისკასაკენ, სადაც 19 მარტს საღამოს 5 საათზე მივიდა.

ამ გადასვლის დროს მარჯვენა ნაპირზე გაცხოველებული თოფის სროლა იყო: იქ იბრძოდა ბერნადოტი. ეს გენერალი გაუფრთხილებლად მოიქცა, როცა მან პირდაპირ მიიტანა იერიში ციხეზე; მას დაახევინეს და 400—500 კაცი დაჰკარგა. ამ მეტისმეტ გულადობას ამართლებდნენ სამბრ-მაასის ჯარების სურვილით—გამოეჩინათ თავი და, კეთილშობილ შეჯიბრებაში ძველ იტალიურ ნაწილებთან, პირველნი მისულიყვნენ გრადისკასთან. როდესაც გრადისკის ციხისთავმა მაღლობებზე სერიურიე დაინახა, ის დანებდა 3.000 კაცით, ორი დროშით და 20 საველე ქვემეხით.

ორი დღის შემდეგ მთავარი ბანაკი გიორცს გაემართა. ბერნადოტის დივიზიამ ლაიბახს მიაშურა. გენერალი დიუგა 10.000 ცხენოსანით ტრიესტს დაეპატრონა. გიორციდან სერიურიე იზონცოს ალმა გაემართა კაპორეტოთი და ავსტრიის კიუზათი, რათა დახმარებოდა გენერალ გიოს და ხელთ ეგდო კარინთიის გზატკეცილი ტარვისში.

ტალიამენტოს ბრძოლის ველიდან გენერალი გიო უდინესა და ჩივიდალესკენ გაეშურა და კაპორეტოში ხელთ იგდო იზონცოს გზატკეცილი. ამ დღეების განმავლობაში მას განუწყვეტელი შეტაკებები ჰქონდა ბაიალიჩის არიერგარდთან, რომელმაც დაჰკარგა მრავალი ჯარისკაცი დახოცილთა და ტყვედ წაყვანილთა სახით, აღალი და ქვემეხები. ამან აიძულა ბაიალიჩი აეჩქარებია ნაბიჯი. კიუზა-დი-პლეტცს მისვლით ავსტრიელები თავისთავს გადარჩენილად სთვლიდნენ. მათ არ იცოდნენ რომ მასენამ უკვე ორი დღის წინათ დაიკავა ტარვისი. მასენამ მათ შუბლიდან შეუტია, გიომ—ზურგიდან. თუმცა ძლიერი პოზიცია იყო კიუზაზე, მაგრამ მაინც ვერ გაუძლო მე-4 სახაზო ნახევარბრიგადას, რომელსაც მეტ სახელად შეუპოვარი ეწოდა. ეს ნახევარბრიგადა მარცხენა ფრთაზე გაბატონებულ მთაზე აფორთხდა და, ამრიგად, ბაიალიჩს, მას შემდეგ, რაც ეს მნიშვნელოვანი პუნქტი შემოვლილი აღმოჩნდა, სხვა გამოსავალი აღარა ჰქონდა რა გარდა იმისა რომ დაეყარა იარაღი. აღალები, ზარბაზნები, პარკები, დროშები—ყოველივე ხელთ იგდეს ფრანგებმა. მა-

გრამ ტყვედ წამოყვანილ იქნა მხოლოდ 5.000 კაცი, იმიტომ რომ მეტი წილი დაიხოცა, დაიჭრა ან ტყვედ ჩავარდა ტალიამენტოს შემდგომ წარმოებულ სხვადასხვა ბრძოლაში, დანარჩენები კი, კარნიოლისა და კროატიის მკვიდრნი, რომლებიც ხედავდნენ რომ ყოველივე დაკარგულია, დიდის რაოდენობით წავიდ-წამოვიდნენ ჯგუფებად ხეობებში, იმ იმედით რომ თითო-თითოდ მიაღწევდნენ თავ-თავიანთ სოფელს. ხელთ იგდეს 32 ქვემეხი, 400 საარტილერიო და სააღალო ოთხთვალა, ოთხი გენერალი და მრავალი საინტენდანტო მოსამსახურე.

VI

მთავარი ბანაკი თანმიმდევრობით გაემართა კაპორეტოს, ტარვისს, ვილახს, კლაგენფურტს. არმია გადავიდა დრავაზე ვილახის ხიდით, რომლის დაწვაც მტერმა ვერ შესძლო დროის უკმარობის გამო. კარნიისა დ იულიოსის ალპებზე გადმოსული და დრავის ველზე მყოფი არმია ახლა გერმანიაში შევიდა. ენა, ზნე-ჩვეულება, ჰავა, ნიადაგი, კულტურა—სულ სხვა იყო, ვიდრე იტალიაში. ჯარი კმაყოფილებას გამოსთქვამდა გლეხების მასპინძლობით და გულკეთილობით. ბოსტნეულის სიუხვე, ოთხთვალებისა და ცხენების უდიდესი რაოდენობა მას ფრიად გამოადგა. იტალიაში ის ხედავდა მხოლოდ ურმებს შიგ შებმული ხარებით; ურმით მგზავრობა კი, მეტად ნელი და უხერხული, არ ეგუებოდა ფრანგების მკვირცხლ ხასიათს. არმიამ დაიკავა სიმაგრეები გიორცსა, ტრიესტსა და ლაიბახში. რაინიდან მოსული ავსტრიელთა ორი დივიზია—კაიმისა და მერკანდინის—იდგა და თავდაცვითი პოზიციები ეკავა კლაგენფურტთან. პირველმა მათგანმა 400—500 კაცი დაჰკარგა და უკუგდებულ იქნა.

კლაგენფურტს ჰქონდა ბასტიონებიანი გალავანი, რომელიც მთელ რიგ საუკუნეების მანძილზე მოუვლელი და მივიწყებული იყო. საინჟენრო ოფიცრებმა მიუშვეს თხრილებში წყალი, კვლავ გააკეთეს მიწაყრილები და აიღეს ზვინულებზე აშენებული სახლები. კლაგენფურტში მოწყობილი იყო სამხედრო საავადმყოფოები და საწყობები. ეს დასაყრდენი პუნქტი მთების გასასვლელებთან მეტად მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული.

ყველა პროვინციაში გამოქვეყნებულ იქნა შემდეგი მოწოდება ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად:

„კარინთიის, კარნიოლისა და ისტრიის მცხოვრებნო, საფრანგეთის ჯარი მოდის თქვენთან არა დასაპყრობად და არა იმისთვის რომ შეიტანოს რაიმე ცვლილებები თქვენს სარწმუნოებაში, თქვენს ზნე-ჩვეულებასა და ადათში; იგი — მეგობარია ყველა ერის, და მეტადრე—მამაცი გერმანელების. კარინთიის მცხოვრებნო, მე ვიცი, თქვენ, ისევე როგორც ჩვენც, გძულსთ ინგლისელები; მხოლოდ ისინი და მათ მიერ მოსყიდული თქვენი მთავრობა ღებულობდნენ, სარფას ამ ომიდან. თუ ჩვენ უკვე ეს ექვსი წელია გებრძვით თქვენ ეს ხდება როგორც მამაც ჰუნგრელთა, ისე ვენის განათლებულ მოქალაქეთა და კარინთიის, კარნიოლისა და ისტრიის განთქმულ მცხოვრებთა სურვილის წინააღმდეგ. ვიყვნეთ მეგობრები, წინააღმდეგ ინგლისისა და ვენის კარის მინისტრებისა. საფრანგეთის რესპუბლიკამ გამარჯვებულის უფ-

ლებები მოიპოვა; დაე, გაქრნენ ისინი იმ უსიტყვო ხელშეკრულების წინაშე, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაკავშირებს! თქვენ დაივალდებულებთ—არ ჩაერიოთ ჩვენთან ომში. თქვენ დამეხმარებით, რათა დავაკმაყოფილო ჩემი არმიის საჭიროებანი. ჩემის მხრივ, მე უზრუნველვყოფ თქვენს საკუთრებას; მე არ დაგადებთ არავითარ ხარაჯას. განა ომი თავისთავად საკმაოდ საშინელი არ არის? განა თქვენ უკვე მეტისმეტად არ დაიტანჯეთ, თქვენ, უდანაშაულო მსხვერპლნო სხვისი გაუმაძღარი ნდომისა? ყველა გადასახადი, რასაც კი თქვენ ჩვეულებრივად უხდიდით იმპერატორს, იმ ხარჯების ანაზღაურებას მოხმარდება, რომლებიც გარდუვალია ჯარის მოძრაობისას, და ყოველივე იმის გასტუმრებას, რასაც მე თქვენ მომიტანთ".

ამ მოწოდებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მას ორივე მხარე იზიარებდა. არავითარი საგანგებო ხარაჯა არ ყოფილა დადებული, და მცხოვრებნიც ჩივილის არავითარ საბაბს არ იძლეოდნენ. ოთხ პროვინციაში ჩამოყალიბდა ოთხი მთავრობა; მათ შემადგენლობაში ყველაზე მდიდარი მესაკუთრენი შევიდნენ. ტრიესტში კონფისკებულ იქნა ინგლისის საქონელი. იდრიის მაღაროთა საიმპერატორო საწყობებში აღმოჩნდა რამდენიმე მილიონის ვერცხლისწყალი.

VII

პიავესა და ტალიამენტოს ნაპირებზე და ფრიულში ლაშქრობის დაწყებიდან ათი დღის განმავლობაში ორთავე არმიის მხედრობა ტიროლში უმოქმედოდ იყო. ავსტრიელთა კორპუსის მეთაური გენერალი კერპენი ყოველ წუთს რაინდან ორი დივიზიის მოსვლას ელოდა. გენერალ ჟუბერს ჯერ კიდევ არავითარი ბრძანება არ მიეღო შეტევაზე გადასვლის შესახებ. ინსტრუქციებში მას ნაბრძანები ჰქონდა მხოლოდ შეეკავებინა მტერი და დაეცვა თავისი ლავისის პოზიცია. მაგრამ როგორც კი ტალიამენტოს ბრძოლა დამთავრდა და ავსტრიელთა მთელი არმია გაგდებულ იქნა იტალიიდან, აგრეთვე—მასენა კარინთიის გზატკეცილს დაეპატრონა, რამაც ნაპოლეონს გადააწყვეტინა მთელი არმიით წინ წაწეულიყო ამ გზატკეცილით, მან გაუგზავნა გენერალ ჟუბერს ბრძანება—გაენადგურებია მტერი, რომელსაც იგი სჭარბობდა თავისი ძალებით, აჰყოლოდა ადიჯეს ნაპირებს, უკუეგდო გენერალი კერპენი ბრენერს გაღმა და დაძრულიყო მარჯვნივ პუსტერტალით, დრავას გასწვრივ მიმავალი გზატკეცილის მიყოლით, შპიტალში მყოფ არმიასთან შესაერთებლად, კარინთიის გზატკეცილზე. ჟუბერს განკარგულება მიეცა — დაეტოვებია ერთი ბრიგადა ავიჩიოს დასაცავად და ებრძანებია მისთვის — თუ მდინარე მტრის მიერ გადალახული იქნებოდა, დაეხია მონტე-ბალდოსკენ, დალოდებოდა იქ გენერალ კილმენის, იტალიაში მყოფ ჯარების სარდლის, ბრძანებებს, და ჰქონოდა კავშირი გენერალ ბალანთან ვერონაში. გამარჯვებული ფრანგთა არმიის ზემერინგზე მისვლით ყველაფერი, რაც უნდა მომხდარიყო ქვემო ადიჯეზე, მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ღებულობდა.

20 მარტს, ბრძანების მიღებისთანავე, ჟუბერი შეტევაზე გადავიდა. მთავარი ბანაკი მაშინ გიორცში, იზონცოზე იყო. გენერალი კერპენი მთავარი ძალებით იდგა ჩემბრაში, ავიჩიოს უკან, და იფარავდა სან-მიქელეს, რომლის

მეოხებითაც კავშირი ჰქონდა გენერალ ლაუდონთან, რომელსაც ადიჯეს მარჯვენა ნაპირი ეკავა. ჟუბერის დივიზია გადავიდა ავიჩიოზე სეგონცანოში, იმავე დროს კი დელმასისა და ბარაგე-დ'ილიეს დივიზიები გადავიდნენ მასზე ხიდით თვითონ ლავისში და მარჯვენა ნაპირის გზატკეცილით გაემართნენ სან-მიქელეს. ფრანგების მთელ ძალებს შესაძლებლობა ეძლეოდათ—მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლაში გენერალ კერპენის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ლაუდონის კორპუსი, რომელსაც ადიჯე ჰყოფდა, უმოქმედოდ რჩებოდა. ამგვარად, ბრძოლის დასასრული ეჭვს არ ჰბადებდა. ყველა პოზიციიდან უკუგდებულმა გენერალმა კერპენმა დაჰკარგა ნახევარი თავისი ხალხი, დროშები, ზარბაზნები, დასტოვა 3.000 ტყვე და 2.000 მოკლული. სან-მიქელის ამ ბრძოლამ გახსნა გზა ტიროლისკენ.

იმ დროს როდესაც ბარაგე-დ'ილიე და დელმასი სან-მიქელეში შედიოდნენ და იქ მათ ხელთ იგდეს ხიდი, ჟუბერი პირდაპირ ნოიმარკტისკენ მიიწევდა მთებზე გადავლით. იგი მას დაეპატრონა მცირე ბრძოლის შემდგომ, გადავიდა ხიდზე. გაანადგურა და გაჰფანტა ლაუდონის ჯარი, რომელიც დადგა პოზიციაზე ნოიმარკტსა და ტრამინს შორის. 22 მარტს საღამოს ჟუბერი ზარბაზნებით, დროშებით და 2.500 ტყვით დაბრუნდა ნოიმარკტს.

ამ დროს მოწინავე რაზმი შევიდა ბოცენში, მდიდარ საკაჭრო ქალაქში, სადაც ხელთ იგდო მტრის ყველა საწყობი. ავსტრიელთა პირველი დივიზია რაინიდან, გენერალ სპორნას მეთაურობით, კლაუზენს მივიდა. გენერალმა კერპენმა თავი მოუყარა თავისი ჯარების ნაშთებს ამ დივიზიის უკან და, გაბრიყვებულმა პოზიციის ვითომდა მიუვალობით, გადასწყვიტა დალოდებოდა. აქ თავისს დამმარცხებელს. 24 მარტს გენერალი ჟუბერი დაიძრა იქითკენ თავისი კორპუსის მომეტებული ნაწილით. იერიში მეტად მძაფრი იყო, დასაწყისში ადგილმდებარეობის დაბრკოლებები დაუძლეველი ჩანდა, მაგრამ შეუპოვარნი ფრანგი მეთოფენი, ისევე მარდნი, როგორც თვითონ ტიროლელები, მტრის მარჯვენა ფრთის მომიჯნავე მთებზე აცოცდნენ და, იქიდან მოქმედებით, აიძულეს იგი—დაეხია.

გენერალმა კერპენმა, რომელიც უკვე აღარ იმედოვნებდა რომ მას შეუერთდებოდა მეორე დივიზია, რომელსაც იგი რაინიდან მოელოდა, დაიხია მიტენვალდისკენ და, ამგვარად, პუსტერტალის გზატკეცილი ჟუბერის განკარგულებაში დასტოვა. მაგრამ ჟუბერმა განსაზრა რომ მისთვის საშიშია თავისი მოქმედების მარჯვნივ დაწყება და მტრის ბანაკთან ასე ახლოს ჩავლა. იერიში მის წინააღმდეგ მან 28 მარტს მიიტანა. გენერალ დიუმას ცხენოსანი ჯარის იერიშმა ხელი შეუწყო ამ ბრძოლის წარმატებით დამთავრებას. მესამეჯერ დამარცხებულმა გენერალმა კერპენმა დასცალა შტერცინგენი და ბრენერისკენ დაიხია. განგაში ინსბრუკამდე გავრცელდა. უკვე აღარ ეჭვობდნენ რომ ჟუბერის განზრახვა იყო—დაძრულიყო იქით, რათა დაემყარებინა კავშირი რაინის არმიასთან. ასეთ გეგმას კატასტროფა მოჰყვებოდა, ვინაიდან რაინის არმია ჯერ კიდევ ალზასში იყო დაბანაკებული... მაგრამ უკვე არავითარი დაბრკოლება აღარ იყო იმისათვის რომ ჟუბერი, თავისი ინსტრუქციების თანახმად, პუსტერტალით წასულიყო არმიის მთავარ ძალებთან შესაერთებლად. კარინთიის გზატკეცილზე. 2 აპრილს მან დაიწყო თავისი შეტევა,

განკარგულება გასცა დაეკავებინათ ბრუნეკენი და ტობლახი, და, როდესაც დარწმუნდა რომ ვერავინ ხელს ვერ შეუშლიდა მის გასვლას ხეობაში და წინსვლას კარინთიისკენ, მან ყველა თავისი საგუშაგო გამოიყვანა ტიროლიდან 4 აპრილს მან საბოლოოდ გადასწყვიტა—ასე ემოქმედნა. გენერალ სერვიეს მეთაურობით დასტოვა 1.200 კაცისაგან შემდგარი კოლონა და უბრძანა კვლავ დაეკავებია პოზიცია მდ. ავიჩიოზე იტალიის დასაფარავად. გენერალი ჟუბერი არმიას 12.000 კაცით შეუერთდა; იგი დატვირთული იყო იმ 7.000 ტყვით, რომელიც მან ამ ბრძოლებში წამოიყვანა.

ამგვარად, 17—20 დღეში ერცჰერცოგის არმია დაბარცხდა ორ დიდ ბრძოლასა და რამდენსამე შეტაკებაში; იგი უკუგდებულ იქნა ბრენერის, იულიოსის ალპებისა და იზონცოს იქით; ფრანგებმა ხელთ იგდეს ტრიესტი და ფიუმე—მონარქიის ორად-ორი საზღვაო ნავსადგური. პროვინციები გიორცი, ისტრია, კარნიოლი, კარინთია ფრანგებს დაექვემდებარნენ. 20.000 ტყვე, 20 დროშა, 50 საველე ქვემეხი, ბრძოლის ველიდან წამოღებული—ეს იყო ნადავლი, რომელიც მოწმობდა ფრანგი ჯარისკაცის უპირატესობას. ექვს დივიზიაში, რომელთაც ერცჰერცოგი რაინიდან ელოდა, ორი უკვე დახარჯული იყო. ფრანგთა მთავარი ბანაკი გერმანიაში იდგა, ვენიდან სულ ბევრი 60 ლიეს მანძილზე. ყველაფერი იმას აფიქრებინებდა კაცს რომ საფრანგეთის არმიები მაისის განმავლობაში ამ დედაქალაქს დაეპატრონებიანო,—ვინაიდან მარტის დამდეგს რაინზე ავსტრიას მხოლოდ 80.000 კაცი დარჩა, საფრანგეთის არმიებში კი—სამბრ-მაასისა და რაინისაში—130.000 კაცზე მეტი ითვლებოდა.

XIV თავი

ლეობენი

I. იმპერატორის კარი სტოვებს ვენას.—II. წინადადება საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.—III. ბრძოლა ხოიმარკტთან (1797 წლის 1 აპრილს).—IV. ბრძოლა უნცმარკტთან.—V. იუდენბუოგის დროებითი ზავი.—VI. ტიროლის, კარნიოლის და კარინთიის დივიზიების შეერთება. ლეობენის ზავის წინასწარი პირობები (18 აპრილი).—VII. ნაპოლეონის გულის წადილი.—VIII. რაინისა და სამბრ-მაასის არმიები; 18 აპრილს, თვით ზავზე ხელმოწერის დღეს, ისინი საომარ მოქმედებას იწყებენ.

I

ტალიამენტოს და ტარვისის ბრძოლების, გიორცთან ბრძოლის და კლაგენფურტსა და ლაიბახში ფრანგების შესვლის ცნობებმა ვენაში აღელვება გამოიწვია. დედაქალაქი საფრთხეში აღმოჩნდა და თავდაცვის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული. შეუდგნენ ძვირფასი ავეჯეულობისა და ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩალაგებას. დუნაი დაიფარა გემებით, რომლებიც ყველა ფასეულობას ეზიდებოდნენ ჰუნგრეთში, სადაც გაიგზავნენ ყველა მცირეწლოვანი ერცჰერცოგი და ერცჰერცოგთა ქალები; მათ

შორის იმყოფებოდა იმპერატორის ასული მარია-ლუიზაც, მაშინ ხუთნახევარი წლის ასაკის, შემდგომ ფრანგების დედოფალი. უკმაყოფილება საყოველთაო იყო. „თხუთმეტ დღეზე უფრო ადრეო, — ამბობდნენ ვენელები, — შესაძლოა ფრანგები ჩვენს ქალაქს მოადგნენ. მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობს ზავის დადებას, და ჩვენ არავითარი საშუალება არ გვაქვს წინააღმდეგობა გავუწიოთ იტალიის ამ მრისხანე არმიასაო“.

რაინ-მოზელისა და სამბრ-მაასის არმიებს უნდა გაელაშქრნათ და გადასულიყვნენ რაინზე სწორედ იმავე დღეს, როდესაც იტალიის არმია პიავეზე გადავიდოდა. ისინი სწრაფად უნდა წასულიყვნენ წინ გერმანიაში. ნაპოლეონმა ტალიამენტოს ბრძოლის მოხსენებაში განაცხადა რომ რამდენიმე დღის შემდგომ იულიოსის ალპებს გადვივლი და გერმანიის გულში გავჩნდებიო, რომ 1-დან 10 აპრილამდე კლაგენფურტში, კარინთიის მთავარ ქალაქში, ვიქნები, ე. ი. ვენიდან 60 ლიეზე, და 20 აპრილამდე ზემერინგის მწვერვალზე გამოვალ, ვენიდან 25 ლიეზეო. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაინის არმიების დაძვრას და მათი გასვლის მისთვის შეტყობინებას. მთავრობამ მას 23 მარტს უპასუხა: მადლობას უხდიდა ტალიამენტოს ბრძოლაში გამარჯვებისათვის, ბოდიშს იხდიდა იმის გამო რომ რაინის არმიები ჯერ კიდევ არ გასულიყვნენ, და არწმუნებდა რომ ისინი მალე მზად იქნებიან გასასვლელადო. მაგრამ სამი დღის შემდგომ, 26 მარტს, იგი სწერდა მას რომ მოროს ჯარს არ შეუძლია გავიდეს, რადგან მას არ ჰყოფნის გემები რაინზე გადასასვლელადო, და რომ იტალიის არმიას მხოლოდ თავისთავის იმედი უნდა ჰქონდესო.

ამ დეპეშმა, რომელიც კლაგენფურტს 31 მარტს მოვიდა, მრავალნაირი ფიქრი წარმოშვა. ხომ არ შიშობდა დირექტორია რომ ეს სამი არმია, რომელიც რესპუბლიკის მთელ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა, ერთი მთავარსარდლის უფროსობის ქვეშ გაერთიანებული, მას — ამ მთავარსარდალს — მეტად ძლიერს გახდიდა? ხომ არ იყო ეს დეპეში იმ წარუმართებლობის ანარეკლი, რაც შარშნა განიცადეს რაინისა და სამბრ-მაასის არმიებმა? გენერლების მხნეობისა და გამბედაობის ნაკლებობას ხომ არ უნდა მიეწეროს ასეთი უცნაური სულმოკლეობა? ხომ არ უნდათ — გასწირონ იტალიის არმია, როგორც მათ უკვე განიზრახეს დაეღუპათ იგი 1796 წლის ივნისში, როცა ბრძანეს ნახევარი არმიის ნეაპოლს გაგზავნა?

რადგან ამ არმიების დახმარების იმედი აღარ ჰქონდა, ნაპოლეონმა თავი ანება ვენაში შესვლის ფიქრს. მას არ ჰყავდა საკმაო ცხენოსანი ჯარი იმისთვის — რომ დუნაის ვაკეზე დაშვებულიყო, მაგრამ მას შეეძლო გაუჭირვებლად მიეღწია ზემერინგის მწვერვალამდე. მას დაებადა აზრი რომ მის მდგომარეობაში ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილება იქნებოდა ზავის დადება, რაც მთელი საფრანგეთის ოცნებას შეადგენდა.

II

13 მარტს, 12 საათის შემდეგ დირექტორიისგან დეპეშის მიღებიდან, მან გაუგზავნა ერცჰერცოგ კარლოსს შემდეგი წერილი:

„ბატონო მთავარსარდალო, მამაცი ჯარისკაცები ომობენ, მაგრამ მათ მშვიდობა სწადიათ. ხომ ექვსი წელია რაც ეს ომი გრძელდება? განა

ხალხი საკმაოდ არ დაიხოცა და განა საკმაო ვნება არ მიადგა დამწუხრებულ-კაცობრიობას? იგი ყოველი მხრიდან პროტესტს აცხადებს. ევროპამ, რომელ-მაც აიღო იარაღი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, დაჰყარა ეს იარაღი. მარტო თქვენი ერი-ღა დარჩა, სისხლი კი უფრო მეტი იღვრება, ვიდრე ოდესმე. მომავალ ახალ ლაშქრობას წინ უძღვის ცუდის მომასწავებელი ნიშნები. როგორიც არ უნდა იყოს მისი ბოლო, ჩვენ მოგვიხდება ათასობით ადამიანების დახოცვა როგორც ერთის, ისე მეორის მხრით, და საჭირო იყო მოლაპარაკება: ხომ არაა შესაძლებელი ომის დამთავრება, იმიტომ რომ ყველაფერს საზღვარი აქვს, თვით სიძულვილსაც.

საფრანგეთის რესპუბლიკის აღმასრულებელმა დირექტორიამ აცნობა იმპერატორს თავისი სურვილი: ბოლო მოეღოს ორთავე ხალხის გამანადგურებელ ომს. ამას დაბრკოლება შეუქმნა ლონდონის სამეფო კარის ჩარევამ. ნუთუ არავითარი იმედი არ არის რომ ჩვენ მოგვისმენენ, და ნუთუ ჩვენ უნდა განვაგრძოთ სისხლისღვრა და ყელში ვწვდეთ ერთმანეთს გამორჩომის ჟინით შეპყრობილი ერისთვის, რომლისთვისაც უცხოა ომით გამოწვეული უბედურება?

თქვენ, ბატონო მთავარსარდალო, რომელიც წარმოშობით ახლოს ხართ ტახტთან და მაღლა დგახართ ყველა იმ წვრილმან ვნებაზე, რომელიც ხშირად ეუფლება მინისტრებსა და მთავრობებს, თქვენ შეგიძლიათ დაიმსახუროთ მთელი კაცობრიობის კეთილისმყოფელისა და გერმანიის მხსნელის საპატიო წოდება. არ იფიქროთ, ბატონო მთავარსარდალო, რომ მე, თითქოს, შეუძლებლად მიმაჩნდეს მისი ხსნა იარაღით ხელში. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, თუ დავუშვებთ რომ ომის შანსები თქვენთვის ხელსაყრელი იქნება, გერმანია ამით ნაკლებ განადგურებას როდი განიცდის. პირადად მე, ბატონო მთავარსარდალო, თუ კი წინადადებას, რომელიც მაქვს პატივი შემოგთავაზოთ, შეუძლია იხსნას მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლე, უფრო დიდად ვიამაყებ ამით, ვიდრე სამხედრო წარმატებებით მოპოებული სამწუხარო სახელით".

2 აპრილს ერცჰერცოგმა კარლოსმა უპასუხა:

„ცხადია, ბატონო მთავარსარდალო, მეც, ისევე როგორც თქვენ, მწადია მშვიდობიანობა ხალხთა და კაცობრიობის საბედნიეროდ. მაგრამ, ვინაიდგან ვიმყოფები იმ თანამდებობაზე, რომელიც მე მომანდეს, არ ვთვლი ჩემს თავს არც განხილვის, არც მებრძოლ მხარეთა შორის საომარ მოქმედებათა შეჩერების უფლების მქონედ. იმპერატორისაგან მე არ მიმიღია არავითარი რწმუნებულება მოლაპარაკების საწარმოებლად, და თქვენ ბუნებრივად მიიჩნევთ რომ ამ წერილით არავითარ მოლაპარაკებას თქვენთან არ ვმართავ, ვინაიდგან ველი ზევიდგან განკარგულებებს ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც, არსებითად, ჩემ კომპეტენციაში არ შედის. გარნა, როგორიც არ უნდა იყოს ომის თუ ზავის მომავალი შესაძლებლობა, გთხოვთ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო გენერალო, თქვენდამი ჩემ ღრმა პატივისცემაში".

ამ წინადადების გასამაგრებლად საჭირო იყო შეტევა და ვენასთან მიახლოება.

III

მოწინავე რაზმი სან-ფეიტში იყო, მთავარი ბანაკი—კლაგენფურტში. 1 აპრილს განთიადზე მასენა ფრიზებისკენ გაემართა. ციხედარბაზის წინ იგი თავს წაადგა მტრის უკანა რაზმს, რომელიც იფარავდა ერცჰერცოგის მიერ იქ შეგროვილ დიდ მარაგს. მასენამ იგი სწრაფად უკუაგდო, მისდია უკუქცეულ მტერს და შევიდა ფრიზებში, ხელთ იგდო მთელი მარაგი და განაგრძო დევნა ნოიმარკტამდე, სადაც მას შემოხვდა ერცჰერცოგი რაინიდან მოსული ოთხი დივიზიით და ორანელი პრინცის, გენერლების—კაიმისა და მერკანდინის დივიზიებით, გრენადერთა მარქაფით და ნოიმარკტის ხეობათა დასაცავად პოზიციაზე განლაგებული წინანდელი არმიის ნაშთებით.

მთავარსარდალმა მასენას უბრძანა—მთელი თავისი დივიზია გზატკეცილის მარცხნივ დაეყენებინა. ვიოს დივიზია მარჯვნივ მაღლობებზე განლაგდა, და სერიურიეს დივიზია დატოვებულ იქნა მარქაფად.

ნაშუადღევის 3 საათზე მსუბუქი ქვეითი ჯარის მე-2 ნახევარბრიგადა მასენას დივიზიიდან თოფებ-მომარჯვებული გადავიდა შეტევაზე მტრის პირველი ხაზის წინააღმდეგ და თავი ისახელა. ეს ნახევარბრიგადა ის-ის იყო მოვიდა რაინიდან, ჯარისკაცებმა მას კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი უწოდეს, რითაც ისინი გადაკვრით აღნიშნავდნენ გერმანელ თავადთა მხედრობას, რომელიც უვარგისად იყო ცნობილი. ამით შეურაცხყოფილმა მე-2 მსუბუქი ნახევარბრიგადის ჯარისკაცებმა შეჯიბრებაში გაიწკიეს იტალიის არმიის ძველი ჯარისკაცები: აბა, თუ ისინიც ჩვენსავით სწრაფად ივლიან და ჩვენოდენ მანძილს გაივლიანო. ისინი სასწაულებს ახდენდნენ. ერცჰერცოგი კარლოსი თავს არ იზოგავდა და მამაცობის პირად მაგალითს უჩვენებდა ჯარს, მაგრამ ამაოდ: მისი მხედრობა ყველგან უკუგდებულ იქნა და 3.000 კაცი დაჰკარგა. ფრანგის ჯარი ღამით ნოიმარკტში შევიდა და ხელთ იგდო 1.200 ტყვე, ექვსი ზარბაზანი და ხუთი დროშა.

4 ლიე-ღა დარჩა შაიფლინგამდე, საითაც მესამე განივი გზა გადიოდა. ავსტრიის მთავარსარდალმა, რომელსაც ძალა არ შესწევდა შეენელებინა გამარჯვებული მტრის მსვლელობა, ხერხს მიმართა, რათა მოეგო 24 საათი და მიეცა დრო ჯენერალ კერპენისათვის შაიფლინგს მისასვლელად. მან შეგვთავაზა დროებითს ზავი, რათა შესაძლებლობა მქონდესო, — ამბობდა იგი, — განვიხილო 31 მარტს გამოგზავნილი წერილიო. ბერთიემ უპასუხა რომ შესაძლებელია ერთსადაიმავე დროს მოლაპარაკების წარმოებაც და ბრძოლაც, მაგრამ ვენამდე დროებითს ზავზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, თუ არა — საბოლოო ზავზეო.

განთიადზე ფრანგის მოწინავე რაზმი დაიძრა მურის მიმართულებით. ძლიერი დამზვერავი ჯგუფები გაიგზავნა შურამდე კერპენის კორპუსის შესახვედრად.

ნაპოლეონიც იქით გაემართა. ამ კორპუსმა დაიხია. მხოლოდ გენერალი სპორკი, რომელიც მის უკანარაზმს შეადგენდა, რამდენიმედ შებერტყილ იქნა. ფრანგების მთავარ ბანაკმა 4 და 5 აპრილი შაიფლინგში, მდ. მურის ნაპირებზე მდებარე ციხე-დარბაზში დაჰყო.

IV

შაიფლინგიდან კნიტენფელდამდე გზა მიემართება მურის გასწვრივ საშინელ ხეობებზე. ყოველ ნაბიჯზე არსებობდა პოზიციები, რომელთაც შეეძლოთ საფრანგეთის არმიის შეკავება. ერცჰერცოგისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რამდენიმე დღის მოგებას, რათა ვენას გონს მოსვლის დრო მისცემოდა და რაინიდან სასწრაფოდ დაძრულ ჯარებს შესძლებოდათ მოსვლა და ამ დედაქალაქის დაფარვა. იგივე მიზეზები უკარნახებდა საფრანგეთის არმიას არ დაეზოგა არაფერი, რათა დაეჩქარებია თავისი სვლა. 3 აპრილს მოწინავე რაზმმა ცხარე ბრძოლა გამართა უნცმარკტის ხეობებში; მან უკუაგდო მტერი, მიუხედავად მისი რიცხვობრივი სიჭარბისა, ხიშტებით განდევნა იგი ყველა პოზიციიდან და შევიდა კნიტენფელდში. ავსტრიელთა დანაკლისი მნიშვნელოვანი იყო: 1.500 ტყვე, ოთხი ქვემეხი. პოლკოვნიკი კარერი, ჩინებული ოფიცერი, რომელიც მოწინავე რაზმის არტილერიას მეთაურობდა, მოჰკლეს; იგი ძალიან ენანებოდათ, როგორც კარგი მებრძოლი ოფიცერი. ვენეციისგან მიღებულ ერთ-ერთ ფრეგატს მისი სახელი ეწოდა; ეს ფრეგატი—ერთი იმათგანია, რომლებითაც ნაპოლეონი ეგვიპტიდან დაბრუნდა და ფრეჟიუსში გადმოსხდა. 6 აპრილს მთავარი ბანაკი იუდენბურგს, კარინთიის ერთ-ერთი ოლქის მთავარ ქალაქს მივიდა.

V

უნცმარკტის ბრძოლის შემდეგ არმიისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. 7-ს მისი მოწინავე რაზმი მივიდა ლეობენს. გენერალ-ლეიტენანტი ბელგარდი, ერცჰერცოგ კარლოსის შტაბის უფროსი, და გენერალ-მაიორი მერველდტი წარდგნენ იქ როგორც მოციქულები. მთავარსარდალთან თათბირის შემდეგ მათ გადასცეს მას შემდეგი ნოტა: „ბატონო გენერალო, იმპერატორს სწადია ხელი შეუწყოს ევროპის დამშვიდებას და ორთავე ერის გამანადგურებელი ომის დამთავრებას. მოლაპარაკების დაწყების წინადადების გამო, რომელიც თქვენ გადაეცით მის უმაღლესობას კლაგენფურტიდან გამოგზავნილ წერილში, იმპერატორმა წარმოგვგზავნა ჩვენ თქვენთან, რათა შევთანხმდეთ ამ ფრიად მნიშვნელოვან საგანზე. ჩვენ მიერ თქვენთან ახლახან წარმოებულ საუბრის შემდგომ, იმპერატორს, დარწმუნებულს ორთავე სახელმწიფოს როგორც კეთილ ნებასურვილში, ისე განზრახვაში—რაც შეიძლება ჩქარა დაამთავრონ ეს ავბედითი ომი, სურს დასდოს დროებითი ზავი ათი დღით, რათა შესაძლებელი იქნეს ნანატრი მიზნის მეტის სისწრაფით მიღწევა და მოლაპარაკების დროს ყოველგვარი ისეთი დაყოვნებისა და დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც დაკავშირებულია საომარი მოქმედების განგრძობასთან, და რათა ყველაფერი ხელს უწყობდეს ორთავე ერს შორის მშვიდობიანობის აღდგენას".

საფრანგეთის მთავარსარდალმა იმავე დღეს უპასუხა მათ, „ორთავე არმიის ახლანდელ სამხედრო მდგომარეობაში დროებითი ზავი სრულიადაც არ არის ხელსაყრელი საფრანგეთის არმიისათვის. მაგრამ, თუ იგი უნდა გადიქცეს გზად მშვიდობიანობისაკენ, რომელიც ასე სასურველი და ასე სასარგებლოა ხალხისათვის, მე სიამოვნებით ვიზიარებ თქვენს სურვილებს. საფრანგეთის რესპუბლი-

კას არაერთხელ განუცხადებია სურვილი — ბოლო მოღებოდა ამ საშინელ ბრძოლას. მას კვლავ იგივე გრძნობები ამოქმედებს, და მე—ჩვენი საუბრის შემდეგ—ეჭვი არ მეპარება რომ მშვიდობიანობა რესპუბლიკასა და იმპერატორს შორის, ბოლოსდაბოლოს, აღდგენილი იქნება".

დროებითს ზავს ხელი მოაწერეს 7 აპრილს საღამოს; იგი ხუთ დღეს უნდა გაგრძელებულიყო. მთელი ადგილი ზემერინგამდე საფრანგეთის არმიას ეკავა. გრაცი, ავსტრიის მონარქიის ერთერთი ყველაზე დიდი ქალაქი, თავისი ციხითურთ ჩაბარდა არმიას.

სადილზე გენერალი ბერთიე შეეკითხა ავსტრიელ გენერლებს,—სად უნდა ყოს, თქვენი აზრით, ბერნადოტის დივიზიაო.—„ლაიბახთანო", უპასუხეს მათ. „ჟუბერის დივიზია?"—„ბრიქსენსა და მიულბახს შორის".—„არაო,—მიუგო მან,—ყველა განლაგებულია ჩვენს უკან, ყველაზე დაშორებული დივიზია აქიდან ერთ ეჯზეაო". ამან ძლიერ გააოცა ისინი. 9-ს მთავარი ბანაკი ლეობენს მივიდა; მოწინავე რაზმი ბრუკს გაემართა და თავისი მოწინავე პატრულები ზემერინგამდე წასწია. შტაბის პოლკოვნიკი ლეკლერკი პარიზს გაიგზავნა, რათა ეცნობებია მთავრობისათვის დროებითს ზავზე ხელის მოწერა. ეს იყო გამოჩენილი ოფიცერი, ბრძოლის ველზე მამაცი და საშტაბო კანცელარული მუშაობის უნარის მქონე.

VI

მთავარსარდალმა 30 მარტს კლაგენფურტიდან გენერალ ჟუბერის შესახვედრად გაგზავნა ადიუტანტი ლა-ვალეტი ცხენოსანი პატრულით. ლა-ვალეტი ლინცამდე მივიდა, მაგრამ იმ დროისთვის გენერალი ჟუბერი ჯერ კიდევ არ გამოსულიყო ტიროლიდან. ქალაქ ლინცის მცხოვრებნი, როცა დაინახეს რომ ფრანგები მხოლოდ 60 კაცი იყო, აჯანყდნენ, და ეს რაზმი მხოლოდ მის მაშინდელ მეთაურ ადიუტანტის სიმტკიცესა და შეუპოვრობას უნდა უმადლოდეს თავის გადარჩენას. მოჰკლეს მხოლოდ ერთი დრაგუნი. რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა ზაიონჩეკმა დრაგუნთა რამდენიმე ასეულით დაიკავა ლინცი და ტიროლის კორპუსს დაუკავშირდა. ეს ქალაქი განაიარაღეს, მცხოვრებნი კი დასაჯეს. 8 აპრილს ჟუბერი მივიდა შპიტალს, ვილახის ახლოს, და არმიის მარცხენა ფრთა შეადგინა. ტყვეებიც მაშინ გაიყვანა მან ზურგში.

გენერალმა ბერნადოტმა კარნიოლის მართვაგამგეობის მოწესრიგებისთანავე მიიღო ბრძანება—გადასულიყო სავაზე, მურზე და თავი მოეყარა ლეობენთან. ფიუმის გახიზნვის უზრუნველსაყოფად და კარნიოლის შესანარჩუნებლად მან დასტოვა გენერალი ფრიანი 1.500 კაცისაგან შემდგარი კოლონით. შესაძლო იყო იმის გათვალისწინება რომ ასეთი უმნიშვნელო ძალებით ფრიანს დაახევინებდნენ. ასეთ შეთხვევაში მას მოუხდებოდა თავდაცვა იზონცოზე და ბოლოს თავის შეფარება პალმანოვაში, სადაც თავისი ჯარით მის გარნიზონს შეავსებდა. ასეც მოხდა: 15 აპრილს მის წინააღმდეგ იერიში მიიტანა 6.000 კროატმა. მიუხედავად იმისა რომ ერთი ოთხის წინააღმდეგ იბრძოდა, ფრიანის ჯარმა მტერი მოიგერია და მას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა; მაგრამ ამ გენერალს ესმოდა რომ ფიუმეს დაცლა აუცილებელია, და იუდენბურგის დროებითმა ზავმა მას 19 აპრილს მატერიაში მიუსწრო, როდესაც

იგი ტრიესტს იფარავდა. ამ ამბებმა ისეთივე გაზვიადებული სახე მიიღეს, როგორც ტიროლში მომხდარმა ამბებმა; მათ თავისი გახმაურება ჰპოვეს ვენეციაში და იქ იარაღის ხმარებისა და ამბოხების მთავარი მიზეზი გახდნენ, რასაც შედეგად ამ სახელმწიფოს დაღუპვა მოჰყვა.

დროებითი ზავის ხუთი დღის განმავლობაში, 7-დან 12 აპრილამდე, მასენას დივიზია განლაგდა ბრუკში, ზემერინგის ძირში, წინა საგუშაგოები კი — მთის მისასვლელებთან. მთავარი ბანაკი გაემართა ლეობენს, ეპისკოპოსის სასახლეში. სერიურიეს დივიზიამ ქალაქი გრაცი დაიკავა და მოაწყო სამუშაოები ციხედარბაზის მოსაწესრიგებლად. ეს ხუთი დღე საჭირო იყო დასასვენებლად და მან დიდი სარგებლობა მოიტანა. დროებითი ზავის ვადა გავიდა 13-ს; მაგრამ დილის 9 საათზე მოვიდა გრაფი მერველდტი, აღჭურვილი სრული რწმუნებულობით ზავის წინასწარ პირობებზე მოსალაპარაკებლად და ხელმოსაწერად, მარკიზ გალოსთან, ვენაში ნეაპოლის დესპანთან, ერთად, რომელსაც დიდად სწყალობდა საქმეებზე თვალსაჩინო გავლენის მქონე დედოფალი. დროებითი ზავი გაგრძელებულ იქნა 20 აპრილამდე, და დაიწყო სხდომები წინასწარი პირობების განსახილავად. 16 აპრილს ხანგრძლივი კამათის შემდგომ შეადგინეს სამი პროექტი, რომლებიც, საფრანგეთის რწმუნებულის თანხმობით, წარგზავნეს ვენას. 17-ს, მის შემდეგ, რაც ვენის კაბინეტის პასუხი მოიტანა ბარონმა ვინცენტმა, იმპერატორის ადიუტანტმა, წინასწარი პირობების მუხლები, მთავარი და საიდუმლო, საბოლოოდ რედაქტირებულ იქნა. რწმუნებულთა მდივნებმა ნეიტრალურად გამოაცხადეს ერთი პატარა სოფელი, ლეობენს ერთი ლიეთი დაშორებული, სადაც 18-ს დილით ხელი მოაწერეს ზავის წინასწარ პირობებს. რწმუნებულობა მოლაპარაკებისათვის გენერალ კლარკს ჰქონდა მაგრამ ის ტურინში იმყოფებოდა. საჭირო იყო დრო რომ ის მთავარ ბანაკში მოსულიყო, და, ვინაიდან 18-ს ჯერ კიდევ ვერ მოასწრო მან მოსვლა, ნაპოლეონმა ამ შემთხვევაში, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაშიც, ამას ანგარიში არ გაუწია და თვითონ მოაწერა ხელი. გენერალი კლარკი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეუერთდა მთავარ ბანაკს.

ავსტრიის რწმუნებულთ სურდათ ჩვენთვის ესიამოვნებიათ და პირველ მუხლში შეეტანეს რომ იმპერატორი სცნობს საფრანგეთის რესპუბლიკასაო. „ამოვშალოთ ეს,—სთქვა ნაპოლეონმა,—რესპუბლიკა თავათ ელვარებს, როგორც მზე; მხოლოდ ბრმები ვერ ამჩნევენ ამასაო“. მართლაც, ასეთი ცნობა საზიანო იყო იმიტომ რომ თუ ოდესმე საფრანგეთის ხალხი მოისურვებდა მონარქიის აღდგენას, იმპერატორს შეეძლო ეთქვა რომ მე რესპუბლიკა ვცანიო.

წინასწარ პირობებში გათვალისწინებული იყო რომ საბოლოო ზავის განხილვა მოხდებოდა კონგრესზე, რომელიც ბერნში შეიკრიბებოდა, ხოლო ზავი მთელი გერმანიის იმპერიისათვის მეორე კონგრესის განხილვის საგანი იქნებოდა, რომელსაც გერმანიის ერთერთ ქალაქში მოიწვევდნენ.

საფრანგეთისთვის უზრუნველყოფილი იყო საზღვარი რაინზე. მდინარე ოლიო წესდებოდა საზღვრად იტალიაში ავსტრიის სამეფო სამფლობელოებსა და ციზალპინის რესპუბლიკას შორის; უკანასკნელი შეიქმნა ლომბარდიისა, მოდენისა, ბერგამოსა და კრემონასაგან. ქალაქ ვენეციას უნდა მიეღო ფერარისა და ბოლონიის სალეგატოები და რომანია იმ სამფლობელოების სანაცვლოდ,

რომლებიც მან ხმელეთზე დაჰკარგა. ამ ხელშეკრულებით მანტუა იმპერატორს რჩებოდა, მაგრამ ციზალპინის რესპუბლიკა იძენდა ვენეციის მიწებს. საფრანგეთის ჯარებს შეეძლოთ პოს მარჯვენა ნაპირის გზებით მილანიდან ვენეციისკენ წასვლით გასულიყვნენ პიავესთან, რითაც ყოველივე მნიშვნელობა ეკარგებოდა მინჩიო-ადიჯეს საზღვრებს და მანტუას. თუმცა არაფერი ხელს არ უშლიდა რომ ორივე რესპუბლიკა ერთ რესპუბლიკად გაერთიანებულიყო, თუ კი ისინი ამის თანახმა იქნებოდნენ. ვენეციამ ცხრა საუკუნეს იარსება ისე რომ არავითარი სამფლობელო მას იტალიის ნახევარკუნძულზე არ ჰქონია, არამედ მხოლოდდამხოლოდ როგორც საზღვაო სახელმწიფომ, ეს იყო მისი უმეტესი ძლიერების ხანა.

სწორედ ამ დროს მოვიდა დეპეშები კირმენისგან. ჯარი აღმფოთებამ მოიცვა, როდესაც გაიგო მის ზურგში მომხდარ მკვლელობათა ამბავი. ვენეციაში აღმართულ იქნა აჯანყების დროშა, და ინგლისის დესპანი ზეიმობდა. მის ნავზე წმ. მარკოსის ლომის ბაირაღი ფრიალებდა. ამ დესპანს დიდი გავლენა ჰქონდა.

27 აპრილს მარკიზმა გალომ გრაცში მთავარსარდალს წარუდგინა იმპერატორის მიერ რატიფიცირებული წინასწარი პირობები. თუ გაცვლა დაუყოვნებლივ არ მოხდა, ეს მხოლოდ იმიტომ რომ უცდიდნენ რატიფიკაციებს დირექტორიისაგან, მაგრამ ვინაიდან ახლა არავითარი ეჭვი ამ რატიფიკაციის მხრივ აღარ არსებობდა, არმიამ დასცალა შტირია და კარნიოლის და კარინთიის ნაწილი. იმპერატორის რწმუნებულების მიერ წარმოდგენილ იქნა რამდენიმე ახალი წინადადება. პასუხი ამ წინადადებებზე ადიუტანტ ლემარუას ხელით გაიგზავნა ვენას. ის იქ პატივით მიიღეს. რევოლუციის შემდეგ ეს პირველად იყო რომ ამ დედაქალაქში სამფეროვანი კოკარდი იხილეს.

გრაცში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე ერთ-ერთმა რწმუნებულმა, იმპერატორის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი წერილის შესასრულებლად, ნაპოლეონს, ზავზე მისი დაყოლიების მიზნით, მთამომავლობითი საკუთრებად შესთავაზა სამთავრო გერმანიაში 250.000 მცხოვრებით როგორც ერთგვარი უზრუნველყოფა რესპუბლიკის უმადურობისაგან. მთავარსარდალმა ჩაიცინა და დაავალა რწმუნებულს—მადლობა მოეხსენებია იმპერატორისათვის იმ ყურადღების დადასტურების გამო, რომელსაც იგი იჩენს მისდამი, მაგრამ გაწაცხადა რომ არ სურს არავითარი განდიდება, არავითარი სიმდიდრე, თუ მათ იძლევა არა ფრანგი ხალხი.

შტაბის პოლკოვნიკს დესოლს დაევალა წასულიყო პარიზს და ექცნობებია მოლაპარაკების დაწყება. გენერალმა მასენამ დირექტორიას გადასცა ხელშეკრულება წინასწარი საზავო პირობებით. მასენა 9 მაისს მიიღეს საზეიმო დარბაზობაზე. იტალიის არმიის ყველა გენერალი, რომელთაც თავი ისახელეს, თანმიმდევრობით იგზავნებოდნენ პარიზს ნადავლის წასაღებად. მხოლოდ მასენა, რომელიც პირველ რიგში იდგა გამარჯვებაში მონაწილეობის მხრივ, ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა გაგზავნილი. სამართლიანობა მოითხოვდა რომ მისი სახელიც დართვოდა ამ დიად ეროვნულ დღესასწაულს, რომელიც საფრანგეთის არმიების თავგამოდებისა და სიმამაცის ნაყოფს წარმოადგენდა.

VII

იტალიის არმიის მდგომარეობა საუცხოო იყო. 19 აპრილს სიით გამოძახებისას აღმოჩნდა ქვეითი ჯარის 38.500 კაცი, ცხენოსანის 4.500, 120 ქვემეხი — სულ 43.000 კაცი, ერთ ბრძოლის ველზე თავმოყრილი, რომელთაც ერთ დღეს შეეძლოთ დაეკავებიათ პოზიციები ზემერინგზე. ლაშქრობის მთელი დროის განმავლობაში ჯარმა მხოლოდ მცირეოდენი ზარალი განიცადა. ციხეები პალმანოვა, კლაგენფურტი, გრაცი სურსათით მომარაგებული და შეიარაღებული იყვნენ. ამ ციხეებში შექმნილი იყო ყოველგვარი მარაგის მრავალრიცხოვანი საწყობები. ფრანგი ჯარისკაცის მორალური დონე არაჩვეულებრივად მაღალი იყო. ნოიმარკტის ბრძოლაში მასენას დივიზიის მხოლოდ მესამედი იღებდა მონაწილეობას, და მარტოოდენ ის საკმარისი აღმოჩნდა, რათა უკუეგდო საუცხოო პოზიციებზე მდგომი ავსტრიელთა მხედრობა. ერცჰერცოგის ჯარი, პირიქით, დემორალიზებული იყო: იტალიის წინანდელ არმიისაგან მას თითქმის არაფერი შერჩა; რაინიდან მოსული ექვსი დივიზია შიგადაშიგ ძლიერ შეიფერთხა და რიცხვობრივადაც საგრძნობლად შემცირდა.

ნაპოლეონს შეეძლო ახლა ვენაში შესვლა, მაგრამ ეს არავითარ ნაყოფს არ მოიტანდა. იქ ფეხის მოკიდება საძნელო იქნებოდა, იმიტომ რომ რაინის არმიები ჯერ კიდევ არამც თუ არ შესდგომოდნენ ლაშქრობას, არამედ განაცხადეს რომ არ შეგვიძლია მისი დაწყებაო. საბჭოები და დირექტორია ერთმანეთის აზრს აღარ იზიარებდნენ. განხეთქილებამ თვით დირექტორიის წევრთა შორის იჩინა თავი. მთავრობა უძლური შეიქნა. საფრანგეთის საზოგადოებრივმა აზრმა დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა. ფინანსები საკალალო მდგომარეობაში იყო. რაინის არმიები უჯამაგიროდ იყვნენ და უდიდეს გაჭირვებას განიცდიდნენ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა რაინზე გადასვლას, ის იყო რომ არ შეეძლოთ—ხაზინიდან 30.000—40.000 ეკიუ მიეცათ მოროსათვის, რასაც იგი საჭიროებდა საბონდო პარკის დასამზადებლად. იტალიის არმიისათვის ვანდეაში შედგენილი ლეგიონები, რომელთაგან თითოეულის რიცხვობრივი შემადგენლობა 4.000 კაცამდე იქნა აყვანილი მათში მრავალი სხვა რაზმის ჩართვით, მილანში მხოლოდ 900—1000 კაცის შემადგენლობით ჩადიოდნენ. სამი მეოთხედი გზიდან გარბოდა. მთავრობა არავითარ ზომებს არ მიმართვდა, რათა შეეგროვებინა დეზერტირები და შეეკრიბნა ჯარები.

გამოლაპარაკებისთანავე ავსტრიელი რწმუნებულები დათანხმდნენ ბელგიისა და რაინის ხაზის დათმობას, მაგრამ მოითხოვეს ანაზღაურება. როცა მათ შესთავაზეს ანაზღაურების მიღება გერმანიაში, მაგალითად ბავარიაში, მათ მაშინვე მიუგეს რომ ამ შემთხვევაში გარანტირებული უნდა იქნას ვენეციის რესპუბლიკისათვის მისი კონსტიტუცია, განმტკიცდეს ოქროს წიგნის არისტოკრატია და არავითარი საბაბით არ იქნას დაშვებული იტალიის რესპუბლიკის გავრცელება ალპებიდან და აპენინებიდან იზონცომდე და იულიოსის ალპებამდეო. ეს ნიშნავდა დახმარებოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის ყველაზე უფრო აქტიურ და ყველაზე უფრო მტკიცე მტერს, რომელიც გაიგებდა თუ არა—რა საშიშროება ემუქრებოდა მას, ამიერიდან არავითარ სხვა პოლიტიკას არ სცნობდა, თუ არა ავსტრიასთან დაახლოების პოლიტიკას; ეს დაახლოება თავის გამოხატულებას ჰპო-

ვებდა ავსტრიისა და ვენეციის ოლიგარქიის შეტევითსა და თავდაცვითს პოლიტიკაში იტალიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს კი გამოიწვევდა ავსტრიისა, ბავარიისა და ვენეციის ძლიერების ზრდას. დირექტორიის მიერ გენერალ კლარკისათვის მიცემულ ინსტრუქციებში დირექტორია სრულ უფლებას აძლევდა მას—ხელი მოეწერა გაცილებით ნაკლებად ხელსაყრელ პირობებზე.

ხალხს, მთავრობას, საკანონმდებლო კორპუსს ზავი სურდათ, და ნაპოლეონმა ხელი მოაწერა მის წინასწარ პირობებს.

VIII

ჰოში ახლად მიწვეული იყო სამბრ-მაასის არმიის სარდლად. ის იყო სრული ნიჭით დაჯილდოებული, მამაცი და პატივმოყვარე ახალგაზრდა კაცი. ის მეთაურობდა საუკეთესო ჯარს, რომელიც 80.000 კაცს ითვლიდა. იგი გრძნობდა რომ შესწევდა ძალა—გაეწია მისთვის ხელმძღვანელობა და მოუთმენლობა სწვავდა: შიკრიკის ყოველ გაგზავნაზე სთხოვდა დირექტორიას—მიეცა მისთვის გერმანიაში შესვლის ნება.

ჯარიც ასევე აგზნებული იყო. თვით საფრანგეთის მოსახლეობა, რომელმაც შეიტყო ნაპოლეონის სწრაფი ლაშქრობის ამბავი ვენაზე და რაინიდან ავსტრიელთა ჯარების უკანდახევა, კითხულობდა: რატომაა რომ სამბრ-მაასის და რაინის არმიები უქმად არიან და ძვირფას დროს ჰკარგავენო.

18 აპრილს ჰოში გადავიდა რაინზე ნოვიდის ხიდით, იმ დროს როდესაც დიუსელდორფიდან გამოსული შამპიონე უკერატსა და ალტენკირხენს უახლოვდებოდა. ავსტრიელთა არმიას კრაი სარდლობდა. ჰოშმა იერიში მიიტანა კრაიზე ჰედესდორფში, ხელთ იგდო მრავალი ათასი ტყვე, ზარბაზნები და დროშები და უკუაგდო იგი მაინისკენ. 22 აპრილს იგი ფრანკფურტს უახლოვდებოდა, როდესაც გენერალ კრაის შტაბმა გადუგზავნა მას გენერალ ბერთიეს დეპეში, რომელიც აუწყებდა ხელმოწერას ლეობენის ხელშეკრულებაზე. მან მაშინვე დასდო დროებითი ზავი და თავისი მთავარი ბანაკი ფრიდბერგს გადიტანა, თანაც ნიდა და ვეცლარი დაიკავა.

მორო პარიზში იმყოფებოდა. ის მოითხოვდა საბონლო პარკს რაინზე გადასასვლელად სტრასბურგში, მაგრამ, როგორც კი გაიგო დეზემ, რაინის არმიის დროებითმა სარდალმა, რომ ჰოში მტერს ებრძვისო, მან გასდო ხიდი 20 აპრილს, დილის 6 საათზე, სოფელ კილშტედტში, სტრასბურგის ქვემოთ რამდენსამე ლიეზე. პარიზიდან სწრაფად მოსული მორო სათავეში ჩაუდგა არმიას იმ წუთს, როცა მის წინააღმდეგ იერიში მოიტანა სტარაიმ, რომელმაც თავი მოუყარა 20.000 კაცს და 27 ზარბაზანს. გაიმართა ცხარე ბრძოლა. ავსტრიელები სასტიკად დამარცხდნენ; გამარჯვებულმა ხელთ იგდო 20 ზარბაზანი და ტყვეები.

წამოღებულ იქნა ავსტრიელთა მთავარი ბანაკის კანცელარიის ყველა ოთხთავლა. მათ შორის იყო კლინგლინის ფურგონი, რომელიც შეიცავდა პიშეგრიუს და პრინც კონდეს მიმოწერას; ამ წერილებს მორო ოთხი თვის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა, ისე რომ ამაზე მთავრობასაც არაფერი აცნობა.

ამ გამარჯვების შემდეგ არმია გაემართა ალმა რაინით და კელი დაიკავა. მისმა მოწინავე რაზმმა უკვე განვლო ოფენბურგი და შეეიდა კინციგის ხეობაში; იქ 22-ს იტალიის არმიის შიკრიკმა მიიტანა ლეობენის საზავო წინასწარ პირობებზე ხელმოწერის ცნობა. მორომ შესწყვიტა საომარი მოქმედება და დროებითი ზავი დასდო სტარაისთან.

საომარი მოქმედება რაინზე დაიწყო მხოლოდ 8 საათის შემდეგ ლეობენის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან, და ნაპოლეონმა ამის ცნობა მიიღო მხოლოდ 7 დღის შემდეგ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან. რატომ არ დაიწყეს იგი ხუთი დღით ადრე და რატომ დირექტორიამ არ მოიწერა მაინც რომ არ უნდა გვქონოდა რაინის არმიებთან ერთად მოქმედების იმედი? იმიტომ რომ ომს ხელმძღვანელობდნენ უნიათოდ, უნიჭოდ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ძირშივე იყო გახრწნილი და ვერავითარ დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვერ აღწევდა. III წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი დადგენილების მიხედვით ხაზინა მთავრობაზე დამოუკიდებელი იყო. აზრი შემცდარი, დამღუპველი და ყველაზე შეუსაბამო, რომელიც კი ოდესმე მოსვლიათ თავში ცხოვრებას დაშორებულ ჩვენს კანონმდებლებს. მარტო ეს იყო საკმარისი რომ ძირი გამოეთხარა რესპუბლიკის არსებობისათვის.

XV თ ა ვ ი

ვ ე ნ ე ც ი ა.

11 ნაქმა

I. ვენეციის აღწერილობა.—II. სენატი.—III. პროვედიტორების მოჩენიგოს და ფოსკარინის ყოფაქცევა.—IV. პარტიები; ბრესია; ბერგამო.—V. ვენეციის საკითხთან დაკავშირებული სიძნელეები.—VI. თათბიოი გიორცში (1797 წლის 20 მარტს).—VII. ვერონა.—VIII. ადიუტანტ ჟიუნოს მისია სენატისადმი; ომის გამოცხადება.—IX. ფრანგების შესვლა ვენეციაში; რევოლუცია ამ ქალაქში.—X. რევოლუცია კონტინენტის ოლქებში. ვენეციელებისათვის წართმეული და ლაშქრობის უკანასკნელ დღეებში წამოღებული დროშების გაგზავნა პარიზს.

I

ვენეცია დაარსებულია V საუკუნეში ფრიულისა და პადუის მცხოვრებთა მიერ, რომლებმაც მიაშურეს ლაგუნებს, რათა თავი დაეფარა ბარბაროსების შემოსევისაგან. თავდაპირველად მას ეკავა ჰერაკლეისა და კიოჯიის ადგილმდებარეობა; შემდგომ არიოსის ხანაში პატრიარქი აქვილეი თავისი კრებულით გადასახლდა გრადოში. გრადო დედაქალაქი გახდა. პირველ ხანებში ვენეტები ემორჩილებოდნენ კანონებსა და პადუის მიერ დანიშნულ კონსულებს. 697 წელს ვენეტებმა პირველად აირჩიეს საკუთარი დოჟი. საფრანგეთის მეფემ პეპინმა რავენაში ფლოტი ააგო და აიძულა ვენეტები რიალტოსა და მის გარშემო მდებარე სამოც კუნძულზე გადასულიყვნენ, სადაც მათ თავი შეაფარეს ლაგუნებს ამ მეფის მტრული მოქმედების ასაცილებ-

ლად. სწორედ ამ ადგილას მდებარეობს თანამედროვე ვენეცია. 960 წლიდან ვენეციელები დაეპატრონენ ისტრიას და ადრიატიკას. ჰუნგრეთის მეფეები აწარმოებდნენ მათთან ბრძოლას დალმაციისათვის. 1250 წელს ფრანგებთან კავშირში მათ აიღეს კონსტანტინეპოლი.

XVII საუკუნის შუამდე ისინი ფლობდნენ მორეას და კანდიას. რევოლუციებით აფორიაქებული იტალია ხშირად იცვლიდა თავის გამგებელთ, ხოლო მუდამ დამოუკიდებელი და თავისუფალი ვენეცია არაოდეს არ სცნობდა უცხოელთა ხელისუფლებას. ის ყოველთვის ახერხებდა გასხლტომოდა ნახევარკუნძულის მფლობელთა ბატონობას.

ვენეცია წარმოადგენს იტალიაში ყველაზე უკეთესი მდებარეობის მქონე სავაჭრო ნავსადგურს. კონსტანტინეპოლიდან და ლევანტიდან გამოგზავნილ საქონელს იქ ყველაზე უმოკლესი გზით—ადრიატიკის ზღვით ღებულობენ; იქიდან ის გადადის მთელს ზემო იტალიაში ტურინამდე, მდ. პოზე, და მთელს გერმანიაში, ადიჯეზე აყოლით ბოცენამდე, საიდანაც გზატკეცილები მიდის ულმს, აუგსბურგს, მიუნხენსა და ნიურენბერგს. ვენეცია—ზემო დუნაის, პოს და ადიჯეს საზღვაო ნავსადგურია. ბუნებამ არგუნა მას იყოს ლევანტის, იტალიისა და სამხრეთ გერმანიის სასაწყობო პუნქტი. კეთილიმედის კონცხის აღმოჩენამდე ვენეცია აწარმოებდა ვაჭრობას ინდოეთთან ალექსანდრიისა და მეწამული ზღვის მეშვეობით, ამიტომ ეწეოდა იგი ბრძოლას პორტუგალიასთან, რათა ხელთ ეგდო მისი საზღვაო გზები. მან გაამზადა მნიშვნელოვანი ფლოტი მეწამულ ზღვაში, ააგო საჯაბადრო, მტკნარი წყლის აუზები და სხვადასხვა მარაგის საწყობები სუეცის ახლო. მათი ნაშთები ჯერ კიდევ აოსებობს „მოსეს წყაროებთან". მაგრამ პორტუგალელებმა დაამარცხეს ეს ძვირად ღირებული ფლოტი, ხოლო ანარქიას, რამაც მოიცვა ეგვიპტე, შედეგად მოჰყვა ის რომ ინდოეთთან ვაჭრობის ეს გზა დაიკეტა.

ლაგუნები იქმნება პიავეს, ბრენტას და ლიენცის წყლებისაგან; ისინი ზღვას სამი დიდი გასავალით—კიოჯიის, მალანოკოს და ლიდოსი—უკავშირდებიან.

უზენაესი ხელისუფლება დემოკრატიულ დაწესებულებათა მოსპობის დროიდან 1200 წ. ოქროს წიგნში ჩაწერილ და დიდ საბჭოში თითქმის 1200 ხმით წარმოდგენილ რამდენიმე ასეულ გვარისაგან შემდგარ არისტოკრატიის ხელთ გადავიდა. ვენეციის ოლქების მცხოვრებთა რიცხვი უჯრიდა 3 მილიონ კაცს, რომლებიც დასახლდნენ ვენეციის გარშემო, მეტად ნაყოფიერ ოლქებში: ბერგამოსა, ბრეშიასა, კრემონასა, ვიჩენცასა, პადუასა, პოლეზინასა, ტრევიზასა, ბასანოსა, კადორესა, ბელუნოსა და ფრიულში იტალიის კონტინენტზე, ისტრიასა, დალმაციასა და კატაროს შესართავში ადრიატიკის ზღვის ნაპირებზე და, ბოლოს, იონიის კუნძულებზე. მისი ტერიტორია ემიჯნებოდა ჩრდილოეთით იულიოსის ალპების ზემო ქედს, მდ. ადადან მდ. იზონცომდე. ეს მთის ჯაჭვი ყველგან გაუვალია ჭაპანტრანსპორტისათვის და იგი საზღვარს ჰქმნის გერმანიის მხრით. მასზე შეიძლება გავლა მხოლოდ სამი გასასვლელით: ტიროლისა, კარინთიისა და კარნიოლის გზატკეცილებით.

1796 წელს ეს რესპუბლიკა ყოფილი ვენეციის ლანდს თუ წააგავდა. სამი თაობა შეიცვალა ისე რომ ომი არ უწარმოებიათ. თოფის მარტოოდენ დანა-

ხვა ძრწოლას ჰგვრიდა დანდოლოს, ზენოს, მოროზინის გადაგვარებულ ნაშიერთ. ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ატეხილ ომის დროს და 1733—1740 წწ. ომებში ისინი ლაჩრული მორჩილებით იტანდნენ ავსტრიის, საფრანგეთის და ესპანეთის ჯარებისაგან დაცინვა-შეურაცხყოფას.

ვენეციის ფლოტი შედგებოდა თორმეტი 64-ზარბაზნიანი გემისაგან, ამდენივე ფრეგატისა და დიდის რაოდენობით მცირე ხომალდებისაგან, რაც საკმარისი იყო იმისათვის რომ ბარბაროსებს ჰქონოდათ მისი რიდი და პატივისცემა, გაბატონებული ყოფილიყო ადრიატიკაზე და დაეცვა ლაგუნები. ჯარი 14 000 კაცის რაოდენობით კონტინენტზე შეგროვილ იტალიელთა ლეგიონებისა და დალმაციაში შეგროვილ სლავონთა ნაწილებისაგან შედგებოდა. მამაც და რესპუბლიკისადმი ძალზე ერთგულ სლავონებს ის უპირატესობა ჰქონდათ რომ კონტინენტისათვის უცხო იყვნენ ენითაც და ზნე-ჩვეულებითაც. რესპუბლიკის მართვაგამგეობაში მონაწილეობას მხოლოდ ოქროს წიგნში შეტანილი გვარები ღებულობდნენ. სენატი მხოლოდდამხოლოდ მათგან შედგებოდა, ისევე როგორც საბჭოები და ორმოცის კომიტეტები. ეს უკმაყოფილებას ჰბადებდა კონტინენტის თავადაზნაურობაში, რომელშიც მრავლად იყვნენ მდიდარი, წარჩინებული და ძლიერი გვარები. დამოკიდებულ მდგომარეობაში მოქცეულთ და ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებულთ, მათ არავითარი გავლენა არა ჰქონდათ საქმეებზე და შურის თვალით უყურებდნენ გაბატონებულ დიდკაცობას. ისინი წარმოდგებოდნენ ნაწილობრივ ძველი კ ო ნ დ ო ტ ი ე რ ი ს ა გ ა ნ, ძველი პ ო დ ე ს ტ ი ს ა გ ა ნ ან სხვა პირთაგან, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ თავიანთი ქალაქების რესპუბლიკებში, და რომელთა წინაპრები ვენეციელებისადმი ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდგომ ბოლოს ვენეციის პოლიტიკამ იმსხვერპლა. შურსა და სიძულვილს, რომელთაც მათში სახელმწიფო ხელისუფლება იწვევდა, თანერთვოდა აგრეთვე გულმოდგინედ გაღვივებული ძველისძველი სურვილი შურისძიებისა. კონტინენტურ სამფლობელოთა უბრალო ხალხი საერთოდ ყველაფრის უკმაყოფილო იყო; მისი მომეტებული ნაწილი თავის თავადაზნაურობას ემხრობოდა. მაგრამ ვენეციის დიდკაცობა თითქმის ყველა პროვინციაში ფლობდა მამულებსა და საწარმოებს და ამიტომ მას იქ თავისი მომხრეებიც ბევრი ჰყავდა. სამღვდელოებას არ ჰქონდა ნდობა და რაიმე გავლენა ამ რესპუბლიკაში, რომელიც დიდიხანია რაც უკვე განთავისუფლდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, პაპის საერო გავლენისაგან.

II

1792 წელს კოალიციის სახელმწიფოები ვენეციას წინადადებას აძლევდნენ —მონაწილეობა მიეღო ომში. როგორც ჩანს, სენატში ამ საკითხს სერიოზული კამათი არ გამოუწვევია: ერთსულოვანი ვოტუმი ნეიტრალიტეტის მხარეზე იყო. ეს რესპუბლიკა იმდენად დაშორებული იყო ომის ასპარეზს რომ საფრანგეთის საქმეებში თავისთავს უთანაზიაროდ სთვლიდა. როდესაც გრაფი დელილი თავშესაფარს ეძებდა ვერონაში, სენატმა ნებადართო მას ეცხოვრა იქ მხოლოდ საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის თანხმობით, რომელიც ამჯობინებდა გრაფი ვერონაში ენახა, ვიდრე სხვა რომელსაც ადგილას.

როდესაც ფრანგის ჯარი 1794 წელს ონელიასკენ დაიძრა, იტალიაში ეს შემოსევის საფრთხედ მიიჩნიეს, და მთელი რიგი სახელმწიფოები შეიკრიბნენ კონგრესზე მილანში. ვენეციამ უარი სთქვა მასში მონაწილეობის მიღებაზე არა იმიტომ რომ ის იწონებდა საფრანგეთის პრინციპებს, არამედ იმიტომ რომ მას აშინებდა თავისი ბედის ავსტრიისათვის ჩაბარება და არ სურდა ხელი აეღო თავის გაუბედავ და უნიათო პოლიტიკაზე, რომელსაც უკვე რამდენიმე თაობის განმავლობაში ატარებდა.

როდესაც ნაპოლეონი მილანს მიკიდა, ბოლიე კი, თავზარდაცემული, მინჩიოს გაღმა გაიქცა და დაიკავა პესკიერა, სადაც მან თავისი მარჯვენა ფრთა დააყენა იმ იმედით რომ დაიცავდა ამ ხაზს, სენატი დიდმა მოუსვენრობამ და შიშმა შეიპყრო. ვეებერთელა სივრცე, რომელიც აქამდე ვენეციას ჰყოფდა დემოკრატიისა და არისტოკრატიის ბრძოლისაგან, გადალახული აღმოჩნდა. პრინციპების ომი და ზარბაზნების ომი სახელმწიფოს გულში შეიჭრა. დიდი უთანხმოება წარმოიშვა საბჭოებში, სადაც თავი იჩინა სამმა თვალსაზრისმა.

ახალგაზრდა ოლიგარქები შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს მიესწრაფოდნენ. მათ სურდათ დაეყენებინათ ძლიერი მეცხოვნე ჯარები პესკიერასა, ბრეშიასა, პორტო-ლენიაგოსა და ვერონაში, გამოეცხადებინათ ეს ციხეები საალყო წესებზე, აეყვანათ არმია 60.000 კაცამდე, სასწრაფოდ შეეიარაღებინათ ლაგუნები, დაეფარათ ისინი საკანონერო გემებით, გაემზადებინათ ესკადრა ადრიატიკის ზღვის დასაცავად და, ასეთი მტკიცე მდგომარეობის შექმნის შემდეგ, გამოეცხადებინათ ომი იმისთვის, ვინც პირველი დაარღვევდა მათ ნეიტრალიტეტს. ამ მოსაზრების მომხრენი გაცილებით შორს მიდიოდნენ. ისინი ამბობდნენ: „თუ დაჰკრავს უკანასკნელი საათი, სიკვდილი იარაღით ხელში უფრო ნაკლებ სამარცხვინო იქნებაო. ჩვენის ტერიტორიის დაცვით ჩვენ ხელს შევუშლით საფრანგეთის იდეების გავრცელებას კონტინენტის დიდ ქალაქებში. რაც უფრო ძლიერ წინააღმდეგობას გავუწევთ, მით უფრო მეტი პატივისცემა ექნება ჩვენდამი ურთიერთ მტრულად განწყობილ ორთავე მხარეს. თუ, პირიქით, თვითონ ჩვენ გავუღებთ კარს, ომი ორ მტრულ სახელმწიფოს შორის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იწარმოებს, და უზენაესი ძალაუფლება იმავე წუთიდან ხელიდან გამოეცლება დოჟს. მისი პირველი მოვალეობაა— თავის ქვეშევრდომთა დაცვა. უკეთუ მათი ყანები, მათი საკუთრება ომის კერძი გახდება, უბედურებაში მყოფი ხალხი ყოველივე მოკრძალებასა და პატივისცემას დაჰკარგავს იმ ხელისუფლებისადმი, რომელმაც იგი ბედისანაბარად დასტოვა. უკვე ჩანასახში არსებული უკმაყოფილება და შური არნახული ძალით გაღვივდება: რესპუბლიკა დაიღუპება ისე რომ იგი არავის დაენანებაო“.

ძველი პოლიტიკის მიმდევარნი ამტკიცებდნენ რომ არ უნდა იქნას მიღებული არავითარი საბოლოო გადაწყვეტილება და რომ საჭიროა მანევრირება, დროის მოგება და ცდა, თუ რა მოხდებაო. ისინი აღიარებდნენ რომ ყველაფერს საშიშროება სავსებით რეალურია, რომ ეჩსებობს საფრთხე როგორც ავსტრიის პატივმოყვარეობის, ისე საფრანგეთის იდეების მხრივ, მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველივე ეს ბოროტება წარმავალია. ფრთხილი მოქმედებით შეიძლება უსიამოვნების აცილება, ვინაიდან ფრანგებთან მორიგება ადვილია, მეტადრე მათდამი თავაზიანი მოპყრობით, ადვილია აგრეთვე მათი ბელა-

დების გულის მოგება. თანამედროვე სულიერი განწყობილების დროს ყოველ-
გვარ შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს შესაძლოა მოჰყვეს ომი, რასაც უნდა
გავურბოდეთ პირველად ყოვლისა; განგებამ დედაქალაქი ყოველგვარი
მცდელობისაგან უზრუნველყოფილ მდგომარეობაში მოაქცია, და ყოველგვარ
მოსალოდნელობას უნდა დაუპირისპირდეს მოთმინება, ზომიერება და დროო.

ბატალია ამბობდა: „რესპუბლიკა მართლაც საფრთხეშიაო. ერთის მხრივ,
საფრანგეთის პრინციპები ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, მეორეს
მხრივ—ავსტრია ხელყოფს ჩვენს დამოუკიდებლობას. უნდა ვეცადოთ—ორ ამ
გარდუვალ უბედურებას შორის ავირჩიოთ საშუალო. ყველაზე უარესი, ჩემის
აზრით, ავსტრიის მონობაა. შევავსოთ ოქროს წიგნი, ჩავწეროთ შიგ კონტი-
ნენტის თავად-აზნაურობის ის წარმომადგენლები, რომლებიც ამის ღირსი
არიან; ამით ჩვენ დავამშვიდებთ ჩვენს ხალხებს, და ჩვენს შორის გაქრება ოპო-
ზიცია. შევაიარაღოთ ციხეები, გავამზადოთ ფლოტი, შევაგროვოთ ჯარი და
შევეგებოთ საფრანგეთის მთავარსარდალს შეტევითი და თავდაცვითი კავში-
რის წინადადებით. შესაძლოა ჩვენ მოგვიხდეს ზოგიერთი ცვლილების შეტანა
ჩვენს კონსტიტუციაში, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ვიხსნით ჩვენს დამოუკიდებ-
ლობასა და თავისუფლებას. ლაპარაკობენ შეიარაღებულ ნეიტრალიტეტზე:
ორი წლის წინათ ასეთი გადაწყვეტილება საუკეთესო იქნებოდა, ის სწორე
იქნებოდა, იმიტომ რომ მას ერთნაირად გამოვიყენებდით ორთავე ურთიერთ
მებრძოლი მხარის მიმართ, ის შესაძლებელი იყო იმიტომ რომ ჩვენ მოგვე-
პოებოდა დრო მისთვის მოსამზადებლად. ახლა თქვენ ვერ აუკრძალავთ ფრან-
გებს იმას, რაზედაც თქვენ ნებას რთავდით ავსტრიელებს ან-და რასაც მათგან
ითმენდით. აუკრძალოთ—ეს იმას ნიშნავს გამოუცხადოთ ომი საფრანგეთის
არმიას, როდესაც იგი რვა დღის შემდეგ ვერონაში იქნება, თქვენ კი უზრუნ-
ველყოფილიც არა გაქვთ დახმარება ავსტრიის მხრით. ორი თვის განმავლო-
ბაში ამ სახელმწიფოს არაფრის გაკეთება არ შეუძლია თქვენთვის. რა მოუვა
რესპუბლიკას ამ ორი თვის განმავლობაში, როცა ის პირისპირ დგას ასეთი
ყოჩაღი და აქტიური მოწინააღმდეგის წინაშე? ყველა გადაწყვეტილებაში—
ეს ყველაზე უარესია. ეს ნიშნავს შიგ შუაგულ საშიშროებაში გადაეშვა, იმის
მაგიერ რომ თავიდან აიცდინო იგი.

მეორე გადაწყვეტილება, რასაც თქვენ გთავაზობენ, — მოთმინება და
დროის გაჭიანურება,—ისევე უვარგისია, როგორც პირველი. პოლიტიკური
მდგომარეობა დღეს სრულიადაც ის არაა, რაც წინათ: დრონი იცვალნენ; კრი-
ზისი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, სრულიად არ წააგავს არცერთ იმათგანს,
რომლებიც გამარჯვებას უსვეტდა ჩვენი წინაპრების ძველ, ნაცად კეთილგონი-
ერებას. ყველას თავში უტრიალებს საფრანგეთის პრინციპები. ისინი ყოველ-
გვარ ფორმებში პოულობენ თავის გამოვლინებას. ეს—ნაპირებზე გადმოსული
მდინარეა, და მოთმინებით, ზომიერებით, მოხერხებულობით მისი შეჩერების
ყოველივე ცდა ამაოა. თქვენი ხსნა შეუძლია მხოლოდ ერთადერთ საშუალე-
ბას, ...ელსაც მე გთავაზობთ. იგი უბრალო, კეთილშობილი და გაბედული.
ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ ფრანგებს კონტინგენტი 10.000 კაცის რაოდე-
ნობით. ჩვენ კიდევ დაგვრჩება ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი ციხეების და-
საცავად. ისინი მალე აიღებენ მანტუას და ომს გერმანიაში გადაიტანენ. ჩვენ

შიერ პირველი ნაბიჯის გადადგმის შემდგომ ყოველივე დანარჩენი გაადვილდება, იმიტომ რომ ამიერიდან ყველა პარტია, რომლებიც სწეწენ სახელმწიფოს, ერთსულოვნად ერთ საერთო გზას დაადგება. ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება, და ჩვენ ვიხსნით ჩვენი კონსტიტუციის საფუძვლებს. ავსტრიას არავითარი გავლენა არა აქვს ჩვენს ხალხებზე. მას არ გააჩნია ფლოტი, მაშინ როდესაც ყოველ წუთს მოსალოდნელია ლიდოზე ტულონის გემების გამოჩენა".

ამ მოსაზრებას ყველა წესიერი ადამიანი მიემხრო, მაგრამ არისტოკრატიულმა ცრუ აზრებმა გაიმარჯვა სამშობლოს ინტერესებზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მეტისმეტად კეთილშობილური იქნებოდა გადაგვარებული, გაბედული აზროვნების უნარის არ მქონე ადამიანებისათვის.

III

პროვედიტორმა მოჩენიგომ დიდი ზეიმით მიიღო ნაპოლეონი ბრეშიაში. ის არწმუნებდა მას რომ საფრანგეთისადმი სენატს კეთილი გრძნობები აქვსო. ბრწყინვალე დღესასწაულების გადახდით დაამყარეს კავშირი არმიის ოფიცრებსა და მთავარ გვარეულობათა შორის. ყოველი დიდგვაროვანი ცდილობდა გამხდარიყო რომელიმე ფრანგი გენერლის პირადი მეგობარი.

ამნაირადვე მიიღო იგი ვერონაში პროვედიტორმა ფოსკარინიმ, მაგრამ მისმა გულზვიადობამ ამხილა მისი ფარისევლობა: ის ვერ ახერხებდა თავისი იდუმალი ზრახვების დამალვას. სენატორთაგან ის ყველაზე მტრულად იყო ახალი იდეებისადმი განწყობილი. მან ვერ გაბედა გამოეთქვა უკმაყოფილება პესკიერაში ფრანგების შესვლაზე, იმიტომ რომ იქ ისინი ბოლიეს ჯარების შემდეგ მივიდნენ; მაგრამ როდესაც ფრანგებმა მოითხოვეს თოფხანის გასაღები ქვემეხების დასადგმელად სანგრებზე და როცა მათ მოუხდათ გალერების შეიარაღება, მან პროტესტი განაცხადა რესპუბლიკის ნეიტრალიტეტის ასეთი დარღვევის წინააღმდეგ. როცა ნაპოლეონი პესკიერას მივიდა, ეს პროვედიტორი ცდილობდა გადაეთქმევინებინა მისთვის ვერონაზე გალაშქრება; ის იქამდეც კი მივიდა რომ დაემუქრა: ქალაქის კარს დავკეტ და ზარბაზნების სროლას დავიწყებო. „გვიან-ღა არისო,—უთხრა მას მთავარსარდალმა,—ჩემი ჯარი უკვე შესულია იქ. მე იძულებული ვარ ვაწარმოო დაცვა ადიჯეზე სანამ მანტუა ალყაშემორტყმულია. ათასხუთასი სლავონელით ხომ არ ძალგიძთ ხელი შეუშალოთ ავსტრიის არმიის მდინარეზე გაადსვლას? ნეიტრალიტეტი ისაა რომ თითოეულისათვის თანაბარი ზომა და თანაბარი წონა არსებობდეს. თუ თქვენ მტერი არა ხართ, თქვენ ნება უნდა მომცეთ გავაკეთო ის, რის ნებაც დართეთ ანდა, ყოველ შემთხვევაში, დაუშვით რომ გაეკეთებინათ ჩემს მტრებსაო".

ყოველივე ასეთი უთანხმოება სენატს ეცნობა და იგიც იძულებული შეიქნა გაეწვია ფოსკარინი და შეეცვალა იგი ბატალიათი, რომელიც ამასთანავე დანიშნულ იქნა ადიჯეს გაღმით მდებარე ყველა პროვინციის, მათ შორის—ვერონის, მთავარ პროვედიტორად. ის იყო გამგონი, განათლებული, მოხდენილი ქცევის ადამიანი, ბოლომდე ერთგული თავისი სამშობლოსი; იგი ძლიერ კარგად

იყო განწყობილი ძველი დროის საფრანგეთისადმი, და თვით რესპუბლიკურ საფრანგეთსაც კი ამჯობინებდა ავსტრიას.

ომის ასპარეზმა თანდათანობით მოიცვა ვენეციის ყველა სამფლობელო, მაგრამ პირველად ავსტრიელები იკავებდნენ სულ ახალ-ახალ ტერიტორიას. ბოლიემ დაიკავა პესკიერა და ვერონა, ვურმზერმა ბასანოს მიაშურა და ვიჩენცასა და პადუაზე გაიარა. ალვინციმ და ერცჰერცოგმა კარლოსმა დაიკავეს ფრიული, პალმანოვა და ყველაფერი რესპუბლიკის თვით უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრებამდე.

IV

დიდმა აღელვებამ იჩინა თავი კონტინენტის სამფლობელოებში. უკმაყოფილება სწრაფად გავრცელდა. ოლიგარქიისადმი ძველი სიძულვილი ახალ იდეებისადმი სწრაფვას შეუერთდა. იტალიას დაკარგულად სთვლიდნენ ავსტრიისათვის, ამას კი შედეგად არისტოკრატიის დამხობა უნდა მოჰყოლოდა. აპოლეონი მუდამ იმას ცდილობდა რომ შეენელებინა ეს მოძრაობა, რომელზეც ამასთანავე არმიის სულიერი განწყობილებაც აღმძვრელად მოქმედებდა. როდესაც იგი ტოლენტინოდან დაბრუნდა იმ სავსებით მოფიქრებული განზრახვით რომ ვენეციაზე გაელაშქრნა, მას მოუხდა ინიციატიცია ყურადღება ასეთი მდგომარეობისათვის, რომელიც სიძნელეებს უქმნიდა. აღელვება სულ უფროდაუფრო, ნიზრდებოდა. ბრეშია, ბერგამო აჯანყებამ მოიცვა. ფენაროლი, მარტინენგოლეკი და ალესანდრი სათავეში ჩაუდგნენ აჯანყებულებს; ისინი ყველაზე მდიდარი გვარების რიცხვს ეკუთვნოდნენ. ორთავე ამ ქალაქის მუნიციპალურ ხელისუფალთ დიდი გავლენა ჰქონდათ; ისინი განაგებდნენ ფულის საქმეს, აწესებდნენ გადასახადებს და ნიშნავდნენ თანამდებობის პირთ. თუ იქ ჯერ კიდევ ფრიალებდა წმ. მარკოსის ლომის დროშა, ეს უფრო მთავარსარდლისადმი პატივისცემა იყო, ვიდრე ვენეციისადმი მორჩილების ნიშანი. ლაპარაკშიც და პრესაშიც ერთთავად გაისმოდა ვენეციის მაღალი საზოგადოების ძავება. გესლიანად და ყოველგვარი საშუალებით ხაზს უსვამდნენ მისი ხელისუფლების უსამართლობას. „საიდან მოიპოვა ვენეციამაო,—ამბობდნენ ისინი,—ჩვენს ქალაქებზე ბატონობის უფლება? განა ჩვენ ნაკლებ გამბედავნი, ნაკლებ განვითარებულნი, ნაკლებ მდიდარნი, ნაკლებ კეთილშობილნი ვართო“? ძლიერ შეილახა სენატორების სიამაყე, როცა დაინახეს რომ საუკუნეობით მათდამი მორჩილებაში მყოფი ქვეშევრდომნი ივიწყებდნენ იმ ვეებერთელა მანძილს, რომელიც მათ ყოფდათ, და თავიანთ ბატონებს ედრებოდნენ. ყოველივე ეს მძაფრი შეჯახების მომასწავებელი იყო. ბატალია თავის დეპეშებში სენატისადმი მალავდა, რამდენადაც კი შეეძლო, იმ შეურაცხმყოფელ კადნიერებას, რასაც ბრეშიის მცხოვრებნი იჩენდნენ, ხოლო ამ უკანასკნელთა წინაშე ამცირებდა სენატის წყრომასა და გაგულისებას. მუდამ შემარიგებელ მოქმედებასთან ერთად იგი მთავარსარდალთან თავის ხშირ ურთიერთობაში განუწყვეტლივ ცდილობდა აღეძრა მასში ინტერესი რესპუბლიკის საქმეებისადმი.

V

ამგვარად, არმიის ზურგში 3 მილიონი ხალხის დატოვება ასეთი არეულობისა და ანარქიის დროს მეტად სახიფათო იყო. ნაპოლეონი არ უმალავდა თავისთავს რომ მისი გავლენა საფრანგეთის მეგობრებზე იმაზე მეტი არ იყო, როგორც თვითონ სენატზე. მას შეეძლო მათი შეკავება მოქმედებისაგან, მაგრამ მას არ შეეძლო უშუალოდ მათთვის ლაპარაკის, წერის დაშლა, დოჟის გაღიზიანება მართვა-გამგეობის ისეთ წვრილმანებში ჩარევით, რომელიც მას არ ეხებოდა. ბრეშიას და ბერგამოს პატრიოტებისათვის ზურგის შექცევა, სენატის მაგიერ თავისი თავის გამოცხადება, ნოვატორების დასჯა, ამათით ვენეციის საკნების ავსება — ყოველივე ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა რომ ჩამოიშორებდა სახალხო პარტიას, არისტოკრატიას-კი ამ ღონისძიებითაც ვერ მოიმხრობდა. ნაპოლეონი რომ ასეთ პოლიტიკას დასდგომოდა მისი გარდუვალი შედეგი ისეთივე იქნებოდა, როგორც ლუი XII დროს,—მთელი მოსახლეობის აჯანყება ჩვენს წინააღმდეგ.

სენატის შეგულიანება რომ დაკავშირებოდა საფრანგეთს, შეეცვალა კონსტიტუცია კონტინენტის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად—საუკეთესო და ერთადერთი მისაღები გადაწყვეტილება იყო. კიდევაც სწორედ ეს შეადგენდა ნაპოლეონის ღონისძიებათა მუდმივ მიზანს. ყოველი ახალი გამარჯვების შემდგომ ის ხელახლა აყენებდა ასეთ წინადადებას, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ.

მესამე გადაწყვეტილება ასეთნაირად ისახებოდა: გაელაშქრებიათ ვენეციაზე, დაეკავებიათ ეს დედაქალაქი და შეიარაღებული ძალით მოეხდინათ პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც, გარემოებისდა მიხედვით, აუცილებლივ საჭირო იქნებოდა, და ხელისუფლება გადაეცათ საფრანგეთის მომხრეებისთვის. მაგრამ გალაშქრება ვენეციაზე შეუძლებელი იყო, სანამ ერცჰერცოგ კარლოსს შეეძლო ყოველ წუთს პიავეზე გამოჩენა. მაშასადამე, საჭირო იყო დაეწყოთ ავსტრიის არმიის განადგურებით და იტალიიდან მისი გაძევებით. როცა ეს მიღწეული იქნებოდა, გამარჯვების ნაყოფი ხელიდან არ უნდა გაეშვათ და არ უნდა შეენელებიათ მთებზე შემდგომი გადასვლა მხოლოდ იმისთვის რომ ვენეციის გარშემო ეწარმოებიათ ბრძოლა, და მით დრო მიეცათ ერცჰერცოგ კარლოსისათვის კვლავ გონს მოსულიყო, გაძლიერებულიყო და შეექმნა ახალი დაბრკოლებები. მხოლოდ ვენის კედლებთან გამარჯვება უნდა დაგვირგვინებულიყო ბოლოსდაბოლოს ზავით. თუმცა, ვენეციაც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. მას იცავდნენ ლაგუნები, საცხო ნაგებობანი და 10.000 სლავონელი. ადრიატიკაში გაბატონებულს მას შეეძლო ახალ-ახალი ჯარების მიღება. ბოლოს, ყველა მისი მმართველი გვარი იძულებული იყო — ებრძოლნა თავისი პოლიტიკური არსებობისათვის, და ეს აძლევდათ მათ მორალურ სტიმულს წინააღმდეგობის გასაწევად. ვის შეეძლო გაეთვალისწინებია, თუ რამდენ ხანს დააყოვნებდა საფრანგეთის არმია ამ ციხესთან? და რაგინდ მცირე ხანს არ უნდა გაგრძელებულიყო ეს ბრძოლა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ასეთი ძლიერი წინააღმდეგობა დანარჩენ იტალიაზე?

ეს ახალი ომი ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრს წარმოშობდა პარიზში. სენატს იქ მეტად ენერგიული დესპანი ჰყავდა. საკანონმდებლო კორპუსი ოპოზიციაში იყო დირექტორიასთან, დირექტორია კი თვითონ შეიცავდა აზრთა სხვადასხვაობას. მისთვის რომ მიეცათ შეკითხვა ვენეციასთან ომზე, იგი არ უპასუხებდა ანდა დუმილით აუვლიდა გვერდს ასეთ კითხვას. ნაპოლეონს რომ დამოუკიდებლად ემოქმედნა, როგორც ის აქამდე სჩადიოდა, მას უსაყვედურებდნენ ყველა პრინციპის დარღვევას, უკეთუ მის მოქმედებას სწრაფად არ მოჰყვებოდა დადებითი შედეგი. მას როგორც მთავარსარდალს მხოლოდ ის უფლება ჰქონდა რომ ძალას ძალით გამკლავებოდა. შეიარაღებული სახელმწიფოს წინააღმდეგ მის მიერ ახალი ომის წამოწყება კი მთავრობის თანხმობის გარეშე—ეს იმას მოასწავებდა რომ ბრალი დასდებოდა უზენაესი ხელისუფლების უფლებათა მითვისებაში და რესპუბლიკური ეჭვიანობის საგნად გამხდარიყო.

ვენეციის ეპიზოდი შეიძლებოდა მთავარ საკითხად გადაქცეულიყო. ამიტომ ნაპოლეონმა გადასწყვიტა ვენეციელთა მიმართ სამხედრო სიფრთხილის უბრალო ღონისძიებათა ხმარება. ბრეშიის, ბერგამოს, ადიჯეს მთელი მარჯვენა ნაპირის მხრივ იგი დამშვიდებულად გრძნობდა თავს. ვერონის ციხედარბაზებში, სან-ფელიჩესა, სან-პიეტროსა და ძველ სასახლეში, მან ბრძანა დაეყენებიათ მეციხოვნეები და ამით უზრუნველჰყო თავისთვის ქვის ხიდები.

პაპის წინააღმდეგ ექსპედიციაში ჩაბმული ჯარი უკანვე, ადიჯეზე ბრუნდებოდა. ის საკმაო ძალას წარმოადგენდა იმისთვის, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა სენატზე. გაცემულ იქნა განკარგულებები რომ ყველა გამოჯანსაღებული და დაჭრილი ჯარისკაცი, რომელსაც ჰოსპიტლებიდან გამოსწერდნენ, შეგროვილიყო სალაშქრო ათასეულებად და შეერთებოდა მარქაფს. მაგრამ ეს ღონისძიება მოქმედ ჯარსაც შესაბამისად ასუსტებდა.

VI

ნაპოლეონმა მაინც კიდევ ერთხელ სცადა მოლაპარაკება. მან მოისურვა გამოსაუბრებოდა პეზაროს, რომელიც იმ დროს რესპუბლიკის ყველა საქმეს ხელმძღვანელობდა. პეზარომ დაახასიათა თავისი სამშობლოს კრიზისული მდგომარეობა, ხალხის მღელვარე სულიერი განწყობილება, სენატის კანონიერი ჩივილი. ის ამბობდა რომ ასეთი მძიმე მდგომარეობა სენატისაგან მოითხოვს ძლიერ ღონისძიებებს და არაჩვეულებრივ შეიარაღებას, და ამან ფრანგებს არავითარი უნდობლობა არ უნდა აღუძრასო; რომ სენატი იძულებული იყო მოეხდინა დაპატიმრებები ვენეციაში და კონტინენტზეო; რომ უსამართლობა იქნებოდა გვეცნო ზედმეტ სიმკაცრედ საფრანგეთის მომხრეებისადმი ის, რაც მხოლოდ სამართლიანი სასჯელი იყო იმ უხამს ქვეშევრდომთა მიმართ, რომელთაც არ მოისურვეს დამორჩილებოდნენ თავისი ქვეყნის კანონებსო. ნაპოლეონი დაეთანხმა იმ აზრს რომ ვენეციის მდგომარეობა კრიზისულია, მაგრამ დრო რომ არ დაეკარგა ამის მიზეზების განხილვაზე, პირდაპირ დაუსვა საკითხი: „თქვენ გინდათო,—სთქვა მან,—დააპატიმროთ ისინი, ვინც თქვენ მტრებად მიგაჩნიათ, მაგრამ ეს—ისინი არიან, ვისაც მე მეგობრებად

ვთვლი. თქვენ ანდობთ ხელისუფლებას იმ ადამიანებს, რომლებიც ცნობილი არიან თავისი სიძულვილით საფრანგეთისადმი. თავს უყრით ახალ ჯარებს. რაღა დაგრჩენიათ თქვენ ომის გამოსაცხადებლად? ამავე დროს კი თქვენ მოგელისთ სრული და დაუყოვნებლივი დაღუპვა. ამაოდ იმედოვნებთ ერცჰერცოგის დახმარებას. რვა დღეც კი არ გაივლის რომ მე მის არმიას იტალიიდან გავაძევებ. არსებობს ერთი საშუალება თქვენი რესპუბლიკის იმ მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რომელშიც ის იმყოფება: მე ვთავაზობ მას საფრანგეთთან კავშირს. მე უზრუნველვყოფ მის სამფლობელოებს კონტინენტზე და მის უფლებასაც კი ბრეშიასა და ბერგამოზე, მაგრამ მოვითხოვ რომ მან გამოუცხადოს ომი ავსტრიას და ჩემს ჯართან შესაერთებლად გამოიყვანოს კონტინგენტი ქვეითი ჯარის 10.000 კაცის, ცხენოსანი ჯარის 2.000 კაცის და 24 ქვემეხის შემადგენლობით. მე ვფიქრობ რომ დროული იქნებოდა ოქროს წიგნში კონტინენტის სამფლობელოთა მთავარი გვარების ჩაწერა; თუმცა მე ამას აუცილებელ პირობად არ ვაყენებ. დაბრუნდით ვენეციაში, მოიფიქრეთ ეს სენატში და მოდით, რათა ხელი მოაწეროთ იმ ერთადერთ ხელშეკრულებას, რომელსაც შეუძლია იხსნას თქვენი სამშობლოო". პეზარომ გონივრულად მიიჩნია ეს პროექტი და წავიდა ვენეციას იმ პირობით, რომ ორ კვირაზე გვიან არ დაბრუნდებოდა.

11 მარტს დაიძრა საფრანგეთის არმია პიავეზე გადასასვლელად. როგორც კი ამ ცნობამ ვენეციას მიაღწია, იმწამსვე გაიცა ბრძანება—დაეპატიმრებინათ ბერგამოში და სამართალში მიეცათ ამ ქალაქის ათი წარჩინებული მცხოვრები. პატრიოტული პარტიის ხელმძღვანელებმა, რომლებიც დროულად გაფრთხილებულ იქნენ ვენეციის კანცელარიის ერთი მათი ერთგული მსახურის მიერ, შეიპყრეს შიკრიკი, დააპატიმრეს თვითონ პროვედიტორი, აღმართეს აჯანყების დროშა და გამოაცხადეს ბერგამოს თავისუფლება. დეპუტატებმა, რომლებიც მათ წარგზავნეს საფრანგეთის მთავარ ბანაკში, ამ უკანასკნელს მიუსწრეს ბრძოლის ველზე ტალიამენტოსთან. ბერგამოში მომხდარი ამბით ნაპოლეონი უკმაყოფილო შეიქნა, მაგრამ რაც მოხდა, იმის გამოსწორება შეუძლებელი იყო. ბერგამო უკვე შეუდგა მოლაპარაკებას ფედერაციაზე მილანთან, ლომბარდიის რესპუბლიკის დედაქალაქთან, და ბოლონიასთან, ტრანსპადანის რესპუბლიკის დედაქალაქთან. რამდენიმე დღის შემდგომ ასეთივე რევოლუცია მოხდა ბრეშიაშიც. იქ მყოფი ორი ათასი სლავონელი განიარაღებულ იქნა; პროვედიტორ ბატალიას პატივისცემით მოეპყრნენ, მაგრამ იგი ვერონაში გადაასახლეს. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაილაშქრა ვენეციის მთავარსარდალმა ფიორავენტიმ. მან დაიკავა სალო და დაემუქრა ბრეშიას; მის შესახვედრად დაიძრა მილანის გენერალი ლაგოცი, დაამარცხა იგი და განდევნა სალოდან.

პეზარო დაპირებისამებრ დაბრუნდა მთავარ ბანაკში, რომელსაც იგი გიორცში დაეწია. ერცჰერცოგი უკვე დამარცხებული იყო ტალიამენტოზე; პალმანოვამ გააღო თავისი კარი, და საფრანგეთის ალმები აფრიალდნენ ტარვისის თავზე, იზონცოს გაღმა და იულიოსის ალპების მწვერვალზე. „შევასრულე თუ არა ჩემი სიტყვაო?—უთხრა მას ნაპოლეონმა.—ვენეციის ტერიტორია დაკავებულია ჩემი ჯარების მიერ. ჩემს წინ ავსტრიელები გარბიან.

რამდენიმე დღის შემდგომ მე გერმანიაში ვიქნები. რა სურს თქვენს რესპუ-ბლიკას? მე მას ვთავაზობ კავშირს საფრანგეთთან, თანახმაა თუ არა მიიღოს იგი“?

„ვენეციაო,—მიუგო პეზაროომ,—მოხარულია თქვენი გამარჯვების. მას შეგ-ნებული აქვს რომ მხოლოდ საფრანგეთის შემწეობით შეუძლია არსებობა, მაგრამ, როგორც თავისი ძველი და კეთილგონიერი პოლიტიკის ერთგულს, მას სურს დარჩეს ნეიტრალური. ლუი XII-ის დროს, ფრანცისკ I დროს მის ჯარებს კიდევ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდათ ბრძოლის ველზე. ახლა, რო-ცა მთელი მოსახლეობა ერთთავად თოფქვეშ დგება, რა სარგებლობას მოგი-ტანსთ თქვენ ჩვენი დახმარება“?

ნაპოლეონმა უკანასკნელად სცადა: ეს ცდა მარცხით დამთავრდა. გამო-თხოვებისას მან უთხრა პეზაროს: „კარგი, რაკი თქვენს რესპუბლიკას სწადია დარჩეს ნეიტრალური, მე თანახმა ვარ; მაგრამ, დაე, მან შესწყვიტოს თავისი შეიარაღება. იტალიაში მე ვტოვებ ძალებს, საკმარისს იმისათვის რომ ბა-ტონ-პატრონად იგრძნონ იქ თავი, მე ვილაშქრებ ვენაზე. ის, რაც მე ვაპა-ტიე ვენეციას, როდესაც იტალიაში ვიყავი, წარუშლელ დანაშაულად ჩაი-თვლება, როდესაც მე გერმანიაში ვიქნები. უკეთუ ვენეციის ტერიტორიაზე დახოცავენ ჩემს ჯარისკაცებს, დაიტაცებენ აღალებს და გზები გადაჭრილი აღმოჩნდება, მაშინ თქვენი რესპუბლიკაც წესწყვეტს თავისს არსებობას; იგი თვითონ გამოუტანს თავისთავს განაჩენს“.

VII

გენერალმა კერპენმა მაგალითი გადაიღო გენერალ ჟუბერისგან (რომე-ლიც 20 მარტს შეუდგა ოპერაციებს): მან დასტოვა ტიროლი და ზალცბურ-გით და როტენმანით გაემართა მურის ხეობისკენ, სადაც იმედი ჰქონდა რომ ერცჰერცოგს შეუერთდებოდა. მაგრამ შაიფლინგში მას აცნობეს ფრანგების სწრაფი წინსვლა და იგი უკანვე გადმოვიდა მთებზე და მხოლოდ ვე-ნის ვაკეზე შეუერთდა არმიას. გენერალმა ლაუდონმა, რომელიც მან მხოლოდ 2.000 კაცისაგან შემდგარი რეგულარული ჯარით დასტოვა ტიროლის დასა-ცავად, მოახერხა ტიროლის იმ ლაშქრის 10.000 კაცის რეორგანიზაცია, რო-მელიც ის-ის იყო სახლებში წავიდ-წამოვიდა და ამდენ დამარცხებათა შე-მდგომ სულიერადაც დაცემული იყო. ამ მაშველმა ჯარმა მნიშვნელოვანი რიცხ-ობრივი უპირატესობა მოუპოვა მას იმ მცირე ობსერვაციულ რაზმზე, რო-მელიც ჟუბერის მიერ დატოვებული იყო ტრიენტის გზის დასაფარავად. გე-ნერალ სერვიეს დაახლოებით მხოლოდ 1.200 კაცი ჰყავდა. მტრის მოახლო-ებისთანავე მან დასცალა ავიჩიოს ორივე ნაპირი და მონტე-ბალდოსკენ დაიხია.

ლაუდონმა ტრიენტი დაიკავა. რაკი ტიროლს დაეპატრონა, მან მთელს იტალიას მოწოდებები მოჰფინა. ვენეციასა, რომსა, ტურინსა და ნეაპოლში იგი ავრცელებდა ფრანგების დამარცხების ცნობებს: „ტიროლი ჟუბერის ჯარების სამარედ გადიქცაო. ნაპოლეონი დამარცხდა ტალიამენტოზეო. იმპერატორის ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს რაინზეო. ლაუ-დონი ტრიენტიდან იტალიისაკენ გამოვიდა 60.000 კაცით, რათა ყველა

დასახევი გზა გადაუჭრას საფრანგეთის არმიის იმ ნაშთებს, რომელთაც „ერცჰერცოგი სდევნისო“. საბოლოოდ იგი ვენეციას და მთელს იტალიას მოუწოდებდა იარაღისაკენ, ფრანგების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ.

ასეთი ცნობების შემდეგ ვენეციის ოლიგარქიამ თავი ანება ყოველგვარი ზომიერების დაცვას. საფრანგეთის დესპანი ამაოდ ცდილობდა დაემტკიცებინა სენატისათვის, თუ რა ორმოს უთხრიდა იგი თავისთავს. მან გამოააშკარავა ცრუ ცნობები ტიროლში ჟუბერის დამარცხებაზე და აგრეთვე სამბრ-მაასისა და რაინის არმიების დამარცხების მთელი სიცრუე. მან დაამტკიცა, რომ ამ არმიებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ საომარი მოქმედება. ის იქამდე მივიდა რომ აცნობა სენატს ლაშქრობის გეგმა, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ ჟუბერის მიერ ტიროლის დატოვება წინასწარ შეთანხმებული ოპერაცია იყო, რომ იგი კარინთიით პუსტერტალისკენ მიემართება და რომ იგი არამც თუ არ დაღუპულა, არამედ, პირიქით, მან თავის მიზანს მიაღწია. პეზარომ სრულიად არ მიიჩნია სარწმუნოდ ეს ცნობები, მას მთელის არსებით სურდა ფრანგების დამარცხება. თავის მხრივ, ვენის სასახლე არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდა, რათა საფრანგეთის მტრებში ვნებათა ღელვა გაეღვივებინა. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყებათა მოწყობას არმიის ზურგში.

პალმანოვაში დატოვებულმა სათადარიგო კორპუსმა, ოზოპოს მეცხოვნე ჯარმა და პროვედიტორ მოჩენიგოს კეთილგონიერებამ შეაკავა და შეუნარჩუნა ფრიულს სიმშვიდე. შესაძლოა აგრეთვე რომ თვით საომარ ასპარეზთან ახლოს მყოფნი მცხოვრებნიც უკეთ იყვნენ გაცნობილნი საქმის ვითარებას.

ქუდზე კაცის დაძახება ვერონის პროვინციაში უკვე კარგა ხანია შემზადებული იყო. 3.000-ზე მეტმა გლეხმა მიიღო იარაღი და მხოლოდ ნიშანს უცდიდა ხოცვა-ყლეტის დასაწყებად; ვენეციელთა და სლავონთა ჯარების 30.000 კაცი გაიგზავნა ვერონას მისი გარნიზონის შესადგენად. სენატის ერთგული პროვედიტორი ემილი შეუთანხმდა ლაუდონს. მან აცნობა მას ფრანგ მეცხოვნე ჯარის სისუსტე და როგორც კი ავსტრიელთა ჯარების დახმარება თავისთვის უზრუნველყოფილად ჩასთვალა, მან მისცა ნიშანი აჯანყებისათვის. 17 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს, მწუხრის შემდგომ, ატყდა განგაში. აჯანყებამ იფეთქა ერთდროულად ქალაქსა და სოფლებში. ყველგან დაიწყო ფრანგების ხოცვა. ხალხის გააფთრება იქამდე მივიდა რომ სამხედრო საავადმყოფოებში მოჰკლეს 400 ავადმყოფი. გენერალი ბალანი მეცხოვნეებითურო ციხეებში ჩაიკეტა. ციხეებიდან მის მიერ ქალაქის წინააღმდეგ მიმართულმა არტილერიის ცეცხლმა აიძულა ვერონის ხელისუფალნი ეთხოვათ მოლაპარაკება, მაგრამ გაშმაგებული ხალხი წინააღუდგა ამას. ვიჩენციდან პროვედიტორ ფოსკარინის მიერ გამოგზავნილმა მაშველმა ჯარმა 2.000 სლავონის შემადგენლობით და ავსტრიელი გენერლის ნაიპერგის ჯარის მოახლოებამ კიდევ უფრო აღაგზნო ხალხი. იმ ზარალისათვის, რაც ქალაქს მიადგა ყუმბარების დაშენით, მან შური იძია იმით რომ ამოსწყვიტა კიუზის მეცხოვნე რაზმი, რომელიც უკვე ადრევე იძულებული შეიქნა დანებებოდა მთიელთა საყოველთაო ლაშქარს.

გენერალმა კილმენმა, ხარისხით უფროსმა ლომბარდიაში, როგორც კი მიიღო პირველი ცნობები ვერონაში აჯანყებაზე, გასცა განკარგულება—დაძრულიყვნენ გენერალ ბალანის განსათავისუფლებლად.

21 აპრილს პირველი მისი კოლონები ვერონასთან გამოჩნდნენ. გენერლებმა შაბრანმა, ლაგოცმა და შევალიემ რამდენიმე შეტაკების შემდგომ 22-ს შესძლეს გარსშემორტყმოდნენ ვერონას. 23-ს აჯანყებულთ ეცნობათ ავსტრიასთან წინასწარი ზავის ხელმოწერა და იმავე დროს ვიქტორის დივიზიის მოსვლა, რომელიც სწრაფად ახლოვდებოდა ტრევიზოდან. აჯანყებულნი შიშმა შეიპყრო. მათი სულის დაცემა ისევე დიდი იყო, როგორც დიდი იყო აქამდე მათი გაოფთრება. ისინი დაჩოქილნი შესთხოვდნენ კაპიტულაციას, მიიღეს პირობები, რომლებიც მათ წაუყენა გენერალმა ბალანმა, გასცეს მძევლები, და ამრიგად აღდგენილ იქნა წესრიგი.

მიუხედავად იმისა, რომ ვერაგულად მოკლული ფრანგების სისხლი ჯერ კიდევ დიოდა ქუჩებში, სულ მხოლოდ სამი მცხოვრები იყო მიცემული სამართალში; მოახდინეს საერთო განიარაღება და ვაგზავნეს გლეხები თავიანთ სოფლებში.

არანაკლებ დაბრმავებულმა ვენეციის ოლიგარქიამ ნება დართო—ამოეხოცათ მის თვალწინ საფრანგეთის იმ ხომალდის პირადი შემადგენლობა, რომელიც, ავსტრიის ფრეგატის მიერ დევნილი, ცდილობდა თავი შეეფარებინა ლიდოს ბატარიებისთვის. საფრანგეთის დესპანმა პროტესტი განაცხადა საერთაშორისო უფლების ასეთი დარღვევის წინააღმდეგ და მოითხოვა მკვლელების დასჯა. სენატმა სასაცილოდ აიგდო მისი მოთხოვნაც და მისი დამუქრებაც. მან გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ჯილდოს უწესებდა მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო კაპიტან ლოჟიესა [1] და მის მეზღვაურთა მსეცურ მკვლელობაში.

VIII

როგორც-კი ნაპოლეონმა გაიგო ჯარების ზურგში მომხდარი უწესოებანი და მკვლელობანი, მან წარგზავნა ვენეციას თავისი ადიუტანტი ჟიუნო და დაავალა მას გადაეცა სენატისათვის შემდეგი წერილი, იუდენბურგით, 1797 წლის 9 აპრილით დათარიღებული: „კონტინენტის ყველა სამფლობელოში უგანათლებულესი რესპუბლიკის ქვეშევრდომნი მოწოდებული არიან აისხან იარაღი. მათი გამაერთიანებელი ლოზუნგია: სიკვდილი ფრანგებს. იტალიის არმიის იმ ჯარისკაცთა რიცხვი, რომელნიც მათ იმსხვერპლეს, უკვე რამდენსამე ასეულს აღწევს. ამაოდ იკატუნებთ თავს, თითქოს თქვენ მიერ აკრძალული იყოს ბრბოების თავმოყრა, რომელთაც თქვენ თვითონ იწვევთ. ნუთუ ფიქრობთ, რომ მე, თქვენგან შორს მყოფს და გერმანიაში ღრმად შეპრილს, არ შემწევს ძალა—გაიძულოთ თქვენ რომ პატივისცემით მოეპყრათ მსოფლიოში პირველი ხალხის ჯარისკაცებს? ნუთუ ფიქრობთ რომ იტალიის ლეგიონები დაუსჯელად დასტოვებენ მკვლელებს. რომელთაც ხელი შეიღებეს ჩვენთან იარაღით შეფიცული ძმების სისხლით? არ არსებობს ისეთი ფრანგი, რომელსაც შურისგების

[1] ბრიგ „იტალიის განმათავისუფლებელის“ მეთაურის.

ამ დავალებამ არ გაუსამკეცოს მხნეობა და ძალა... ხომ არ გგონიათ თქვენ, რომ ჯერ ისევ კარლოს VIII-ის საუკუნეა? მის მერმედ განწყობილება იტალიაში ძლიერ შეიცვალა!“ ჟიუნოს ნაბრძანები ჰქონდა პირადად წაეკითხა ეს წერილი სენატში და მთავარსარდლის მთელი გულიხწყრომა გამოეთქვა.

ვენეციას თავზარი დაეცა. გაჰქრა ხელისუფლების პრესტიჟი. გამოირკვა, რომ რაინის არმიებს ჯერ სრულიადაც არ დაეწყოთ საომარი მოქმედება, რომ ჟუბერი თავისი კორპუსით ვილახში დგას, რომ ვიქტორი ვერონას უახლოვდება, რომ ფრანგები უკვე დაიძრნენ ლაგუნებისაკენ და, ბოლოს, ნაპოლეონმა, რომელმაც ყველა ბრძოლაში გაიმარჯვა, ეს-ეს არის დროებითი ზავი დასდო ერცჰერცოგთან და იმპერატორმა კაცი გაგზავნა მასთან ზავის სათხოვად.

საფრანგეთის დესპანმა დალემანმა ჟიუნო სენატს წარუდგინა. ჟიუნომ ჯარისკაცის მთელი პირდაპირობით და სიმკვეთრით შეასრულა თავისი მისია. სენატი დამორჩილდა: მან იწყო თავის მართლება. თავისუფლების მეგობრებმა თავი მაღლა ასწიეს; მათ იგრძნეს თავისი გამარჯვების მოახლოება. გრაცში მთავარსარდალთან გაგზავნილ იქნა სენატორთაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელსაც უნდა შეეთავაზებინა მისთვის ყოველგარი ანაზღაურება, რასაც კი იგი მოისურვებდა. დეპუტაციას მიცემული ჰქონდა განსაკუთრებული ინსტრუქცია—მოესყიდა ყველა, ვინც მთავარსარდლის ნდობით სარგებლობდა. ყოველივე ამაო აღმოჩნდა.

იმავე დროს სენატი შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდა პარიზს და მნიშვნელოვანი თანხები გადაცა მან თავისი დესპანის განკარგულებაში, რათა თავის მხარეზე გადმოებირებინა დირექტორიის ხელმძღვანელები და აეგულიანებინა ისინი—გაეკათ იტალიის მთავარსარდლისთვის ისეთი განკარგულებები, რომელთაც შეეძლოთ არისტოკრატიის ხსნა. ინტრიგების ამ ხერხმა გასჭრა პარიზში. ვენეციის დესპანმა, რომელმაც დაარიგა 10 მილიონის გადასაპირებელი თამასუქები, მოახერხა და გააგზავნინა ისეთი ბრძანებები, როგორსაც ის თხოულობდა. მაგრამ ეს ბრძანებები შედგენილი იყო კანონით დაწესებული ყველა ფორმის გვერდის ავლით. დეპეშებმა, რომლებიც ხელთ იგდეს მილანში, შესაძლებლობა მისცეს ნაპოლეონს—ჩაეშალა ეს ინტრიგა. მის ხელთ აღმოჩნდა იმ პირთა სია, ვისაც დაურიგდა ვენეციის ფული პარიზში. ყოველივე ეს მან გააუქმა თავისი ნებით.

3 მაისს ნაპოლეონმა პალმანოვაში გამოაქვეყნა ვენეციის რესპუბლიკისადმი ომის გამოცხადება. მისი მანიფესტი დაწერილი იყო ასეთი სიტყვებით:

„სანამ საფრანგეთის არმია შტირიის ხეობებში იმყოფებოდა, და შორს ზურგში მოტოვებული ჰყავდა იტალია და თავისი ძირითადი დაწესებულებანი, სადაც მხოლოდ რამდენიმე ათასეული-ღა თუ დარჩა, ვენეციის მთავრობამ ისარგებლა აღდგომის შვიდეული, რათა შეეიარაღებინა 40.000 გლეხი, შეეერთა მათ სლავონთა ათი ლეგიონი და ჩამოაყალიბა მათგან რაზმები, დააყენა ისინი მრავალ ადგილას იმ მიზნით, რათა არმიისთვის გზები მოეჭრა.

თვითონ ვენეციიდან იგზავნება თოფები, ყოველგვარი საჭიროველი, ზარბაზნები, რათა დამთავრებულ იქნას ჯარის სხვადასხვა ნაწილის ჩამოყალიბება.

ვენეციის კონტინენტურ სამფლობელოებში დაპატიმრებულია ყველა, ვინც კი ჩვენს მისვლას მიესალმა. აჯილდოებენ და მთავრობის სრული ნდობა აქვთ იმათ, ვინც ცნობილია როგორც სასტიკი მოძულე ფრანგის სახელწოდებისა, მეტადრე კი ის თოთხმეტი ვერონელი შეთქმული, რომელნიც პროვედიტორმა პრიულიმ დააპატიმრა ამ სამი თვის წინათ როგორც მხილებულნი შეთქმულებაში ფრანგების წინააღმდეგ.

მოედნებზე, ყავახანებში და ვენეციის სხვა საზოგადოებრივ ადგილებში შეურაცხყოფენ ფრანგებს, მათ იაკობელებს, მეფის მკვლელებს, უღმერთოებს უწოდებენ; ბოლოს ქალაქიდან განდევნეს ისინი და აუკრძალეს იქ შესვლა.

იარაღისკენ მოუწოდეს პადუის, ვიჩენცის, ვერონის მოსახლეობას სამხედრო ნაწილთა გასაძლიერებლად. და ახალი „სიცილიის საღამოების“ მოსაწყობად. „ჩვენ ბედმა გვარგუნაო,—ამბობენ ვენეციელი ოფიცრები,—შევამოწმოთ ნათქვამის სისწორე: ი ტ ა ლ ი ა—ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ს ა მ ა რ ე ა ო“.

სამღვდელოება ამბიონებიდან ჯვაროსნულ ლაშქრობას ქადაგებს, ხოლო სამღვდელოება ვენეციის სამფლობელოებში ყოველთვის მხოლოდ იმას ლაპარაკობს, რაც სასურველია მთავრობისთვის.

პამფლეტები, ვერაგული მოწოდებანი, უსახელო წერილები იბეჭდება ქალაქებში, და ყველგან თავს იჩენს მღელვარება. იმ სახელმწიფოში კი, სადაც ნებადართული არ არის პრესის თავისუფლება და სადაც მთავრობა შიშს ბადებს და იმავე დროს საძულველია მოსახლეობისათვის, სტამბები ბეჭდავენ და ავტორები სწერენ მხოლოდ იმას, რაც სენატს სურს.

ყოველივე თითქოს წარმატებას უქადდა მთავრობის მზაკვრულ პროექტს: იღვრება ყველგან ფრანგების სისხლი; ყველა გზაზე იჭერენ აღალებს, შიკრიკებს, იტაცებენ ყველაფერს, რაც კი ჯარის კუთვნილებას შეადგენს.

პადუაში მოკლული არიან ათასეულის ერთი მეთაური და კიდევ ორი ფრანგი. კასტილიონე-დე-მორში ჯარისკაცები განაიარაღეს და დახოცეს. შარა-გზებზე მანტუიდან ლენიაგომდე და კასანოდან ვერონამდე მოკლულია 200-ზე მეტი ფრანგი.

არმიასთან შესაერთებლად მიმავალი ორი ათასეული კიაროში წააწყდა ვენეციელთა დივიზიას, რომელმაც სცადა ხელი შეეშალა მათი მსვლელობისათვის. გაიმართა შეუპოვარი ბრძოლა, და ჩვენმა მამაცმა ჯარისკაცებმა თავიანთ მტერთა გვამებზე გადიარეს.

მეორე ბრძოლა გაიმართა ვალეჯიოში. დეზანცანოშიც აგრეთვე მოხდა შეტაკება. ფრანგები ყველგან უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ ისინი მტრებს არ ითვლიან.

აღდგომის მეორე დღეს ვერონაში საგანგაშო ზარის ხმაზე დაერივნენ და დაუწყეს ხოცვა-ჟლეტა ფრანგებს. არ ზოგავდნენ არც ავადმყოფებს ჰოსპიტლებში, არც მოკეთებულ ავადმყოფებს, არც ქუჩებში მოსეირნეთ.

ხანჯლით განგმირულთ მათ ადიჯეში ჰყრიდნენ. ამნაირად მოკლულია 400-ზე მეტი ჯარისკაცი.

რვა დღის განმავლობაში ვენეციის არმია გარს ადგა ვერონის სამ ციხედარბაზს. მის მიერ პოზიციაზე გამოდგმულ ზარბაზნებს მას სახიშტო იერიშით ართმევენ. ქალაქს ცეცხლს უკიდებენ: ამ მომენტში მისული მზვერავი კორპუსი გააქცევს ამ არამზადებს და ხელთ იგდებს 3.000 ტყვეს, მათ რიცხვში რამდენსამე გენერალს.

საფრანგეთის ელჩის სახლი ცანტში დამწვარია. დალმაციაში ვენეციის სამხედრო გემმა თავის მფარველობაში მიიღო ავსტრიის ტრანსპორტი და რამდენიმეჯერ ესროლა კორვეტს „ლ ა-ბ რ ი უ ნ ს“.

რესპუბლიკის გემი „ი ტ ა ლ ი ი ს გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი“, მხოლოდ სამი თუ ოთხი მცირე ზარბაზნით შეიარაღებული, სენატის ბრძანებით ჩასძირეს ვენეციის ნავსადგურში. ახალგაზრდა და მრავლისაღმთქმელმა ლოჟიემ, ფლოტის ლეიტენანტმა, ამ გემის მეთაურმა, დაინახა თუ არა რომ მას უშენდნენ ციხიდან და იმ საადმირალო გალერიდან, რომელიც დამბაჩის სასროლ მანძილზე იმყოფებოდა, მაშინვე უბრძანა თავის ეკიპაჟს ტრიუმში ჩასვლა; როცა მარტო დარჩა, ავიდა გემბანის კიბეზე და, ტყვიის სეტყვაში, სიტყვით სცადა გონს მოეყვანა თავისი გაცოფებული მტრები, მაგრამ იქვე დაეცა უსულოდ. მისი მეზღვაურები ზღვაში გადაეშვნენ ცურვით, მათ გამოუდგა ვენეციის რესპუბლიკის სამსახურში მყოფი ჯარი ექვსი კანჯოთი. ნაჯახებით აჰკუწეს მეზღვაურები, რომლებიც ცდილობდნენ ცურვით ეხსნათ თავი. ერთმა, რამდენიმე ტყვიით დაჭრილმა და დასუსტებულმა ბოცმანმა, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა, ის-ის იყო მშვიდობით მიაღწია ნაპირს და ხელი ჩასჭიდა ხის მორს ნავსადგურის ციხის კედელში, რომ ამ დროს თვითონ ციხისთავმა დაჰკრა ნაჯახი და გადუჭრა ხელი მაჯაში.

ზემოაღნიშნული საჩივრების გამო და რესპუბლიკის კონსტიტუციის XII თავის 328 მუხლის საფუძველზე [1] და აღსებულ ვითარებაში ღონისძიებათა სასწრაფოდ და გადაუდებლად ლმარების საჭიროების გამო მთავარსარდალი

— წინადადებას აძლევს საფრანგეთის დესპანს ვენეციის რესპუბლიკაში — გავიდეს ამ ქალაქიდან;

— უბრძანებს ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენლებს ლომბარდიასა და კონტინენტურ ვენეციაში — გავიდნენ იქიდან 24 საათის განმავლობაში;

— უბრძანებს ყველა დივიზიის გენერალს — მოეპყრან ვენეციის რესპუბლიკის ჯარებს ისე, როგორც მტრებს, და გასცენ განკარგულება ყველა კონტინენტურ ქალაქში წმ. ბარკოსის ლომის გამოსახულების აღებისა.

---

[1] III წლის კონსტიტუციის 328 მუხლი: „საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ გარდუვალი ან დაწყებული მტრული მოქმედების, ომის საფრთხის ან მისი მომზადების შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორია ვალდებულია გამოიყენოს სახელმწიფოს დაცვისათვის მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება, ისე რომ დაუყოვნებლივ გააფრთხილოს ამაზედ საკანონმდებლო კორპუსი“.

ხვალ ბრძანებაში მოცემული იქნება განსაკუთრებული განკარგულებანი შემდგომი საბრძოლო მოქმედებისათვის".

ამ მანიფესტის წაკითხვის შემდეგ უკვე აღარ ფიქრობდნენ თავის დაცვას. არისტოკრატიის დიდმა საბჭომ მოიხსნა ვალდებულებანი და უზენაესი ხელისუფლება ხალხს გადასცა. სახალხო ხელისუფლების დროებითი აღმასრულებლის ადგილი მუნიციპალიტეტმა დაიკავა. ამგვარად, ეს ამაყი გვარები, რომლებიც ასე დიდხანს განაგებდნენ ყველაფერს და რომელთაც ასე გულწრფელად სთავაზობდნენ კავშირს, დაემხვნენ ისე რომ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ამაოდ სთხოვდნენ ისინი დახმარებას ვენის საიმპერატორო კარს. იგი ყრუდ შეხვდა ყველა მათ წარდგინებას: ვენეციის მიმართ მას თავისი ანგარიშები ჰქონდა.

IX

16 მაისს ვენეციაში შევიდა ბარაგე-დ'ილიე; იგი მიიწვიეს მცხოვრებლებმა, რომელთაც სლავონები ემუქრებოდნენ. მან დაიკავა ციხეები, ბატარიები და წმ. მარკოსის მოედანზე სამფეროვანი დროშა აღმართა. ლიბერალურმა პარტიამ იმწამსვე საერთო სახალხო კრება მოიწვია. არისტოკრატიის ხელისუფლება სამუდამოდ დამხობილ იქნა. ხელახლა გამოაცხადეს 1.200 წლის დემოკრატიული კონსტიტუცია.

ქალაქის ყველა საქმეს სათავეში ჩაუდგა დანდოლო, ენერგიული, მეტად პატიოსანი ადამიანი, თავისუფლების მხურვალე ენთუზიასტი, გამოჩენილი ადვოკატი.

წმ. მარკოსის ლომი და კორინთის ცხენები გადატანილ იქნენ პარიზს. ვენეციის ფლოტი შედგებოდა თორმეტი 64-ზარბაზნიანი გემისაგან და ამდენივე ფრეგატისა და კორვეტისაგან; ისინი გაამზადეს და გაგზავნეს ტულონს.

კორფუ რესპუბლიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო. გენერალი ჟანტილი, სწორედ ის, რომელმაც ბრძოლით დაიბრუნა კორსიკა, ოთხი ათასეულით და რამდენიმე საარტილერიო ასეულით, ვენეციის გემებისაგან შედგენილ ესკადრაზე გაემგზავრა კორფუს. იგი დაეპატრონა ამ პუნქტს, ადრიატიკის ნამდვილ გასაღებს, ისე როგორც იონიის დანარჩენ კუნძულებს: ზანტეს, ჩერიგოს, კეფალონიას, სენტ-მორს.

პეზარომ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მან დაღუპა თავისი საშშობლო და თვითონ ვენას გაიქცა. ბატალია გულწრფელად ნაღვლობდა თავისი საშშობლოს დაღუპვას. იგი ჰგმობდა იმ გზას, რომელსაც ადგა სენატი; ის იყო ერთადერთი, რომელიც წინასწარ სჭვრეტდა ამ კატასტროფას. იგი რამოდენიმე ხნის შემდგომ გარდაიცვალა და მას ყოველი პატიოსანი ადამიანი გლოვობდა. მისთვის რომ დაეჯერებიათ, ვენეცია გადარჩებოდა.

X

ვენეციისათვის ომის გამოცხადების ბრძანების მიღებისთანავე ყველა კონტინენტური სამფლობელო აჯანყდა დედაქალაქის წინააღმდეგ. თითოეულმა ქალაქმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თავისი საკუთარი მთავრობა დააყენა. ბერგამო, ბრეშია, პადუა, ვიჩენცა, ბასანო, უდინე ცალკ-ცალკე რესპუბლიკებად ჩამოყალიბდნენ. ამ გზით წარმოიშვნენ ცისპადანის და ტრანსპადანის რესპუბლიკები. საფუძვლად მათ მიერ მიღებულ იქნა საფრანგეთის რევოლუციის პრინციპები. მათ გააუქმეს მონასტრები, მაგრამ რელიგიას არ შეხებიან, შეუნარჩუნეს საკუთრება სამღვდელოებას, დაიწესეს ეროვნული მამულები და გააუქმეს ფეოდალური პრივილეგიები. საუკეთესო თავად-აზნაურობამ და მსხვილმა მესაკუთრეებმა ჩამოაყალიბეს „საპატიო გვარდიად“ წოდებული ჰუსართა და ცხენოსან-ეგერთა ასეულები. დაბალ კლასებმა შეადგინეს ეროვნული გვარდიის ათასეულები. ამ ახალი რესპუბლიკების დროშები საერთოიტალიური იყო.

თუმცა ნაპოლეონი არაჩვეულებრივ სიფხიზლეს იჩენდა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და მტაცებლობის მიმართ, ამ დროს ასეთი ბოროტმოქმედებანი უფრო ხშირი იყო, ვიდრე ამ ომის რომელსამე სხვა დროს. ქვეყანა გაყოფილი იყო ორ ერთმანეთისადმი უაღრესად მტრულად განწყობილ პარტიად. ვერონის ჩაბარების დროს გაძარცულ იქნა ამ ქალაქის ლომბარდი, რომელიც შეიცავდა დაახლოებით 7—8 მილიონი თანხის ფასეულობას. სამხედრო კომისარს ბუკეს და ჰუსართა პოლკოვნიკს ლანდრიეს ბრალი დასდეს როგორც ამ ძარცვა-გლეჯის მოთავეებს. ეს ძარცვა-ტაცება მით უფრო აღმაშფოთებელი იყო რომ მას წინუსწრებდა და მოჰყვა სხვა ბოროტმოქმედებანი მისი დაფარვის მიზნით. ყველაფერი, რაც ბრალდებულთა სახლებში აღმოჩნდა, დაუბრუნდა ქალაქს, რომლის ზარალი, მიუხედავად ამისა, მაინც მეტად საგრძნობი დარჩა.

გენერალი ბერნადოტი გაიგზავნა პარიზს დროშებითურთ, რომლებიც წაართვეს ვენეციის ჯარებს, და აგრეთვე—ერცჰერცოგ კარლოსის არმიას რივოლსა და გერმანიაში. მან ჩააბარა ეს დროშები დირექტორიას რამდენიმე დღით ადრე მე-18 ფრუქტიდორამდე.

XVI თ ა ვ ი

მოლაპარაკებანი 1797 წელს

I. მთავარი ბანაკი მონტებელოში. — II. მოლაპარაკება გენუის რესპუბლიკასთან. — III. სარდინიის მეფესთან. — IV. პაპთან. — V. ნეაპოლთან. — VI. ცისპადანის და ტრანსპადანის რესპუბლიკები. ეს რესპუბლიკები ციზალპინის რესპუბლიკას უერთდებიან. — VII. მოლაპარაკება გრაუბიუნდენსა და ვალტელინასთან.

I

მონტებელო[1] — ციხედარბაზია, მდებარეობს მილანიდან რამდენიმე ლიეს მანძილზე, ბორცვზე, რომელიც ლომბარდიის მთელ ვაკეს დაჰყურებს. საფრანგე-

[1] გეოგრაფიულ რუკაზე—მომბელო.

თის მთავარი ბანაკი მაისის და ივნისის განმავლობაში აქ იდგა. მილანის დიდგვაროვანი ბანოვანები ყოველდღიურად ცხადდებოდნენ იქ ჟოზეფინას დარბაზობაზე; იქ იმყოფებოდნენ ავსტრიის დესპანი და პაპის წარმომადგენელი, აგრეთვე ნეაპოლის და სარდინიის მეფეთა, გენუისა და ვენეციის რესპუბლიკების, პარმის ჰერცოგის, შვეიცაარიის კანტონებისა და გერმანიის მრავალი ხელმწიფის დესპანები. ხშირად იქ თავს იყრიდნენ გენერლები, აგრეთვე ციზალპინის რესპუბლიკის წარმომადგენლები და ქალაქთა დეპუტატები. ყოველ საათს მიმოდიოდნენ შიკრიკები პარიზიდან, რომიდან, ნეაპოლიდან, ვენიდან, ფლორენციიდან, ტურინიდან, გენუიდან. ამ უზარმაზარი ციხედარბაზის მთელმა ცხოვრებამ აფიქრებინათ იტალიელებს — ეწოდებიათ მთავარი ბანაკისათვის მ ო ნ ტ ე ბ ე ლ ო ს კ ა რ ი. მართლაც, ეს იყო ბრწყინვალე სასახლე. ზავზე მოლაპარაკება იმპერატორთან, პოლიტიკური საქმეები გერმანიაში, სარდინიის მეფის, შვეიცარიის, ვენეციის, გენუის ბედი მონტებელოში სწყდებოდა. მონტებელოს კარმა რამდენიმეჯერ იმგზავრა ლაგომაჯიორეს ტბაზე, ბორომეის კუნძულებზე, კომოს ტბაზე. იქ იგი ჩერდებოდა ამ ტბის გარშემო სხვადასხვა სააგარაკო სახლში. თითოეული ქალაქი, თითოეული დაბა მოწადინებული იყო პატივი ეცა იტალიის განმათავისუფლებელისათვის. დიპლომატიური კორპუსი განცვიფრებული იყო ყოველივე იმით, რაც მან ნახა.

სერიურიემ წაუღო დირექტორიას უკანასკნელი დროშები, რომლებიც ერცჰერცოგ კარლოსს წაართვეს.

„ამ გენერალმაო, — სწერდა ნაპოლეონი, — ორ უკანასკნელ ლაშქრობაში ერთნაირის სიუხვით ცხადჰყო როგორც თავისი სამხედრო ნიჭი, ისე მოქალაქეობრივი სიმამაცე. მისმა დივიზიამ გაიმარჯვა მონდოვთან, ძლიერ შეუწყო ხელი გამარჯვებას კოსტელიონესთან და აიღო მანტუა. მან თავი ისახელა ტალიამენტოსა და იზონცოზე გადასვლებში და მეტადრე გრადისკის აღებისას. გენერალი სერიურიე მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებს თავისთავს, ასევე მკაცრია იგი ზოგჯერ სხვების მიმართაც. იგი თავგამოდებული მოსარჩლეა დისციპლინის, წესიერების და სათნოების, რაც აუცილებელია საზოგადოების სიმტკიცისათვის, და ამიტომ მას სძაგს ინტრიგები. ეს უქმნის მას მტრებს იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ყოველთვის ბრალს სდებენ მოქალაქეობრივი გრძნობის უქონლობაში იმათ, ვისაც სურს დაცულ იქნეს კანონები. მე ვფიქრობ რომ იგი ფრიად გამოსადეგია ციზალპინის რესპუბლიკის ჯარების სარდლად. გთხოვთ რაც შეიძლება მალე დააბრუნოთ იგი თავის თანამდებობაზეო“.

სერიურიე ჩინებულად მიიღეს პარიზში. მისი ხასიათის პირდაპირობა იქ საერთოდ ყველას მოეწონა. მან მოინახულა ენის დეპარტამანტი, თავისი სამშობლო. მას ყოველთვის მეტად ზომიერი აზრები ჰქონდა, მაგრამ საფრანგეთიდან დაბრუნების შემდგომ სერიურიე გატაცებით და მტკიცედ ლაპარაკობდა რესპუბლიკის სასარგებლოდ და ძლიერ აღშფოთებული იყო იმ თავაშვებულობით, რასაც იგი პარიზში ამჩნევდა.

ვენეციაში საფრანგეთის არმიის მისვლისას გრაფი დ'ანტრეგი ამ ქალაქიდან გადიმალა. იგი შეიპყრეს ბრენტაში ბერნადოტის დივიზიის

ჯარებმა და გაიგზავნა მილანს მთავარ ბანაკში. გრაფი დ'ანტრეგი წარმოშობით ვივარელი იყო. თავად-აზნაურობის დეპუტატი დამფუძნებელ კრებაში, ის 1788 და 1789 წწ. მხურვალე პატრიოტი იყო, მაგრამ დამფუძნებელი კრების გახსნისთანავე მან უღალატა თავის პარტიას, გადასახლდა უცხოეთში, იყო ერთერთი მთავარი მოლვაწე ემიგრანტთა პარტიისა და გადაიქცა ნამდვილ ინტრიგანად. ვენეციაში მან დაახლოებით ორი წელი დაჰყო ინგლისის საელჩოს ატაშეს სახით, მაგრამ სინამდვილეში ის იყო კონტრრევოლუციის ელჩი და სათავეში ედგა ჯაშუშურ და საჯანყო შეთქმულებებს საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ. ეჰვი ჰქონდათ რომ იგი იყო ვერონის ხოცვა-ყლეტის თვალსაჩინო თანამონაწილე. გენერლებმა ბერთიემ და კლარკმა შეამოწმეს ყველაფერი, რაც მის პორტფელში აღმოჩნდა, შეადგინეს ამაზე ოქმი, განიხილეს ყველა საბუთი და ყოველივე ეს პარიზს წარგზავნეს. პასუხად საფრანგეთის მთავრობამ გასცა ბრძანება—მიეცათ დ'ანტრეგი სამხედრო კომისიის სამართალში ბრალის დასადებად რესპუბლიკის კანონების მიხედვით. მაგრამ ამასობაში მან დააინტერესა ნაპოლეონი, რომელმაც იგი რამდენჯერმე ინახულა. დ'ანტრეგი ითვალისწინებდა თავისი მდგომარეობის მთელ საშიშროებას და ამიტომ შეეცადა მოსწონებოდა იმას, ვიზედაც დამოკიდებული იყო მისი ბედი; ელაპარაკა მას გულახდილად, არაფერი არ დაუმალა, გამოამეღავნა ყველა მაშინდელი ინტრიგა და გასცა თავისი პარტიის საიდუმლოებანი. მან შესძლო—მოეწონებინა თავი; პატიოსანი სიტყვის მიცემით მიაღწია იმას რომ მიიღონებართვა ქალაქში ცხოვრებისა უბადრაგოდ. რამდენიმე ხნის შემდგომ მას შესაძლებლობა მისცეს—გაქცეულიყო შვეიცარიაში, მას იმდენად ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ რომ მხოლოდ ექვსი-შვიდი დღის შემდეგ, რაც იგი გაიქცა, შეამჩნიეს რომ მან დაარღვია თავისი სიტყვა. მალე მან თავისი კეთილისმყოფელის წინააღმდეგ გამოუშვა რაღაც პამფლეტის მსგავსი, რასაც მთელს გერმანიასა და იტალიაში ავრცელებდა, იგი ასწერდა მასში საშინელ საკანს, სადაც თითქოს დამწყვდეული იყო, წამებას, რაც მან განიცადა, სიმამაცეს, რომელიც გამოიჩინა, და საშიშროებას, რომელიც აიცდინა საპყრობილედან გაქცევით. მილანში მან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, იქ მას ყველგან ხედავდნენ საზოგადოებაში, სეირნობის დროს, სპექტაკლებზე; ხედავდნენ რომ იგი სრული თავისუფლებით სარგებლობდა. დიპლომატიური კორპუსის რამდენიმე წევრმა გაიზიარა ეს აღშფოთება და ამის გამო მათ თავისი განცხადებები გამოაქვეყნეს.

II

გენუის რესპუბლიკა ესპანეთის, პარმის და ავსტრიის მემკვიდრეობისათვის წარმოებულ სამივე ომის განმავლობაში ღებულობდა მონაწილეობას მებრძოლ სახელმწიფოთა მხარეზე. 1747 წელს მისი მცირე არმიები ვიდოდნენ საფრანგეთისა და ესპანეთის მეფეთა არმიების გვერდით. გენუელებმა თავისი ქალაქიდან განდევნეს ავსტრიის გარნიზონი, რომელსაც მეთაურობდა მარკიზი ბოტა, და შემდგომ მათ მარია-ტერეზიას არმიების ხანგრძლივი და შეუპოვარი ალყა გადიტანეს. ეს რესპუბლიკა მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ომობდა კორსიკასთან, რიეჯერის მცხოვრებთა გაბოროტება პიემონტელთა

მიმართ ყოველდღიურ შეტაკებებს იწვევდა ამ ორ ხალხს შორის. გენუის რესპუბლიკას—სუსტს როგორც მცხოვრებთა რაოდენობით, ისე თავისი ტერიტორიით—ყოველივე ეს ჰმატებდა ენერგიას და მხნეობას, რაც სულ სხვანაირ სიმტკიცეს ანიჭებდა მას, ვიდრე ვენეციის რესპუბლიკას. ამიტომ გენუის არისტოკრატიამ გაუძლო ქარიშხალს; მან შეინარჩუნა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისე რომ არც კოალიციის სახელმწიფოთა, არც საფრანგეთის, არც სახალხო პარტიის წინაშე მას თავი არ დაუმცირებია და მლიქვნელობა და პირმოთნეობა არ გამოუჩენია. ის მთელი თავისი სიწმინდით იცავდა XVI საუკუნეში ანდრეა დორიას მიერ მისთვის მიცემულ კონსტიტუციას.

მაგრამ ტრანსპადანის და ცისპადანის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, ვენეციის არისტოკრატიის მიერ უარის თქმამ ხელისუფლებაზე და ვენეციის ყველა სამფლობელოში სახალხო მთავრობის დაარსებამ, ფრანგ მეომრების გამარჯვებებით გამოწვეულმა ენთუზიაზმმა იმდენად განამტკიცა სახალხო პარტიის ბატონობა რომ აუცილებელი შეიქმნა კონსტიტუციის შეცვლა. ასეთი ცვლილება სასურველი იყო საფრანგეთისათვის, რომელსაც არ შეეძლო რაიმე ნდობა ჰქონოდა არისტოკრატიისადმი. საფრანგეთს სურდა რომ ეს რევოლუცია გენუაში მომხდარიყო მისი აშკარა ჩარევის გარეშე და მხოლოდდამხოლოდ შინაგანი ძალებით. პოლიტიკოსები დარწმუნებული იყვნენ რომ არისტოკრატიის წინააღმდეგობა ივლისზე ან აგვისტოზე მეტ ხანს ვერ გასტანდა.

მაგრამ სამი სახელმწიფო ინკვიზიტორი, ოლიგარქიის ლიდერები და საფრანგეთის დაუძინებელი მტრები გულისტკივილით უყურებდნენ საქმის ასეთ წარმართვას. თვითონ ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ არისტოკრატია მხოლოდ რამდენსამე თვეს თუ იარსებებდა. მაგრამ მოვლენათა განვითარებას ისინი ბუნებრივ მსვლელობას ანდობდნენ. სამღვდელოებაში მათ გამონახეს თანაშემწენი, რომელთაც შეეძლოთ აემხედრებიათ დაბალი კორპორაციები. მათთვის საჭირო იყო—მიემხროთ მენახშირენი და მებარგულნი, და ეს საკმაო იქნებოდა იმისთვის, რათა შიშქვეშ ჰყოლოდათ მოსახლეობის დანარჩენი ფენები. ამ მიზნით მიმართავდნენ აღსარებებს, ორმოცსაათიან პარაკლისებს, რათა შევედრებოდნენ ღმერთს—აეცილებინა რესპუბლიკისათვის მოსალოდნელი უბედურებანი. ასეთი ქცევით ისინი მხოლოდ იახლოებდნენ იმ ხიფათს რომლის აცილებაც მათ სურდათ.

არისტოკრატიის მოწინააღმდეგე რამდენმე ასმა ენთუზიასტმა მეაფთიაქე მორანდისთან დააარსა კლუბი. იქ ჰკრებდნენ რევოლუციის მომხრეებს, წარმოსთქვამდნენ სიტყვებს, ბეჭდავდნენ მოწოდებებს; მოუწოდებდნენ ხალხს თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ და აღშფოთებას გამოსთქვამდნენ ინკვიზიტორებზე, რომლებიც ბრბოს მიმხრობას ცდილობდნენ. ისინი თავისთავს პატრიოტებს უწოდებდნენ და ფიქრობდნენ რომ მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებაო.

21 მაისს ამ კლუბის დეპუტაცია გაემგზავრა დოჟთან, რათა გენუის ხალხის სახელით წარედგინა მისთვის პეტიცია, რომელშიც მოითხოვდა არისტოკრატიის ხელისუფლების დამხობას და თავისუფლების გამოცხადებას. იმავე დროს პატრიოტები იარაღს ისხამდნენ იმ შემთხვევისთვის, თუ არისტოკრა-

ტია საწინააღმდეგო ღონისძიებებს მიმართავდა. დილის 10 საათზე ისინი დაეპატრონენ მთავარ კარს და კერძოდ სან-პიერ დ'არენის კარს და ნავსადგურს. ინკვიზიტორებმა პირობითი ნიშანი მისცეს. მენახშირენი და მებარგულები თავიანთი მამასახლისების წინამძღოლობით დაიძრნენ იარაღის საწყობებისკენ, გამოაცხადეს თავისითავი არისტოკრატიის მომხრეებად, და რამდენიმე საათის განმავლობაში დოჟის დასაცავად შეიარაღებული და დარაზმული აღმოჩნდა 25.000 კაცი, რომელიც წყევლა-კრულვას უთვლიდა იაკობელებსა და ფრანგებს. საფრანგეთის დესპანმა წინდაუხედავობით დაამცირა თავისი ღირსებ: გაემგზავრა სასახლეში და სცადა მოერიგებინა ეს შეურიგებელი პარტიები.

ოლიგარქიის სამზადისისა და შეიარაღებული ხალხის ასეთი დიდი რაოდენობის წინაშე პატრიოტებმა თავისი სისუსტე იგრძნეს. ისინი იმედოვნებდნენ რომ მათ დაეხმარებოდათ ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლო სასწორის მათკენ გადახრა. მაგრამ ბურჟუაზიამ, რომელსაც გაგებული ჰქონდა მენახშირეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ადგილიდან დაძვრაც კი ვერ გაბედა და ჩაიკეტა თავის სახლებში. ამნაირად, იმედგაცრუებულმა პატრიოტებმა, სხვა საშუალება ვეღარაფერი ნახეს თავის დასახსნელად, თუ არ ის რომ გაეკეთებიათ ფრანგული კოკარდები იმ იმედით რომ გამოეწვიათ თავისადმი ოლიგარქიის პატივისცემა. საფრანგეთზე დაყრდნობას ასეთი ცდა უბედურების თავზე დატეხას ემუქრებოდა გენუაში მცხოვრებ ფრანგთა ოჯახებს.

გაიმართა ბრძოლა. პატრიოტები დამარცხდნენ და ყველგან უკუგდებულ იქნენ, თუმცა ღამით 23-დან 24-ს ისინი ჯერ კიდევ უძალდებოდნენ სან-პიერ დ'არენის კართან, რომელიც მათ დაატოვებინეს 24-ს განთიადზე. გამარჯვებულმა ოლიგარქიამ გასცა ბრძანება, რათა ყველას გაეკეთებია გენუის კოკარდი; იგი თვალს არიდებდა ფრანგების დამცირებასა და აბუჩად აგდებას. რამდენიმე ფრანგი დაიღუპა, ბევრი დააპატიმრეს. თუ საფრანგეთის დესპან ფეპუსთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, ეს მხოლოდ იმიტომ რომ დოჟის ბრძანებით მის კარებთან დააყენეს 200 კაცისაგან შემდგარი ყარაული. საზღვაო კომისარი მენარი, ბუნებით თავდაჭერილი კაცი, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ რესპუბლიკის შფოთსა და არეულობაში, თმით წაათრიეს ლანტერნის ციხეში. ელჩ ლაშეზის სახლი გაძარცვეს. ყოველდღიური მუქარის გამო და ინკვიზიტორების ხანჯლების შიშით ფრანგები იძულებული ხდებოდნენ გადამალულიყვნენ. ბურჟუაზია დაიბნა. იგი დუმდა და გამარჯვებული ინკვიზიტორების შიშით ვერ ბედავდა რაიმე ეღონა.

საფრანგეთის დესპანმა ფეპუმ თავი მოვალედ სცნო—ეჩივლა ასეთი მტრული მოპყრობის გამო და 23-დან 30-მდე მან მთელი რიგი ნოტები და მოთხოვნები წარადგინა, რომლებიც დოჟმა არ მიიღო. როცა ადმირალი ბრუი კორსიკიდან დაბრუნებული ორი გემით და ორი ფრეგატით ნავსადგურში გამოჩნდა, დოჟმა მოსთხოვა საფრანგეთის დესპანს რომ ეს ესკადრა ნავსადგურში არ შესულიყო, ვინაიდანო—განმარტავდა დოჟი—ვერ შევსძლებ—შევაკავო ბრბო ფრანგთა ოჯახების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ექსცესებისგანო. ფეპუმ სისუსტე გამოიჩინა და დაეთანხმა ამ წინადადებას, ბრუის კი გაუგზავნა ბრძანება—განეგრძო გზა ტულონისაკენ. როცა ჭკუადამჯდარი ხალხი

ამტკიცებდა სენატში რომ ასეთი ქცევა ყოვლად უგუნურია, ოლიგარქებმა უპასუხეს რომ „ფრანგები გართული არიან ავსტრიასთან მოლაპარაკებაში და ვერ გაბედავენ თავისი ჯარების გენუაზე წამოყვანას, პარიზში გაბატონებული განწყობილება კი დემოკრატიული იდეების საწინააღმდეგოა. ცნობილია რომ თვით ნაპოლეონიც კი არ იწონებს მორანდის კლუბის პრინციპებს და ჯერ დაფიქრდება, ვიდრე დაიმსახურებდეს სამდურავს მთავრობისა და კლიშის პარტიისას, რომელიც გაბატონებულია პარიზის ხელმძღვანელ წრეებშია“.

მაგრამ ოლიგარქების ეს ცრუ იმედები დაიმსხვრა, იმიტომ რომ, როგორც კი ნაპოლეონმა გაიგო ფრანგების სისხლის დაღვრა, საფრანგეთის საკეთილო სახლების სასოწარკვეთილება და მათი შევიწროება, მან წარგზავნა თავისი ადიუტანტი ლა-ვალეტი დოჟთან და მოითხოვა მისგან — რომ „ყველა დაპატიმრებული ფრანგი დაუყოვნებლივ გადაეცათ საფრანგეთის დესპანის განკარგულებაში, მენახშირენი და მებარგულნი განიარაღებინათ, სამი ინკვიზიტორი კი, რომლებიც ფრანგების მკვლელობას ხელმძღვანელობდნენ, დეპატიმრებინათ“. ნაპოლეონი აცხადებდა რომ „პატრიციები თავისი სიცოცხლით პასუხისმგებელი არიან მის წინაშე ფრანგ ვაჭართა სიცოცხლისათვის, ისე როგორც რესპუბლიკა თავისი საწყობებით და მთელი თავისი ქონებით პასუხს აგებს გენუაში მყოფ ფრანგთა საწყობებისა და ქონებისათვისო“. ამავე დროს მან გაუგზავნა დესპან ფეპუს ბრძანება რომ ამ ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში დაეტოვებია მას გენუა და წასულიყო ტორტონას ყველა იმ ფრანგთან ერთად, ვინც მის წაყოლას მოისურვებდა.

ლა-ვალეტი 29 მაისს, დღის 4 საათზე მივიდა გენუას; 6 საათზე იგი შეიყვანეს სენატში, რომელმაც მოისმინა მისი სიტყვა, გაეცნო წერილს დროებისადმი და აღუთქვა პასუხის მიცემა იმავე საღამოს. მართლაც, ფრანგები გაათავისუფლეს და მიიყვანეს საელჩოს შენობაში, სადაც თავი მოეყარა დიდძალ ხალხს, რომელიც მათდამი თანაგრძნობას გამოსთქვამდა. ბურჟუაზია და ქალაქის ნამდვილი მკვიდრნი გაამხნევა მთავარსარდლის ასეთმა საქციელმა და მისი მფარველობის მოიმედენი ამოძრავდნენ და ხმამაღლა მრითხრეს მენახშირეთა და მებარგულთა განიარაღება. იმავე საღამოს თოფხანაში დააბრუნეს 4.000-ზე მეტი თოფი, ამ კორპორაციების განიარაღების შედეგად მიღებული, მაგრამ მათ ხელში კიდევ 20.000 თოფი რჩებოდა. სენატში ცხარე კამათი გაიმართა, მაგრამ ოლიგარქია უმცირესობაში აღმოჩნდა. ფრანგის ჯარის დივიზია უკვე ტორტონაში იმყოფებოდა, და ზღვიდან და ხმელეთიდან ალყაშემორტყმული გენუა სწრაფად იქნებოდა დამორჩილებული. შესაძლებელია საკმარისი ყოფილიყო ფრანგის ჯარის რამდენიმე ნაწილის მიახლოება, რათა აგულიანებულიყვნენ მესამე წოდების მასები, გადაეგდოთ ოლიგარქიის უღელი და დაეთრგუნათ ბრბო. სენატის პასუხი მაინც არადამაკმაყოფილებელი იყო, — ორჭოფული. თანახმად ინსტრუქციისა ფეპუმ გადასწყვიტა — წასულიყო. იმის მაგიერ გენუაში უნდა დარჩენილიყო ადიუტანტი ლა-ვალეტი, რათა უზრუნველეყო დარჩენილი ფრანგების უშიშროება. მაგრამ როდესაც მიიღეს მოთხოვნა დესპანისათვის პასპორტების გაცემაზე, დოჟმა თავი მოუყარა მათი გაცემის უფლებით აღჭურვილ კოლეგიუმებს. მათ გაითვალისწინეს შექმნილი მდგომარეობა და გადასწყვიტეს დამორჩილებოდნენ მთა-

ვარსარდლის მოთხოვნებს. მათ დაადგინეს: 1) გაეგზავნათ მონტებელოში დეპუტაცია კამბიაზოს, სერასა და კარბონარის შემადგენლობით; 2) დაეპატიმრებიათ სამი ინკვიზიტორი; 3) დაუყოვნებლივ განეიარაღებიათ მენახშირენი და მებარგულნი. ასეთმა დადგენილებამ აფიქრებინა ფეპუს დარჩენილიყო თავის თანამდებობაზე. ამან დაამშვიდა შეშფოთებული ხალხი. მენახშირენი, რომელნიც მხოლოდ სხვისი ბრძანებით მოქმედებდნენ და არავითარი პირადი ზრახვები მათ ამ საქმეში არ ამოძრავებდათ, იმწამსვე დამჯერი შეიქნენ, როგორც კი დოემა გულწრფელად გადასწყვიტა დამორჩილება.

დეპუტატები მონტებელოს მივიდნენ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს 5 ივნისს. ამან ბოლო მოუღო დორიას კონსტიტუციას და დემოკრატიული წყობილება დააწესა. ხალხმა ისეთი სიცხოველით იდღესასწაულა გამარჯვება, როგორც ეს სჩვევია სამხრეთის მცხოვრებთა ხასიათსა და ბუნებას. მან თავი მისცა ექსცესებს: დასწვა ოქროს წიგნი და დაამსხვრია დორიას ქანდაკება. დიდი ადამიანის ხსოვნის ასეთმა უხეშმა შებღალვამ შეურაცხჰყო ნაპოლეონის გრძნობა. მან მოსთხოვა დროებითს მთავრობას—აღედგინათ ეს ქანდაკება. მაგრამ უკიდურესობის მომხრენი იმარჯვებდნენ, და კონსტიტუციის პროექტიც ამას ასახავდა. სამღვდელოება გაღიზიანებული იყო, თავად-აზნაურობა გაგულისებული; ისინი გადაყენებული იყვნენ ყველა თანამდებობიდან. კონსტიტუცია დასამტკიცებლად უნდა წარედგინათ ხალხისთვის 1797 წლის 14 სექტემბერს. იგი ყველა თემში გამოაქვეყნეს. სოფლის მრავალმა კანტონმა განაცხადა რომ იგი ჩვენთვის მიუღებელიაო; სამღვდელოება და თავად-აზნაურობა ყოველმხრივ აქეზებდნენ თავიანთ გლეხებს აჯანყებისათვის, და ამ აჯანყებამ კიდევაც იფეთქა პოლჩევერისა და ბიზანიოს ხეობებში. აჯანყებულები დაეპატრონენ ეპერონის ციხეს, ტენალიას და ლანტერნის ბასტიონს, რომელიც დაჰყურებს ნავსადგურს. დროებითმა მთავრობამ გენერალ დიუფოს მოსთხოვა გალაშქრება მის დასაცავად; დიუფო გაგზავნილი იყო გენუას რესპუბლიკის ჯარების ჩამოსაყალიბებლად, რომელთა რიცხვი 6.000 კაცამდე გაიზარდა. მან განდევნა აჯანყებულები და კვლავ დაეპატრონა გალავანსა და ციხეებს. 7 სექტემბერს ორსავე ხეობაში აღადგინეს სიმშვიდე და განაიარაღეს გლეხები.

ამ ცნობებმა ნაპოლეონის უკმაყოფილება გამოიწვია. იგი მთლიანად გართული იყო ავსტრიასთან მოლაპარაკებაში და არ შეეძლო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია გენუის საქმეებისათვის, მაგრამ ურჩევდა დაეზოგათ თავად-აზნაურობა და დაეკმაყოფილებიათ სამღვდელოება. მან გადასდო კონსტიტუციის გამოქვეყნება, შეიტანა მასში ცვლილებები, რომელთაც ითხოვდნენ სამღვდელოება და თავად-აზნაურობა, და, ამნაირად, დემაგოგიური იერისგან სავსებით განწმენდილი კონსტიტუცია მიღებულ იქნა საყოველთაო მოწონებით. ნაპოლეონს უყვარდა გენუა. მას სურდა თვითონ გამგზავრებულიყო იქ დასაშშვიდებლად და პარტიების გასაერთიანებლად, მაგრამ მოვლენებმა, რომლებიც ასე სწრაფად მოსდევდნენ ერთიმეორეს, ხელი შეუშალეს ამას. კამპოფორმიოს შემდეგ, იტალიიდან წასვლის მომენტში, 1797 წლის 11 ნოემბერს მან მილანიდან გენუის მთავრობას შემდეგი წერილი მისწერა:

„ავისწრაფი—გიპასუხოთ, მოქალაქენო, თქვენს ნდობაზე, რომელიც გამოიჩინეთ ჩემდამი... თქვენ გჭირიათ შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები,

რათა მოსახლეობა ძალზე დატვირთული არ იქნეს გადასახადებით... საკმარისი როდია არაფერი გაკეთდეს რელიგიის წინააღმდეგ; საჭიროა კიდევ—არ შევეხოთ მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს და არავითარი იარაღი არ მივცეთ ბოროტგამზრახველთ. ყველა თავად-აზნაურის საზოგადოებრივი თანამდებობიდან გადაყენება აღმაშფოთებელი უსამართლობა იქნებოდა, ამით თქვენ იმასვე ჩაიდენდით, რასაც ისინი სჩადიოდნენ... პორტო-ფრანკოს საკითხი თქვენს წრეში გადმოსროლილ განხეთქილების ვაშლს წარმოადგენს... ქალაქ გენუას თავისი ნავსადგური ღიად უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო კორპუსის ნება-სურვილის მიხედვით... რატომ გამოიცვალა ასე სწრაფად ლიგურიის ხალხი? მისი პირვანდელი გატაცება ძმობით და მისი აღფრთოვანება სიფრთხილემ და შიშმა შესცვალა. სამღვდელოება—პირველი ხეა თავისუფლების. მან პირველმა სთქვა რომ სახარების მორალი დემოკრატიულიაო. თქვენი მტრების მიერ მოსყიდულთ და ყველა რევოლუციაში ტირანიის უშუალო თანაშემწეთ გამოიყენეს ზოგიერთი სასულიერო პირის შეცთომები, დაე, თუნდ დანაშაულიც, რათა ეწერათ რელიგიის წინააღმდეგ, და სამღვდელოებაც განდგა! ყველა გააძევეს ხელაღებით, თქვენი მტრების რიცხვი კი გაიზარდა!.. როცა სახელმწიფოში, მეტადრე—მცირე სახელმწიფოში, ჩვეულებად შემოდის—მსჯავრი დასდონ და თავის მართლებას კი არ მოუსმინონ, მიესალმონ სიტყვებს ტაშისცემით, იმიტომ რომ ისინი დიდის გატაცებით წარმოითქვა, როცა სათნოებად სახავენ უაღრესად ღვარძლიან საქციელს და გაშმაგებას, დანაშაულად—ზომიერებას და სამართლიანობას,—მაშინ ასეთი სახელმწიფოს დაღუპვა მოახლოებულია... მერწმუნეთ რომ ყველგან, სადაც კი მომიწოდებს მე ჩემი მოვალეობა და სამშობლოსადმი სამსახური, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იქნება ის წუთები, როცა შესაძლებლობა მომეცემა—გამოვადგე თქვენს რესპუბლიკას... მე კმაყოფილი ვიქნები თუ გავიგებ რომ გენუის ხალხი ერთსულოვანი და ბედნიერია".

პარიზში, ხუთასის საბჭოში იმ დროს იხილავდნენ სიეისის წინადადებას საფრანგეთიდან თავადაზნაურთა გაძევების თაობაზე მათი ადგილ-მამულის ღირებულების საქონლით ანაზღაურებით. ნაპოლეონის რჩევა-დარიგება გენუის რესპუბლიკისადმი, როგორც ჩანს, გამოსადეგი შეიქნა საფრანგეთის რესპუბლიკისათვისაც, რომელმაც ერთგვარად ისარგებლა იგი, ვინაიდან სიეისის უაღრესად მკვეთრ და სასტიკ პროექტს ყველგან შეეძლო შფოთი და არევ-დარევა შეეტანა. ამ პროექტზე არავის აღარაფერი უთქვამს.

ფრანგთა არც ერთი ათასეული ტორტონის გაღმა არ გასულა. გენუის რევოლუციამ გაიმარჯვა მესამე წოდების გამოსვლის წყალობით.

მორანდის კლუბსა და ინკვიზიტორებს რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოთ, იგი ჩატარდებოდა წესრიგის დაურღვევლად, შერყევათა და საფრანგეთის ყოველგვარ, თვით არაპირდაპირი, ჩარევის გარეშე.

III

სარდინიის მეფე ყალბ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბოლონიის ხელშეკრულება ერთსადაიმავე დროს კიდეც არსებობდა და არც არსებობდა. დირექტორიას გარკვევით არაფერი უთქვამს, მაგრამ ცხადი იყო რომ მას არ სურდა მისი რატიფიცირება. ნაპოლეონი ფიქრობდა რომ ეს რატიფიკაცი-

აუცილებელიაო. იტალიაში ისედაც საკმაოდ მოიპოვებოდა საბაბი განხეთქილებისათვის. მას საჭიროდ მიაჩნდა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია იმისთვის, რათა მოეხდინა ზედმოქმედება ავსტრიაზე და დაეჩქარებინა მოლაპარაკება. მოლაპარაკების წარუმატებლობისა და ომის შემთხვევაში იგი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა პიემონტელთა ძველი ჯარების, რომელთა ფასიც მან იცოდა, საუცხოო და საიმედო დივიზიის თავის სარდლობის ქვეშ გაერთიანებას. მას თავისთავი ამ ხელშეკრულების მუხლებით შებოჭილად მიაჩნდა, და ყოველივე საშუალებას ხმარობდა, რათა უზრუნველეყო მეფის სამფლობელოების შინაგანი სიმშვიდე. მაგრამ ასეთი ქცევა ძლიერ გააკრიტიკეს. უკმაყოფილო პიემონტელთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა. სამეფო კარი იძულებული შეიქნა იარაღისთვის მიემართნა, და უკმაყოფილონი განადგურებულ იქნენ. ასეთი მეტისმეტად საჩოთირო მდგომარეობა ყრუ დრტვინვას იწვევდა საფრანგეთისა და იტალიის იაკობელთა შორის, და როცა მეფის პარტიამ გაიმარჯვა, დაპატიმრება-შევიწროება, რასაც ის მიმართავდა, საჩივრის მუდმივი საგანი იყო.

როცა დირექტორიამ სექტემბრის დამლევს ხელი მოაწერა თავის ულტიმატუმს კამპო-ფორმიოში წარმოებული მოლაპარაკების გამო, მან აუწყა თავის რწმუნებულს რომ დირექტორია მტკიცედ ადგას თავის გადაწყვეტილებას—არ დაამტკიცოს ხელშეკრულება სარდინიასთან. საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ნაპოლეონს რომ მას არ უნდა ჰქონდეს სარდინიის კონტინგენტის ამ 10.000 კაცის დახმარების იმედიო, მაგრამ დაუმატა რომ მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა ჯარისკაცთა გადაბირება იტალიელ შემკრებთა შემწეობით და ამრიგად ამ დივიზიის დახმარების მიღება, ტურინის სამეფო კარის წინაშე რაიმე ვალდებულებათა მიუღებლადაო. მაგრამ იმ კადრების გადაბირება, რომლებიც ჯარის მთელ ძალას შეადგენდნენ, შეუძლებელი იყო, ამასთან ამ ოპერაციას ერთ-ორ წელზე ნაკლები დრო არ დასჭირდებოდა, ლაპარაკი კი იყო დაუყოვნებლივ გალაშქრებაზე. საფრანგეთის მთავრობის ასეთი ქცევა ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რამაც აიძულა ნაპოლეონი ხელი მოეწერა ზავზე კამპო-ფორმიოში და ანგარიში არ გაეწია დირექტორიის ულტიმატუმისათვის.

სარდინიის სამეფო კარმა იცოდა რამდენად არაგულწრფელი იყო საფრანგეთის მთავრობის მეგობრობა, და არ ივიწყებდა—რა პოლიტიკური მოსაზრებით იყო მიღებული ეს კავშირი. იგი წინასწარ გრძნობდა თავის მომავალ დამხობას. მისი ხალხი საფრანგეთის, ლიგურიის, ციზალპინის დემოკრატიების გარემოცვაში იმყოფებოდა და ამიერიდან სამეფო კარს სარდინია ხსნის ადგილად მიაჩნდა.

IV

ტოლენტინოს ზავის შემდეგ რომის კარი არაგულწრფელ პოლიტიკას განაგრძობდა. იგი ზუსტად იცავდა ზავის პირობებს, მაგრამ კარდინალების ბუსკას და ალბანის გავლენას დაემორჩილა, განაგრძობდა ჯარის შეგროვებას და უგუნურება ჩაიდინა, როცა მან აშკარად გაიწვია საფრანგეთი ომში და მოუწოდა გენერალ პროვერას—დამდგარიყო მთავარსარდლად. იმავე დროს მან უარი განაცხადა ციზალპინის რესპუბლიკის ცნობაზე. საფრან-

გეთის დესპანის მუქარამ აიძულა შეეწყვიტა მას წინააღმდეგობის გაწევის ეს სუსტი ცდები. პროვერა მივიდა რომს, რამდენიმე დღე დაჰყო იქ და უნდა დაბრუნებულიყო ავსტრიაში. ციზალპინის რესპუბლიკამ ისარგებლა ბედნიერი შემთხვევა, რათა დაპატრონებოდა რომის ზოგიერთ პროვინციას, გაამზადა ჯარი და ომი გამოუცხადა ვატიკანს. ასეთმა მუქარამ წამოაზოქა რომის კარის დაუძლურებული და განუსჯელი მოხუცნი და მათ დააკმაყოფილეს ციზალპინის დირექტორიის ყველა მოთხოვნა, რაც კი მან წარუდგინა. ასეთი პოლიტიკა ნიშნობლივი იყო ვატიკანისათვის უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში. რომის მთავრობა დახავსდა. პაპის ხელისუფლებას აღარ შეეძლო გაძლება; იგი დასრულდა ისევე, როგორც დასრულდა ეკლესიის მთავართა სუვერენიტეტი გერმანიის იმპერიაში.

V

ნეაპოლის სამეფო კარს ხელმძღვანელობდა დედოფალი. იგი იყო ჭკვიანი ქალი, მაგრამ მისი ცნებები ისევე უწესრიგო და არეული იყო, როგორც მის გულს დაუფლებული ვნებები. 1796 წლის ოქტომბერში პარიზში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ ვერ შესცვალა ამ მთავრობის განწყობილება; იგი არ სწყვეტდა შეიარაღებას და არ უსვენებდა საფრანგეთს მთელი 1797 წლის განმავლობაში. როდესაც რომს მიმავალი ნაპოლეონი მარკიაში იყო, თავადმა პინიატელი-ბელმონტემ, ნეაპოლის მინისტრმა, პირისპირ მასთან ყოფნისას გადასცა მას დედოფლის წერილი განცხადებით რომ დედოფალი მზადაა დასძრას 30.000 კაცი რომის დასაფარავად. „გმადლობთ ამ გულახდილი აღიარებისათვისო,—უპასუხა მას მთავარსარდალმა,—და მე შემიძლია გიპასუხოთ ასეთივე გულახდილობითო“. მან დაურეკა თავის მდივანს, მისცა განკარგულება —მოეტანა საქაღალდე, რომელშიც ნეაპოლის საქმე იყო, და ამოიღო იქიდან მის მიერ 1796 წლის ნოემბერში დირექტორიისათვის გაგზავნილი დეპეში. მანტუა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღებული. დეპეშში ისა სწერდა: „სიძნელეები, რომელსაც მე განვიცდი ალვინცის მოახლოებასთან დაკავშირებით, ხელს არ მიშლის 6.000 ლომბარდიელისა და ბოლონიელის გაგზავნას რომის სამეფო კარის დასასჯელად; მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ რომ ნეაპოლის სამეფო კარს შეუძლია 30.000 კაცის გამოყვანა ამ დედაქალაქის დასაფარავად. მაშასადამე, რომისაკენ მე მხოლოდ მაშინ დავიძრები, როცა მანტუა დაგვნებდება და მომივა მაშველი ჯარი, რომელსაც თქვენ დამპირდით იმისთვის, რათა, იმ შემთხვევაში თუ ნეაპოლის სამეფო კარი პარიზის ხელშეკრულებას დაარღვევს, მე შემეძლოს ვიყოლიო 25.000 კაცი ნეაპოლის დასაპატრონებლად და სამეფო კარის იქიდან გასაძევებლად“. ამ მინისტრის მიერ იმავე ღამით სასწრაფოდ გაგზავნილი შიკრიკის დანიშნულება, ეჭვს გარეშეა, ის იყო რომ ეცნობებინა დედოფლისთვის თუ როგორ შეხვდნენ მის გადაკრულ სიტყვას.

პარიზის ზავის დადების დღიდან უცხო სახელმწიფოთა კარზე მყოფი ნეაპოლის დესპანები უფრო მტრულად იყვნენ განწყობილი ფრანგების მიმართ, ვიდრე ეს ომის დროს ხდება ხოლმე. ხშირად შეიძლებოდა გაგონება, თუ როგორ აცხადებდნენ ეს აგენტები რომ ზავი ხანმოკლე იქნებაო, და ა. შ. ასეთი ქცევა ხელს არ უშლიდა ნეაპოლის კაბინეტს —ჰქონოდა დიდი იმედები.

მონტებელოსა, უდინესა და პასერიანოში გამართულ თათბირების დროს დედოფალი უეცრად შეიპყრო პატივმოყვარეობის გრძნობამ: მას მოესურვა მიეღო კუნძულები კორფუ, ზანტე, კეფალონია, სენ-მორი, მარკია დი-მაჩერატა, ფერარა, ანკონა და ურბინოს საჰერცოგო; მან მოიწადინა სამფლობელოების ჩამორთმევა პაპისაგან და ვენეციის რესპუბლიკისაგან—და ყოველივე ამის შეძენა მას უნდოდა საფრანგეთის მფარველობისა და ჩარევის მეოხებით, განსაკუთრებით კი ბევრს მოელოდა იგი ნაპოლეონისაგან. ასეთი პრეტენზიები მხოლოდ სასაცილო იყო. ისინი მოწმობდნენ იმ პირთა განუსჯელობასა და გარყვნილებას, რომლებიც განაგებდნენ ევროპაში ყველაზე ახირებულ და ყველაზე არათანმიმდევარ კაბინეტს, ისე როგორც ნეაპოლის არმია ყველა არმიაზე უარესი იყო იტალიაში. იტალიის ამ ომში ნეაპოლის სამეფო ტახტი გადაარჩინა მხოლოდ იმ ბედნიერმა გარემოებამ რომ იგი დაშორებული იყო საომარი მოქმედების ასპარეზს.

VI

იძულებული გავხდით—დავყოლოდით ლომბარდიელების მუდარას და მათთვის დაგვეარსებია რესპუბლიკა ტ რ ა ნ ს პ ა დ ა ნ ი ს სახელწოდებით.

მასში შედიოდა მთელი ლომბარდია, ე. ი. პოს მარცხენა ნაპირზე მდებარე მთელი ადგილი მინჩიოდან ტიჩინომდე.

ცისპადანის რესპუბლიკა შეიცავდა მარჯვენა ნაპირის ადგილებს—პარმის ოლქებიდან ადრიატიკის ზღვამდე. მისი კონსტიტუცია დაწესებულ იქნა ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა კონგრესის დეკრეტით და გადაეცა მთელ ხალხს დასამტკიცებლად. მას ხმა მისცა უდიდესმა უმრავლესობამ და იგი აღსრულებას მიეცა აპრილის დამლევს. ყველა თანამდებობის პირი ხალხმა აირჩია მაგრამ რადგან თავად-აზნაურობა და სამღვდელოება წინა საარჩევნო პერიოდში ძალიან აქტიურად მოქმედებდნენ, ძალაუფლება ნაწილობრივ მათ ხელში მოექცა და ხალხი ბრალს სდებდა ხელისუფალთ დემოკრატიისადმი ერთგულების უქონლობაში.

მონტებელოს კონვენცია შეიცავდა საბოლოო ზავის საფუძვლებს და შეთანხმებული იყო მარკიზ გალოსთან. იგი უარჰყო ვენის კაბინეტმა და ცხადი შეიქნა რომ მოლაპარაკება დიდხანს გასტანდა. ამიტომ ნაპოლეონმა იმწამსვე მიიღო გადაწყვეტილება რომ ცისპადანის და ტრანსპადანის რესპუბლიკათა გაერთიანების საფუძველზე შეექმნა ციზალპინის რესპუბლიკა. ეს გააერთიანებდა 3—4 მილიონ მოსახლეობას და შეჰქმნიდა მძლავრ სახელმწიფოს, რომელსაც ექნებოდა გავლენა მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. მონტებელოში ყოფნისას მისი სამუშაო დრო ნაწილობრივ მოუნდა მოლაპარაკებას ამ ორთავე რესპუბლიკის ხელისუფლებთან, რათა შეეგულიანებინა ისინი ნებაყოფლობითი გაერთიანებისთვის,—და ციზალპინის რესპუბლიკის მოწყობის წვრილმანებს. ცისპადანის რესპუბლიკის ხელისუფალნი დაჟინებით უარყოფდნენ გაერთიანებას, რომელიც არ ეთანხმებოდა მათ ადგილობრივ მცთარ შეგნებას. რამდენიმე თვე მოუნდა დავასა და შეგონებას იმისათვის რომ რეჯიოს, მოდენის, ბოლონიისა და ფერარის მთავრობებს შეეგნოთ ერთი მთლიანი მთავრობის ხელში გაერთიანების საჭიროება. ადგილობრივი ხასიათის ინტერესები ხელს უშლიდა პოს მარჯვენა

ნაპირის ხალხთა გაერთიანებას მარცხენა ნაპირის ხალხებთან. ალბათ, ამის მოხდენა მათი სრული თანხმობით შეუძლებელი იქნებოდა თუ არ მიეცემოდათ იმედი, რომ მალე დადგება დრო და ნახევარკუნძულის ყველა ხალხი გაერთიანდება ერთი საერთო მთავრობის ხელქვეითაო. თუ განიმსჭვალებოდნენ იმ იმედით, რომ ყველა იტალიელი ერთი მთლიანი დიდი ერის შემადგენლობაში შევა, ადვილი იქნებოდა მათთვის იმის გაგებინება, რომ ამ მიზნის მისაღწევად, პირველ ყოვლისა, საჭიროა იტალიის ყველა იმ ხალხის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, რომელიც უკვე თავისუფალია. ამ საერთო მიზეზს კიდევ ორი კერძო გარემოება დაერთო: რომანია, რომელიც პაპმა დასთმო ტოლენტინოს ხელშეკრულების მიხედვით, დამოუკიდებლად აქციეს ემილიას სახელწოდებით და იგი ჯერ კიდევ არ შეერთებოდა ცისპადანის რესპუბლიკას. ადგილობრივი პატრიოტიზმი მას იზოლაციისკენ აქეზებდა და განსაკუთრებულ ანტიპათიას იწვევდა მასში მის მოსაზღვრე ბოლონიისადმი. მაგრამ რომანიის ხალხები ფიცხლავ განიმსჭვალნენ ერთიანი რესპუბლიკის შექმნის აზრით და მრავალრიცხოვან პეტიციებში ითხოვდნენ ციზალპინის რესპუბლიკის დაარსებას. იმავე დროს ვენციამ და კონტინენტურმა ოლქებმა, რომლებიც შეაშფოთა წინასწარ ზავზე მოლაპარაკების საიდუმლოებამ, სახალხო კრებებზე ხმა მისცეს იტალიის რესპუბლიკის დაარსებას. ამ გარემოებით ყველა დაბრკოლება ქარწყლდებოდა; ადგილობრივი პატრიოტიზმი ქედს იხრიდა საყოველთაო სურვილის წინაშე, კერძო ინტერესები კი ადგილს უთმობდნენ საერთო მისწრაფებებს. მიღებულ იქნა საერთო შეთანხმება გაერთიანებაზე, და მილანი დედაქალაქად გამოცხადდა.

ახალ რესპუბლიკას ეწოდა ციზალპინის რესპუბლიკა. ამის უკმაყოფილო იყვნენ პარიზში, სადაც უნდოდათ ეწოდებინათ მისთვის ტრანსალპინის რესპუბლიკა. სინამდვილეში კი, იმის გამო რომ იტალიელები შუდამ რომისაკენ და მთელი ნახევარი კუნძულის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისაკენ ისწრაფოდნენ, ციზალპინი ისეთი სიტყვა იყო, რომელიც ამ მისწრაფებებს ეთნევოდა და რომელიც იტალიელებს უმჯობესად მიაჩნდათ, რადგან მათ ჯერ კიდევ ვერ გაებედნათ სახელწოდება იტალიის რესპუბლიკის შემოღება. კამპო-ფორმიის ხელშეკრულების მიხედვით, ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნაწილი ვენეციის ოლქებისა ციზალპინის რესპუბლიკას შეუერთეს, გრაუბიუნდენის შუამავლობის შემდეგ-კი ამ გაერთიანებაში ვალტელინაც შევიდა. ამგვარად ციზალპინის რესპუბლიკა შედგენილ იქნა ევროპაში ყველაზე მდიდარი ათი დეპარტამენტისაგან 3.600.000 კაცის მოსახლეობით. ეს დეპარტამენტები შვეიცარიის მთებიდან ტოსკანისა და რომის აპენინებამდე და ტიჩინოდან ადრიატიკის ზღვამდე ყველაზე წარმტაცი ადგილი იყო მსოფლიოში. ნაპოლეონს უნდოდა საფრანგეთის კონსტიტუციისაგან განსხვავებული კონსტიტუცია მიეცა ამ ახალი რესპუბლიკისათვის. ის ითხოვდა—გამოეგზავნათ მილანს რამდენიმე ფრანგი პუბლიცისტი, ისეთი, როგორც სიეისი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათ სახელებზე დაყრდნობა; მაგრამ ეს აზრი დირექტორიას არ მოეწონა, და ციზალაპინის რესპუბლიკის კონსტიტუცია საფრანგეთის 1795 წლის კონსტიტუციის ყაიდაზე შეადგინეს. თავდაპირველი დირექტორები იყვნენ სერბელონი, პარადიზი, მოსკატი, ალესანდრი, ფენაროლი. ესე-

ნი იყვნენ საფრანგეთის პარტიის ბელადები იტალიაში. პირველი მათგანი იყო ლომბარდიის ყველაზე დიდი გვარის წარმომადგენელი. 30 ივნისს ისინი მილანის სასახლეში დააბინავეს. იმავე დღეს გამოაცხადეს ციზალპინის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და უარჰყვეს დაპყრობის უფლება.

ეროვნული გვარდიისა და ახალი რესპუბლიკის ხელისუფალთა წარმომადგენლების საერთო კრება მილანის სამხედრო საავადმყოფოში შედგა. 14 ივლისს 30.000 ეროვნულ გვარდიელმა და სხვადასხვა დეპარტამენტის დეპუტატებმა ძმობისა და კავშირის ერთგულობის ფიცი დასდეს, ამასთან აღთქვეს რომ ყოველ ღონეს ვიხმართ თავისუფლებისა და სამშობლო იტალიის აღსადგენადო. ციზალპინის დირექტორიამ დანიშნა მინისტრები და სახელმწიფოს თანამდებობის პირნი, დააწესა შეიარაღებულ ძალთა რაოდენობა, და განაგებდა ციზალპინის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მას დაუბრუნეს მილანისა და სხვა ციხეების გასაღებნი.

ამიერიდან იტალიელთა ზნე-ჩვეულება განიცდის ცვლილებას; რამდენიმე წლის შემდეგ ისინი სულ სხვა ერად გადიქცნენ. ანაფორა, რომელიც ახალგაზრდებისათვის მოდას წარმოადგენდა, სამხედრო მუნდირმა შესცვალა. ახალგაზრდა იტალიელებმა ქალის ფეხებთან დროის ტარების ნაცვლად იწყეს სიარული მანეჟებზე, სასროლო ტირებში, სასწავლო მოედნებზე. ბავშვებმა თავი ანებეს ღვთისმსახურობის თამაშობას, მათ გაიჩინეს კალის პაწაწკინა ჯარისკაცთა ლეგიონები, და თავიანთ თამაშობაში ისინი სამხედრო მოქმედებას ბაძავდნენ. წინანდელ თეატრულ კომედიებსა და ქუჩის ფარსებში იტალიელი ყოველთვის წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც მხდალი, თუმცა როგორც ჭკვიანიც, მის გვერდით კი ყოველთვის იყო ვინმე ზორზოხი ბაქია, ზოგჯერ ფრანგი, უფრო ხშირად კი გერმანელი, მეტად გაბედული, მეტად უხეში; სცენის დამთავრებისას იგი რამდენიმეჯერ უთაქებდა ჯოხს იტალიელს, რასაც მოჰყვებოდა მაყურებელთა ტაშის გრიალი. ხალხი ვეღარ ითმენდა ასეთ სანახაობას; მაყურებელთა სასიხარულოდ ახლა ავტორები უჩვენებდნენ სცენაზე მამაც იტალიელებს, რომლებიც, თავიანთი ღირსებისა და უფლებების დაცვისას, უცხოელებს კუდით ქვას ასროლინებდნენ ხოლმე.

ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ეროვნული შეგნება. იტალიაში გაჩნდა საკუთარი სიმღერები, ერთსდაიმავე დროს პატრიოტულიც და სავაჟკაცოც. ქალები ზიზღით უპასუხებდნენ იმ მამაკაცთა გაარშიყებას, რომლებიც თავის მოსაწონებლად ქალურ მიბნედილობის იერს ღებულობდნენ.

VII

ვალტელინა სამი ხეობისაგან შედგება: საკუთრივ ვალტელინა, ბორმიო და კიავენა. მისი მოსახლეობა 160.000 კაცისაგან შედგება. მცხოვრებნი რომის კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებენ და იტალიურად ლაპარაკობენ. გეოგრაფიულად იგი იტალიას ეკუთვნის. ის ესაზღვრება ადის ნაპირებს, კომოს ტბაში მის შერთვამდე, და გერმანიისაგან მას ჰყოფენ მაღალი ალპები. სიგრძით იგი 18 ლიეს შეადგენს, სიფართით—6 ლიეს. მისი მცხოვარი ქალაქია კიავენა, რომელიც მდებარეობს 2 ლიეს მანძილზე კომოს ტბიდან და 14-ის—კოი-

ერედან, რომლიდანაც ბორმიო 17 ლიეზეა. ძველად იგი მილანის ოლქის ნაწილს შეადგენდა. 1404 წელს არქიეპისკოპოსმა და მილანის ჰერცოგმა, ბარნაბე ვისკონტიმ, ეს სამი ხეობა კოირეს ეკლესიას გადასცა. 1512 წელს გრაუბიუნდენის თემებმა სფორცისგან მიიღეს უზენაესი ხელისუფლება ვალტელინაზე იმ სახელშეკრულებო მუხლების საფუძველზე, რომელთა თავმდები უნდა გამხდარიყვნენ მილანის ჰერცოგები. ამგვარად, ვალტელინელები გრაუბიუნდენის იმ სამი თემის ქვეშევრდომნი აღმოჩნდნენ, სადაც მცხოვრებნი უმთავრესად გერმანულად ლაპარაკობენ, პროტესტანტებია და მათგან ალპების მაღალი ქედით არიან დაშორებული.

არ არსებობს იმაზე საშინელი მდგომარეობა, როგორც ერთი ხალხის მეორის ხელქვეით ყოფნაა. სწორედ ასევე ქვემო ვალისი ზემო ვალისის ქვეშევრდომი იყო და ვოს ოლქი ბერნის ოლქის ქვეშევრდომობაში იყო. დიდის ხნიდან საბრალო ვალტელინელები უჩიოდნენ იმ დევნა-შევიწროებას, რასაც ისინი განიცდიდნენ, და იმ დამამცირებელ მონურ უღელს, რომელსაც ისინი სწევდნენ. ღატაკი და უვიცი გრაუბიუნდელები მათ ხარჯზე, უფრო მდიდართა და უფრო ცივილიზებულთა ხარჯზე, ცხოვრობდნენ და იხვეჭდნენ სიმდიდრეს. გრაუბიუნდენის თემის უკანასკნელი გლეხი დარწმუნებული იყო რომ მასსა და ვალტელინის ყველაზე მდიდარ მცხოვრებს შორის ისეთივე მანძილია როგორიც ხელმწიფესა და მის ქვეშევრდომს შორისო. და, ცხადია, თუ კი იქმნება ხოლმე ისეთი მდგომარეობა, როცა აჯანყება კანონიერი ხდება და საჭიროა მისი საშუალებით მდგომარეობის შეცვლა, ეს სწორედ ისეთ მდგომარეობას ეხება, რომელშიაც ვალტელინა იმყოფებოდა.

1797 წლის მაისში სამი ხეობის ხალხები აჯანყდნენ, აიღეს იარაღი, გააძევეს თავისი არამკითხე მბრძანებლები, აღმართეს იტალიის სამფეროვანი დროშა, დანიშნეს დროებითი მთავრობა და დაუგზავნეს მოწოდება სახელმწიფოებს, რომელთაც აუწყებდნენ თავიანთ ჩაგვრა-შეურაცხყოფას და გადაწყვეტილებას—ბრძოლით მოიპოვონ ის უფლებები, რომელსაც არც ერთი ხალხი არ უნდა იყოს მოკლებული. მონტებელოს მათ წარგზავნეს დეპუტატები გუიჩიარდი, პლანტა და პარიბელი, ღირსეული ადამიანები, ხელშეკრულების მუხლების აღდგენის მოთხოვნით, რომლებიც მთლიანად დაარღვიეს გრაუბიუნდელებმა. ნაპოლეონს არ უნდოდა ჩარეულიყო იმ საკითხებში, რომლებიც შვეიცარიას ეხებოდა და ამ თვალსაზრისით შესაძლო იყო მათ საყოველთაო მნიშვნელობა მისცემოდა. მაგრამ, როცა მას წარუდგინეს ამ საქმეზე მილანის არქივებიდან ამოღებული საბუთები, მან დაინახა რომ მილანის მთავრობას მინიჭებული აქვს თავმდების უფლება; ვინაიდან თავიანთი მხრივ გრაუბიუნდენის თემებიც სთხოვდნენ მფარველობას, რათა მოეწოდებინა წესრიგისაკენ ვალტელინელები, მათი ქვეშევრდომები, და აეძულებინა ისინი კვლავ დამორჩილებოდნენ,—მან იკისრა შუამავლობა და მიიწვია ორივე მხარე, რომლებიც ივლისში უნდა წარმდგარიყვნენ მის წინაშე სამართლის საძიებლად და თავიანთ უფლებათა დასაცავად. ამ ხნის განმავლობაში გრაუბიუნდენის თემები ჰელვეციის კავშირსაც ემუდარებოდნენ ამ საქმეში ჩარევას. საფრანგეთის დესპანი ბერნში ბართელემი ენერგიულად უჭერდა მხარს მათ შუამდგომლობას. ბოლოს, მის შემდეგ, რაც ორთავე მხარემ მრავალ ხერხს მიმართა და

ყველაფერი იღონისძია, ნაპოლეონმა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ორთავე მხარეს ურჩია სიამტკბილობით მორიგებულიყვნენ, და შერიგების საშუალებად მან დაუსახა გრაუბიუნდენის მეოთხე თემის შექმნა ვალტელინისაგან. ამასთან, ეს თემი ყველაფერში თანასწორი უნდა ყოფილიყო სამ პირვანდელ თემთან. ასეთი წინადადებით ღრმად შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი გრაუბიუნდენის გლეხებმა: როგორ შეიძლებოდა რომ გლეხი, რომელიც სვამდა ადის წყალს, თანასწორი ყოფილიყო იმ გლეხისა, რომელიც რაინის წყალს სვამდა? ისინი აღშფოთებული იყვნენ ამ წინადადებით კიდევ იმიტომ რომ იტალიურად მოლაპარაკე კათოლიკე გლეხებს, მდიდარნ და განათლებულნ, ადრიდნენ მათ, გერმანულად მოლაპარაკე პროტესტანტ გლეხებს, ღატაკნ და უმეცარნ. გრაუბიუნდელთა წინამძღოლები არ იზიარებდნენ ამ ცრუ აზრებს, მაგრამ ისინი თავიანთ ინტერესებს იცავდნენ: ვალტელინა მათთვის გადასახადთა აკრეფის და სხვა დიდ შემოსავალთა მიღების წყაროს წარმოადგენდა, რომელთა ხელიდან გაშვებას ისინი არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებოდნენ. ისინი ინტრიგების ქსელს აბამდნენ პარიზში, ვენაში, ბერნში. მათ აძლევდნენ დაპირებებს, ურჩევდნენ—დრო მოეგოთ. მათ უსაყვედურებდნენ რომ შეაჯერეს ქვეყანა და მიიღეს შუამავლობა. მათ უარჰყვეს შერიგების გზა და არ გაგზავნეს დეპუტატები დანიშნული დროისათვის, რათა შუამავლის წინაშე ყოფილიყო განხილული სახელშეკრულებო ნუხლების შესრულების საკითხი და ვალტელინის დეპუტატებსაც მისცემოდათ პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

ნაპოლეონმა დაუსწრებლად გამოიტანა გრაუბიუნდენის თემების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. როგორც ორთავე მხარის მიერ არჩეულმა არბიტრმა, და აგრეთვე როგორც მილანის სუვერენის, ვალტელინის სახელშეკრულებო მუხლების თავმდების წარმომადგენელმა, მან VI წლის 19 კანდემიერს (1797 წლის 10 ოქტომბერს) გამოიტანა თავისი დადგენილება შემდეგი სიტყვებით:

„ვალტელინის, კიავენის და ბორმიოს ხალხები აღდგნენ გრაუბიუნდენის თემების კანონების წინააღმდეგ და გამოაცხადეს თავისითავი დამოუკიდებლად. გასულ პრერიალში გრაუბიუნდენის მთავრობამ, მის შემდგომ, როცა მან სცადა ყველა საშუალება თავის ქვეშევრდომთა დასამორჩილებლად, საფრანგეთის რესპუბლიკის შუამავლობას მიმართა გენერალ ბონაპარტთან, და გაგზავნა მასთან გაუდენციო პლანტა როგორც დეპუტატი.

ვინაიდან, ვალტელინის ხალხებიც თავიანთ მხრივ ითხოვდნენ შუამავლობას, მთავარსარდალმა ორთავე მხარის დეპუტაციას თავი მოუყარა მონტებელოში 4 მესიდორს (22 ივნისს) და საკმაოდ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით, მიიღო შუამავლობა, რასაც მას სთხოვდნენ. მან მისწერა გრაუბიუნდენს და ვალტელინას რომ საჩქაროდ გამოეგზავნათ მასთან დეპუტატები.

ვალტელინის, კიავენისა და ბორმიოს ხალხებმა გამოგზავნეს მოთხოვნილი დეპუტატები.

გავიდა რამდენიმე თვე და გრაუბიუნდენის მთავრობას ჯერ კიდევ არ გამოუგზავნია თავისი დეპუტატები, თუმცა რესპუბლიკის რეზიდენტი კორეში, მოქალაქე კომეირასი განმეორებით და დაჟინებით მოითხოვდა ამას.

მთავარსარდალი ხედავდა თუ როგორ მოიცვა ანარქიამ მთელი ვალტელინა და 6 ფრუქტიდორს (23 აგვისტოს) მან გასცა განკარგულება გაეგზავნათ გრაუბიუნდენის მთავრობისათვის დეპუტაციის გამოგზავნის უწყება 24 ფრუქტიდორისათვის (10 სექტემბრისათვის).

დადგა 19 ვანდემიერი (10 ოქტომბერი), მაგრამ გრაუბიუნდენის დეპუტატები არ მოვიდნენ.

ისინი არამც თუ არ მოვიდნენ, არამედ ყოველ ეჭვს გარეშეა რომ, წინაღმდეგ მათ მიერ მიღებულ საფრანგეთის რესპუბლიკის შუამავლობისა, გრაუბიუნდენის თემებმა წინასწარ გადასწყიტეს საკითხი და რომ დეპუტატების გაგზავნაზე უარის თქმა ინტრიგების შედეგს წარმოადგენს.

ამის გამო მთავარსარდალი საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით, იღებს რა მხედველობაში:

1) რომ ვალტელინის, კიავენისა და ბორმიოს ხალხთა გულწრფელობამ, ლოიალურმა ყოფაქცევამ და ნდობამ საფრანგეთის რესპუბლიკის მიმართ უნდა გამოიწვიოს ამ რესპუბლიკის სამაგიერო გრძნობები და მზადყოფნა მათდამი დასახმარებლად;

2) რომ საფრანგეთის რესპუბლიკამ გრაუბიუნდელთა თხოვნის გამო თავს იდვა მათ ხალხთა ბედის შუამავლობა—არბიტრობა.

3) რომ გრაუბიუნდელთა მიერ ხელშეკრულების იმ მუხლების დარღვევა, რომლებიც მათ უნდა დაეცვათ ვალტელინის, კიავენის და ბორმიოს ხალხთა მიმართ, ეჭვს გარეშეა, და რომ უკანასკნელთ, მაშასადამე, დაიბრუნეს ბუნებრივი უფლებები, რაც ბუნებამ ყველა ხალხს უბოძა;

4) რომ საზოგადოებრივი და ბუნებრივი უფლების დაურღვევლად არ შეიძლება ერთი ხალხი მეორის ქვეშევრდომი იყოს;

5) რომ ვალტელინის, კიავენისა და ბორმიოს მცხოვრებთ აშკარად მოსურვეს თავისი შეერთება ციზალპინის რესპუბლიკასთან;

6) რომ რელიგიის, ენის, ადგილობრივ თავისებურებათა, მიმოსვლის და სავაჭრო ინტერესთა ერთობა აგრეთვე შესაძლებლად ხდის ვალტელინის, კიავენის და ბორმიოს ასეთ შეერთებას ციზალპინის რესპუბლიკასთან, მით უფრო რომ ოდესღაც ეს სამი ქვეყანა ამოგლეჯილ იქნა მისი შემადგენლობიდან;

7) რომ გრაუბიუნდენის კავშირის სამი კანტონის შემადგენელი თემების დეკრეტის შემდგომ, შუამავლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალტელინის მეოთხე კანტონად ჩამოყალიბებაზე უარყოფილია, რის გამო ვალტელინას არ მოეძევება ტირანიისაგან თავის დაღწევის სხვა საშუალება, თუ არ შეერთება ციზალპინის რესპუბლიკასთან,—

იმ უფლების ძალით, რომელიც გრაუბიუნდენისა და ვალტელინელთა თხოვნით დაკისრებული აქვს საფრანგეთის რესპუბლიკას, ადგენს: ვალტელინის, კიავენისა და ბორმიოს ხალხებს უფლება აქვსთ შეუერთდნენ ციზალპინის რესპუბლიკას“.

საკითხი გადაჭრილი აღმოჩნდა. სიხარულმა და აღტაცებამ მოიცვა ვალტელინის საბრალო მცხოვრებნი. გაბოროტებამ, შეურაცხყოფილმა თავმოყვარეობამ ააცახცახა გრაუბიუნდენი. ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისთანავე ვალტელინამ და ციზალპინის რესპუბლიკამ მოლა-

პარაკება გამართეს და გაერთიანდნენ. გრაუბიუნდელები მიხვდნენ თავის შეცთომას. მათ მისწერეს ნაპოლეონს რომ ვგზავნით დეპუტატებს თქვენს წინაშე ჩვენი უფლებების დასაცავადო,—და ამნაირად თავი მოიკატუნეს, თითქოს არ იცოდნენ—რა მოხდა. მან უპასუხა რომ დაგვიანებულიაო, რომ მე უკვე 10 ოქტომბერს გამოვიტანე გადაწყვეტილება, ვალტელინა უკვე შეუერთდა ციზალპინის რესპუბლიკას და ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიაო.

ასეთმა სამართლიანმა მოპყრობამ პატარა ხალხის მიმართ განაცვიფრა და გული აუჩვილა ყველა კეთილშობილ ადამიანს. ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ნაპოლეონის გადაწყვეტილებას, მთელს ევროპაში გახმაურდნენ და სასიკეთილო ლახვარი ჩასცეს სხვა ხალხებზე გაბატონებული შვეიცარიის კანტონების მიერ მიჩემებულ უზენაეს უფლებებს. თითქოს, ბერნის არისტოკრატია კარგად უნდა გარკვეულიყო ამაში და ეგრძნო რომ დადგა დრო როცა მას ზოგი რამე უნდა დაეთმო თანამედროვე ვითარებისა, საფრანგეთის გავლენისა და სამართლიანობისათვის. მაგრამ უმეცრება და ქედმაღლობა არაოდეს ყურს არ უგდებს გონების, ბუნებისა და რელიგიის კარნახს. ოლიგარქია უთმობს მხოლოდ ძალას. და ამიტომ ზემო ვალისის მცხოვრებლებმა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დაუწყეს ყურება ქვემო ვალისის მცხოვრებთ როგორც თავის თანასწორთ. და ვოს ოლქისა და არგოვის გლეხებმა აიძულეს ბერნის ოლიგარქია—ეცნო მათი უფლებები და მათი დამოუკიდებლობა.

XVII თავი

18 ფრუქტიდორის დღე

I. აღმასრულებელ დირექტორიაზე.—II. საზოგადოებრივი აზრი.—III. სასულიერო საქმეები —IV. პარტიები, რომლებადაც იყო დაყოფილი რესპუბლიკა.—V. რესპულიკის საწინააღმდეგო შეთქმულება, რომლის სათავეში აღმოჩნდება პიშეგრიუ.—VI. ნაპოლეონი ჩაშლის ამ შეთქმულებას.—VII. 18 ფრუქტიდორი.—VIII. 19 ფრუქტიდორის კანონი.

I

საზოგადოებრივმა აზრმა თავდაპირველად მოიწონა ის უპირატესობანი, რომლებიც, თითქოს, დაკავშირებული იყვნენ 1795 წლის კონსტიტუციით დაწესებულ მთავრობის სტრუქტურასთან; ხუთი მაღალი თანამდებობის პირისაგან შემდგარ საბჭოს, რომელსაც ჰყავდა პასუხისმგებელი მინისტრები მის მიერ გაცემულ განკარგულებათა შესასრულებლად, საკმაო თავისუფალი დრო ექნებოდა საქმეების საფუძვლიანად მოსაფიქრებლად. თაობიდან თაობას განუწყვეტლივ გადაეცემოდა უცვლელი პრინციპები. ამიერიდან ზედმეტი იქნებოდა დროებითი რეგენტობისა და გავლენიანი უმცირესობის შიში უმეფობის ხანაში. მაგრამ ეს ილუზიები მალე გაიფანტა, უცებ თავი იჩინა ყოველივე იმ უხერხულობამ, რაც გარდუვალი შედეგია ხუთი ინტერესის, ხუთი ვნების, ხუთი სხვადასხვა ხასიათის ერთმანეთში აღრევისა. საგრძნობი შეიქნა მთელი ის განსხვავება, რომელიც არსებობს ბუნების მიერ შექმნილ ინდივიდუუმსა და

უსულგულო ხელოვნურ არსებას შორის, რომელიც არ იწვევს არც ნდობას, არც სიყვარულს, არც ილუზიებს.

ხუთმა დირექტორმა ერთმანეთს შორის დაინაწილეს ლუქსემბურგის სასახლე და თავიანთი ოჯახებით ჩასახლდნენ შიგ. შეიქმნა ერთმანეთის გვერდით ხუთი მცირე ბურჟუაზიული სასახლე, თითოეული თავის ქალთა, ბავშვთა და მსახურთა თავისებური უცნაურობით. უმაღლეს მმართველთა ღირსება შეიბღალა; ეს ერთნაირად ეჩოთირებოდა როგორც მე-93 წლის ადამიანებს, ისე საზოგადოების მაღალ კლასებს, კონსტიტუციის სული დარღვეულ იქნა. დირექტორი არც მინისტრი იყო, არც პრეფექტი, არც გენერალი, ის იყო მთელის მხოლოდ ერთი მეხუთედი. საჯაროდ ის უნდა გამოჩენილიყო მხოლოდ მაშინ, როცა დირექტორია მთელი თავისი შემადგენლობით შეიკრიბებოდა; მის ცოლს, ბავშვებს, მსახურთ არ უნდა სცოდნოდათ რომ იგი მთავრობის წევრია. დირექტორი უბრალო მოქალაქედ უნდა დარჩენილიყო. დირექტორია კი დიდის პატივით, ეტიკეტით და ბრწყინვალეებით უნდა ყოფილიყო გარემოსილი, როგორც ეს სჩვევია დიდი ერის უზენაეს ხელისუფლებას. ეს ბრწყინვალება სახელმწიფოს ძლიერების ანარეკლი უნდა ყოფილიყო და არა დირექტორის პირადი კარის. ასეთ შემთხვევაში დირექტორი, რომელიც თავის მოვალეობას მოიხდიდა, ვერავითარ ცვლილებას ვერ ნახავდა თავის საშინაო ვითარებაში, ვერავითარ გაჭირვებას ვერ განიცდიდა. სწორედ ამ მიზნით გადასდო კონსტიტუციამ თითოეული დირექტორის შესანახად სულ მხოლოდ 100.000 ფრანკი, ხარჯები კი დირექტორიის წარმომადგენლობაზე შეტანილ იქნა ბიუჯეტში ხუთი მილიონის ოდენობით, „სასახლის ხარჯების სათაურით". იმ ხანებში 100.000 ფრანკი ჯამაგირი საკმარისი იყო; მაგრამ იგი უნდა უზრუნველეყოთ დირექტორისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; ეს კი ვალდებულს გახდიდა დირექტორს მის რწმუნებულებათა ვადის გასვლის შემდგომ არავითარი თანამდებობა აღარ დაეკავებია და მით უზრუნველჰყოფდა მის დამოუკიდებლობას.

II

რესპუბლიკა დაყოფილი იყო პარტიებად. ერთი პარტია ნდობით უყურებდა 1795 წლის კონსტიტუციას; მეორე პარტიას სურდა მთავრობის სათავეში პრეზიდენტი; მესამე ნანობდა 1793 წლის კონსტიტუციას; ბოლოს, ემიგრანტები, პრივილეგირებული კლასების ნაშთები, კონტრრევოლუციაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი პარტია მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათაგან შედგებოდა,—ემიგრანტებს სული ხდებოდათ სიღატაკისაგან უცხოეთში. პირველი სამი პარტია საფრანგეთის მთელ მოსახლეობას შეიცავდა. ბევრს სურდა რომ დირექტორია ისეთ პირთაგან ყოფილიყო შედგენილი, რომელთაც 10 აგვისტოდან სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ხუთმავე დირექტორმა ხმა მისცა მეფის სიკვდილით დასჯას; ყველა ელოდა რომ ისინი დაურიგებდნენ თანამდებობებს თავიანთ კონვენტელ კოლეგებს, რომლებიც არ იყვნენ ხელახლა არჩეული საკანონმდებლო პალატებში; მაგრამ მოხდა სხვანაირად. თავდაპირველად კონვენტის წევრის წოდება ათვალწუნების

პირდაპირ მიზეზს წარმოადგენდა, მალე კი იგი გაძევების საბაბიც შეიქნა. უშიშროების დაცვის მოსაზრებით ისინი განდევნილ იქნენ პარიზიდან და იძულებული გახდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს შეჰფარებოდნენ. მე-93 წლის მოღვაწეებმა ჯერ განაცხადეს სურვილი — მიეხრობოდნენ მთავრობას, შემდგარს ისეთი ადამიანებისაგან რომელნიც თავის დროზე ერთთავად მგზნებარე იკობელები ყოფილან, მაგრამ ამ მთავრობის ტემპები მათ არ მოეწონათ; ისინი ვერ ხედავდნენ მოპყრობის უბრალოებას: ისინი შეაშფოთა გარეგნულმა მსგავსებამ სასახლის მორთულობასთან; ყველაფრისადმი დაუზოგავად და განურჩევლად მოპყრობას ჩვეულნი, ისინი ყოველივე ამას აბუჩად იგდებდნენ, ამან გააბრაზა დირექტორია და მან მკაცრად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. უკიდურესობამდე მიყვანილთ, მათ მოაწყვეს შეთქმულობა, რათა განთავისუფლებულიყვნენ „ხუთი ლუქსემბურგელი დიდებულის“ უღლისაგან. მათ მოაგონდათ მაშინ რომ რეიბელი იაკობელებს საპყრობილეში სვამდა, ბარასი მათ წინააღმდეგ გამოდიოდა 9 ტერმიდორს, რეველიერ-ლეპო იყო ერთ-ერთი სამოცდაცამეტთაგანი. მხოლოდ ერთადერთი კარნო დარჩა შეუბღალავი მათ თვალში.

პრეზიდენტიანი მთავრობის მოსურნე პარტია სრულიად გულწრფელად დირექტორიის მხარეზე იქნებოდა, ამ უკანასკნელს რომ მისდამი ნდობა გამოეჩინა; მაგრამ დირექტორია დასაწყისში მას ისე მოეპყრო, როგორც მტერს. ეს პარტია განზე გადგა და, თუ იგი რესპუბლიკის მტრად არ იქცა, ყოველ შემთხვევაში მმართველობის მეთოდების მტერი შეიქნა:

დირექტორია ყოველივე ძალღონით ცდილობდა შეეგროვებია მომხრეები პრივილეგიურ კლასებს შორის; მან ეს ვერ შესძლო. ეს კლასები უპატივცემოდ ეპყრობოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც არც გვარით, არც ტომით და არც პირადი ღირსებით არ გამოირჩეოდნენ.

ამრიგად, კვლავ წარმოიშვა ორი უკიდურესი პარტია: მე-93 წლის ადამიანები, იმიტომ რომ მათ ავიწროებდნენ; პრივილეგიური კლასები, იმიტომ რომ მათი გულის მოგებას ცდილობდნენ.

არმიები შეუერთდნენ მთავრობას, დამყარებულს იმ პრინციპებზე, რომლებისთვისაც ისინი უკვე ხუთი წლის განმავლობაში იბრძოდნენ, მთავრობას, რომელმაც უზრუნველჰყო მათთვის უაღრესი სიმტკიცე და ყურადღება.

მალე დირექტორიამ შეითვისა დამღუპველი პოლიტიკა, რომელიც ცნობილია „წონასწორობის“ სახელწოდებით; ეს პოლიტიკა ემყარებოდა ორთავე პარტიის თანაბარი ჩახშობის პრინციპს; ამგვარად, როდესაც ერთი მათგანი რაიმე საქმეში სახელს გაიტეხდა, მას მთელი სიმკაცრით უსწორდებოდნენ, და იმავე დროს იმავე აქტით დაატყდებოდა თავს დირექტორია მოპირდაპირე პარტიასაც იმ შემთხვევაშიაც, როცა მას შეეძლო ხელი შეეწყო მისი ზრახვებისათვის. ასეთი სისტემის უსამართლობის, სიყალბისა და უზნეობის გრძნობამ უაღრესი აღშფოთება და ზიზღი მოჰგვარა ყველას, ხოლო პარტიებს შორის რაღაც დაახლოების მსგავსიც კი წარმოიშვა.

III

კანონებით გამოცხადებული იყო სინიდისის თავისუფლება. იგივე კანონები უზრუნველყოფდნენ ყველა კულტის მომსახურებას. მაგრამ რევოლუციური მთავრობის დროს ყველა სარწმუნოების მღვდლებს საპყრობილეში ათავსებდნენ, აძევებდნენ სამშობლოდან და ასახლებდნენ შორეულ ადგილებში. 9 ტერმიდორის შემდეგ ასეთი მდგომარეობა შერბილებულ იქნა. შემდგომ დირექტორი რეველიერ-ლეპო თეოფილ ანთროპების მეთაურად გადიქცა. მან ააგო მათთვის ტაძრები. კათოლიკე მღვდლების დევნა განახლდა, და სხვადასხვა საბაბით მათ ავიწროებდნენ რელიგიური წესების შესრულებაში. მოქალაქეთა უდიდესი რაოდენობა კვლავ შეშფოთებულ და შეურაცხყოფილ იქნა.

რესპუბლიკური კალენდარი წელიწადს 12 თვეზე ჰყოფდა, თითოეული თანაბრად 30 დღეს შეიცავდა და თითოეული თვე სამ დეკადად იყოფოდა. კვირა არ არსებობდა და ყოველი მეათე რიცხვი დასასვენებელ დღედ ითვლებოდა. დირექტორია კიდევ უფრო შორს წავიდა და გამასწორებელი სასჯელის მუქარით აკრძალა მუშაობა მეათე რიცხვს და დასვენება კვირაობით. ამ უაზრო დადგენილებათა შესრულებაზე თვალყურის დევნება მან პოლიციის კომისრებს, ჟანდარმებსა და თანამდებობის პირთ დააკისრა. ხალხი განიცდიდა ჩაგვრას; მას სჯიდნენ და ავიწროებდნენ ისეთი საქმეებისათვის, რომლებსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა საერთო წესრიგთან და საერთო ინტერესთან. საყოველთაო დრტვინვა ამაოდ უხმობდა ადამიანის უფლებებს, კონსტიტუციის მუხლებს, კანონებს, რომლებიც იძლეოდნენ მოქმედების თავისუფლების თავდებობას, და ყოველივე იმის გაკეთების უფლებას, რაც არ ავნებს არც სახელმწიფოს, არც სხვებს. ძნელია იმ სიძულვილის წარმოდგენა, რასაც ადმინისტრაცია ასეთი ყოფაქცევით იწვევდა და თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა სახელით ამნაირად ავიწროებდა მოქალაქეთ მათი ცხოვრების ყველა წვრილმანში.

IV

არჩევნებმა საკანონმდებლო კორპუსში საქმეებისაკენ მოუწოდა ისეთ ადამიანებს, რომელთა შეხედულებანი ეწინააღმდეგებოდა დირექტორიის შეხედულებებს,—ეს იყო ბუნებრივი შედეგი მისი მცთარი პოლიტიკისა და ცუდი ადმინისტრაციული საქმიანობისა. გენერალი პიშეგრიუ, იურის დეპუტატი ხუთასის საბჭოში, ერთხმად იქნა არჩეული ამ საბჭოს თავმჯდომარედ. იმ დროს ჯერ კიდევ არ იცოდნენ მისი კავშირი საზღვარგარეთთან. ბართელემი დანიშნულ იქნა დირექტორად ლეტურნერის მაგიერ. ეს ორი რჩეული პირი ძლიერ პოპულარული იყო. პიშეგრიუ იმ დროს რესპუბლიკის ყველაზე ცნობილი გენერალი იყო: მან დაიპყრო ჰოლანდი. ბართელემი სათავეში უდგა იმ მოლაპარაკებას, რომელიც პრუსიისა და ესპანეთის მეფეებთან ზავის დადებით დამთავრდა.

დირექტორია ორ პარტიად გაიყო: რეიბელი, ბარასი და რეველიერი უმრავლესობას შეადგენდნენ, კარნო და ბართელემი—უმცირესობას.

სამინისტრო შეცვლილ იქნა. აღმოჩნდა რომ ბენეზეხი, შინაგან საქმეთა მინისტრი, და კოშონ-ლაპარანი, პოლიციის მინისტრი, გარეული იყვნენ

დიუეერნ-დე-პრელის გამომეღავნებაში. პეტიე და ტრიუგე ეკუთვნოდნენ ზომიერ პარტიას. მათ ხელი შეუწყვეს მათ პარტიაში ემიგრანტთა დიდის რაოდენობით მიღებას, რომელთა იქ ყოფნაც ეშვს ჰბადებდა. მინისტრ პეტიეს დაშსახურებამ სამხედრო უწყების სამეურნეო-ადმინისტრაციულ ნაწილში, რევოლუციის დროიდან მის მიერ მოპოებულმა სახელწოდებამ პირველი მინისტრისამ, რომელმაც წარადგინა გარკვეული და ზუსტი ანგარიში თავისი სამინისტროს გასავალზე, ვერ იხსნა იგი წინამძღოლთა ათვალწუნებისგან. ხოლო მაშინაც, როგორც მუდამ თავისი ხანგრძლივი ადმინისტრაციული კარიერის დროს იგი თავისი პატიოსნებით გამოირჩეოდა. იგი უსახსროდ გარდაიცვალა და თავის ბავშვებს მემკვიდრეობად დაუტოვა მხოლოდ პატივისცემა, რაც მან სამართლიანად დაიმსახურა. რამელი და მერლენი იყვნენ მხოლოდ ის მინისტრები, რომლებიც თავიანთ ადგილებზე დარჩნენ.

საკანონმდებლო პალატებში სამი პარტია შეიქმნა: ოფიციალური რესპუბლიკელები, რომლებიც ყველაფერში დირექტორიის უმრავლესობას მიჰყვებოდნენ, გარდა მათ მიერ განსაკუთრებით შეყვარებული ზოგიერთი საკითხისა; პრინცებისა და უცხოეთის მომხრენი: პიშეგრიუ, ვილო, ემბერ-კოლომე, როვერი და ორი-სამი სხვა ფარულად ამ პარტიას ეკუთვნოდნენ; კლიშის კლუბის წევრები, რომელთაც თავის რიგებში ჰყავდათ ღირსეული, სიკეთის მსურველი ადამიანები, მაგრამ ისეთნი, რომელთაც არ იცოდნენ თუ როგორ უნდა ჩაედინათ ეს სიკეთე, უკმაყოფილონი, დირექტორებისა, კონვენტის წევრებისა და რევოლუციურ მთავრობისადმი მტრულად განწყობილნი. კლიშის კლუბის წევრებს თავი მოჰქონდათ გონიერ, ზომიერ და კეთილ ფრანგებად. მაგრამ იყვნენ კი ისინი რესპუბლიკელები? არა. როიალისტები ხომ არ იყვნენ? სურდათ თუ არა მათ 1791 წლის კონტიტუცია? არა. 1793 წლის კონსტიტუცია? კიდეც უფრო ნაკლებად. 1795 წლის კონსტიტუცია? ჰოც და არაც. მაშ რა სწადდათ? თვითონ მათ ეს არ იცოდნენ. ზოგი რამე მათ სურდათ თუ-თი, ზოგიც მაგრამ-ით. მოქმედებისაკენ მათ აქეზებდა ტაშისცემა სალონებში, შექება ტრიბუნაზე წარმატებითი გამოსვლებისათვის. მათ მონაწილეობა მიიღეს კენჭის ყრაში როიალისტთა ფარულ კომიტეტთან ერთად ისე რომ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ. ისინი განცვიფრდნენ, როდესაც თავისი დამარცხების შემდეგ დარწმუნდნენ რომ პიშეგრიუ, ემბერ-კოლომე, ვილო, დელაე და სხვანი შეთქმულები იყვნენ, რომ მათ მიერ წარმოთქმული მგრძნობიარე სიტყვები წინასწარ გამიზნული იყო შეთქმულთაგან, რომლებიც ხელს უწყობდნენ პიტისა და პრინცების პოლიტიკას. ამისი მათ ეშვიც არ ჰქონიათ და ვერც კი გაბედავდნენ შეთქმულებას. კარნომ და კლიშის კლუბის მრავალმა წევრმა შემდეგ დაამტკიცეს თავისი ყოფაქცევით რომ მათ სრულიადაც არ ჰქონიათ რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოსვლის სურვილი. კარნო დაბრმავებული იყო თავისი სიძულვილით ტერმიდორელებისადმი. მისი გული გაიბზარა 9 ტერმიდორის დღიდან, როცა საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს ბრალი დასდეს ეშაფოტზე დაღვრილი მთელი სისხლისათვის. მას უყვარდა საზოგადოებრივი ყურადღება და იგი ხელში ჰყავდათ მათ, ვინც გაბატონებული იყო ტრიბუნაზე და გაზეთებში.

ჟურნალისტთა დიდი უმრავლესობა დირექტორიის, კონვენტისა და რევოლუციის წინააღმდეგი იყო. ზოგიერთი მათგანი, ამნაირად, ცდილობდა დაევიწყებინებინა საზოგადოებისთვის რევოლუციური მთავრობის დროს თავისმიერ ჩადენილი დანაშაულებანი, იმ მთავრობის დროს, რომლის აგენტებიც ისინი იყვნენ; ზოგიერთ მათგანს ლონდონის ხაზინა არჩენდა. დირექტორიამ ვერ შესძლო დაეპირისპირებინა გაზეთებისათვის გაზეთები,პრესისთვის—პრესა, კალმისთვის—კალამი, ან იმიტომ რომ იგი ვერ ითვალისწინებდა მთელ მათ მნიშვნელობას ან და იმიტომ რომ არ სურდა შეეწირნა ამისთვის საჭირო ფული. არ უნდოდათ წაებაძნათ ინგლისის მთავრობის მაგალითისთვის, რომელიც არამცთუ ისტუმრებს მთელ ხარჯებს და უხვად ავრცელებს დილის, საღამოის, ყოველკვირეულ, ყოველთვიურ და ყოველწლიურ გაზეთებსა და ჟურნალებს, არამედ აწვდის კიდევაც მათ ინფორმაციებს და ამონაწერებს მთავრობაში მიღებულ ცნობებიდან, რომელთა გაცნობაც სასარგებლოა საზოგადოების ცოდნისთვის. სენტ-ჯემის კაბინეტი თვალს უხვევს უცხოელებს, როცა ის აღშფოთებით უარყოფს ჟურნალისტებს ანდა ზიზღით უცქერის მათ. ეს აღშფოთება მხოლოდ თვალთმაქცობაა: ნამდვილად კი ის მათ სასყიდელს აძლევს, ხელმძღვანელობს მათ, და მათთვის ღიაა მისი არქივები.

ხუთასის საბჭოს ტრიბუნა, უხუცესთა საბჭოს ტრიბუნა, თითქმის ყველა ქუჩური ფურცელი გამოვიდა მთავრობისა და რევოლუციის წინააღმდეგ, ემიგრაციაზე კანონების წინააღმდეგ, ეროვნულ და საეკლესიო ქონების გაყიდვის წინააღმდეგ, თანამდებობის პირთა მიერ ხაზინის გაქურდვის წინააღმდეგ და უზომო გადასახადთა წინააღმდეგ. ეროვნული ქონების გაყიდვა შესწყვიტეს. მისი მყიდველები საგონებელს მიეცნენ. ემიგრანტებმა იწყეს დაბრუნება, და სამღვდელოებამ თავი წამოჰყო. გენერალი პიშეგრიუ ამ კონტრრევოლუციური გადატრიალების გეგმის სულისჩამდგმელი იყო. ამ ქარტეხილის დროს დირექტორიას თავი გაუბედავად ეჭირა.

V

ფრანშ-კონტეს მკვიდრი პიშეგრიუ თვრამეტი წლისა შევიდა ბრიენის სამხედრო სკოლაში ზედამხედველად. მას განზრახვა ჰქონდა—შესულიყო სასულიერო სკოლაში ვიტრში და იქ დაეყო თავისი მორჩილობის ვადა, მაგრამ ეს მას არ ურჩიეს, და 1789 წელს ის ჩაირიცხა მეტცის საარტილერიო ლეგიონში. ის იქ სერჟანტი იყო, როცა ბეზანსონის იაკობელთა კლუბმა იგი მოხალისეთა ათასეულის მეთაურად აირჩია. 1793 წელს სახალხო წარმომადგენელმა სენ-ჟიუსტმა იგი მთავარსარდლად დანიშნა. იგი წარმატებით ხელმძღვანელობდა 1794 წლის ლაშქრობას და ჰოლანდი დაიპყრო. 1795 წელს ის რაინის არმიას სარდლობდა. ამ დროიდან იწყება მისი ღალატი. მას დანაშაულებრივი ურთიერთობა ჰქონდა მტრის გენერლებთან და თავის ოპერაციებს მათ უთანხმებდა. სამბრ-მაასის და რაინის არმიებმა მიიღეს ბრძანება —ერთად გასულიყვნენ, მაინცთან თავმოყრის მიზნით. მან ჩაშალა ეს ოპერაცია იმით რომ თავის ძალთა უმრავლესობა ზემო რაინზე დასტოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მის მიერ მდინარის მარცხენა ნაპირზე, მაინცის წინ, დაკავებული ხანდაკოვანი ხაზი გადალახა კლერფაიტმა და ხელთ იგდო მთელი

მისი საველე არტილერია. პიშეგრიუმ ჯარის ნაშთებითურთ ვაისენბურგის ხაზებზე დაიხია. ამ ამბებმა და სხვა გარემოებებმა ხელი შეუწყო იმას რომ ეჭვი აღძროდათ მის საიმედობაზე. მთავრობა შეშფოთებული იყო. 1796 წლის დამდეგს ის გაიწვიეს არმიიდან და მას შესთავაზეს დესპანის ადგილი შვეიცარიაში. პიშეგრიუმ უარი განაცხადა და წავიდა ფრანშ-კონტეს, საიდანაც იგი განაგრძობდა თავის ურთიერთობას მტერთან. მან, იურის საარჩევნო კრების მიერ ხუთასის საბჭოში დანიშნულმა, განსაზრა რომ ემიგრანტთა პარტიის გამარჯვების საათმა დაჭკრაო. პარტიის მიერ იგი წინასწარ დანიშნული იყო საფრანგეთის მონკის როლისათვის.

აპრილის განმავლობაში დიუვერნ-დე-პრელი და აბატი ბროტიე დააპატიმრეს, პასუხისგებაში მისცეს და მსჯავრი დასდეს. დიუვერნ-დე-პრელი გამოტყდა და ბევრი რამე მნიშვნელოვანი აღიარა: ფარდის ბოლო აიხადა. ამავე დროს პარიზში მიიღეს დ'ანტრეგის პორტფელი. ყველა ქაღალდი დანომრილი და კლარკისა და ბერთიეს ინიციალებით დანიშნული იყო. იქ აღმოჩნდა დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც თანდათან ნათელს ჰფენდნენ პიშეგრიუს ყოფაქცევას. ფოშ-ბორელი, წიგნის გამყიდველი ნევშატელში, ამ შეთქმულობის მთავარი აგენტი იყო.

გრაფ დ'ანტრეგთან ხანგრძლივ საუბრებში ნაპოლეონი ჩასწვდა იმ ინტრიგების საიდუმლოებას, რომლებიც ხელს უწყობდნენ და აღვივებდნენ შფოთს საფრანგეთში, ასაზრდოებდნენ უცხო სახელმწიფოთა იმედებს და ფუშავდნენ ყოველსავე მოლაპარაკებას ავსტრიასთან.

VI

ნიშანი მიცემული იყო: ყველა გაზეთი ავსებული იყო კოიტიკით, ცილისწამებით, ჩივილით იტალიის მთავარსარდალზე. ისინი არაფრად აგდებდნენ მის გამარჯვებებს, ჩირქს სცხებდნენ მის ხასიათს, სახელს უტეხდნენ მის მმართველობას, ეჭვი შეჰქონდათ მის ერთგულობაში რესპუბლიკისადმი, ბრალს სდებდნენ პატივმოყვარეობაში. ეს ცილისწამება გაზეთებიდან ტრიბუნაზე გადავიდა. ტრიბუნიდან მას ბრალს სდებდნენ იმ ომისათვის, რომელიც მან გამოუცხადა ვენეციას, მის მოპყრობისათვის გენუის მიმართ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მან გამოიტანა ვალტელინის სასარგებლოდ გრაუბიუნდენის თემების წინააღმდეგ. იქამდეც კი მივიდნენ რომ უარჰყვეს ფრანგების ხოცვა-ჟლეტა ვენეციის სამფლობელოებსა და ვერონაში, აგრეთვე ნეიტრალიტეტის დარღვევა საგზავნი ხომალდის—„ი ტ ა ლ ი ი ს გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი ს“ მიმართ, რომელსაც საადმირალო გალერიდან და ლიდოს ციხის ბატარეიდან სროლა აუტეხეს.

მალე პარიზის გაზეთები სალაპარაკო საგნად გახდა ბანაკებში. ჯარისკაცები ამბობდნენ: „მათ თავი მოაქვთ ჩვენს წარმომადგენლებად, ჩვენს მტრებს კი ქებას ასხამენო! ვენეციელებმა ფრანგების სისხლი დაღვარეს, და, იმის ნაცვლად რომ ამისათვის შური იძიონ, ჩვენვე გვამტყუნებენ. აოა იმათ, ვინც ის დაღვარა, არამედ მათ, ვინც ამისთვის შური იძია! მაშასადამე, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმას რომ ჩვენ აქ ასი ათასი კაცი ვართ და ამდე-

ნიკე მოწმე ამ ამბების? რესპუბლიკის ამ მტრებს ვერ ძალუძთ ჩვენი მთავარსარდლის ვერც დამარცხება, ვერც მოსყიდვა. მათ სურთ ბოლო მოუღონ მას პოლიტიკურად, მაგრამ ამას ისინი ვერ მიაღწევენ: მას რომ სწვდნენ, პირველ ყოვლისა ჩვენს გვამებს უნდა გადააბიჯონო!"

იტალიის მხატვრებმა გამოუშვეს გრავიურები, რომლებშიც კლიშის დეპუტატები გამოსახული იყვნენ როგორც სლავონებთან ერთად მოქმედნი. ჯარისკაცები ბრაზმორევით კითხულობდნენ პარიზის გაზეთებს.

14 ივლისის დღესასწაულზე, მთავარსარდალმა, სანამ დათვალიერებას დაიწყებდა, გამოუცხადა ჯარს ბრძანებაში:

"ჯარისკაცებო, დღეს 14 ივლისის წლისთავია! თქვენ გახსოვთ სახელები ჩვენი თანამებრძოლებისა, რომლებიც ბრძოლის ველზე დაიხოცნენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. ისინი მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ თქვენთვის. თქვენ ყველამ იკისრეთ რესპუბლიკის დაცვა; თქვენ ყველამ იკისრეთ ოცდაათი მილიონი ფრანგის ბედნიერების დაცვა; თქვენ ყველამ ბოლომდე უნდა დაიცვათ ფრანგის დიადი სახელწოდება, რომელმაც ახალი გასხივოსნება ჰპოვა თქვენთა გამარჯვებათა მეოხებით.

ჯარისკაცებო, მე ვიცი რომ თქვენ ღრმად დაგამწუხრათ უბედურებამ, რომელიც სამშობლოს ემუქრება! მაგრამ სამშობლოს შეუძლია აიცილოს საშიშროება. მას ამჟამადაც ისევ ის ადამიანები ჰყავს, რომლებმაც დაამარცხეს ევროპის კოალიცია. საფრანგეთისაგან ჩვენ გვყოფს მთები. მათ მწვერვალებზე თქვენ არწივის სისწრაფით გადაფრინდებით, თუ კი ეს საჭირო იქნება კონსტიტუციის მხარდასაჭერად და თავისუფლების დაცვისათვის, მთავრობისა და რესპუბლიკელების ხნისათვის.

ჯარისკაცებო, მთავრობა ფხიზლად სდარაჯობს კანონთა საუნჯეს, რომელიც მას აბარია! როიალისტები, როგორც კი გამოჩნდებიან, მყისვე განადგურებული იქნებიან. ნუ შიშობთ, არამედ შევფიცოთ ჩვენს რიგებში თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ცხედრებს, დავიფიცოთ ჩვენი საბრძოლო დროშების წინაშე რომ ვიბრძოლებთ რესპუბლიკისა და III წლის კონსტიტუციის მტრების წინააღმდეგ!"

ეს იყო ნაბერწკალი, რომელმაც ხანძარი წარმოშვა. ფითოეულმა ცხენოსანმა და ქვეითმა დივიზიამ შეადგინა თავ-თავისი მიმართვა მთავრობისადმი. ოფიცრებმა, უნტერ-ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა კენჭი უყარეს მათ და ხელი მოაწერეს. ეს მიმართვები ცხადყოფდა მათ სულიერ მღელვარებას. გენერალმა ბერთიემ წარუგზავნა ისინი დირექტორიას და საკანონმდებლო პალატებს. ხალხი თანდათანობით უერთდებოდა მათ.

სამბრ-მაასისა და რაინის არმიებმა გაიზიარეს იგივე გრძნობები. საზოგადოებრივ აზრში დაუყოვნებლივ მოხდა სრული გარდატეხა: დირექტორიის უმრავლესობა დაღუპულად ჩანდა, რესპუბლიკა საფრთხეში აღმოჩნდა.

ჰოშმა ირლანდიში ექსპედიციის საბაბით სამბრ-მაასის ერთი დივიზია პარიზისაკენ დასძრა. ხუთასის საბჭო აღაშფოთა იმან რომ ჯარები კონსტიტუციურ წესრიგს არღვევდნენ. ჰოშმა დასტოვა დედაქალაქი და მხოლოდ თავის მთავარ ბანაკში ჰპოვა თავშესაფარი.

ასეთ კრიზისულ მდგომარეობაში ერთი ძლიერი პარტია აგულიანებდა ნაპოლეონს—დაემხო დირექტორია და ხელთ ეგდო მართვაგამგეობის სადავე. იტალიის დაპყრობით გამოწვეული ენთუზიაზმი საფრანგეთში და ჯარის ერთგულება თითქოს საკმაო იყო იმისათვის რომ ყველა დაბრკოლება გადალახული ყოფილიყო. პატივმოყვარეობა რომ ყოფილიყო მისი ცხოვრების ხელმძღვანელი, წუთითაც კი არ შეჩერდებოდა. რაც მან 18 ბრუმერს გააკეთა, მას იგი 18 ფრუქტიდორსაც გააკეთებდა; მაგრამ ახლა, როგორც ყოველთვის, საფრანგეთის დამოუკიდებლობა, ძლიერება და ბედნიერება—აი რა იყო მისი პირველი საფიქრებელი. არკოლისა და რივოლის გმირი ფიქრობდა რომ მას არა აქვს უფლება ამჟამად განახორციელოს ეს დიადი საქმე, როგორც იგი არ სთვლიდა თავს ამისათვის უფლებამოსილად ბოლოს, პარიზში, თავის დამარცხებათა შემდგომ, იმ მომენტში, როცა იგი მიატოვეს საკანონმდებლო პალატებმა. 1797 წელს, ისე როგორც 1815 წელს, იგივე ადამიანები, რომელთაც დაამხვეს ლუი XVI ტახტი, ფლობდნენ საზოგადოებრივ აზრს და თავისთავი მიაჩნდათ რევოლუციის ხსნისათვის განკუთვნილად.

ნაპოლეონმა გადასწყვიტა—მხარი დაეჭირა დირექტორიისათვის და ამ მიზნით პარიზს გაგზავნა გენერალი ოჟერო. შეთქმულებს რომ გაემარჯვნათ, მისი მოლოდინის წინააღმდეგ,—ყველაფერი მზად იყო მის შესასვლელად ლიონში 15.000 კაცით 5 დღის შემდეგ მათი გამარჯვების ცნობის მიღებიდან. იქიდან, პარიზზე გალაშქრებით და ყველა რესპუბლიკელის, რევოლუციის ყველა დამცველის თავმოყრით, იგი, როგორც იულიოს კეისარი, გადალახავდა რუბიკონს, სახალხო პარტიის სათავეში მდგომი.

VII

პარიზს მისვლის შემდგომ ოჟერო დირექტორიის მიერ დაინიშნა მე-17 სამხედრო ოლქის სარდლად. 18 ფრუქტიდორს განთიადზე პოლიციის ოფიცრები გაემგზავრნენ დირექტორებთან—ბართელემისთან და კარნოსთან. პირველი მათ შეიპყრეს, მაგრამ მეორე, რომელიც გაფრთხილებული იყო, ჟენევას გადიმალა. იმავე დროს დირექტორიამ დააპატიმრა პიშეგრიუ, ვილო, ხუთასის საბჭოს და უხუცესთა საბჭოს 50 დეპუტატი და 150 სხვა პირი, უმრავლესობა ჟურნალისტები. იმავე დღეს მან წარგზავნა საკანონმდებლო პალატებში ეპისტოლე, რომლითაც აუწყებდა მათ რესპუბლიკის წინააღმდეგ მომხდარ შეთქმულებას, და ამასთან დაურთო დ'ანტრეგის პორტფელში აღმოჩენილი ქაღალდები, და დიუვერნ-დე-პრელის ჩვენებები. 19 ფრუქტიდორის კანონით ორ დირექტორს, 50 დეპუტატს და 148 სხვა პირს მიესაჯათ გაძევება. არჩევნები მრავალ დეპარტამენტში კასირებულ იქნა, მთელი რიგი კანონები გააუქმეს და საზოგადოებრივი წესრიგის ზოგიერთი ღონისძიება აამოქმედეს; კარნოსა და ბართელემის არჩევა დირექტორიაში გააუქმეს; ისინი შესცვალეს მერლენითა და ფრანსუა-დე-ნევშატოთი. რესპუბლიკის მტრების გეგმები, ამნაირად, ჩაშლილი აღმოჩნდა.

მოსახლეობის განცვიფრება მისი უნდობლობის თანაბარი იყო. ფიქრობდნენ, თითქოს დიუვერნის ჩვენებები და დ'ანტრეგის ქაღალდები ყალბიაო, მაგ-

რამ ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლდა, როცა გაეცვნენ გენერალ მოროს შემდეგ მოწოდებას თავისი არმიისადმი. მოწოდებაზე აღნიშნული იყო: მთავარი ბანაკი, სტრასბურგი, 23 ფრუქტიდორს (1797 წლის 9 სექტემბერს):

„ჯარისკაცებო, მე ეს-არის მივიღე აღმასრულებელი დირექტორიის მოწოდება ამ თვის 18-ით დათარიღებული. იგი აუწყებს საფრანგეთს რომ პიშეგრიუ არ აღმოჩნდა ღირსი იმ ნდობისა, რომლითაც იგი აგრე ხანგრძლივად სარგებლობდა მთელს რესპუბლიკაში, მეტადრე—ჯარში. მე აგრეთვე მაცნობეს რომ მრავალ სამხედრო პირს, ამ სახალხო წარმომადგენლის პატრიოტიზმში დარწმუნებულს, მის მიერ გაწეულ დამსახურებათა საფუძველზე, ეჭვი შეჰქონდა ამ მტკიცებაში.

მე ვალდებული ვარ ჩემს თანამებრძოლებს, ჩემს თანამემამულეთ ვაცნობო მთელი სიმართლე.

დიახ, საესებით მართალია რომ პიშეგრიუმ მოატყვილა მთელი საფრანგეთის ნდობა. 17 ამ თვეს მე ვაცნობე დირექტორიის ერთ-ერთ წევრს რომ ხელთ ჩამივარდა მიმონაწერი კონდესთან და პრეტენდენტის სხვა აგენტებთან, და ეს მიმონაწერი სრულიად საეჭვოდ არ ხდის ამ ღალატს-მეთქი. დირექტორია დაუყოვნებლივ მიწვევს პარიზს და სურს მიიღოს უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ მიმონაწერზე.

ჯარისკაცებო, დამშვიდდით და ნუ შიშობთ საშინაო ამბების გამო. გჯეროდესთ რომ მთავრობა, რომელიც სდევნის როიალისტებს, იცავს რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომლის დაცვაც თქვენ შეჰფიცეთ“.

24 ფრუქტიდორს მოროომ მისწერა დირექტორიას:

„მხოლოდ 22-ს, ძლიერ გვიან საღამოთი, სტრასბურგიდან 10 ლიეს მანძილზე მე მივიღე თქვენი ბრძანება—გამოვემგზავრო პარიზს. მე რამდენიმე საათი შეჩერდა, რათა მოვემზადო წამოსასვლელად, უხრუნველვყო მშვიდობიანობა ჯარში და დავაპატიმრო რამდენიმე კაცი, რომელთაც სახელი აქვთ გატეხილი ერთ მნიშვნელოვან მიმონაწერში (correspondance), რომელსაც პირადად თქვენ გადმოგცემთ.

ამას თან ერთვის ჩემ მიერ გამოშვებული მოწოდება. რომლის მიზანი იყო დაშერწმუნებია მრავალი ადამიანი, რომელთაც ღალატისა არაფერი ეჯერათ. დავუმატებ რომ ძნელია ხმის დაჯერება, თუ როგორ შეეძლო ადამიანს, რომელსაც ასეთი დამსახურება აქვს თავისი ქვეყნის წინაშე და არავითარ სარგებლობას არ ნახულობს მისდამი ღალატით, ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაედინა.

მე პიშეგრიუს მეგობრად მთვლიდნენ, მაგრამ დიდი ხანია რაც მას პატივს აღარ ვცემ. თქვენ დაინახავთ რომ არავის ჩემზე მეტად სახელი არ გასტეხია, ვინაიდან შეთქმულთა ყველა გეგმა ემყარებოდა იმ ჯარის დამარცხებას, რომელსაც მე ვსარდლობ. მისმა სიმამაცემ იხსნა რესპუბლიკა“.

დასასრულ, წერილში ბართელემისადმი, 19 ფრუქტიდორის თარიღით, მოროო აცხადებდა:

„მოქალაქე დირექტორო, თქვენ, ალბათ, გახსოვსთ, რასაც მე ბაზელში ჩემი უკანასკნელი გამგზავრებისას გაუწყებდით,—რომ რაინზე გადასვლის

დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ გენერალ კლინგლინის ოთხთვალა, რომელშიც 200—300 წერილი ვიპოვეთ-მეთქი. ნაწილობრივ ეს წერილები შეიცავდა ვიტერსბახის მიმონაწერსაც, მაგრამ ის ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. მრავალი წერილი დაშიფრულია, მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ გასაღები. შევუდექით განშიფრვას, რაც ძლიერ დიდ დროს მოითხოვს. არავინ იქ დასახელებული არ არის თავისი ნამდვილი სახელით, ასე რომ მრავალი ფრანგის ვინაობა, რომელთაც მიმოწერა აქვთ კლინგლინთან, კონდესთან, ვიკჰამთან, ანგიენის ჰერცოგთან და სხვებთან, ძნელი გამოსარკვევია. მაგრამ ჩვენ ისეთი ცნობები გვაქვს რომ ზოგი უკვე გამორკვეულია.

მე გადავწყვიტე—არ გავახმაურო ეს წერილები, რადგან, რაკი ზავი წინასწარ გადაწყვეტილია, რესპუბლიკისათვის არავითარი საშიშროება აღარ არსებობს. დამამტკიცებელი საბუთები კი მხოლოდ რამდენიმე პირის წინააღმდეგ მოიპოვება, ვინაიდან გვარები დასახელებული არ არის. მაგრამ, რაკი დავინახე რომ იმ პარტიის სათავეში, რომელსაც ამჟამად ამდენი ზიანი მოაქვს ჩვენი ქვეყნისათვის, აღმოჩნდა კაცი, და ისეთ პოსტზე, რომელიც ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს, კაცი ძლიერ სახელგატეხილი ამ კორესპონდენციით და წინასწარ დანიშნული იმისათვის, რათა მნიშვნელოვანი როლი შეესრულებია პრეტენდენტის დაბრუნებისას, რაც მიმოწერის მიზანს შეადგენს, მე ვალდებულად ვცანი თავი—მეცნობებია თქვენთვის, რათა თქვენ არ მოტყუებულიყავით მისი თვალთმაქცური რესპუბლიკელობით და შეგძლებოდათ გაგეშუქებიათ მისი საქციელი და გაგეწიათ წინააღმდეგობა დამღუპველი ზიანისათვის, რაც მას შეუძლია მიაყენოს ჩვენს ქვეყანას, ვინაიდან მისი ვეგმების მიზანი შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო ომი იყოს.

ვაღიარებ, მოქალაქე დირექტორო, რომ ჩემთვის მეტისმეტად სამძიმოა გაცნობოთ ასეთი ღალატი, მით უფრო რომ ის, რომელზეც მე თქვენ გელაპარაკებით, ჩემი მეგობარი იყო და, ალბათ, ასეთად დარჩებოდა კიდევ რომ იგი ჩემ მიერ მხილებული არ ყოფილიყო: მე ვლაპარაკობ სახალხო წარმომადგენელ პიშეგრიუზე. იგი საკმაოდ წინდახედული იყო იმისათვის რომ თვითონ არაფერი დაეწერა. ის სხვებს ავალებდა წერას, თვითონ კი ირქმევდა მეტსახელებს, რომელთაგან ერთი იყო ბაპტისტი. მასთან მიჩენილი, ვიღაც ბრიგადის მეთაური, გვარად ბ ა დ უ ვ ი ლ ი, აღინიშნება მეტსახელით: კოკო. ის იყო ერთ-ერთი შიკრიკთაგანი, რომელთაც იყენებდა პიშეგრიუ ისევე, როგორც დანარჩენი მისი კორესპონდენტები. თქვენ მას საკმაოდ ხშირად უნდა შეხვედროდით ბაზელში. მათი გადამწყვეტი გამოსვლა უნდა მომხდარიყო IV წლის ლაშქრობის დასაწყისში. ისინი იმედებს ამყარებდნენ მარცხებზე ჩემი დაბრუნების შემდეგ არმიაში, რომელსაც, უკმაყოფილოს იმით რომ იგი დაამარცხეს, უკანვე უნდა მოეთხოვა თავისი ძველი მთავარსარდალი; მაშინ ის უკვე დაიწყებდა მოქმედებას იმ ინსტრუქციების მიხედვით, რომელთაც იგი ღებულობდა.

მან, როგორც ჩანს, 900 ლუიდორი მიიღო პარიზს გასამგზავრებლად მისი გადაყენების დროს. ამით ბუნებრივი ხდება მისი უარი შვეიცის დესპანობაზე.

ვფიქრობ რომ ლაჟოლეს ოჯახი მონაწილეობს ამ ინტრიგაში.

მხოლოდ დიდმა ნდობამ, რომელიც მე მამოქმედებს თქვენი პატრიოტიზმისადმი და თქვენი გონიერებისადმი, მაიძულა—მეცნობებინა ეს თქვენთვის. დამამტკიცებელი საბუთები ამ ცნობებში დღესავით ნათელია, მაგრამ მე ვეჭვობ, შეიძლება თუ არა გამოდგნენ ისინი სასამართლო საბუთებად.

გთხოვთ, მოქალაქე დირექტორო, კეთილინებოთ და მაცნობოთ თქვენი აზრი ასეთ საჩოთირო საქმეზე. თქვენ მე საკმაოდ მიცნობთ რომ დამიჯეროთ—თუ რად მიღირდა მე ეს საიდუმლო გაფრთხილება. მხოლოდ საშიშროებამ, რომელიც ემუქრება ჩემ ქვეყანას, მაიძულა — მომეწოდებინა თქვენთვის ეს ცნობა. ეს საიდუმლოება მხოლოდ ხუთმა პირმა იცის: გენერლებმა დეზემ და რენიემ, ერთერთმა ჩემმა ადიუტანტმა და ოფიცერმა, რომელიც განაგებს არმიის საიდუმლო ნაწილს, მუდმივად თვალყურს ადევნებს განშიფრული წერილებიდან შემოსულ ცნობებს".

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა კლინგლინის ოთხთვალაში 1797 წლის აპრილში ნახული ქაღალდები, რომელთა შესახებ იცოდნენ მხოლოდ მოროო, დეზემ და რენიემ. მალე ყოველის მხრიდან იწყო მოსვლა პიშეგრიუს ღალატის დამამტკიცებელმა საბუთებმა.

გადასახლებამისჯილნი ჩასხეს ხომალდებში როშფორში და გაგზავნეს გვიანას.

VIII

როდესაც ნაპოლეონმა გაიგო 19 ფრუქტიდორის კანონი, ძლიერ ნაწყენი დარჩა და ხმამაღლა გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება. მან უსაყვედურა სამ დირექტორს რომ მათ ვერ შესძლეს გაემარჯვნათ ისე რომ ზომიერება დაეცვათ. მან მოიწონა რომ კარნო, ბართელემი და 50 დეპუტატი გადაყენებულ იქნენ, რომ მათ ჩამოერთვათ მანდატები და დაენიშნათ მეთვალყურეობა რესპუბლიკის ერთ-ერთ შიდა ქალაქში, მაგრამ მას სურდა რომ მხოლოდ პიშეგრიუსა, ვილოსა, ემბერ-კოლომესა და ორი-სამი სხვისთვის წაეყენებიათ ბრალდება და რომ მათ ეშაფოტზე გამოესყიდათ თავისი დანაშაული დამტკიცებული ღალატისათვის. მისი სურვილი იყო რომ ყოველივე ამით დამთავრებულიყო. მისთვის სამძიმო იყო დაენახა რომ ისეთი დიდი ნიჭის ადამიანები, როგორც პორტალისი, ტრონსონ-დიუ-კუდრე, ფონტანი, პატრიოტები, როგორც ბუასი-დ'ანგლა, დიუმოლარი, მიურერი, მაღალი თანამდებობის პირნი, როგორც კარნო და ბართელემი, მისჯილნი საბრალდებო პროცედურის თვინიერ, გაუსამართლებლად,—როგორ არიან განწირული დასაღუპავად სინამარის ჭაობებში. განა შესაძლებელია გადასახლებით დასჯა ჟურნალისტებისა, რომლებიც მხოლოდ ზიზღისა და სისხლის სამართლის სასჯელის ღირსი არიან! ეს იყო დაბრუნება რომაელ ტრიუმვირთა პროსკრიპციებისაკენ. ეს იმას მოასწავებდა რომ ეჩვენებინათ თავი უფრო სასტიკად, ვიდრე ფუკიე ტენვილის ტრიბუნალი, ვინაიდან ის ბრალდებულთ მაინც უსმენდა და მხოლოდ სიკვდილს უსჯიდა მათ! ყველა არმია, მთელი ხალხი რესპუბლიკას უჭერდნენ მხარს. მხოლოდ საზოგადოებრივი უშიშროებისადმი მუქარის გამო შეიძლებოდა გამართლება ასეთი აღმაშფოთებელი უსამართლობისა, და უფლებებისა და კანონების ასეთი დარღვევისა.

შეთქმულებს უნდოდათ საკანონმდებლო კორპუსის დახმარებით მოესპოთ რესპუბლიკა, გაეტეხნათ დირექტორიისათვის სახელი ხალხის თვალში, შეედგინათ იგი ან სუსტი, ან მათი პარტიის ერთგული ადამიანებისაგან და, ბოლოს, მოეხდინათ კონტრრევოლუციური გადატრიალება, რომელიც მათ მიაჩნდათ როგორც ერთადერთი საშუალება იმ უბედურებათა წინააღმდეგ, რომელიც ღრღნიდა მათ სამშობლოს.

გამარჯვებით დამთვრალი სამი დირექტორი რესპუბლიკის ზეიმში მხოლოდ თავის ზეიმსა და გამარჯვებას ხედავდა. საკანონმდებლო პალატებმა კარნოსა და ბართელემის მაგიერ მერლენი და ფრანსუა-დე-ნევშატო დანიშნეს, ნაცვლად იმისა რომ მოეწვიათ საარჩევნო კრებები დირექტორიის შემადგენლობის შესავსებად.

ძნელი იყო იმის გაგება, თუ რისი იმედი ჰქონდათ მათ, როდესაც კონსტიტუციის წინააღმდეგ ასეთ ხელყოფას ახდენდნენ და ასე უგულებელჰყოფდნენ საზოგადოებრივ აზრს. სამი კაცი, რომელთაც არავითარი დამსახურება არ მიუძღვოდათ, ლამობდა გამხდარიყო საფრანგეთის მეფეებად, განეგო ქვეყანა თვითმპყრობელურად, კანონების გარეშე და საკანონმდებლო კორპუსის დაუხმარებლად! შემდეგი წლის 22 ფლორეალის აქტები, 1799 წლის 30 პრერიალის აქტები ასეთი უკანონო და პოლიტიკურად მცთარი ყოფაქცევის შედეგს წარმოადგენდნენ. ფრუქტიდორის დღეებში მთავრობა საკანონმდებლო დაწესებულებათა გაუქმებას შეეცადა; 22 ფლორეალს საკანონმდებლო დაწესებულებანი და მთავრობა ხალხის უზენაესობის მოსპობას შეეცადნენ მით რომ უარჰყვეს მიეღოთ საკანონმდებლო პალატების წევრთა სახით კანონიერად ცნობილ სახალხო საარჩევნო კრებებზე არჩეული დეპუტატები; დასასრულ, 30 პრერიალს საკანონმდებლო პალატები შეეცადნენ გაეუქმებიათ მთავრობის უფლებები, უპირატესობანი და თავისუფლება. ამ სამმა დღემ ლახვარი ჩასცა რესპუბლიკურ იდეებს და ბოლო მოუღო 1795 წლის კონსტიტუციას.

სენტ-ჯემის კაბინეტს შეეშინდა იმ ფულადი მსხვერპლის, რომლის გაღებაც მოუხდებოდა ინგლისს საფრანგეთის წინააღმდეგ ომის განსაგრძობად და 1796 წლის ოქტომბრიდან გადასწყვიტა დაედო ზავი. ლორდ მალმსბერიმ პარიზში გადაუცვალა თავისი რწმუნებანი მოლაპარაკების საწარმოებლად საგარეო საქმეთა მინისტრს შარლ დელაკრუას. მაგრამ რამდენიმე თათბირის შემდეგ მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნა, ვინაიდან ინგლისის რწმუნებულმა წარადგინა ულტიმატუმი იმპერატორისათვის ბელგიის დაბრუნების მოთხოვნით. ლეობენის წინასწარმამა ხელშეკრულებამ წააქეზა ინგლისი—განეახლებინა მოლაპარაკება. ავსტრიამ თვითონ განაცხადა უარი ბელგიაზე. ამ პროვინციის დაპატრონების საკითხს უკვე აღარ შეეძლო შეექმნა სიძნელეები. ლორდი მალმსბერი გაემგზავრა ლილს. ზავი მით უფრო საჭირო იყო პიტისთვის, რადგან მისი ფინანსიური გეგმები ის-იყო ჩაიფუშა. დირექტორიამ თავის რწმუნებულებად დანიშნა ლეტურნიორი, პლეევილ-ლე-პელეი და მარე, შემდეგში ბასანოს ჰერცოგი. ამ უკანასკნელის არჩევა მოეწონა ლონდონს. პიტმა იცოდა მისი მშვიდობისმოყვარეობა. ის პატივს სცემდა მის ღირსებებს, ვინაიდან 1792 წელს იგი აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას ლუი XVI-ის გადასარჩენად და ზავის შესანარჩუნებლად. თავის მხრივ

ლორდ მალმსბერის სურდა თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერა ახალი წარმატებით დაეგვირგვინებია. როგორც ერთი, ისე მეორე მხრის რწმუნებულები დიდის გულწრფელობით მოქმედებდნენ და ყველაფერი იმის იმედს იძლეოდა რომ ბოლო კეთილი იქნებოდა. ეს მოლაპარაკება, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობდა ჩრდილოეთ საფრანგეთსა და იტალიაში, არ შეიძლებოდა ცალკ-ცალკე წარმოებულიყო. კლარკს დავალებული ჰქონდა მიმოწერა მარესთან. ინგლისთან დადებული ზავით შეიძლებოდა მრავალი დაბრკოლების აცდენა კამპო-ფორმიოში, და მასზე ხელის მოწერა შესაძლო იყო ლილში საფრანგეთისა და მისი მოკავშირეებისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებით, ვიდრე შემდეგში ამიენის ხელშეკრულების მიხედვით. მაგრამ დადგა 18 ფრუქტიდორი. მარე გაწვეულ იქნა. ტრეიარმა და ბონიემ, ახალმა რწმუნებულებმა, მოსთხოვეს მალსმსბერის რომ ინგლისი დათანხმებულიყო ყველა მის მიერ დაპყრობილი ადგილის დაბრუნებას საფრანგეთის, ესპანეთისა და ჰოლანდის სამფლობელოებში. ლორდ მალმსბერიმ, ასეთი უცნაური დამატებითი მოთხოვნით განცვიფრებულმა, უპასუხა რომ მან მიიღო ბრძანება აწარმოოს მოლაპარაკება ურთიერთ კომპენსაციის საფუძველზე. საფრანგეთის მინისტრებმა 24 საათი მისცეს მათი მოთხოვნის მისაღებად, და იმ შემთხვევაში, თუ ის დაჟინებით უარს იტყოდა ამ საკითხის განმარტებაზე, წინადადებას აძლევდნენ — გამგზავრებულიყო თვითონ ლონდონს ახალი ინსტრუქციებისა და უფრო ფართო რწმუნებებისათვის. მალმსბერიმ 17 სექტემბერს დასტოვა ლილი. საფრანგეთის რწმუნებულები თავიანთი ირონიით იქამდე მივიდნენ რომ თავიც კ. მოიკატუნეს, თითქოს მათ სჯერათ მისი ლილს დაბრუნებაო, და „ჩვენ აქ დაგელოდებითო". 5 ოქტომბერს ლორდ მალმსბერიმ აუწყა მათ ლონდონიდან რომ ინგლისი აღარ გაგზავნის საფრანგეთში თავის წარმომადგენელს მოსალაპარაკებლად, სანამ უკანასკნელი არ მიიღებს თავდებობას რომ მისთვის უზრუნველყოფილი იქნება მსჯელობის დამოუკიდებლობა და მისი ხარისხის დამახასიათებელი პატივისცემაო. რამდენადაც დირექტორია მართალი იყო პირველ მოლაპარაკებაში, იმდენად იგი უმართლო იყო ლილში როგორც არსებითად, ისე ფორმითაც. უფრო სწორი იქნებოდა რომ საფრანგეთს შეენარჩუნებინა თავის მონაპოვართა ნაწილი კონტინენტზე, ხოლო ინგლისს, შესაბამისად,—ნაწილი თავის მონაპოვართა. დირექტორიამ, რომელმაც სათანადო პატივი არ სცა დესპანის ღირსებას, არ სცა პატივი თავისთავს.

18 ფრუქტიდორის დროს ადიუტანტი ლა-ვალეტი რამდენიმე თვის განმავლობაში პარიზში იმყოფებოდა როგორც შუამავალი იტალიის მთავარსარდალსა და დირექტორიის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, აგრეთვე სხვადასხვა პარტიას შორის პალატებსა და დედაქალაქში. 18 ფრუქტიდორიდან განვლილი 15 დღის შემდეგ იგი შეაშფოთა მთავრობამ. ის იყო რბილი ხასიათის კაცი, ზომიერი აზრებით. მან მიაშურა მილანს, თავისი გენერლის მფარველობაში.

კონსულატში შესვლის შემდეგ ნაპოლეონის ერთ-ერთი პირველი საზრუნავი იყო—გაეუქმებინა 19 ფრუქტიდორის კანონი და სამშობლოსთვის დაებრუნებია დიდი რაოდენობა იმ პირთა, რომელნიც პატივცემული იყვნენ მათი ნიჭისა და დამსახურებისათვის. პიშეგრიუ, ვილო, ემბერ-კოლომე და

რამდენიმე სხვა ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდნენ. კარნო, პორტალისი, ბარბე-მარბუა, ბენეზეში შემდეგში მისი მინისტრები იყვნენ. ბართელემი, ლაპარანი, პასტორე, ბუასი-დ'ანგლა, ფონტანი მან სენატორებად გახადა. ფონტანი საკანონმდებლო კორპუსის თავმჯდომარედ და უნივერსიტეტის რექტორადაც კი იქნა არჩეული. სიმეონი, მიურერი, გო, ვილარე-ჟუაიოზი, დიუმა, ლომონი დანიშნულ იქნენ სახელმწიფო საბჭოში. ვობლანი, დიუპლანტიე და სხვები პრეფექტებად იყვნენ.

საზოგადოებრივი აზრი სულ უფროდაუფრო სცილდებოდა მთავრობას. ხუთასის საბჭო, საერთო უკმაყოფილებით შეშინებული, კიდევ უფრო აძლიერებდა უბედურებას. იგი მხოლოდ რევოლუციურ ღონისძიებებში ხედავდა ხსნას. მას იმდენად დაებნა თავგზა, რომ დაადგინა საფრანგეთიდან ყველა თავადაზნაურის გასახლება. მათი რიცხვი ჯერ კიდევ ფრიად მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ სამოქალაქო სამსახურში, არამედ ჯარშიც. ნაწილობრივ იმისათვის რომ მის რჩევა-დარიგებას საფრანგეთშიც ეპოვა გამოხმაურება, ნაპოლეონმა გენუის დროებით მთავრობას გაუგზავნა თავისი სახელგანთქმული, პარიზში ასეთი ეფექტის მომხდენი, წერილი 11 ნოემბრის თარიღით, რომელშიც ამბობდა: „საზოგადოებრივი თანამდებობიდან ყველა თავად-აზნაურის გადაყენება აღმაშფოთებელი უსამართლობა იქნებოდა, ამით თქვენ იმასვე ჩაიდენდით, რასაც ისინი სჩადიოდნენო".

XVIII თავი

კამპო-ფორმიოს ზავი

I. ლეობენის საზავო წინასწარი პირობების რატიფიკაციათა გაცვლა-გამოცვლა (1797 წლის 24 მაისს).—II. კონფერენცია მონტებელოში.—III. კონფერენციები უდინეში 18 ფრუქტიდორამდე.—IV. კონფერენცია პასარიანოში.—V. 18 ფრუქტიდორის შემდეგ საფრანგეთის მთავრობას აღარ სურს ზავი.—VI. ნაპოლეონის მონაწილეობა ამ საქმეში და მისი პოლიტიკა.—VII. იმპერატორის რწმუნებულთა გადაჭარბებული მოთხოვნები; დამუქრება; ჯარების მიმოძრაობა.—VIII. ხელის მოწერა კამპო-ფორმიოს საზავო ხელშეკრულებაზე 17 ოქტომბერს.—IX. გენერლები დეზე და ჰოშე.—X. ნაპოლეონი სტოვებს იტალიას და მიემგზავრება პარიზს რაშტადტზე გავლით.

I

24 მაისს მონტებელოში მოხდა ლეობენის წინასწარი საზავო პირობების რატიფიკაციათა გაცვლა-გამოცვლა ნაპოლეონსა და მარკიზ გალოს შორის. პირველად იყო რომ წარმოიშვა ეტიკეტის საკითხი. გერმანიის იმპერატორებს პირველობის უფლება ჰქონდათ საფრანგეთის მეფეების წინაშე. ვენის კაბინეტი შიშობდა რომ რესპუბლიკა არ სცნობდა ამ ჩვეულებას და რომ, მისი მაგალითისამებრ, ევროპის სხვა სახელმწიფოებიც აგრეთვე დაიწყებდნენ დარღვევას უზენაესი ხელისუფლებისადმი მორჩილების ამ ნიშნისას, რომელიც კარლოს დიდის დროიდან დამყარდა რომის საღმრთო იმპერიაში. იმ უაღრესი

კმაყოფილების პირველ მომენტში, რომელიც განიცადა ავსტრიის რწმუნებულმა საფრანგეთის დამორჩილებით ჩვეულებრივი ეტიკეტისადმი, მან უარჰყო ბერნში კონგრესის მოწვევის აზრი, დათანხმდა ცალკ-ცალკე მოლაპარაკებას და იმპერიაში ზავის დამყარებისათვის კონგრესის რაშტადტში გახსნას მხოლოდ შემდეგი წლის ივლისში.

რამდენიმე დღის შემდგომ მოლაპარაკებას მოჰყვა შეთანხმება საბოლოო ხელშეკრულებაზე შემდეგ საფუძვლებზე: 1) საზღვარი რაინზე საფრანგეთისათვის; 2) ვენეცია და საზღვარი ადიჯეზე იმპერატორისათვის; 3) მანტუა და საზღვარი ადიჯეზე ციზალპინის რესპუბლიკისათვის. მარკიზ გალომ განაცხადა რომ უკანასკნელად მოსულ შიკრიკის ხელით მე მივიღე ზუსტი მითითებანი ზავზე ხელმოსაწერად ამ საფუძვლებზეო. 6 მაისიდან ნაპოლეონი და გენერალი კლარკი უფლებამოსილ იქმნენ საჭირო რწმუნებებით. ეს პირობები უფრო მეტად ხელსაყრელი იყო საფრანგეთისათვის, ვიდრე იმედოვნებდა დირექტორია. მაშასადამე, შესაძლებელი იყო ზავი უზრუნველყოფილად ჩაეთვალათ.

რევოლუციის მომენტში კლარკი ორლეანის დრაგუნთა ლეგიონის კაპიტანი იყო. 1789 წლიდან იგი ორლეანის პარტიას მიემხრო. 1795 წელს მიწვეულ იქნა საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტში ტოპოგრაფიული ბიუროს ხელმძღვანელად. ის სარგებლობდა კარნოს განსაკუთრებული მფარველობით და 1796 წელს დირექტორიამ იგი აირჩია იმპერატორისათვის ზავის შესათავაზებლად და ამისათვის მილანს გაემგზავრა. მისი დანიშვნის ნამდვილ მიზანს შეადგენდა სრულიადაც არა მოლაპარაკების დაწყება, არამედ თვალყურის დევნება მთავარსარდლისათვის, რომლის გამარჯვებებიც უკვე მოსვენებას უკარგავდნენ დირექტორიას. კლარკი პარიზს აგზავნიდა ჯარის უფროსთა დახასიათებებს. ამან უკმაყოფილება წარმოშვა და ბევრი უსიამოვნება შეამთხვია მას. ნაპოლეონს კარგად ესმოდა რომ მთავრობა საჭიროებდა ცნობებს, ამიტომ უმჯობესად მიიჩნია რომ ასეთი საიდუმლო დავალება მიენდოთ ცნობილი კაცისთვის, ვიდრე ყოველგვარი მდარეხარისხოვანი აგენტებისათვის, რომლებიც სამიკიტნოებსა და დერეფნებში ჰკრებდნენ ყოვლად შეუსაბამო ცნობებს. მან თავის მფარველობაში აიყვანა კლარკი და სარდინიისა და იტალიის მეფეებთან მოსალაპარაკებლადაც კი გამოიყენა იგი. 18 ფრუქტიდორის შემდეგ იგი თავგამოდებით იცავდა მას არა მარტო იმიტომ რომ კლარკმა დაიმსახურა მისგან პატივისცემა თავისი ესოდენ საჩოთირო მისიის შესრულების დროს, არამედ აგრეთვე იმიტომაც რომ იგი თავისი მდგომარეობით ვალდებულად სთვლიდა თავს—გაეწია მფარველობა ყველა იმისთვის, ვისაც ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა მასთან და ვიზედაც მას არ ჰქონდა აშკარად ჩივილის საბაბი. კლარკი მოკლებული იყო სამხედრო ნიჭსა და უნარს. ის იყო კაბინეტის კაცი, ზუსტი და საიმედო მუშაკი, დიდი მტერი ყველა გაიძვერასი. წარმოშობით ის ირლანდელთა ერთერთ იმ გვარეულობიდან იყო, რომელიც თანახლდა განდევნილ სტიუარტებს. ასეთი წარმოშობით მეტისმეტად გაამპარტავნებული, იგი დაცინვას იწვევდა იმპერიის ხანაში თავისი გენეალოგიური კვლევა-ძიების გამო, რაც სრულიად არ ეგუებოდა იმ რწმენას, რომელსაც ის აღიარებდა, მის კარიერას და დროის სულისკვეთებას. ეს იყო მისი ნაკლი.

მაგრამ ამან როდი შეუშალა ხელი იმპერატორს ჩაებარებია მისთვის, როგორც კარგი ადმინისტრატორისთვის, სამხედრო მინისტრის პორტფელი. იგი იყო უსაზღვროდ ერთგული ნაპოლეონისა იმის გამო რომ ეს უკანასკნელი მას უხვად სწყალობდა.

იმპერიის ხანაში მას დიდი დამსახურება მიუძღვოდა თავისი ზედმიწევნითი პატიოსნების მეოხებით, და, როდესაც იგონებ მას, სინანული გიპყრობს რომ თავისი კარიერის დასასრულს იგი მონაწილეობას იღებდა მთავრობაში, რომელსაც მუდამ უსაყვედურებს საფრანგეთი იმის გამო რომ მან დაშალა, ჯარი, რომელიც სახელს უხვეჭდა საფრანგეთს 25 წლის განმავლობაში, და ჩააბარა მტრებს ჩვენი ჯერ კიდევ დაუძლეველი ციხე-სიმაგრეები.

1814 და 1815 წწ. მეფე რომ არ მინდობოდა ადამიანებს, მრისხანე ამბების ზედგავლენით სულიერად გახრწნილთ, თავისი სამშობლოს რენეგატებს, რომლებიც თავისი ბატონის ტახტის ხსნასა და დიდებას საღრმთო კავშირისადმი დამორჩილებაში ხედავდნენ; სახელმწიფოს მართვაგამგეობას რომ ისეთი ადამიანებს ჩასდგომოდნენ, როგორც ჰერცოგი რიშელიე, რომლის მიზანს შეადგენდა თავისი სამშობლოს განთავისუფლება უცხოელთა ხიშტებისაგან, ან როგორც შატობრიანი, რომელმაც ეს-ეს არის თვალსაჩინო ამაგი დაგვდო გუნტში,—საფრანგეთი თავს დააღწევდა ამ ორ ეროვნულ კრიზისს და იგი იქნებოდა ძლევამოსილი და მრისხანე. შატობრიანს ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა, ამას მოწმობს მისი თხზულებები. მისი სტილი—ეს რასინის სტილი როდია, არამედ ესაა წინასწარმეტყველის სტილი. ის იყო ერთადერთი რომელსაც დაუსჯელად შეეძლო ეთქვა პერთა პალატის ტრიბუნიდან რომ „ბრესტის სანაპიროზე ჯოხზე წამოცმული რუხი სერთუკი და ქუდი ნაპოლეონისა თოფქვეშ დააყენებს მთელს ევროპასაო“. შატობრიანი რომ ოდესმე ხელისუფლების სათავეში მოქცეულიყო, შესაძლოა, იგიც გზას ამცდარიყო, როგორც სხვა მრავალი, რომელთაც აქ თავი დაიღუპეს; მაგრამ ერთი-რამე სწორია: ყოველივე დიადი და ეროვნული მისი გენიის თანხმიერია, და იგი ზიზღით უარჰყოფდა იმდროინდელი ადმინისტრაციის ყოველგვარ სამარცხვინო საქციელს.

II

გრაფი მერველდტი, ავსტრიის ახალი რწმუნებული, 19 ივნისს მოვიდა მონტებელოს. ვენის კაბინეტმა მოახდინა მარკიზ გალოს დეზავუირება და მიაღწია იმას რომ ზავის პირობები მხოლოდ ბერნის კონგრესზე და ვენის მოკავშირეთა თანდასწრებით განეხილათ. ჩანს, მან შესცვალა თავისი ყოფაქცევა. ხომ არ შესულა იგი ახალ კოალიციაში? რუსის ჯარის იმედით ხომ არ მოქმედებდა იგი? პიშეგრიუს შეთქმულობის შედეგი ხომ არ ყოფილა ეს? იმას ხომ არ იმედოვნებდა იგი რომ სამოქალაქო ომი, რომელიც აღმოსავლეთ დეპარტამენტებში მძვინვარებდა, მთელ საფრანგეთს მოედებოდა და ძალაუფლება ხელთ ჩაუვარდებოდათ შეთქმულთ?

ავსტრიის რწმუნებულებმა ვერაფერი ვერ უპასუხეს, როცა ნაპოლეონი მათ მიუთითებდა რომ ინგლისი და რუსეთი არაოდეს არ დათანხმდებიან რომ იმპერატორმა თავისი ზარალი ვენეციის ხარჯზე აინაზღაუროსო, რომ

ამ სახელმწიფოებთან ერთად მოლაპარაკების წარმოების მოთხოვნა ომის ერთ-ხელ კიდევ გამოწვევას ნიშნავსო. მინისტრმა თუგუტმა ახალი ინსტრუქციები გამოგზავნა. იგი უარს ამბობდა ბერნის კონგრესის მოწვევაზე და თანახმა იყო სეპარაციულ მოლაპარაკების. თათბირი გაიხსნა უდინეში 1 ივლისს. გენერალი კლარკი საფრანგეთის მხრივ მარტო გაემგზავრა იქ. ნაპოლეონმა განაცხადა რომ, იგი თათბირს მხოლოდ მაშინ დაესწრება, როდესაც დაადგენენ ოქმში რომ ავსტრიის წარმომადგენლებს გულწრფელად სურთ ზავი და უფლებამოსილი არიან მას ხელი მოაწერონო. რამდენიმე დღის შემდეგ მან დასტოვა მონტებელო და გაემგზავრა მილანს. იქ მან დაჰყო ივლისი და აგვისტო. ავსტრიელები უცდიდნენ კრიზისის დასასრულს, რომელიც აღელვებდა საფრანგეთს: ეს ორი თვე უნაყოფო მოლაპარაკებაში გავიდა. 18 ფრუქტიდორის დღემ ჩაფუშა ავსტრიის იმედები. გრაფი კობენცლი სასწრაფოდ მივიდა უდინეს და წარადგინა რწმუნებანი იმპერატორისა, რომელიც სრულად ნდობდა მას. მარკიზი გალო, გრაფი მერველდტი და ბარონი დეგელმანი მონაწილეობას იღებდნენ თათბირებში, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმისათვის.

III

ნაპოლეონი პასარიანოს გაემგზავრა. კლარკი გაიწვიეს, და ნაპოლეონი ერთადერთი რწმუნებული აღმოჩნდა საფრანგეთის ხრივ. 27 სექტემბერს დაიწყო მოლაპარაკება გრაფ კობენცლთან. თათბირები შენაცვლებით ხან უდინეში, ხან პასარიანოში იმართებოდა. მართალუთხოვანი მაგიდის ერთ მხარეზე ისხდა ავსტრიის ოთხი რწმუნებული. გვერდით იყვნენ კონფერენციის მდივნები, მაგიდის მეორე მხარეზე-კი მოთავსდა საფრანგეთის რწმუნებული. როცა თათბირები პასარიანოში წარმოებდა, — ნაპოლეონთან სადილობდნენ. როცა—უდინეში,—გრაფ კობენცლთან. პასარიანო საუცხოო სააგარაკო სახლია, ტალიამენტოს მარცხენა ნაპირზე, 4 ლიეზე უდინედან და 3 ლიეზე აქვილეის ნანგრევებიდან.

პირველსავე თათბირზე გრაფ კობენცლმა უარი სთქვა ყველაფერზე, რაზედაც ოთხი თვის განმავლობაში მისი კოლეგები ლაპარაკობდნენ. მან წამოაყენა გიჟური მოთხოვნები. მეტი გზა არ იყო, ხელახლა უნდა დაწყებულიყო ლაყბობა, რომელიც უკვე მაისიდან წარმოებდა.

გრაფი კობენცლი წარმოშობით ბრიუსელიდან იყო, მეტად თავაზიანი საზოგადოებაში, ნატიფი და ზრდილობიანი, მაგრამ მკაცრი და მძიმე—საქმიანობაში. მის მსჯელობას აკლდა გარკვეულობა და სიზუსტე; იგი ამას გრძნობდა და ამ ნაკლის შევსებას ხმის ამაღლებით და ბრძანებლური ჟესტებით ფიქრობდა.

მარკიზი გალო, ნეაპოლის დესპანი ვენაში, ერთდაიმავ დროს ნეაპოლის დედოფლისა და იმპერატორის მეუღლის ყურადღებით სარგებლობდა. იგი იყო შეშპარავი, მოქნილი, მაგრამ ალალი ადამიანი.

გრაფი მერველდტი, ულანთა ლეგიონის თავი, დაწინაურებული იყო მინისტრ თუგუტის მიერ და მისი ნდობით სარგებლობდა.

ბარონი დეგელმანი პირდაპირი და სასურველი დიპლომატი იყო.

IV

მოლაპარაკების მსვლელობა გრაფ კობენცლის მოსვლის დღიდან უკვე ეჭვს აღარ ჰბადებდა ვენის სასახლის ნამდვილ ზრახვებზე: მას სურდა ზავი. არავითარ ახალ შეთანხმებას ის აღარ სდებდა არც რუსეთთან, არც ინგლისთან, და როდესაც ავსტრიის წარმომადგენლები დარწმუნდებოდნენ რომ მათ შეეძლოთ დაედოთ ხელშეკრულება მონტებელოში დაწესებულ საფუძვლებზე, ზავი ხელმოწერილი იქნებოდა, დირექტორიას რომ თავისი პოლიტიკა არ შეეცვალა. მან გადააფასა თავისი ძალები 18 ფრუქტიდორის შემდგომ. ის შესაძლებლად სთვლიდა—დაუსჯელად მოეთხოვა ერისაგან ახალი მეხვერპლი. მან გადაკვრით აცნობა ნაპოლეონს რომ მას შეეწყვიტა მოლაპარაკება და დაეწყო საომარი მოქმედება, იმავე დროს კი ოფიციალურ მიმოწერას აწარმოებდა 6 მაისის ინსტრუქციების მიხედვით. ცხადი იყო რომ დირექტორიას ომი სურდა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობა უოთიეოთობის გაწყვეტისათვის მას უნდოდა დაეკისრებია იმ ადამიანისათვის, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა. როდესაც მან იგრძნო რომ ამ ხერხმა ვერ გასჭრა, და მეტადრე, როცა მან თავისი ხელისუფლება განმტკიცებულად სცნო, მის მიერ გაგზავნილ იქნა ულტიმატუმი დეპეშით 29 სექტემბრის თარიღით. ნაპოლეონმა ის 6 ოქტომბერს მიიღო პასარიანოში. საფრანგეთს აღარ უნდოდა დაეთმო იმპერატორისათვის არც ვენეცია, არც ადიჯეს ხაზი. ეს ომის გამოცხადებას უდრიდა.

ნაპოლეონს გარკვეული შეხედულებები ჰქონდა თუ რამდენად უნდა დამორჩილებოდა იგი თავისს მთავრობას საომარ მოქმედებათა საკითხში. ის მოვალედ სთვლიდა თავს—შეესრულებინა მისი ბრძანებანი იმდენად, რამდენადაც იგი მათ გონივრულად მიიჩნევდა და რამდენადაც წარმატება შესაძლებლად ისახებოდა. იგი დანაშაულად სთვლიდა მავნე გეგმის შესრულებას და უკანასკნელ შემთხვევაში თავს მოვალედ სთვლიდა—გადამდგარიყო.

სწორედ ასე მოიქცა იგი 1796 წელს, როდესაც დირექტორიამ მოისურვა გაეგზავნა მისი არმიის ნაწილი ნეაპოლის სამეფოში. როგორც რწმუნებულმა, მან ჯერ კიდევ ისე მტკიცედ არ იცოდა, თუ რა ფარგლებში უნდა გაეწია მას მორჩილება. განა შეეძლო მას უარი ეთქვა თავის მისიაზე მოლაპარაკების ყველაზე გაცხოველებულ მომენტში ანდა ხელი შეეწყო მოლაპარაკების მარცხით დამთავრებისათვის იმ ინსტრუქციების შესრულებით, რომლებსაც ის არ ეთანხმებოდა და რომლებიც ომის გამოცხდებას უდრიდა? მაგრამ პასარიანოში პირველად ყოვლისა იგი იყო მთავარსარდალი. მას უაზრობად ეჩვენებოდა, როგორც რწმუნებულს, გამოეცხადებინა ომი და იმავე დროს, როგორც მთავარსარდალს, უარი ეთქვა ჯარის სარდლობის მოვალეობაზე, რათა არ დაეწყო მტრული მოქმედება ლაშქრობის იმ გეგმის შესასრულებლად, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის შეხედულებებს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოიყვანა იგი ამ მძიმე მდგომარეობიდან. ერთ-ერთი თავისი დეპეშით მან აცნობა მას რომ, როდესაც დირექტორია თავის ულტიმატუმს აგზავნიდა, ეგონა რომ მთავარსარდალს შესაძლებლობა ექნება—იარაღით ხელში აიძულოს მისი მიღებაო. ის დიდხანს ფიქრობდა ამ ცნობაზე. იგი უდასტურებდა მას რომ მის ხელთ იყო საფრანგეთის ბედი: ომი თუ ზავი დამოკიდებული იყო იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ის და-

ადგებოდა. მან გადასწყვიტა მოქცეულიყო 6 მაისის ინსტრუქციების თანახმად და ხელი მოეწერა ზავისათვის მონტებელოში გამომუშავებულ საფუძვლებზე, რომლებიც მოიწონა მთავრობამ 18 ფრუქტიდორის ამბების წინ.

V

მიზეზები, რომლებმაც აიძულა იგი ასე მოქცეულიყო, იყო შემდეგი: 1) ლაშქრობის საერთო გეგმას თავისი მანკი ჰქონდა; 2) ვინაიდან ულტიმატუმი მხოლოდ 6 ოქტომბერს იქნა მიღებული, საომარი მოქმედების დაწყება მხოლოდ 15 ნოემბერს შეიძლებოდა, ამ დროს კი ფრანგის ჯარებისათვის ძნელი იყო გერმანიაში შესვლა, მაშინ როდესაც ეს დრო ხელსაყრელი იყო ავსტრიელებისათვის მნიშვნელოვანი ძალების შესაგროვებლად იტალიის ვაკე ადგილებში; 3) ჯარის სარდლობა გერმანიაში მინდობილი ჰქონდა ოჟეროს, რომლის პოლიტიკური შეხედულებანი გამოურკვეველი იყო 18 ფრუქტიდორის ამბების შემდგომ; მისი შტაბი მეტწილად ისეთი ადამიანებისაგან შედგებოდა, რომლებიც 1793 წლის შეხედულებებს იზიარებდნენ, და ეს ხელს უშლიდა ორი არმიის მოქმედების დროს საჭირო ურთიერთ გაგებას; ნაპოლეონს სურდა რომ რაინის არმიის სარდლობა მოროს არყოფნის გამო დეზესთვის მიენდოთ; 4) ის მოითხოვდა მაშველ ძალებს ქვეითი ჯარის 12.000 კაცისა და ცხენოსანის—4.000 კაცის რაოდენობით, რაზედაც უარი უთხრეს; მას კი მხოლოდ 50.000 მებრძოლი ჰყავდა, ამასთან იგი 20 ეჯით ახლოს იყო ვენაზე, ვიდრე რაინის არმიები, და მის წინ იდგა ავსტრიელთა სამი მეოთხედი ძალა, რომელიც ვენას იფარავდა იტალიის მხრით, მაშინ როდესაც სამბრ-მაასისა და რაინის არმიებს მხოლოდ უბრალო მზვერავი კორპუსი უპირისპირდებოდა; 5) დირექტორიამ 29 სექტემბრის დეპეშით განაცხადა რომ უარს ვამბობ სარდინიის მეფესთან შეტევითი და თავდაცვითი კავშირის 5 აპრილს დადებული ხელშეკრულების რატიფიცირებაზეო. ამ ხელშეკრულებით მეფე ვალდებულებას კისრულობდა—შეეერთებინა იტალიის არმიისათვის კონტინგენტი ქვეითი ჯარის 8.000 კაცისა და ცხენოსანის—2.000 კაცისა და 40 ზარბაზანი: დირექტორიის უარმა ტურინი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო; სასახლისათვის ახლა გასაგები გახდა საფრანგეთის მთავრობის ფარული აზრი; მას არაფრის მოლოდინი აღარ უნდა ჰქონოდა; გამოდიოდა რომ იტალიის არმიას მოუხდებოდა თავისთავის დასუსტება 10.000 კაცით პიემონტისა და ლომბარდიის ციხეების გასაძლიერებლად.

21 ოქტომბერს დირექტორიისგან ცნობა მოვიდა რომ იტალიის არმიის მთავარსარდლის წარდგინებით დირექტორიამ გადასწყვიტა გააძლიეროს მისი არმია გერმანიის არმიიდან წამოყვანილი 6.000 კაცით, შესცვალოს ლაშქრობის გეგმა, თანახმად მისი სურვილისა, და მოახდინოს სარდინიის მეფესთან შეტევითი და თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულების რატიფიცირება, რასაც აცნობებს საკანონმდებლო კორპუსს იმავე დღეს, 21 ოქტომბერსო. მაგრამ კამპო-ფორმიოს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა სამი დღით ადრე ამ დეპეშის ხელმოწერამდე, პასარიანოში კი ეს დეპეში მოვიდა მხოლოდ 12 დღის შემდეგ ზავზე ხელისმოწერიდან.

დირექტორიას რომ ეს გადაწყვეტილება 29 სექტემბერს, თავისი უკანასკნელი ულტიმატუმის გაგზავნის მომენტში, მიეღო, შეიძლება, ნაპოლეონს გაებედნა ომი იმ იმედით რომ იგი გაათავისუფლებდა მთელს იტალიას იზონცომდე, რაც მას სურდა უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვისმე.

VI

ნაპოლეონის ინტერესს შეადგენდა ზავის დადება. რესპუბლიკელები ხმამაღლა გამოსთქვამდნენ თავიანთ შურს. „ასეთი დიდი სახელის მოხვეჭა შეუთავსებელია თავისუფლებასთანო,—ამბობდნენ ისინი. მას რომ სამხედრო მოქმედება განეახლებია და ფრანგის ჯარებს ვენა დაეკავებიათ, დირექტორია იმპერიაში რევოლუციის მოხდენას მოისურვებდა, ამას კი, ეჭვს გარეშეა, მოჰყვებოდა ახალი ომი პრუსიასთან, რუსეთთან და გერმანიის კავშირთან. იმავე დროს რესპუბლიკას ცუდად მარათვდნენ. ადმინისტრაცია გახრწნილი იყო; იგი არავითარ ნდობას არ იწვევდა და არავითარი პატივისცემა არ ჰქონდა. მოლაპარაკება რომ შეწყვეტილიყო, პასუხისმგებლობა მომავლისათვის ნაპოლეონს დაეკისრებოდა. მას რომ თავისი ქვეყნისთვის ზავი მიეცა, გამარჯვებულის და მშვიდობის მყოფელის სახელს, რომელიც მან მოიხვეჭა, მიემატებოდა ორი დიდი რესპუბლიკის დამაარსებლის სახელი, იმიტომ რომ ბელგია, რაინის ოლქი, სავოია, საგრაფო ნიცა კანონიერად გადადიოდა საფრანგეთის ხელში იმპერატორთან დადებული საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ისევე როგორც ციზალპინის რესპუბლიკასაც მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეეძლო არსებობა. დადაფნილი, მშვიდობიანობის ზეთის-ხის რტოთი ხელში, იგი მშვიდად დაუბრუნდებოდა კერძო ცხოვრებას, ისეთი სახელით და დიდებით მოსილი, როგორიც ძველი ქვეყნის დიდ ადამიანებს ჰქონდათ. მისი საზოგადოებრივი ცხოვრების პირველი აქტი დაგვირგვინებული იქნებოდა. გარემოება და სამშობლოს ინტერესები წარმართავდნენ შემდგომ მის კარიერას. სახელი, საფრანგეთის ხალხის სიყვარული და პატივისცემა საშუალება იყო ყოველივეს მისაღწევად. საფრანგეთს ზავი სურდა.

მეფეთა ბრძოლა რესპუბლიკის წინააღმდეგ—ორი სისტემის ბრძოლა იყო. ლონდონსა, ვენასა და ს.-პეტერბურგში გაბატონებული ოლიგარქები პარიზის რესპუბლიკელებს ებრძოდნენ. ნაპოლეონმა გადასწყვიტა შეეცვალა საქმის ასეთი ვითარება, რომელიც საფრანგეთს ყოველთვის მარტოობაში ამყოფებდა, და გადაეგდო განხეთქილების ვაშლი კოალიციის წრეში, შეეცვალა საკითხის დაყენება, შეექმნა სხვა მისწრაფებანი და სხვა ინტერესები.

ვენეციის რესპუბლიკა მთლიანად არისტოკრატიული იყო. მისი ხვედრი ყოველთვის აწუხებდა სენტ-ჯემისა და ს.-პეტერბურგის კაბინეტებს. ვენეციის სენატს ძლიერ ცუდად ეჭირა თავი საფრანგეთის მიმართ, მაგრამ ძლიერ კარგად—ავსტრიის მიმართ. როგორი აზრისა იქნებიან სხვა ქვეყნები ვენის კაბინეტის წესიერებაზე, როცა დაინახავენ რომ მან ყოველგვარი საბაბის გარეშე ხელთ იგდო თავისი მოკავშირის სამფლობელოები—თანამედროვე ევროპის ყველაზე ძველი სახელმწიფო, სახელმწიფო, რომლის პრინციპებიც საფრანგეთის იდეებს ეწინააღმდეგება! როგორი გაკვეთილი იქნება ბავარიისა და მეორეხარისხოვანი სახელმწიფოებისათვის! იმპერატორი იძულებული იქ-

ნებოდა—გადაეცა საფრანგეთისათვის ციხექალაქი მაინცი. იმპერატორი ხელ-ოგდებდა გერმანიის იმ სახელმწიფოთა დავლას, რომელთა მფარველი ის იყო და რომელთა ჯარებიც მის რიგებში იბრძოდნენ. რა თვალსაჩინო საბუთი-ღა იყო კიდევ საჭირო ევროპის მთავრობათა დახავსებულობის, მათი გადაგვარების და უკანონობის!

ავსტრია კმაყოფილი იქნებოდა ბელგიისა და ლომბარდიის დათმობით. ამისთვის იგი ექვივალენტს ღებულობდა, თუ შემოსავლითა და მოსახლეობით არა, ვაჭრობისა და გეოგრაფიული მხრით მაინც. ვენეცია ესაზღვრებოდა შტირიას, კარინთიასა და ჰუნგრეთს. ევროპის ოლიგარქიის კავშირი დაშლილი ალმოჩნდებოდა. საფრანგეთი ისარგებლებდა ამას, რათა პირისპირ შებმოდა ინგლისს ირლანდში, კანადაში, ინდოეთში.

პარტიები, რომლებიც ვენეციის მყუდროებას არღვევდნენ, ბრძოლას შესწყვეტდნენ. არისტოკრატია და დემოკრატია გაერთიანდებოდნენ უცხო ქვეყნის ერის უღლის წინააღმდეგ. შეიძლებოდა დარწმუნებით თქმა რომ ასე ჩვილი ხასიათის მქონე ხალხს არაოდეს არ ექნებოდა ერთგულობის გრძნობა გერმანიის მთავრობისადმი, და სრულიად ზედმეტი იყო შიში რომ დიდი სავაჭრო ქალაქი, საზღვაო სახელმწიფო, რომელიც ქუხდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, გულწრფელად შეუერთდებოდა ზღვებსა და კოლონიებს მოკლებულ მონარქიას. თუ კი ოდესმე შეიქმნება იტალიის ერი, ეს დაბრკოლებას არ წარმოადგენს: ავსტრიის სამეფო კარის უღელქვეშ გატარებული წლები ეროვნულ მთავრობისადმი მიდრეკილებას გააღვიძებს ვენეციელებში, როგორიც არ უნდა იყოს იგი მთავრობა. ვენეციელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, გენუელები, პარმელები, ბოლონიელები, ბერგამოელები, ფერარელები, ტოსკანელები, რომანელები, ნეაპოლელები, იმისათვის რომ იტალიელები გამხდარიყვნენ, პირველყოვლისა შემადგენელ ელემენტებად უნდა დაშლილიყვნენ. საჭირო იყო, ასე ვთქვათ, მათი გადადნობა. მართლაც 15 წლის შემდგომ, 1812 წელს, ავსტრიის სამფლობელოები იტალიაში, სარდინიაში, საჰერცოგოები პარმის, მოდენისა და ტოსკანის, ნეაპოლის სამეფოც კი, გენუის ოლიგარქია და ვენეცია გაქრნენ. პაპის საერო ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის იტალიის დანაწილების მიზეზი იყო, უკვე დაბრკოლებას აღარ წარმოადგენდა. „მე მჭირდებაო,—ამბობდა ნაპოლეონი 1805 წელს ლიონის თათბირზე,—ოცი წელი, რათა იტალიის ერი შევქმნაო“. საკმაო აღმოჩნდა თხუთმეტი წელი. ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ შვილის დაბადებას უცდიდნენ რომ შეეყვანათ იგი რომში, ეკურთხებიათ იტალიელეთა მეფედ, გადაეცათ რეგენტობა პრინც ევგენისათვის და გამოეცხადებინათ ნახევარკუნძულის დამოუკიდებლობა ალპებიდან იონიის ზღვამდე და ხმელთაშუა ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე.

VII

ვენის სამეფო კარი, დაქანცული სისხლისმღვრელი ბრძოლით, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა, არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა ბელგიას, რომლის დაცვაც მას არ შეეძლო. ის ბედნიერი იყო—ამდენ დამარცხებათა შემდგომ მიეღო საზღაური დიდიხნის წინათ უკვე განცდილი

ზარალისათვის და საფრანგეთის რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით დაეწესებინა გარანტიები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მას გერმანიის საქმეების მოგვარებაში. მაგრამ თუ ხელშეკრულების საფუძვლები შეთანხმებული იყო, ჯერ კიდევ ბევრი აკლდა შეთანხმებას ამ ხელშეკრულების განხორციელების საშუალებებზე. გრაფ კობენცლს, მისი სიტყვებით, სურდა „საზღვრები ადის გასწვრივ ან—სულ ეარაფერი“. იგი სტატისტიკურ ანგარიშებს ემყარებოდა. „თქვენ გინდათ აღადგინოთ 1756 წლის სისტემა: მაშასადამე, საჭიროა მოგვეცეს ჩვენ ხელსაყრელი ზავი, მიუხედავად ომის ამბებისაო. ორთავე სახელმწიფოს ჰქონია სახელოვან გამარჯვებათა დღეები. ორივე ჩვენი არმია პატივისცემის ღირსია. ერთ-ერთი სახელმწიფოსათვის არახელსაყრელი ზავი ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ დროებითი ზავად იქცევა. ჩვენ უნდა მივიღოთ სრული და უეჭველი ანაზღაურება. რა წარმოადგენს სახელმწიფოს საფუძვლებს? მოსახლეობა და შემოსავალი. რას კარგავს იმპერატორი, ჩემი მბრძანებელი? ბელგიასა და ლომბარდიას, ორ პროვინციას, მსოფლიოში ყველაზე უფრო დასახლებულს, ყველაზე უფრო მდიდარს. ბელგიას თქვენთვის ორმაგი ღირებულება აქვს, იმიტომ რომ მასთან ერთად თქვენს ხელში გადმოდის ჰოლანდიც და თქვენ ისეთი ადგილის მფლობელი ხდებით, რომელიც შესაძლებლობას გაძლევსთ გარემოიცვათ ინგლისი ბალტიის ზღვიდან გიბრალტარის სრუტემდე. ამასთანავე ჩვენ კიდევ თანახმა ვართ რომ თქვენ შეუერთოთ რესპუბლიკას მაინცი, რაინის ოთხი დეპარტამენტი, სავოია და ნიცის საგრაფო. რას გვაძლევთ თქვენ ასეთი დიდი შენაძენის ფასად? ოთხ ბილიონ იტალიელს, ცუდ ჯარისკაცებს, თუმცა, მართალია, ნაყოფიერ ქვეყანაში მცხოვრებთ. აქედან ის გამომდინარეობს რომ ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ საზღვარი ადის გასწვრივო“.

საფრანგეთის რწმუნებულმა უპასუხა: „ავსტრიის მონარქია მადლიერი უნდა იყოს იმისთვის რომ მას სცილდება ბელგია. იგი მისთვის ისეთ საფლობელოს წარმოადგენს, რომლის მართვაც სამძიმოა. მხოლოდ ინგლისი იყო დაინტერესებული რომ ავსტრია ყოფილიყო ბელგიის მფლობელი. ამ პროვინციას მუდამ ზარალი მოჰქონდა თქვენი ხაზინისათვის. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი არავითარ ღირებულებას თქვენთვის არ წარმოადგენს, მის შემდეგ რაც ის რესპუბლიკური საფრანგეთის იდეებით გაიმსჭვალა. თქვენი სურვილი რომ შტირიის, კარინთიის და ჰუნგრეთის საზღვრებზე მიიღოთ ისეთი საზღაური, რომელიც შემოსავლითა და მოსახლეობით თქვენგან ჩამოცილებულ ბელგიას უდრიდეს, მეტისმეტ დაჩემებას (pretention) წარმოადგენს. ამასთან, ადიჯეზე გადაბიჯებით თქვენს თავს ასუსტებთ, და არც თქვენ, არც ციზალპინის რესპუბლიკას ბუნებრივი საზღვრები არ გექნებათო“.

ეს მტკიცება თითქოს დამაჯერებელი იყო ავსტრიის რწმუნებულებისათვის. მათ, მაინც, თავისი მოთხოვნები მხოლოდ მინჩიოს ხაზით შეზღუდეს. „მაგრამაო,—სთქვა გრაფმა კობენცლმა,—ეს ჩვენი უკანასკნელი სიტყვაა, ვინაიდან თუ იმპერატორი თანახმა იქნება გადმოგცეთ თქვენ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ციხექალაქის, მაინცის გასაღები, იგი სწორად არ მოიქცევა, თუ მას მანტუის გასაღებზე არ გადასცვლისო“. რადგან ოფიციალური მოლაპარაკების ყველა საშუალება ამოწურულ იქნა, ისე რომ დამაკმაყოფილებელი შედეგი

მას არ მოუცია, მიმართეს საიდუმლო თათბირებს. მაგრამ ბოლოსდაბოლოს არც ერთმა მხარემ არაფერი არ დასთმო. საჭირო გახდა ჯარების დაძვრა.

საფრანგეთის ჯარები, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ ვერონასა, პადუასა და ტრევიზოში, პიავეზე გადავიდნენ და იზონცოს მარჯვენა ნაპირზე განლაგდნენ. ივსტრიის ჯარი დრავაზე და კარნიოლში დადგა. უდინედან პასარიანოში მისვლისას ავსტრიის რწმუნებულები იძულებული იყვნენ ფრანგის ჯარების ბანაკზე გაევლოთ, და მათ ყოველგან სრული სამხედრო პატივით ხვდებოდნენ. მაგრამ გრაფი კობენცლი, მაინც, შეუდრეკელი აღმოჩნდა და განაცხადა წასვლა.

VIII

16 ოქტომბერს თათბირი უდინეში გრაფ კობენცლთან შედგა. ნაპოლეონმა მოკლედ აღნუსხა თავისი მთავრობის მოქმედება ლეობენის წინასწარი პირობების ხელმოწერის დღიდან და იმავე დროს დაადასტურა თავისი ულტიმატუმი. ავსტრიის რწმუნებულმა ვრცლად გასცა პასუხი, რომელშიც უმტკიცებდა რომ ანაზღაურება, რასაც საფრანგეთი აძლევს იმპერატორს, ამ უკანასკნელის მიერ დაკარგულის მეოთხედსაც კი ვერ ჰფარავსო; რომ ავსტრიის სახელმწიფო მნიშვნელოვნად დასუსტებული შეიქნება, მაშინ როდესაც საფრანგეთის სახელმწიფო იმდენად გადიდდება რომ მთელი ევროპის დამოუკიდებლობა მისი მუქარის ქვეშ აღმოჩნდებაო; რომ თუ კი მას მანტუა და ადიჯეს ხაზი თავის მფლობელობაში ექნება, საფრანგეთი თავის ქვეყანას ფაქტიურად მთელს იტალიასთან გააერთიანებსო; რომ იმპერატორმა უყოყმანოდ გადასწყვიტა—უმალ ომის ბედს მიანდოს ყოველივე და გაიქცეს კიდეც თავისი დედაქალაქიდან, ვიდრე დათანხმდეს ასეთ არახელსაყრელ ზავსაო; რომ რუსეთი მას სთავაზობს თავის ჯარებს და ისინი მზად არიან სასწრაფოდ დაიძრან მისკენ დასახმარებლადაო; რომ ნაპოლეონი, აშკარად უმორჩილებს თავის ხარისხს რწმუნებულისას თავის ინტერესებს მთავარსარდლისას და არ სურს ზავი. მან დაუმატა რომ მივდივარ ღამით და ამ ახალ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი მთლიანად საფრანგეთის რწმუნებულს დაატყდებაო. ეს სიტყვები საფრანგეთის რწმუნებულს გულში მოხვდა, თუმცა მას სიმშვიდე არ დაუკარგავს; იგი წამოდგა, ხელი მოჰკიდა იქვე მრგვალ მაგიდაზე ლანგარს რომელზედაც იდგა ჩაის პატარა ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც გრაფ კობენცლს განსაკუთრებით უყვარდა, როგორც დედოფალ ეკატერინის ნაჩუქარი. „ძალიან კარგიო,—სთქვა ნაპოლეონმა,—დროებითი ზავი, მაშასადამე, წყდება და ცხადდება ომი! მაგრამ გახსოვდესთ რომ შემოდგომის დამლევამდე მე დავამსხვრევ თქვენს მონარქიას ისე, როგორც ამ ფაიფურს ვამსხვრევო“! ამ სიტყვებისათანავე მან დაანარცხა ჭურჭელი იატაკს. ჭურჭლის ნამსხვრევები პარკეტზე მიმოიფანტა. მან თავი დაუკრა კრებას და გავიდა. ავსტრიის რწმუნებულები სახტად დარჩნენ. განვლო რამდენმე წამმა და მათ გაიგეს რომ, როცა ნაპოლეონი ეტლში ჯდებოდა, მან ოფიცერი გაუგზავნა ერცჰერცოგ კარლოსს გაფრთხილებით რომ მოლაპარაკება შეწყვეტილია და 24 საათის შემდგომ საომარი მოქმედება დაიწყებაო.

შეშინებულმა გრაფმა კობენცლმა მარკიზი გალო გაგზავნა პასარიანოს მის მიერ ხელმოწერილი განცხადებით რომ ვღებულობთ საფრანგეთის ულტიმატუმსაო.

მეორე დღეს, საღამოს 5 საათზე, ზავს ხელი მოაწერეს. ხელშეკრულებას ნიშანი დაუსვეს როგორც ხელმოწერილს კამპო-ფორმიოში, პასარიანოსა და უდინეს შორის მდებარე მცირე სოფელში, რომელიც ამ მიზნისთვის ნეიტრალიზებული იყო დელეგაციათა მდივნების მიერ. იქ წასვლა უსარგებლოდ მიიჩნიეს, რადგან იქ არ იყო შესაფერი შენობები რწმუნებულთა მოსათავსებლად.

ამ ხელშეკრულების მიხედვით იმპერატორი სცნობდა რესპუბლიკას მის ბუნებრივ საზღვრებში: რაინი, ალპები, ხმელთაშუა ზღვა, პირენეს მთები, ოკეანე. ის თანახმა იყო რომ ციზალპინის რესპუბლიკა შექმნილიყო ლომბარდიისაგან, რეჯიოს, მოდენის, ბირანდოლის საჰერცოგოებისგან, სამი სალეგატოსგან—ბოლონიის, ფერარისა და რომანიისა, ვალტელინისაგან და ვენეციის სამფლობელოების ნაწილისაგან ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე—ბერგამოსა, ბრეშიისა, კრემონისა და პოლეზინისაგან. იმპერატორი სთმობდა ბრისჰაუს. ამით მისი სამემკვიდრეო მიწები საფრანგეთის საზღვრებს შორდებოდა. ის აგრეთვე თანახმა იყო რომ მაინცი ფრანგის ჯარებს გადასცემოდა სამხედრო შეთანხმებით, რომელიც ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო რაშტადტში, სადაც დანიშნეს ურთიერთ შეხვედრა საფრანგეთის რწმუნებულმა და გრაფმა კობენცლმა. ყველა ხელმწიფეს, რომელიც სამფლობელოებს კარგავდა რაინის მარცხენა ნაპირზე, უნდა მიეღო საზღაური მარჯვენა ნაპირზე ეკლესიის მემამულე თავადებისაგან ჩამორთმეული მიწებით. ევროპის საზავო ხელშეკრულება უნდა განეხილნათ რაშტადტში. საფრანგეთის მთავრობა და ვენის კაბინეტი იქ ერთსულოვნად იმოქმედებდნენ. პრუსიის სამფლობელოები მარცხენა ნაპირზე ხელუხლებელი დარჩა, და იმპერატორი თანხმდებოდა რომ ისინი დათმობოდა რესპუბლიკას რაშტადტის ხელშეკრულებით, მხოლოდ გერმანიის ხარჯზე ავსტრიისათვის ტოლფასოვანი ანაზღაურებით. კორფუ, ზანტე, კეფალონია, სენტმორი, ჩერიგო დაეთმო საფრანგეთს, რომელიც, თავის მხრივ, დათანხმდა რომ იმპერატორს მიეღო ვენეციის ოლქები ადიჯეს მარცხენა ნაპირზე. ამით მისი იმპერიის მოსახლეობა 2 მილიონ კაცზე მეტით დიდდებოდა.

ხელშეკრულების ერთერთი მუხლის მიხედვით ის მამულები, რომლებსაც ბელგიაში ფლობდა ერცჰერცოგი კარლოსი, როგორც ერცჰერცოგის ქალის ქოისტინეს შემკვიდრე, ძასვე მიეკუთვნა. სწორედ ამ მუხლის ძალით შემდგომ იმპერატორმა ნაპოლეონმა ერთ მილიონად იყიდა ლეკენის ციხედარბაზი, რომელიც ბრიუსელის ახლოს იდგა და რევოლუციის წინ ერცჰერცოგის ქალის მამულის ნაწილს შეადგენდა. ერცჰერცოგის სხვა მამულები ნიდერლანდებში შეიძინა საქსენ-ტეშენის ჰერცოგმა. ასეთი დადგენილება მოწმობდა იმ პატივისცემას, რომლითაც საფრანგეთის რწმუნებული ეპყრობოდა ავსტრიის მთავარსარდალს, რომელსაც იგი ის-ის იყო ებრძოდა და რომელთანაც მას ორთავესათვის საპატიო ურთიერთობა შეექმნა.

IX

პასარიანოში თათბირების დროს რაინის არმიიდან მოვიდა გენერალი დეზე ბრძოლის ველების დასათვალიერებლად, რომელთაც სახელი გაუთქვა იტალიის არმიამ. ნაპოლეონმა იგი თავის მთავარ ბანაკში მიიღო და, იმ ვარაუდით რომ მას ამით გააოცებდა, აცნობა, თუ რა ნათელს ჰფენდა დ'ანტრეგის პორტფელი პიშეგრიუს ყოფაქცევას. „ჩვენ უკვე დიდიხანია ვიცოდითო, სთქვა ლიმილით დეზემ,—რომ პიშეგრიუმ გვიღალატა. ამის დამამტკიცებელი საბუთი მორომ კლინგლინის ქაღალდებში აღმოაჩინა, ისევე როგორც მისი მოსყიდვის ყოველივე წვრილმანი და წინასწარ შეპირობებული მოტივები, რომლებიც წარმართავდნენ მის საბრძოლო მოქმედებას. მხოლოდ მორომ, რენიემ და მე თუ ვიცოდით ეს საიდუმლოება. მე მინდოდა რომ მოროს ეცნობებინა მთავრობისათვის ეს ღალატი მაგრამ მან არ მოისურვაო. პიშეგრიუ. შესაძლოა, იმ გენერალის ერთადერთ მაგალითს წარმოადგენდესო,—დაუმატა მან,—რომელმაც განზრახ დაამარცხებინა თავისი თავიო". აქ იგი გადაკვრით გულისხმობდა მანევრს პიშეგრიუსას, რომელმაც განგებ წარმართა თავისი მთავარი ძალები ზემო რაინისაკენ, რათა ჩაეფუშა მოქმედება მაინცის წინ. დეზემ ინახულა ყველა საბანაკო სადგომი. ის ყველგან დიდის პატივისცემით იქნა მიღებული. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი მეგობრობა ნაპოლეონთან. დეზეს უყვარდა სახელი თავისთავად, საფრანგეთი კი ყველაზე მეტად. იგი იყო პირდაპირი, ენერგიული, სანდო, ის ყველაფერში ერკვეოდა, ჰქონდა დიდი ცოდნა; არავის მასზე უკეთესად არ შეუსწავლია ომის ასპარეზი ზემო რაინზე, შვაბიასა და ბავარიაში. მისმა სიკვდილმა ცრემლები მოჰგვარა მარენგოს გმირს.

ამ დროს მაინცში მოულოდნელად გარდაიცვალა გენერალი ჰოში, სამბრ-მაასის არმიის სარდალი. ბევრი ფიქრობდა რომ იგი მოსწამლესო. ეს აზრი უსაფუძვლოა. ამ ახალგაზრდა გენერალმა თავი ისახელა ვაისენბურგის ხაზებზე 1794 წელს. მან გამოამჟღავნა თავისი ნიჭი ვანდეაში 1795 და 1796 წლებში და სახელი მოიხვეჭა აჯანყების სწრაფად ჩაქრობით. მგზნებარე პატრიოტი, მკვირცხლი ხასიათის, გულადი, ქმედითი, დაუცხრომელი პატივმოყვარეობით გამსჭვალული, იგი სრულიად გაუფრთხილებლად თვითვე აგებებდა თავს დარტყმას. 18 ფრუქტიდორის დღეს თავისი ჯარით პარიზზე გალაშქრებით მან დაარღვია კონსტიტუცია და ის-იყო კინაღამ თავისი სითამამის მსხვერპლი შეექნა. საკანონმდებლო პალატებმა ძიება აღძრეს მის წინააღმდეგ. იგი შეეცადა მოეწყო ექსპედიცია ირლანდიში. მასზე უფრო ვერავინ შესძლებდა ამის კარგად შესრულებას. ყოველგვარ შემთხვევაში ის ამტკიცებდა თავის ერთგულებას ნაპოლეონისადმი. მისი სიკვდილითა და მოროს შერისხვით სამბრ-მაასისა და რაინის არმიები უსარდლოდ დარჩნენ, მთავრობამ ორივე არმია გააერთიანა და ოჟეროს მიანდო მათი მეთაურობა.

X

ნაპოლეონი რიგ-რიგობით გზავნიდა თავის მთავარ გენერლებს პარიზს დროშების წასაღებად. ეს იმავე დროს შესაძლებლობას აძლევდა მთავრობას—გასცნობოდა მათ და თავის ერთგულად გაეხადა ისინი ჯილდოებით. კამპო-

ფორმიოს ხელშეკრულების წაღება მან დაავალა ბერთიეს და, მეცნიერებისადმი პატივისცემისა და ყურადღების გამოჩენის მიზნით, მასთან ერთად მიაგლინა, მონჟი, სამეცნიერო და სამხატვრო კომისიის წევრი იტალიაში. მონჟი მეცნიერებათა ძველი აკადემიის წევრთაგანი იყო. ეს დიდი გეომეტრი, პირველხარისხოვანი ფიზიკოსი, მეტად მხურვალე პატრიოტი, გულწრფელი და მართალი მთავარსარდალს მოეწონა ერთერთი ფრიად შინაარსიანი საუბრის დროს. მონჟს უყვარდა საფრანგეთი და ხალხი, როგორც თავისი ოჯახი, დემოკრატია და თანასწორობა, როგორც გეომეტრიულ ანაგობიდან მიღებული დასკვნები; იგი იყო აღგზნებული გონების პატრონი და, რაც არ უნდა ელაპარაკანათ მაზე მის მტრებს, ის თავისი სათნოებით გამოირჩეოდა. პრუსიელთა შემოსევის დროს 1792 წელს მან გამოაცხადა რომ თავის ორსავე ქალიშვილს მიათხოვებდა იმ პირველ მოხალისეებს, რომლებიც ხელს ან ფეხს დაჭკარგავდნენ სამშობლო ქვეყნის დაცვის დროს. ეს მისი წინადადება საკვირველი გულწრფელი იყო. ის გაჰყვა ნაპოლეონს ეგვიპტეში. ბოლო დროს იგი გახდა სენატორი და მუდამ ერთგული იყო ნაპოლეონისა. მეცნიერება დავალებულია მისგან შესანიშნავი ნაშრომით გეომეტრიაში.

კამპო-ფორმიოს ხელშეკრულება უეცრად თავს წაადგა დირექტორიას, რომელიც მას სრულიად არ მოელოდა. მან გამოიწვია მისი უკმაყოფილება. იმასაც კი ამტკიცებენ რომ დირექტორია ფიქრობდა ერთხანს არ მოეხდინა მისი რატიფიკაციაო. მაგრამ ხელშეკრულებას მხარს უჭერდა საზოგადოებრივი-აზრი და მეტად თვალსაჩინო იყო ის სარგებლობა რომელიც ზავს მოჰქონდა საფრანგეთისთვის.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათანავე ნაპოლეონი დაბრუნდა მილანს, რათა მიეცა უკანასკნელი მითითებანი ციზალპინის რესპუბლიკის მოწყობის საქმეში და გაეცა დამატებითი ადმინისტრაციული განკარგულებანი არმიაში. მას უწევდა გამგზავრება რაშტადტს, რათა იქ დაემთავრებია ვეებერთელა მუშაობა მშვიდობიანობის აღსადგენად კონტინენტზე. იგი გამოეთხოვა იტალიის ხალხს ასეთი სიტყვებით:

„მოქალაქენო, 1-ლი ფრიმერიდან თქვენი კონსტიტუცია მოქმედებას იწყებს. თქვენი დირექტორია, საკანონმდებლო კორპუსი, საკასაციო ტრიბუნალი, ყველა დანარჩენი მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულება იმ დროისთვის აგრეთვე დაარსებული იქნება.

ისტორიაში თქვენ პირველი მაგალითი ხართ იმ ხალხისა, რომელიც თვინიერ პარტიული ბრძოლისა, თვინიერ გადატრიალებათა და შინაბრძოლისა თავისუფალი ხდება. ჩვენ მოგეცით თქვენ თავისუფლება. შესძელით მისი დაცვა.

საფრანგეთის შემდეგ თქვენ ყველაზე ხალხმრავალ, ყველაზე მდიდარ რესპუბლიკას წარმოადგენთ. თქვენი მდგომარეობა ნებას გაძლევსთ თქვენ—დიდი როლი შეასრულოთ ევროპის საქმეებში. რათა თქვენი დანიშნულობის ღირსნი იქნეთ. დააწესეთ მხოლოდ გონიერი და ზომიერი კანონები. ენერგიულად ასრულეთ ისინი. გაუწიეთ მფარველობა განათლების გავრცელებას და პატივისცემით მოეპყარით რელიგიას. შეადგინეთ თქვენი ჯარის ნაწილები იმ მოქალაქეთაგან, რომელნიც ემხრობიან რესპუბლიკის პრინციპებს და უშუალოდ დაკავშირებული არიან მის აყვავებასთან.

უმთავრესად თქვენ უნდა განიმსჭვალოთ საკუთარი ძალისა და ღირსების გრძნობით, რაც თავისუფალ ადამიანს სჩვევია. საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს მოშორებულნი და ტირანიით დათრგუნვილნი, თქვენ თვითონ ვერ მოიპოვებდით თავისუფლებას. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, თავის ანაბარად დარჩენილნიც კი, თქვენ ისეთნი გახდებით რომ მსოფლიოში ვერცერთი სახელმწიფო ვერ შესძლებს თქვენგან მის წართმევას. მანამდე-კი დიდი ერი უზრუნველგყოფსთ თქვენ მეზობლების თავდასხმისაგან. მისი პოლიტიკური სისტემა თქვენსას გაუერთიანდება.

რომაელ ხალხს რომ ფრანგების მაგალითისთვის მიებაძნა, რომის არწივები დღესაც კაპიტოლიუმზე იქნებოდნენ და მონობისა და ტირანიის თვრამეტი საუკუნეც კაცობრიობას აღარ შეარცხვენდა.

ყოველივე ეს მე გავაკეთე მხოლოდ თავისუფლების განსამტკიცებლად-და ერთადერთი მიზნით—მომეტანა თქვენთვის ბედნიერება.

მე მრავალი ადამიანი დავნიშნე სამსახურებრივ თანამდებობებზე. შესაძლოა—შევცთი: პატიოსანი ადამიანი დავივიწყე და უპირატესობა ინტრიგანს მივეცი. თქვენ შეგიძლიათ გამოასწოროთ ეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მე გტოვებთ თქვენ. თუ დამაბრუნებს თქვენთან მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მთავრობის ბრძანება და უშუალო საშიშროება, რომელიც ციზალპინის რესპუბლიკას დაემუქრება. საითაც არ უნდა მომიწოდოს ჩემი სამშობლოსადმი სამსახურმა, მე ყოველთვის ცხოველ მზრუნველობას გამოვიჩენ თქვენი რესპუბლიკის ბედნიერებისა და სახელისადმი.

მთავარი ბანაკი. მილანი. VI წლის 22 ბრუმერი (1797 წლის 12 ნოემბერი)".

მისი წასვლის დღეს ჯარებისადმი ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ჯარისკაცებო. მე დღეს მივემგზავრები რაშტადტს. არმიისაგან შორს მყოფი, მე ვიფიქრებ იმ წუთზე, როცა კვლავ გავჩნდები თქვენს შორის, და თქვენ ახალ ბრძოლებში გმირულად იქნებით ჩაბმულნი. რა საქმისთვისაც არ უნდა იყვნენ იტალიის ჯარისკაცები მთავრობის მიერ მოწოდებული, ისინი ყოველთვის ღირსეულად დაიცავენ თავისუფლებას და ფრანგის დიად სახელს.

ჯარისკაცებო, როცა ლაპარაკი გექნებათ მეფეებზე, რომლებიც დაამარცხეთ, ხალხებზე, რომლებიც განათავისუფლეთ, ბრძოლებზე, რომლებიც ორ ლაშქრობაში მოიგეთ, თქვენს გულში გაიმეორეთ: ორ შემდგომ ლაშქრობაში ჩვენ კიდევ მეტს გავაკეთებთ-თქო!"

ნაპოლეონი გაემგზავრა ტურინზე გავლით და გაჩერდა საფრანგეთის დესპანთან ჟენგენესთან (17 ნოემბერს). სარდინიის მეფემ მოისურვა მისი ნახვა და მისდამი თავისი მადლობის საჯაროდ დადასტურება. მაგრამ საქმის ვითარება უკვე ისეთი იყო რომ მან შეუძლებლად სცნო—სასახლის დღესასწაულებს გამოსდგომოდა და განაგრძო გზა რაშტადტს, მონ-სენისზე გადავლით. ჟენევაში იგი მიიღეს ისე, თითქოს საფრანგეთის ქალაქშიაო, ენთუზიაზმით, რაც ჟენეველებს ახასიათებს. ვოს ოლქში მისვლისას მის მისასალმებლად გამოსულ მცხოვრებთ წინ უძღოდა ახალგაზრდა და ლამაზ ქალთა სამი ჯგუფი. ერთ ჯგუფს ეცვა თეთრი ტანსაცმელი, მეორეს—წითელი, მესამეს—ლურჯი. ქალიშვილებმა მას მიართვეს გვირგვინი ზედწარწერილ ბაბთით. წარწერა ამოღებული იყო ვალტელინის თავისუფლების დამამტკიცებელ სახელგანთქმულ

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან „არ შეიძლება ერთი ხალხი მეორე ხალხის ქვეშევრდომი იყოს“.

რაშტადტისაკენ მიმავალმა, მან გაიარა შვეიცარიის რამდენსამე ქალაქზე, მათ რიცხვში ბერნზე, გადავიდა რაინზე ბაზელში და მიაშურა რაშტადტს.

XI

რაშტადტში მისვლისას მას დამზადებული დახვდა სასახლის ვრცელი დარბაზები. ტრეიარი და ბონიე, რომლებიც დირექტორიამ მიავლინა მასთან გერმანიის კავშირთან ზავზე მოლაპარაკებისათვის, მასზე რამდენიმე დღით ადრე მოვიდნენ. ამ კონგრესზე მოხუცი გრაფი მეტერნიხი წარმოადგენდა იმპერატორს როგორც გერმანიის კონფედერაციის მეთაურს. გრაფი კობენცლიც; მასვე წარმოადგენდა. როგორც ავსტრიის სამეფო კარის მეთაურს. ამგვარად შეიქმნა ორი წარმომადგენლობა, ერთმანეთის მოპირდაპირე როგორც თავისი ინტერესებით, ისე მათთვის მიცემული ინსტრუქციებით. გრაფი ლერბახი ავსტრიის ინტერესებს წარმოადგენდა სხდომებზე. გრაფი მეტერნიხი წარმომადგენლობას განაგებდა. კობენცლი საქმეებს სწყვეტდა.

კამპო-ფორმიოს ხელშეკრულების რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლის შემდგომ რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს, ამ ხელშეკრულების აღსრულების მიზნით, მაინცის გადაცემის შეთანხმებას: 1) ავსტრიის ჯარები გამოდიან მაინციდან და იქ მხოლოდ კურფიურსტის ჯარები რჩებიან; იმავე საათსშიგ შედიან საფრანგეთის ჯარები და ეპატრონებიან მას; 2) ფრანგები სტოვებენ ვენეციასა და პალმანოვას და იქ მხოლოდ ვენეციის ჯარები რჩებიან ავსტრიელები იკავებენ ამ ქალაქებს, ისევე როგორც მთელ მხარეს.

შვეცია ესწრებოდა სხდომებს რაშტადტში როგორც შუამავალი და როგორც ვესტფალის ხელშეკრულების ერთ-ერთი თავმდები. რუსეთი ტეშენის ხელშეკრულების დროიდან ამასვე იჩემებდა, მაგრამ იგი ამ მომენტში ჩაბმული იყო საფრანგეთთან ომში. ვესტფალის ზავის დროიდან ევროპის მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა: იმ დროს შვეცია დიდ გავლენას ახდენდა გერმანიაზე, ის პროტესტანტული პარტიის სათავეში იდგა და დიდი გუსტავის გამარჯვებათა შარავანდედით იყო მოსილი; რუსეთი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოს, პრუსია-კი ძლივს არსებობდა. ამ ორი უკანასკნელი სახელმწიფოს განვითარებამ, ამის შემდეგ, შვეცია მესამეხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში დააყენა; მისი პრეტენზიები, მაშასადამე, სრულიად არ შეეფერებოდა მის მდგომარეობას. ამ სამეფოს კარმა ამასთანავე ისეთი უგუნურობა ჩაიდინა რომ თავის წარმომადგენლად რაშტადტში ბარონი ფერზენი დანიშნა. პატივისცემა, რომელიც მას ჰქონდა ვერსალის სამეფო კარზე, მისი ინტრიგები დამფუძნებელი კრების მიმართ და სიძულვილი საფრანგეთისადმი, რასაც იგი განუწყვეტლივ გამოხატავდა ყოველგვარი საბაბის გამო, იმდენად ნაკლებ გამოსადეგად ხდიდნენ მას ასეთი დანიშნულებისათვის რომ შესაძლო იყო მისი არჩევა აეხსნათ მხოლოდ როგორც შეურაცხყოფა რესპუბლიკისათვის. როდესაც იგი სადარბაზოდ ეწვია საფრანგეთის რწმუნებულს, როგორც ამას ეტიკეტი მოითხოვდა, ის წარუდგა მას როგორც შვეციის დესპანი და შუამავალი კონგრესზე. ნაპოლეონმა განუცხადა მას რომ „არ ვსცნობ არავითარ შუამავლებს და, მასთან, შენი ძველი შეხედულებანი ნებას არ გაძლე-

ვენ—იყო შუამავალი რესპუბლიკასა და გერმანიის იმპერატორს შორისო, და რომ მე ვერ მიგიღებო.“ ბარონი ფერხენი ამან ისე ააღელვა და იმდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ასეთმა მიღებამ რომ მან მეორე დღესვე დასტოვა რაშტადტი.

საფრანგეთის ჯარებისათვის მაინცის გადაცემის შემდეგ ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ თავი მოუყარა თათბირზე ტრეიარსა და ბონიეს და განუმარტა მათ რომ დირექტორიის ინსტრუქციები საკმაო არ აღმოჩნდაო. ამის შემდეგ განუცხადა მათ რომ მე არა მაქვს კონგრესზე კიდევ მეტ ხანს დარჩენის სურვილი და მივდივარო. საქმეები რაშტადტში უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე კამპო-ფორმიოში. საჭირო იყო გადამწყვეტი და პირდაპირი მოქმედება, რათა გათავებულიყო ეს საქმეები.

დირექტორიამ არ იცოდა რას შესდგომოდა. ტრეიარისა და ბონიეს გარდა, მან კიდევ ახალი რწმუნებულები დანიშნა. ნაპოლეონი უკვე დიდი ხანია უკმაყოფილო იყო მთავრობის ღონისძიებებისა და გადასწყვიტა აღარ ჩარეულიყო მოლაპარაკებაში, რომელიც აუცილებლად ცუდად უნდა დამთავრებულიყო. ამასთანავე მისთვის საფრანგეთის საშინაო მდგომარეობა იმის მაუწყებელი იყო რომ დემაგოგები მალე გაიმარჯვებდნენ, ხოლო მოტივებმა, რომლებმაც აიძულეს იგი მორიდებოდა სარდინიის სამეფო კართან შეხვედრას, ახლა ასევე აიძულეს იგი მორიდებოდა გერმანიის მეფეებთან შეხვედრასაც. მან სასარგებლოდ მიიჩნია—დაემთავრებინა თავისი პოლიტიკური ცხოვრების პირველი აქტი კამპო-ფორმიოს ზავით, გამგზავრებულიყო პარიზს და ეცხოვრა იქ, როგორც კერძო პირს, მანამ, სანამ გარემოება ამის საშუალებას მისცემდა.

რაშტადტში თავისი ხანმოკლე ყოფნის დროს იგი ცდილობდა შეექმნა ისეთი პირობები, როდესაც ყველა დიდის რიდით და პატივისცემით მოეპყრობოდა საფრანგეთის რწმუნებულებს, რომელთაც მანამდე არავინ თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. დიდი ხალხის წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ ეს უცხოელ რწმუნებულთაგან და მთელ გროვა პატარა გერმანელ მეფეებისაგან, რომლებიც გარსშემორტყმოდნენ კონგრესს. მან მიაღწია იმას რომ მთავრობამ მნიშვნელოვანი თანხები გადასცა რწმუნებულთა განკარგულებაში, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ—დაეცვათ თავიანთი ღირსება. ჩვეულებრივი ჯამაგირი, რასაც მათ უნიშნავდნენ, საკმარისი არ იყო, და ეს ვნებდა იმ პატივისცემას, რომლითაც უნდა მოპყრობოდნენ რესპუბლიკას.



შენიშვნები იტალიის 1796 და 1797 წწ. ლაშქრობებზე

I. ფელდმარშალ ბოლიეზე.—II. ფელდმარშალ ბოლიეს წინააღმდეგ ნაპოლეონის ბრძოლებზე.—III. ფელდმარშალ ვურმზერზე.—IV. ფელდმარშალ ვურმზერის წინააღმდეგ ნაპოლეონის ბრძოლებზე.—V. ფელდმარშალ ალვინციზე.—VI. ფელდმარშალ ალვინცის წინააღმდეგ ნაპოლეონის ბრძოლებზე.—VII. პაპის არმიის წინააღმდეგ ლაშქრობაზე.—VIII. ერცჰერცოგ კარლოსზე—IX. ერცჰერცოგ კარლოსის წინააღმდეგ ნაპოლეონის ბრძოლებზე.

I

ირველი შენიშვნა. 1. ის არმია, რომელიც განლაგებულია ზღვისპირა ალპების მწვერვალთა პოზიციებზე და ეყრდნობა თავისი მარცხენა ფრთით არჟანტიერის უღელტეხილს, მარჯვენა ფრთით—ტენდის უღელტეხილს,—იფარავს ნიცის მთელ საგრაფოს. იგი დაშორებულია ზღვას 15—18 ლიეთი, ანუ სამი-ოთხი ეჯით. მის უკან მრავალი კარგი პოზიციაა, სადაც ჯარს შეუძლია თავისმოყრა და მტრის მოძრაობის შეჩერება. ამით მას დრო ეძლევა—დაიხიოს სურვილისამებრ გენუის ან ვარის მიმართულებით. საომარ მოქმედებათა ასპარეზი აქ საკმაოდ ღრმაა და შეიძლება მისი წარმატებით დაცვა.

არმია, რომელიც დგას აპენინის მწვერვალებზე, ტანარელოდან ტანარის სენ-ბერნარამდე, ფარავს დასავლეთი რივიერის ნაწილს. მას უკავია პოზიციები, რომელიც დაშორებულია ზღვას ორი დღის სავალზე. არმიის უკან არის მონტეგრანდე, სან-ბართოლომეო, როკა-ბარბონა. პატარა მდინარე აროზია, რომელიც პიეესა და ალბენგაზე გადის, კარგი მიჯნაა მოგერიებისათვის. მაშასადამე, ამ არმიას შეუძლია აგრეთვე დაიცვას ეს ადგილი, დაიფაროს ონელია და დაიხიოს სურვილისამებრ ან გენუისკენ ან ნიცასკენ. მაგრამ ის არმია, რომელსაც უკავია აპენინის მწვერვალები ბარდინეტოდან ბოკეტამდე, სახელდობრ: სან-ჯიაკომოს, კადიბონას, მონტელეჯინოს, სტელას და მონტე-ფაიოლეს მწვერვალები, დაიფარავს, ცხადია, დასავლეთი რივიერის მეორე ნაწილს გენუამდე; მაგრამ, ვინაიდან ეს არმია დაშორებული იქნება ზღვას მხოლოდ 2—5 ლიეთი, მისი მოწყვეტა შეიძლება ერთი დღის განმავლობაში. სამხედრო მოქმედების ეს რაიონი საშიშია, რადგან მას არ აქვს საკმაო სიღრმე.

2. გენერალ ბოლიეს რომ გაეაზრებია ადგილის ეს ტოპოგრაფიული თავისებურებანი, ის არ დაიძრებოდა ვოლტრისკენ გენუის დასაფარავად, არამედ წავიდოდა აქვისა და ქაიროსკენ. იქიდან ის გამოვიდოდა ერთდროულად სამი ძლიერი თხუთმეტ-თხუთმეტათასიანი კოლონით: მარცხენა კოლონით მონტენოტეზე, მონტელეჯინოსა და სავონაზე, შუა კოლონით—კადიბონასა და ვადოზე, და მარჯვენათი—მადონა-დელა-ნევეზე, სან-ჯიაკომოსა და ფინალეზე. მას კიდევ შეენახებოდა სამარქაფო ჯარი, მზადმყოფი თითოეული ამ შემტევი

კოლონის დასახმარებლად. საფრანგეთის არმიას ჩქარა მოუხდებოდა ვოლტრიდან და გენუიდან დახევა ამ სამი მთავარი პოზიციის დასაცავად. ავსტრიის მთავარსარდალი შეევიდოდა ბრძოლაში ისეთ ადგილზე, რომელიც მეტისმეტად ხელსაყრელი იყო მისთვის, რადგან მას შეეძლო პირველ დღესავე გზა მოეჭრა საფრანგეთის არმიისათვის, მიემწყვდია იგი ზღვასთან და გაენადგურებია.

3. მონტენოტესთან ბრძოლის შემდეგ ავსტრიელებმა თავი მოიყარეს გზაზე მონფერატოში. მათ არ შეეძლოთ სხვანაირად მოქცევა, რადგან უმთავრესი მათი ძალა იმყოფებოდა ვოლტრისთან და სასელოსთან და კიდევ დაფანტული იყო მარცხენა ფრთაზე. მაგრამ პიემონტის არმია, გენერალ კოლის სარდლობით, იმის ნაცვლად რომ მილეზიმოსკენ წასულიყო, უნდა დაყრდნობოდა დეგოს და შეედგინა ბოლიეს მარცხენა ფრთა. ის აზრი, რომ ტურინის დასაფარავად საჭირო იყო ამ ქალაქს მიმავალი გზის ორთავე მხარეზე ყოფნა, მცთარია: დეგოში თავმოყრილი ჯარები დაიფარავდა მილანსაც, რადგან დადგებოდნენ მონფერატოს მიმავალ შარაგზის ორთავე მხარეზე. ისინი დაიფარავდნენ ტურინსაც, ვინაიდან ის იქნებოდა იმ გზატკეცილის ფრთაზე, რომელიც ამ ქალაქს მიდის. ბოლიეს რომ თავის განკარგულებაში ხუთი ან ექვსი დღე ჰქონოდა თავისი მარცხენა ფრთის თავმოსაყარად, ის უნდა დაძრულიყო ჩევასკენ პიემონტის არმიასთან შესაერთებლად, ვინაიდან მოკავშირეებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო საფრანგეთის არმიის საოპერაციო ხაზთან ახლო ყოფნა. სრულიად საშიში არ იყო რომ ფრანგები მონფერატოში შეევიდოდნენ, რამდენადაც მტრის არმია ჩევასთან იქნებოდა. თუ ერთიანი ძალებით იმოქმედებდნენ, მოკავშირეთა ორივე არმია რიცხვობრივად გადააჭარბებდა საფრანგეთის არმიას. თუ გაიყოფოდნენ, ისინი განწირული იყვნენ დასალუპავად.

4. დეგო და მილეზიმო ძლიერ ახლოს არიან მონტენოტესთან, რათა ორთავე არმიას, ავსტრიისა და პიემონტისას, იქ უშიშრად შეკრება შესძლებოდა. ბოლიეს უნდა შეეკრიბნა თავისი არმია აქვის წინ, კოლის-კი, რამდენადაც მათ უნდოდათ—გაყოფილიყვნენ,—მონტეცემოლოს მაღლობებზე. ამით ისინი თავიდან აიშორებდნენ მილეზიმოს და დეგოს ბრძოლებს. ორთავე მოკავშირის არმიების დივიზიები მოასწრებდნენ მისვლას ამ ორ საკრებ ადგილზე უფრო ადრე, ვიდრე საფრანგეთის არმიას შეეძლებოდა მათზე იერიშის მიტანა.

თუ თქვენ თავდაპირველ პოზიციიდან უკუგდებული ხართ, თქვენი კოლონები უნდა შეკრიბოთ საკმაო მოშორებით ამ პოზიციიდან, რათა მტერმა ვერ დაასწროს მათ. ყველაზე უფრო საშიში მდგომარეობა ისაა, როცა კოლონებს ცალკ-ცალკე უტევენ, მათი თავმოყრამდე.

5. გენერალმა ბოლიემ, პოზე გადასასვლელების დაცვის მიზნით, დაიკავა პოზიცია ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე, ვალეჯიოს ახლოს. ასე თავდაცვა არ შეიძლება მემანევრე, მოძრავ ჯართან შეტაკების დროს. საჭირო იყო პოს ორთავე ნაპირზე დადგომა, სტრადელის მაღლობზე ხიდების გადება და მათი დაცვა ძლიერი ხიდწინა სიმაგრეებით. ამით შეიძლებოდა საფრანგეთის არმიის ხელის შეშლა, რათა ის არ დაშვებულიყო ქვემოთ მარჯვენა ნაპირით და იძულებული გამხდარიყო გადასულიყო პოზე სტრადელის ზემოთ. ეს დიდ უპირატესობას მისცემდა ავსტრიის მთავარსარდალს, რადგან უზრუნველყოფდა მის თავდაცვას ორი დიდი ზღუდით—პოთი და ტიჩინოთი.

6. გენერალმა ბოლიემ მოინდომა მინჩიოს დაცვა კორდონით. ასეთი სისტემა ყველაზე უფრო ცუდია მოგერიების დროს. მას მთელი თავისი არმიით

უნდა დაეკავებია სერალიო, მას შეეძლო იქ დარჩენა 70 დღეს და არ შეშინებოდა ეპიდემიების, ვინაიდან ჯერ კიდევ მაისი იდგა. მან მანტუაში დასტოვა 13.000 კაცი მეციხოვნე, მინჩიოზე მას ჰყავდა 26.000 კაცი. ძაშასადამე, მას შეეძლო 40.000-კიციანი არმიის თავმოყრა, ე. ი. რიცხვობრივად საფრანგეთის არმიაზე მეტის, ისეთ ძლიერ პოზიციაზე, როგორიც სერალიოა, ის შეინარჩუნებდა თავის გზებს მოდენისა და ქვემო იტალიისკენ და შეეძლო დიდი რაოდენობა მარაგის შეტანა მანტუაში. ფრანგების მთავარსარდალს რომ მოეხერხებია ამ გამაგრებულ ბანაკის გადალახვა, მას გაუჭირდებოდა იმ არმიის გარემოცვა, რომელმაც დიდი ძალებით დაიკავა სენ-ჟორჟი, ჩერეა, პიეტოლე და პრადელა. ასეთი საქციელით ბოლიე არ დაარღვევდა ვენეციის ნეიტრალიტეტს. იმპერატორი მოითხოვდა და მიიღებდა რომ ვენეციის სენატს შეენარჩუნებია თავისი ნეიტრალიტეტი, და ეს დიდ უპირატესობას მისცემდა ავსტრიას.

7. ამ გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად ფელდმარშალ ბოლიეს შეეძლო ოლიოზე გადასვლის შემდეგ გავარდოს მაღლობებზე ასვლა და სანტ-ოზეტოს პოზიციის დაკავება, ამასთან, მარჯვენა ფრთა ექნებოდა კიეზაზე და მარცხენა—გარდის ტბაზე. საფრანგეთის არმია იძულებული იქნებოდა დაეკავებია პოზიცია მის პირდაპირ, ბრეშიის წინ. ის ვერ მოახერხებდა რომ გაშორებოდა მინჩიოს ხაზს მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ ავსტრიის არმიას ეკავებოდა ეს პოზიცია ან რომელიმე სხვა იდროსა და გარდის ტბებს შორის.

8. რადგან ავსტრიის მთავარსარდალს არ შეეძლო ბრძოლა იმ ცუდ მორალურ მდგომარეობაში, როგორშიც მისი არმია იმყოფებოდა, ამიტომ იმედები არ უნდა დაემყარებინა იმ სუსტ დაცვაზე, რასაც მინჩიო იძლეოდა. ამ მდინარის გასწვრივ თავისი არმიის გაფანტვით ის ასუსტებდა თავისთავს. ის უფრო ძლიერი იქნებოდა, მტკიცე პოზიცია რომ დაეკავებია ბორცვებზე გარდის ტბასა და ადიჯეს შორის, რივოლის ტაფობის წინ, და ამ პოზიციას თუ დაიფარავდა სანგრებით. ბოლიეს შეეძლო მოეთხოვა მაშინ რომ ვენეციელებს დიდი ძალებით დაეკავებიათ ბესკიერის ციხე და უარი ეთქვათ იქ საფრანგეთის არმიის შეშვებაზე, ისევე როგორც მათ უარი სთქვეს ავსტრიის არმიის შეშვებაზედაც. ვერონა, ციხე—3.000 მეციხოვნე სლავონელით, აგრეთვე უარს იტყოდა ფრანგების შეშვებაზე, ვინაიდან ცხადი იყო რომ უარს იტყოდა ავსტრიელების შეშვებაზედაც. ასეთ უპირატესობათა მიღწევით ავსტრიის მთავარსარდალს შეეძლო მათი მეოხებით თავისი კორდონის გაძლიერება მინჩიოზე. მან თვითონ დაარღვია ვენეციის ნეიტრალიტეტი ბესკიერის დაკავებით.

II

მეორე შენიშვნა. 1. როდესაც საფრანგეთის არმია ჩევასკენ გაემართა პიემონტის არმიაზე შესატევად, ლაჰარპის დივიზია დასტოვეს, რათა თვალყური ედევნებია აქვის ბანაკისათვის, სადაც ბოლიე აგროვებდა ავსტრიის მთელ არმიას. თითქოს, ამ მზვერავი ნაწილის ბუნებრივი პოზიცია უნდა ყოფილიყო ბორმიდის ნაპირები, დეგოს წინ, რათა დაეფარა საოპერაციო ხაზი სავონაზე. საჭიროა აღინიშნოს რომ თუ ნაპოლეონმა ამჯობინა პოზიცია ბელბოზე, სან-ბენედეტოს წინ, დეგოდან მარცხნივ ორ ეჯზე, და ღიად დასტოვა სავონის გზატკეცილი,—მისი მიზანი იყო სწორედ ის რომ თავმოყრილი ჰყო-

ლოდა თავისი არმია, რათა ბოლიეს ვერ შესძლებოდა ადგილის დაკავება მის დივიზიებს შორის და მათი იზოლირება. სან-ბენედეტოს ბანაკი იფარავდა არმიას, რომელიც ჩევაზე მანევრებს აკეთებდა. თუ ბოლიე დეგოსკენ წავიდოდა, სან-ბენედეტოში მდგომი კორპუსი შეუტევდა მას გვერდიდან და ზურგში. თუმცა, გზა გარესიოსა და ორმეასკენ გახსნილი იყო. სან-ბენედეტოს ბანაკის ამორჩევა, მზვერავი კორპუსის იქ დასადგომად, დაფიქრების ღირსია.

2. სერიურიეს და მასენას დივიზიები წავიდნენ მონდოვზე. მათ საკმაო ძალები ჰყავდათ. რადგან ამავე დროს ბოლიემ გამოჰყო რაზმი აქვიდან ნიცა-დელა-პალიაზე, ამიტომ ოჟეროს დივიზიამ ბრძანება მიიღო რომ წასულიყო სენ-ბენედეტოს ბანაკის დასახმარებლად. მონდოვის ბრძოლის შემდეგ ის ალბისკენ გაემართა, და ნიცა-დელა-პალიაზე გაგზავნა მოწინავე რაზმი.

3. ამბობდნენ რომ ნაპოლეონი უნდა გადასულიყო მდ. პოზე არა პიაჩენცაში, არამედ კრემონაშიო; ეს არაა სწორი. ეს გადასვლა ისედაც საკმაოდ გაბედული იყო, ვინაიდან პოს გასწვრივ ალესანდრიამდე მოძრაობის დროს ფრანგების გვერდი ხვდებოდა ავსტრიის არმიის დარტყმის ქვეშ 20 ლიეს მანძილზე. ეს მოძრაობა რომ გაგრძელებულიყო კიდევ 7 ლიეზე, საშიშროება გვერდისთვის შესაბამისად გადიდდებოდა. ბოლიე, როცა ფომბიოს მივიდოდა, გადავიდოდა პოზე პიაჩენცაში და თავს დაატყდებოდა მიმავალ კოლონებს. ამასთან, პიაჩენცა მდებარეობს მარჯვენა ნაპირზე და ამ ქალაქს ჰქონდა საშუალებანი რომ მდინარეზე გადასასვლელი მოეწყო. კრემონა მდებარეობს მარცხენა ნაპირზე და ავსტრიის იქ მყოფი პატარა რაზმები საკმაო იქნებოდა რომ შეეჩერებია მდინარეზე გადასვლა.

4. ამბობენ: საფრანგეთის არმია ლოდის ბრძოლის შემდეგ რომ მანტუასკენ დაძრულიყო, ის ნახავდა ამ ციხეს უსურსათოდ და უიარაღოდ და შეეძლო მისი დაპყრობაო. ასეთი ვარაუდი ძალიან სახიფათოა. არმიამ რამდენსამე დღეში მთელი ლომბარდია დაიპყრო. მას მოუხდა იქ შეჩერება ციხეების გარემოცვის მოსაწყობად, მნიშვნელოვან პუნქტების დასაკავებლად და მართვა-გამგეობის მოსაგვარებლად. ის რაც ფრანგებმა ამ გარემოებაში გააკეთეს, წარმოადგენს სისწრაფის და აქტივობის მაქსიმუმს. რაღაც ამაზე მეტის მონდომება—ნიშნავს შეუძლებელის მოთხოვნას. იმ ექვსი დღის განმავლობაში, რომელიც საფრანგეთის არმიამ ლომბარდიაში გაატარა, მან გაიორკეცა თავისი საშუალებანი მით რომ გაადიდა არტილერიის მატერიალური ნაწილი, მოაგროვა ახალი ცხენები ცხენოსან ჯარისთვის და წამოსწია წინ ზურგში ჩამორჩენილები.

5. ბორგეტოს ბრძოლა მოხდა 30 მაისს 1796 წელს; ვურმზერის იერიში მოხდა 1-ლ აგვისტოს. ამ სამოცდღიან შუალედში არმია გადავიდა პოზე, დაიპყრო ფერარის და ბოლონიის სალეგატოები, ურბინოს ციხე, ფერარის სიმაგრე, ლივორნო და განაიარაღა ეს პროვინციები. ჯარი დაბრუნდა ადიჯეზე უფრო ადრე, ვინემ ვურმზერს საშუალება მიეცა—დაეწყო თავისი ოპერაცია. დრო კარგად იყო გამოყენებული. არმიის ძალა, როგორც მოძრაობის რაოდენობა მექანიკაში, უდრის მასას სიჩქარეზე გამრავლებულს. ამ ლაშქრობამ არა თუ დაასუსტა არმია, არამედ გაზარდა ის ნივთიერად და ზნეობრივად და გაადიდა მისი სახსრები გამარჯვებისათვის.

6. ნაპოლეონს რომ შეესრულებია მთავრობის ბრძანება—20.000 კაცით რომსა და ნეაპოლზე გალაშქრებისა და კელერმანის უფროსობით არმიის მეორე ნაწილის მანტუასთან დატოვებისა,—იტალია და არმიაც დაკარგული იქნებოდა. უეჭველია, თუ ამას ჩაიდენდა, ის მხოლოდ დაემორჩილებოდა უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებას, მაგრამ მაინც დამნაშავე იქნებოდა.

მთავარსარდალს არ შეუძლია ამოეფაროს მინისტრის ან ხელმწიფის ბრძანებას, როცა ისინი დაშორებული არიან ომის ასპარეზს და ცოტა იციან ან სულ არ იციან საქმის ვითარება. 1) ყოველი მთავარსარდალი, რომელიც ხელს ჰკიდებს ისეთი გეგმის შესრულებას, რაც მას უვარგისად და დამღუპველად მიაჩნია, დამნაშავეა. მან დაჟინებით უნდა მოითხოვოს რომ გეგმა შესცვალონ, და ბოლოსდაბოლოს უნდა გადადგეს მაგრამ არ უნდა გახდეს მიზეზი თავისი ჯარების დაღუპვისა. 2) ყოველი მთავარსარდალი, რომელიც უმაღლესი ბრძანების გამო ბრძოლას გაუმართავს მტერს და დარწმუნებული იქნება რომ ბრძოლას წააგებს, აგრეთვე დამნაშავეა. 3) მთავარსარდალი პირველი უფროსია სამხედრო იერარქიაში. მინისტრი და ხელმწიფე ინსტრუქციებს იძლევიან; ის უნდა შეეწყოს ამ ინსტრუქციების სულსა და აზრს. მაგრამ ეს ინსტრუქციები სრულებითაც არ არიან საბრძოლო ბრძანებები და არ მოითხოვენ პასიურ დამორჩილებას. 4) საბრძოლო ბრძანებაც-კი მხოლოდ მაშინ მოითხოვს პასიურ დამორჩილებას, როდესაც ის გაცემულია უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ, რომელიც იმ წუთს იქვეა, ბრძოლის ველთან, იცის საქმის გარემოება, შეუძლია მოისმინოს საწინააღმდეგო აზრი და აუხსნას და განუმარტოს ბრძანება იმას, ვინც ვალდებულია ის შეასრულოს.

ტურვილმა 40 გემით იერიში მიიტანა ინგლისის 80 გემზე. საფრანგეთის ფლოტი დაიღუპა. ლუი XIV-ის ბრძანებით აქ თავის გამართლება არ შეიძლებოდა, მეფის ბრძანება არ ყოფილა საბრძოლო ბრძანება, რომელიც პასიურ დამორჩილებას მოითხოვს,—ის იყო ინსტრუქცია. იგულისხმებოდა გამოპირობება: თუ, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გამარჯვების თანასწორი შანსები იქნებაო. ამ შემთხვევაში ადმირალის პასუხისმგებლობა მისგან მოხსნილი იქნებოდა ხელმწიფის ბრძანების ძალით. მაგრამ ბრძანების შესრულება სიტყვა-სიტყვით, როცა წინდაწინ იცი რომ დამარცხება გელის,—ნიშნავს მხოლოდ იმას რომ აღსრულებელმა ვერ გაიგო ბრძანების აზრი. ადმირალი რომ წარსდგომოდა ლუი XIV-ს და ეთქვა: „ხელმწიფევ, მე რომ თავს დავსხმოდი ინგლისელებს, მთელი თქვენი ესკადრა დაიღუპებოდა, და ამიტომ მე შევაფარე იგი ამადაამ ნავსადგურშიო,“—მეფე მხოლოდ მადლობას გადაუხდიდა მას როგორც თავისი ბრძანების სწორად შემსრულებელს.

ამართლებენ ორლეანის ჰერცოგის საქციელს ტურინთან 1706 წ. ისტორიკოსებმა მას ყოველგვარი ბრალი მოხსნეს. ორლეანის ჰერცოგი, წმინდა სისხლის სეფეწული, რეგენტად იყო, თავაზიანი ქცევა ჰქონდა მწერლები მას წყალობდნენ, მაშინ როდესაც მარშენს, რომელიც ბრძოლის ველზე მოკლული დარჩა, არ შეეძლო თავის მართლება. თუმცა ცნობილია რომ მან, როცა კვდებოდა, პროტესტი განაცხადა მიღებული გადაწყვეტილების—ხაზზე დარჩენის—

წინააღმდეგ. მაგრამ ვინ იყო იტალიაში საფრანგეთის არმიის მთავარსარდალი? ორლეანის ჰერცოგი. მარშენი, ფელიადი, ალბერგოტი მისი ხელქვეითები იყვნენ. მასზე იყო დამოკიდებული სამხედრო საბჭოს აზრის მიღება ან არმიღება. საბჭოს ის თავმჯდომარეობდა. მასზე იყო დამოკიდებული — დათანხმებოდა თუ არა სამხედრო საბჭოს დადგენილებას. ჰერცოგს არ უშლიდნენ სარდლობას. არავის არ უთქვამს უარი მისდამი მორჩილებაზე. 1) მას რომ ბრძანება მიეცა არმიისათვის, რათა ის თავისი ხაზიდან დაძრულიყო; 2) მას რომ ებრძანებია მარცხენა ფრთისთვის მდ. დორაზე გადასვლა მარჯვენა ფრთის გასაძლიერებლად; 3) მას რომ ზუსტად ებრძანებია ალბერგოტისათვის პოზე გადასვლა, გენერლებს კი უარი ეთქვათ ბრძანების შესრულებაზე იმ საბაბით რომ ისინი არ არიან ვალდებულნი დაემორჩილონ მას,— ჰერცოგი გამართლებული იქნებოდა. მაგრამ აკი, როგორც ამბობენ, ალბერგოტიმ არ შეასრულა ბრძანება, რომელიც მან მიიღო, პოს მარჯვენა ნაპირზე რაზმის გაგზავნაზე. მან გაბედა შედავება. ეს მუდამ ხდება, და ეს არ არის ურჩობა. ჰერცოგს რომ გადაჭრილი ბრძანება გაეგზავნა,— მას დაემორჩილებოდნენ. დამარცხების შემდეგ არმიას ასტისკენ უნდა დაეხია, რათა ლომბარდია დაეფარა და შეერთებოდა მედავის არმიას, რომელმაც გაიმარჯვა იმავე დღეს კასტილიონესთან. პრინც-მთავარსარდალმა შესცვალა გადაწყვეტილება და დაიხია პინიეროლზე იმიტომ რომ ლომბარდიის გზა მოჭრილი ეგონა. თუ იმ დროში გავრცელებული ანეგდოტი მართლაც სისწორით გადმოგვცემს რომ ორლეანის ჰერცოგი მხოლოდ სახელად იყო მთავარსარდალი და სარდლობის უფლებაზე მარშენს ჰქონდა მეფის საიდუმლო ბრძანებაო, მაშინ ორლეანის ჰერცოგმა, რომელიც დათანხმდა ასეთ როლს ოცდათორმეტი წლის ჰასაკში, ღირსების შემლახველი საქციელი ჩაიდინა, საძაგელი და სასირცხო სულ უკანასკნელი აზნაურისთვისაც-კი. ფრანგებს რომ გაემარჯვათ, ვინ დაიმსახურებდა სახელს? გრაფ მარშენს ჰქონდა მეფის წერილი ჰერცოგისადმი, სადაც მეფე ურჩევდა ამ ახალგაზრდა პრინცს—ყურად ეღო მარშენის აზრი, — მეტი არაფერი. ორლეანის ჰერცოგს მთავარსარდლად ცნობდნენ გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები. არავის არ უთქვამს უარი მისდამი მორჩილებაზე, და ის იყო პასუხისმგებელი ყველა იმისა, რაც მოხდა.

გენერალი ჟურდანი ამბობს თავის მემუარებში რომ მთავრობამ განკარგულება გასცა—სიტყვა ჩამოეკრათ ჩემთვის: შტოკახთან მტერთან შებმის სასურველობაზეო. ის ამნაირად ცდილობს გაამართლოს ამ საქმის სამწუხარო ბოლო. მაგრამ ასეთ მართლებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, თუნდაც ოფიციალური და გადაწყვეტილი ბრძანებაც რომ მიეღო, როგორც ეს ჩვენ დავამტკიცეთ. როდესაც მან მტერთან შებმა გადასწყვიტა, მას ეგონა რომ მოგების შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ის შეცთა.

მაგრამ განა არ შეიძლება მოხდეს რომ მინისტრმა ან ხელმწიფემ გამოსთქვას თავისი განზრახვა საკმაოდ მკაფიოდ და უთხრას მთავარსარდალს: „შეებით მტერს. მტრის ჯარის რიცხვისა და ხარისხის მიხედვით და იმ პოზიციებისა, რომლებიც მას უჭირავს, თქვენ დამარცხებული იქნებით, მაგრამ სულერთია,—ასეთია ჩემი ნება“. უნდა შეასრულონ თუ არა მორჩილად ასეთი ბრძანება? არა, თუ მთავარსარდალი ცნობს ასეთი უცნაური ბრძანების სარ-

გებლობას და იმავე დროს მორალურ ღირებულობას, მან ის უნდა შეასრულოს, მაგრამ თუ ამას არა ცნობს, ის არ უნდა დაემორჩილოს მას.

სხვათაშორის ასეთი ამბები ხშირად ხდება ომში: ათასეულს სტოვებენ ადგილზე გაჭირვებულ მდგომარეობაში, რათა გადაარჩინონ არმია. ამ ათასეულის მეთაური ღებულობს ზედმიწევნითი ბრძანებას თავისი უფროსისაგან რომელიც ამ წუთს იმ უბანზე იმყოფება, რომლის შესახებაც ის ბრძანებას იძლევა. ეს უფროსი განმარტავს ყველა სადავო საკითხს თუ ეს საკითხები გონიერად ისმება. აქ საბრძოლო ბრძანებაა მიცემული იქვე, ადგილზე მყოფი უფროსის მიერ, და ასეთ ბრძანებას ბრმად უნდა დაემორჩილონ. თუ მინისტრი ან ელმწიფე არმიასთან იმყოფება და თუ სარდლობას კისრულობს, ის ხდება მთავარსარდლად. მთავარსარდალი მაშინ იქცევა ხელქვეით (დივიზიის) გენერალად, მხოლოდ.

აქედან არ უნდა დავასკვნათ რომ მთავარსარდალი არ უნდა დაემორჩილოს მინისტრს, რომელიც ბრძანებას აძლევს მას—შეებას მტერს. მან, პირიქით, უნდა შეასრულოს ასეთი ბრძანება ყოველჯერ როცა, მისი აზრით, ორსავე მხარეზე თანასწორი შესაძლებლობანია და თანასწორი ვარაუდები, ვინაიდან ჩვენი შენიშვნა ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როცა შანსები სრულებით მის წინააღმდეგ აღმოჩნდება.

III

მესამე შენიშვნა. 1. გენერალ ვურმზერისმ გეგმამ აგვისტოს დამდეგს მარცხი განიცადა. მისი სამი კორპუსი: ერთი—მისი უშუალო სარდლობით, მეორე—კვაქდანოვიჩის სარდლობით, მესამე—დავიდოვიჩის სარდლობით, ერთმანეთშორის გაყოფილი იყო ორი დიდი მდინარით—ადიჯეთი და მიწჩიოთი, რამდენიმე ქედით და გარდის ტბით.

ვურმზერი უნდა გამოსულიყო მთელი თავისი ძალებით გარდის ტბასა და ადიჯეს შორის, დაეპყრო რივოლის ტაფობი და შეერთებოდი ინკანალში თავისს არტილერიას. 70.000—80.000 კაცი, ამგვარად დაყენებული, მარჯვენა ფრთით მიკრული გარდის ტბაზე, მარცხენათი ადიჯეზე, 3 ლიე ფრონტით, შიშს მოჰგვრიდა საფრანგეთის არმიას, რომელსაც ძალიან 30.000 მებრძოლი ჰყავდა და ვერ შეეძლო გამკლავებოდა მათ.

მას შეეძლო აგრეთვე გამოსვლა მთელი თავმოყრილი არმიით კიეზით ბრეშიაზე; არტილერიას შეეძლო აქ გასვლა.

2. მან შეცთომა ჩაიდინა, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა; ეს იყო ორი დღის დაკარგვა გზაში მანტუასკენ. მას, პირიქით, უნდა გაეფდვა ორი ხიდი მინჩიოზე, პესკიერიდან ზარბაზნის სროლის მანძილზე, სწრაფად გადასულიყო ამ მდინარეზე, შეერთებოდა თავის მარჯვენა ფრთას ლონატოში, დეზენცანოში, სალოში და, ამგვარად, სწრაფად გამოესწორებია თავისი გეგმის ნაკლოვანობანი.

3. ისეთი მიმართულებებით მოქმედება რომლებიც დაშორებულია ერთიმეორეს და არ არიან დაკავშირებული გზებით,—შეცთომაა რომელიც პრაქტიკაზე კიდევ მეორე შეცთომას იწვევს. ცალკეული კოლონა განკარგულებას მხოლოდ პირველი დღისათვის ღებულობს. მისი მოქმედება მეორე ღღეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდა მთავარ კოლონაში; ის ან კარგავს დროს

ბრძანების მოლოდინში ან ალალ ბედზე მოქმედობს. ამ გარემოებაში ვურმზერს თავიდან უნდა აეშორებინა ეს უხერხულობა და ებრძანებია კვაჟდანოვიჩისათვის—გასულიყო არა მარტო ბრეშიასთან, არამედ მანტუასთანაც, და თვითონაც სწრაფად უნდა დაძრულიყო მთავარი კორპუსით ამ ციხექალაქისაკენ. კვაჟდანოვიჩი, როცა მანტუას მივიდოდა, თუ ბრეშიასთან არ შეაჩერებდნენ, აიძულებდა ალყის მოხსნას, მოექცეოდა ამ სიმაგრის სანგრების საფარში და იცხოვრებდა ციხის მარაგის ხარჯზე. მისი შეერთება დანარჩენ არმიასთან მოხდებოდა აქ წინასწარ დანიშნულ და უსაშიშრო ადგილზე. თუ ვურმზერს დაამარცხებდნენ მანტუაში მისვლამდე, კვაჟდანოვიჩი მიაწოდებდა ციხოვანთ სურსათ-სანოვაგეს. მას შეეძლო დიდხანს დაეკავებია სერალიო; როგორ უნდა მოქცეულიყო იგი—ამას, ბოლოსდაბოლოს, დაანახებდა გარემოება.

როგორც წესი, არმიას თავისი კოლონები ისე შეერთებულად უნდა ეჭიროს რომ მტერმა ვერ შესძლოს მათში შესოლება. როცა ამ წესიდან გადახვევა უხდებათ, საჭიროა რომ არმიის გამოყოფილი ნაწილები დამოუკიდებელი იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და გაიგზავნონ შესაერთებლად განსაზღვრულ პუნქტზე, საითკენაც ისინი უნდა წავიდნენ უყოყმანოდ და შემდგომ ბრძანებათა მიუღებლად, რათა ამით შეამცირონ საშიშროება რომ მათ, იზოლირებულ მდგომარეობაში, მტერი არ დაესხესთ.

4. სექტემბრის დამდეგს ვურმზერმა შეტევა დაიწყო, დაიძრა ბასანოსკენ 30.000 კაცით, და დასტოვა დავიდოვიჩი ტიროლში 30.000 კაცით. ის უნდა დალოდებოდა ფრანგების მთავარსარდლის წამოწევას ტიროლს და ებრძანებინა დავიდოვიჩისათვის—არ შებმოდა მტერს როვერეტოსთან და დაეხია ბასანოსკენ, რათა შეერთებული ძალით შებმოდა საფრანგეთის არმიას. ტიროლის ლაშქარი საკმაო იყო რომ ავიჩიოს ხეობა დაეცვა. ის უნდა მოქცეულიყო ასე, რათა მოხვედრილიყო ბრძოლის ველზე ტიროლში და დავიდოვიჩისათვის ებრძანებია—დაეხია კალიანოზე და ავიჩიოს ხეობაზე. მარკო, მორი და როვერეტო კარგი პოზიციებია, მაგრამ ისინი ვერ გაუძლებენ შემტევი ჯარის იერიშს. მთის ვიწროებში შეტაკებების დროს დამარცხებული კოლონები ერთმანეთს ეხლებიან და მტერს უვარდებიან ხელში.

5. ძალიან გვიან იყო როცა ვურმზერმა შეადგინა გენერალ მესაროშის დივიზიის ვერონაზე ლაშქრობის გეგმა. ეს ლაშქრობა ფრანგებს გათვალისწინებული ჰქონდათ. იქ იყო კილმენი მცირე მზვერავი კორპუსით. ვურმზერი უფრო კარგს იზამდა, ეს დივიზია რომ ბასანოში დაეტოვებია დანარჩენი ორი დივიზიის დასახმარებლად. თუ მას უნდოდა თავისი ძალების ერთი ნაწილით მანტუის წინააღმდეგ მოქმედება, მას უნდა მიემატებია ამ დივიზიისათვის 2.000 ცხენოსანი, 30 ზარბაზანი, საბონდო პარკი და გაეგზავნა იგი არა მარტო ვერონაზე, არამედ ალბარედოზეც, სადაც მას შეეძლო ხიდის გადება და სწრაფად გალაშქრება მანტუაზე. ეს ციხექალაქი განთავისუფლდებოდა, საფრანგეთის არმიის ზურგი ძლიერ საფრთხეში ჩავარდებოდა, და ვერონის აღებაც-კი შესაძლებელი იქნებოდა ზურგიდან. ამგვარად გაძლიერებულ მანტუის ციხოვანთ შეეძლოთ დიდხანს შეენარჩუნებიათ გაბატონებული მდგომარეობა. ფელდმარშალს მაშინ უნდა დაეხია ორი დანარჩენი დივიზიით, პარკებითა და თავისი შტაბით ბასანოდან პიაცენკენ. საფრანგეთის არმია იძულებული იქნებოდა

თავისი მარცხენა ფრთით მდგარიყო ავიჩიოს ხეობაში—ტრიენტის წინ, თავისი შუაგულით—პიავეზე, რათა წინააღმდეგობა გაეწია ავსტრიის არმიის მთავარი ძალებისათვის, და, ბოლოს, გაჩქარებულიყო თავისი ზურგის გზებით მანტუასკენ ბლოკადის აღსადგენად. ეს ბევრ დავიდარაბას შეამთხვევდა საფრანგეთის მცირე არმიას და შეეძლო ძირფესვიანად შეეცვალა მდგომარეობა.

6. ვურმზერის წასვლა ადიჯეზე 16.000 კაცით, რომელიც დარჩა მას არმიიდან, იძულებითი იყო. მას გარს უნდა შემორტყმოდნენ, ჩაეგდოთ მდინარეში და დაეყრევინებინათ იარაღი, ვინაიდან მას არ ჰქონდა საბონდო პარკი. ორი საბონდო პარკი და სათადარიგო პარკები ბასანოში წაართვეს. მან შესძლო მისვლა მანტუაში მხოლოდ ათასეულის ერთი მეთაურის შეცთომის წყალობით: ამ მეთაურმა ლენიაგო დასცალა.

7. სწორი არ იყო, ფელდმარშალმა რომ ლენიაგოში 1.800 კაცი მეციხოვნე ჯარი დასტოვა და რამდენიმე ბატარია. ადიჯეზე დახევა, სადაც თავმოყრილი იყო საფრანგეთის მთელი არმია, მას უკვე აღარ შეეძლო. ის უნდა ცდილიყო—მიეღწია მანტუამდე. თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ, იქნებ, მისთვის უფრო ადვილი ყოფილიყო მილანში შესვლა, ვიდრე ლენიაგოში დაბრუნება. მან თავი დაისუსტა და ტყვილა შესწირა ხალხი.

8. ვურმზერი სწორად ვერ მოიქცა როცა სენ-ჟორჟთან მტერს შეება, ვინაიდგან მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო სერალიოში დგომა.

9. ფელდმარშალს შეეძლო, რადგან სერალიო მას ეკავა, გადასულიყო პოზე თავისი ცხენოსანი ჯარით, გრენადერთა რამდენიმე ათასეულით და ბატარიებით, დაშვებულიყო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირით, გადასულიყო ქვედა პოზე, ქვედა ადიჯეზე და მისულიყო პადუას, ფრანგების მთავარსარდალი ამ ამბავს ძალიან გვიან გაიგებდა, მას ვეღარ შეეძლებოდა საწინააღმდეგო მოქმედება. ამგვარად, ვურმზერი გადაარჩენდა მთელ თავის ცხენოსან ჯარს, არტილერიის დიდ ნაწილს, არმიის შტაბს, მთელ მთავარ ბანაკს და ავსტრიის იარაღის ღირსებას.

IV

მეოთხე შენიშვნა. 1. ბრეშიაში იყო ჰოსპიტალი, ფრანგების სამარაგო საწყობი და ციხოვანთა მხოლოდ სამი ასეული. ესენი ტყვედ ჩაცვივდნენ.

ციხე რომ იერიშისაგან დაცული ყოფილიყო, რაც სწორედ ასეც უნდა გაეკეთებიათ, ეს არ მოხდებოდა.

2. სორეს დივიზიას, რომელიც სალოში იყო, მოწინავე რაზმი უნდა ჰყოლოდა იდროს ტბაზე, როკა-დ'ანფოში, რათა დაეცვა გზატკეცილი კიეზიდან ლოდრონამდე. ეს ხელს შეუშლიდა ბრეშიისა და სალოს უეცარ დაპყრობას. ჯარი გაფრთხილებული იქნებოდა 12 საათით ადრე და მოასწრებდნენ თავდაცვისთვის მომზადებას.

3. რადგანაც გარდისა და იდროს ტბებს შორის არის მხოლოდ ერთი გზა არტილერიისათვის და გადის როკა-დ'ანფოში და, სალოში მიმავალს, სწორედ ამ ხევში უნდა გაევლო,—უკეთესი არ იქნებოდა რომ სორეს დივიზია დაეყენებიათ პოზიციებზე იდროს ტბასთან, ანფოს ხეობის გაღმა, და

დაეკავებიათ ხეობის გამოსასვლელები იდროს ტბასთან სანგრებით, თხრილებით ორი შეიარაღებული ორჩხომელით? კვაჟდანოვიჩს 24 საათი დასჭირდებოდა ამ პოზიციის დასაპყრობად. ეს იძლეოდა ბრეშიის, სალოს, ვერონისა და მთავარი ბანაკის გაფრთხილების შესაძლებლობას. ის პოზიცია, რომელიც სალოში სორეს დივიზიას ეკავა, არაფერს არ იცავდა და არ იფარავდა. უნდა გამოვტყდეთ რომ ეს დივიზია ცუდად იყო განლაგებული და ეკავა არა ის პოზიციები, რომლებიც მას უნდა დაეკავებია თავისი მიზნის შესასრულებლად: ადგილის დაფარვა კიეზიდან გარდის ტბამდე.

4. ამბობდნენ რომ მასენას დივიზიის ლაშქრობა ადიჯეს მარცხენა ნაპირზე და ვობუას დივიზიისა—კიეზაზე სექტემბერში ისეთივე მარცხიანი იყო როგორც ვურმზერისა და კვაჟდანოვიჩისა აგვისტოშიო, რადგან ორთავე შემთხვევაში კოლონები ერთნაირად იყოფოდნენ ერთიმეორიდან ადიჯესა და მინჩიოს მდინარეებით, გარდის ტბითა და მთებითაო. ეს მტკიცება სწორი არაა. ეს ორი ლაშქრობა უკუმოპირდაპირეა მიმართულებით. ვურმზერი და კვაჟდანოვიჩი დაშორდნენ ერთმანეთს როვერეტოსთან, სადაც ისინი იყვნენ შეერთებული, და წავიდნენ ბლაგვი კუთხის წარმომქმნელ ორი მიმართულებით ისე რომ თითოეული შემდეგი დღე მათ უფრო აშორებდათ ერთიმეორეს. თავისი ლაშქრობის მესამე დღეს ერთი აღმოჩნდა ბრეშიაში, მეორე—რივოლში. სწორედ იმ მომენტში, როდესაც მათ მოელოდათ მტერთან შეხვედრა და ოპერაციის შესრულება, ისინი აღმოჩნდნენ ერთმანეთს დაშორებული ორი მდინარით, ტბითა და მთებით. ფრანგის ორივე კოლონა, პირიქით, სვლის დაწყების წინ ერთი ადიჯეზე იდგა და მეორე—ბრეშიაში. ისინი მიდიოდნენ კუთხის ერთ მხარეზე მის წვეროსაკენ, ასე რომ მესამე დღეს მივიდნენ ერთი მორს და მეორე—მარკოს. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და იყოფოდნენ მარტო ადიჯეთი, რომელზედაც გასდეს ორი ხიდი—სერავალესა და როვერეტოში. ამ კოლონებს არადროს არ გაუწყვეტიათ კავშირი ერთიმეორესთან. და ეს კავშირი თანდათან უფრო მოკლე და ადვილი გახდებოდა იმისდა მიხედვით ოამდენადაც ისინი მტერს უახლოვდებოდნენ. ბოლო დროს შეეძლოთ ერთმანეთის გადაძახება. ვურმზერის ორივე კოლონა გამოდიოდა მთებიდან მაშინ, როცა ფრანგის კოლონები სტოვებდნენ ველს და შედიოდნენ ხეობებში, სადაც რიცხვს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან ორთავეს ტრიენტამდე მისვლა ჰქონდა მიზნად, ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს რამდენადაც სამხედრო მოქმედებათა ვიწრო ასპარეზზე შედიოდნენ.

5. ფუ ცნობილია, რომ ორივე ეს ოპერაცია შეუდარებელია, შეიძლება თუ არა დასკვნა აქედან რომ ფრანგების მთავარსარდლის ლაშქრობა წესიერად იყო ჩატარებული? არ ითქმის რომ ეს ლაშქრობა უხიფათო ყოფილიყო, მაგრამ საშიშროება დიდი არ იყო. ვობუას რომ არ შესძლებოდა ბრეშიითა და ლოდრონთ გასვლა, —მას მოუხდებოდა პოლს დაბრუნება და იქ ადიჯეზე გადასვლა. ეს გამოიწვევდა ხუთი დღით დაგვიანებას. მასენასი და ოჟეროს დივიზიები უკვე კოლონებად მიდიოდნენ ერთ გზაზე, ვიწრო ხეობებში. ვობუას დივიზია მხოლოდ ზედმეტი ხელისშემშლელი იქნებოდა. ნაპოლეონმა დაწვრილებითი დარიგება მისცა არა მარტო გენერალ ვობუას, არამედ გენერალ სენტ-ილერსაც, სანდო

ოფიცერს, რომელიც მოწინავე რაზმს სარდლობდა. ის მათ ურჩევდათ—კარგად დაეზვერათ ადგილი წინ და არ ჩაბმულიყვნენ შეტაკებებში თუ მტერი ჭარბი ძალებით გაუთვალისწინებლად და მოულოდნელად შეხვდებოდათ მათ გზაზე. ამ მიზნებისთვის მათ შორს უკან უნდა დაეყენებიათ პარკები და აღალი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ადვილად დახევა ერთ ეჯზე. ბოლოს, ვობუას დივიზიას მუდამ კავშირი ჰქონდა არმიასთან—ჯერ რივადან, შემდეგ სარკას ხიდიდან. ის სამჯერ დღეში აგზავნიდა და ღებულობდა ცნობებს.

6. ამბობდნენ: ნაპოლეონს რომ ლენიაგო დაეკავებია როგორც ციხე, დაენიშნა იქ ციხისთავი, ადიუტანტები, არტილერიისა და საინჟენერო ოფიცრები, საინტენდანტო კომისარი; მოეგროვებია იქ მარაგი და დაეყენებია 4.000—5.000 ციხოვანი,—მაშინ ამ ციხისთავს აზრად არ მოუვიდოდა მისი დაცლა, და ვურმზერს აღარ შეეძლო მისი აღება, ვინაიდან ეს მას დაღუპავდა.

ნაპოლეონმა ეს იგრძნო და შემდგომ განკარგულება მოახდინა რომ ლენიაგო გაემაგრებიათ.

7. თავიდანვე რომ სენ-ჟორჟში ხანდაკოვანი ხაზები გაეკეთებიათ, ეს ძლიერ შებოჭავდა ვურმზერს. შემდეგში ნაპოლეონმა განკარგულება გასცა რომ ეს ხაზები გაეკეთებიათ. ისინი ხელს უწყობდნენ ფავორიტის ბრძოლის გამარჯვებას.

საფრანგეთის არმიას, რომელიც მანტუას გარს ადგა. ადიჯესა და მონტებალდოზე მდგომ მზვერავ კორპუსზე დამოუკიდებლად, უნდა ჰქონოდა წინა საგუშაგოები მოლინელას და ტარტაროს მდინარეების ნაპირებზე. მცირე მუშაობით შეიძლებოდა ლენიაგოდან მანტუას მიმავალ გზატკეცილისა და მთელი ადგილისა პოდან როვერბელამდე გაუვალად გადაქცევა თუ წყალს მოუშვებდნენ.

8. ზოგიერთი გაიძახოდა რომ ტიროლზე საფრანგეთის არმიის გავლის დროს და მისი მოძრაობისას მარჯვნით ბრენტის ხეობებში ბასანოსკენ,—იგი საშიშ მდგომარეობაში ვარდებოდაო; რომ, თუ ვურმზერი ვერონისკენ დაიძრებოდა,—იგი დასახევ გზას მოუჭრიდა მას და მოამწყვდევდა ტიროლის ხეობებშიო; რომ ეს ოპერაცია გაბედულობის საზღვრებს სცილდებოდა,—ის უგუნურობა იყო და არღვევდა ომის წარმოების წესებსაო.

როვერეტოს ბრძოლა მოხდა 1796 წ. 4 სექტემბერს, და ბასანოს ბრძოლა—8 სექტემბერს. 4 სექტემბერს საღამოს ფრანგებმა ხელთ იგდეს 9.000 ტყვე და მწყობრიდან გამოიყვანეს ავსტრიის ნახევარი არმია. 5-ს ვურმზერის მთავარი ბანაკი კიდევ ბორგო-დი-ვალ-სუტანაში იდგა ბასანოსკენ მიმავალ ორი დივიზიით-ურთ და ერთი დივიზია იმავე საღამოს მივიდა ბასანოს ღამის სათევზე. ასეთ მდგომარეობაში ფელდმარშალს ადიჯეს მიმართ ვერაფრის გაკეთება ვერ შეეძლო. მართლაც, საფრანგეთის არმია მივიდა ბასანოს 8-ს განთიადზე, ვურმზერის მთავარი ბანაკი მივიდა იქ მხოლოდ წინადღით, გვიან საღამოს. ამგვარი ოპერაცია შეიძლება წინასწარ მოფიქრებული იყოს და მთლიანად წინასწარდასახული, მაგრამ მისი შესრულება უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ, თანდათან, ყოველდღიური ამბების შესაბამისად. ბოლოს, წარმოიდგინეთ რომ ვურმზერი ვერონას მისულიყო და გადასულიყო ადიჯეზე,—სულერთია, ფრანგის ჯარის დახევა კიეზასა და ბრეშიაზე, სამი ეჯის მოშორებით, უზრუნველყოფილი იყო. მაშ-

სადამე, ეს ოპერაცია ჩატარებული იყო ომის ყველა წესის დაცვით,— ის, მართალია, გაბედული იყო, მაგრამ კარგად გააზრებული.

V

მეხუთე შენიშვნა. 1. ვენის სამეფო კარი არ შეშინებულა მეორე გეგმის ცუდი დაბოლოებით, იმ გეგმის, რომლის შესრულება მან ვურმზერს უბრძანა. ნოემბერში ალვინციმ გამოილაშქრა ორი ცალკეული საარმიო კორპუსით. ერთი კორპუსით ტიროლიდან, დავიდოვიჩის სარდლობით, მეორეთი—ვიჩენცის პროვინციიდან, მისი უშუალო სარდლობით. ეს გეგმა ყველაზე უფრო მცთარია. მის გამოსასწორებლად მას იმსაათშივე, როგორც-კი თვითონ ბასანოს აიღებდა და დავიდოვიჩი—ტრიენტს, უნდა ებრძანებია დავიდოვიჩისათვის—დაეტოვებია ტრიენტთან ტიროლის ლაშქარი, და წასულიყო ბრენტის ხეობებით ბასანოსკენ, თვითონ-კი მისულიყო ადიჯეზე მთელი თავისი თავმოყრილი არმიით.

2. როცა კალდიეროსთან პოზიცია დაიკავა, მას უნდა დაეყენებია ტალა არკოლის ჭაობებზე და რონკოს პირდაპირ. მან უხეიროდ მოისაზრა რომ ეს ჭაობები თითქოს გაუვალი ყოფილიყოს, და ამ მოსაზრებამ ნება მისცა ფრანგებს—გაედოთ იქ ხიდი და გადმოეყვანათ არმია მარცხენა ნაპირზე, მის ზურგში, ისე რომ მას ეს ვერ გაეგო.

3. მიმოსვლა ალვინცის კორპუსსა და დავიდოვიჩის კორპუსს შორის იმდენად გაძნელებული იყო, რომ, თუმცა კალდიეროდან რივოლამდე ისინი ერთმანეთს დაშორებული იყვნენ 10—12 ლიეთი, მათ არ შეეძლოთ ერთმანეთთან მიმოსვლა რვა დღეზე მეტად. ადგილი ვერონიდან ჩრდილოეთით ძალიან კლარჯულია (გადაკვეთილი). იქ არავითარი გზები არაა.

4. ალვინცის რივოლის ბრძოლის ველზე ჰყავდა 14 ათასეული, 24 ცხენოსანი ასეული და 130 ქვემეხი, სულ 50.000 კაცი. მაგრამ მისი 20 ათასეული და მთელი არტილერია—25.000 კაცი—აღალითა და პარკებით მიდიოდნენ ადიჯეს ხეობაში, სახელდობრ: ერთი კოლონა ექვსი ათასეულის რაოდენობით, ვუკასოვიჩის მეთაურობით, მიდიოდა მარცხენა ნაპირზე, კიუზასკენ, სადაც ის შეაჩერა ასიოდე კაცმა, რომელიც ამ ციხეში იყო დატოვებული,—ეს კოლონა უსარგებლო აღმოჩნდა; მეორე კოლონა, რომელიც ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე მიდიოდა, გადავიდა ამ მდინარეზე დოლჩეს ხიდით, და მივიდა იქ. ერთი ლიეს მანძილზე ის მიდიოდა მონტე-მანიონეს ძირის გასწვრივ, ამ მთასა და ადიჯეს მიმდინარეობას შორის. ბევრ ადგილას გასავალის განი უდრიდა გზის განს. მონტე-მანიონეს აღმოსავლეთი ფერდობი თითქმის ციცაბოდ ეშვება ადიჯეზე, აქ არ არის არც ერთი გასავალი ხეობიდან, თვით სან-მარკოს სამლოცველოს ძირამდე. ერთ მხარეზე არის რივოლის ტაფობი, მეორეზე—ტრიენტიდან პესკიერას მიმავალი გზატკეცილი, რომელიც, როცა რივოლის ტაფობის ძირამდე მიაღწევს, გადის შემდეგ ოსტერია-დელ-დოგანაზე და პატარა სოფელ ინკანალეზე. ამ გზასაა რომ დაჰყურებს ჩრდილოეთის მხრიდან სან-მარკოს სამლოცველო და რივოლის ტაფობის პირიქითა ფერდობი სამხრეთიდან.

დანარჩენი 24 ათასეულით, უცხენოსანჯაროდ და უარტილერიოდ, ე. ი. 25.000 კაცზე ნაკლები ჯარით, ალვინციმ ხელში ჩაიგდო მონტე-ბალდოს მაღლობები და დაიკავა მთელი ადგილი მონტე-მანიონესა და გარდის ტბას შორის,

ასეთი დისპოზიცია ეწინააღმდეგებოდა იმ პრინციპს, რომელიც მოითხოვს რომ არმია მუდამ დღეს და მუდამ საათს უნდა იყოს მზად ბრძოლისათვის. ალვინცის-კი არ შეეძლო ბრძოლა არც ამ მთებზე თავისი მოსვლის შემდეგ, არც იმ დროის განმავლობაში, რომელიც მას სჭირდებოდა რივოლის ტაფობთან მისასვლელად, ვინაიდან, იმისთვის რომ არმიას ბრძოლა შეეძლოს, ის თავმოყრილი უნდა იყოს; 20 ათასეული-კი, რომელიც ადიჯეს ველის გასწვრივ მიდიოდა, დაშორებული იყო დანარჩენ ძალებს და შეეძლო მათთან შეერთება მხოლოდ რივოლის ტაფობის დაპყრობის შემდეგ. ბრძოლისათვის არმიას სჭირდება ცხენოსანი ჯარი და არტილერია, ცხენოსან ჯარსა და არტილერიას-კი, რომელთაც კვაჟდანოვიჩი სარდლობდა, შეეძლოთ არმიასთან შეერთება მხოლოდ რივოლის ტაფობიდან. ალვინცი ვარაუდობდა რომ მას არ მოუხდებოდა ბრძოლაში გასვლა იმ სივრცეზე, რომელიც მდებარეობს კორონიდან რივოლამდე, ეს კი მასზე არ იყო დამოკიდებული. მან დაუყენა პირისპირ 24 ათასეული უკავალერიოდ და უარტილერიოდ საფრანგეთის მთელ არმიას, რომლის ძალას შეადგენდა 20.000 კაცი ქვეითი, 2.000 ცხენოსანი და 60 ქვემეხი. ეს იყო უთანასწორო ბრძოლა.

მაგრამ ალვინცი შეცთა, მას ეგონა რომ საქმე მაქვს მარტო ჟუბერის 9.000-კაციან დივიზიასთანაო, რომელსაც დანიშნულება ჰქონდა დაეცვა მთელი ადგილი კორონასა და რივოლს შორის და გარდას ტბიდან ადიჯემდე და ამიტომ უნდა დაეტოვებია რივოლში, სულ ცოტა, 3.000 კაცი, რათა დაეცვა ტაფობი და ხელი შეეშალა კვაჟდანოვიჩისათვის—გამოსულიყო ადიჯეს ველზე. ალვინცის, ამგვარად, ეყოლებოდა 25.000 კაცი 5.000—6,000 კაცის წინააღმდეგ. ამიტომ მან გამოჰყო ლუზინიანის დივიზია, რომელიც გაგზავნა მონტე-ბალდოსა და გარდას ტბას შორის, მონტე-პიპოლოზე, რივოლის ტაფობის შემოსავლელად ზურგიდან. ამის შემდეგ მას ჟუბერის წინააღმდეგ არა რჩებოდა 18.000 კაცზე მეტი; ჟუბერს-კი შეეძლო ჰყოლოდა მონტე-ბალდოსა და მონტე-მანიონზე მხოლოდ 9.000 კაცი. ეს კომბინაცია ძალიან კარგი იქნებოდა რომ ხალხი, მთების მსგავსად, უმოძრავოდ რჩებოდეს, მაგრამ ალვინცის დაავიწყდა ანდაზა: „მთა მთას არ შეხვდება, კაცი კაცს-კი შეეყრებაო". ავსტრიის ტაქტიკოსები მუდამ ცთებოდნენ. სამეფო კარის საბჭო, როცა ვურმზერის გეგმას ადგენდა, ვარაუდობდა რომ საფრანგეთის არმია უმოძრაოა და მანტუის ციხეზეა მიბმულიო. ასეთი უსაფუძვლო მოსაზრების გამო დაიღუპა ავსტრიის საუკეთესო არმია. ლაუერმა, რომელიც ალვინცის ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, წარმოიდგინა რომ მასენას დივიზიას შეაჩერებდა კალდიეროდან გამომავალი დივიზია და დარჩებოდა უმოძრაოდ, ვერონის სიმაგრეებზე მიჭედილი, და, ბოლოს, ის რომ საფრანგეთის მთავარსარდალი ვერ მიხვდებოდა იმ დიდ მნიშვნელობას რომელიც ჰქონდა ავსტრიის არმიასთან შებრძოლებას რივოლს ტაფობზე.

5. რა უნდა ექმნა ალვინცის? ევლო იმგვარად რომ ყოველ დღეს, ყოველ საათს შესძლებოდა ბრძოლა. ამ მიზნით მას უნდა: 1) ყოლოდა თავისი 44 ათასეული მთებზე მონტე-მანიონესა და გარდას ტბას შორის იმგვარად რომ ისინი თავმოყრილი ყოფილიყვნენ, ჰქონოდესთ ერთმანეთთან კავშირი და შეადგენდნენ ერთიან მასას; 2) თავი მოეყარა იქ თავისი 30 ცხენოსანი ასეულისათვის,

ვინაიდან მცირარია ის აზრი, რომ, თითქოს, ცხენოსან ჯარს არ შეეძლოს გასვლა ყველგან იქ, სადაც გადის ქვეითი ჯარი. ბოლოს, ყოველ კოლონაში ჰქონოდა კაენებიან დაზგებზე ზარბაზნები; 3) განკარგულებანი ჟუბერის დივიზიაზე იერიშის მისატანად გაეცა მხოლოდ თვით იერიშის დილას მისი განლაგების დაზვერვის შემდეგ, როცა დარწმუნდებოდა საქმის ვითარებაში დაზვერვის მონაცემების, გადმოსულთა, ტყვეთა და მსტოვართა ჩვენებების დაპირისპირებით.

ომის წესები მოითხოვს რომ შეტევის წინა დღეს არმიიდან არ გამოჰყონ ნაწილები, ვინაიდან ღამით შეიძლება მდგომარეობა შეიცვალოს მტრის დახმარების გამო, ანდა დიდი დამხმარე ძალების მისვლის გამო, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას—დაიწყოს შეტევა და გამოიყენოს ნაადრევი განკარგულებანი.

ომში ხშირად ცთებიან მოპირდაპირის ძალების შეფასებაში, ტყვე ჯარისკაცებმა იციან მხოლოდ თავიანთი ნაწილები, ოფიცრები მეტად არასაიმედო ჩვენებებს იძლევიან. ეს გარემოება გვაიძულებს—მივიღოთ შემდეგი ყველაფრის გამთვალისწინებელი აქსიომა.

არმია უნდა მზად იყოს ყოველ დღეს, ყოველ ღამ და ყოველ საათს, რაც შეუძლია—სრული წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს. ამისთვის საჭიროა რომ ჯარისკაცებმა მუდამ თან იქონიონ იარაღი და საჭურველი; რომ ქვეითი ჯარი არ დაშორდეს არტილერიას, ცხენოსან ჯარს და თავის გენერლებს; რომ არმიის სხვადასხვა დივიზიას მუდამ შეეძლოს ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთზე დაყრდნობა და ერთიმეორის უზრუნველყოფა; რომ ბანაკებში, ლაშქრობაში დასვენების დროს ჯარს მუდამ ჰქონდეს ხელსაყრელი მდგომარეობა, რომელიც საჭიროა ყოველი ბრძოლისათვის, ესე იგი რომ: 1) ფრონტები მიბჯენილი იყოს; 2) არტილერიას შეეძლოს მოქმედება ყველაზე უფრო მარჯვე პოზიციებიდან. ამ პირობათა უზრუნველსაყოფად ლაშქრობის დროს საჭიროა მოწინავე რაზმებისა და გვერდითი რაზმების გაგზავნა წინ, მარჯვნით და მარცხნით ადგილის დასაზვერავად ისეთ მანძილზე რომ მთავარ ძალებს გაშლისა და პოზიციის დაკავების დრო ექნესთ.

ავსტრიის ტაქტიკოსები მუდამ შორდებოდნენ ამ პრინციპებს და ადგენდნენ გეგმებს საეკვო მოხსენებათა საფუძველზე. ეს მოხსენებანი, თუნდაც ისინი უტყუარნი ყოფილიყვნენ იმ მომენტში, როცა მათი მიხედვით გეგმას ადგენდნენ, ჭკარგავდნენ ამ უტყუვრობას ხვალისათვის და ზეგისათვისაც, ესე იგი როცა გეგმები უნდა შეესრულებიათ.

მთავარსარდალი ყოველ დღე უნდა შეეკითხოს თავისთავს: თუ მტრის არმია გამოჩნდება ჩემ წინ, ჩემ მარჯვნით ან მარცხნით, რა უნდა ვქმნა? თუ მთავარსარდალი ძნელ მდგომარეობაში ჩავარდება, ან უვარგის პოზიციაზე მოექცევა, თუ მან შეცთომა ჩაიდინა,—ის უნდა გამოასწოროს. ალვინცის რომ თავისთავისთვის ასეთი კითხვა მიეცა: „რა მოხდება თუ საფრანგეთის არმია ჩემ შესახვედრად წამოვა, სანამ მე რივოლს მივიდოდე, როცა მე საშუალება მექნება დაუპირდაპირო მას მხოლოდ ნახევარი ჩემი ქვეითი ჯარი უკავალერიოდ და უარტილერიოდ?“—ის უპასუხებდა: „მე დავმარცხდები ჩემ ძალებზე უფრო ნაკლები ძალების მიერ“. როგორ ვერ ასწავლეს მას მეტი სიფრთხილე იმ ამბებმა რაც მოხდა ლოდში, კასტილიონეში, ბრენტაზე და არკოლეში?

6. ალვინცი გამოვიდა მთებიდან იანვარში 1797 წელს. მანტუა სასოწარკვეთილი იყო. ის მოქმედებდა ორი კორპუსით: ერთი დაიძრა მონტე-ბალდოსკენ, და მას თვითონ ის სარდლობდა, მეორე — ქვედა ადიჯესკენ, პროვერას სარდლობით. პროვერას წარმატება უშედეგო იქნებოდა თუ ალვინცის დაამარცხებდნენ. ლაშქრობის გეგმის შეცთომა დიდდებოდა კიდევ მით რომ ეს ორი იერიში დაკავშირებული იყო ცენტრალურ იერიშთან ვერონაზე,—იერიშთან რომელსაც არავითარი მიზანი არ ჰქონდა, ასუსტებდა ორსავე მთავარ იერიშს და არ ამყარებდა მათ შორის კავშირს, რადგან ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა ადგილი. მართალია, ვენიდან იყო ბრძანება რომ, თუ ალვინცი დამარცხდებოდა, და პროვერა მოახერხებდა მანტუის განთავისუფლებას, მაშინ ვურმზერი უნდა გადასულიყო პოზე მანტუის მეციხოვნე ჯარით და დაეხია რომისკენ. მაგრამ რამდენადაც თანამოქმედება ნეაპოლის მეფესთან ერთად უზრუნველყოფილი არ იყო—ყველაფერი ეს უშედეგო იქნებოდა.

7. პროვერა, მას მერმე რაც მან მოულოდნელად სელში ჩაიგდო ადიჯეს ფონი ანჯიარში, უნდა გადასულიყო მარჯვენა ნაპირზე მთელი თავისი კორპუსით, ბაიალიჩის დივიზიითურთ, აეღო ხიდი და წასულიყო მანტუასკენ—თავისი ერთადერთი თავშესაფარისაკენ. ის იქ მივიდოდა 20.000 კაცით. ამის ნაცვლად ის მივიდა ძხოლოდ 8.000 კაცით. ამიტომაც მან ბაიალიჩის დივიზია დასტოვა მარჯვენა ფრთაზე და 12.000 კაცი თავისი ხიდის დასაცავად; ესენი ბოლოს ტყვედ ჩაცვივდნენ; მისი მოწინავე რაზმი კი, იმის გამო რომ დრო დაჰკარგა, დაზარალდა. დილას მისული სენ-ჟორჟს, ის შუადღემდე უნდა შესულიყო ქალაქში ან ციხიდან, რომელსაც ხანდაკოვანი ხაზები არ ჰქონდა, ანდა პიეტოლედან, ტბაზე გადასვლით. ამისთვის მანტუის ნავსადგურებში 100-ზე მეტი ნავი იყო. მან დაჰკარგა მთელი დღე და მთელი ღამე. ნაშუადღევის 5 საათიდან, როდესაც ნაპოლეონი ფავორიტას მივიდა რივოლში მდგომი არმიის ერთი ნაწილით, ყველაფერი შეიცვალა. პროვერა იძულებული იყო დანებებოდა მეორე დღეს დილას. ავსტრიელებმა საერთოდ არ იცოდნენ დროის ფასი.

8. გენერალი პროვერა ჩავარდა ტყვედ კოსერიაში, მილეზიმოს ბრძოლის მეორე დღეს. მან ვერ გამოიჩინა დიდი ნიჭი. ეს იყო ნამდვილი მიზეზი რამაც ნაპოლეონი წააქეზა მის საქებრად, რათა აღედგინა მის მიმართ ავსტრიის სამეფო კარის ნდობა. ეს მოხერხდა. პროვერა აღადგინეს თანამდებობაზე და მეორედაც ჩაიგდო თავი ტყვედ ფავორიტაში. აქედან ჩანს რომ მტრისგან ქებას, თუნდაც ეს ქება საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც იყოს თქმული, ეჭვით უნდა მოეკიდონ.

VI

მეექვსე შენიშვნა. 1. გამოთქმული იყო ის აზრი რომ ადიჯეზე ხიდი უნდა გაედვათ ალბარედოში და არა რონკოშიო. ეს აზრი მცთარია. კილმენს ვერონაში ჰყავდა მხოლოდ 1.500 კაცი. რონკოსთან ხიდზე გადასვლის შემდეგ, ვიდრე გასწევდნენ არკოლეზე პორჩილესკენ, გაიგზავნა მზვერავი რაზმი, რომელმაც დაიკავა ეს სოფელი. იქითკენ გაემართა მასენა, რომელიც

აღმოჩნდა, ამნაირად, 2 ლიეზე ალვინცის ზურგში. ფელდმარშალი რომ იმავე დღეს ვერონაზე წასულიყო, საფრანგეთის არმია მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა, და ალვინცის ვერონაზე მიამწყვდევდა. ხიდი რომ ალბარედოს პირდაპირ ყოფილიყო გადებული, ალპონეს მარცხენა ნაპირზე, ეს მდინარე ან არკოლის ჭაობები დაიფარავდა ალვინცის სვლას და მისცემდა მას დროს—დაეკავებია ვერონა. მდგომარეობა მეტად საჩოთირო იყო! ოპერაცია ალვინცის ზურგში გასვლით, რონკოში, გაბედული იყო, მაგრამ არა საძნელო. ალბარედოში ადიჯეზე გადასვლის ოპერაცია სახიფათო იყო; ის მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა ვერონასა და არმიას.

2. რატომ პირველსავე და მეორე დღეს დასტოვეს არკოლე? იმიტომ რომ მოესწროთ შუაღამისათვის ხიდის აღება რონკოსთან, თუ რივოლიდან მოსული ამბები ამას მოითხოვდა, შემდეგ წასულიყვნენ როვერბელასკენ და მისულიყვნენ იქ დავიდოვიჩზე უფრო ადრე. დავიდოვიჩი მანტუასთან საფრანგეთის არმიაზე უფრო ადრე რომ მისულიყო,—ყველაფერი დაკარგული იქნებოდა, იქ რომ დავიდოვიჩზე უფრო ადრე საფრანგეთის არმია მისულიყო,—ყველაფერი მოგებული იქნებოდა. როცა მთავარსარდალი ვობუას შეუერთდებოდა,—დაამარცხებდა დავიდოვიჩს, უკუაგდებდა მას ტიროლში და დაბრუნდებოდა ადიჯეზე მანამ, სანამ ალვინცი შესძლებდა ამ მდინარეზე გადასვლას.

3. საჭირო იყოო, ამბობდნენ კიდევ, პირველსავე დღეს ალპონეზე ხიდის გადება და ვაკეზე გასვლაო; ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა ექმნა მას მეორე დღესაო. არა. სწორედ მესამე დღეს ყველაზე უფრო უმჯობესი იყო ამ ბრძოლის გადახდა, როდესაც მტრის ჯარი საკმაოდ დასუსტებული და დემორალიზებული აღმოჩნდა, ისე რომ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა მისი დამარცხებისა გაშლილ ხაზზე. და ეს გაკეთდა წინააღმდეგ იმ გენერლების აზრისა, რომელთაც ამგვარი მანევრი მეტად გაბედულ საქმედ მიაჩნდათ. ცოტა ყოყმანის შემდეგ ნაპოლეონმა გასცა ბრძანება ამაზედ მესამე დღეს. უნდა გვახსოვდეს რომ საფრანგეთის არმია დასუსტებული იყო ბრენტაზე ბრძოლით და კალდიეროს ბრძოლით, მასში 13.000 კაცზე მეტი არ იყო, არკოლესთან პირველი და მეორე დღის ბრძოლებმა კიდევ შეამცირეს იგი. არ შეიძლება გაგება მანევრებისა ამ ბრძოლის დროს თუ არ იცი კარგად რივოლის, ვერონის, კასტელნუოვოს, მანტუის, რონკოს, კილდიეროს, ვილანოვასი და ვიჩენცის ტოპოგრაფიული თავისებურებანი.

4. ვურმზერის კაპიტულაცია უმაგალითოა: ნაპოლეონმა გამოიჩინა სულგრძელობა ამ მოხუცი ფელდმარშლის მიმართ, რომელიც მას ბაბუად ეკუთვნოდა, მას სურდა რომ სახელი გავარდნოდა დამარცხებულისადმი ლმობიერობისა, და, ბოლოს, უნდოდა გამოეთქვა მთელი თავისი აღშფოთება დირექტორიის მიერ გამოგზავნილ იმ ბრძანების მიმართ, რომლითაც ამ პატივცემულ ფელდმარშალს უნდა მოქცევოდნენ ისე როგორც შეპყრობილ იარაღიან ემიგრანტს, რადგან ის ალზასის მკვიდრი იყო.

5. ნაპოლეონს უნდა გაემაგრებია რივოლის ტაფობი, კორონა, სან-მარკოს სამლოცველო და როკა-დ'ანფო საამედო საფორტიფიკაციო ნაგებობებით ძელებისაგან და ქვისაგანაც-კი. ადიჯე სავსე იყო ტივებით რომლებსაკ ვაჭრები

მოაცურებდნენ ტიროლიდან ფერარას და ვენეციას. ქვა და კირი აქ ბლომად არის. ვერონასა და ბრეშიაში მოიპოვება ყოველნაირი დამხმარე საშუალება. ექვს კვირაში შეიძლებოდა რივოლის ტაფობზე, სან-მარკოს სამლოცველოსთან კორონასთან, როკა-დ'ანფოში ოთხი ციხის აგება, რომლებშიც იქნებოდა თხუთმეტიოდე ზარბაზანი და 400—500 ციხოვანი. ეს ციხეები უზრუნველჰყოფდა ამ ოთხ ვიწრობს ყოველგვარ მოულოდნელობისაგან. ეს მისცემდა არმიას უფრო მეტს ვიდრე დახმარება 15.000 კაცით. ამბობენ რომ აგვისტოში ვურმზერის ოპერაციის შემდეგ ნაპოლეონმა გასცა ბრძანება—დაეკავებიათ როკა-დ'ანფო, მაგრამ ინჟენრებს დაებადათ მეტად ფართო გეგმები. მათ შესრულებას დაჭირდებოდა წელიწადი. მაგრამ ინჟენრები, ცხადია, ცთებოდნენ: ომში მარტო მთავარსარდალს შეუძლია თავისი ნებისყოფით და თავისი გამჭრიახობით გაიმარჯვოს და დასძლიოს ყველა სიძნელე.

6. მანტუა დაეცა რვა თვის ალყის შემდეგ. იტალიელი ინჟენრები წინადადებას იძლეოდნენ—გადაეგდოთ მინჩიოს მდინარე და ამ ხერხით ამოეშროთ მანტუის ტბები. მაშინ მანტუის ციხეს ეკარგებოდა თავისი მთავარი დამცველი. ამ ხერხს იყენებდნენ ვისკონტები თავიანთ ომებში მანტუის ჰერცოგთა წინააღმდეგ. მაგრამ ვისკონტები არ ფლობდნენ პესკიერას, მილანის ინჟენრები-კი ცთებოდნენ: ისინი ფიქრობდნენ მინჩიოს დაკავებას კაშხალებით, რომლებიც ბოლოს-დაბოლოს წალეკა მდინარემ. ცნობილია რომ არ უნდა ეწინააღმდეგო მდინარის დინებას. ჰოლანდელებმა დაიმორჩილეს ოკეანე რადგან დაემორჩილნენ ყველა მის ჟინიანობას. მხოლოდ წყლის გადაყვანით ტარტაროში ან მოლინელაში შეიძლებოდა ამ მუშაობის წარმატებით დასრულება.

7. ადიჯეს ხაზის შესამოკლებლად ბევრჯერ ურჩევიათ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირის ჯებირის გარღვევა ლენიაგოს ახლოს. გადაყვანილი წყალი შეერევოდა ტარტაროსა და მოლინელის წყლებს და დააჭაობებდა მთელ ადგილს ადიჯესა (ლენიაგოდან) და პოს შორის. მაგრამ ასეთი მუშაობის შედეგები დამღუპველი იქნებოდა ამ პროვინციისათვის. ალვინცისა და პროვერას მეორე შეტევის დროს, იანვარში, ასეთი პროექტი წარუდგინეს ნაპოლეონს, რომელმაც არ სცნო საჭიროდ ადგილის ასეთი განადგურეება, რადგან ამის გასამართლებელი გარემოება არ იყო. ინგლისელები არ მოქმედებდნენ ეგვიპტეში ასეთი სიფრთხილით. უმნიშვნელო წარმატების მოსაპოვებლად მათ გაარღვიეს მადეიხის ტბის კაშხალი და შეუშვეს ხმელთაშუა ზღვის წყალი მარიუტის ტბაში; ამას კინაღამ ალექსანდრიის დაღუპვა მოჰყვა.

VII

მ ე შ ვ ი დ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. საფრანგეთის არმია რომელიც რომისკენ დაიძრა, შედგებოდა მხოლოდ 4.000 ფრანგისაგან. ამ ჯარში, მართალია, ითვლებოდა 9.000 კაცი, მილანისა და ბოლონიის ახალ გაწვეულთა ათასეულების ჩათვლით, მაგრამ ძათი გაყვანა ბრძოლის ხაზზე რეგულარული ჯარების წინააღმდეგ ჯერ არ შეიძლებოდა. რომის სასახლე დიდ ღონისძიებას ხმარობდა ჯარის მოსაკრებად, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. როდესაც ერს არ ჰყავს კადრები და არ აქვს სამხედრო ორგანიზაციის პრინციპები, მისთვის მეტად ძნელია ჯარის შედგენა. თუ საფრანგეთმა 1790 წელს ასე სწრაფად გამო-

იყვანა საიმედო ჯარები, ეს მხოლოდ იმიტომ რომ ამისათვის მას ჰქონდა კარგი საფუძველი, ემიგრაციამ უფრო გააუმჯობესა ეს საფუძველი ვიდრე ის გააფუჭა. რომანია და აპენინის მთები დაელექტროებული იყვნენ. მღვდლებისა და ბერების გავლენა ფრიად ძლიერი იყო, წინასწარმეტყველებანი, ქადაგებანი და სასწაულები თავიანთ გავლენას ახდენდნენ. აპენინის მთიელები ბუნებით გულადები არიან, და ხასიათით მათ რამდენიმედ ამსგავსებენ ძველ რომაელებს. მაგრამ მათ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მცირე რაოდენობის ჯარს, კარგად დისციპლინებულს და კარგად მართულს. კარდინალი ბუსკა საბუთად მუდამ ვანდეას მაგალითს მოიტანდა ხოლმე. ვანდეა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი მოსახლეობა მეომარი იყო და ჰყავდა ბევრი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი, რომელნიც ჯარში ნამსახური იყვნენ. მაშინ როდესაც მის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი პარიზის ქუჩებში იყო მოკრებილი და მას სარდლობდა არასამხედრო ხალხი რომელიც მარტო სისულელეებს სჩადიოდა. ამან გამოაკაჟა ვანდეელები. ბოლოს, საგანგებო ზომები, რომელიც საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტმა და იაკობელებმა იხმარეს, ამ ხალხს არ აძლევდა სხვა საშველს თუ არა სიკვდილს, და ეს ხალხიც ცდილობდა ძვირად გაეყიდნა თავისი სიცოცხლე. ძალიან კარგად ესმოდათ რომ თუ ომში პაპის წინააღმდეგ ჯერ დამარცხდებოდნენ და მიმართავდნენ საგანგებო, მკაცრ ღონისძიებებს,—აპენინის მთებში შეიძლება წარმოშობილიყო ვანდეა. სიმკაცრე, სისხლი, სიკვდილი წარმოშობს ენთუზიასტებს, მოწამეთ, იწვევს გაბედულ, თავგანწირულ მოქმედებისკენ.

VIII

მ ე რ ვ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. ერცჰერცოგ კარლოსს 1797 წ. ლაშქრობაში სურდა დაეფარა ვენა და ტრიესტი, რისთვისაც მთელი თავისი ძალები უნდა შეეოკრიბა ტრიესტში, სადაც ის იპოვიდა დასაყრდენს ადგილმდებარეობის პირობებში და მოსახლეობის განწყობილებაში. მას რაინის არმიიდან დამხმარე ჯარის სწრაფად მიღების შესაძლებლობა ექნებოდა. სანამ ის ტიროლში იქნებოდა, მას შიში არ უნდა ჰქონოდა რომ საფრანგეთის არმია იზონცოსკენ დაიძვროდა. ამ არმიის პირველი მოძრაობისთანავე პიავეზე, ის დაბრუნებდა მას უკან ავიჩიოზე გადასვლით და ტრიენტის ოლქის დაპყრობით. ეს აიძულებდა საფრანგეთის მთავარსარდალს—გადაესროლა მთელი თავისი ჯარი და ომი ტიროლში,—ეს ოპერაცია ძალიან ძნელი და ძალიან სახიფათო იყო, ერცჰერცოგ კარლოსის მთავარი ბანაკი რომ ბოცენში ყოფილიყო, კონელიანოს ნაცვლად, და ავიჩიოზე რომ ის 40.000 კაცი ყოფილიყო, რომელიც მას ჰყავდა პიავესა და ტალიამენტოზე, ვენა და ტრიესტი საუცხოოდ იქნებოდნენ დაფარულნი. არაფერი ხელს არ უშლიდა მას—შეეიარაღებია და დაეკავებია პალმანოვას სიმაგრე და გაეკეთებია ის დასაყრდენ ჰუნქტად ყველა გვარის იარაღის 5.000—6.000-კაციან დივიზიისათვის, რათა თვალყური ედევნებია პიავესა და ტალიამენტოსათვის.

2. ნაპოლეონის განზრახვა ტალიამენტოს ბრძოლაში საეჭვო არ იყო: მას უნდოდა ტარვისის უღელტეხილის დაპყრობა. მაშასადამე, თავისი მთავარი ბანაკი კოდროიპოში კი არ უნდა გადაეტანა, არამედ სან დანიელეს მაღლო-

ბებზე, რათა საჭიროების დროს, შესაძლებელი ყოფილიყო დახვევა პონტებაზე და ტარვისის მაღლობებზე.

3. ტალიამენტოს ბრძოლის შემდეგ მას არ უნდა დაეხია ჩივიდალესა და იზონცოს ხეობებით ტარვისზე, რამდენადაც ისინი უკვე დაიპყრო მასენამ. ასეთი დახვევა იწვევდა მთელი იმ ჯარების დაკარგვას, რომლებიც ამ მიმართულებით იყვნენ გადასროლილი, და ღუპავდა მის არმიას.

4. იზონცოზე გადასვლის შემდეგ გრადისკის ციხეს არ შეეძლო თავდაცვა. მაშასადამე, ის ათასეულები, რომლებიც ამ სიმაგრეში იყვნენ შეყვანილი, ტყვილაუბრალოდ ეწირებოდნენ. მათ ერთი წუთითაც ვერ შეანელეს საფრანგეთის არმიის სვლა.

5. ვინაიდან ერცჰერცოგს აპრილში ძალინ სჭირდებოდა სამი ან ოთხი დღის მოგება, რათა კერპენისა და სპორკისთვის მასთან შეერთების დრო მიეცა, როცა ის უკვე მურაუში იყო, შაიფლინგიდან ერთ ეჯზე, მას უნდა გამოეყენებია დროის მოსაგებად ის საშუალება, რომელსაც მას საფრანგეთის მთავარსარდალი სთავაზობდა,—მოლაპარაკება ზავზე. მას უნდა ეპასუხნა გულწრფელი თანხმობით, დაპირებით რომ ის მოიხმარდა ამისთვის თავის გავლენას, და დროებითი ზავის თხოვნით, რათა წასულიყო ვენას—იმპერატორისთვის პირადად მოსახსენებლად. დროებითი ზავი დაიდებოდა. მაგრამ მან ორჭოფი, ცივი პასუხი მისცა და ისიც 24 საათით გვიან. ის მერყეობდა, დრო-კი მეტს არ ითმენდა. ერცჰერცოგის მიზანი მეტად ნათელი იყო.

IX

მ ე ც ხ რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. „გერმანიისკენ მოძრაობა ორი საოპერაციო ხაზით—ტიროლიდან და პონტებაზე გავლით—ხომ არ არღვეედა პრინციპს, რომლის თანახმადაც არმიას მხოლოდ ერთი საოპერაციო ხაზი უნდა ჰქონდეს? არმიის ამ ორი საარმიო კორპუსის შეერთება კარინთიაში, ასე შორს—გამოსავალ წერტილიდან, ხომ არ ეწინააღმდეგებოდა იმ პრინციპს რომ არადროს არ უნდა მოუყარო თავი კოლონებს მტრის წინ და მის ახლოს? უკეთესი არ იქნებოდა 7.000 ან 8.000 კაცის დატოვება ტრიენტთან, მის დასაცავად, და პიავეზე 10.000 ან 12.000 კაცით მეტი ჯარის თავისმოყრა! ამით თავიდან იშორებდნენ ომის გადატანას ტიროლში, საომარ მოქმედებათათვის საძნელო ადგილას, არიდებული იყვნენ არახელსაყრელ შემთხვევებს, და ოპერაციების დაწყებისთანავე მთელი ძალა ინახებოდა თავმოყრილ მდგომარეობაში“.

არც ერთი და არც მეორე ზემოთაღნიშნული პრინციპი დარღვეული არ ყოფილა. ჟუბერისთვის რომ ავიჩიოზე მარტო 8.000 კაცი დაეტოვებიათ, მას შეუტევდნენ, და დავიდოვიჩის კორპუსი მივიდოდა ვერონასთან უფრო ადრე, ვიდრე საფრანგეთის არმია ვილახს მიაღწევდა. იმისთვის რომ ჟუბერი პოზიციაზე დამაგრებულიყო, საჭირო იყო სულ ცოტა 14.000 კაცი. თითქოს, უკეთესი იქნებოდა არავინ არ წაეყვანათ მისგან და იმ ჭარბი ძალების გამოყენებით, რომლითაც მას უპირატესობა ჰქონდა დავიდოვიჩის არმიაზე, შებრძოლებოდა უკანასკნელს, დაესუსტებია და უკუეგდო იგი ბრენერს-გაღმა ტიროლი—ძნელი ასპარეზია მოქმედებისათვის მაგრამ დამღუპველია დამარცხებულისათვის. ფრანგის ჯარებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს გერმანიის ჯარებზე.

გერმანიაში შევიდნენ არა ორი საოპერაციო ხაზით, რამდენადაც პუსტერტალი მდებარეობს ალპების აქით, და როგორც-კი ჟუბერმა ლინცი გადავლო, მის საოპერაციო ხაზად ხდებოდა იგივე ხაზი, რომელიც გადიოდა ვილახსა და პონტებაზე. ორთავე კორპუსის შეერთება მოხდა არა მტრის წინ, რადგან, როცა ჟუბერმა ბრიქსენი დასტოვა, რათა მარჯვნით შპიტალისკენ დაძრულიყო, პუსტერტალზე გავლით ან დრავის ჭალით, არმიის მთავარი ძალები მივიდნენ კლაგენფურტს და მათი პატრულები ლინცამდე აღწევდნენ. მაშასადამე, ერცჰერცოგს არ შეეძლო რაიმე ხერხის მოფიქრება ამ შეერთების ხელშესაშლელად. ჟუბერი ტალიამენტოს ბრძოლამდე თავდაცვითი მდგომარეობაში რჩებოდა. ამ ბრძოლის შემდეგ მან შეუტია, დაამარცხა და მოსპო დავიდოვიჩის კორპუსის უმეტესი ნაწილი და უკუაგდო ეს კორპუსი ბრენერს-გაღმა. ეს არ იყო დაკავშირებული რაიმე უხერხულობასთან, რადგან ჟუბერი, როცა დამარცხდებოდა, უბრალოდ დაიხევდა პოზიციიდან პოზიციაზე თვით იტალიამდე. როდესაც მან გაიგო რომ არმიამ გადავლო იულიოსის ალპები და დრავა, მან დაიწყო თავისი სვლა პუსტერტალით, რაიც აგრეთვე არ იწვევდა უხერხულობას. ეს ოპერაცია, შესრულებული სამ ჯერად, ეთანხმებოდა ყველა წესს. მას უნდა ჰქონოდა და ნამდვილადაც ჰქონდა ყველა უპირატესობა.

2. ჰკითხულობდნენ, რატომ სერიურიეს დივიზია და მთავარი ბანაკი არ დაეხმარნენ გიოს დივიზიას, როცა ისინი ტალიამენტოდან ჩივიდალესა და კაპორეტოზე გაემართნენო, თანაც ამტკიცებდნენ რომ ბერნადოტის ერთი დივიზია საკმაო იყო რომ მტრის არმიის მარცხენა ფრთას მიჰყოლოდა პალმანოვასა და გიორცზეო.

ჩივიდალედან ტარვისამდე, კაპორეტოზე გავლით, გზა მიდის ხევ-ხევ. გიოს დივიზია, რომელშიც 8.000 მებრძოლი ითვლებოდა და ძალიან კარგი ჯარებისაგან შედგებოდა, საკმაოზე მეტი იყო ბაიალიჩის კორპუსის უკუსაგდებად კაპორეტოსკენ. მაგრამ ვინაიდან მიმართულება, რომელიც ერცჰერცოგმა ამ კორპუსს მისცა, არ იყო სწორი, ეს მას დაჰღუპავდა, თუ ბაიალიჩი დაიჭინებდა კაპორეტოში მისვლის შემდეგ ტარვისისკენ წასვლას. ჰფიქრობენ რომ ერცჰერცოგი გონებას მოეგო და გაუგზავნა მას ბრძანება კაპორეტოში—დაშვებულიყო გრადისკასთან და დაბრუნებულიყო კარნიოლაზე. ამან შეაგულიანა ნაპოლეონი—წასულიყო პალმანოვასა და გრადისკასკენ სერიურიეს და ბერნადოტის დივიზიებითურთ. გიორციდან მან კარნიოლაში ბერნადოტის დივიზია გაგზავნა ერცჰერცოგ კარლოსის მარცხენა ფრთის კვალდაკვალ, სერიურიეს დივიზიითურთ-კი დაიძრა კაპორეტოსკენ. ბაიალიჩის კორპუსი რომ, იზონცოს აღმა აყოლის ნაცვლად, დაღმა დაშვებულიყო და თავის გადარჩენას გიორციდან ცდილიყო,—მას შეუტევდნენ წინიდან და იმავე დროს გიო შეავიწროებდა მის არიერგარდს: ამის შედეგად ეს კორპუსი ტყვედ ჩავარდებოდა. თუ, პირიქით, ბაიალიჩი არ მოერიდებოდა მასენას, რომელსაც ტარვისი ეკავა, და დაიძრებოდა იქითკენ,—რაიც ნამდვილად მოხდა,—მაშინ სერიურიეს დივიზია აღმოჩნდებოდა მეორე ხაზზე გიოს უკან. ამგვარად, ნაპოლეონმა ყველა შემთხვევა გაითვალისწინა.

3. ბერნადოტის დივიზია დაიძრა ლაიბახისკენ, რადგან საჭირო იყო კარნიოლის დამორჩილება, ტრიესტის დაპყრობა და იდრიის მაღაროების ხელში

ერცჰერცოგ კარლოსის მარცხენა ფრთის კარნიოლიდან გაგდება და დრავის გაღმა გადარეკა. როდესაც ეს მიზნები მიღწეულ იქნა, ბერნადოტის დივიზია დაიძრა მარცხნით არმიასთან შესაერთებლად. ფრანგების მთავარსარდალმა კარგად ჰქმნა რომ არ წარგზავნა იგი,—როგორც ამას ბევრი გენერალი იზამდა,—ცილიდან და გრაციდან ზემერინგზე, რადგან მაშინ ეს დივიზია ვეღარ შესძლებდა—დახმარებოდა არმიას ყველა იმ ბრძოლაში, რომელიც მოხდა ან შეიძლება მომხდარიყო იუდენბურგში, ბრუკში და სხვაგან. ბერნადოტის დივიზიის მოძრაობა გრაცზე, თუნდაც მას უხერხულობა არ გამოეწვია, წესების საწინააღმდეგო იქნებოდა. დივიზიის მიერ შესრულებული მოძრაობა-კი ეთანხმებოდა თავმოყრის პრინციპებს, რომლებიც ომის ჭეშმარიტი პრინციპებია.

4. ნაპოლეონმა გადასწყვიტა—დაედო ლეობენის ხელშეკრულება, და გაჩერდა ზემერინგზე, ვინაიდან დირექტორიამ აცნობა მას თავისი წერილით რომ იმედი არ უნდა იქონიო რაინის არმიების თანამოქმედებისაო. ამის ნაცვლად რომ მთავრობას მისთვის ეცნობებინა—ასეთი თანამოქმედება იქნებაო, თუნდაც მხოლოდ ივნისში,—ის მოიცდიდა და ზავს არ შეჰკრავდა, რადგან მისი მდგომარეობა კარგი იყო. მას კარინთიაში ჰყავდა დაახლოებით 60.000 კაცი, და ადიჯეზე ედგა სამარქაფო ჯარი, იმაზე მეტი, რაც საკმაო იყო ვენეციელ მეამბოხეთა გასარეკად და ტიროლის მოლაშქრეთა შესაკავებლად. ამიტომ ის ვენაში შესვლას ესწრაფებოდა.

5. ჟუბერისათვის მიცემული ბრძანება, ტალიამენტოს ბრძოლის შემდეგ, რომ შესულიყო ტიროლში და დაძრულიყო ვილახისკენ კარინთიაში პუსტერტალიდან, ეცნობა დალემანს, საფრანგეთის ელჩს ვენეციის რესპუბლიკასთან, რათა შეეჩერებიათ არეულობის დაწყება. როგორც-კი ილიგარქები გაიგებდნენ, რომ ტიროლი დატოვებულია, მათ ეგონებოდათ—ფრანგები დამარცხებულიაო, და მიჰმართავდნენ მტრულ ზომებს. დალემანს ჰქონდა ამ საკითხზე თათბირი უხუცესებთან, რომელნიც სენატის მიერ დელეგატებად იყვნენ გამოგზავნილი. მან უჩვენა მათ ჟუბერისათვის მიცემულ ინსტრუქციების პირი. ამან მოახდინა ერთგვარი შთაბეჭდილება, მაგრამ ცნობა მეტად დაგვიანებული იყო: სენატმა უკვე 36 საათით ადრე საიდუმლოდ მიიღო გადაწყვეტილება, დარწმუნებულმა ჟუბერის კორპუსის განადგურებაში. ეს იყო ვენეციის რესპუბლიკის დაღუპვის მთავარი მიზეზი, აი რაზე ჰკიდია სახელმწიფოთა ბედი!

6. უცხოეთის სამხედრო პირები, რომელნიც ცუდად იცნობენ ფაქტებს, ბრალს სდებენ ნაპოლეონს იმაზე რომ მან დასტოვა ვიქტორისა და კილმენის დივიზიები მარკიასა და რომანიაში თვალყურის სადევნებლად პაპის არმიისა და ნეაპოლისთვისო. „ესაო,—ამბობდნენ ისინი,—უმიზნო იყო ვინაიდან ამ სახელმწიფოებთან ზავი აღდგენილი იყოო“.

გენერალი კილმენი სარდლობდა ჯარებს ადიჯეზე; მისი მთავარი ბანაკი ვერონაში იდგა, როცა ამ ქალაქის ამბოხებამ და გენერალ ფიორავენტის მისვლამ აიძულეს იგი—ებრძანებია ციხისთავებისათვის კარების დაკეტა. მან მიატოვა ადიჯე და 6.000—7.000 მხედრით, არტილერიითა და ქვეითი ჯარით დაიხია მინჩიოზე, რათა თავი დაეღწია გარშემორტყმისთვის. მას სურდა დაეცვა ბრეშია და შეენახნა თავისი გზები მანტუასა და პესკიერასთან. გენერალ ვიქტორის დივიზია 8.000 კაცისაგან შედგებოდა, რომელთაგან 3.000 მილანელი იყო გე-

ნერალ ლაგოცის უფროსობით. მას ნაბრძანები ჰქონდა—დაძრულიყო ადიჯესკენ მზვერავი კორპუსის შესადგენად და იმისთვისაც რომ ვენეციელები შეეკავებია. ვიქტორმა განკარგულება გასცა რომ გაეგზავნათ წინ გენერალი ლაგოცი და შეანელა თავისი სვლა ფრანგების ბრიგადითურთ 15 დღით, იმიტომ რომ ვერ იგრძნო თავისი მოძრაობის დაჩქარების აუცილებლობა, ან იმიტომ რომ მას სჭირდებოდა დრო ტოლენტინოს ხელშეკრულების მუხლების შესასრულებლად, ან-და რომელიღაც სხვა მიზეზის გამო. ფაქტი ისაა რომ ეს 15 დღე დაგვიანება გახდა ვერონის ხოცვა-ჟლეტის მიზეზი. შეიძლება პეზარო და მისი პარტია უფრო წინდახედულნი ყოფილიყვნენ რომ ენახათ ამ გენერლის დივიზია, განლაგებული ადიჯეზე ისე როგორც ეს ნამდვილად უნდა ყოფილიყო. ეს იქნებოდა ბედნიერება სენატისათვის და გადაარჩენდა მას დაღუპვისაგან. პაპმა დაითხოვა თავისი არმია რომელიც მშვიდობიანი დროის მდგომარეობაში იყო და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ბოლონიის ჯარები იმაზე მეტი იყო რაც კმაროდა რომანიის დასაკავებლად და მტრების შესაჩერებლად პოს მარჯვენა ნაპირზე. მაშასადამე, არადროს არავის უფიქრია თუნდაც ერთი კაცის დატოვება რუბიკონზე მეთვალყურეობის გასაწევად. თუმცა, თარიღებზე არ დავობენ. ტოლენტინოში ზავი დაიდო 19 თებერვალს 1797 წელს, ბრძოლა ტალიამენტოში მოხდა 16 მარტს. ლეობენის საზავო წინასწარ პირობებს ხელი მოაწერეს 18 აპრილს.



შენიშვნები გენერალ ჟომინის წიგნზე

„მსხვილი სამხედრო ოპერაციების განხილვა“.

I.—მონტენოტეს ბრძოლა.—II. ლოდის ბრძოლა.—III. კასტილიონეს ბრძოლა.—IV. ბასანოს ბრძოლა.—V. არკოლეს ბრძოლა. VI. რივოლის ბრძოლა.—VII. ლაშქრობა გერმანიაში 1779 წ.



ეს ნაშრომი—ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინოთაგანია ამ საკითხზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის. სხვადასხვა შენიშნვა 1796 და 1797 წლების ლაშქრობებზე, საინტერესონი სამხედროებისათვის, თავმოყრილია აქ ჩვენ მიერ, როგორც გამოთქმული პირადად თვით ნაპოლეონის მიერ.

I

1. ავსტრიის არმია აპრილში 1796 წელს უდრიდა 42 ათასეულს და 44 ცხენოსან ასეულს. ზოგ ამ ათასეულთაგანში იყო 1.500 კაცი. პიემონტის არმიას, არტილერიისა და ცხენოსან ჯარის ჩათვლით, შეადგენდა 30.000 კაცი. ნეაპოლის ცხენოსან ჯარის დივიზიაში იყო 2.000 კაცი. ორივე ეს გაერთიანებული არმია შედგებოდა 80.000 კაცისა და 200 ქვემეხისაგან. საფრანგეთის არმიაში იყო 28.000 ქვეითი, 3.000 ცხენოსანი და 30 ქვემეხი, საერთოდ 31.000 კაცი.

2. იტალიის არმიის ნახევარბრიგადებმა მიიღეს ნომრები, რომელთაც ისინი ატარებდნენ 1805 წლამდე, მხოლოდ 1796 წლის ივნისიდან; ამ დრომდე ისინი ატარებდნენ ძველ ნომრებს, აწ დავიწყებულთ.

3. მონტენოტეს ბრძოლაში გენერალ არჟანტოს, რომელიც ბოლიესთან ცენტრს სარდლობდა,. ჰყავდა 18.000 კაცი, რომელთაგან 5.000 პიემონტელი იყო.

4. მილეზიმოს ბრძოლაში ავსტრიელებს 21.000 კაცი ჰყავდათ. დეგოსთან მათ დაჰკარგეს 10.000 კაცი, მათგან 8.000 ტყვედ, 30 ზარბაზანი და 15 დროშა. არმიის შტაბის უფროსს ტყვეთა რაოდენობის აღნიშვნისას, დაავიწყდა 2.000 კაცი, უკვე გახიზნული ნიცაში, და მათი უწყისი არ შესწორებულა უფროს ადიუტანტის მიერ, რომელიც მათ აღრიცხვას აწარმოებდა.

5. მთავარსარდლის მოწოდებაში კერასკოს არმიისამდი არის ბეჭდვითი შეცთომა: 1.500 ნაცვლად უნდა იკითხებოდეს 15.000 ტყვე.

6. ცხენოსანმა ჯარმა ზამთარი რონის პირებზე გაატარა, მაგრამ ის მეტისმეტ საცოდავ მდგომარეობაში იყო და კუდში მიჰყვებოდა კოლონებს. თუმცა მას იყენებდნენ მტრის დასადევნებლად ხეობებში, მას შემდეგ რაც უკანასკნელს დაამარცხებდნენ. და სწორედ მის მიერ არიან დავალებული იმ დიდ რაოდენობა ტყვეებით, რომელნიც ხელში ჩაიგდეს ლაშქრობის დასაწყისში, მაგრამ იმ ხანებში მას არ შეეძლო ავსტრიის ცხენოსან ჯართან ბრძოლა. მხოლოდ მინჩიოზე მან პირველად წარმატებით გამოიჩინა თავი, აწარმოებდა მანევრებს ვაკეზე, მიჰქონდა მარჯვე იერიშები და ეჯიბრებოდა ქვეითი ჯარს.

II

1. იტალიის არმია პიაჩენცაში პოზე გადასვლის ნაცვლად ხომ არ უნდა გადასულიყო მდინარეზე კრემონაში? თავისი ლაშქრობის დროს ტორტონიდან პიაჩენცაში, პოს მარჯვენა ნაპირას დაყოლებით, მას მიშვერილი ჰქონდა მტრისკენ თავისი ფრთა 18 ლიეს მანძილზე. მტერს ეჭირა პოზიცია პოს მარცხენა ნაპირზე და მომარაგებული იყო საბონდო პარკით. ლაშქრობის განგრძობა კიდევ 7 ლიეზე შეჰქმნიდა მთელ რიგ უხერხულობებს. ბოლოს, რა მიზანი უნდა ჰქონოდა ამას? პიაჩენცა მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და იძლევა დიდი ქალაქის ყველა საშუალებას ხიდების გადების გასაადვილებლად. კრემონა, გაღმა ნაპირზე მდებარე, დარჩებოდა მტრის ხელში მანამდე, ვიდრე მდინარეზე გადასვლა არ დასრულდებოდა. ამის გარდა პიაჩენცა უახლოესი პუნქტია მილანთან, რომელსაც კრემონა უფრო მნიშვნელოვანად დაშორებულია და ჰყოფს მისგან ადა.

ბოლიე რომ ადის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ დამდგარიყო და პიაჩენცის პირდაპირ ხიდი გაედვა, საფრანგეთის არმია გზამოჭრილი აღმოჩნდებოდა ორთავე ნაპირზე. ასეთ მანძილების გავლის დროს არ შეიძლება მტრისადმი ფრთის მიშვერა, და როდესაც ეს შეუძლებელია, მაშინ ძალიან მოკლე მანძილები უნდა გადავლონ და მეტად სწრაფად.

2. საფრანგეთის არმიაში რომ საბონდო პარკი ყოფილიყო, ის მივიდოდა მილანს ავსტრიის არმიაზე უფრო ადრე. მან 60 საათი დააჰკარგა ხომალდების შეკრებაზე და ხიდის გაკეთებაზე: ამან მტრის მთავარსარდალს ადრე გადასვლის დრო მისცა.

3. კოლის კორპუსი, რომელიც გაემართა ხიდისკენ ,ჯასანოსთან, ჩამორჩა. ნაპოლეონს იმედი ჰქონდა—მოეწყვიტნა იგი მინჩიოდან. ამან აიძულა იგი—რომ დაეჩქარებინა და ძალით აეღო ხიდი ლოდთან და გადასულიყო მასზე. ნამდვილად-კი იმ მომენტში, როცა მან ხიდი გადალახა, კოლი გადავიდა მდინარეზე ,ჯასანოსთან და შესძლო ისე ეწარმოებია თავისი დახევა რომ არავის შეუწუხებია. არმიას რომ საბონდო პარკი ჰქონოდა, ის გადავიდოდა ადაზე დაღამებისას თვით იმ დღეს როცა ბრძოლა იყო ფომბიოსთან. ნაპოლეონი პირადად მიუახლოვდა პიციგეტონეს თოფის გასროლის მანძილზე. მან უბრძანა გავლა მდინარის აღმა და დაღმა ხომალდების მოსაკრებად და, მას რომ რვა ან ათი ხომალდის შოვნა შესძლებოდა ის გადავიდოდა მდინარეზე იმავე ღამის განმავლობაში და დადგებოდა ადის ორსავე ნაპირზე.

4. ბოლიე იმ ღამეს, რომელიც ფომბიოს ბრძოლას მოჰყვა, სრულებით არ ცდილა კოდონიოს ხელში ჩაგდებას. მან არ იცოდა ჯერ კიდევ, რა მოხდა შუადღის შემდეგ, და ეგონა რომ ფომბიო კვლავ ჩემ ხელშიაო. ის უბრალოდ და ბანაკდა კაზალ-პუსტერლენგოში, რათა იქ ღამე გაეთია. ერთ-ერთი მისი ცხენოსან ლეგიონთაგანი, რომელმაც კოდონიოში დაბანაკება მოისურვა, წააწყდა გენერალ ლაჰარპის ბანაკს; აქიდან შეხვდნენ მას გაცხარებული თოფის სროლით და თანდათან განდევნეს უკან. გენერალი ლაჰარპი გავიდა ცხენით თავისი სადგომიდან შტაბის რამდენიმე ოფიცრის თანხლებით, რათა უახლოეს ქალაქგარეთა სახლებში მოეკრიბა ცნობები ახლახან გამოჩენილ ჯარის ნაწილის ძალებზე. ნაშუაღამევის პირველ საათზე, როცა თავის მთავარ ბანაკში ბრუნდებოდა სხვა გზით და არა იმ გზით, რომლითაც ბანაკიდან გავიდა, ის წააწყდა გაბმულ სროლას და მოკლულ იქნა თავისივე ჯარისკაცების მიერ. ჯარისკაცებს უყვარდათ იგი და თავზარი დასცათ თავიანთ შეცთომამ.

5. გენერალი კოლი, რომელიც პიემონტელებს სარდლობდა, ავსტრიის არმიის ოფიცერი იყო, ამიტომაც იგი არ სტოვებდა სამსახურს სარდინიის მეფესთან კერასკოს დაზავების შემდეგ.

6. ოჟეროს დივიზია ნამდვილად გადავიდა მინჩიოზე ხიდით ბორგეტოსთან. დემონსტრაციები პესკიერასთან ცრუ იერიში იყო იმ განზრახვით რომლიპტაის ყურადღება მიეზიდათ, იმ დროს როცა ოჟერო მანევრებს აწარმოებდა, რათა მისთვის ვერონის გზა მოეჭრა.

7. ურბანოს ციხეში 200 კი არა, 800 ჯარისკაცი იყო. ეს ფაქტი თავისთავად პატარა მნიშვნელობისაა; ჩვენ ის მოგვყავს ჰეშმარიტებისადმი პატივისცემისათვის.

ჩვენ არ ვიცით, ვინა სთქვა რომ არმია ადიჯეზე არ უნდა გაჩერებულიყო, რომ მას იულიოსის ალპები უნდა გადევლო და ვენაზე გაელაშქრებიაო; ეს აბსურდია. ლოდის ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონმა მიიღო დირექტორიის დადგენილება, რომლითაც ნაბრძანები იყო რომისა და ნეაპოლისკენ გალაშქრება 20.000 კაცით და თავისი არმიის დატოვება კელერმანისათვის, რომელიც მოვიდოდა მანტუის გარემოცვის ხელმძღვანელად. ნაპოლეონმა ენერგიული წარდგინება გააკეთა ამ პროექტის წინააღმდეგ და ითხოვა გადადგომა, რათა თავისი არმიის დაღუპვის მიზეზი არ გამხდარიყო. მთავრობამ უკან წაიღო თავისი დადგენილება; ის გაიტაცა სურვილმა—ენახა საფრანგეთის ალამი კაპიტოლიუმზე მოფრიალე, და მისწრაფებამ რომ დაესაჯა ნეაპოლის სამეფო კარი მის მიერ მიყენებული მრავალი შეურაცხყოფისათვის.

ურთიერთობანი სარდინიის მეფესთან ნაკარნახევი იყო პოლიტიკით, მაგრამ ეს ურთიერთობანი იმ დროს ცუდად ესმოდათ. ნაპოლეონს დიდი შრომა დასჭირდა რომ პიემონტში მშვიდობიანობის დაცვის დიდი მნიშვნელობა შთაეგონებია. რევოლუციური აფეთქებანი მუდამ უწესრიგობას იწვევენ, არმიის ზურგში-კი, პირიქით, საჭირო იყო სიმშვიდისა და უშიშროების დამყარება.

III

1. მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ავსტრიის სამეფო კარის სამხედრო საბჭოს მოხსენებებს. დამარცხების შემდეგ ის ცდილობდა დაემახინჯებია საქმის ვითარება. იმ ხანებში ვურმზერს 100.000 კაცზე ნაკლები არა ჰყავ-

და, ამ რიცხვიდან 15.000 კაცი მანტუაში იყო. საფრანგეთის არმიაში ითვლებოდა 40.000 კაცი, მათგან 10.000 კაცი მანტუის გარემოცვით იყო დაკავებული, 30.000 კაცი შეადგენდა მზვერავ ჯარს, რომელსაც უნდა მოეგერიებინა 80.000-ზე მეტ კაცისაგან შემდგარი არმია. 29 ივლისიდან 8 აგვისტომდე ვურმზერმა დაჰკარგა 40.000 კაცი, 70 ზარბაზანი, ბევრი სამუხტო ყუთი და ორთვალა, 15 დროშა. მან შესცვალა მანტუის გარნიზონი, გააძლიერა იგი 5.000 კაცით და წავიდა უკანვე ტიროლს 40.000-ზე უფრო ნაკლები კაცით.

2. 31 ივლისს ოჟერო ხელახლად გადავიდა მდ. მინჩიოზე ბორგეტოში თავისი ერთი დივიზიითურთ. სერიურიემ მოხსნა მანტუის ალყა; შეკრიბა თავისი დივიზია და დაიძრა მარკარიაზე. ღამით 31 ივლისიდან 1-ლ აგვისტოს ნაპოლეონი გაემართა ბრეშიაზე ოჟეროს დივიზიითურთ, რომელიც მიჰყვებოდა თემშარებს, მანანით დაფარულ ადგილებზე. მასენა არ დარჩენილა პონტე-სან-მარკოში, არამედ გაჰყვა პარალელურად გზატკეცილს პონტე-სან-მარკოდან ბრეშიაში. სორე დარჩა პოზიციაზე მაღლობებზე ლონატოსა და სალოს შორის. გენერალმა პიჟონმა, რომელიც ამ ლაშქრობაში მასენას არიერგარდს სარდლობდა, დაიკავა პოზიცია ქვედა მინჩიოზე 15.000 კაცით, და დაუწყო სროლა მოპირდაპირე ნაპირს. ოჟეროს არიერგარდმა, გენერალ ლა-ვალეტის სარდლობით, დაიკავა პოზიცია მინჩიოს მარჯვენა ნაპირზე, ბორგეტოს დონეზე, და სროლა დაუწყო მეორე ნაპირს. 2 აგვისტოს განთიადზე მასენას და ოჟეროს დივიზიებმა გააკეთეს ნახევარბრუნი მარჯვნით. როცა მასენამ კვაჟდანოვიჩი ბრეშიიდან და მთელი ვაკიდან გააგდო, ის დაიძრა პონტე-სან-მარკოსკენ და მიუსწრო იქ თავის არიერგარდს, რომელიც ამ შებრუნების გამო მოწინავე რაზმად გადაიქცა და უკვე მოემწყვდა ლონატოსთან. იქ მან მთელი დღის განმავლობაში სრულიად უსაფუძვლოდ მოიმწყვდია თავი. ასეთი იყო საქმის გარემოება ლონატოს ბრძოლის წინა დღეს.

3. ამ ბრძოლაში ავსტრიელებს 30.000 კაცი ჰყავდათ. კასტილიონეში მათ 18.000 კაცი ჰყავდათ. ლიპტაი მოწინავე რაზმს შეადგენდა. ამიტომაც გენერალ ოჟეროს მოუხდა სამარქაფო ცხენოსანი ჯარით გაძლიერებულ თავისი საუცხოვო დივიზიის მთელი ძალის დაძაბვა, რათა გამარჯვებული გამოსულიყო, დაეპყრო კასტილიონე და დაემარცხებია მტერი. მტრის 12.000 კაცი გენერალ მასენას პირისპირ იდგა; მათ პირველად ლონატო აიღეს და დაამარცხეს გენერალ პიჟონის მოწინავე რაზმი, მაგრამ ისინი გაგლიჯეს შუაგულში, უკუაგდეს და გარეკეს ბრძოლის ველიდან. 5 აგვისტოს მოხდა კასტილიონეს ბრძოლა. გენერალ ფიორელამ, რომელიც სერიურიეს დივიზიას სარდლობდა, შესძლო ვურმზერის ზურგში წაწევა მარტო 4.000 კაცით. ამ დივიზიაში იყო 3.000 უძლური, ჭაობის ციებით დასუსტებული, რომელთა თანწაყვანა შეუძლებელი იყო, და მოუხდათ მათი დატოვება მარკარიაში მესანგრეებითურთ, მუშებითურთ, სამუხტო ყუთებითა და ორთვალებითურთ, რომელნიც საალყო პარკს ეკუთვნოდნენ. ვურმზერს რჩებოდა კიდევ 30.000 კაცი და ძალიან კარგი ცხენოსანი ჯარი; ჩვენი ცხენოსანი ჯარი იმ დროს კვლავ ჩამოუვარდებოდა მას ხარისხით. საფრანგეთის არმიაში იყო 22.000—23.000 კაცი, მაგრამ ეს იგივე ჯარები იყვნენ, რომელნიც იბრძოდნენ კორონასთან, ლონატოსთან და 3 აგვისტოს. საკმაოდ ბევრი ოფიცერი მოიკლა, ბევრი გავიდა მწყობრიდან. ამგვარად, ამ ბრძოლაში გააკეთეს ყველაფერი რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.

4. ვურმზერი ძველი ჯარისკაცი იყო, და მას კარგი ოფიცრები ჰყავდა. მან იცოდა რომ მისი გეგმა მეტად ფართოა, მაგრამ მისი შესრულება უზრუნველყოფილი ეგონა რიცხვობრივი უპირატესობის გამო. მას რომ თანასწორი ან რიცხვობრივად მხოლოდ ერთი მესამედით ჭარბი ძალა ჰყოლოდა, ის ისე არ გაიჭიმებოდა. მას ლონატოსა და კასტილიონეში ასე ცოტა ხალხი რომ დაეკარგნა, როგორც ეს, ეტყობა, სჯერათ, ის არ მიატოვებდა მინჩიოს. ის გამაგრდებოდა იქ, დაყრდნობილი მარცხენა ფრთით მანტუაზე, მარჯვენათი—გარდის ტბაზე, და პესკიერაზე ალყის შემორტყმით გადაარჩენდა თავისი იარაღის ღირსებას. მაგრამ ის ზარალი, რაც მას მოსდიოდა, ისეთი იყო რომ აიძულა იგი—დაბრუნებულიყო უკან და დაეტოვებია იტალია.

IV

1. აგვისტოში ვურმზერმა მიიღო 15.000 კაცი დამხმარე ჯარი. წინანდელი არმიიდან მას 40.000 კაცი რჩებოდა. შეიერთა 10.000 ტიროლელიც მაშასადამე, სექტემბრის დამდეგს მას ჰყავდა 70.000 კაცი. რომელთგან 30.000 კაცი, ტიროლელთა ჩათვლით, დავიდოვიჩის სარდლობით, დანიშნული იყო ტიროლის დასაცავად; 40.000 კაცი ინიშნებოდა მანტუის მიმართულებით, ბასანოსა და ვიჩენცის ვაკეებზე სამანევროდ. მათ რიცხვში იყო 30.000 კაცი ქვეითი, დანარჩენი ცხენოსანი ჯარი და არტილერია. დავიდოვიჩმა როვერეტოს ბრძოლაში 11.000 კაცი დაჰკარგა, მათგან 9.000—ტყვედ. მანამდე ის კიდევ დაზარალდა სარკასთან ბრძოლაში და შემდეგ კი ლავისის ბრძოლაში.

2. პრიმოლანოს ბრძოლაში ტყვეები წამოყვანილი იყო ცხრა სხვადასხვა ათასეულიდან. იქ იმყოფებოდა კროატის სამი ათასეულის გარდა ექვსი სასაზღვრო ათასეული. ტყვეების რიცხვი იყო 4.000 და არა 1.800.

3. ბასანოსთან ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეს ავტორს წარმოუდგენია. მტერმა უფრო მეტი ზარალი ნახა.

4. მესაროშის დივიზია მივიდა ვერონასთან, შეუტია ამ ქალაქს მაგრამ უკუგდებულ იქმნა. ადგილის მომზადება მოასწრეს, ვინაიდან ვურმზერის შეტევითს მოძრაობას წინასწარ მიუხვდნენ: ვიჩენცის კარების წინ გააკეთეს რაველინი, ციხის გალავანი-კი შეაიარაღეს მრავალი ქვემეხით. კილმენმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ადიჯეს თვალყურის დევნება, მიიღო მთავარსადლისაგან—იმ წუთს, როცა ის ტრიენტისკენ დაიძრა,—მეტად დაწვრილებითი ინსტრუქცია, რამაც ის ძლიერ განაცვიფრა. ეს ინსტრუქცია ძალიან საინტერესოა და იგი მის ქაღალდებში უნდა იყოს. ყველაფერი, რაც ადიჯეზე მოხდა, გათვალისწინებული იყო. როცა ნაპოლეონმა საშიშროება იგრძნო, მან გამოიწვია ლენიაგოს ციხოვანი ჯარი და უბრძანა საიუგეს, რომელიც მანტუის გარემოცვას სარდლობდა, იქ სხვა დაეყენებია. მაშინ მესაროშმა მოითხოვა ვურმზერისგან დამხმარე ჯარი და განსაკუთრებით საბონდო პარკი. ამის ნაცვლად მან ბრძანება მიიღო—საჩქაროდ დაბრუნებულიყო ბასანოსთან. ვიჩენცაში ის შეხვდა თვითონ ვურმზერს, რომელიც ის-ის იყო ბასანოდან უკუეგდოთ.

5. ვურმზერი, რომელსაც მისდევდა მასენას დივიზია, გასული პირდაპირ ბასანოდან ვიჩენცისკენ, და ოჟეროს დივიზია, პადუაში ჩასული,—ამგვარად,

ადიჯესთან მიმწყვდეული აღმოჩნდა. მას არ ჰქონდა საბონდო პარკი; იგი მან ბასანოში დაჰკარგა. 70.000-იან არმიიდან მას დარჩა მხოლოდ 16.000 კაცი, ძალიან დემორალიზებული, თუ არ ჩავთვლით კარგ ცხენოსან ჯარს, 6.000 კაცის რაოდენობით, რომელსაც ჯერ ზარალი არ ენახა და სრულიად ხელუხლებელი იყო. მისი მდგომარეობა, თითქოს, უიმედო იყო; მაგრამ აქ ანაზდად სამმა ცხენოსანმა ასეულმა ხელთ იგდო ალბარედის ბორანი. ისინი გადავიდნენ ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე და გადასჭრეს გზები ლენიაგოდან მანტუის გარემომცველ კორპუსთან. მათ ასჩეხეს თავიანთი ნაწილებიდან ჩამორჩენილი რამდენიმე ჯარისკაცი, ვინც მათგანი გადარჩა—განგაში ასტეხა ლენიაგოში. ავსტრიელთა ჩვეულებისდა მიხედვით ეს ცხენოსანი პატრული ყველგან ნამდვილ პანიკურ ხმებს ჰყრიდა, სახელდობრ: თითქოს ნაპოლეონი მთელი თავისი არმიით ბრენტის ხეობებში დაღუპულიყოს, ვურმზერი-კი თავისი ძლევამოსილი ჯარით მანტუას უახლოვდებოდეს. ლენიაგოს ციხისთავად იყო მსუბუქი ათასეულის მეთაური, რომელიც იმყოფებოდა იქ 500 კაციოთურთ. ის დაიბნა, დაიჯერა ეს ცრუ ცნობები, და ამჯობინა—დაეცალა ციხე, გადაერჩინა თავისი ათასეული და შეერთებოდა საიუგეს მანტუასთან. ავსტრიელთა ცხენოსანი ჯარის უფროსმა იმსაათშივე გაიგო ეს და დაიკავა ქალაქი და ხიდი (ხიდი, თუმცა ხისა, დაუზიანებლად იყო დატოვებული). ასეთმა ბედნიერმა შემთხვევამ შესცვალა ძველი ფელდმარშალის მდგომარეობა; მას უკვე აღარ ემუქრებოდა იარაღის დაყრევინების საფრთხე. ის სწრაფად გაემართა ლენიაგოსკენ, გადავიდა მდინარეზე, მაგრამ წინდაუხედავობით დაჰკარგა ერთი დღე. ნაპოლეონი მივიდა არკოლეს, რონკოს პირდაპირ, იმავე წუთს, როცა ვურმზერი ლენიაგოში შედიოდა. მან დაიკავა ბორანი. მასენას დივიზია დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქმნა მეორე ნაპირზე, რათა გამოგვეყენებია ვურმზერის დაუდევრობა. ნაპოლეონს იმედი ჰქონდა დაესწრო მისთვის მდ. მოლინელაზე, და ამიტომ დაიძრა სანგვინეტოსკენ, იმავე დროს-კი ოჟერო პადუადან გაემართა ლენიაგოსკენ. მასენას მოწინავე რაზმი რომ მეტად მარცხნით არ წასულიყო, ჩერეაზე, მაშინ მასენას მთელი დივიზია მივიდოდა სანგვინეტოსთან მტერზე უფრო ადრე და ვურმზერი კვლავ იძულებული იქნებოდა, იარაღი დაეყარა. მაგრამ ვინაიდან ჩერეაში გზა გადაღობილი იყო მხოლოდ მოწინავე რაზმით, რომლის ძალა შეადგენდა 500 მხედარს და 1.200 მსუბუქ ქვეითს, სანგვინეტოს გზაზე მდგომ დივიზიის მთავარი ძალების მიერ დაუხმარებლად, ვურმზერმა გაარღვია იგი და მივიდა მოლინელაზე, სადაც იდგნენ ბრძოლისთვის მზადმყოფნი კილმენი და საიუგე. მათ დაარღვიეს ხიდი კასტელაროსთან, მაგრამ ხიდს ვილიმპენტთან ხელი არ ახლეს. ვურმზერი გაუყვა იქითკენ. გზა მანტუასკენ—გახსნილი იყო, და მან მოახერხა თავის დაღწევა.

ზარბაზნის პირველ გასროლისთანავე მოწინავე რაზმში, ჩერეასთან, ნაპოლეონმა, რომელიც ცხენზე იჯდა და მიდიოდა ცოტა მარჯვნით, სანგვინეტოს მიმართულებით, გაიგო რაც ხდებოდა. მან გასწია იქით ჭენებით, საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ როცა ის იქ მივიდა, მე-4 მსუბუქი ნახევარბრიგადა უკვე უწესრიგოდ იხევდა და რამდენიმე ათასმა ცხენოსანმა გაავსო ვაკე ერთმა დედაბერმა ანუგეშა ვურმზერი როცა უამბო რომ 10 წუთის შემდეგ აქ ფრანგების მთავარსარდალი იმყოფებოდაო. მან ძლივს მოასწრო—დაუმატა დედაბერმა—ცხენის დათხებაო. ძველ ფელდმარშალს იმედი ჰქონდა, და არც თუ

უსაფუძვლოდ, რომ მისი მტერი მას ხელში ჩაუვარდებოდა. როგორც ამბობენ ის მოითხოვდა რომ ნაპოლეონი ცოცხლად მიეყვანათ მასთან.

როგორც ეტყობა, ავტორმა არ იცოდა ვერონის ბრძოლა და ლენიაგოს ამბები.

ავსტრიის არმიის ზარალი 4-დან 12 სექტემბრამდე უდრიდა 30.000 კაცს, დაჭრილს და დახოცილს, 14.000 კაცი-კი ჩაკეტილი იყო მანტუაში, მათ შორი იყო ფელდმარშალი, მთელი შტაბი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილი და სხვ.

V

1. 6 ნოემბრის ბრძოლაში მდ. ბრენტაზე[1] გენერლები კვაჟდანოვიჩი და ჰოჰენცოლერნი უკუგდებულ იქნენ ბასანოსკენ ოჟეროს დივიზიის მიერ. აუცილებელი იყო ყოველი ღონის ხმარება, რათა აეძულებიათ ისინი—ხელახლად გადასულიყვნენ ხიდზე და მიეღოთ ბრძოლა, ნაპოლეონმა გასცა ბრძანება—მარქაფიდან გაეგზავნათ წინ ბრიგადა: მაგრამ კროატელთა ათასეული, რომელიც კვაჟდანოვიჩმა თავისი წინსვლის დროს მარჯვნით ფლანგზე გაგზავნა, მომწყვდეული აღმოჩნდა; ეს ათასეული შევარდა სოფელში და ჩასაფრდა იქ გზატკეცილზე, რომელიც მიდის ვიჩენციდან ბასანოს. მარქაფის ბრიგადამ, რომელსაც სოფელში შესვლისას თოფის ცეცხლი შეაგებეს, ვერ შესძლო გასვლა. იძულებული გახდნენ—მანევრისთვის მიემართათ და ზარბაზნები მიეტანათ. სოფელი აიღეს იერიშით, ხელჩართული ბრძოლით, მაგრამ ბრიგადამ 2 საათი დაჰკარგა, და უკვე დაღამდა როდესაც ის ბასანოს მივიდა.

2. გენერალ კილმენს, რომელსაც ვერონა ეკავა არკოლეს ბრძოლის დროს, ჰყავდა თავის ხელქვეით მხოლოდ 1.500-კაციანი რაზმი—ქვეითი, ცხენოსანი და არტილერია.

3. ხიდი ადიჯეზე გადებული იყო რონკოს პირდაპირ, ალპონეს მარჯვენა ნაპირზე, ამ მდინარის შესართავსა და ვერონას შორის, და არა ალბარედოს პირდაპირ, ალპონეს შესართავის ქვემოთ, ჯერ-ერთი იმიტომ რომ ავსტრიელთა ჰუსარებს ეკავათ სოფელი ალბარედო, და ჩვენ რომ იქ ხიდები გაგვედო, ისინი ამას აცნობებდნენ ალვინცის. მეტადრე იმედი ჰქონდათ უეცარი მოქმედებისა, ვინაიდან მტერმა ხელიდან გაუშვა შემთხვევა—დაეკავებინა ჭაობი რონკოს პირდპირ, და დაკმაყოფილდა მის დაზვერვას ჰუსართა პატრულებით, რომელნიც დღეში ორჯერ შემოივლიდნენ ჯებირებს. მეორე—საფრანგეთის არმიაში მხოლოდ 13.000 კაცი იყო; მას არავითარი იმედი არ ჰქონდა 40.000 კაცის დამარცხებისა გაშლილ ვაკეზე, სადაც შეიძლებოდა მთლიანად გაშლა, მაშინ როდესაც ჭაობებით გარშემორტყმულ ჯებირებზე ბრძოლა შეეძლოთ მხოლოდ კოლონების წინა ნაწილებს. რაოდენობა აქ გავლენას ვერ მოახდენდა. მესამე,—ალვინცი ემზადებოდა ვერონაზე საიერიშოდ. მისი მთავარი ბანაკი 3 ლიეზე იდგა ამ ქალაქიდან, საფრანგეთის არმიის რონკოზე შეტევისას მას შეეძლო წასვლა ვერონის ასაღებად. არმიას მოუხდა ამიტომ ადიჯეზე გადასვლა ალპონეს

[1] ბრენტაზე ბრძოლა, რომელიც აქ აღნიშნულია 6 ნოემბრის ბრძოლად, მოხდა 5 ნოემბერს 1796 წ. (V წლის 15 ბრუმერს).

შესართავის ზემოთ, რათა არავითარი ბუნებრივი დაბრკოლება არა ჰქონოდა ვერონისკენ ალვინცის კვალდაკვალ თავისი მოძრაობის დროს.

საფრანგეთის არმია რომ მდინარეზე ალბარედოს პირდაპირ გადასულიყო, საკმაო იქნებოდა რამდენიმე ათასეული, ალპონეს მარჯვენა ნაპირზე გამაგრებული, რათა უზრუნველეყოთ ალვინცის ლაშქრობა ვერონაზე. ეს ქალაქი რომ ალვინცის აეღო, იგი დაეუფლებოდა ყველაფერს. საფრანგეთის არმია მაშინ იძულებული იქნებოდა—დაეხია და შეერთებოდა ვობუას მანტუასთან.

4. რატომ დასტოვა საფრანგეთის არმიამ სოფელი არკოლე პირველი დღის ბოლოს? რატომ დაბრუნდა იქ მეორე დღის ბოლოს? იმიტომ რომ პირველ დღეს მიღწეული უპირატესობანი, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი, არ კმაროდა ვაკეზე გასასვლელად და ვერონასთან მიმოსვლის აღსადგენად. ამასობაში საშიშროება შეიქმნა რომ თვით ბრძოლის დროს არკოლესთან დავიდოვიჩი გასწევდა რივოლიდან კასტელნუოვოში, და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა დროის მეტად დაკარგვა. საფრანგეთის არმიას მთელ ღამეს უნდა ევლო რომ მეორე დღეს შეერთებოდა ვობუას კასტელნუოვოსა და ვილაფრანკასთან, რათა დაემარცხებია დავიდოვიჩი და გადაერჩინა მანტუის გარემოცვა, და შემდეგ, თუ ამას მოახერხებდა, დაბრუნებულიყო უკან, ვიდრე ალვინცი ადიჯეზე გადავიდოდა. ნაპოლეონმა დილის 4 საათზე მიიღო ცნობა რომ დავიდოვიჩი წინა დღეს ადგილიდან არ დაძრულაო. მაშინ ის ხელახლად გადავიდა ხიდზე და აიღო არკოლე, მეორე დღის ბოლოს ის ამგვარადვე მსჯელობდა: მან მოიპოვა არსებითი უპირატესობანი, მაგრამ არა საკმარისად გადამწყვეტნი რომ ვაკეზე გასვლის შესაძლებლობა ჰქონოდა; მას შეეძლო კვლავ ისევ დალოდებოდა დავიდოვიჩის გალაშქრებას ვობუას წინააღმდეგ; უნდა დაძრულიყო ვობუას დასახმარებლადაც და მანტუის ბლოკადის დასაცავადაც. ასეთი მახვილი მოსაზრება დაფუძნებული იყო ერთი-ორი საათის ანგარიშზე, და კარგად უნდა სცოდნოდა ადგილი ვერონასა, ვილანოვასა, რონკოსა, მანტუასა, კასტელნუოვოსა და რივოლს შორის რომ ეს მოსაზრება თავში მოსვლოდა.

5. კითხვა ისმება: რატომ არ გასდო ხიდი საფრანგეთის არმიამ პირველსავე დღეს ალპონეს შესართავთან, ვაკეზე გასასვლელად? რატომ არ გასდო მან იგი თუნდაც მეორე დღეს? იმიტომ რომ ის მარცხდებოდა რვა დღის განმავლობაში, რომ მასში ითვლებოდა მხოლოდ 13.000 კაცი, ბოლოს, იმიტომ რომ სწორად მესამე დღეს, თანდათანობითი ზრდადი წარმატების გამო, ცოტათი დამყარდა წონასწორობა ორთავე არმიას შორის. მდგომარეობა ისეთი იყო რომ მეოთხე დღეს ოპერაციების ბრძანებათა გაცემამდე ნაპოლეონს რომ გენერლები მიეწვია თათბირზე საკითხის გამოსარკვევად: წაიწიონ ვილანოვასა და ვიჩენცაზე, ვერონასთან მარცხენა ნაპირზე მიმოსვლის აღსადგენად, თუ დაიძრან ვობუას დასახმარებლად მარჯვენა ნაპირზე,—ყველანი იმ აზრისანი იქნებოდნენ რომ დაიძრნენ მარჯვენა ნაპირით. როდესაც გათენებამდე ორი საათით ადრე მისმა დივიზიის გენერლებმა ვერონისკენ წინსვლის ბრძანება მიიღეს, მათ ეს ლაშქრობა მეტად გაბედულად მიიჩნიეს. მაგარამ ამ ლაშქრობამ გაამართლა თავისი მიზანი და გენერლებმა მალე დაინახეს რომ მტერი იხევს.

VI

კლარკს ნამდვილად მინდობილი ჰქონდა კავშირის დაჭერა ვენის სამეფო კართან. მას აგრეთვე მინდობილი ჰქონდა მოლაპარაკების გამართვა ნაპოლეონთან დირექტორიის უმცირესობის სახელით. დიდი შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა რომ მას აზრად ჰქონდა ნაპოლეონის შეცვლა. მთავრობა ორ ჯგუფად გაიყო, მაგრამ ორივე პარტია ერთნაირად კმაყოფილი იყო იტალიის საქმეების მსვლელობის. კიდევ მეტიც, კლარკს არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა რომ ჯარებისათვის სარდლობა გაეწია. თავისი ჭკუის წყობით იგი უფრო დამკვირვებელი იყო. იგი მთავარ ბანაკში თვალყურს ადევნებდა ცალკეულ ოფიცრებს. ამან ბევრი პირის უკმაყოფილება გამოიწვია და გაკიცხეს კიდეც. ის შრომის მოყვარე ადამიანი იყო და მოუსყიდველი პატიოსნებისა.

2. მე-59 ნახევარბრიგადა არადროს არ შედიოდა იტალიის არმიის შემადგენლობაში. მის შემადგენლობაში მხოლოდ მე-57 და მე-58 ნახევარბრიგადები შედიოდნენ.

3. როდესაც ნაპოლეონი გამოვიდა რივოლიდან და გაემართა მანტუასკენ, იქ მან დასტოვა გენერლები მასენა და ჟუბერი. ამ ლაშქრობაში სასახლის სამხედრო საბჭოს გეგმა ის იყო რომ ალვინცის ოპერაციები მონტე-ბალდოზე და პროვერასი—ქვედა ადიჯედან ერთმანეთზე დამოუკიდებლივ წარმოებულიყო. ვურმზერმა ბრძანება მიიღო—ეწარმოებინა მანევრები პროვერასთან შესაერთებლად, თუ ალვინცი წარმატებით იმოქმედებდა, და, რაც შეიძლება, ხელი შეეწყო გამარჯვებისათვის. ალვინცი რომ დამარცხებულიყო, ხოლო პროვერას წარმატებით ემოქმედნა, ვურმზერს უნდა გამოეყენებია ის ორი ან სამი დღე, როცა მის ხელთ იქნებოდა პო, რათა ამ მდინარეზე გადაეყვანა მთელი თავისი შტაბი, არტილერიის, ქვეითი, და ცხენოსანთა კადრებითურთ, და წასულიყო რომისაკენ პაპის არმიასთან შესაერთებლად, პაპის ლაშქართა გასადიდებლად და განსასწავლად, ამით აეძულებინა საფრანგეთის მთავარსარდალი—გაეყო არმია ორ ნაწილად. რაც შეეხება მანტუას, ვურმზერს უნდა მოემარაგებინა. იგი ორი თვის საყოფი სურსათით, და ამ მიზნით რამდენსამე ხანს უნდა გამაგრებულიყო სერალიოში; თუ კი, პირიქით, იგი ამას ვერ შესძლებდა, უნდა დაეტოვებია ეს მნიშვნელოვანი ციხექალაქი და პაპის საფლობელოში წაეყვანა მთელი არტილერია საბრძოლო მასალებითურთ, რის წაღებასაც კი შეძლებდა.

4. ალვინცის და პროვერას არმიები გაცილებით უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მათ თვლიან. მათი ზარალი 30.000 მოკლულს, დაჭრილსა და ტყვედ წაყვანილს აღწევდა. ტყვედ წაყვანილთა რაოდენობა 19.000-ზე მეტი იყო.

VII

1. ლაშქრობის დაწყება აუცილებელი იყო გაზაფხულის დამდეგიდან, რათა ავსტრიის ინჟენრებს დრო არ მისცემოდათ—საველე სიმაგრეებით დაეფარათ ნორიჩის ალპების გამოსასვლელები და გაემაგრებიათ მოგერიებისათვის პალმანოვა, და, აგრეთვე, რათა დაემარცხებიათ ერცჰერცოგი უფრო ადრე, ვიდრე მასთან რაინიდან დივიზიები მივიდოდნენ.

საფრანგეთის არმიისთვის რომ ტალიამენტოზე გადასვლაზე ხელი შეეშალა, ავსტრიის სამეფო კარის სამხედრო საბჭოს თავისი არმია უნდა შეეჯგუფებია ტიროლში 1-ლ მარტს, და დაეტოვებია ტალიამენტოზე მხოლოდ 6.000 კაცი თვალყურის სადევნებლად. თუ მაშინაც ფრანგების მთავარსარდალი გადასწყვეტდა ამ მდინარეზე გასვლას, ერცჰერცოგს მოეპოვებოდა საშუალებანი მის შესაჩერებლად. თუ გადავიდოდა ავიჩიოზე, წავიდოდა ტრიენტზე და დაემუქრებოდა ბასანოსა და ვერონას, ის დაახევინებდა მას. ერცჰერცოგი თუ ზემო ბრენტაზე დარჩებოდა, საფრანგეთის არმიას არ შეეძლო თავისი მარჯვენა ფრთის გაჭიმვა და ის იძულებული იქნებოდა ჩაბმულიყო ომში ტიროლში. ეს მას სამ უპირატესობას მისცემდა: 1) 20 დღით ადრე თავისი არმიის თავმოყრის უპირატესობას: ინსპრუკი რაინის ახლო მდებარეობს, კონელიანო-კი და საჩილე მას ძალიან დაშორებულია; 2) ბრძოლის ველს ის უპირატესობა ჰქონდა რომ მდებარეობდა იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა მთლიანად მისი ერთგული იყო; 3) იქმნებოდა შესაძლებლობა რომ თავისი ოპერაციები კონცენტრირებულად ეწარმოებია, და ახალ-ახალი დამხმარე ჯარი რაინის არმიიდან მიეღო. სწორედ სამეფო კარის სამხედრო საბჭოს ამ შეცთომამ—ფრიულში არმიის თავმოყრა ტიროლის ნაცვლად—დააყენა დედაქალაქი თავდასხმის მუქარის ქვეშ და გადასწყვიტა ლაშქრობის ბედი.

2. ერცჰერცოგის განლაგება ტალიამენტოს უკან, კოდროიპოს წინ არ იყო მარჯვე. მან უგულვებელჰყო სან-დანიელე. მისი დახევა ჩივიდალეს ხეობით ქვემო იზონცოს მიმართულებით, იმ დროს როდესაც მასენა ასე ახლოს იყო ტარვისთან, მისთვის დამღუპველი გახდა, როგორც ეს მომხდარმა ამბებმა დაამტკიცა.

3. გიოს დივიზია მიემართებოდა არა ტორეს, არამედ უდინეს, ჩივიდალესა და კაპორეტოს. მთავარი ბანაკი უტევდა პალმანოვასა და გრადისკას ბერნადოტისა და სერიურიეს დივიზიებით. მასენას დივიზია იმყოფებოდა ტარვისში. ისმება კითხვა: რატომღა არ მიდიოდნენ ჩივიდალეს ბერნადოტისა და სერიურიეს დივიზიები გიოს დივიზიის დასახმარებლად? იმიტომ რომ ერცჰერცოგმა გაგზავნა ორი დივიზია თავისი პარკებითურთ ჩივიდალეს ხეობებში, და გიოს დივიზია საკმარისი იყო რომ უკუეგდო მისი არიერგარდი. კაპორეტოში მისვლის შემდეგ ეს კორპუსი განაგრძობდა სვლას ტარვისისკენ, თავისი თავდაპირველი დანიშნულების ადგილისაკენ, და მაშინ ის დაიღუპებოდა და იძულებული გახდებოდა იარაღი დაეყარა, როგორც ეს ნამდვილად კიდეც მოხდა. ანდა, როცა გაიგებდა რომ მასენა ტარვისშიაო, დაეშვებოდა ქვემოთ იზონცოს გასწვრივ და გასწევდა გიორცს, რათა კარნიოლამდე მიეღწია. ამ შემთხვევაში საჭირო იყო საკმაო ძალა, რათა შეგებებოდა მას, უკუეგდო იგი კაპორეტოსკენ, სადაც უკვე მივიდოდა გიო, და აეძულებიათ—დაეყარა იარაღი კაპორეტოს ხეობებში.

მთელ ამ თავს სჭირდება განმარტებები: ოპერაციები ვერ არის შიგ ზუსტად აღწერილი.

4. გენერალ ჟუბერს ინსტრუქციებში ნაბრძანები ჰქონდა, გენერალ კერპენის ბრენერს-გალმა უკუგდების შემდეგ მიბრუნებულიყო მარჯვნით, დაშვებულიყო დრავის ველზე და შეერთებოდა არმიას ვილახში. ასეთი მოძრაობა

სწორი იყო, ვინაიდან ჟუბერმა მოქმდება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როდესაც არმიამ ტალიამენტოზე გაიმარჯვა, და მისი მარჯვენა ფრთა დრავაზე გაემართა მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავარი ბანაკი უკვე კლაგენფურტში იყო. ნაპოლეონმა შეაგება მას ლინცსა და შპიტალში თავისი ადიუტანტი ლა-ვალეტი და გენერალი ზაიონჩეკი დრაგუნთა რამდენიმე ასეულითურთ.

5. ვიქტორის დივიზიის რომანიაში დარჩენა არა დროს არ ყოფილა გათვალისწინებული. ის გაგზავნილი იყო ექსპედიციაში რომს; დრო იყო საჭირო იქიდან მის დაბრუნებაზე. მას უნდა დაეკავებია პოზიცია ადიჯეზე, რათა შეედგინა მზვერავი კორპუსის ბირთვი ვენეციელების წინააღმდეგ. რამდენიმე დღით მისმა დაგვიანებამ გამოიწვია ვერონის ხოცვა-ჟლეტა. ეს დაგვიანება დივიზიის გენერლის გაანგარიშებათა შეცთომის შედეგი იყო. გადარეული უნდა ყოფილიყო ადამიანი რომ ქვემო იტალიაში ჯარები დაეტოვებია.

6. ტალიამენტოზე გადასვლის შემდეგ ნაპოლეონი დირექტორიას სწერდა რომ 15 აპრილს გერმანიაში ვიქნები, კარინთიის მთავარ ქალაქშიაო. აუცილებელია რომ სამბრ-მაასისა და რაინის არმიები, რომლებშიც 150.000 მებრძოლი ითვლება, დაუყოვნებლივ გავიდნენ სალაშქროდ და დაიკავონ პოზიციაენსზეო. ამ მდინარეზე მისვლის შემდეგ სამსავე არმიას ვენისკენ დავსძრავო. დირექტორიამ უპასუხა ნაპოლეონს რომ რაინის არმიებს ნაბრძანები აქვს საომარი მოქმედების დაწყება და იმ წუთს, როდესაც მასთან შიკრიკი მივა, საომარი მოქმედება უკვე დაწყებული იქნებაო. მაგრამ 1-ლ აპრილს მას კლაგენფურტში აუწყეს რომ რაინის არმიებთან თანამოქმედების იმედი არ უნდა იქონიოო.

ამ ცნობამ მასში მთელი რიგი ეჭვები გამოიწვია. მან სარდინიის მეფესთან შეტევისა და მოგერიების ხელშეკრულება დასდო, მისცა მისი სამფლებელოების ხელშეუხებლობის თავმდებობა და მოახერხა რომ გამოეყვანინებინა კონტინგენტი 10.000 ქვეითი, 2.000 ცხენოსანი და 24 ქვემეხი. ეს დივიზია, რომელსაც ის გერმანიაში წაიყვანდა, უზრუნველყოფდა მის ზურგს. თითოეული პიემონტელი ჯარისკაცი იქნებოდა მისთვის მძეავალი. დირექტორიას არ გაუკიცხავს ეს ხელშეკრულება, მაგრამ გააჭიანურა მისი რატიფიკაცია და ლაშქრობა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე არმია გაძლიერდებოდა ამ კარგი ჯარების დივიზიით. ეს მით უფრო საწყენი იყო რომ დაუსაქმებლად დარჩენილი იგივე 12.000 კაცი საშიში ხდებოდა.

ნაპოლეონი აგრეთვე უკმაყოფილო იყო დესპან კვირინის გავლენისა, რაიც ხელს უშლიდა ვენეციის საქმეებს. ის დარწმუნდა რომ აუცილებელია ზავის შეკვრა, და გაუგზავნა თავისი ცნობილი წერილი ერცჰერცოგს. 18 აპრილამდე პარიზიდან მოსული მთელი ფოსტა განუმტკიცებდა მას იმ აზრს რომ გერმანიის არმიები სრულებით არ დაძრულან ადგილიდან. რაინზე მათი გადასვლა მან გაიგო მხოლოდ ლეობენის წინასწარი პირობების ხელმოწერის შემდეგ, რომელთაც ის ხელს მხოლოდ ვენაში მოაწერდა, თუ ეცოდინებოდა რომ რაინის არმიებმა ლაშქრობის დაწყების ბრძანება მიიღეს.

1798 წლის ომის ამბების ნარკვევები[1]

I. ავსტრიის, ინგლისის, რუსეთისა და ნეაპოლის მეორე კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ.—II. რომის ომი (1798 წ. ნოემბერ-დეკემბერი). III. ნეაპოლის ომი (1799 წ. იანვარი).—IV. შენიშვნები.

I

ნაპოლეონმა მთავრობის შეკითხვაზე, 1798 წ. რომში საფრანგეთის დესპანის ამბის გამო, უპასუხა რომ რომის რესპუბლიკის არსებობა შეუთავსებელია ნეაპოლის მეფის არსებობასთან და შეუძლებელია რომ ქალაქები რომი და ნეაპოლი, ერთიმეორესთან ასე ახლოს მდებარენი, ხანგრძლივად რჩებოდნენ მოპირდაპირე გავლენაშიო. სარდინიის მეფე, ოთხი რესპუბლიკით გარშემორტყმული, თრთოდა თავის დედაქალაქში. რაშტადტის კონგრესზე საფრანგეთმა უარი სთქვა კამპო-ფორმიოში მიღებულ პოლიტიკურ სისტემაზე და ამან ჩამოაშორა მას ავსტრია. ეკატერინე მოკვდა. მის შემდეგ ტახტზე ასულ პავლეს აშკარად ეზიზღებოდა საფრანგეთის რევოლუციის პრინციპები. მას კარგი განწყობილება ჰქონდა მალტის ორდენთან, სარდინიისა და ნეაპოლის შეფეებთან და შვეიცარიის ოლიგარქებთან. სენტ-ჯემისა და ვენის კაბინეტებმა, იმდენჯერ მოტყუებულებმა ვერაგი ეკატერინეს მიერ, დაიჯერეს მისი შვილის რაინდული ხასიათი. ყველაფერი მოასწავებდა ომს.

აბუკირში საფრანგეთის ესკადრის განადგურების ამბავი მოედვა ევროპას სექტემბერში. ეს იყო ნაბერწკალი რომელმაც ხანძარი დაანთო და ეს ხანძარი ჩქარა მთელ კონტინენტს მოედვა. ნეაპოლის მეფემ ზეიმით მიიღო ნელსონი. პორტამ ომი გამოუცხადა რესპუბლიკას. ინგლისმა, ავსტრიამ, რუსეთმა და ნეაპოლმა შეადგინეს მეორე კოალიცია. 1798 წ. ნოემბერში ავსტრიის ერთმა დივიზიამ რაინთალი დაიპყრო, გრაუბიუნდენის ლიგის მფარველობის საბაბით. მაკმა, ავსტრიის გენერალმა, იკისრა ნეაპოლის არმიის სარდლობა; ეს არმია გამზადებული იყო საომრად და დაწყებული ჰქონდა საბანაკო მეცადინეობა.

საფრანგეთის მთავრობა გრძნობდა მოსალოდნელ ქარიშხალს და მასთან შესაბრძოლებლად ემზადებოდა. სექტემბერს მთავრობამ ჯარში გაწვევის დეკ-

---

[1] ეს ნარკვევი გადმობეჭდილია ნაპოლეონის ხელით დაწერილ დედნიდან.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

რეტი გამოსცა. რამდენიმე ხნის შემდეგ განკარგულება გასცა—შეეკრიბნათ 200.000 ახალწვეული. დირექტორიამ ხელახლა სცნო ციზალპინისა და ლიგურიის რესპულიკათა დამოუკიდებლობა და ამით შეეცადა—ფრანგებისათვის მიემხრო იტალიელები. ბელგია აჯანყდა. იგი დაამშვიდეს და განაიარაღეს. გენერალმა ჟურდანმა ოქტომბერში დასტოვა ხუთასთა საბჭო და იკისრა რაინის არმიის სარდლობა მაინცში. გენერალი ჟუბერი მილანს გაემგზავრა, გენერალი შამპიონე—რომს. ევროპაში ყველგან განახლდა იარაღის ჩხარუნი. მაგრამ მაინც ერთგვარ იმედს ამყარებდნენ ზამთარის მოლაპარაკებათა კეთილ შედეგებზე.

ნოემბრის დამლევს ნეაპოლის მეფე სათავეში ჩაუდგა თავის არმიას. ომის გამოუცხადებლად, თავისი მოქმედების შეუთანხმებლად მოკავშირე არმიებთან, მან გადალახა საზღვარი, შეუტია რომის არმიას ფრანგებისას და ზეიმით შევიდა ამ დედა-ქალაქში. თავისი დამარცხების შემდეგ იგი უსაყვედურებდა ვენის კაბინეტს რომ უკანასკნელმა ის დაუჩმარებლად დასტოვა, თავისი მხრივ ვენის კაბინეტი ბრალს სდებდა მას წინდაუხედაობისათვის; მას უნდა დაემალა თავისი განზრახვა და დალოდებოდა რუსის ჯარის მოსვლას. მაგრამ, ნამდვილად, ავსტრიას ეშინოდა—ამ ხელმწიფეს არ განემეორებინა 1796 წლის აბმავი, როცა იგი აჩქარდა და სეპარაციული ზავი დასდო, ამიტომ ავსტრიის მთავრობა მზად იყო სახელი გაეტეხა მისთვის, რათა მას ამის იმედი აღარ დარჩენოდა. თავისი მხრივ, ინგლისელებს ეშინოდათ ვენის სამეფო კარის მერყეობისა, სურდათ დაესწროთ ზამთარის მოლაპარაკებისათვის, და ისწრაფოდნენ შეუძლებელი გაეხადათ ყოველგვარი შეთანხმება.

როგორც კი დირექტორიამ ნეაპოლის მეფის შემოჭრა გაიგო, დაუყოვნებლივ უბრძანა გენერალ ჟუბერს—უზრნველეყო პიემონტის დაუფლება. ხელში ჩაგდებული წერილები ამჟღავნებდნენ ამ კაბინეტის განზრახვას. ჟუბერი ტურინში 28 ნოემბერს შევიდა. მეფემ ტახტზე ხელი აიღო და ოჯახითა და ხაზინით გაიხიზნა სარდინიის კუნძულზე. სავოიის სამეფო კარი არ იყო დიდად სასიყვარულო. პიემონტელებს სურდათ საფრანგეთთან შეერთება. მათი არმია რესპუბლიკას მიემხრო და კარგადაც ემსახურებოდა.

ლივორნოს დაკავებამ ნეაპოლის დივიზიის მიერ, რომელიც იქ ნელსონმა გადასხა, შეეჭვება გამოიწვია ტოსკანის დიდი ჰერცოგის განზრახვებში. მას ჩამოერთვა თავისი სამფლობელოები; იგი ვენაში გაიხიზნა მთელი თავისი ქონებით.

ნეაპოლის მეფემ გამოიყვანა 100.000 კაცისაგან შემდგარი არმია, რომლის რიცხვში 10.000 ცხენოსანი იყო; 70.000 კაცი მზად იყო გასალაშქრებლად. ამათგან 3.000 კაცი გაგზავნა პორტო-ლონგონეს, პრეზიდებში და არჯენტაროს მთაზე; 7.000 კაცი ჩასხა ნელსონის ესკადრის ხომალდებზე და ნელსონმა ისინი გადასხა ლივორნოში. რომის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იგი 60.000 კაცით შეიჭრა, რომლეთა მეათედს ცხენოსანი ჯარი შეადგენდა.

რომიდან ზემო იტალიაში სამი გზატკეცილი მიდის. ერთი მიემართება ზღვის გასწვრივ, ჰკვეთს ჩივიტა-ვეკიუს (15 ლიე), ორბეტელოს (15) და ლივორნოს (34)—სულ 64 ლიე. მეორე გადიოს რონჩილიონეზე (11 ლიე), ვი-

ტერბოზე (4), სიენაზე (30), ფლორენციაზე (12)—სულ 57 ლიე. მესამე სჭრის ტიბრს ბორგეტოს ხიდით, 2 ლიეს დაშორებით გაივლის ჩივიტა-კასტელანიდან (14 ლიე), აღწევს ტერნს (7), სადაც ორ გზად იყოფა: ერთი, მარცხენა, მიემართება არეცოსაკენ (25), ფლორენციისაკენ (15)—სულ 61 ლიე; მარჯვენა გადაჭკვეთს აპენინის მთებს, ურბინოს საჰერცოგოს და ადრიატიკის ზღვის პირას ფანოში (34) თავდება—სულ 55 ლიე. ტერნიდან მარჯვნივ გამოცალკევებული გზატკეცილი ფოლინიოში გადასჭრის აპენინებს (10 ლიე), გაივლის ტოლენტინოზე (12), ლორეტოზე (9) და თავდება ანკონაში (11)—სულ 63 ლიე.

ნეაპოლის სამეფოს სანაპირო ხაზის მარცხენა კიდური გადიოდა ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ტერაჩინაზე, რომიდან 20 ლიეზე. ამ ხაზის ცენტრი, ჩივიტა-დუკალესა და რიეტს შორის, ტერნიდან 5 ლიეს სიშორეზეა. რიეტიდან ტერნამდე ერთი დღის სავალია. იქ გადის ფლორენციის გზატკეცილი, და ეს ადგილი რომიდან ოთხ ეჯზეა. საზღვრის მარჯვენა კიდური გადიოდა ასკოლში, მდ. ტრონტოზე, ორ ეჯზე ანკონის გზატკეცილზე მდებარე ქალაქ მაჩერატადან და ათ ეჯზე რომიდან.

საფრანგეთის არმია გენერალ შამპიონეს სარდლობით 25.000—26.000 კაცისაგან შედგებოდა, აქედან 8.000 პოლონელი, ციზალპინელი და რომანელი იყო. იგი სამ დივიზიად იყო დაყოფილი. მარჯვენა დივიზია 12.000 კაცისაგან შედგებოდა, მას გენერალი მაკდონალდი სარდლობდა და დაკავებული ჰქონდა ტერაჩინა, რომი და ტივოლი. ცენტრალურ დივიზიას, 6.000 კაცისაგან შედგენილს, გენერალი ლემუანი სარდლობდა და ეკავა ტერნი. მარცხენა დივიზია 8.000 კაცისაგან შედგებოდა, გენერალი კაზაბიანკა სარდლობდა და მდინარე ტრონტოსა, ფოლინიოსა და ანკონას შორის იდგა და ადრიატიკის ზღვის პირს ემიჯნებოდა.

ნეაპოლის მეფემ ზედმეტად სცნო ომის გამოცხადება. მაშინ, როცა მისი დესპანი პარიზში იყო, საფრანგეთის დესპანი კი—ნეაპოლში, მან საომარი მოქმედება დაიწყო. რომში შესვლისთანავე გამოაქვეყნა მოწოდება, 14 ნოემბრით დათარიღებული, რომელშიაც აცხადებდა რომ ომი გამოვუცხადე საფრანგეთის რესპუბლიკას, რადგან მან დაიპყრო კუნძული მალტა, რომლის მექომაგე (სიუზერენი) მე ვარ, და ემუქრება ჩემი ტახტის არსებობას რომის რესპუბლიკის შექმნითო. გენერალ მაკმა გენერალ შამპიონეს წინადადება მისცა—დაეცალა პაპის სამფლობელო და ყველა მისი ციხე-სიმაგრე, რადგან ნეაპოლის მეფეს სურს მათი დაპყრობა და არ სცნობს რომის რესპუბლიკასო. შამპიონემ ეს წინადადება 24 ნოემბერს მიიღო. განკარგულება გასცა რომ ნიშნის მისაცემად ზარბაზნები გაესროლათ წმიდა ანგელოზის ციხედარბაზიდან, რაც განგაშის მაუწყებელი იქნებოდა; მან მოამარაგა ეს ციხე, ჩააყენა იქ საომედო მეციხოვნე ჯარი, ჩამოაყალიბა კორპუსი რომის მოხალისეებისაგან, ერთი-ორად გაადიდა საქალაქო გვარდია და მას მიანდო ქალაქის დაცვა.

ამასობაში ნეაპოლის არმიამ დაიწყო საომარი მოქმედება, ერთდროულად სამი მიმართულებით: ადრიატიკის ზღვის გასწვრივ, ხმელთაშუა ზღვის ცენტრში და გასწვრივ. გენერალ-ლეიტენანტმა მიშერუმ 15.000 ნეაპოლელით და 24 ზარბაზნით გაილაშქრა ასკოლზე, გადავიდა ტრონტოზე

და მივიდა ფერმოს. გენერალმა კაზაბიანკამ დაიხია მაჩერატისაკენ, მაგრამ როცა გენერლების რიუსკისა და მონიეს ბრიგადებს შეუერთდა და შეაგროვა 7.000 კაცი,—გადავიდა შეტევაზე, ფერმოსთან შეხვდა ნეაპოლელებს და 30 ნოემბერს დაამარცხა ისინი, ხელთ იგდო 600 ტყვე და მთელი მათი არტილერია. გენერალი ფილიპი 9.000 კაცით და რვა ზარბაზნითურთ აქვიდან და ჩივიტა-დუკალედან გაემართა ტერნზე, სადაც შეუტია ლემუანის დივიზიას, რომელშიც მხოლოდ 3.000 ფრანგი იყო. სიმამაცემ შეავსო რიცხვობრივი სიმცირე და ნეაპოლელები უკუიქცნენ, დასტოვეს 400 ტყვე, ექვსი ზარბაზანი, დროშები და უწესრიგოდ დაიხიეს ჩივიტა-დუკალესაკენ. მეფემ 36.000 კაცით გაილაშქრა რომზე. იქ მივიდა 27 ნოემბერს, ალყა შემოარტყა წმ. ანგელოზის ციხედარბაზს და 29-ს ზეიმით შევიდა რომს.

შამპიონემ ჭკვიანად განსაჯა რომ, რადგან მოწინააღმდეგე ტერნის მიდამოებში იმყოფებოდა, პოზიციის შენარჩუნება რომთან არ იყო საჭირო. მან იგი დასცალა და მხოლოდ 800—900 კაცი დასტოვა წმ. ანგელოზის ციხედარბაზში, თავისი მთავარი ბანაკი მოათავსა ტერნში; ამრიგად მან მარჯვენა ფრთას მოაფარა მაკდონალდის დივიზია, რომელიც განლაგებული იყო ჩივიტა-კასტელანაში, მარცხენა ფრთას-კი—ლემუანის დივიზია რიეტაში განლაგებული.

რომში გატარებული ოთხი-ხუთი დღის შემდეგ, მაკმა ჯარი დასძრა წინ ტიბრის ორთავე ნაპირზე, ამასთან მთავარი ძალები—მარჯვენა ნაპირზე, რადგან სურდა მოეჭრა საფრანგეთის არმია, მოესპო მისთვის ყოველგვარი გზები, ალყა შემოერტყა და ტყვედ ჩაეგდო იგი. მარჯვენა კორპუსს უნდა გადაეკვეთა ანკონიდან მაჩერატას მიმავალი გზატკეცილი; შუა კორპუსი ტერნში უნდა განლაგებულიყო და არეცოდან ფანოს მიმავალი გზა უნდა გადაეჭრა; თვით მაკს, რაკი სიენიდან ტიბრსა და ზღვას შორის იმოძრავებდა, უნდა გადაეჭრა ჩივიტა-ვეკიასა და ფლორენციისაკენ მიმავალი ორივე გზატკეცილი. ლივორნოში გადმოსხმული 7.000 ნეაპოლელი მის შესახვედრად უნდა წამოსულიყო. ამ გეგმის განსახორციელებლად მან 2 დეკემბერს მთავარი ბანაკი ბაკანოს გადიტანა, აქ განალაგა მარქაფი კორპუსი 15.000 კაცის რაოდენობით და უბრძანა კავალერ დე-საქსს, 9.000-კაციან დივიზიის სარდალს, უკუეგდო ფრანგის მოწინავე რაზმები ტიბრის მარჯვენა ნაპირიდან და ხელთ ეგდო სიენის გზა. გენერალ მეტშს 7.000 კაცით უნდა გაელაშქრა ტიბრის მარცხენა ნაპირზე მონტე-როტონდოზე, ევლო რომიდან ტერნს მიმავალი გზით და შეეწყვიტა კავშირი ჩივიტა-კასტელანასა და ტერნს შორის. ჩივიტა-კასტელანაში იდგა მაკდონალდი 3.000-კაციან მარქაფითურთ. მან რომისკენ მიმავალ სამ გზაზე სამი მოწინაეე რაზმი წამოსწია, სახელდობრ: გენერალი კნიაჟევიჩი 2.000 კაცით სიენის გზატკეცილზე, რონჩილიონეს მახლობლად და ფალარის პოზიციებზე; გენერალი კელერმანი 1.800 კაცით—ცენტრალურ გზატკეცილზე, პატარა ქალაქ ნეპთან; პოლკოვნიკი ლახიური 900 კაცით—ტიბრის გასწვრივ მიმავალ გზატკეცილზე. კავალერ დე-საქსმა იერიში მიიტანა ერთდროულად ამ სამ მოწინავე რაზმზე; აქედან ის უკუაქციეს და დაიხია, თან თავისი ჯარის მესამედი დაჰკარგა. ამ ხნის განმავლობაში გენერალი მეტში მოძრაობდა მარცხენა ნაპირზე კანტალუპოსა, კალვისა და ოტრიკოლისკენ, სადაც გადის გზატკეცილი ჩივიტა-კასტელანადან ტერნისაკენ, რომელიც მან კიდეც გადასჭრა.

ამან შეშფოთება გამოიწვია მთავარ ბანაკში ტერნში. მაკს შეეძლო, როცა კავალერ დე-საქსის დივიზიას თავა მოუყარა, ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიღება: ან განეახლებინა შეტევა ჩივიტა-კასტელანაზე თავისი მარქაფით, ან გადასულიყო ტიბრზე მეტშის დივიზიისათვის დახმარების გასაწევად. იგი მეორე გადაწყვეტილებას დაადგა. უბრძანა გაედოთ ხიდი ტიბრზე, და დადგა კანტალუპოში. მაკდონალდმა და გენერალმა კნიაჟევიჩმა გაილაშქრეს კავშირის აღსადგენად მთავარ ბანაკთან. ისინი ტიბრის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ ბორგეტის ხიდით, 9 დეკემბერს ხელახლა აიღეს ოტრიკოლი, უკუაქციეს ნეაპოლის დივიზია კალვზე, ალყა შემოარტყეს მას და იარაღი დააყრევინეს. იგი მთლად ჩაბარდა ტყვედ, თუმცა მის შემადგენლობაში კიდევ დარჩენილიყო 4.500 კაცი. ამ დივიზიას ჰქონდა 8 ზარბაზანი და 15 დროშა, თავის მხრივ, გენერალი ლემუანი დაიძრა ტერნიდან რიეტისა, ჩივიტა-დუკალესა, აქვილასაკენ და იქედან მონტო-როტონდოზე, რითაც განგაში გამოიწვია რომში.

32.000 კაცში, რომლითაც მაკმა გამოილაშქრა ამ დედა-ქალაქიდან, მას 20.000-ზე მეტი არ დარჩენია, სახელდობრ: 14.000 კაცი მის ბანაკში კანტალუპოში და 6.000 კაცი კავალერ დე-საქსის სარდლობით პოზიციაზე ტიბრის მარჯვენა მხარეზე. ადრიატიკის ზღვის გასწვრივ და ცენტრალურ უბანზე მოქმედ კორპუსებმაც დიდი ზარალი განიცადეს. არმია დემორალიზებული იყო. ლემუანის დივიზიამ მის მარჯვენა ფრთას შემოუარა, და ფრანგებს ყოველდღიურად მაშველი ჯარები მოსდიოდათ. ადიჯზე მდგომი არმიები სრულიად არ იძვრებოდნენ. გენერალმა მაკმა გადასწყვიტა დახევა და 12 დეკემბერს აშალა თავისი ბანაკი. მაკდონალდი მას დაედევნა.

11 დეკემბერს რომში გაიგეს ნეაპოლელთა დამარცხება. 12-ს მეფემ დაიხია ალბაში; 13-ს ნეაპოლელთა მეციხოვნე ჯარმა დასტოვა დედაქალაქი; 14-ს ფრანგი მეციხოვნე ჯარი გამოვიდა წმ. ანგელოზის ციხედარბაზიდან და შევიდა ქალაქში; 15-ს შამპიონეს მოწინავე რაზმი შეიჭრა რომში. ეს მოწინავე რაზმი შეხვდა კავალერ დე-საქსის კოლონებს, რომელთაც დახევისას განზრახული ჰქონდათ რომის ხიდზე გავლა. შამპიონემ მათ შეუტია, დაამრცხა ისინი და უკუაგდო სტორტის ვაკეში. კოლონები გაიფანტნენ, მათ წაართვეს ზარბაზნები და 1.200 კაცი ტყვე. გრაფმა როჟე-დე-დამამ, ნეაპოლის სამსახურის გენერალმა, თავი მოუყარა გაქცეულებს და გაილაშქრა ვიტერბოზე, სადაც იფეთქა აჯანყებამ. კელერმანი მათ დაედევნა, დაეწია მონტალტოში და დაამარცხა. ამ დივიზიის ნაშთებმა თავი მოიყარეს ორბეტელოში და დაიხიეს ზღვით ნეაპოლს. კელერმანმა ალყა შემოარტყა ვიტერბოს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დანებდა. ტერნის, ფერმოს, ჩივიტა-კასტელანას, ოტრიკოლის, კალვის, კანტალუპოს, სტორტის ბრძოლებში ნეაპოლელებმა დაჰკარგეს 25.000 კაცი, აქედან 10.000 ტყვე და 15.000 მოკლული, დაჭრილი და გაქცეული, 80 ზარბაზანი და ბევრი დროშა. მაკს თავისი არმიის შეგროვება მხოლოდ მდ. ვოლტურნოს-გაღმა შეეძლო. მან დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში შესძლო თავი მოეყარა 20.000 კაცისათვის იმ 45.000-დან, რომელნიც შეადგენდნენ მის შუაგულსა და მარცხენა ფრთას. ნეაპოლიდან მოსულ დამხმარე ჯარის შეერთებისთანავე მან დაიკავა პოზიცია, სადაც მარცხენა ფრთით ეყრდნობოდა კაპუას სიმაგრეს და მარჯვენათი—კაზერტას. საფრანგეთის არმიამ, რომელსაც

მოულოდნელად თავს დაესხნენ და რიცხვობრივად ერთი-ორად ნაკლები იყო, ცოტა ხალხი დაჰკარგა. რომის მთავრობის დაწესებულებათა რამდენიმე მოსამსახურე, რომელთაც ფლორენციაში გაქცევა უნდოდათ, აჯანყებულებმა დაიჭირეს ვიტერბოში და სცემეს.

III

როცა შამპიონემ ამგვარად გაათავისუფლა რომის ოლქები ნეაპოლის არმიისგან, მან განაგრძო თავისი გამარჯვების განვითარება და გაილაშქრა ნეაპოლზე. რომის ოლქებიდან ნეაპოლის სამეფოში ოთხი გზატკეცილი მიდის. პირველი, მარჯვენა, ჰკვეთს პონტიის ჭაობებს, გადის ტერაჩინეში ნეაპოლის სამეფოს საზღვართან (22 ლიე), გაეტაში (18 ლიე), გადადის მდ. გარილიანოზე ტრაიეტოს ახლოს (12 ლიე) და მდ. ვოლტურნოზე ქალაქ კაპუას ხიდებით (9 ლიე) და აღწევს ნეაპოლს (7 ლიე); მისი საერთო სიგრძე 58 ლიეა. მეორე გზატკეცილი აგრეთვე რომიდან გადის, გადაჰკვეთს ფრასკატის, მიდის იზოლასთან, მდ. გარილიონზე, ნეაპოლის სამეფოს საზღვართან (22 ლიე), იქიდან სან-ჯერმანოსა და კალვიზე გავლით შედის კაპუაში (22 ლიე), კაპუიდან—ნეაპოლში (7 ლიე); მისი საერთო სიგრძე 51 ლიეა. მესამე გზატკეცილი გამოდის ტერნიდან, გადის ჩივიტა-დუკალეზე (8 ლიე), აქვილაზე (11 ლიე), პოპოლიზე (12 ლიე), სოლმონაზე (4 ლიე), გადადის აპენინის მთავარ ქედზე, გადაჰკვეთეს ვენაროს (18 ლიე) და მიაღწევს კაპუასა და ნეაპოლს (16 ლიე); მისი საერთო სიგრძე 69 ლიეა. მეოთხე გზატკეცილი მიდის ადრიატიკის ზღვის გასწვრივ პესკარამდე (14 ლიე), სადაც უერთდება მესამე გზატკეცილს; მისი საერთო სიგრძე 60 ლიეა.

საფრანგეთის არმია ოთხი დივიზიის შემადგენლობით უტევდა ოთხ გზატკეცილზე; გენერალი რეი ტერაჩინე—ფონდის გზატკეცილზე, მთავარსარდალი მაკდონალდის დივიზიით—იზოლის გზატკეცილზე, სადაც გადავიდა მდ. გარილიანოზე ჩეპრანოს [1] ხიდით. მისი მიახლოებისას, ამ მდინარის დასაცავად მაკის მიერ გაკეთებული სანგრები 80 ზარბაზნითურთ მიატოვეს. შამპიონე, რომელსაც არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მივიდა სან-ჯერმანოს 1-ლ იანვარს 1799 წელს. გენერალი ლემუანი მიდიოდა მესამე გზატკეცილზე და თანდათან იკავებდა აქვილას, პოპოლის, სოლმონას. გენერალი დიუჰემი, რომელიც მეოთხე დივიზიას სარდლობდა, გაემართა პესკარას, აიღო ეს ციხე, წაიყვანა იქ ტყვედ 3.000 კაცი, და იქიდან წავიდა პოპოლისკენ ლემუანის დივიზიის კვალდაკვალ.

თავისი სადგომიდან კაზერტაში, სადაც ის დედაქალაქს იფარავდა, მაკმა 31 დეკემბერს დროებითი ზავის სათხოვად გაგზავნა თავისი ადიუტანტი პინიატელი. მას ამაზე უარი უთხრეს.

1799 წლის 3 იანვარს შამპიონემ თავისი მთავარი ბანაკი კალვოს გადაიტანა. ბრიგადის გენერალი მათიე წინდაუხედავად ჩაება ბრძოლაში კაპუასთან; ის ზარალით უკუაგდეს და თვითონაც საშიშრად დასჭრეს. შამპიონემ,

[1] ჩეპრანო მდ. ლირაზეა, რომელიც ცოტა ქვემოთ უერთდება მდ. საკოს და შეადგენს მდ. გარილიანოს.

ფოანგ რედ. შენიშვნა.

რომელმაც ცნობები მიიღო რომ მტერს მაგარი პოზიცია უკავიაო, და რომელსაც რეის, ლემუანის და დიუჰემის დივიზიების არავითარი ამბები არ მისდიოდა, დაიხია რამდენსამე ლიეზე, რათა გაეუმჯობესებია თავისი მდგომარეობა და დალოდებოდა ამ დივიზიების მასთან შეერთებას. როგორც-კი ეს დახევა დასრულდა, შამპიონემ გაიგო რომ გენერალმა რეიმ, გაძლიერებულმა კელერმანის მიერ ვიტერბოდან წამოყვანილი ბრიგადით, აიღო ციხე გაეტა, ხელთ იგდო იქ 4.000 ტყვე, გადავიდა მდ. გარილიანოზე და მოუხვია მარჯვნით, ქვედა ვოლტურნოზე შემოვლითო, გენერალი ლემუანი მიადგა ამ მდინარეს ვენაფროსთან, დიუჰემიც აგრეთვე გამოვიდა პესკარიდანო. ამგვარად, მთელი არმია თავს იყრიდა. ეს დივიზიები ყველგან იმარჯვებდნენ.

ამასობაში ყველა სოფელში ატეხილი საგანგაშო ზარის რეკა მოუწოდებდა გლეხებს იარაღისაკენ. გარილიანოს ველისა და აპენინების მთელი მოსახლეობა აღდგა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს გარილიანოს ხიდი, დასწვეს რეის დივიზიის პარკი, ამოხოცეს დიდი რაოდენობა ჩამორჩენილი ფრანგი ჯარისკაცი და სესაში დასცეს თავიანთი მთავარი ბანაკი. მათ დასამშვიდებლად გაგზავნილი ორი ათასეული შებერტყეს და უკუაგდეს კიდეც. თვით მთავარი ბანაკი საფრანგეთის არმიისა, ამ გლეხების მიერ ალყაშემორტყმული, კინალამ ხელთ იგდეს და გადარჩა მხოლოდ 97-ე ნახევარბრიგადის ორი ათასეულის ვაჟკაცობის წყალობით. არმიის სხვადასხვა ნაწილის დამაკავშირებელი ყველა გზა ხელში ჩაიგდეს. აჯანყება დღითიდღე იზრდებოდა რადგან მეამბოხეებმა პატარ-პატარა ბრძოლებში გაიმარჯვეს. ამ დროს მაკმა ხელახლად ითხოვა დროებითი ზავის ჩამოგდება. მისი წინადადება მიიღეს და ხელი მოაწერეს 10 იანვარს 1799 წელს. კაპუა გადადიოდა ფრანგების ხელში; მათ მთელი სამეფო დაიკავეს ნეაპოლისა და მისი მიდამოების გარდა. მეფემ იკისრა 10 მილიონის დაუყოვნებლივ გადახდა ჯარის შესანახად და თავისი ნავსადგურების დახურვა ინგლისელებისა და რუსებისათვის. ეს ამბავი და რამდენიმე ათასეულის შეტევა საკმაო იყო რომ მეამბოხენი გაფანტულიყვნენ და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ თემებში.

მეფემ დასტოვა ნეაპოლი 23 დეკემბერს და წავიდა სიცილიას, სამეფოს მართვა მიანდო თავად პინიატელის. 12 იანვარს ამ ქალაქის მოსახლეობამდე მიაღწია დროებითი ზავისა და კაპუის დათმობის ამბავმა. 14-ს ნეაპოლის ხეივნებში რამდენიმე ფრანგი ოფიცრის დანახვაზე ხალხმა იარაღს სტაცა ხელი, იფეთქა აჯანყებამ. ამ ამბების დროს მოვიდა ტრანსპორტი ნეაპოლის დივიზიითურთ, რომელსაც ლივორნო ეკავა. ამ ჯარისკაცებს ისე მოეპყრნენ როგორც მხდალებს, და განაიარაღეს ისინი. იარაღის საწყობები გაძარცვეს: 30.000—35.000 ლაცარონიმ [1] იარაღი აიღო, რათა დედაქალაქი დაეცვა. 16 იანვარს მათ აირჩიეს თავადი მოლინტერნო თავიანთ მთავარ მოთავედ და აიღეს სენტ-ელმის ციხე. ყველა მოქმედების დროს ყვიროდნენ: „გაუმარჯოს წმიდა იანუარს, გაუმარჯოს იესო ქრისტეს, გაუმარჯოს მეფე ფერდინანდს!“ ფრანგებსა და ნეაპოლის პატრიოტებს ქუჩებში სცემდნენ. ბევრი მათი სახლი გაძარცვეს. თავად-აზნაურობა და მდიდარი ბურჟუაზია, რომელთაც აშკარად ემუქრებოდნენ ფრანგების მონარე-

[1] მათხოვრები.

ობისათვის, შეუერთდნენ პატრიოტებს; უკანასკნელთ დიდიხანია მიწერ-მოწერა ჰქონდათ შამპიონესთან. 21-სა და 22-ს არმია ქალაქს მიუახლოვდა. 23-ს პატრიოტებმა, რომელთაც სათავეში თავადი მოლინტერნო ჩაუდგა და აჯანყებულებს უღალატა, აიღეს ციხე სენტ-ელმი. ფრანგები ნეაპოლში შევიდნენ. რესპუბლიკელთა მრავალრიცხოვანმა პარტიამ თავი ასწია. ლაცარონს გუნება შეეცვალა. 24 იანვარს მთავარსარდალმა შეადგინა დროებითი მთავრობა 21 პატრიოტისაგან. ცოტა ხნის შემდეგ გამოცხადებულ იქნა პართენოპეის რესპუბლიკა, და ნეაპოლის რევოლუცია დათავდა.

დირექტორიამ არ დაამტკიცა 10 იანვრის შეთანხმება. ამან და აგრეთვე ადმინისტრაციულმა მოსაზრებებმა აიძულა იგი—გაეწვია შამპიონე, და ნეაპოლის არმიის სარდლობა მიენდო გენერალ მაკდონალდისათვის. მაკი, რომელიც ნეაპოლელებს შესძულდათ, ტყვედ ჩავარდა და გაიგზავნა პარიზს.

IV

პირველი შენიშვნა. 1. 1798 წ. იტალიაში არმია მშვიდობიან მდგომარეობაში იყო. სიმაგრეები მოუმარაგებელი იყო სურსათ-სანოვაგით, არტილერიას არ გააჩნდა შესაბმელი ცხენები, შტაბის ოფიცრებმა მიატოვეს თავთავიანთი თანამდებობანი და წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო ბევრი ოფიცერი გრძელვადიან შვებულებაში იყო. მთავარსარდალი არმიაში მივიდა რვა დღით ადრე საომარ მოქმედების დაწყებამდე. ნეაპოლის მეფის შემოსევა თუმცა დიდი ხანია მოსალოდნელი იყო, მაგრამ იგი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა.

2. შამპიონემ რომი მეტად მოგვიანებით დასტოვა. მას იგი 48 საათით ადრე უნდა დაეტოვებია. პოზიცია, რომელიც მან ჩივიტა-კასტელანაში დაიჭირა, ბორგეტოს ხიდწინ, საიმედო იყო. აქედან მას ყოველთვის შეეძლო რამდენსამე საათში გადასულიყო ტიბრის მარცხენა ნაპირზე და თავის ძალებისათვის თავი მოეყარა ტერნთან. მაგრამ ეს მას საჭიროების დროს უნდა მოემოქმედნა. გენერალ ლემუანის მიერ ჩატარებული ბრძოლა ტერნთან ამ ლაშქრობის ყველაზე შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს.

მეორე შენიშვნა. უეჭველია, უმჯობესი იქნებოდა არ შეჭრილიყვნენ ნეაპოლის სამეფოში, გამოეყენებიათ მტრის დაბნეულობა და აეძულებინათ იგი—დაედო ზავი და დაუყოვნებლივ გამოსულიყო კოალიციიდან. მაგრამ, რადგან ნეაპოლზე გაილაშქრეს, ეს სწრაფად უნდა გაკეთებულიყო. 30.000 კაცი ამ საქმეს არც კი ეყოფოდა. ამისათვის არ შეიძლებოდა ერთიმეორეს დაშორებით ოთხი მიმართულებით სვლა, მით უფრო რომ მათ შორის იყო დაბრკოლებები: მთები, მდინარეები, არასაიმედო მოსახლეობა. 30.000 კაცისაგან შემდგარი კორპუსი მუდამ თავმოყრილი უნდა ყოფილიყო. საოპერაციო ოთხი გზის ნაცვლად ერთს უნდა დასდგომოდნენ—რომიდან იზოლასა და კაპუასაკენ. დიუჰემის დივიზიას უნდა გადაეჭრა აპენინების მთავარი ქედი რომის სამფლობელოების შიგაუბანში და გასულიყო მის დასავლეთ ფერდობზე. ლემუანისა და რეის დივიზიები იმგვარად უნდა მდგარიყვნენ მოწინავე რაზმთან, რომ მას არ ჩამოშორებოდნენ. ამგვარი სვლით შამპიონე 6 ან 7 იანვარს ნეაპოლში იქნებოდა. ამ ქალაქის ხელში ჩაგდებით, იგი ადვილად დაიპყრობდა გაეტას, პეს-

კარასა და ა. შ. მოსახლეობის განსაიარაღებლად-კი გაგზავნიდა მოძრავ კოლონებს. ერთიანი საოპერაციო ხაზი ნაკლებ ძალებს მოითხოვდა საპასუხისმგებლო ადგილების დასაცავად. იგი ნეაპოლთან 26.000 კაციოთურთ მივიდოდა. პირიქით, ოთხი მიმართულებით სვლის დროს, ნახევარი არმია უნდა დარჩენილიყო მეციხოვნე ჯარად გაეტისა და პესკარის ციხეებში, აქვილისა და სხვა ციხედარბაზებში, რომლებიც ამ გზებზე მდებარეობდენ, და ჰოსპიტლების დასაცავად. ამის გარდა, მან დრო დაჰკარგა თავისი დივიზიის ლოდინში. დიუჰემის დივიზია, რომელსაც უფრო გრძელი გზა უნდა გაევლო იმ მტრის პირისპირ რომელიც მთის ჩანჩქრებიან, მდინარეებიან და ხეობებიან ადგილებზე იბრძოდა, ისე სწრაფად ვერ იმოძრავებდა, როგორც მთავარი ბანაკი, რომელმაც—მხოლოდ 50 ლიე გაიარა. აი ეს იყო სწორედ კაპუასთან მარცხის მიზეზი, რამაც გაამხნევა აჯანყებულნი და მრავალი შეტაკება გამოიწვია. ამის გამო 10 იანვრის დროებითი ზავი ბედნიერ მოვლენად ჩასთვალეს. დირექტორია, რომელმაც დაწვრილებით არ იცოდა ამ შეცთომათა მიზეზი, აღშფოთებული იყო, როცა ხედავდა 30.000 კაცს შეკავებულს გაუმაგრებელი დედაქალაქის წინ, რომელსაც არმიის ნამსხვრევები იცავდა. იგი მართალი იყო. უმჯობესი იქნებოდა არმია არ გაეყვანათ რომიდან, მაგრამ აშკარა შეუსაბამობა იყო მისი დატოვება ნეაპოლის კარებთან, რაც მას სარფთხეს უქმნიდა.

მესამე შენიშვნა. გენერალ მაკის მოქმედება ავსტრიის ჯარებით კარგი იქნებოდა. სამმაგი რიცხვობრივი უპირატესობის გამო მას თავისი ჯარისკაცები ხელჩართულ ბრძოლაში უნდა ჩაება ფრანგ ჯარისკაცებთან. მაგრამ ნეაპოლელები არ იყვნენ მედგარი გაწრთვნილი ჯარისკაცები. მას ისინი არაოდეს არ უნდა გადაეყვანა შეტევაზე, არამედ უნდა ეწარმოებია პოზიციური ომი, რაც შეტევის თაოსნობას ფრანგებს აკისრებდა. სამხედრო პირებს შორის დიდი უთანხმოებაა გამეფებული იმის თაობაზე, თუ რა უმჯობესია: შეტევაზე გადასვლა, თუ მისი მოგერიება. ეს საკითხი არავითარ ორჭოფობას არ იწვევს, როცა ერთ მხარეს არის გამოწვრთნილი, მანევრის უნარის მქონე ჯარი, რომელსაც მცირერიცხოვანი არტილერია აქვს, მეორე მხარეს კი—არმია, რომელიც თუმცა მნიშვნელოვნად მრავალრიცხოვანია და აღჭურვილი მდიდარი არტილერიით, მაგრამ მისი ოფიცრები და ჯარისკაცები არასაკმარისად გომოწრთვნილია.

საომარი მოქმედების დაწყების დღეს მაკი 40-ათასიანი ჯარითურთ ჩივიტადუკალეში რომ აღმოჩენილიყო, საღამოს ტერნს მივიდოდა, შემდეგი დილით კი რომზე შეტევას დაიწყებდა, და დაიკავებდა მარჯვე პოზიციას და ხიდს ბორგეტოსთან,—განა შეეძლოთ ფრანგებს, რომლებსაც ჰყავდათ 9.000 კაცი და ჰქონდათ 12 ქვემეხი, ხუთჯერ მრავალრიცხოვანი არმიის უკუგდება, როცა ამ არმიას ჰქონდა 60 ზარბაზანი და ამის გარდა დაცული იყო სანგრებით? მაგრამ ფრანგები მაინც იძულებული იქნებოდნენ—ეცადათ ეს, რათა დასახევი გზა გაეხსნათ!

მეოთხე შენიშვნა. გენერალი მაკის დახევა ტიბრის მარცხენა ნაპირზე მეტად აჩქარებული იყო; მას თავისუფლად შეეძლო ამის გადადება ერთი დღით. ასეთი აჩქარების გამო მან გასწირა მარჯვენა ნაპირზე დარჩენილი მთელი დივიზია. ნეაპოლის სამეფოში მას შეეძლო მდ. გარილიანოს ხა-

ზის დაცვა; მას უნდა.....[1] მაგრამ მაკს არადროს არ ჰყავდა ჯარისკაცები. ნეაპოლის არმია, რომზე გალაშქრების დროსაც კი, არ შეიძლებოდა სხვანაირად ჩაგვეთვალა თუ არა მილიციურ არმიად. დამარცხების შემდეგ-კი იგი მხოლოდ უკმაყოფილო, ამბოხებულ ბრბოდ იქცა, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენდა სამხედრო მსჯელობის ობიექტს.

[1] აქ ბელნაწერში ხარვეზია.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.



1799 წლის პირველი ნახევრის ომის ამბების ნარკვევები[1]

I. მეომარ არმიების მდგომარეობა. II. ჰელვეციის არმიის მოქმედებანი მარტსა და აპრილში მის შეერთებამდე დუნაის არმიასთან.—III. **დუნაის** არმიის მოქმედებანი.—IV. ჰელვეციის არმიის მოქმედებანი მაისში, ივნისსა და ივლისში დუნაის არმიასთან მისი შეერთების შემდეგ.—V. იტალიის არმიის მოქმედებანი მარტსა და აპრილში შერერის სარდლობით.—VI. იტალიის არმიის მოქმედებანი მაისში, ივნისსა და ივლისში მოროს სარდლობით.—VII. ნეაპოლის არმიის მოქმედებანი.—VIII. შენიშვნები გერმანიასა და იტალიაში ლაშქრობათა გეგმებზე.

I

ართში 1799 წელს საფრანგეთმა გამოიყვანა 440.000 კაცი სახელდობრ: 40.000 ვეტერანი, ჟანდარმი, სანაპირო დამცველი, 40.000 კაცი ეგვიპტეში, კორფუზე, მალტაზე, კოლონიებში, 180.000 ჰოლანდში ზღვის პირებზე, მეცხოვნე ჯარებად, დეპოსა და ჰოსპიტლებში და 180.000 კაცი მოქმედი ჯარები, რომლებიც შეადგენდნენ: 1) ჰელვეციის არმიას 40.000 კაცის რაოდენობით; 2) დუნაის არმიას 40.000 კაცის რაოდენობით; ეს 80.000 ყველანი უკლებლივ იყვნენ; მათი დეპო და ჰოსპიტლები საფრანგეთში იყო; 3) იტალიის არმიას 70.000 კაცის რაოდენობით; 4) ნეაპოლის არმიას 30.000 კაცის რაოდენობით; ეს 100.000 კაცი ყველანი უკლებლივ იყვნენ, მაგრამ თოფ ქვეშ ყველანი არ იდგნენ, რადგან მათი დეპო და ჰოსპიტლები იტალიაში იყო. მათგან გამოჰყავდათ მეცხოვნე ჯარი ნახევარკუნძულის ყველა სიმაგრეში. პიემონტს, ლიგურიის, ციზალპინის და რომის რესპუბლიკებს ვამოჰყავდათ 40.000 იტალიელი, პოლონელი ან შვეიცარიელი. ქვემო-რაინის მზვერავი კორპუსი, რომლის მთავარი ბანაკი მაინცში იდგა, მარტში მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. გენერალი ჟურდანი დუნაის არმიას სარდლობდა, მასენა—ჰელვეციის არმიას, შერერი—იტალიის არმიას, მაკდონალდი—ნეაპოლის არმიას. ჰელვეციის არმიას ეკავა შვეიცარია, რაინის ველის გამოკლებით; იტალიის არმია განლაგებული იყო ციზალპინის და ლიგურიის რესპუბლიკებში, პიემონტსა და ტოსკანაში; ნეაპოლის არმია—რომისა და პართენოპეის რესპუბლიკებში.

ავსტრიამ ყოველი ღონე იხმარა და გაადიდა თავისი შეიარაღებული ძალები, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო. მას 180.000 კაცი ჰყავდა მწყობრში. 25.000 კაცისგან შედგებოდა დუნაის მარცხენა ნაპირზე მდგომი მზვე-

[1] ეს ნარკვევი გადმობეჭდილია ნაპოლეონის ხელნაწერიდან.—ფრანგ. რედ. შენიშვნა.

რავი კორპუსი, რომელსაც გენერალი სტარაი სარდლობდა; 60.000 კაცისგან—შვაბიის არმია, ერცჰერცოგ კარლოსის სარდლობით; 25.000 კაცისგან—ტიროლის კორპუსი ფელდმარშალ ბელგარდის სარდლობით, და 70.000 კაცი იყო იტალიაში. პირველი სამი კორპუსის მთავარსარდალი იყო ერცჰერცოგი. ფელდმარშალი კრაი სარდლობდა იტალიაში მყოფ არმიას. რუსეთმა იკისრა 70.000 კაცის გამოყვანა. გაზაფხულზე დუნაიზე მოვიდა ფელდმარშალი სუვოროვი 36.000 კაცითურთ. ივნისში იქვე უნდა მისულიყო კუტუზოვიც, 25.000 კაცითურთ. ორთავე მხარემ გადასწყვიტა ომის დაწყება. მშვიდობიანობის ჩამოგდების არავითარი იმედი აღარ რჩებოდა, მაგრამ ავსტრიისათვის ხელსაყრელი იყო დროებითი ზავის გაგრძელება, რათა რუსებს მოსვლა მოესწროთ.

II

ზამთრის განმავლობაში დაეცა ერენბრაიტენშტაინი (24 იანვარს) და მანჰაიმი (8 მარტს). მათში ჩაყენებულ იქნა ფრანგის მეციხოვნე ჯარი. ამის შემდეგ დუნაის არმიამ სასწრაფოდ მოიყარა თავი ზემო რაინზე. მან გადალახა ეს მდინარე 1 მარტს კელისა და ბაზელის ხიდებით, გადაიარა შვარცვალდის მთები და 10 მარტს დაიკავა პოზიცია, რომლითაც იგი მარცხენა ფრთით დუნაის ეყრდნობოდა, მარჯვენათი—რაინს და კონსტანცის ტბას ეკვროდა, ცენტრით—მოსკირხს. უმაღლეს ხელმძღვანელობას—დუნაის, ჰელვეციისა და ქვემორაინის არმიებს უწევდა გენერალი ჟურდანი.

შვეიცარია წარმოადგენს უდიდეს გამაგრებულ ბანაკს, საიდანაც თავისუფლად შეიძლება შეჭრა საფრანგეთს, გერმანიას და იტალიას. ხეობები ტიროლის შესასვლელთან სხვა ხეობებზე უფრო ძნელი გასავლელია. თუ არმიას დასახული აქვს მიზნად ომის ასპარეზის გადატანა შვეიცარიიდან გერმანიაში, მან არ უნდა ირჩიოს სამოქმედოდ გზა, რომელიც გადალახავს რაინსა და ფორარლბერგს და შემოუვლის კონსტანცის ტბას. იგი უფრო ნაკლებ დაბრკოლებებს წააწყდებოდა და უფრო ხელსაყრელი გარემოება შეექმნებოდა თუ გადალახავდა რაინს შაფჰაუზენსა დი შტაინში, კონსტანცის ტბის ამოფარებით. იგი სწრაფად გაჩნდებოდა დუნაიზე, ღია და ადვილად მისაწვდომ ადგილას. იტალიაში გასასვლელ საუკეთესო გზას წარმოადგენს სენ-გოთარდის უღელტეხილი, რომელსაც მივყავართ მდინარე ტიჩინოს ველზე, ხოლო ეს მდინარე პოს პერპენდიკულარულად მიემართება. ამ უღელტეხილის გადალახვის შემდეგ სულ ქვევით და ქვევით დაშვებაა საჭირო. სპლუგენის უღელტეხილს არა აქვს ასეთივე უპირატესობა. ზემო ადის ველი, სადაც ეს გზა გადის, მიემართება კომოს ტბამდე ალპების პარალელურად; ამიტომაც არმიამ, რომელიც ამ უღელტეხილს გადაივლის, ახალი დაბრკოლებანი უნდა სძლიოს და იტალიის ვაკეზე გასასვლელად უნდა გადალახოს მთები ბერგამოსა და ბრეშიის პროვინციებში.

საფრანგეთის საზღვრის დასაცავად შვეიცარიას 4 ძირითადი ხაზი აქვს: 1) რაინის ხაზი მისი ველითურთ, კონსტანცის ტბა და რაინი ბაზელამდე 70 ლიეს მანძილზე; 2) ხაზი მდინარე ლინტასი, რომლის სათავე სენ-გოთარდის მთაშია და რომელიც ციურიხის ტბას ერთვის. აქედან მოკიდებული ეს ხაზი მისდევს ლიმატისა და აარის მარცხენა ნაპირს რაინამდე, და, ბოლოს,—რაინის მარცხენა ნაპირს ბაზელამდე,—მისი სიგრძე 50 ლიეს შეადგენს; 3) ხაზი

მდ. რაისისა, რომელსაც აგრეთვე სენ-გოთარდში უძევს სათავე და რომელიც გადაჰკვეთს ფირვალდშტედტის ტბას და ერთვის მდინარე აარს, სადაც ეს ხაზი ზემოაღნიშნულ ხაზს უერთდება,—მისი სიგრძე ბაზელამდე 45 ლიეს შეადგენს, 4) ხაზი მდინ. აარისა, რომელსაც გრინზელის მთაში აქვს სათავე და რომელიც ჰკვეთს ბრიენცისა და ტუნის ტბებს, გაივლის ქალ. ბერნს და ერთვის რაინს ვალდსგუტის პირდაპირ, ეს ხაზი შემდეგ მიჰყვება რაინის მდინარეებას ბაზელამდე. მისი სიგრძე 65 ლიეს უდრის.

5 მარტს მასენამ წინადადება მისცა ავსტრიელ გენერალ აუფენბერგს, რომელსაც ნოემბერს აქეთ რაინის ველი ეკავა,—გაეთავისუფლებია ეს მხარე, რადგან შვეიცარია საფრანგეთის მოკავშირეაო. უკუთქმითი პასუხის მიღების შემდეგ მან გადალახა ზემორაინი და იერიშით აიღო ლუციენშტაიგის ციხე. 6 მარტს, საღამოს, მან გადალახა ლანდკვარტი. 7 მარტს უკუაქცია კოირესაკენ აუფენბერგის დივიზია; ხოლო ამავე დროს მთავარსარდლის მოადგილე დემონი გადავიდა რაიხენაუს ხიდით და მას ზურგში მოექცა. ამრიგად, გენერალი აუფენბერგი გარემოცული აღმოჩნდა. მან დაჰყარა იარაღი და ჩაჰბარდა ტყვედ 6.000 კაცით მრავალი დროშითა და საარტილერიო პარკითურთ. გენერალი გოტცე, რომელიც ფელდკირხში შვაბიის არმიის მარცხენა ფრთას სარდლობდა, გაემართა 7 მარტს ლუციენშტაიგის დასახმარებლად. მაგრამ რადგან მის წინააღმდეგ ჯერ იერიში მიიტანა უდინოს ბრიგადამ, ხოლო შემდეგ ამ ბრიგადას ლორჟის დივიზიაც დაეხმარა,—უკუქცეულ იქნა თავის გამაგრებულ ბანაკში. ამ ბანაკზე მიიტანა იერიშები მასენამ 11, 12, 15, 16, 21 და 23 მარტს. ამ ექვსი იერიშიდან არა გამოვიდა რა. საფრანგეთის არმია დიდად დაზარალდა.

13 მარტს მარჯვენა ფრთის სარდალი ლეკურბი გადავიდა სპლუგენის უღელტეხილზე. მან მოათავსა ვალტელინაში იტალიის არმიიდან გამოყოფილი დივიზია დესოლისა და დაამარცხა ენგადინში გენერალი ლაუდონი, რომელიც ბელგარდის კორპუსის დივიზიას სარდლობდა. მან დაიკავა ცერნეტცი, შულსი და მარტინსბრუკი. მისი პირველი შეტევები ნაუდერისა და ფიურსტერმუნცის პოზიციებზე მოგერიებულ იქნა. 27 მარტს მან წარმატებით განაახლა შეტევა, ხოლო ამავე დროს დესოლმა სენტ-მარის უღელტეხილი გადალახა და დაიკავა გლურნსის წინ მდებარე სიმაგრეები. ამ ბრძოლის შედეგად დავლად დარჩა 5.000 ტყვე და 25 ზარბაზანი. 31 მარტს დესოლის წინააღმდეგ ჭარბი ძალებით მიიტანეს იერიში. იგი იძულებული გახდა დაეხია ჯერ მიუნსტერისაკენ, ხოლო შემდეგ ცერნეტცისაკენ, საიდანაც კვლავ იტალიას წავიდა. მაშინ ლეკურბმა გაგზავნა ლუაზონის დივიზია ვალტელინის გამოსასვლელებთან.

III

ერცჰერცოგი ფრიდბერგს იყო დაბანაკებული, როდესაც გაიგო, რომ ჟურდანი შვარცვალდზე გადადისო. ის გადავიდა ლეხზე და გაემართა შვაბიისაკენ. წინ გაგზავნა გენერალი კერპენი, რომელმაც მნიშვნელოვანი ქალაქი ულმი დაიკავა. ორივე არმია ერთმანეთს უახლოვდებოდა და მათ შორის მხოლოდ ერთი ეჯი-ღა იყო. მათი მზირები შეჭრილიყვნენ ერთმანეთში ყველა მიმართულებით, მაგრამ საომარი მოქმედება ჯერ არ იწყებოდა, და 20 მარტს ჯერ კიდევ დროებითი ზავს იცავდნენ, თუმცა შვეიცარიაში უკვე 15 დღე წარმოებდა გააფთრებული ბრძოლა. 20 მარტს ჟურდანი შეეკითხა ავსტრიელთა მოწინავე ჯარის სარდალს თავად შვარცენბერგს, მიიღეთ თუ არა იმპერატო-

რისგან საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილების პასუხიო. უკუთქმითი პასუხის მიღებს შემდეგ ჟურდანმა აცნობა თავადს დროებითი ზავის შეწყვეტა. მეორე დღეს, 21 მარტს, ჟურდნმა მიიტანა მის წინააღმდეგ იერიში და უკუაქცია გოტცესა და კერპენის კორპუსებისაკენ. ლეფევრის დივიზიამ, რომელიც საფრანგეთის მოწინავე ჯარს წარმოადგენდა დაიკავა პოზიცია ოსტრახში. 22-ს, განთიადზე, ერცჰერცოგი გამოვიდა ზულჰაუდან. მან მიიტანა იერიში ამ მოწინავე ჯარზე და დაახევინა მას ფულენდორფის სიმაღლეებისაკენ. ჟურდანმა დაიხია შტოკახსა და ენგენზე. 24-ს ერცჰერცოგმა დაიკავა შტოკახის წინ პოზიცია, რომლის მარჯვენა ფრთა მალშპიურენში იყო, მარცხენა-კი—ცოლბრიუკში. ბრძოლის ველზე ყველა თავისი ძალის გამოყვანის მიზნით მან გამოიძახა ფელდკირხიდან გოტცე და შესცვალა მისი კორპუსი ბელგარდის ჯარის ნახევარით. ტიროლს მდგომი ამ ჯარის შემცირება მას უშიშრად შეეძლო. 25 მარტს ჟურდანმა გადასწყვიტა შებრძოლება. იგი სამ კოლონად დაიძრა. მისი არმია შედგებოდა ოთხი ქვეითი დივიზიისაგან, რომლებსაც სარდლობდნენ ფერინო, ლეფევრი, სუგამი და სენ-სირი და ერთი ცხენოსანი დივიზიისაგან, დ'ოპულის სარდლობით; სულ 30.000 ქვეითი, 7.000 ცხენოსანი და 4.000 მეზარბაზნე, საინჟენერო ჯარი და აღალი. მან გამოიწვია აგრეთვე ჰელვეციის არმიის რიუბის ბრიგადიდან 2.500 კაცი და ამით შეივსო ის დანაკლისი, რაც ლაშქრობის დასაწყისიდან განიცადა. მოწინააღმდეგეს 68.000 კაცი ჰყავდა. ბაფრანგეთის ჯარი დიდი სიმამაცით იბრძოდა. იგი მთელი დღის განმავლობაში ინარჩუნებდა ბრძოლის ველს. 26 მარტს მან დაიხია შაფჰაუზენსა და შტაინს. 27 მარტს—დაიხია ვილინგენს, და ჰორნბერგს დაეყრდნო. მთავარსარდალი ავად გახდა და სარდლობა დროებით გადასცა გენერალ ერნუფს. 3 აპრილს იერიში მიიტანეს ამ გენერლის წინააღმდეგ; მან დასცალა თავისი პოზიციები, უწესრიგოდ გადალახა შვარცვალდის მთები და ცოტა ხნის შემდეგ გადავიდა რაინზე. 13 აპრილს ერცჰერცოგმა დაიკავა შაფჰაუზენი და შტაინი რაინის მარჯვენა ნაპირზე და მოათავსა თავისი მთავარი ბანაკი შტოკახში, სადაც დაჰყო მთელი აპრილი. შტოკახთან ბრძოლის შემდეგ მან დაასუსტა თავისი ძალები 25.000 კაცით, რომლებიც იტალიაში გაგზავნა.

21 აბრილს დუნაის არმია გაერთიანდა ჰელვეციის არმიასთან მასენას სარდლობით.

IV

ორი არმიის შეერთების გამო გამოწვეულმა კარგმა შედეგმა მალე იჩინა თავი. მასენამ გადიტანა თავისი მთავარი ბანაკი ციურიხს და თავისი არმიის მარჯვენა ფრთა ლეკურბის სარდლობით დააყენა ენგადინში—სპლუგენს-გალმა; მენარი ცენტრით მოთავსდა რაინზე და მთავარი ბანაკი მოათავსა კოირეში; ქსენტრაილი მარცხენა ფრთით დაბანაკდა კონსტანციდან ბაზელამდე. ამ ჭალაქთან მან ააგო ძლიერ გამაგრებული ბანაკი. ავსტრიის არმიას თავისი მარცხენა ფრთა ტიროლში ჰქონდა, რომელსაც ბელგარდი სარდლობდა. ფელდკირხში იდგა ცენტრი, რომელსაც გოტცე სარდლობდა, და რაინსა და შვარცვალდის მთებს შორის იდგა მარჯვენა ფრთა, რომელსაც ნაუენდორფი სარდლობდა. მაისის დამდეგს ორივე არმია თითქმის თანაბარი იყო. თითოეულ მათგანში იყო 60 ათასი კაცი, თუ არ ჩავსთვლით მოკავშირეთა ჯარებს,

რომლებიც, ერთის მხრივ, შედგებოდნენ 9.000—10.000 კაცისაგან, რომლებიც შეჰკრიბა საფრანგეთისათვის ჰელვეციის მთავრობამ; მეორე მხრივ,— ეს ჯარები შედგებოდა რამდენიმე ქვეითი ათასეულისაგან, რომლებიც ინგლისის ხარჯზე იმყოფებოდნენ და შედგენილი იყვნენ შვეიცარიის ძველი დიდებულის შტაიგერის მიერ, და მცირე კანტონების საიდუმლოდ შედგენილი რაზმებისაგან.

ამ დროს იტალიაში ავსტრიის არმია გადავიდა ადაზე და დაიკავა მილანი. 23 აპრილს ბელგარდმა იერიში მიიტანა ენგადინში ლეკურბის წინააღმდეგ 15.000 კაცით. პირველად მან ერთგვარ წარმატებას მიაღწია, მაგრამ შემდეგ შეჩერებულ იქნა და 20 აპრილს დამარცხდა კიდეც ცერნეტცში, სადაც ხუთი ათასეული დაჰკარგა. გოტცემ ცენტრით იერიში მიიტანა ლუციენშტაიგზე. ერთი მისი რაზმი 2.000 კაცის რაოდენობით, რომელსაც საფრანგეთის ჯარის მარცხენა ფრთამ ალყა შემოარტყა, იძულებული იყო ტყვედ დანებებულიყო. გოტცემ მარცხი განიცადა და გაბრუნდა უკანვე ფელდკირხენს თავის ბანაკში.

მცირე კანტონებმა და ზედა გრაუბიუნდენმა ქუდზე კაცს დაუძახეს. ხუთი ათასი აჯანყებული რაიხენაუსაკენ გაემართა, გენერალ მენარისათვის გზის მოსაჭრელად. ხუთი ათასმა კაცმა დაიკავა პოზიციები სენ-გოთარდის, სპლუგენისა და ალტდორფის მთისწინებზე გენერალ ლეკურბისათვის დასახევი გზის გადასაჭრელად. ლუციენშტაიგთან გამარჯვების შემდეგ მენარი შევიდა აჯანყებულთა მთავარ ქალაქ დისენტისში 5 მაისს, ამოჟლიტა იქ რამდენიმე ათასი კაცი აჯანყებული, დანარჩენები ვანაიარაღა და დაბრუნდა კოირეს. 8 მაისს გენერალი სულტი შეიჭრა ალტდორფს, დახვრიტა ამ უბედური გლეხების ნაწილი, უმრავლესობას კი აპატია. საფრანგეთის არმიამ გაიმარჯვა და ყველა თავისი პოზიცია შეინარჩუნა.

ერცჰერცოგს გული არ გასტეხია; მან მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი მარცხენა ფრთა. ბელგარდმა დაიწყო შეტევა 5 მაისს. მან დრო უპოვა ლეკურბს, როცა ამ უკანასკნელმა იტალიის არმიის მდგომარეობის შესამსუბუქებლად დივერსიის მოხდენის მიზნით ერთი დივიზია ვალტელინას გაგზავნა. მთელი რიგი ბრძოლების შემდეგ ბელგარდმა შესძლო ენგადინის დაკავება. მან აიძულა ლეკურბი—დაეხია ჯარის შესაჯგუფებლად ზედა ტიჩინოს დაბლობისაკენ იტალიის მიმართულებით და დაიკავა ლენცის უღელტეხილი. ამავე დროს გოტცე ხელახლა გაემართა ლუციენშტაიგისაკენ, დაიკავა იგი 14 მაისს მეტად ცხარე ბრძოლის შემდეგ და დაატყვევა საფრანგეთის მეთოთხმეტე ნახევარბრიგადა, რომელიც იქ მეცხოვნე ჯარის სახით იდგა. ამის შემდეგ ბელგარდი კოირეს დაეშვა, დაიკავა იგი 16 მაისს, აიძულა 4 ქვეითი ასეულისგან შემდგარი ციხოვანი რაზმი—იარაღი დაეყარა, აჰყვა რაინს აღმა და გამოუდგა საფრანგეთის ჯარის მარჯვენა ფრთას, რომელიც იხევდა მდინარე ლინტის ხაზის დასაკავებლად. იმის შიშით რომ გზა არ მომიჭრანო, ლეკურბმა სწრაფად გადალახა უკანვე სენ-გოთარდი.

ერცჰერცოგმა გადასწყვიტა რომ, ბოლოს, დადგა შვეიცარიის ხელში ჩაგდების დროო. იგი გადავიდა რაინზე შაფჰაუზენში თავისი მარჯვენა ფრთით, რათა ცენტრს შეერთებოდა და გასწია ციურიხისაკენ. 27 მაისს მასენა გაემარ-

თა მის შესახვედრად, დაამარცხა მისი მარჯვენა ფრთა და შუაგული და დაიკავა ანდელფინგენის და ფრაუენფელდის ხიდები. მაგრამ 28-ს მარქაფით გაძლიერებული ერცჰერცოგი კვლავ შეტევაზე გადავიდა. შეუპოვარი ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. ღამით საფრანგეთის ჯარმა დახევა დაიწყო და ისევ გადმოვიდა მდინარე გლატზე, რომელიც მას საზღვრავდა. მოწინააღმდეგე ცდილობდა გაეკეთებია ხიდი ცურცახში და თავი დაევლო ამ პოზიციისათვის, მაგრამ ამაოდ. ამ დროს ბელგარდმა ხელთ იგდო სენ-გოთარდი, რაისისა და ლინტის სათავეები, დაიკავა გლარისი და შვიცი. ლეკურბი იძულებული იყო დაეთმო რიცხვობრივი სიჭარბისათვის, თუმცა—შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ. მან ლუცერნს გადიტანა თავისი მთავარი ბანაკი, თავი მოუყარა ჯარს ცუგოს, ფირვალდშტედტის ტბასა, უნტერვალდენსა და ობერლანდს შორის, დაიკავა ტბები ზარბაზნიანი ნავებით და გააჩაღა ომი მცირე კანტონების საღსრების გამოყენებით. ჰელვეციის მთავრობამ დასტოვა ლუცერნი და ბერნს გადავიდა. მაისის დამლევს ერცჰერცოგს ისე კარგად ჰქონდა საქმე რომ მან ხელახლა გაგზავნა ბელგარდისა და გადიკას რაზმები იტალიაში, მაგრამ ისეთი რაოდენობით რომ ამას ხელი არ შეეშალა ციურიხის გამაგრებული ბანაკის წინააღმდეგ შეტევაში. მედგარი ბრძოლები იყო 3 და 4 ივნისს. ერცჰერცოგმა აქ მრავალი კაცი დაჰკარგა, მაგრამ აიძულა მასენა ეაცალა ციურიხი 4-დან 5 ივნისს ღამით. მასენამ დაიკავა პოზიცია ალბისის მთასთან; მიაყრდნო თავისი მარჯვენა ფრთა ცუგის ტბას, მარცხენა—რაინს, აარის უკან, ბრემგარტენში მთავარი ბანაკის მოთავსებით; ამრიგად იგი იფარავდა მდინარე რაისის ხაზს. 7 ივნისს ავსტრიის არმიის მთავარი ბანაკი მოთავსდა ციურიხში.

ამ ქალაქში ერცჰერცოგის შესვლის ამბავმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაში. ამბობდნენ რომ საფრანგეთმა დაჰკარგა შვეიცარია, ისე როგორც მან დაჰკარგა იტალიაო. კოალიცია იმედოვნებდა რომ შემოდგომაზე საომარი მოქმედებათა ასპარეზი გადატანილი იქნებოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ავსტრიის არმიის მდგომარეობა საფრანგეთის არმიის მდგომარეობაზე უკეთესი იყო.

V

შერერი ჩავიდა მილანს თებერვლის დამლევს. მთელი მარტი მან მზადებაში გაატარა. მარტის დამლევს გამოჰყო 2 დივიზია 7.000 კაცის შემადგენლობით, გენერლების მიოლისისა და გოტიეს სარდლობით, ტოსკანის ხელში ჩასაგდებად, ხოლო ერთი დივიზია, იმავე რაოდენობით, გენერალ დესოლის სარდლობით—ვალტელინაში წასაწევად. დანარჩენი ჯარი მან გაჰყო ექვს ქვეითი დივიზიად და სამარქაფო ცხენოსანი ჯარის კორპუსად; სახელდობრ: სერიურიეს, დელმასის, ატრის, გრენიეს, ვიქტორისა და მონრიშარის დივიზიებად.

ავსტრიის არმიას, რომელსაც გენერალი კრაი სარდლობდა, ჰქონდა თავის მარცხენა ფრთა ლენიაგოში, ცენტრი—ვერონაში, მარჯვენა—ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე, ეკავა ძლიერ გამაგრებული მაღლობები სოფლებ პოლსა და პასტრენგოსთან და მის განკარგულებაში იყო ორი ხიდიც მდინარე ადიჯეზე ამ სოფლების პირდაპირ.

საფრანგეთის არმიაში 60.000 კაცი იყო; 14.000 კაცი—ვალტელინასა და ტოსკანაში, 24.000 ნაწილობრივ ფრანგის ჯარები და ნაწილობრივ პიემონტისა და ციზალპინისა—იდგა ციზალპინის, ლიგურიის და პიემონტის ციხეებში. ავსტრიის არმია 54.000 კაცისგან შედგებოდა; 16 000 კაცი იდგა მეციხოვნედ ვენეციაში, ლენიაგოსა და პალმანოვაში.

არმიის ინსპექტორმა გენერალმა მორომ მიიღო თავისთავზე ცენტრის სარდლობა და დაიძრა ვერონისაკენ ვიქტორისა და ატრის დივიზიებითურთ. მონრიშარის დივიზია, რომელიც მარცხენა ფრთას წარმოადგენდა, ლენიაგოსაკენ გაემართა. მთავარსარდალი დაიძრა მტრის გამაგრებული პოზიციებისაკენ ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე სამი დანარჩენი დივიზიითურთ, რომლებიც მარცხენა ფრთას შეადგენდნენ. ამრიგად, არმიის საბრძოლო ხაზი 12 ლიე იყო. სერიურიე მიემართებოდა გარდას ტბის გასწვრივ და მიდიოდა მონტე-ბალდოსა და რივოლისაკენ, დელმასი—პასტრენგოსაკენ, გრენიე—პოლისაკენ. სერიურიემ შემოუარა მოწინააღმდეგის ყველა პოზიციას, ვერავის შეხვდა და დავალებისამებრ დაიკავა პოზიციები. დელმასისა და გრენიეს წინააღმდეგ მალე მიიტანეს ენერგიული იერიშები. ოთხი საათის განმავლობაში მედგარი ბრძოლის შემდეგ მათ დაიკავეს მტრის ყველა გამაგრებული პოზიცია, უკუაქციეს მტერი ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, გამოედევნენ მას წმინდა ფრანგული სიმძაფრით და ხელთ იგდეს ორი ბონდი. მორო წააწყდა მნიშვნელოვან ძალებს ვერონის წინ, სოფლებში—სანტა-ლუჩიასა და სან-მასიმოში. მეტად სასტიკი ბრძოლა გაიმართა; სოფელი სანტა-ლუჩია შვიდჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ბოლოს მტერს დარჩა. სოფელი სან-მასიმო ხელთ იგდეს ფრანგებმა. მონრიშარმა მიაღწია ლენიაგოს მიწაყრილამდე, სადაც მიიტანეს იერიში მის წინააღმდეგ ციხიდან გამოსულმა ჭარბმა ძალებმა და დაახევინეს მოლინელამდე. 27-ს შერერმა უბრძანა მოროს ორთავე დივიზიას—დაეხიათ და ვერონის ბრძოლის ველი მტრისათვის დაეთმოთ.

არმიები უმოქმედოდ იყვნენ 28, 29 და 30 რიცხვებში. მთავარსარდალმა უბრძანა სერიურიეს მდინარე ადიჯეზე გადასვლა პოლთან არსებული ხიდით, მარცხენა ნაპირის გავლა და ვერონის სიმაღლეების დაკავება. მოწინააღმდეგეს ეგონა რომ ამ ლაშქრობას მხარს დაუჭერდა საფრანგეთის მთელი არმია, რის გამო ჯერ საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მალე შეამჩნია რომ საქმე აქვს მხოლოდ ერთ დივიზიასთან. მან შეუტია ამ დივიზიას, უკუაქცია უწესრიგოდ ხიდისაკენ, ხოლო, რადგან ხიდი დანგრეული იყო, ტყვედ იგდო მარცხენა ნაპირზე დატოვებული რამოდენიმე ასი კაცი.

შერერი მაშინ დაიძრა ქვემო ადიჯესკენ, რათა გადასულიყო ამ მდინარეზე ლენიაგოსთან. მან გაგზავნა თავისი საბონდო პარკი კასტელაროსაკენ, მოათავსა მეციხოვნეები პესკიერაში და გადაიტანა თავისი მთავარი ბანაკი იზოლა-დელა-სკალაში; ხოლო მორო ორი დივიზიითურთ მოათავსა ცენტრში, სოფელ ბუტა-პიეტრაში, ვერონედან 2 ლიეს მანძილზე, იზოლა-დელა-სკალას გზაზე. დანარჩენი ორი დივიზია, განლაგებული ადიჯეს გასწვრივ, ალბარედოს პირდაპირ, შეადგენდა მის მარჯვენა ფრთას; ვილაფრანკას ახლო მყოფი სერიურიე იყო მარცხენა ფრთაზე; დელმასი, იზოლა-დელა-სკალას ახლო, მარქაფად დადგა. გენერალმა კრაიმ გამოილაშქრა ვერონიდან პესკიერასაკენ და ბრძოლით დაიკავა კასტელნუოვოს სიმაღლეები და სოფლები: სონა, სომა-კამ-

ბანია და ვილაფრანკა. ამრიგად მისი ჯარი მიეყრდნო მარჯვნივ მინჩიოს, მარცხნივ—ადიჯეს; იგი მთლიანად თავმოყრილი იყო და ეკავა ჯანსაღი და მშრალი ადგილი. საფრანგეთის ჯარი კი, პირიქით, გაბნეული იყო ატალახებულ ადგილებზე, ჭაობებსა და ბრინჯის ნათესებს შორის. ბრძოლა აუცილებელი იყო. ორთავე მთავარსარდალმა, თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, ჩაატარა მოსამზადებელი ღონისძიებანი და გასცა ბრძოლის ბრძანება 4-დან 5 აპრილის ღამისათვის.

მორო უნდა დაძრულიყო ბუტაპიეტრიდან სონასაკენ, რომელიც, როგორც ეგონათ, მოწინააღმდეგეს ეკავა. სერიურიემ, რომელმაც მარცხენა ფრთა შეადგინა, მიიღო ვილაფრანკაზე გალაშქრების ბრძანება. ალბარედოსთან მდგომმა ორმა დივიზიამ მიიღო ადიჯეზე აღმა აყოლის ბრძანება ვერონაზე გასალაშქრებლად; მათ უნდა შეედგინათ არმიის მარჯვენა ფრთა. დელმასს უნდა ევლო მარქაფად ბუტაპიეტრასაკენ და მდგომარეობის შესაბამისად მიშველებოდა მარჯვენა ფრთას, ცენტრს ან მარცხენა ფრთას. მორო განთიადზე დაიძრა და მალე შეხვდა მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას. მან გაიგო რომ კრაი უკვე საქმეს შეუდგაო, აჭყარა თავისი ბანაკი დილის 4 საათზე და ბუტაპიეტრის შესატევად მიიწევსო. მორომ არ იცოდა ზუსტად რა უნდა ექმნა, არ მოეპოვებოდა არავითარი ცნობები არც მეზობლად მყოფ დივიზიებისა და არც დანარჩენი ჯარისა; მან განუსჯელად შეუტია ყოველივეს რაც კი მის წინაშე აღმოჩნდა. ფლანკერებმა ვერონას მიაშურეს, იგი მათ დაედევნა კვალდაკვალ ამ ქალაქის კედლებამდე. სერიურიე მიადგა ვილაფრანკას და ხელთ იგდო იგი. მოწინააღმდეგემ დააგროვა მთელი თავისი ძალები ცენტრის შესატევად. მარჯვენა ფრთის ფრანგის ორთავე დივიზიამ ძალიან დაგვიანებით მიიღო ბრძანებები. მათ ვერ შესძლეს ადიჯეს გასწვრივ სვლა ამ დაჭაობებული ადგილების ცუდი გზების გამო, იძულებული გახდნენ ცოტათი მარცხნივ გადაეხვიათ, სადაც შეხვდნენ კრაის არმიას. დივიზიებმა დაიწყეს მანევრირება ერთიმეორეზე დამოუკიდებლად, თითოეულმა თავისი სარდლის ბრძანების მიხედვით. ისინი მამაცად იბრძოდნენ, ხელო იგდეს სოფელი სან-ჯიაკომო, მაგრამ, რადგან მარცხენა ფრთით გარშემოვლილნი აღმოჩნდნენ, დასცალეს ეს სოფელი და იწყეს დახევა. დელმასი მხოლოდ შუადღეზე მივიდა ბუტაპიეტრასთან, საიდანაც მორო 10 საათზე წავიდა. მივიდა თუ არა ეს მარქაფის დივიზია, მის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს და იგი მთლიანად ჩაება ბრძოლაში. თუმცა თავის პოზიციას ძლივს ინარჩუნებდა. სერიურიეს დაატოვებინეს ვილაფრანკა, მაგრამ კვლავ ხელთ იგდო იგი და სოფელში დარჩა. ღამემ შესწყვიტა ბრძოლა. მორო და სერიურიე გამარჯვებულნი იყვნენ. დელმასი არც გამარჯვებული იყო და არც დამარცხებული. მარჯვენა ფრთა, რომელიც მონრიშარისა და გრენიეს ორი დივიზიისაგან შედგებოდა, უკუქცეული იყო რამდენიმე ლიეს მანძილზე. შერერმა თავი დამარცხებულად ჩასთვალა და მოროს დახევა უბრძანა. 7 აპრილს მან თავისი მთავარი ბანაკი გადიტანა როვერბელას. 8-ს ის გადავიდა მინჩიოზე გოიტოში და გაგზავნა 6.500 კაცი მანტუის მეციხოვნეთა გასაძლიერებლად. თავისი გამარჯვება ავსტრიის არმიამ საფრანგეთის არმიის დახევით გაიგო, მაგრამ გამოდევნებისა შეეშინდა. ავსტრიელები ფრთხილად მიუახლოვდნენ მინჩიოს, შემოარტყეს ალყა პესკიერასა და მანტუას და თავიანთი მსუბუქი ჯარები მხოლოდ ოლიომ-

დე წასწიეს. 16-ს საფრანგეთის არმია გადავიდა ადაზე. მთავარი ბანაკი მოთავსდა ლოდში. არიერგარდი დარჩა კრემონაში, სადაც 20-ს მის წინააღმდეგ იერიში მიიტანეს და 21-ს ადის მარჯვენა ნაპირზე დაიხია.

რუსის პირველი ჯარები ჩამოვიდნენ ვერონაზე 17 აპრილს. არმიის სარდლობა სუვოროვმა იკისრა. მან დაავალა თავის წინამოადგილეს ფელდმარშალ კრაის მანტუისა და პესკიერასათვის ალყის შემორტყმა 25.000 კაცით. გენერალი კლენაუ 9.000 კაცით გამოჰყო ფერარის სიმაგრისთვის ალყის შემოსარტყმელად და სალეგატოებისათვის თვალყურის სადევნებლად, ხოლო თვითონ 60.000 კაცითურთ ბრეშიასაკენ დაიძრა. ამ ქალაქმა მარტო 24 საათის განმავლობაში გაუწია მას წინააღმდეგობა. მან იქ დაატყვევა ფრანგი მეციხოვნე ჯარის 1.200 კაცი. ბერგამო, რომელსაც ამდენივე მეციხოვნე ჰყავდა დანებდა 23-ს. 25 აპრილს ავსტრიელ-რუსთა მთავარი ბანაკი ტრევილიოს ჩავიდა, ადის მარცხენა ნაპირზე მილანიდან ბრეშიასაკენ მიმავალ გზატკეცილზე, კასანოდან ერთნახევარი ლიეს მანძილზე.

VI

როდესაც მორო სარდლობას შეუდგა, მას არმია მდინარე ადას-გაღმა დახვდა; მისი ვანლაგება მან ნემდეგნაირად მოახდინა: მთავარი ბანაკი მოაწყო კასანოდან მილანისაკენ მიმავალ გზაზე ინცაგოში. სერიურიე ორი დივიზიის მთავარი ძალებით დააყენა თავის მარცხენა ფრთაზე ლეკოსა და ტრეცოს შუა მდებარე ადის უბნის დასაცავად 7 ლიეს მანძილზე; გრენიე და ვიქტორი — ცენტრში, რიტორტოსი და კასანოს ხიდის დასაცავად; დელმასი—მარჯვენა ფრთაზე მთელს მანძილზე ლოდიდან პომდე. ამ საჰ კორპუსში 35.000 კაცი შედიოდა. ვალტელინისა და ტოსკანის დივიზიებს და აგრეთვე პიემონტიდან გასაძლიერებლად გამოგზავნილ სხვადასხვა რაზმს ამ ჯარის შემადგენლობა 50.000 კაცამდე უნდა აეყვანა. მოროს იმედი ჰქონდა რომ მოასწრებდა ამ ჯარის თავის მოყრას ადაზე. გარდა ამისა 20.000 კაცი მეციხოვნე ჯარის სახით იმყოფებოდა მანტუაში, პესკიერაში, ფერარაში, ურბინოს ციხეში და პიციგეტონეში. ისინი გარემოცულნი იყვნენ. ტურინის სიმაგრემ, კონმა, ალესანდრიამ, ტორტონამ, გავიმ, გენუამ ახალი ჯარები მიიღეს საფრანგეთიდან.

სუვოროვის სარდლობის ქვეშ მყოფი ჯარის მთავარი ძალები ოთხი კორპუსისგან შედგებოდა: მარჯვენა ფრთის კორპუსმა, რომელშიდაც როზენბერგისა და ვუკასოვიჩის დივიზიები შედიოდნენ, ლეკო დაიკავა; მეორე კორპუსი, რომელშიც ოტისა და ცოპფის დივიზიები შედიოდნენ, ტრეცოსა და ვაპრიოსაკენ მიემართებოდა; მელასი ორი დივიზიითურთ მიემართებოდა კასანოსა და ლოდისაკენ; ჰოჰენცოლერნისა და კაიმის დივიზიები, რომელნიც მარცხენა ფრთას შეადგენდნენ, — ქვედა ადაზე. პიციგეტონესკენ. 26 აპრილს როზენბერგის დივიზიის მოწინავე რაზმმა ხელთ იგდო ადის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა ქალაქი ლეკო და აგრეთვე ხიდისწინა სიმაგრე. მეორე ღამეს მან მოულოდნელად დაიკავა ფონი და შეაკეთა აქ ხიდი. შატელერი, არმიის გენერალ-კვარტირმაისტერი, რომელიც ოტის კორპუსით მოდიოდა. მივიდა ტრეცოს, როცა მოულოდნელად ხელთ იგდო მდინარეზე გადასასვლელი, და გასცა

ბონდის გაკეთების ბრძანება. 28-ს გარიჟრაჟზე მან შეუტია სერიურიეს დივიზიის საგუშაგოებს და უკუაქცია ისინი პოცოსაკენ, რომელიც შემდეგ ჩაიგდო კიდევაც ხელში. გრენიეს დივიზია და ვიქტორის ერთი ბრიგადა საჩქაროდ გაეშურნენ სერიურიეს დასახმარებლად და პოცოს წინ შეხვდნენ წინააღმდეგეს. გაიმართა მეტად სასტიკი ბრძოლა. ავსტრიის დივიზია უკუქცეულ იქნა, პოცო ხელახლა აიღეს. ამ დივიზიას დამარცხება მოელოდა, მაგრამ დასახმარებლად მოსულმა ცოპფის დივიზიამ კვლავ ხელთ იგდო პოცო და აიძულა ფრანგები—დაეხიათ, ამავე დროს კი როზენბერგი ბრეგიოში ხიდით გადავიდა, მძაფრად ეძგერა სერიურიეს და უკუაქცია იგი ვაპრიოსაკენ. ეს ძველი გენერალი მუდამ აჩაღებდა ბრძოლას, მაგრამ, ტრეცოს ხიდზე გადასული დივიზიებით გარემოცული, იძულებული იყო დანებებულიყო და დაჰყარა იარაღი. კასანოს წინ მელასი მხოლოდ სუსტ წინააღმდეგობას წააწყდა. მან მოულოდნელად ხელთ იგდო ხის ხიდი და თავისი მთავარი ბანაკი იმავე საღამოს გადიტანა გორგონცოლას. კასანოსთან ბრძოლის შედეგად საფრანგეთის ჯარმა დაჰკარგა 6.000—7.000 კაცი, მათ შორის 5.000 ტყვე, ასამდე ქვემეხი და დიდძალი აღალი.

27—28 აპრილს ღამით მორომ დაიხია სამ კოლონად: მარჯვენათი—პიაჩენცაში, მდ. პოზე გადასვლით; ცენტრით—პავიაში, მარცხენათი—ნოვარაში, სადაც მთავარი ბანაკი 2 მაისს ჩავიდა. ციზალპინის რესპუბლიკის მთელი ხელისუფალნი და ერთგულ მოქალაქეთა გუნდი თან გაჰყვა ჯარს.

28 აპრილს სუვოროვი შევიდა მილანს. 4 მაისს მან გადიტანა თავისი მთავარი ბანაკი პავიას. ნოვარიდან მორო განაგრძობდა დახევას ტურინისაკენ. იქედან იგი დაეშვა ქვევით პოს მარცხენა ნაპირზე და ჩავიდა ტანაროს ალესანდრიას იმ ვარაუდით რომ ნოვს მიაღწევდა და გენუას დაიფარავდა. მაგრამ მოწინააღმდეგემ მას დაასწრო: 9 მაისს სუვოროვმა თავისი მთავარი სადგომი გადაიტანა ვოგერას, გასცა ტორტონის სიმაგრის გარემოცვის ბრძანება, დაბანაკდა 10 მაისს მარენგოს ვაკეზე და გამოჰყო ნოვისა და გავიისათვის რუსის დივიზია ყარაჩაისა. ჩუბაროვის დივიზია მან გადიყვანა პოს მარჯვენა ნაპირზე ტანაროს სათავესთან, საიდანაც იგი ალესანდრიისაკენ დაიძრა. გრენიემ და ვიქტორმა შეუტიეს მას და სასტიკი ბრძოლის შემდეგ უკუაგდეს მდინარეში. ორი მესამედი ამ დივიზიისა დაიღუპა მისი სარდლიანად. ორი ათასმა კაცმა იარაღი დაჰყარა. ამ ხნის განმავლობაში როზენბერგი მანევრებს აწარმოებდა პოს მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ 16 მაისს სუვოროვმა აშალა თავის ბანაკი და გადალახა პო, რათა ბრძოლა მის მარცხენა ნაპირზე გადაეტანა, ტურინი გაეთავისუფლებინა და უზრუნველეყო თავისი გაალაგება. მორომ გაილაშქრა ალესანდრიიდან, უკუაქცია მოწინავე რაზმი მარენგოს ვაკეზე, მიიტანა იერიში ლუზინიანისა და ბაგრატიონის წინააღმდეგ გაროფოლიის კოშკთან, მიაყენა მათ ერთგვარი ზარალი და საღამოს თავის ბანაკში დაბრუნდა. 22 მაისს იგი კონს ჩავიდა. 27 მაისს სუვოროვი შევიდა ტურინში და გარემოიცვა სიმაგრე, რომელსაც გენერალი ფიორელა სარდლობდა.

მორო რამდენსამე დღეს ისვენებდა კონში. იგი მოწყვეტილი იყო გენუისაგან და ნეაპოლის ჯარისაგან. მორომ შეამჩნია თავისი არასაიმედო მდგომარეობა, დასტოვა იტალია, გადალახა ალპების მთავარი მთაგრეხილი ტენდი ულელტეხილით, გაგზავნა თავისი აღალი და არტილერიის უმეტესი ნაწილის

სოსპელოდან ნიცას მიმავალი გზატკეცილით და მიაღწია გენუას სანაპირო გზით, მთებიდან. ცუდმა გზამ იგი ძალზე დააგვიანა, ამ მცთარ მოძრაობას მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვა: იგი წარმოადგენს ტრებიაში მომხდარ უბედურ ამბების ჭეშმარიტ მიზეზს.

ზაფხულის სიცხემ, რაც აქ ჩვეულებრივი მოვლენაა, და დაღლილობამ მოკავშირეთა ჯარს დიდი ზარალი მიაყენა; ამასთანავე ეს ჯარი დიდ მანძილზე იყო მოფანტული, ვინაიდან საჭირო იყო მანტუის, ფერარის, მილანის, ტორტონის, ალესანდრიისა და სხვ. გარემოცვა. მაგრამ 6 ივნისს ბელგარდი და გადიკი დაეშვნენ სენ-გოთარდიდან ორი ძლიერი დივიზიითურთ, გაიარეს მილანი და დაიძრნენ ტორტონასაკენ. ამ გაძლიერებამ აანაზღაურა ორთავე იმპერიის იტალიის არმიების დანაკლისი. მათი მდგომარეობა კიდევ უჯრო გაუმჯობესდა პიციგეტონესა და აგრეთვე მილანისა და ფერარის დაცემით, რომლებიც 24 მაისს ჩაბარდნენ. ამან მისცა რუსეთის მთავარსარდალს ოტისა და ჰოჰენცოლერნის დივიზიების პოს მარჯვენა ნაპირზე და აპენინის ფერდობებზე გადასროლის საშუალება ნეაპოლის ჯარისადმი თვალყურის სადევნებლად. კრაიმ, რომელიც უკვე შეუდგა თავისი საალყო პარკის თავმოყრას მანტუასთან, გასცა ამ პარკის ლენიაგოში გახიზვნის ბრძანება, დასტოვა მანტუის წინ სენ-ჟიულიენი 9.000 კაცითურთ და კორპუსის დანარჩენი ნაწილი ბორგოფორტესკენ დასძრა. ნეაპოლის არმია აპენინებზე მივიდა და მანტუას მხარდაჭერას უქადდა.

VII

მაკდონალდი 2 მაისს გამოვიდა კაზერტიდან ნეაპოლის ჯარით. 24 მაისს იგი ფლორენციას მივიდა და სარცანაში იტალიის ჯარს შეუერთდა. მან თავის სარდლობის ქვეშ მიიღო გენერალ მონრიშარის ბოლონიის დივიზია და გენერალ გოტიეს ტოსკანის დივიზია. იგი მოუთმენლად ელოდებოდა გენერალ მოროს ბრძანებებს, რომელსაც ორთავე ჯარის უმაღლესი სარდლობა ეკუთვნოდა, მაგრამ მორომ მტერს საშუალება მისცა რომ იგი მოეჭრათ გენუიდან და ამგვარად მიმწყვდეულიყო კონთან, მაკდონალდიდან 50 ლიეს მანძილზე, მოპირდაპირე მიმართულებით. ამიტომ მაკდონალდმა მხოლოდ 6 ივნისს მიიღო მისგან ბრძანებები. 8 ივნისს მაკდონალდმა დასტოვა სან-პელეგრინოში თავისი ბანაკი გადაიარა აპენინები და შევიდა პოს ხეობაში ტორტონისკენ წასვლის მიზნით, რომელიც მორომ ორთავე ჯარის თავმოსაყრელ ადგილად დანიშნა და სადაც თითონაც უნდა მისულიყო ბოკეტის უღელტეხილით იტალიის ჯარითურთ. მონრიშარისა და რიუსკის დივიზიებმა შეჰქმნეს მაკდონალდის მარჯვენა ფრთა, ოლივიესა და სალმას დივიზიებმა—ცენტრი; დომბროვსკისა და ვიქტორის დივიზიებმა—მარცხენა ფრთა. 12 ივნისს მან შეუტია ჰოჰენცოლერნისა და კლენაუს დივიზიებს მოდენაში, გაარღვია ისინი და დიდი ზარალი მიაყენა მათ. მისმა ჯარმა ამ ქალაქში უწესრიგობა მოახდინა. ავსტრიელთა ორთავე დივიზიის ნაშთებმა უკან დაიხიეს მანტუისა და ფერარისაკენ. 14 ივნისს ვიქტორი მივიდა პარმას, 15-ს კი—პიაჩენცას. ოტას დივიზია მის წინ იხევდა. მან გარემოიცო სიმაგრე, დაისვენა 15-ს და 16-ს, ხოლო 17-ს გაგზავნა თავისი მოწინავე რაზმი კასტელ-სან-ჯიოვანისაკენ, სადაც ეს რაზმი შეხვდა მელასის კორპუსით გაძლიერებულ გენერალ ოტას. მოწინავე რაზმი მედგრად უკუაქციეს და

იძულებული გახდა გადასულიყო უკანვე მდ. ტიდონეზე. არმია მიეშველა თავის მოწინავე რაზმს. ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა. ამ დროს სუვოროვი მშვიდათ იყო თავისთვის ტურინში. მისი დივიზიები მოფანტული იყო ალპების სხვადასხვა ხეობაში. მოდენასთან დამარცხებითა და გენერალ კრაის მოხსენებებით შეშფოთებული (კრაი შიშობდა—მანტუამ დახმარება არ მიიღოსო), სუვოროვი 14 ივნისს გავიდა და 17-ს ჩავიდა კასტელ-სან-ჯიოვანს რუსის სამი დივიზიით. მაშინ ჩავიდა გენერალი მელასიც. ამ ძალებმა ოტას ჯართან ერთად შეადგინეს 50.000-კაციანი კორპუსი. 18-ს, ნაშუადღევის 5 საათზე სუვოროვმა ოთხ კოლონად შეუტია ნეაპოლის არმიას. ფრანგები უკუიქცნენ და გამაგრდნენ ტრებიის მარჯვენა ნაპირზე. 19-ს მაკდონალდმა გადალახა მდინარე სამ კოლონად, ჯერ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ვერ განავითარა იგი და წააგო ბრძოლა. ღამით მან პიაჩენცასკენ დაიხია, დასტოვა იქ 4.000 დაჭრილი და რიჟრაჟზე განაგრძო დახევა ტოსკანისაკენ. სუვოროვი ოთხი დღის განმავლობაში მიჰყვებოდა მას. 23-ს ფირენცუოელში ყოფნის დროს სუვოროვი შეაშფოთა მდინარე სკრივიაზე მოროს ჯარის გადაჯგუფებამ, მან მიანდო ოტას დამარცხებული ჯარის გამოდევნება, თითონ კი გაეშურა გენერალ ბელგარდის დასახმარებლად. მორო ჩავიდა ტორტონას 20-ს 30.000 კაციოთურთ, გაჰფანტა ამ ციხის გარემოცვა და ბელგარდის კორპუსს ალესანდრიისაკენ დაახევინა. მან გამოჰყო ლაპოიპის დივიზია ტრებიის ხეობაში ბობიოსათვის. გარნა სუვოროვის კონტრლაშქრობამ და ტრებიასთან ბრძოლის ცუდმა შედეგმა აიძულეს იგი კვლავ გადასულიყო ბოკეტის უღელტეხილზე რაიმე თვალსაჩინო წარმატების მიუღწევლად. გენერლებმა ვიქტორმა და ლაპოიპმა დაიკავეს პოზიციები აპენინის ფერდობებზე მაკდონალდი დაბრუნდა თავის პისტოისა და ლუკის პოზიციებზე, გარფანიანის გზატკეცილზე, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ დასცალა ტოსკანა და კორნიშის გზით გაეშურა გენუასაკენ, არტილერიის მატერიალური ნაწილი კი გემებზე დატვირთა. 2 აგვისტოს იგი მივიდა გენუას 7.000—8.000 კაცამდე დანაკლისით, შეტაკებებისა და ჩქარი სვლების წყალობით, ტრებიასთან ბრძოლის შემდეგ.

VIII

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი გ ე რ მ ა ნ ი ა ს ა და ი ტ ა ლ ი ა შ ი ლ ა შ ქ რ ო ბ ა თ ა გ ე გ მ ე ბ ზ ე.—1. საფრანგეთის მთავრობამ უბრძანა თავის არმიებს შეტევაზე გადასვლა როგორც გერმანიაში, აგრეთვე იტალიაშიც. გერმანიაში კარგი იქნებოდა თავდაცვის მდგომარეობაში დარჩენა, რამდენადაც იქ არ შეიძლებოდა იმაზე მეტი ძალის შეკრება, რაც მოწინააღმდეგეს გააჩნდა. ყოველ შემთხვევაში, სამი არმიისაგან—დუნაის, ჰელვეციისა და ქვემორაინისა—უნდა შემდგარიყო მხოლოდ ერთი. ქვემორაინის არმია მხოლოდ მესამეულ ათასეულებისაგან შედგებოდა. ეს ნიშნავდა თავისთავის მოტყვილებას, რადგან მესამეული ათასეულები არ იყვნენ მობილიზაციით გამოწვეულნი და გარდა ამისა საჭირონიც იყვნენ ციხეების დასაცავად და ბრძოლის ველზე მოქმედ ათასეულთა შევსებათა მოსამზადებლად. შიგ სახელმწიფოში დიდი რაოდენობით იყო ძველი ლეგიონები. მათი ნაწილი თავიდანვე უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ორმოცი ათასი კაცი, რომლებიც დუნაის ჯარს შეადგენდნენ, ჰელვეციის ჯართან შეერთებით

საკმარო იქნებოდა შვეიცარიის ხელში დაჭერის უზრუნველსაყოფად და საბანაკო სადგომების დასაკავებლად რაინის მარჯვენა ნაპირზე შაფჰაუზენის და შტაინის მიმართულებით, შვარცვალდის შემოვლით.

2. იტალიაში საჭიროო იყო შეტევა რადგან საფრანგეთის ძალები ნაბეკვარ-კუნძულზე გაცილებით უფრო ჭარბი იყო ვიდრე მოწინააღმდეგისა და აუცილებლობა მოითხოვდა ავსტრიელების უკუქცევას ადიჯეს პოზიციებიდან რუსების მოსვლამდე. მაგრამ ეს შეტევა უნდა ყოფილიყო მთელი გაერთიანებული ძალებით. შერერმა 60.000 კაცით შეუტია. ამ შეტევამდე რამდენიმე დღით წინ მან დაისუსტა თავი 14.000 კაცით, რომლებიც გამოგზავნა ვალტელინასა და ტოსკანას. იმ ბრძოლის შედეგი, რომელიც ადიჯეზე უნდა მომხდარიყო, იმოქმედებდა ვალტელინისა და ტოსკანის ბედზედაც, რადგან ამ პროვინციების ამბებს არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო ბრძოლის წარმატებაზე. აგერეთვე უნდა ყოფილიყო უკან გამოწვეული ნეაპოლის არმიის 30.000 კაცი. საფრანგეთის ჯარი, რომელსაც ექნებოდა მნიშვნელოვანი რიცხვობრივი სიჭარბე, დაამარცხებდა მაშინ ავსტრიის ჯარს, უკუაგდებდა მას პიავეს-გალმა, მიაყენებდა დიდ ზიანს და ხელთ იგდებდა ლენიაგოს. ეს გამოიწვევდა სუვოროვის კორპუსის დაღუპვას, რაც მით უფრო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა— რომ საგონებელში ჩააგდებდა რუსის მეფეს. ყოველივე ის, რაც ჟინიანობას წარმოადგენს და არაა დამყარებული ნამდვილ მიზანშეწონილობაზე უძლურია მარცხის წინაშე. პართენოპეის რესპუბლიკის ბედს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი არსებობისათვის საფრანგეთის მხედრობას უნდა გაეგმარჯვა ადიჯეზე. ამასთანავე, ნეაპოლის არმიაში უკვე 12.000—15.000 კაცი ითვლებოდა. შესაძლებელი იყო მისთვის დაეტოვებინათ ციზალპინისა და რომის რამოდენიმე ათასეული, რომლებთან ერთად მას შეეძლო შეენარჩუნებინა ბატონობა ნეაპოლის ოლქებში, ყოველ შემთხვევაში—ციხეებსა და სიმაგრეებში, მთელი იმ ხნის განმავლობაში ვიდრე ფრანგების მფლობელობაში იქნებოდა ზემო იტალია. კარდინალი რუფო შესძლებდა თავისი გლეხური ჯარის შეგროვებას და ნეაპოლთან მისვლას ადიჯეზე შერერის დამარცხებიდან მხოლოდ სამი თვის გასვლის შემდეგ, და მას კიდევ მრავალი თვე დასჭირდებოდა ციხეების ხელში ჩასაგდებად. ასეთი გეგმა რომ ყოფილიყო მიღებული, მეორე კოალიცია მაღე დაიშლებოდა.

პ ი რ ვ ე ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მასენა 1. მასენას პირველი შეტევა ფელდკირხზე სწორი იყო; შემდგომი ხუთი შეტევა კი—უნაყოფო. ეს პოზიცია აუცილებელი არ იყო შვეიცარიის თავდაცვის უზრუნველსაყოფად. კიდევ უფრო ნაკლებ აუცილებელი იყო ორთავე—ჰელვეციისა და დუნაის—არმიის შესაერთებლად. ეს შეერთება უკვე იყო განხორციელებული შტაინისა და შაფჰაუზენის მეშვეობით. 14 მარტის შემდეგ მასენას თავის ცენტრითა და მარცხენა ფრთით უნდა გადაელახა რაინი და ჟურდანის ჯართან ერთად გაელაშქრებინა ერცჰერცოგის წინააღმდეგ. ლეკურბი თავისი მარჯვენა ფრთით საკმაო იყო შვეიცარიის დასაცავად. ფრანგებს რომ შტოკახში 40.000 კაცის ნაცვლად 70.000 კაცი ჰყოლოდათ, ისინი გამარჯვებულნი აღმოჩნდებოდნენ.

2. გენერალ ლეკურბის გადასვლა სპლუგენზე და ენგადინსა და ვალტელინაში მომხდარი ყველა ოპერაცია უმიზნო იყო. ჯარის მარჯვენა ფრთა ვერ

ეპოვიდა უკეთეს პოზიციებს ვიდრე სენ-გოთარდისა და სპლუგენისა იყო. განა განზრახული იყო ტიროლის დაპყრობა? მაგრამ ამ ოპერაციის შესრულება არ შეიძლებოდა 15 000 კაცით, ჯარის ერთი დივიზიით, მაშინ, როდესაც დანარჩენი დივიზიები უკან იყვნენ დაშორებულნი 30 ლიეს მანძილზე და მათ უზარმაზარი მთები ჰყოფდათ. ლეკურბს რომ საუბედუროდ ინსბრუკამდე მიეღწია, იქ იგი გარემოცული იქნებოდა. ენგადინის ასეთი დაპყრობა მოიფიქრა პარიზში გამოუცდელმა ხალხმა, რომელსაც სამხედრო ხელოვნებაზე ყველაზე მეტად ბუნდოვანი და უსწორო წარმოდგენა ჰქონდა. მაღალმთიანი ქვეყნები დამოკიდებულნი არიან ბარზე, საიდანაც ისინი სურსათს იღებენ. სახელმწიფოთა საზღვრები შედგებიან ვაკეებისა, გორაკებიან და მთიან ოლქებისაგან. თუ ჯარს მათი გადალახვა უნდა და ცხენოსან ჯარში უპირატესობა მოეპოვება, მისთვის ხელსაყრელია ვაკეებზე განავითაროს საოპერაციო ხაზი. თუ ამ მხრივ მას მოწინააღმდეგეზე სუსტი ძალა აქვს, მისთვის უფრო ხელსაყრელია გორაკებიანი უბნები. მაღალმთიან ქვეყნებში კი მან ყოველ შემთხვევაში თვალყური მაინც უნდა ადევნოს ამ მთებს მათი შემოვლის დროს. და მართლადაც, სავსებით უაზროა საოპერაციო ხაზის გატარება მაღალმთიან ქვეყანაში: 1) იმიტომ რომ ასეთ ქვეყანაში ძნელია სურსათის მოპოვება; 2) იმიტომ რომ იქ ყოველ ნაბიჯზე ვიწრობებია, რომლებიც სიმაგრეებით უნდა დაიკავო; 3) მისი გადალახვა ძნელია და ნელა მიმდინარეობს; 4) რაზმები აქ შესაძლებელია გააჩერონ, დაამარცხონ და გაანადგურონ მეხრე გლეხებმაც-კი; 5) იმიტომ რომ სამთო ომის დროს არაოდეს არ უნდა აწარმოო შეტევები: უნდა შეჰქმნა მანევრირების ფართო შესაძლებლობა დაკავებული პოზიციის წინ, რათა იმ ჯარს, რომელსაც თავდაცვის ამოცანა აქვს დაკისრებული, სხვა გამოსავალი არ ჰქონდეს—ან თვით შემოგიტიოს ან დაიხიოს; 6) დასასრულ, საოპერაციო ხაზი დასახევ გზადაც უნდა გამოდგეს. როგორლა უნდა დაიხიო ხეობებსა, ვიწრობებსა და უფსკრულებზე? ხდება ხოლმე რომ დიდი ჯარები, როცა მათ სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლიათ, გადალახავენ მაღალმთიან ქვეყნებს, რათა ვაკეებში და მდიდარ ოლქებში შეიჭრან. მაგალითად, ალპები უნდა გადალახო რომ იტალიაში შეხვიდე. მაგრამ გამოიჩინო ზებუნებრივი ძალა რომ მიუვალი მთები გადალახო და ისევ უფსკრულებსა, ვიწრობებსა და კლდეებს შორის მოხვდე, არ გაგაჩნდეს სხვა პერსპექტივი იმის გარდა რომ გიწევდეს დიდი ხნის განმავლობაში კვლავ ასეთივე დაბრკოლებების გადალახვა და ასეთსავე სიძნელეებში ჩავარდნა; გაშფოთებდეს ყოველი ახალი გადასვლა და ის გარემოება რომ ზურგში კიდევ ამდენი ვიწრობებია; ყოველდღე შიშობდე რომ სიმშილით მოკვდები,—ასე ბრძოლა არ შეიძლება, მაშინ როდესაც სხვა საშუალებები არსებობს! ეს იმას ნიშნავს რომ სიძნელეებში ეძებდე თავის გართობას და ბუმბერაზებს შეებრძოლო, ესე იგი იმოქმედო საღი გონების წინააღმდეგ და ამავ დროს საშხედრო ხელოვნების წინააღმდეგაც. მტერს მოეპოვება დიდი ქალაქები, მდიდარი პროვინციები, დედაქალაქები რომლებიც დაცვას საჭიროებენ,—მიაშურეთ მათკენ. ვაკეებით. სამხედრო ხელოვნება სადა და აღსრულებადია: მასში ყოველივე საღ გონებას ემყარება და იგი ვერავითარ გაურკვევლობას ვერ ითმენს.

მ ე ო რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქუჩდანი 1. ჟურდანი იყო დუნაის, ჰელვეციისა და ქვემორაინის არმიების მთავარსარდალი, მაგრამ ამ არმიებს ჰყავდათ თავიანთი მთავარსარდლები, რომლებსაც ჰქონდათ მიწერ-მოწერა მინისტრთან. ფაქტიურად ჟურდანი არ იყო მთავარსარდალი. მთელს ამ საზღვარზე უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი ჯარი 5—6 კორპუსისგან შემდგარი, თითოეულ კორპუსში 15.000—18.000 კაცით.

2. შტოკახთან ჟურდანმა უმიზნოდ გამართა ბრძოლა. იგი გვარწმუნებს რომ ეს შთამაგონესო. მთავარსარდალმა უნდა გადასწყვიტოს ბრძოლის გამართვა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გამარჯვების იმედი აქვს, ხოლო რა იმედი უნდა ჰქონოდა მას როდესაც 65.000 კაცის წინააღმდეგ 40.000 გამოიყვანა? მას რომ გაემარჯვა, რა ნაყოფის მიღება შეეძლო ამ გამარჯვებიდან? ასეთი სუსტი ჯარით შეეძლო თუ არა მას მდ. ილერისაკენ წასვლა, ლეხზე გადასვლა და ბავარიაში შესვლა? და კიდევაც რომ ასე გაეკეთებინა, განა არ დაიღუპებოდა? ბრძოლის დროს თავისი დივიზიები მან ძალიან დააშორა ერთიმეორეს. მისი ბრძოლის ველი სამჯერ იმაზე მეტი იყო, რასაც საჭიროება მოითხოვდა.

3. მან დაიხია რაინისაკენ. უნდა დაეხია შვეიცარიაში. რიცხვობრივად ყველაზე სუსტსა და ბრძოლაში დამარცხებულს, მას არავითარი ძალა არ გააჩნდა დუნაის მარცხენა ნაპირზე, ვინაიდან ქვემორაინის არმია მხოლოდ ქალაქზე არსებობდა. ამიტომ მას არავითარი იმედიც არ ჰქონდა რომ შვარცვალდის მთების ყელთან გამაგრდებოდა.

მ ე ს ა მ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ერცჰერცოგი კარლოსი. რაკი ერცჰერცოგმა იერიში მიიტანა შვეიცარიის ფრონტზე და სამთო ომში ჩაება, გაიქარწყლა ის ხელსაყრელი პირობები, რომლებსაც მან სხვადასხვა ბრძოლაში მიაღწია. შვეიცარია ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავდაცვითს პოზიციებსა და ხაზებს წარმოადგენს. ერცჰერცოგ კარლოს კი არ უნდა გადაელახა მაღალმთიანი ქვეყნები, არამედ უნდა შემოევლო მათთვის.

შტოკახთან ბრძოლის შემდეგ იგი რომ ქვემო რაინისკენ დაძრულიყო და რესპუბლიკის შიგნითა ოლქებს დამუქრებოდა, ხოლო მეტადრე—ავსტრიის წინანდელ პროვინციებს, იგი აიძულებდა მასენას—დაეტოვებინა შვეიცარია, რათა მისთვის გზა გადაეღობნა. მაშინ მისი მოქმედება წესების შესაბამისი იქნებოდა და ამის ჯილდოდ გამარჯვება მიეზღვეოდა. მისი მანევრირება, როდესაც შტოკახთან ბრძოლის წინ მოასწრო გოტცესთან შეერთება, ხოლო ეს უკანასკნელი ბელგარდმა შესცვალა, შეესაბამება სამხედრო ხელოვნების ნამდვილ პრინციპებს.

მ ე ო თ ხ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზურიხი. 1. იტალიის არმიას სწორედ იმავე დღეს უნდა დაეწყო საომარი მოქმედებანი, როდესაც ჰელვეციის არმიამ დაიწყო,—5 მარტს. მას არ უნდა დაესუსტებია თავისი თავი იმ 14.000 კაცის დაკლებით, რომლებიც ტოსკანასა და ვალტელინაში გაგზავნა. ფლორენციის, ლივორნოს, კიავენის და ბორმიოს ბედი დამოკიდებული იყო იმ ბრძოლაზე, რომელიც ადიჯეზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ამ ქალაქებში არსებულ მდგომარეობას არავითარი გავლენა არ ჰქონდა ამ ბრძოლის შედეგზე. შერერს, რამდენადაც იგი ნეაპოლის ჯარის სარდალი იყო, უნდა გამოეწვია ეს ჯარი, რათა მოწინააღმდეგეზე იერიში მიეტანა 100.000-ზე მეტი კაცისაგან შემდგარი ძა-

ლით. ნეაპოლის ბედი ადიჯეზე უნდა გადაწყვეტილიყო და ნეაპოლის ოკუპაციას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო ბრძოლაზე, რომელიც ადიჯეს ნაპირებზე უნდა გამართულიყო.

2. შერერმა 26 მარტს 60.000 ფრანგით იერიში მიიტანა 54.000 ავსტრიელზე. მისი ჯარის მორალური მდგომარეობა იმდენად მაღალი იყო რომ მას ამ ჯარით 80.000 ავსტრიელი უნდა დაემარცხებია.

3. 1) ლენიაგოსაკენ დაძვრისას მონრიშარის დივიზიას შეეძლო მხოლოდ სიმაგრეთა ზვინულებიდან დაშენილ ცეცხლში ჩაეგდო თავი. იგი უნდა მდგარიყო ვერონასთან გენერალ მოროს ორ დანარჩენ დივიზიასთან ერთად. 2) სერიურიეს დივიზიას არაფერი საქმე არ ჰქონდა რივოლში და მონტე-ბალდოზე, რამდენადაც პოლსა და პასტრენგოსთან გამაგრებულ მოწინააღმდეგეს ჰქონდა თავის განკარგულებაში ადიჯეს ხიდები, ეს კი იმის მაჩვენებელი იყო რომ მისი საოპერაციო ხაზი ვერონისაკენ მიდიოდა და რომ იგი უკავშირდებოდა ტიროლს ადიჯეს მარცხენა ნაპირით, სადაც გზატკეცილი გადის და არა მარჯვენა ნაპირით, სადაც მხოლოდ ბილიკებია. ამიტომ სერიურიე ვერონის პირისპირ უნდა ყოფილიყო მოროს მეოთხე დივიზიის სახით. 3) გენერლებმა გრენიემ და დელმასმა გადალახეს მოწინააღმდეგის გამაგრებული ბანაკი ადიჯეს მარჯვენა ნაპირზე, დილის 10 საათზე. ნაშუადღევის 5 საათზე ისინი უნდა მისულიყვნენ ვერონასთან დანარჩენი 4 დივიზიითურთ. რივოლის, პოლისა და პასტრენგოსათვის საკმაო იყო რამდენიმე ცხ. ასეული და ქვ. ათასეული. 4) ვერონის წინ ჯარის შეკრების შემდეგ, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე დაფანტული იყო და ყველგან საშიშროება მოელოდა, საჭირო იყო სამი ხიდის გაკეთება ვერონის ქვემოთ, საქცევთან და ქვემეხებით მათი დაცვის უზრუნველყოფა. 28 მარტს განთიადზე ფრანგის მთელი ჯარი, სადმე თუნდაც ერთი ბრიგადის გამოუყოფლად, შეტევაზე უნდა გადასულიყო და დაემარცხებინა მოწინააღმდეგე სენ-მარტინოსთან, დადევნებოდა მას 30-ს კალდიეროს გაღმა და უკუექცია პიავეს მეორე მხარეს. 5) 30-ს უნდა მომხდარიყო ლენიაგოს გარემოცვა, 2 აპრილს—სიმაგრეებზე იერიშის მიტანა, როგორც მარცხენა ისე მარჯვენა ნაპირზე. 15 აპრილს უნდა მომხდარიყო ამ ციხის დაკავება.

4. 31 მაისს სერიურეს დივიზიის გადასვლას ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, ვერონის ქვემოთ, შესაძლო იყო მოჰყოლოდა შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას მთელი ჯარით დაუჭერდნენ მხარს. ეს ალალ ბედზე მიგდებული დივიზია დასაღუპად იყო განწირული, რადგან ზემო ადიჯეს ნაპირებიდან არ იყო გზა ვერონის სიმაღლეებისაკენ, არამედ—მხოლოდ ბილიკები რომელზედაც შეუძლებელია არტილერიის გატარება. 1796 და 1797 წლებში ვერონის ციხოვან ჯარში ერთი ჯარისკაციც კი არ ერია ისეთი, რომელსაც ეს არ სცოდნოდა, მაშ რატომ არ იცოდა არაფერი ამის შესახებ მთავარსარდალმა.

5. ჯარის ყველა ლაშქრობასა და კონტრლაშქრობას ქვედა ადიჯეზე, მდინარეებსა, ჭაობებსა და ლაფს შორის შეეძლო მხოლოდ მისი საბოლოო დაშლის გამოწვევა. თუ ფრანგ მთავარსარდალს ადიჯეზე გადასვლა სურდა, მას უნდა მოეგროვებინა თავისი ჯარი ერთ პუნქტში, მშრალ ადგილას, მაგალითად ვილაფრანკაში, მოულოდნელად ეგდო ხელთ ხიდი და სწრა-

ფად გადასულიყო გალმა. მანიანოსთან ბრძოლის დროს შერერს არ ჰქონდა გეგმა. კიდეც რომ უკუექცია მტერი ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, ამით მაინც ვერ ისარგებლებდა. მისი ხიდები იყო უკან ორი ეჯის მანძილზე. რადგან მანიანოსთან გაშართულ ბრძოლაში ორთავე მხარეს ჰქონდა წარმატება, მას არ უნდა დაეტოვებინა მინჩიოს ხაზი, არამედ უნდა გამაგრებულიყო იქ და დაეცადა თავის მაშველი ჯარებისათვის.

6. რაკი მინჩიოს დატოვება სურდა, მას უნდა დაეხია უკან სერალიოში სადაც იყო ხიდისწინა სიმაგრეები მდინარე პოსა და ფოსა-მაესტრაზე. მარტის, აპრილის, მაისის და ნაწილობრივ ივნისის განმავლობაში სერალიოში არაა ცუდი ჰავა და მხოლოდ ივნისის დამლევიდან იცის ხოლმე ციება. რაკი ამ ვრცელს გამაგრებულ ბანაკში იქნებოდა, იგი მიიღებდა მაშველ ჯარს 20 აპრილამდე, 25.000 კაცის რაოდენობით, ბოლონიიდან, ტოსკანადან, ანკონიდან და პიემონტიდან. მეორე 25.000 მიიღებდა მაისის დამდეგს ნეაპოლის არმიასთან შეერთების შედეგად. ადიჯეზე რუსის ჯარის მოსვლის დღეს—25 აპრილს მას რომ დაესკვნა რომ სერალიოში მეტი დარჩენა შეუძლებელიაო, ეას უნდა გადაელახა პო, წასულიყო ნეაპოლის ჯარის შესახვედრად და მასთან შეერთების შემდეგ შემობრუნებოდა მოწინააღმდეგეს.

7. უკან დახევისას შერერს არ უნდა დაეტოვებინა 2.500 კაცი ბრეშიასა და ბერგამოში. ამ ქალაქების სიმაგრეები დიდი ხანია რაც დაინგრა. მათ ნანგრევებზე ააგეს ისეთი სიმაგრეები რომლებიც—ძალიან დიდი—მხოლოდ ცხენოსან ჯარს და ხალხის ბრბოს თუ გაუძლებს.

შერერს არ აკლდა არც ჭკუა, არც სიმამაცე, მაგრამ აკლდა ნებისყოფა. იგი გაბედულად მსჯელობდა ომზე, მაგრამ მსჯელობდა გაურკვევლად და არ ვარგოდა ომისათვის. სამხედრო კაცს იმდენი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს, რამდენი ჭკუაც. ის პირნი, რომლებსაც დიდი ჭკუა აქვთ მაგრამ მცირე ნებისყოფა, ყველაზე ნაკლებ გამოსადეგნი არიან ამ პროფესიისათვის. უმჯობესია მეტი ნებისყოფა გქონდეს და ნაკლები ჭკუა. იმ პირთ, რომლებსაც საშუალო ჭკუა აქვთ მაგრამ საკმაოდ არიან აღჭურვილნი ნებისყოფით, ხშირად შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას ამ ხელოვნებაში. იულიოს კეისარი, ჰანიბალი, ტიურენი, პრინცი ევგენი და ფრიდრიხი—იყვნენ ისეთი მხედართმთავრები რომლებსაც ჰქონდათ დიდი ჭკუა და მისი შესაფერი ნებისყოფაც.

მ ე ხ უ თ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მაგრ. გენერალი მორო, რომელიც წარმატებით ახდენდა მანევრირებას შერერის სარდლობის ქვეშ, როგორც ერთი ან ორი დივიზიის მეთაური, უფრო ნაკლები წარმატებით მოქმედებდა როდესაც მთავარსარდალი გახდა. 1) მან გამართა ბრძოლა კასანოსთან და წააგო იგი. დაუშვა სერიურიეს ორი დივიზიის გარემოცვა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ იარაღი დაეყარათ. 2) დაიხია უკან ტიჩინოსაკენ მაშინ როდესაც უნდა დაეხია პიაჩენცისაკენ, პოს მარჯვენა სანაპიროთი, რათა ნეაპოლის ჯართან კავშირი არ გაეწყვიტა, რადგან ამ ჯართან შეერთების შემდეგ მას კიდევ შეეძლო დაებრუნებინა იტალია. ყოველთვის შენი მაშველი ჯარებისაკენ უნდა დაიხიო ხოლმე. 3) ტიჩინოდან იგი დაიძრა ტურინზე, რის გამო სუვოროვს მიეცა ბოკეტასაკენ წასვლისა და ნეაპოლის ჯარისაგან მისი მოჭრის სრული შესაძლებლობა. 4) სუვოროვის გაუბედავობამ მისცა მას უკან დაბრუნების დრო. იგი

კვლავ ქვევით დაეშვა ტურინიდან ალესანდრიისაკენ პოს მარჯვენა ნაპირით; მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ნაცვლად იმისა რომ დაეცვა ვენუა და შეერთებოდა ნეაპოლის ჯარს, რომელიც უკვე ტოსკანაში იყო, კონისაკენ წავიდა. 24 მაისს, როდესაც იგი იქ მივიდა, ნეაპოლის ჯარი შევიდა ფლორენციასა და სარცანაში და დაამყარა კავშირი გენუასთან. ამ დროიდან შესაძლებელი იყო ჩათვლა რომ იგი მას შეუერთდა, მორო რომ 40 ლიეთი არ ყოფილიყო დაშორებული კონისაკენ თავისი მცთარი მოძრაობის წყალობით. ამ უკანასკნელი გადასვლის შედეგი დამღუპველი აღმოჩნდა. 5) კონიდან იგი გადავიდა ალპების მთავარ მთაგრეხილზე ტენდის უღელტეხილით და მიდიოდა გენუასაკენ ცუდი გზით, უარტილერიოდ, რომელიც მან გაგზავნა ნიცას და სოსპელოს. მან გაუგზავნა მაკდონალდს აპენინის გადმოლახვისა და პოს დაბლობში ტორტონსთან მოსვლის ბრძანება, სადაც საერთო შესაკრები პუნქტი დანიშნა. 6) ვიდრე ნეაპოლის არმია ესოდენ ს�შიშ ლაშქრობას ჩაატარებდა, რაც სამხედრო ხელოვნების წესებს ეწინააღმდეგება, მან თვით გადალახა ბოკეტის უღელტეხილი 30.000 კაცით, მაგრამ ერთობ გვიან იყო: ტრებიასთან ბრძოლამ უკვე გადასწყვიტა ნეოპოლის არმიის ბედი.

მორო უნდა გამოსულიყო ბობიოდან და შეერთებოდა მაკდონალდს ბრძოლის წინ. საფრანგეთის ეს ორი არმია შედგებოდა 75.000 კაცასაგან. მათ შეეძლოთ ხელახლად დაეპყროთ იტალია თუ სარდლად ნიჭიერი გენერალი ეყოლებოდათ.

მ ე ე ქ ვ ს ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მაკდონალდი. 1. მაკდონალდი უნდა გამოსულიყო ნეაპოლიდან 15 აპრილს, შერერისგან ბრძანების მიღების მეორე დღეს. მას შეეძლო დროზე მისვლა პოს ველზე, რათა, 15 აპრილს ნეაპოლიდან გასვლის შემდეგ, მის მიერ ბრძანების მიღების მეორე დღეს, დაეფარა ადა. ის გამოვიდა კაზერტიდან მხოლოდ 2 მაისს და დაჰკარგა 15 დღე. ის ფლორენციაში 24 მაისს მივიდა და უნდა დაძრულიყო სპეციაზე არტილერიითა და ოთხთვალებით მოროსთან შესაერთებლად აპენინების გადალმა. სპეცია მხოლოდ 20 ლიეზეა გენუადან. თუ ივნისის პირველ რიცხვებში ორივე არმია 75.000 კაცის რაოდენობით შეერთდებოდა, ისინი გადავიდოდნენ ბოკეტაზე, გაათავისუფლებდნენ ტორტონას, ალესანდრიასა და ტურინს და გადაიტანდნენ ომს მანტუის გალავანთან. სამხედრო ხელოვნების პრინციპები არ ღებულობენ არავითარ სხვა გეგმას და კიცხავენ ყოველ სხვა გადაწყვეტილებას. ამბობენ რომ სპეციიდან გენუას მიმავალი გზა თითქოს გაუვალი იყოს არტილერიისათვისო. ნეაპოლის არმიის არტილერია 40 ქვემეხისაგან შედგებოდა; მათ შორის იყო მხოლოდ რვა 12-გირვანქიანი. ჰაუბიცებისა და 4-გირვანქიანი ზარბაზნების გადატანა შეიძლებოდა ხმელეთის გზით, ან მარხილის მსგავსად გამოტოხილ ხის როფებში, ან ბერკეტების საშუალებით. ტყვია-წამლისა და ყუმბარების გადატანა შეიძლებოდა საპალნით ან შესაბმელ ცხენებით, ან რეკვიზირებული ჯორებით. ლიგურიის მთებში ბლომად არიან სასაპალნო ჯორები. ფლორენციაში, ლივორნოში, სარცანაში, სპეციაში არ იყო ნაკლებობა სასაპალნე საშუალებების. ადგილი სპეციიდან გენუამდე ზღვის გასწვრივ მიჰყვება და დასერილია მხოლოდ ბორცვებით. იქ არავითარი მთები არაა და არტილერიას შეუძლია ადვილად გავლა. 1800 წ. არტილერიამ გადაიარა დიდი სენ-ბერნარი, 1794 და 1795 წელს-კი მან გაიარა მანძილი

ნიციდან სავონას. ბოლოს, შეიძლებოდა არტილერიის გადატანა ხომალდებით, როგორც ეს ტრებიაზე ბრძოლის შემდეგ მოეწყო. საჭირო იყო მხოლოდ რამდენიმე პატარა ხომალდი, რათა ის ორ დღეში გადაეტანათ გენუაში, საკაბოტაჟო წესით. ლივორნოში, სპეციაში და სხვაგან ასეთი ხომალდები ასობით იყო. ინგლისის ესკადრა ამ ადგილებში არ იყო, და თუნდაც იგი ყოფილიყო —არ შეეძლო ხელი შეეშალა კაბოტაჟური ცურვისათვის. თუ მაკდონალდი თავის საპოზიციო ქვემეხებს დაჰკარგავდა, ამას ისე დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, იმიტომ რომ თუ ცხენები და აკაზმულობა შერჩებოდა, შეიძლებოდა 24 საათში აღდგენა თავისი პარკისა ისეთ სიმაგრეში, როგორიც გენუაა, სადაც გენუის არტილერიის გარდა, ჰქონდათ ფრანგების არტილერიაც, რომელიც წამოღებული იყო იტალიიდან გამოხიზვნის დროს. ამის გარდა ნიცის, ანტიბის და ტულონის თოფხანები მომარაგებული იყო ყველაფრით.

2. 40.000-კაციან ჯარით მოძრაობა 40 ლიეს მანძილზე მდ. პოს ველზე, ბოლონიიდან ნოვამდე, მაშინ როცა მარჯვენა ფრთა მტრის დარტყმის ქვეშ ხვდება პოს მხრიდან და ამ მდინარის გასწვრივ მთელ მარცხენა ნაპირზე მტერი დგას, მოძრაობა, როცა შესაძლებლობა არა გაქვს შეინარჩუნონ ზურგი და ამგვარად შენი თავი მტრის დარტყმის ქვეშ დააყენო, მტრისა, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს შუბლიდან, ზურგიდან და გვერდიდან,—ეს არის გიჟური ოპერაცია. მაგრამ თუ მისი შესრულება გადასწყვიტეს, უნდა ჩაეტარებინათ სწრაფად, აჩქარებული სვლით, რათა მიესწროთ 28 მაისისათვის მოდენაში და 4 ივნისს მისულიყვნენ ნოვთან. სუვოროვი მაშინ ვერ მოასწრებდა თავისი არმიის შეკრებას. ამის ნაცვლად ნეაპოლის არმიის სარდალი ფლორენციაში გაჩერდა 14 დღეს და ამან ხება მისცა ავსტრიის გენერლებს— მიეღოთ ცნობები მოსალოდნელ საფრთხეზე. მაკდონალდი მივიდა პიაჩენცას 15 ივნისს და ტყვილა დარჩა იქ ორ დღეს: ამით სუვოროვს ტურინიდან მოსვლის დრო მიეცა.

არიან ისეთი სამხედრო პირები, რომელთა აზრით მაკდონალდი უნდა გადასულიყო მდ. პოზე და წასულიყო სერალიოსკენ. მათ არ იციან რომ ივლისის განმავლობაში სერალიოში ცხოვრება არ შეიძლება. არმია ყოველდღე 50 კაცს დაჰკარგავდა. როგორც-კი არმია პოს მარცხენა ნაპირზე გადავიდოდა მაშინვე ოლიოში, ადასა და ტიჩინოში დიდი დაბრკოლებანი შეხვდებოდა.

3. ფრანგის ჯარებმა ტრებიაზე მამაცობა და თავდადებულობა გამოიჩინეს. მაგრამ ადგილი ვერ იყო მოხერხებულად შერჩეული, მოქმედება—ცუდად მიმართული, მაკდონალდმა-კი გამოიჩინა მხოლოდ მარტო გულადობა. საფრანგეთის არმიას ამ ბრძოლის დროს მარჯვნით მდინარე პო ჰქონდა, მარცხნით— მთები; მისი ზურგი ეკვროდა პიაჩენცას, რომლის ციხეც მტერს ეკავა. სუვოროვს, პირიქით, მარჯვნით მთები ჰქონდა, მარცხნით—პო. მისი ზურგი უწევდა ტორტონას, სადაც ბელგარდის კორპუსი იმყოფებოდა. მისი დასახევი გზა, ამგვარად, უზრუნველი იყო როგორც ზურგში ისე პოს მარჯვენა ნაპირზეც, რომელიც მას ეკავა.

სარდალი, რომელმაც ორთავე არმიის შეერთებამდე ბრძოლის გამართვა გადასწყვიტა, გამოჩნდებოდა ბრძოლის ველზე ტრებიასთან, ტიდონეს მარჯვენა ნაპირზე, ცხენოსანი ჯარით შენიღბავდა თავის ნამდვილ საოპერაციო

ხაზს, მაგრამ საბაბს მისცემდა ეფიქრათ რომ ის პიაჩენცაზე გავლით მიემართებაო. ნამდვილად-კი ეს ხაზი გაივლიდა ბობიოსა და გენუაზე. ბრძოლის ხაზის მარცხენა ფრთა მაშინ ტორტონის მხრისკენ იქნებოდა, მარჯვენა—პაიჩენცის მხრით და გზატკეცილის პარალელურად (ეს გზატკეცილი მიდის პიაჩენციდან სან-ჯიოვანს), იმ გზის ორთავე მხარეზე, რომელიც პიაჩენციდან გენუას მიდის, ბობიოზე გავლით. ყველა ღონისძიება რომელსაც მტერი იხმარდა ბოს გასწვრივ, რათა გზატკეცილისათვის მიეღწია პიაჩენცაში, ღონისძიებანი, რომელნიც მას გამარჯვების გადამწყვეტად მიაჩნდა, მისთვის დადგებოდა მხოლოდ იმაზე რომ ის თავის მარჯვენა ფრთას მიუშვერდა საფრანგეთის არმიის დარტყმას და თვითონ მიესწრაფებოდა თავის დაღუპვისაკენ.

არმიის დახევა უნდა მომხდარიყო ბობიოზე. არტილერიისათვის აქ 14 ლიეს მანძილზე გზა კარგია, პონტე-როვენიომდე. ტრებიის სათავეებთან მისვლით არმია 3 ლიეზე აღმოჩნდებოდა ბოკეტიდან. ამ წუთიდან მისი შეერთება იტალიის არმიასთან უზრუნველყოფილი იქნებოდა, რადგან წესდებოდა გზა აპენინის მთავარ ქედზე. ტრებიის ბრძოლის ველიდან არმია ოთხ ეჯად მივიდოდა გენუას. მას არც ერთი საათი არ დააგვიანდებოდა აპენინებზე საძნელო გადასვლის გამო.

4. მაკდონალდის დახევა პარმას, მოდენასა და ტოსკანას დაღუპვისაკენ მიაქანებდა მას. ამ გზით დახევით ის ხელახლად უშვერდა თავს მტრის დარტყმას 40 ლიეს მანძილზე და აგდებდა საფრთხემი თავისს ზურგს რომელიც რკალში ვარდებოდა ჰოჰენცოლერნთან, კრაისა და კლენაუსთან, იმ დროს როცა სუვოროვი მას გენუას და ტოსკანისკენ დასახევ გზებს მოუჭრიდა. ეს გადააგდებდა მას რომისკენ და შეუძლებელს გახდიდა მის დაბრუნებას საფრანგეთში. ის მივიდა გენუას მხოლოდ 30 დღის შემდეგ და 8.000-ზე უფრო ნაკლები კაცით, თანაც ბევრი საფრთხე განიცადა. ოთხ ეჯად ის აპენინის მთებზე ავიდოდა და მოროს მარჯვნით დადგებოდა.



1799 წლის მეოთხე ნახევრის განმავლობაში მოსახდარი ომების ნარკვევები [1]

მე-12 და 13 სქემები

I. საშემოდგომო ლაშქრობის გეგმა.—II. ჰელვეციისა და ქვემორაინის არმიების მოქმედებანი; ციურიხის ბრძოლა (24 სექტემბერს 1799 წელს).—III. ინგლის-რუსეთის ექსპედიცია ჰოლანდში; ბრძოლა ბერგენთან (19 სექტემბერს); ბრძოლა ეგმონდთან (2 ოქტომბერს); ბრძოლა კასტრიკუმთან (18 ოქტომბერს); ინგლის-რუსეთის არმიის კაპიტულაცია (18 ოქტომბერს).—IV. იტალიისა და ალპის არმიების მოქმედებანი; ბრძოლა ნოვთან (15 აგვისტოს); ბრძოლა ჟენოლასთან (4 ნოემბერს).—V. შენიშვნები.

I

სუვოროვის წარმატებებმა კიდევ უფრო გააბოროტეს იმპერატორი პავლე რესპუბლიკის წინააღმდეგ. მან რამდენიმე კორპუსი გამოიყვანა: 30.000 კაცი გენერალ კორსაკოვის სარდლობით გაემგზავრა შვეიცარიას; 18.000 კაცი გენერალ ჰარტმანის სარდლობით დასხდა რეველში ინგლისის ესკადარზე; 11.000 კაცი გაიგზავნა იტალიას სუვოროვის დასახმარებლად. ამათ ამ ლაშქრობაში მონაწილე რუსის ჯარები 90.000 კაცამდე ადიოდა. ლომბარდიის სიცხე რუსებისთვის აუტანელი იყო. ერთსა და იმავე არმიაში სხვადასხვა ერის არევა უხერხულობას იწვევდა მხოლოდ. ავსტრიის გენერლები არ იყვნენ დიდათ კმაყოფილი გენერალ სუვოროვის ტაქტიკისა; მისი ზნე-საქციელი აჯავრებდათ მათ. კოალიციის კაბინეტები შეთანხმდნენ იმაზე რომ ერთდროულად ემოქმედნა ოთხ არმიას; ერთს, ავსტრიელთაგან შემდგარს მელასის სარდლობით, — იტალიაში; ერთს, შემდგარს რუსთაგან, ფრანგ ემიგრანტებისა და შვეიცარიელებისაგან, სუვოროვის სარდლობით, — შვეიცარიაში; ერთს, ავსტრიელთაგან და იმპერიის ჯარებისაგან შემდგარს, ერცჰერცოგის სარდლობით,—ქვემო რაინზე; ბოლოს, ერთს, შემდგარს ინგლისელების, რუსებისა და ორანჟისტებისაგან იორკის ჰერცოგის სარდლობით,—ჰოლანდში. ეს უკანასკნელი არმია ამსტერდამის აღებისა და შტატჰალტერის ხელისუფლების აღდგენის შემდეგ, უნდა შესულიყო ბელგიაში და ქვემორაინის არმიას შეერთებოდა.

[1] ეს ნარკვევი დაბეჭდილია ავტორის ხელნაწერიდან.—ფ რ ა ნ გ. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

თავისი მხრით საფრანგეთის მთავრობა გულს არ იტეხდა დამარცხებათა გამო და გულმოდგინედ შეუდგა თავისი არმიების შევსებას. ჰელვეციის არმია ყველაზე უფრო ძლიერი იყო. მასენას ბრძანება ბრძანებაზე ეგზავნებოდა, რათა მას დაესწრო რუსების წინსვლისათვის და ციურიხი დაეკავებია. ქვემორაინის არმიას მოძრავი ჯარები მიუმატეს და იგი გენერალ მიულერს ჩააბარეს. იტალიის არმიის სარდლად გენერალი ჟუბერი დანიშნეს; იგი მიაჩნდათ იმ კაცად, რომელსაც შესწევდა უნარი 1796 წლის მშვენიერი დღეების კვლავ წარმოშობისა. დასასრულ, შეადგინეს ახალი არმია დოფინეს საზღვარზე, მის სარდლად დანიშნეს გენერალი შამპიონე, რომელმაც რომსა და ნეოპოლში გამარჯვებებით სახელი გაითქვა.

II

მასენამ გამოიყენა პარიზის მოუთმენლობა რათა ახალი ჯარები მიეღო. 12 აგვისტოს მან დასძრა წინ თავისი მარჯვენა ფრთა—25.000 კაცი, ლეკურბის სარდლობით; ავსტრიის არმიის მარცხენა ფრთას, რომელიც მის პირისპირ იდგა, მხოლოდ 20.000 ჰყავდა. ლეკურბმა ჩქარა უკუაგდო იგი შვიციდან, გლარისიდან, სენ-გოთარდიდან რაინტალის ვიწრობებისკენ, და ხელთ იგდო რამდენიმე ათასი ტყვე, დროშები და ზარბაზნები. ამ შეუპოვარი ბრძოლებით ლეკურბმა მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო, მასენა თავისი შუაგულით დაიძრა ციურიხისკენ რომელზედაც იერიში მიიტანა 14-ს, მაგრამ შეაჩერეს ამ ქალაქის სანგრებთან. 17-ს ერცჰერცოგმა, თავისი მხრით, ამაოდ სცადა ხიდის გადება მდ. აარზე, რათა თავი დაეევლო საფრანგეთის არმიის მარცხენა ფრთისათვის და გამოეგდო არმია ძლიერ პოზიციიდან, რომელიც მას ეჭირა, და ალბისის მთიდან. ამასობაში რუსის ჯარის მოწინავე რაზმი კორსაკოვისა 19-ს მივიდა ციურიხს.

იმავე დროს საფრანგეთის არმია ქვემორაინისა შეტევაზე გადავიდა. გენერალმა მიულერმა დასტოვა თავისი მანჰაიმის მთავარი ბანაკი და 25 აგვისტოს 20.000 კაცით გაეძართა ჰაიდელბერგს, 2 სექტემბერს ალყა შემოარტყა ფილიპსბურგს, ხუთი დღის განმავლობაში დღისითა და ღამით უშენდა მას ზარბაზნებს და დაანგრია შიგ ყველა სახლი. ერცჰერცოგმა, რაკი დაინახა რომ რვა ათასეული, რომელიც მან გაგზავნა შაფჰაუზენს გენერალ სტარაის დასახმარებლად, არ კმარა გერმანიის დასაცავად და რომ, თანახმად კაბინეტების მიერ მიღებული გეგმისა, მოკავშირეები უკვე წავიდნენ გემებით ჰოლნადს,—მიატოვა ჰელვეციის არმია და გასწია ქვემორაინზე. 4 სექტემბერს მივიდა დონაუეშინგენს, 12-ს—ფილიპსბურგთან. ამან აიძულა გენერალი მიულერი—მოეხსნა ალყა და გადასულიყო უკანვე რაინზე და დაეტოვებინა მანჰაიმში გენერალი ლაროში 6.000 კაცით. ერცჰერცოგმა 17-ს იერიში მიიტანა ამ ციხეზე, აიღო იგი და ტყვედ ჩაიგდო რამდენიმე ათასი კაცი.

თავისი მხრით სუვოროვმა მიატოვა იტალიის არმიის სარდლობა. 14 სექტემბერს ის მივიდა ბელინცონას 20.000 გადარჩენილი რუსით, იმ 51.000 კაცში, რომლებიც თანდათანობით მოვიდნენ იტალიაში: 31.000 კაცი მოიკლა, ტყვედ ჩავარდა და იწვა ჰოსპიტლებში. ბელინცონაში მან ჰელვეციის არმიის სარდლობა იკისრა. ალპების ძირთან ათი დღე დაჰკარგა, და მხოლოდ 24 სექ-

ტემბერს დაიკავა სენ-გოთარდი, შევიდა შვეიცარიაში და შეუერთდა როზენ-ბერგისა და აუფენბერგის კორპუსებს, რის შემდეგ მას ამ უბანზე 35.000 კაცი გაუხდა. გენერალ გოტცეს ავსტრიელთა კორპუსით 25.000 კაცის რაოდენობით, და კორასკოვის რუსულ კორპუსით 30.000 კაცის შემადგენლობით, მისი არმიის საერთო ძალებმა 90.000 კაცამდე მიაღწიეს, ემიგრანტებისა და შვეიცარიის მეამბოხეთა ჩაუთვლელად.

მასენამ ბოლოს იგრძნო რომ დადგა გადამწყვეტი წუთი და ერთი დღეც-კი არ უნდა დააყოვნოს, რადგან, თუ ის სუვოროვს დროს მისცემს—ციურიხს მი-ვიდეს, მისი მდგომარეობა საშიში გახდება. მისი მთავარი ბანაკი ლენცბურგში იდგა. გენერალი მენარი სარდლობდა მარცხენა ფრთას, აარის შესართავიდან ბადენამდე; გენერალი ლორჟი დიეტიკონში იდგა, ლიმატის ნაპირზე; გენერალი მორტიე ადლიშვილში, მდ. ზილზე, თვალყურს ადევნებდა ციურიხს; გენერალი კლინი მარქაფით იდგა ბრეგარტენში, მდ. რაისზე; გენერალი სულტი—გლარი-ს‌ში და ეკავა თავისი დივიზიით ლინტის მარცხენა ნაპირი, ამ მდინარის სათა-ვემდე, ციურიხის ტბის ნაპირის ნაწილითურთ, და დაკავშირებული იყო გენე-რალ მორზიესთან გენერალ ლეკურბს სამი დივიზიით ეკავა განაპირა მარჯვენა ფრთაზე ვაზენი და სენ-გოთარდი. გენერალი შაბრანი სარდლობდა ბაზელის ბანაკს. საერთო რაოდენობა აღწევდა 90.000 კაცს. ამგვარად, ორივე არმია თანასწორი იყო, მაგრამ სუვოროვის მთავარი ძალები ჯერ კიდევ შორს იმყოფებოდნენ თავი-ანთი ცენტრიდან. კორსაკოვის მთავარი ბანაკი დადგა ციურიხში; მისი მარჯვენა ფრთა, რომელიც ავსტრიის ერთი დივიზიისაგან შედგებოდა, ეკვროდა რაინს, აარის შესართავთან. რუსის დივიზიებს ეკავათ ლიმატის ნაპირები, კლინგნა-უდან ციურიხამდე, და ტბის მარჯვენა ნაპირი რაპერშვილამდე. გენერალ გოტ-ცეს ავსტრიის არმიის დანარჩენი ნაწილებით ეკავა ლინტის მარჯვენა ნაპირი, უცნახი, შენისი და ვეზენი. მისი მთავარი ბანაკი იდგა კალტენბრუნენში. მდ. ლინტა, ციურიხის ტბა, მდ. ლიმატი და ამ მდინარის შესართავიდან მდ. აარი, ბოლოს, რაინი ბაზელამდე ჰყოფდნენ ერთ არმიას მეორიდან.

ფრანგებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ერცჰერცოგ კარლოსისა და სუვო-როვის დაშორება და აეღოთ ციურიხი მხოლოდ ომის გადატანით ტბის მარჯ-ვენა ნაპირზე და მდ. ლიმატზე. ეს მდინარე დიდი დაბრკოლება იყო. უბანს 5 ლიეს მანძილზე, მდ. ციურიხიდან მის შესართავამდე აარში, იცავდა მთელი რუსის ჯარი. სოფელ დიეტიკონთან, 2 ლიეზე ციურიხს ქვემოთ, ლიმატი მიდის ვაკეზე და ჰქმნის მოხერხებულ საქცევს, რომელიც შეუძლებელს ხდის არმიისა-თვის, რომელიც მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული, ფონის დაცვას. ღამით 23-დან 24 სექტემბერს მასენამ დასდგა 20-ზარბაზნიანი ბატარეა ამ საქცევის ორსავე ბოლოზე, დიეტიკონის ახლოს. იმავე წუთს მივიდა საბარგულები სა-ბონდო პარკით, და რამდენიმე საათის შემდეგ გასდეს ხიდი. რუსის ქვეითი ჯარმა ძლიერი თოფის სროლა ასტეხა, მაგრამ ბატარეის ცეცხლმა აიძულა იგი—დაეხია. გენერალი გაზანი გადავიდა მდინარეზე, მას მიჰყვნენ გენერ-ლები უდინო და კლეინი. 25-ს დღისით მათ იერიში მიიტანეს ხენგისა და ციურიხბერგის მაღლობებზე. გენერალი მორტიე მიდიოდა ტბის მარცხენა ნა-პირზე; ის მიემართებოდა სოფელ ვოლისჰოფენისკენ და შეებრძოლა რუსის დივიზიას, რომელიც პოზიციაზე იდგა ციურიხის ხიდის ახლოს, მდინარის დაღ-

მა ამ ქალაქის კარებიდან. რუსები, რომლებსაც შეუტიეს ორთავე ნაპირზე, მამაცურად იგერიებდნენ იერიშს ყოველმხრიდან. ისინი ინარჩუნებდნენ ქალაქ ციურიხს ღამის ერთი ნაწილის განმავლობაში, 25-დან 26-ს, მაგრამ, ბოლოს, ფრანგემა გამოამტვრიეს ქალაქის კარები. კორსაკოვმა რაინის მარჯვენა ნაპირზე შეკრიბა მხოლოდ ნახევარი თავისი კორპუსი. ბრძოლაში მან დაჰკარგა 15.000 კაცი, ჰოსპიტლები, საწყობები და აღალები.

სულტმა გასდო ხიდი სოფელ შენისში და 25-ს განთიადზე გადავიდა მდ. ლინტაზე, აიღო გრინაუ და შეუტია გოტცეს ავსტრიელთა კორპუსს. ფრანგ მეთოფეთა პირველი ტყვიით მოიკლა გენერალი გოტცე. ის წარმოშობით შვეიცარიელი იყო. ავსტრიის არმიის სრული ნდობა ჰქონდა. მისი დაკარგვა ასეთ წუთს სამწუხარო მოვლენა იყო ამ არმიისათვის. რუსის ბრიგადა, რომელიც სოფელ რაპერშვილში იდგა და კორსაკოვის კორპუსის მარცხენა ფრთას შეადგენდა, დაიძრა ავსტრიელების დასახმარებლად. იგი უკუაგდეს და დაამარცხეს. ავსტრიელები იძულებული იყვნენ უკანვე გადასულიყვნენ მდ. ტურზე. მათ სდევნეს სოფელ ლიხტენშტაინამდე, და ისინი გზამიჭრილი აღმოჩნდნენ და შორს უკუგდებული ბრძოლის ველიდან.

იმავე დღეს, 25 სექტემბერს, სუვოროვმა გაიარა სენ-გოთარდის ულელტეხილი; ის რიხით აცხადებდა თავისს განზრახვას: არა თუ შემორკალოს მდ. ლინტისა და რაინის ხაზის მარჯვენა ფრთა, არამედ დაიძრას პირდაპირ ლუცერნისა და ბერნისაკენ და რამდენიმე დღის განმავლობაში უკუაგდოს საფრანგეთის არმია იურისკენ. მან გაიარა ალტორფი, ბრუნენი, შვიცი [1] და, ბოლოს, 29 სექტემბერს შევიდა გლარისს. ლეკურბმა, რომელსაც არ ჰყავდა ცოტათი მაინც საკმაო ძალები, რათა იგი შეეჩერებინა. თავი აარიდა ბრძოლას. გლარისს მისვლისას სუვოროვმა გაიგო ციურიხთან დამარცხების ამბავი და მასენას წასვლა 18.000 კაცით თავისი მარჯვენა ფრთის დასახმარებლად. ამან აიძულა იგი დამორჩილებოდა აუცილებლობას: დაეგდო თავისი ჩამორჩენილები, ავადმყოფები, დაჭრილები, დაეტოვებია გამარჯვებულისათვის ბევრი ტყვე და დაეცალა შვეიცარია. 8 ოქტომბერს ის კოირეს მივიდა თავისი არმიის ნაშთებით, დაძმარებული ლაშქრობის ასეთი დასასრულით, იმ ლაშქრობის, რომელიც ასეთი ბედნიერი ნიშებით დაიწყო.

კორსაკოვი შეუერთდა ავსტრიის კორპუსს და გადავიდა უკანვე რაინის მარცხენა ნაპირზე და წაიწია წინ მდ. ტურისკენ, ვითომდა ციურიხისკენ მიდის სუვოროვის გამოსახსნელადო. მასენა გაემართა მის წინააღმდეგ, დაამარცხა იგი, უკუაგდო რაინის მარჯვენა ნაპირზე და 7 ოქტემბერს აიღო კოსტანცი. კონდეს კორპუსი, რომელიც აქ იდგა, დიდად დაზარალდა.

გენერალი ლეკურბი, რომელმაც ამ ლაშქრობაში თავგზიანობა და მამაცობა გამოიჩინა, დაინიშნა მთავრობის მიერ ქვემორაინის არმიის სარდლად და 10 ოქტომბერს ჩავიდა სტრასბურგს აგზნებული სურვილით—დაემტკიცებია ასეთი ნდობა მისდამი. მან საჩქაროდ შეჰკრიბა 20.000 კაცი. რომელთაგან შეადგინა ოთხი დივიზია, გენერლების—ლაბორდის, ნეის, ლეგრანის და ბარაგე-

[1] სუვოროვმა, შვიცს მისვლამდე, მუტგენიდან გადაუხვია გლარისისკენ. — რ უ ს. რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

დ'ილიეს სარდლობით, და თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა ვისლოხს. მან შეუტია და დაამარცხა გენერალი გიორგერი, რომელიც სცვლიდა თავადს შვარცენბერგს ავსტრიის სამხვერავო კორპუსის სარდლობაში; ეს კორპუსი იდგა მაინსა და ნეკარს შუა. ეს გენერალი ცხენოსანი დამხმარე ჯარის მოსვლის შემდეგ დაბანაკდა რაილინგენში, ფილიპსბურგიდან ერთ ეჯზე, შუაგზაზე რაინსა და ნეკარს შორის; მას კავშირი ეჭირა ჰაილბრონიდან და შტუტგარტიდან ერცჰერცოგის მთავარ ბანაკთან დუნაის დონაუეშინგენში. ის იძულებული იყო დაეტოვებია თავისი პოზიციები. საფრანგეთის არმია გარშემოადგა ფილიპსბურგს. ლაბორდის დივიზიას ებრძანა მისი გარემოცვა. დანარჩენმა სამმა დივიზიამ დაიკავა მთელი მხარე ნეკარსა და რაინს შორის. ავსტრიის გენერალი მერველდტი მთავარი არმიის ერთი დივიზიით თვალყურს ადევნებდა კელის გასავალს და იცავდა შვარცვალდის მთების გასასვლელებს. ციურიხის დამარცხებამ აიძულა ერცჰერცოგი — დაეტოვებია ქვემორაინი და დაძრულიყო თავისი არმიით ზემო დუნაისკენ.

ლეკურბმა ეს გამოიყენა და გაემართა ჰაილბრონისკენ, რათა იერიში მიეტანა სტარაის კორპუსის შუაგულზე. მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გადასულიყო უკანვე ნეკარს გაღმა. 7 ნოემბერს მან მოხსნა ალყა ფილიპსბურგს და დაიკავა პოზიცია ჰაიდელბერგის წინ; მარჯვნით ამ პოზიციას უვლიდა რაინი, მარცხნით — ნეკარი; იგი იფარავდა მანჰაიმს, სადაც იყო ხიდი. ცოტა ხნის შემდეგ მან მიიღო მცირეოდენი დამხმარე ძალა რაინის სიმაგრეებიდან და შეავსო თავისი არმია 30.000 კაცამდე, ხელახლად გასწია წინ. გენერალი ლაბორდი, რომელიც მარჯვენა ფრთას სარდლობდა, მესამეჯერ გარშემოადგა ფილიპსბურგს. ბარაგე-დ'ილიე მარცხენა ფრთით მანევრებს აკეთებდა ნეკარის მარჯვენა ნაპირზე. ნეი და დეკანი მიდიოდნენ შუაგულში ზინსჰაიმიდან ეპინგენისკენ. ლეკურბმა ბრუხზალთან დაამარცხა ლოთარინგიის პრინცი, რომელიც ცდილობდა ხელი შეეშალა მისი მოძრაობისათვის, და უკუაგდო ის მდ. ენცზე. ერცჰერცოგმა გაგზავნა გენერალი სტარაი ცხენოსანი და ქვეითი ჯარებით, რათა მიეღო სარდლობა ამ მზვერავ კორპუსზე და ბოლო მოეღო შეტევებისთვის, რომლებიც აშფოთებდა გერმანიას. 22 ნოემბერს სტარაიმ შეუტია საფრანგეთის არმიის შუაგულს და აიღო ეპინგენი და შტეტენი. 2 დეკემბერს ბრძოლა განახლდა ზინსჰაიმსა და ვალერთან. ლეკურბი ხელახლად იძულებული შეიქმნა — დაეხია; მან მოსხნა ალყა ფილიპსბურგს, გადაიტანა თავისი მთავარი ბანაკი ჯერ ვისლოხს, შემდეგ შვეტცინგენს, მარჯვენა ფრთით მიეკრა რაინს, მანჰაიმის ზემოთ, მარცხენათ-კი — ნეკარს, ზეკენჰაიმის ზემოთ, და, ამგვარად, დაიკავა საშიში პოზიცია რომელიც მის დახევას საფრთხეში ავდებდა. 5 დეკემბერს მან დასდო გენერალ სტარაისთან დროებითი ზავი, რითაც დგინდებოდა რომ ფრანგები საზამთროდ დარჩებიან რაინის მარჯვენა ნაპირზე. განსაკუთრებული პირობებით დაურთეს იმაზე რომ დროებითი ზავი ერცჰერცოგს უნდა დაემტკიცებინა; უკანასკნელმა 11 დეკემბერს უარი სთქვა მის დამტკიცებაზე. მაგრამ ლეკურბმა ნაწილობრივ მაინც მიაღწია თავის მიზანს: მან გამოიყენა დროებითი ზავის ექვსი დღე, რათა ნებიერად დაეცალა რაინის მარჯვენა საპირი, და დაიკავა საზამთრო ბინები მაინცსა და ლანდაუს შორის მარცხენა ნაპირზე.

III

ინგლისი მნიშვნელოვანი ექსპედიციისათვის ემზადებოდა. რეველში თავს იყრიდა რუსეთის არმია. სენტ-ჯემის კაბინეტი არ მალავდა თავის განზრახვებს ჰოლანდის მიმართ, ან იმის გამო რომ უნდოდა საფრანგეთის მთავრობის ყურადღების გადატანა იტალიისა და შვეიცარიისაგან, ან და იმის გამო რომ უნდოდა დაესწრო ორანჟისტებისათვის. ინგლისის ესკადარა, 55 გემის რაოდენობით, ადმირალ დუკანის უფროსობით, და სატრანსპორტო ფლოტი 180 აფრიან ხომალდისაგან შემდგარი, დატვირთული აბერკრომბის 12.000 კაცისაგან შემდგარ დივიზიით, გავიდნენ ინგლისიდან. 19 აგვისტოს ისინი დაინახეს ჰოლანდის ნაპირებიდან. 21-ს ბატავიის დირექტორიამ აცნობა გენერალ ბრიუნს, გალია-ბატავიის არმიის მთავარსარდალს, რომ ინგლისის ადმირალმა მოსთხოვი ჰოლანდის ფლოტს, რომელიც ღუზაზე იდგა ტექსელში, და ჰელდერის გუბერნატორს რომ ორანჟისტული ალმები აღმართონო.

ბრიუნს 30.000 კაცი ჰყავდა, სახელდობრ: 20.000 ჰოლანდელი და 10.000 ფრანგი. 20.000 ჰოლანდელი ორ დივიზიას შეადგენდა. პირველი, გენერალ დენდელსის სარდლობით, იდგა ბინებში ჰააგიდან ტექსელამდე; მეორე, გენერალ დიუმონსოს სარდლობით იმყოფებოდა ფრიზლანდში, მთავარი ბანაკით გრონინგენში, 10.000 ფრანგი სამ დივიზიად იყო გაყოფილი: ერთს დავალებული ჰქონდა ზელანდის დაცვა; ორი სხვა განლაგებული იყო რაინისა და მაასის გასწვრივ ნიმეგენიდან.

მთავარსარდალს, რომელმაც არ იცოდა მტრის განზრახვა, ვერ გადაეწყვიტა ჯარების მოხსნა საზღვრის რომელიმე პუნქტიდან. შეუძლიათო, ამბობდა იგი, თავს დამესხან შელდაზე, მაასზე, ფრიზლანდსა და ჰელდერშიო. ის დასჯერდა მას რომ უბრძანა გენერალ დენდელსს—თავი მოეყარა თავისი დივიზიისათვის ჰელდერთან, მისი უბნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წერტილთან. ასეთ მოქმედებას ჯერ, როგორც ეტყობა, ამართლებდა გარემოება. მტრის ესკადრა რამდენიმე დღით წავიდა ჰელდერიდან, მაგრამ ეს გამოწვეული იყო ცუდი ტაროსით. 26 აგვისტოს იგი კვლავ დაბრუნდა და დადგა ნაპირთან, 2 ლიეზე ცექსელის სრუტის სამხრეთით და დააყენა შპრინგზე რამდენიმე ფრეგატი. 27 აგვისტოს განთიადზე გადმოსხა აბერკრომბის დივიზია დიუნების პირდაპირ, რომლებიც ძველი ჯებირის ადგილზე იყვნენ დაზვინულნი. ამ ჯებირს ერქვა ზეიპე-დაიკი. ეს დიუნები, 9—10 ტუაზი სიმაღლისა, შეადგენდა ფერდობს 100 ტუაზის მანძილზე ზღვისპირის გასწვრივ, რომელზედაც ზღვის მოქცევის დროს, გადმოიღვლიდა ხოლმე წყალი. გენერალმა დენდელსმა საჭიროდ არ ცნო—დაეკავებია ამ დიუნთა მწვერვალები. მან განკარგულება გასცა იერიში მიეტანათ მტერზე გვერდიდან მაშინვე, როგორც კი ის ნაპირზე გადმოვიდოდა.

ინგლისის ჯარები, გრენადერთა რამდენიმე ათასეულის დახმარებით, გადმოვიდნენ ხმელეთზე, შპრინგზე მდგომ გემების მფარველობით. ჯარებს დრო ეყოთ—დარაზმულიყვნენ, ვიდრე მათ შეუტევდნენ. მარცხენა ფრთაზე მათ დუნედ და მცირე ძალებით შეუტიეს, მაგრამ მარჯვენა ფრთაზე-კი, სადაც თვით დენდელსი იყო, ძლიერი და შეუპოვარი იერიში განიცადეს. მაგრამ იერიში მათ მოიგერიეს და რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ დაახევინეს დენდელსს, რომელმაც დაჰკარგა 1.000 კაცი. მათი დანაკლისი, დაახლოებით, 500 კაცამდე

ავიდა. რამდენადაც ნაპირზე გადმოსვლა უკვე დასრულდა, დენდელსმა შეუძლებლად მიიჩნია ჰელდერის ხაზებზე გაძლება. ღამით მან დასცალა ეს პოზიცია და დადგა ზეიპეზე. მტერმა მეორე დღეს ჰელდერი დაიკავა და ორანჟისტული ალამი აღმართა. 30-ს ჰოლანდის ესკადრა, ცხრა საბრძოლო გემისაგან შედგენილი, დანებდა ინგლისის ადმირალს და აღმართა ორანჟისტული ალამი. მოხდა ეს იმიტომ რომ აჯანყდნენ ეკიპაჟები, რომელთაც დააპატიმრეს ადმირალი სტორი და ყველა თავიანთი ოფიცერი. ამ ღალატმა გამოიწვია ეროვნული მოძრაობა ამსტერდამში. ამ დიდი ქალაქის მოსახლეობა ძლიერ აღაშფოთა ასეთმა უპატიოსნო საქციელმა. პროვინციებში დაიწყეს გრენადერთა და ეგერთა ათასეულების შედგენა და მათი გზავნა ჰაარლემისკენ. ბატავიის დირექტორიამ საქვეყნოდ გამოაცხადა ერის სურვილი: დაიცვას თავისი მიწაწყალი უკანასკნელ შესაძლებლობამდე, თუნდაც დედაქალაქის დაკარგვამდე, თუ ეს საჭირო იქნება.

1 სექტემბერს, დენდელსს, შეშფოთებულს მით რომ მას მაშველი ჯარი არ მოსდის და რომ მოსალოდნელია მტრის იერიში, უნდოდა თავდაცვის მიზნით გაეხსნა კაშხალნი და წყლით დაეფარა ადგილი. მან თავისი მარცხენა ფრთით ალკმაარისკენ დაიხია და მარჯვენათი—პერმერენდისკენ, ამსტერდამის დაფარვით. მაგრამ ბრიუნმა, რომელიც, ბოლოს, მიუხვდა მტერს განზრახვას, დაგზავნა ბრძანება მთელი არმიის თავმოსაყარად. მან თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა ალკმაარს, გენერალ გუვიონის ბრიგადა დააყენა დიუნებზე, მარჯვენა ფრთით ალკმაარის არხთან, მარცხენათი—წყლით დაფარულ ზღვის ნაპირთან. საფრანგეთის ათასეულები ბელგიიდან მოსულნი, თანდათან მიდიოდნენ იქით; მათგან შედგა ვანდამის დივიზია. დენდელსის დივიზიამ შეადგინა შუაგული, ის მარჯვენა ფრთით დაყრდნობილი იყო ავენჰორნზე. დიუმონსოს დივიზიამ დასტოვა ფრიზლანდი, 6 სექტემბერს გაიარა ამსტერდამი და 8-ს მივიდა პოზიციაზე. გენერალ ბრიუნს მაშინ აღმოაჩნდა 25.000 კაცი იარაღში ჩამსდარი. მან დაიკავა ხაზი 3 ლიეს მანძილზე და წასწია ფლანკერები ჰოორნამდე, ზოიდერზეზე. ვანდამმა შეადგინა მისი მარცხენა ფრთა და ეკავა ფრონტი ერთნახევარ ლიეს მანძილზე ალკმაარის არხამდე. დიუმონსო, შუაგულში, იდგა შოორლდამის არხის ხიდთან. მარჯვენა ფრთა დენდელსის სარდლობით უდკარსპელის პოზიციაზე იყო. ორივე ეს დივიზია გაიჭიმა, ამგვარად, 4.000 ტუაზზე: მთავარი ბანაკი და სამარქაფო პარკი ალკმაარში იყო.

ინგლისის მთავარსარდალმა დაიკავა პოზიცია ზეიპეზე; მისი მარჯვენა ფრთა იყო ზღვასთან, პეტენის უკან, და მას იცავდა ფრეგატებისა და და ზარბაზნიანი ნავების გვერდითი ცეცხლი; შუაგული იდგა სოფელ. კრაბენდამის დონეზე, და ეს სოფელი გამაგრებული არ იყო. მარცხენა ფრთა ესნიგენბურგისა და სენ-მაარტენის სოფლების პირდაპირ იდგა. ზეიპე მისი არტილერიის პოზიცია იყო. ამ პოზიციას ჰქონდა 3 ლიე სიგრძე. ზეიპე ვეებერთელა ჯებირია, რომელიც გაგრძელებულია $1^1/_4$ ლიეზე ალკმაარის არხის ნაპირის აღმა, ამ არხის შესართავიდან სოფელ კრაბენდამამდე. იქ ის უხვევს ზღვის პარალელურად, მიმართულებით ტექსელისაკენ, 4 ლიეს მანძილზე და თავდება ზოიდერზესთან. პირველ დღეებში, ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ, ინგლისის გენერლის მდგომარეობა კრიზისული იყო, მაგრამ, როცა მას

5.000-კაციანი ბრიკადა შეუერთდა; გაუხდა 18.000 კაცი, ფლოტის რაზმის ჩათვლით. ამნაირად, რამდენიმე დღის განმავლობაში მისი არმია ნახევრით ნაკლები იყო საფრანგეთის არმიაზე, და კვლავაც ერთი მესამედით უფრო სუსტი რჩებოდა მეორე ტრანსპორტის მოსვლის შემდეგ. ამან შეაგულიანა გენერალი ბრიუნი--შეტევა დაეწყო.

10 სექტემბერს განთიადზე მან დაიწყო შეტევა ექვსი კოლონით: ორი მარჯვენა კოლონით, დენდელსის სარდლობით, — სენ-მაარტენსა და ესნიგენ-ბურგზე; ორი შუაგული კოლონა ვანდამის სარდლობით გაემართა: მარჯვენა მათგანი ჯებირ-ჯებირ ალკმაარის არხის მარცხენა ნაპირზე, მარცხენა—დიუნებზე, რომლებიც აბორცვებული იყო წყლით დაფარულ ზღვის პირზე. საიერიშო ფრონტზე მისვლისას არმია გაიჭიმა 3 ლიეზე. ვანდამი შეაჩერა ალკმაარის არხმა, რომელიც ჯებირის გასწვრივ მიჰყვებოდა, მას დაუწყეს სროლა ერთსადაიმავე დროს გემებიდან და ზეიპეზე მდგომ ბატარიიდან. მას არც საბონდო პარკი ჰქონდა და არც სამარქაფო ბატარია. ის იძულებული იყო დაეხია არხის სიღრმის გაზომვის შემდეგ; არხში რამდენიმე ჯარისკაცი დაეხრჩო. დიუმონსომ და დენდელსმა დაიპყრეს სოფლები, მაგრამ უკუაგდეს, როცა ჯებირზე იერიში მიიტანეს, და იძულებული იყვნენ დაეხიათ. არმია უკანვე დაბრუნდა თავის პოზიციაზე. მან დაჰკარგა დაჭრილ-დახოცილთა სახით 1200 კაცი, ინგლისელებმა—500 კაცი.

მთავარსარდალი ამ დამარცხების შემდეგ აღარ ცდილა მტრის პოზიციის გადალახვას. ის გაცხარებით შეუდგა სიმაგრეთა შენებას და ელოდებოდა დამხმარე ჯარს, რომელიც მას დაჰპირდნენ. 14, 15, 16 და 17 სექტემბერს ნაპირზე გადმოვიდა იორკის ჰერცოგი ინგლისის მეორე დივიზიითურთ და რუსის კორპუსითურთ, რომელსაც გენერალი ჰერმანი სარდლობდა. მან იკისრა ინგლის-რუსეთის არმიის სარდლობა; ამ არმიის რიცხვმა მაშინ 40.000 კაცს მიაღწია. გალია-ბატავიის არამიამ, თავისი მხრით, 10-დან 19 სექტემბრამდე მიიღო 6.000 კაცი საფრანგეთიდან და 3.000 კაცი ჰოლანდიდან; ამით შეავსო ის დანაკლისი, რომელიც მას მოუვიდა ბრძოლებში 27 აგვისტოს და 10 სექტემბერს, და აიყვანა თავისი რიცხვი 28.000 კაცამდე. ამათში 14.000 ფრანგი იყო, მაშასადამე, ყველაფერი მაჩვენებელი იყო ჰერცოგ იორკისათვის რომ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა.

მართლაც, 18-ს საღამოს მან დაიწყო შეტევა. გენერალი აბერკრომბი 12.00 კაცით ჰოორნისკენ წავიდა, რათა თავი დაევლო საფრანგეთის არმიის მარჯვენა ფრთისათვის. ის შევიდა ჰოორნში დილას 19-ს და ტყვედ წაიყვანა ბატავიის 250 ფლანკერი, რომელნიც იქ იყვნენ თვალყურის მადევნებლად. იმავე დღეს იორკის ჰერცოგმა დაიწყო შეტევა დანარჩენი არმიით ექვს კოლონად. ორივე მარჯვენა კოლონა, გენერალ ჰერმანის სარდლობით, შედგენილი იყო რუსის 12 ათასეულისაგან და ინგლისელთა ოთხი ათასეულისაგან. ისინი გაემართნენ ზღვასა და ალკმაარის არხს შორის. ორი შუაგული კოლონა, გენერალ დუნდასის სარდლობით, შედგენილი იყო თითოეული ინგლისელთა რვა ათასეულისა და რუსის სამი ათასეულისაგან. მათ განვლეს სოფელი კრაბენდამი და შეუტიეს დიუმონსოს დივიზიას. ორთავე მარცხენა კოლონამ, გენერალ პულტენეის სარდლობით, შეუტია გენერალ დენდელსს და უდკარსპელის პოზიციას.

შტაბის პოლკოვნიკი როსტოლანი, რომელიც ფრანგის დივიზიის მოწინავე რაზმს სარდლობდა, აკავებდა გენერალ ჰერმანს რამდენიმე საათის განმავლობაში შოორლდამის ხიდის დონეზე და დაიხია სრული წესრიგით გუვიონის ბრიგადისაკენ, რომელსაც ბერგენი ეკავა. გენერალმა ჰერმანმა იერიში მიიტანა ამ სოფელზე და აიღო იგი სახიშტო ბრძოლით. გენერალი დუნდასი, რომელმაც დიუმონსოს პოზიციები გადალახა სოფელ ვარმენგუიზენთან, შეაჩერა სანგრებმა, შოორლდამის ხიდთან. ის აღმოჩნდა შორს რუსების კოლონის უკან. ვანდამმა გამოიყენა ეს, რათა გარშემორტყმოდა ბერგენს. ის ეძგერი რუსებს ხიშტებით, წაართვა მათ არტილერია, დროშები და ტყვედ წამოიყვანა გენერალი ჰერმანი. რამდენიმე სხვა რუსი გენერალი მოიკლა და დაიჭრა. გენერალი დენდელსი, ამდენხანს იგერიებდა ყველა იერიშს თავისი სიმაგრეების წინააღმდეგ, აღრთოვანებული გამარჯვების ყიჟინით, რომელიც მოესმოდა მას შუაგულიდან და მარცხენა ფრთიდან, გამოვიდა სანგრებიდან და შეუტია გენერალ პულტენეის. მაგრამ ის უკუაგდეს მნიშვნელოვანი ზარალით, დაჰკარგა თავისი გამაგრებული პოზიცია და იძულებული იყო დაეხია ლანეგდაიკის ხევობით. იორკის ჰერცოგმა, შეწუხებულმა მით რომ ჰერმანის დივიზია დაამარცხეს, დაიხია თავის ბანაკისაკენ ზეიპეს უკან. ამ დღის ბრძოლაში მან დაჰკარგა ერთი მეხუთედი თავისი არმია, შვიდი დროშა და 26 ზარბაზანი. გალია-ბატავიის არმიის დანაკლისი უდრიდა 3.200 კაცს მოკლულსა და დაჭრილს. გენერალმა აბერკრომბიმ, იმსაათშივე. როგორც-კი დამარცხების ამბავი მიუვიდა, დასცალა ჰოორნი და დაბრუნდა თავის ბანაკში. ამ გამარჯვებამ აღაფრთოვანა ჰოლანდელები და გამოაცოცხლა მათი იმედები. ამსტერდამს, რომელსაც ემუქრებოდნენ ზოიდერზეს მხრიდან, იცავდა ეროვნული გვარდია და საფრანგეთის 60 ზარბაზნიანი ნავი; ეს ნავები სწორედ ამ დროს მოვიდნენ დიუნკირხენიდან. გენერალი ბრიუნი, თუმცა გამარჯვებული იყო, მაგრამ მაინც განაგრძობდა თავისი პოზიციის გამაგრებას.

რუსის სამარქაფო ბრიგადამ 3.000 კაცის შემადგენლობით,— გააძლიერა საკავშირო არმია, რომელიც იმდენად იყო დასუსტებული ბერგენის ბრძოლით და დაავადებათაგან, რომელთა გამოც ჯარს დიდი დანაკლისები ჰქონდა, რომ ოქტომბრის პირველ რიცხვებში მასში ითვლებოდა მხოლოდ 30.000 კაცი. გალია-ბატავიის არმიას მოუვიდა 7.000 ფრანგი და 3.000 ჰოლანდელი თავისი გამარჯვების რამდენიმე დღის შემდეგ. ამ არმიაში იყო 30.000 კაცი, მაგრამ ის მოელოდა კიდევ დამხმარე ჯარს. იორკის ჰერცოგს, ამიტომ, ან უარი უნდა ეთქვა თავის მიერ წამოწყებულ საქმეზე, ანდა კვლავ ერისკნა შებრძოლება. 2 ოქტომბერს მან დაიწყო შეტევა ოთხი კოლონით: მარჯვენა კოლონა გენერალ აბერკრომბის სარდლობით, შუაგული კოლონა გენერალ ესენის სარდლობით, მარცხენა— გენერალ დუნდასის სარდლობით, მეოთხე— გენერალ პულტენეის სარდლობით. ეს კოლონები თანაბარი ძალისანი იყვნენ; თითოეული შედგებოდა 12 ათასეულისაგან; მაგრამ პირველი ორი კოლონა ისეთი ჯარისაგან იყო შედგენილი, რომელიც ჯერ ბრძოლაში არ გასულიყო ანდა საგრძნობლად არ დაზარალებულიყო. აბერკრომბი და ესენი მანევრირებდნენ ალკმაარის არხსა და ზღვას შორის. დუნდასი დაიძრა შოორლდამის ხიდისკენ. იორკის ჰერცოგის განზრახვა იყო ეგმონდის დაპყრობა და ალკმაარის

შემოვლა კოკილის გზით. ეს მან ვერ მოახერხა. ყველა მისი იერიში ბერგენზე მოიგერია გენერალმა გუვიონმა. რუსის კოლონას კვლავ დიდი ზარალი მიაყენეს. შედეგი ამ ბრძოლისა, რომელსაც ალკმაარის ბრძოლა ეწოდა, გამოურკვეველი იყო. ორთავე არმიამ ბრძოლის ველზე გაათია ღამე. მაგრამ 3-ს განთიადზე ბრიუნმა დახევის ბრძანება გასცა. დახევა მოხდა წესიერად, მოკავშირეთა თვალწინ, რომელნიც თანდათანობით იკავებდნენ ბერგენს, ეგმონდს და ალკმაარს, იმისდა მიხედვით როგორც ბრიუნი სცლიდა მათ. 3-ს საღამოს გალიატატავიის არმია დადგა ყველაზე უკეთეს პოზიციაზე ბევერვეიკთან. იქ ის გაძლიერდა ფრანგის ექვსი ათასეულის მიმატებით, რომელნიც საფრანგეთიდან მოვიდნენ.

4-სა და 5-ს ორივე არმია უმოძრავოდ იდგა ერთიმეორის პირდაპირ. თითოეულ უქმ დღეს სარგებლობა მოჰქონდა ფრანგებისათვის, რომელთაც განუწყვეტლივ ახალი მაშველი ჯარები მოსდიოდათ. იორკის ჰერცოგმა გადასწყვიტა იერიშის მოტანა. გენერალ გუვიონის მარცხენა ფრთა მიბრჯენილი იყო ზღვის პირზე ვეიკ-ან-ზეესთან. ბუდეს დივიზია შუაგულში იმყოფებოდა. დიუმონსოს დივიზია შეადგენდა მარჯვენა ფრთას. დენდელსი წასწიეს წინ პერმერენდის იქით, ამსტერდამის დასაფარავად. მთელ დღეს გაცხარებული ბრძოლა იყო. პოზიციები —ბაკუმი, ლიმენი და კასტრიკუმი რამდენიმეჯერ ხელიდან-ხელში გადადიოდა. გამარჯვება ხან ერთსა ხან მეორე მხარეზე იხრებოდა, სანამ გენერალმა ბრიუნმა ცხენოსანი ჯარის იერიშით არ გადმოხარა იგი თავის მხარეზე. ამ იერიშით მან არივ-დარია მტრის ჯარი, რომელმაც მხოლოდ ეგმონდთან მოახერხა თავმოყრა. მტერს დაატოვებინეს ბევრი ტყვე, ექვსი ზარბაზანი და ყველა თავისი პოზიცია. ამასობაში პულტენეის დივიზიამ მოლაპარაკება გამართა გენერალ დენდელსთან, რომელიც ამ ანკესზე წამოეგო და არავითარი მონაწილეობა ბრძოლაში არ მიიღო. ამ დღის ბრძოლას კასტრიკუმის ბრძოლა ეწოდა, და მისმა შედეგმა გადააწყვეტინა იორკის ჰერცოგს 7 ოქტომბერს ზეიპეს პოზიციაზე დახევა. მისი ჯარი 24.000 მებრძოლამდე შემცირდა. ფრანგის ჯარი უფრო ძლიერი იყო და ყოველ დღეს კვლავ უფრო ძლიერდებოდა. ექსპედიცია ჩაიშალა.

15 ოქტომბერს ბრიუნმა გასწია წინ. მან დაიკავა პოზიცია, სადაც მარცხენა ფრთა დადგა კამპთან ზღვის ნაპირზე, მარჯვენა-კი—ვინკელის წინ, ზოიდერზეზე; მან მჭიდროდ შემორკალა ზეიპეს გამაგრებული ბანაკი, რომელზედაც განზრახული ჰქონდა იერიშის მიტანა. მაგრამ იორკის ჰერცოგმა გადასწყვიტა კაპიტულაცია და ამ მიზნით მთავარ ბანაკში გენერალი ნოქსი გამოგზავნა. ნოქსმა 18 ოქტომბერს ხელი მოაწერა ალკმაარის კაპიტულაციას, რომლითაც ჰერცოგი ივალდებულებდა—სულ მოკლე ხანში დაეცალა ჰოლანდი, დაეტოვებია ჰელდერზე ბატარიები სრული შეჭურვილობით და გაეთავისუფლებია 8.000 ფრანგი ტყვე.

ჰოლანდმა საბუთიანად მოითხოვა თავისი ესკადრის დაბრუნება, მაგრამ ვერაფერს გახდა.

შეთანხმების პირობები შესრულებული იქნა ზედმიწევნითი სიზუსტით. 19 ნოემბერს ინგლის-რუსეთის არმიის უკანასკნელმა ეშელონმა ჰოლანდი დასტოვა. ეს არმია, საუკეთესო ჯარების 45.000 კაცისაგან შემდგარი, დამარცხდა

იმ არმიის წინაშე, რომელიც მაზედ უფრო სუსტი იყო რიცხვითაცა და ხარისხითაც.

თვის განმავლობაში ორ არმიას შორის მოხდა ერთი შეტაკება და სამი ბრძოლა: 1) ზეიპეს იერიში, სადაც გალ-ბატაველები რიცხვობრივად უფრო ძლიერი იყვნენ, მაგრამ ინგლისელების განკარგულებაში სიმაგრეები იყო; ეს იერიში, სისწორით რომ ვთქვათ, იყო დაზვერვა, რომელშიც ყველა უპირატესობა ინგლისელების მხარეზე იყო; 2) ბერგენის ბრძოლა, რომელმაც ჰოლანდის ბედი გადასწყვიტა: ინგლის-რუსეთის არმია რიცხვობრივად სჭარბობდა ბრძოლის ველზე, თუმცა დასუსტებული იყო აბერკრომბის გამოყოფით; 3) ალკმაარის ბრძოლა, სადაც ორივე არმია თანასწორი ძალისა იყო; 4) კასტრიკუმის ბრძოლა, სადაც გალია-ბატავიის არმია, თუმცა უძლიერესი თვითონ საომარ მოქმედებათა ასპარეზზე, რიცხვობრივად მხოლოდ თანატოლი იყო მტრისა, ვინაიდან დენდელსი გამოყოფილი იყო ამსტერდამის დასაფარავად. ინგლისელები და რუსები მეტად კარგი ჯარისკაცები არიან. ჰოლანდელები მდარე არიან, ბევრი მათგანი დეზერტირობს, მაგრამ ისეთ ქვეყანაში როგორც არის ჰოლანდი, სადაც ყოველ ნაბიჯზე მოხერხებული და თითქმის დაუძლეველი პოზიციებია, რადგან მიწა ყველგან უფონო არხებითა და ჭაობებით არის დასერილ-დაყოფილი,—თავდაცვა შეიძლება წარმატებით ისეთი ჯარებით, რომლებიც ხარისხით მტრის ჯარებს ჩამორჩებიან.

VI

მდ. ტრებიაზე ბრძოლის შედეგ ავსტრია-რუსეთის არმია გაიყო. ფრელიხის დივიზია რომს გაიგზავნა. კლენაუს დივიზიამ დაიკავა ტოსკანა და სპეციადა წამოსწია მოწინავე რაზმი სესტრისკენ, რათა დამუქრებოდა გენუას აღმოსავლეთიდან. ორმა დივიზიამ გარემოიცვა და ალყა შემოარტყა ალესანდრიას და ტორტონას. ერთი დივიზია გარს შემოადგა კონს. ოთხი დივიზია გამოყოფილი იყო იტალიის ოლქებში სენ-გოთარდისა და სიმპლონის ძირას, აოსტის ხეობაში სენ-ბერნარის ძირას, სუზის ხეობაში მონ-სენისის ძირას. ექვსი დივიზია იდგა პოკოლო-ფორმიგაროს ობსერვაციულ ბანაკში და ნოვთან, და იფარავდა ტორტონისა და ალესანდრიის ალყას.

9 ივლისს იარაღი დაჰყარა ურბანოს ციხემ. 22-ს ალესანდრიამ დოლის ცემით დანებების ნიშანი მისცა. 2.700 მეციხოვნე ტყვედ ჩაბარდა. ეს ციხე მაგარი იყო. ალყა ის-იყო იწყებოდა, მაგრამ, ვინაიდან რამდენიმე ყუმბარის მოხვედრით ერთ-ერთი ბასტიონის ესკარპი ჩამოინგრა, თავდაცვის საბჭომ დაასკვნა რომ გალავანი განგრეულიო და თავისთავი უფლებამოსილად მიიჩნია —დანებებულიყო. ამ სიმაგრეს კიდევ შეეძლო გაძლება რამდენსამე კვირას. 30 ივლისს მანტუამ აგრეთვე გააღო თავისი კარები, სულ შვიდი დღის შემდეგ, რაც ის შემოსანგრულ იქნა. ამან საშუალება მისცა კრაის ჯარებს—გასულიყო პოკოლო-ფორმიგაროს ბანაკში. მანტუის დანებების ამბავმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთში. მის შემდეგ, რაც კაპიტულაციას ხელი მოაწერეს, მოალყე ჯარმა, მეციხოვნე ჯარმა და მცხოვრებლებმა შეერთებული ძალღონით იწყეს წალეკილი ჯებირების აღდგენა. ამ ჯებირებით უზრუნველყოფილი იყო ციხის დაცვა.

ამ სამმა მოულოდნელმა ამბავმა გააუმჯობესა ავსტრია-რუსეთის არმიის მდგომარეობა.

იტალიის არმიასთან ნეაპოლის არმიის შეერთებამ და საფრანგეთიდან დამხმარე ჯარის მოსვლამ ჟუბერის არმიის რიცხვი 60.000 კაცამდე აიყვანა. გენერალმა შამპიონემ იმავე დროს გრენობლში იკისრა ალპის არმიის სარდლობა. ამ არმიაში 30.000 კაცი იყო. ორთავე ამ არმიას ერთად შეეძლო 70.000—80.000 კაცის გამოყვანა.

13 აგვისტოს ჟუბერმა თავისი მთავარი ბანაკი კამპო-მარონედან ბორმიდის ხევობაში გადაიტანა. მისი არმია ოთხი დივიზიისაგან შედგებოდა, სამ-სამი ბრიგადით თითოეულ დივიზიაში. მან იგი ორ კორპუსად გაჰყო: ვატრენისა და ლაბუასიერის დივიზიები, სენ-სირის სარდლობით, გამოვიდნენ კორნილიანოს ბანაკიდან, გადავიდნენ ბოკეტაზე და დაეწყვნენ საბრძოლო რიგზე, ნოვის მარჯვნივ, აპენინის კალთებზე, რომელნიც მთელ ბარს დაჰყურებენ. ლემუანისა და გრუშის დივიზიებმა, გენერალ პერინიონის სარდლობით, მარცხენა ფრთა შეადგინეს; ისინი აქვისთან გამოვიდნენ, ძლიერი იერიშით მიიტანეს ბელგარდის კორპუსზე და დაახევინეს მას. 14-ს მათ დაიკავეს პოზიცია, რომელიც მარცხენა ფრთის ბოლოთი სოფელ პასტურანს ემიჯნებოდა, მარჯვენა ფრთა ნოვისკენ იყო მიმართული. მთავარი ბანაკი რჩებოდა კაპრში. მთავარსარდალი სალამოს წავიდა ნოვს, სადაც შეჰყარა სამხედრო საბჭო. სუვოროვმა, პერინიონის მოძრაობით გაფრთხილებულმა, მოასწრო თავისი არმიის თავმოყრა; მისი მარცხენა ფრთა მდ. სკრივიასთან დააყენა, მარჯვენა—ბოსკოში, მთავარი ბანაკი—პოკოლოფორმიგაროში. ჟუბერმა გაიგო მანტუის აღება და კრაის მოსვლა. შებრძოლება მას და ყველა გენერალს უმიზნოდ მიაჩნდათ. არმიას არ ჰყავდა საკმაო ცხენოსანი ჯარი, რათა დაშვებულიყო ბარად და გამოეყენებია წარმატება, რასაც ქვეითი ჯარი მოიპოვებდა. საბოლოო გადაწყვეტა მან მეორე დღისათვის გადასდო, მაგრამ მტერმა მას დაასწრო და შეუტია.

სუვოროვის მარჯვენა ფრთა კრაის სარდლობით და მარცხენა ფრთა მელასის სარდლობით ავსტრიელებისაგან შედგებოდა, ცენტრი—რუსებისაგან. ეს არმია ერთი მეხუთედით უფრო ძლიერი იყო ქვეით ჯარით, ვიდრე ფრანგის არმია, და სამჯერ სჭარბობდა მას ცხენოსან ჯარით. 15 აგვისტოს განთიადზე კრაიმ იერიშით მიიტანა ფრანგების მარცხენა ფრთაზე პასტურანთან. ჟუბერი საჩქაროდ წავიდა იქითკენ. მისი არმია ვერ იდგა მოხერხებულად ბრძოლისათვის: ის გაჭიმული იყო ერთ ხაზად, 6.000 ტუაზზე მეტ მანძილზე სოფელ პასტურანიდან მდ. სკრივიამდე. ის სათავეში ჩაუდგა ერთ ბრიგადას მარცხენა ფრთაზე და შეუტია მტერს, რათა შეეჩერებია მისი წარმატებითი წინსვლა მაგრამ პირველმა ტყვიამ ჟუბერს გული გაუგმირა. იგი უსულოდ დაეცა მიწაზე. მორომ რომელიც ჯერ კიდევ არმიაში იყო, იკისრა სარდლობა და მთელი დღის განმავლობაში იგერიებდა სუვოროვის იერიშებს. რუსებმა სამჯერ შეუტიეს ნოვს, რათა ეს ქალაქი დაეკავებიათ, და სამჯერვე უკუაქციეს ისინი. მესამე იერიშის დროს გენერალი ვატრენი ჩამოვიდა თავისი პოზიციიდან, დაეშვა ვაკეზე, თავი დაუარა მათ მარცხენა ფრთას, უკუაგდო იგი და სდია სამი მეოთხედი დღის მანძილზე. მელასმა გამოიყენა ვატრენის დივიზიის წინსვლა და სწრაფად დაიძრა იმ პოზიციებისაკენ, რომლებიდანაც ეს დივიზია ჩამოვიდა. გენერალმა ლუზი-

ნიანმა მოწინავე რაზმით წინ წაიწია გზატკეცილზე, რომელიც გადის ნოვიდან გენუას, და გადაუჭრა იგი საფრანგეთის არმიას. სენ-სირი მაშინვე მივარდა იქით, შეუტია და დაამარცხა ლუჩინიანი და თვითონ ის ტყვედ წამოიყვანა. მაგრამ მელასს გული არ გასტეხია. ვატრენმა ვერ შესძლო თავისი პოზიციების კვლავ წართმევა. საღამოს 5 საათი იყო. მორომ განკარგულება გასცა—დაეწყოთ დახევა, და გააკეთა ეს საბრძოლო ხაზის გაგრძელებით მარცხნივ და იმ გზაზე რომელიც პასტურანიდან გავს მიდის. გენერალი პერინიონი გრუშის დივიზიით დახევას იფარავდა. ის ღამით ჯერ კიდევ პასტურანის წინ იყო და იგერიებდა მტრის მოწოლას, მაგრამ, ბოლოს, გარსშემორტყმული და დაჭრილი იგი ტყვედ ჩავარდა ისე როგორც გრუშიც და კოლიც. ნახევარი აღალი და სამუხტო ყუთები გამარჯვებულს ჩაუვარდა ხელში. არმიამ თავი მოიყარა გავთან და დაიკავა თავის ძველი პოზიციები. ავსტრია-რუსეთია არმიების ზარალი ძალზე დიდი იყო. დახევის მომენტამდე იგი ორჯერ აღემატებოდა ფრანგების ზარალს.

შამპიონემ თავისი მოძრაობა 13 აგვისტოს დაიწყო. კამპანის დივიზიამ მცირე სენ-ბერნარი გადავლო, იერიშის შემდეგ დაიუფლა ტუილის ბანაკი და დაიკავა აოსტის ხევობა. მეორე დივიზია დაეშვა მონ-სენისიდან და დადგა პოზიციაზე სუზის ზემოთ. მესამე დივიზია დაეშვა აოსტის ხევობაში, მეოთხემ განვლო არჟანტერის უღელტეხილი და დაიპყრო ბარიკადები. მაგრამ ამ მოძრაობამ დაიგვიანა. როდესაც ეს სუვოროვმა გაიგო, ნოვის ბრძოლამ ლაშქრობის ბედი უკვე გადასწყვიტა. 16 აგვისტოს სუვოროვმა თავის მთავარი ბანაკი გადაიტანა ასტს. კრაი დარჩა პოკოლოს ბანაკის ჯარების სარდლად. მელასმა გასწია ბრასკენ. იგი თვალყურს ადევნებდა კონის გარემოცვას. ამის შემდეგ რუსის ჯარი გაემართა შვეიცარიისკენ, კოალიციის მიერ მიღებული ომის საერთო გეგმის თანახმად.

იმ სიმაგრეებში, რომელთაც ფრანგები იტალიაში ფლობდნენ, მათ დარჩათ მხოლოდ ტორტონა და კონი. ყველა დანარჩენი მტერს დანებდა. ტორტონა დათანხმდა—დანებებულიყო 1 სექტემბერს. მოუგდნენ იმაზე რომ ის გააღებდა კარებს 11 სექტემბერს თუ ამ რიცხვამდე მაშვლი ჯარი არ მოვიდოდა. მორომ, რომელიც დროებით სარდლობდა იტალიის არმიას, გადასწყვიტა ამ ციხის გადარჩენა: 9 სექტემბერს 30.000 კაცით მან გასწია სერავალესა და ნოვისკენ. კრაიმ მაშინვე შეუტია მას საობსერვაციო არმიით და დაახევია. მორომ ამ დამარცხების შემდეგ თავისი წინანდელი პოზიციები დაიკავა და 11 სექტემბერს ტორტონამ გააღო თავისი კარები. გასაღები სუვოროვს ჩააბარეს. იგი პირდაპირ ამის შემდეგ გაემგზავრა საფოსტო ეტლით თავის არმიასთან, რომელიც უკვე სენ-გოთარდის ძირთან მივიდა. მელასმა იკისრა არმიის სარდლობა.

შამპიონემ თავისი ოთხი დივიზიით შეტევა დაიწყო, რათა დახმარებოდა მოროს ოპერაციებს. დიუჰემი აოსტიდან შატილიონისაკენ გაემართა. იგი შეაჩერა ბარდის ციხემ. მარტო მსუბუქი ჯარები გადავიდნენ უღელტეხილზე და მიუახლოვდნენ ივრეეს. სუზის დივიზია მიუახლოვდა ტურინს რამდენსამე ლიეზე, მაგრამ იქ შეაჩერეს. შამპიონემ თავისი მთავარი ბანაკი გადაიტანა პინიეროლს, გავიდა ვაკეზე და 8.000—9.000 კაცით წავიდა წინ ფოსანოსკენ მდ. სტურაზე. ამ გარემოებამ მოახსენეინა მელასს კონის ალყა. კრაიმ დაამარცხა თუ არა მორო.

მაშინვე გასწია მელასის დასახმარებლად. ისინი შეერთდნენ და დაიძრნენ ფოსანოსკენ, 18 სექტემბერს დაამარცხეს შამპიონე და უკუაგდეს ის ალპების გადალმა. ამის შემდეგ კრაი პოცოლოს დაბრუნდა, მელასი კი—თავის მთავარ ბანაკში ტრინიტას, კონიდან 3 ლიეზე, ამასთან იგი კვლავ გარშემოადგა ამ ციხეს. სარდლობა ჩააბარეს შამპიონეს რომელიც მივიდა გენუას 20 სექტემბერს. მან თავისი ჯარები სამ კორპუსად გაჰყო: სენ-სირი სარდლობდა მარჯვენა ფრთას, რომელსაც შეადგენდა 15.000—16.000 კაცი, და მას მინდობილი ჰქონდა ბოკეტის, გენუის და ბორმიდის ხევობათა დაცვა; დიუჰემი მარცხენა ფრთით, რომელიც შედგენილი იყო ალპის არმიის ყოფილ და აწ თავისუფლად დარჩენილ ნაწილებისაგან, ესე იგი 12.000—15.000 კაცით, დადგა ბრიანსონში; შუაგულით, რომელიც შეადგინეს ლემუანის, ვიქტორის, მიულერისა და გრენიეს დივიზიებმა—დაახლოებით 25.000 კაცი,—შამპიონემ გასწია წინ კონისკენ, რათა ხელი შეეშალნა მელასისათვის ამ ციხის გარემოცვაში; ეს ციხე ერთადერთი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ეკავათ ფრანგებს იტალიაში; მის შენარჩუნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. შამპიონეს განზრახვა იყო, აგრეთვე, პიემონტის ვაკეებში გამოზამთრება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო გაზაფხულის დამდეგს შეტევის დაწყება, ალპებზე გადაუსვლელად. მელასი მტკიცედ განაგრძობდა კონის ალყას, მაგრამ მას მოუხდა ამის დანანება: მისი ხაზები სტურასა და პეზიოს შორის გადალახულ იქნა. იგი დაამარცხეს ვილანოვასთან, მონდოვსა და კარუსთან. იძულებული გახდა—დაეცალა სტურის მთელი მარჯვენა ნაპირი და დაეტოვებია თავისი მთავარი ბანაკი ტრინიტაში. არმიას მან თავი მოუყარა სტურის მარცხენა ნაპირზე.

თავისი მხრით, დიუჰემი დაეშვა ჟენევრის მთიდან, დაიპყრო პინიეროლი და სალუცო. შამპიონე, მასთან შეერთების გასაადვილებლად, გამოვიდა კონიდან, 3 ნოემბერს გრენიესი და მიულერის დივიზიებით გასწია სავილიანოსკენ; ლემუანისა და კარუს დივიზიები დასტოვა სტურის მარჯვენა ნაპირზე და უბრძანა ვიქტორს, რომელიც მონდოვზე მიდიოდა, ფოსანოზე წასვლა, რათა გადასულიყო იქ მდ. სტურაზე და შეერთებოდა არმიას. ფოსანო უზრუნველყოფილი იყო უეცარი თავდასხმისაგან. მელასმა მოაგროვა მთელი თავისი ძალები ამ ქალაქსა და მარენოს შორის. 4 ნოემბერს განთიადზე ის სამი კოლონით დაიძრა სავილიანოსკენ. გრენიეს დივიზიამ, რომელსაც ოტისა და მიტროვსკის დივიზიებმა შეუტიეს, ვეღარ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა. ის უკუაგდეს კონზე. ვიქტორს ფოსანოსთან მისვლისას, შეუტიეს ელსნიცისა და გოტესჰაიმის დივიზიებმა. დიუჰემი სავილიანოსთან მივიდა გრენიეს დამარცხების მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ; იგი მტრის ზურგში აღმოჩნდა. ორი საათის მერყეობის შემდეგ მან დაიხია ჯერ სალუცოსკენ; როცა ამ პოზიციაზე მას შეუტია გენერალმა კაიმმა,—მან განაგრძო დახევა პინიეროლისკენ და უკანვე გადავლო ჟენევრის მთა. შამპიონემ მოაგროვა გრენიეს დივიზია ტრუჩში, ვიქტორის დივიზია—მოროცოში. ლემუანის დივიზია კი კონიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ზოგი მისი ლეგიონი იძულებული იყო—იარაღი დაეყარნა. 6 ნოემბერს ელსნიცმა აიღო მადონა-დელ-ოლმოს ბანაკი ტენდის ულელტეხილის ძირში. გრენიემ თავი შეაფარა ლიმონის ბანაკს, სადაც მას შეუტიეს. 12-ს მან ორმეა და პონტე-დი-ნავა დასცალა. 16-ს გენერალმა სომარივამ არჟანტერის

უღელტეხილი აიღო. 15-ს პროვერა ნიცის საგრაფოში შევიდა. უბედური დღის — 4 ნოემბრის — ბრძოლა, რომელსაც ჟენოლის ბრძოლა ეწოდა, ფრანგებს 8000 — 9000 მოკლულ-დაჭრილად დაუჯდათ, და ყველა დააღონა. არმია, რომელიც უკუგდებულ იქნა ალპების და აპენინების გადაღმა, სამ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა, შამპიონეს თანმიმდევრობით გადაჰქონდა თავისი მთავარი ბანაკი პიეტრსა და სოსპელოს. მელასმა ალყა შემოარტყა კონს: ამავე დროს ტენდის უღელტეხილზე და მონდოვთან ჰყავდა საობსერვაციო კორპუსები, და თავისი მთავარი ბანაკი ედგა ბორგო-სან-დალმაცოში. 5 დეკემბერს კონმა გააღო თავისი კარები. მეცხოვნე ჯარი, 2600 კაცი, ტყვედ დანებდა.

გენუის მიმართულებით სენ-სირის მოძრაობა შეაჩერა კრაიმ, და ყველა ის იერიში, რომელსაც კლენაუ, სპეციიდან გამოსვლისას, ცდილობდა მიეტანა გენუაზე, მოიგერია სენ-სირმა. 15 ოქტომბერს კლენაუ დაიძრა რეკოსკენ, გენუიდან 4 ლიეზე, და თავისი ოპერაციები დაუკავშირა ნელსონს, რომელსაც თავის ხომალდებზე სადესანტო ჯარები ჰყავდა. გენერალმა მიოლისმა ხელთ იგდო პოზიციები რეკოსთან, დაამარცხა კლენაუ და უკუაგდო მტერი მდ. მაგრს გაღმა, ამასთან წაართვა მას რამდენიმე ათასი კაცი ტყვედ. რაკი კლენაუ ამგვარად თავიდან მოიშორა, სენ-სირმა ბოკეტის უღელტეხილი გადაიარა, შეუტია ნოვისკენ და უკუაგდო რივალტიდან ყარაჩაის დივიზია; მაგრამ 2 ნოემბერს სასწრაფოდ მოვიდა კრაი და დაიძრა აქვისკენ, რათა დახმარებოდა მელასს. 3, 4 და 5 ნოემბერს მან უკუაგდო სენ-სირი რივალტიდან და გააძევა იგი ნოვიდან, რომელიც დაკავებული იყო მის მიერ. 6-ს კლენუ კვლავ წინ წავიდა. იგი უკუაგდო მაგრს-გაღმა გენერალმა არნომ. დეკემბერში კრაის იმედი მიეცა რომ ფრანგებს გააძევებდა გენუიდან, მაგრამ მან, ბოკეტის სადარაჯოებრას მიერ შეჩერებულმა, უბრძანა კლენაუს წინ წასვლა და ამ პოზიციის მარჯვენა გვერდზე იერიშის მიტანა. 21 დეკემბერს, ამ გენერალმა შეუტია და დაახევია არნოს და დაიპყრო ტორილია. სენ-სირის მდგომარეობა კრიზისული შეიქმნა. 14-ს მან თვითონ შეუტია მტერს, გააგდო იგი მაგრს-გაღმა და წაართვა რამდენიმე ათასი ტყვე. ამ დროს მას მიღებული ჰყავდა მნიშვნელოვანი მაშველი ძალები: იმ ჯარების ნაწილი, რომელნიც ჟენოლასთან დამარცხდნენ, და იმათი, რომელნიც ალპის არმიას ეკუთვნოდნენ. მელასი მაშინ მიხვდა რომ არ შეეძლო თავისი განზრახვის შესრულება თუ ახალ ლაშქრობას არ დაიწყებდა. მან გადასწყვიტა საზამთრო ბინებში გადასვლა და ჯარების დასვენება იმ ვარაუდით რომ თებერვლის პირველ რიცხვებში დაეწყო სამხედრო მოქმეობა. ორივე არმია საზამთროდ დაბანაკდა. ფრანგებს გენუის რივიერაზე ეკავათ ლა-ბოკეტა, აპენინის ქედი ალპებამდე და ალპის ქედი დიდ სენ-ბერნარამდე; ავსტრიელებს ეკავათ პიემონტი, აოსტის ხევობა, სუზა, პინიეროლი და ა. შ. და პოზიციები იტალიის მხრიდან მთავარი ქედის ქვემოთ. გენუის რივიერაზე ფრანგებს ცუდი დღე დაადგათ გადასაზიდ საშუალებათა და ალაფის ნაკლებობის გამო. ჰოსპიტლებში ეპიდემია დაიწყო; მეტისმეტმა გულგატეხილობამ იჩინა თავი. ლეგიონები სტოვებდნენ თავიანთ პოზიციებს და მიდიოდნენ მდ. ვარს-გაღმა. მხოლოდ და მხოლოდ პირველი კონსულის მოწოდებებმა, მისმა სახელმა, დახმარებამ, რომელიც მან გამოგზავნა, შესძლეს გახრწნის შეჩერება. არმიამ იწყო გარდაქმნა. მელასმა, იმის ნაცვლად რომ თებერვალში დაეწყო

ლაშქრობა, დაიწყო იგი მხოლოდ აპრილში, როგორც ამას დავინახავთ 1800 წლის ლაშქრობის აღწერაში, ლაშქრობისა, რომელიც იმდენადვე სახელოვანია საფრანგეთისათვის, რამდენადაც დამღუპველი გამოდგა 1799 წლის ლაშქრობა.

შამპიონე მოკვდა თებერვლის დამდეგს მწუხარებისა და ჯავრისაგან. იგი იყო ვალანსელი, დაბადებული დოფინეში; მან თავი გამოიჩინა სამბრ-მაასის არმიაში, სადაც მისი დივიზია ერთი უკეთესთაგანი იყო. ის იყო გულადი, ბეჯითი, სამშობლოს ერთგული. ის დივიზიის კარგი გენერალი იყო, მაგრამ მდარე მთავარსარდალი.

10 თებერვალს მასენა გენუას მივიდა, რათა იქ არმიის სარდლობა მიეღო.

V

პირველი შენიშვნა: ლაშქრობის გეგმები. 1. გეგმა, რომ ოთხი არმიით ემოქმედნათ იტალიაში, შვეიცარიაში, რაინზე და ჰოლანდში, ისე რომ თითოეულ არმიაში შეძლებისდაგვარად თავი მოეყარათ ერთიდაიმავე ეროვნების ჯარებისათვის, თავისთავად კარგი იყო, მაგრამ მისი შესრულება უნდა დაწყებულიყო ან ლაშქრობის თავში ან ლაშქრობის ბოლოს. საზამთრო ბანაკობის დროს ჯარების გადაყვან-გადმოყვანა ადვილია, და შტაბებს დრო აქვთ შეისწავლონ ადგილმდებარეობა, რომლის ცოდნა ძალიან საჭიროა.

2. რუსები უნდა გაეგზავნათ ქვემო რაინზე, შვეიცარია და იტალია-კი ავსტრიელებისთვის მიენდოთ. რუსები ვერ არიან შეგუებულნი იტალიაში საომქმედოდ.

3. ჰოლანდში შემოჭრა 45.000 კაცით გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, ჯარებს რომ შეერთებულად ემოქმედნათ და დაუყოვნებლივ დაძრულიყვნენ ამსტერდამისკენ ნაპირზე გადმოსვლის დღესვე. იორკის ჰერცოგი იმავე შვიდეულს (კვირას) შევიდოდა ამ დედაქალაქში. მაგრამ ვინაიდან ამ არმიის 15.000 კაცი 21 დღით უფრო ადრე გადმოვიდა, ვიდრე დანარჩენი 30.000, შესაძლებლობა აღარ იყო რაიმე კარგი შედეგი მოჰყოლოდა ასეთ კომბინაციას, და მარტო ეს იყო საკმარისი რომ ექსპედიცია ჩაშლილიყო. სენტ-ჯემის კაბინეტს ბედმა უმტყუნა, იმიტომ რომ ასეთი კომბინაცია მიიღო.

4. ერცჰერცოგის მოძრაობა ქვემო რაინისაკენ ნაადრევი იყო, და არა იმ საშიშროებამ, რომელიც შეიძლებოდა თავს დასტეხოდა ფილიპსბურგსა და გერმანიას, მოახდინა გავლენა მის გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ სურვილმა, რომ არ დაიგვიანოს და დროზედ მიეშველოს იორკის ჰერცოვის არმიას. შვეიცარიის დაკარგვა და კორსაკოვის დამარცხება შედეგი იყო ერცჰერცოგის მცთარი მოძრაობისა. ეს ინგლისელებს უნდა დაბრალდეს. ამგვარად, 1799 წელს, როგორც 1800 წელსაც, მათი არმიის ჩარევამ დაღუპა კოალიცია.

5. ალპისა და იტალიის არმიები უნდა გაერთებულიყვნენ ერთიდაიმავე უფროსის სარდლობით. ამ ორ არმიას შორის შეთანხმებულობის უქონლობა დამღუპველი აღმოჩნდა. ის გეგმები, რომელთაც პარიზში ადგენდნენ, სამხედრო ხელოვნების ყველა წესს ეწინააღმდეგებოდა. რადგან ომი შესრულების ხელოვნებაა, ამიტომ ყველა რთული კომბინაცია მასში უარყოფილი უნდა იქნეს. სიმარ-

ტივე კარგი მანევრის პირველი პირობაა. უმჯობესია სამი ან ოთხი ეჯი მეტი გააკეთო და მოაგროვო შენი კოლონები მტრის უკან და მასზე მოშორებით, ვიდრე მის თვალწინ.

მეორე შენიშვნა. მასენა; ლეკურბი. 1. ბელგარდის იტალიაში წასვლის შემდეგ ჰელვეციის არმია ფრანგებისა უფრო ძლიერი გახდა ვიდრე ავსტრიისა. მასენას უნდა გამოეყენებია ის დიდი წარმატებანი, რომლებიც მისმა მარჯვენა ფრთამ 14, 15 და 16 აგვისტოს მოიხვეჭა. მასენას გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა, მას რომ ლეკურბისთვის ებრძანებია ლინტის და ციურიხის ტბის მარჯვენა ნაპირზე მანევრირება, დანარჩენი თავისი ჯარი-კი შეეყარა ლიმატზე და გადასულიყო მითი ამ მდინარეზე. მან ცხვირი გაიტეხა ციურიხის სიმაგრეებზე. ცხადია რომ რუსების მოსვლამდე ავსტრიელების დასამარცხებლად ის ლიმატზე უნდა გადასულიყო.

2. ქვემორაინის არმიაში ლეკურბი 20.000 კაცით გავიდა რაინს-გაღმა. ის გარშემოადგა ფილისპურგს. უნდოდა თუ არა მას ფილიპსბურგის აღება? მაგრამ, ჯერ-ერთი, მას არ ჰქონოდა საალყო პარკი; მეორე, ეს ალყა გაგრძელდებოდა 30—40 დღეს, შემოდგომა-კი უკვე იწურებოდა; მესამე, მას ასეთი მნიშვნელოვანი სიმაგრის აღების იმედი არასაკმაო ძალებით, ოთხ ეჯზე ერცჰერცოგის მთელი არმიიდან, არ უნდა ჰქონოდა. ჯერ უნდა განედევნა იგი არა მხოლოდ დონაუშინგენამდე, არამედ ულმიდანაც-კი და გადაეგდო ლეხს-გაღმა. ამ ციხის ასაღებად საჭირო იყო თავის დაფარვა ხანდაკოვან ხაზებით. ეს მას არ გაუკეთებია. ლეხს-გაღმა ერცჰერცოგის უკუგდება შეიძლებოდა მხოლოდ კომბინირებული მოძრაობით ჰელვეციის არმიასთან ერთად, და ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა რომ ქვემორაინის არმიას ერცჰერცოგ კარლოსის შორეულ მარჯვენა ფრთაზე, ჰელვეციის არმიიდან 50 ლიეზე, ოპერაციების ნაცვლად ემოქმედნა მთავარი არმიიდან მოუწყვეტლად.

3. 10 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე, 35 დღის განმავლობაში, მასენა უქმად იყო; ამასობაში-კი ლეკურბმა, თუმცა დამარცხებულმა და იძულებულმა რომ ფილიპსბურგის ალყა მოეხსნა, მთელი თავისი ძალებით იწყო მოქმედება და, მასთან, ორჯერ მასზე უფრო ჭარბი ძალების წინააღმდეგ. თავისი დაუფიქრებლობით ის საფრთხეში იგდებდა თავს: მას გადაჭყრიდნენ ან რაინში ან ნეკარში. მას ყველაფერი ანიშნებდა რომ წყნარად მდგარიყო რაინის მარცხენა ნაპირზე, რათა გაედიდებია თავისი არმია, დაერაზმა და დაედისციპლინებია იგი. თუ მას უნდოდა დივერსიის მოხდენა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ესა, ამისათვის საჭირო არ იყო ფილიპსბურგის გარემოცვა ან მცირე ძალებით გერმანიაში შეჭრა. ის მიაღწევდა თავის მიზანს თუ მტკიცედ გამაგრდებოდა მარჯვენა ნაპირის ერთ-ერთ ადგილზე, კელის ან მანჰაიმის წინ, და ააგებდა აქ ბანაკს-სიმაგრეს ჯერ 20.000ჯაცისათვის, შემდეგ-კი—30.000—40.000-ისათვის. ეს შეაშფოთებდა ერცჰერცოგს კარლოსს, შეუმსუბუქებდა ოპერაციებს ჰელვეციის არმიას და მთელ გერმანიას შიშში ჩააგდებდა. დივერსიის ასეთი ხერხი ჰგავს ომის წარმოების მეთოდს მასენასას, რომელიც ციურიხის ბრძოლის შემდეგ თავდაცვაზე გადავიდა. როდესაც მთავარი ძალები უმოძრა-

ვოა, ცალკეულმა და მეორეხარისხოვანმა რაზმმა დივერსია არ უნდა აკეთოს აქტიური ან შეტევითი წინწაწევით, მან თავისი მოქმედება უნდა შეუთანხმოს მთავარ ძალებს და სამხედრო მოქმედების ასპარეზზე მოახდინოს გავლენა თავდაცვითი მოქმედებით ისეთი პოზიციის დაკავებით, რომელიც თავისთავად საშიში იქნებოდა. კარგად ორგანიზებულ არმიას შეუძლია სამი დღის განმავლობაში იმდენი მიწის მოთხრა, იმდენი კარგი თხრილის ამოღება, იმდენი მესრით, სარით, ხირხალით თავისი თავის შემორკალვა, იმდენი ქვემეხის მიტანა ბატარიებში, რომ თავის თავდაცვის ხაზს მიუდგომელს გახდის. 20.000-კაციან ჯარს შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობის დაუხმარებლად. სამ დღეში 30.000—40.000 კუბურ ტიაზი მიწის ამოთხრა. რაისის ახლო გენერალ ლეკურბს შეეძლო კარგად გამოეყენებია წყალი და ხე-ტყის მასალა.

მესამე შენიშვნა. ჰოლანდია; იორკის ჰერცოგი. 1. გენერალ აბერკრომბს ეკავა ზეიპეს პოზიცია დაახლოებით 20 დღეს, ჯერ 12.000 კაცით, შემდეგ 17.000-ით. მისი მიზანი იყო: 1) ტექსელის რეიდის გასავლის დაფარვა, სადაც უნდა გადმომსხდარიყვნენ არმიის ცალკეული დივიზიები; 2) ინგლისის ესკადრიბისა და ფლოტილიების ზოიდერზეში შესვლის უზრუნველყოფა და თვით ამსტერდამამდე შიშის მოგვრა. მაგრამ ამ მიზნის შესასრულებლად მისთვის საჭირო არ იყო ზეიპეზე წამოწევა. 10 სექტემბერს მას შეუტია გალია-ბატავიის არმიამ 25.000 კაცის რაოდენობით. ის რომ დამარცხებულიყო და ჰელდერამდე ძლივს მისულიყო, ლონდონის და ს.-პეტერბურგის კაბინეტების გეგმები თავდაყირა დადგებოდა. ამ გენერალმა თავისი მოქმედებით კიდევ უფრო გაადიდა ლაშქრობის გეგმის ნაკლოვანებანი. მაშინვე, ნაპირზე თავისი გადმოსვლის შემდეგ, მას უნდა დაეკავებია პოზიციები ჰელდერის ხაზზე, გაეკეთებია სანგრები მორლანის დიუნებზე და წყლით დაეფარნა ადგილი. მაშინ მისი დაძლევა შეუძლებელი იქნებოდა. ამ პოზიციაზე, თავის ესკადრის ქვემეხების მფარველობით, ხელში ექნებოდა ზოიდერზეს შესავალი: მისი დაცვით გადმოვიდოდა იორკის ჰერცოგი. მხოლოდ მაშინ, როცა თავის 40.000-იან არმიას მოაგროვებდა, უნდა დაეწყო მას წინსვლა.

2. გალია-ბატავიის არმიის იერიშები ზეიპეზე, 10 სექტემბერს, დამარცხდა. თუ ზოგჯერ მოხდება რომ 17.000 კაცი 25.000 კაცს დაამარცხებს ხოლმე, ეს ვერ გაამართლებს იმათ უგნურობას, ვინანიც უსაფუძვლოდ ასეთ ბრძოლაში ებმებიან. როდესაც არმია მოელის დამხმარე ჯარებს, რომლებიც მის ძალას ასამკეცებენ, მან საალალბედოდ არ უნდა გაიხადოს საქმე, რათა არ გააქარწყლოს ის წარმატება, რომელიც უეჭველია ყველა მისი დივიზიის თავმოყრის შემდეგ. გარნა, გენერალ ბრიუნს რომ ზეიპეზე იერიში მიეტანა, ის გაიმარჯვებდა. ყოველ დამხევ ჯარზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იერიშის მიტანა, როცა მისი ძდგომარეობა კარგად დაზვერილია. გალია-ბატავიის არმიას, მაშასადამე, 10 სექტემბერს უნდა დაეკავებია პოზიცია ზეიპედან ზარბაზნის სროლის მანძილზე. ეს მოძრაობა დასრულდებოდა შუადღისას. მის მთავარსარდალს დღის დანარჩენი და მეორე დღე უნდა მოეხმარნა დაზვერვაზე, მოფიქრებაზე, იერიშის გეგმის დამუშავებაზე, გენერლებისა და კოლონების მეთაურების დარიგებაზე, ფიჩხკონების, დასაგებ ფიც-

რების, ხიდების, ასაგებ ნაწილების დამზადებაზე. მაშინ გამოირკვეოდა რომ მტრის მარჯვენა ფრთა, ზღვასა და სოფელ კრაბენდამს შორის, 3.000 ტუაზზე მეტ მანძილზე პოზიციის ყველაზე ძლიერი ნაწილია, რადგან ზეიპეს ჯებირის ძირას ალკმაარის განიერი და ღრმა არხია; რომ ამ ქალაქზე დაშენა შეიძლება ფრეგატებიდან და ზარბაზნიან ნავებიდან გვერდითი სროლით, და სოფელ კრაბენდამიდან სოფელ სენ-მაარტენამდე $1^1/_2$ ლიეა, და, ბოლოს, რომ სენ-მაარტენიდან ზოიდერზეს დიდ წასალეკ მინდვრებამდე—2 ლიეა.

მარჯვენა ფრთისადმი დამუქრებით, ნამდვილად იერიში უნდა მიტანილიყო მხოლოდ სენ-მაარტენის ახლო სამი ხაზით, რომელნიც დამორებულნი იქნებოდნენ ერთიმეორისაგან 200—300 ტუაზით. მტერს, რომელსაც განთიადზე უეცრად თავს დაესხნენ ასეთი შეჯგუფებული ძალები, არ შეეძლო არავითარი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. როცა მტერი დაინახავდა რომ მისი ბოლო მარცხენა ფრთა გარღვეულია, თავდავლილია, ზურგიდან საშიშროებაშია, სასწრაფოდ დაიხევდა ჰელდერისაკენ, თანაც იძულებული იქნებოდა ამ დახევის დროს გზადაგზა ებრძოლნა. გალია-ბატავიის არმიის არტილერიის უფროსს ამ ოპერაციისათვის უნდა აემოქმედებია 12-გირვანქიანი ზარბაზნებისა და ჰაუბიცების რვა ან ათი ბატარია, არმიის ჩვეულებრივი საარტილერიო საჭურველის გარდა, რათა იერიშს წინ წამძღვარებოდა ქვემეხების ძლიერი ცეცხლი და ჩაეჩუმებია მტრის საველე ქვემეხები. საინჟენერო ნაწილის უფროსს უნდა მოეწოდებია:

1) ბევრი ხომალდი და სხვა საშუალებანი არხებზე ხიდების გასაკეთებლად რამდენიმე საათის განმავლობაში.

2) ხელსაწყოები და მიწიანი ტომრები ლოჟმანების (logement) სასწრაფოდ მოსაწყობად და სხვა ყოველგვარ სამუშაოებისათვის, როგორნიც საჭირონი იქნებოდნენ გარემოებისდა მიხედვით. გენერალ აბერკრომბის რომ ჰელდერზე პოზიციები დაეკავებია, ის თავიდან აიცილებდა იმ სიძნელეებს, რომლებიც მას შეხვდა.

3. იორკის ჰერცოგმა წააგო ბერგენის ბრძოლა, რომელიც მას უნდა მოეგო, იმიტომ რომ წინა დღით, გალია-ბატავიის არმიის თავდავლის მიზნით მან გაგზავნა აბერკრომბი 15.000 კაცით ჰოორნისაკენ, ე. ი. თავისი არმიის მესამედი ნაწილით. 19-ს ბრძოლის დროს აბერკრომბი იმყოფებოდა 7 ლიეზე ცეცხლის ხაზიდან, ჰოორნთან მშვიდობიანად დაბანაკებული. ომის ყველა წესი ეწინააღმდეგება ასეთ გამოყოფას, მეტადრე ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჰოლანდი, სადაც ერთი დარღვეული ჯებირი დაუძლეველ ზღუდეს წარმოადგენს გამოყოფილ რაზმსა და არმიას შორის. შედეგი გამოვიდა ის რომ იორკის ჰერცოგმა, რომელსაც 40.000 კაცი ჰყავდა, გადაიხადა ბრძოლა მხოლოდ 25.000 კაცით, ე. ი. თანაბარი ან უფრო ნაკლები ძალებითაც-კი, ვიდრე გალია-ბატავიის არმიამ. მას რომ აბერკრომბი მარჯვენა ფრთაზე დაეყენებია, და არა მარცხენაზე, მეორე ხაზზე ჰერმანის უკან, ის რამდენიმე დღის შემდეგ ღამეს ამსტერდამში გაათევდა და იქ ორანჟისტულ ალამს აღმართავდა.

4.ბრძოლის დროს სამი მოიერიშე კოლონა—ჰერმანის, დუნდასის და პულტენეის—დაცილებული იყო ერთიმეორეს ბუნებრივი ზღუდეებით, და რამდენადაც რუსის გენერალი ჰერმანი წინ მიიწევდა, იმდენად მისი მდგომარეობა

უფრო და უფრო უარესდებოდა, რადგან ალკმაარის არხი, რომელიც მას დანარჩენი არმიისაგან ჰყოფდა, თანდათან შორდებოდა ზღვას. ბოლოს, ამ გენერალს ორივე ფრთა ღია დაურჩა, და მას ვეღარ შეეძლო 16 ათასეულით 3 ლიე მანძილის დაფარვა ზღვასა და ალკმაარს შორის. არმიის შუაგულსა და მარცხენა კოლონას ვერ შეეძლოთ მასთან გასწორება არხებისა და სხვა ადგილობრივ დაბრკოლებათა გამო, რომელნიც ხელს უწყობდნენ გალ-ბატაველთა ძალებს. ამ მცთარი განლაგების ნაცვლად იორკის ჰერცოგს უნდა ემანევრებია სამი დივიზიით საფეხურული წესით, სახელდობრ: ჰერმანი—წინ, ზღვას მიბრჯენილი; დუნდასი—შუაში, უკან; პულტენეი—კიდევ უფრო უკან, მარცხენა ფრთით არხზე მიმიჯნული. როცა ჰერმანი ბერგენს გაუსწორდებოდა, მარცხენა ეშელონი მივიდოდა სოფელ შოორლდამის დონეზე. დილის 9 საათზე ჰერმანი შევიდოდა ალკმაარში და ხელთ იგდებდა საფრანგეთის არმიის მთავარ ბანაკს, მის პარკებსა და გზებს. შიში და არევ-დარევა გამეუდებოდა შუაგულსა და მარცხენა ფრთაზე, სადაც სარდლობდნენ დიუმონსო და დენდელსი, რომელნიც სასწრაფოდ იწყებდნენ დახევას არხებითა და ჯებირებით გადაკვეთილ ადგილებზე, მაშინ როცა ჰერმანის თოფ-ზარბაზნების ცეცხლი უკვე მათ ზურგში 2 ლიეზე იქნებოდა დანთებული.

5. ეგმონდისა და კასტრიკუმის ბრძოლები უსარგებლო იყო: ლაშქრობის პედი ბერგენის ბრძოლამ გადასწყვიტა. საფრანგეთის არმიამ ბევრი მაშველი ჯარი მიიღო; მრავალი ათასეული კვლავ მოდიოდა. მასენამ 24 სექტემბერს ციურიხთან მოკავშირეთა დიდი არმია დაამარცხა და ამან აიძულა ერცჰერცოგი—დაეტოვებია ქვემო რაინი და დაეხია დუნაიზე ავსტრიის იმ არმიას უმისოდ, რომელიც ქვემო რაინზე იდგა. ამ დროს ინგლის-რუსეთის არმიას ვერ შეეძლო ამსტერდამში გაჩერება; მისი დამარცხება გარდუვალი იყო. ეგმონდის ბრძოლაში იორკის ჰერცოგს ჯარების განლაგება უკეთესი ჰქონდა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

მ ე ო თ ხ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ჰოლანდი; ბრიუნი. 1. გენერალმა ბრიუნმა აგვისტოს ათი უკანასკნელი დღე დაჰკარგა სამწუხარო მერყეობაში. გადაწყვეტილების მისაღებად ის დაელოდა უფრო საიმედო ცნობებს მტრის განზრახვაზე. ის ფიქრობდა რომ უმჯობესია ნელა იმოქმედო ვიდრე—ალალბედზეო. ასეთი საფრთხილე აქ უადგილო იყო: ინგლისელების შეტევის ადგილი სრულიად საეჭვო არ იყო. მათ უნდოდათ ჰოლანდის ხელში ჩაგდება და ეს შეეძლოთ ზოიდერზეს დაპყრობით, ამისთვის-კი მათ ჰელდერი სჭირდებოდათ.

მართლაც, ჰოლანდი—გაშლილი ვაკეა, რომელსაც რომბის მოყვანილობა აქვს. ამ რომბის კუთხეებში არიან ფლისინგენი, ტექსელი, დელფზეილი და ნიმვეგენი. გვერდი ტექსელ—ფლისინგენი 45 ლიეაა; ფლისინგენ—ნიმვეგენი—35; ეს გამოდის 1575 კვ. ლიე სივრცე, რომლიდანაც 400—500 კვ. ლიე მოდის შიგნითა ზღვაზე—ზოიდერზეზე. ჰოლანდი მდებარეობს შელდის, მაასისა და რაინის შესართავში. ამ სამი დიდი მდინარის წყლები ერთმანეთში არიან განიერ ნაკადებით გადახლართული და მათ შორის მიმოსვლა წარმოებს მრავალი არხის საშუალებით. მტკნარი წყლები გამოყოფილია ოკეანედან ბეჯითად აგებუ-

ლი ჯებირებით, რომლებიც ზღვის მიქცევის დროს უშვებენ ამ წყლებს ზღვაში, მოქცევის დროს-კი აჩერებენ ზღვის ტალღებს და არ უშვებენ მათ რომ ქვეყანა წალეკონ. ჰოლანდი უმთავრესად ზღვის მოქცევათა დონეზე უფრო დაბლაა, და ჯებირებითა და კაშხალებით რომ უზრუნველყოფილი არ იყოს, დღე-ღამეში ორჯერ წალეკავდა ზღვის წყალი. ბატავია გალიის ნაწილს შეადგენდა; გეოგრაფიულად ის საფრანგეთის ნაწილია. შელდა ჰყოფს მას ნიდერლანდებისაგან, ემსი—გერმანიისაგან. ეს ბუნებრივი სასაწყობო ადგილია ჩრდილოეთიდან სამხრეთ ევროპაში ძიმავლ გზაზე დიდი არტერიებით: რაინით, მაასით, შელდითა და ემსით ფლისინგენის, როტერდამისა და ამსტერდამის ნავსადგურებიდან. ეს უკანასკნელი ქალაქი დიდ ხანს იყო სავაჭრო მსოფლიოს დედაქალაქი. ბელგიის მარცვლეული და ნახშირი, ხე-ტყით დატვირთული ტივები რაინიდან და მის შენაკადებიდან ჰოლანდის სიმდიდრის მთავარი წყაროები იყვნენ და შეადგენდნენ მისი ვაჭრობის ბუნებრივსა და მისთვის განსაკუთრებულ დარგებს. მაასი და რაინი, მისი საზღვრები საფრანგეთთან, საინჟენერო ხელოვნებით გადაქცეულან საშიშ ზღუდეებად. ყველაზე უფრო მოხერხებული სამხედრო გზა საფრანგეთის არმიების ჰოლანდში შესასვლელად არის გზა ნიმვეგენსა და უტრეხტზე.

ზღვის მხრიდან ჰოლანდზე თავდასხმა შეიძლება შელდიდან (ესკოდან), მაასიდან და ზოიდერზედან. არმიას, რომელიც შელდაზე გადმოდის, ჯერ შეაჩერებს ფლისინგენი, ბატის ციხე და ბეროპ-ზო. ამასთან უნდა გადაილახოს აღმოსავლეთ შელდისა და მაასის ტოტები. თუ არმია მაასზე გადმოვა, მაშინ მას შეაჩერებს ჰელვეტსლუისის, ბრიელის სიმაგრეები და მაასის რამდენიმე ტოტი. მაასიდან ჰელდერამდე ნაპირი დაბალია, დიუნებით მოარშიებული, და არავითარი ნიშანი არ ეტყობა რეიდის, ნავსაყუდის ან ნავსადგურისა. ჰოლანდის დასაპყრობად საჭიროა ამსტერდამის დაპყრობა, და ყოველი ჯარი, რომელსაც ასეთი განზრახვა ექნება და მოდის ზღვით, უნდა წავიდეს ჰელდერზე. როცა ამ ადგილს დაიკავებს, ის დაეპატრონება ტექსელის გასავალს და მთელ ზოიდერზეს.

ზოიდერზე (Zuidersee) შინაგანი ზღვაა მრავალი ნავსადგურით, რომლებშიც შედის არხები. უკანასკნელები ჰოლანდის ყველა პუნქტს აკავშირებენ. ზოიდერზეს ტალღები ამსტერდამის კედლებს ეხლებიან. ის ხომალდები, რომლებიც 16 ფუტზე ღრმად სხედან წყალში, ძლივს დაცურავენ ამ ზღვაზე. ამ გარემოებამ აფიქრებინა ჰოლანდელ ინჟენერ-კონსტრუქტორებს—მიეცათ თავიანთ გემებისა და ფრეგატებისათვის რვეალი მოყვანილობა მხოლოდ 16—18 ფუტზე წყალჩაჯდომით. ეს დიდი უხერხულობაა და ართმევს მათ სვლის სისწრაფეს. ჰოლანდურ ანაგობის გემები უძლური არიან შეებრძოლონ ფრანგულ ან ინგლისურ ანაგობის გემებს. ამსტერდამის გემსაშენები, სადაც საბრძოლო გემები შენდება, იძულებული არიან გადაგზავნონ ხომალდების ჩონჩხედები მედებლიკის ან ნივე-დიპის ნავსადგურებში და მხოლოდ აქ დაასრულონ მათი შეჭურვა. იმ დროს, როდესაც ჰოლანდი იმპერიის ნაწილს შეადგენდა, ამსტერდამის გემსაშენებში იგებოდა ფრანგული ყაიდის 74- და 80-ზარბაზნიანი გემები, 23—24 ფუტზე წყალჩაჯდომით. მათაც აგრეთვე აგზავნიდნენ ნავტიკებით ნივე-დიპს ან ჰელდერს. ნივე-დიპს იმპერატორი უყურებდა როგორც ჰოლანდის გასაღებს, რომელიც

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მაგარი ციხით; უკანასკნელი დაიფარავდა თოფ-ხანას და გემსაშენებს, დაიცავდა მტრის გემებისაგან ტექსელის სრუტეს, ზოიდერზეს შესავალს და რეიდს. სხვა სრუტეებით პატარა ხომალდები თავისუფლად შედიოდნენ ზოიდერზეში, მაგრამ ფრეგატებსა და 74-ზარბაზნიან გემებს მხოლოდ ჰელდერის სრუტით შეეძლოთ იქ შესვლა ამ ზღვის ნაპირ-ნაპირ. ჰოლანდის დაპყრობის დროიდან 1793 წ. შეიგნეს ჰელდერის მნიშვნელობა, მაგრამ საფრანგეთისა და ჰოლანდის ინჟენერები მცთარ სისტემას გაჰყვნენ. მათ ააგეს ამ ადგილზე სიმაგრეები ისეთ დიდ მანძილზე, რომ ამ სიმაგრეთა დასაცავად მთელი არმია იქნებოდა საჭირო. იგივე არმია, განლაგებული ამგვარად, მტრის პირდაპირ, რომელიც ფლობს ზღვას, და რომელმაც უკვე გადმოსხა ჯარი და აიღო ტექსელი, აღმოჩნდებოდა გარშემორტყმული და იძულებული იქნებოდა დანებებოდა მტერს მოკლე დროში. 1811 წელს იმპერატორმა განკარგულება გასცა—აეგოთ პატარა ექვსკუთხიანი ციხე ლასალი, წყლით სავსე თხრილებით შემოვლებული; იგი 1—2 მილიონად დაჯდა. ის იცავდა მრავალ სანაპირო ბატარიას, რომელნიც ჰელდერის ბოლოს იყვნენ განლაგებული, სრუტის, რეიდისა და ესკადრის დასაცავად. 1814 წელს ჩინებულმა ადმირალმა ვერხიუელმა 7000—8000 ფრანგით ჩაიკეტა ამ ციხეში და იქ რამდენიმე თვის განმავლობაში უმაგრდებოდა მტერს. ამავე დროს მის ხელში იყო სრუტე და რეიდი, თუმცა შინაგანმა აჯანყებებმა ბოლო მოუღეს ამსტერდამსა და დანარჩენ ჰოლანდსაც. ეს ციხე რომ 20 წლით ადრე ყოფილიყო აგებული, ჰოლანდის ორი ესკადრა, რომელნიც ინგლისელებმა შეიპყრეს და მათ დანებდნენ, გადარჩენილი იქნებოდა.

მაგრამ 1799 წელს ეს ციხე აღარ არსებობდა. ჰელდერის ხაზები არაფერს ნიშნავდა სამხრეთიდან მტრის ჯარების გადმოსხმის დროს. მაშასადამე, სწორედ ჰელდერთან უნდა გადმომსხდარიყო ინგლისის არმია, რათა ხელთ ეგდო ის ხაზები და ბატარიები, რომელნიც სრუტეებს იცავდნენ, ვინაიდან ის ამის გამო პირველსავე წუთებში ტექსელსა და ზოიდერზეზე მდგომ ესკადრის ბატონ-პატრონი ხდებოდა. ჰოლანდის ადმირალს შესაძლებლობა არ ჰქონდა ნავსადგურში შეფარებისა, რადგან ამისთვის მას მოუხდებოდა თავისი გემების განიარაღება და ნავტიკებზე დადგმა. მაშასადამე, გალია-ბატავიის მთავარსარდალს, როგორც-კი ჰოლანდის დირექტორიამ მას აცნობა რომ ინგლისის ფლოტი სადესანტო ჯარებით ჰელდერთან გამოჩნდაო, მაშინვე უნდა გადაეტანა თავისი მთავარი ბანაკი ჰელდერთან და სწრაფად გაეგზავნა იქით დენდელსის, დიუმონსოს და ვანდამის დივიზიები. მათ შეეძლოთ იქ მისვლა 27-ს, და ზღვაში გადაყრიდნენ აბერკრომბის მოწინავე რაზმს, როგორც კი გადმოვიდოდა ნაპირზე. ამგვარად გადარჩებოდა ჰელდერი და ესკადრა, ექსპედიცია კი ჩაიშლებოდა.

2. 25-ს გენერალი დენდელსი თავისი დივიზიითურთ, 10.000 კაცის რაოდენობით, ჰელდერს მივიდა. მას 48 საათი ჰქონდა რომ მომზადებულიყო იერიშის მისატანად იმ ადგილზე, სადაც ინგლისის ადმირალს ჯარის გადმოსხმა უნდოდა. მას შეეძლო თავისი 10.000 კაცით, მიწის სამუშაოები შეესრულებია და 40—50 ქვემეხი დაედგა. მას, ჯერ-ერთი, უნდა დაეკავებია დიუნების თხემები რვა თუ ათი სანგრით, თითოეულ სანგარზე დაედგა ოთხი ან ხუთი

ქვემეხი და ამ სანგრების დამცველად გამოეყო 2.500 კაცი; მეორე, თავისი დივიზიის დანარჩენი ნაწილი უნდა გაეყო სამ ბრიგადად, 2.500 კაცით თითოეულში; ერთი—სამარქაფო, სანგრების დასახმარებლად; ორი დანარჩენი, თითოეული ცხრა ზარბაზნით,—მტერზე საიერიშოდ მარჯვნიდან და მარცხნიდან, როგორც-კი იგი გადმოვიდოდა ხმელეთზე და ხომალდები იძულებული იქნებოდნენ შეეწყვიტათ თავიანთი ცეცხლი. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ასეთი ხერხით მოქმედება წარმატებით დასრულდებოდა. ამ 50 ქვემეხის წამოღება შეიძლებოდა ჰელდერიდან, სადაც ბევრი ქვემეხი იყო. ჰოლანდიის ესკადრის რაზმებს შეეძლოთ დახმარების გაწევა ქვემეხების განლაგებაზე და მათ მომსახურეობაზეც-კი (ოცი 24-გირვანქიანი და 36-გირვანქიანი ქვემეხისაგან შედგენილ ბატარიით და ათიოდე დიდი მორტირით შეიძლებოდა დიდი წარმატებით მოქმედება ღუზაზე მდგომ ზარბაზნიანი ნავების ხაზის წინააღმდეგ), 68 ზარბაზანის ფინდიხი-კი მოსპობდა ნაპირზე გადმომსვლელ ჯარს.

3. ბერგენის ბრძოლაში გენერალ ბრიუნს თავის მარცხენა ფრთაზე, ზღვასა და არხს შორის, უნდა დაეყენებია არა მარტო ვანდამის დივიზია, არამედ დიუმონსოს დივიზიაც. დენდელსის დივიზია საკმაო იქნებოდა იმ უბნის დასაცავად, რომელიც მდებარეობს ალკმაარის არხის მარჯვენა მხარეზე.

4. რვა დღეს, 11-დან 19 თებერვლამდე, გალია-ბატავიის არმია დაძაბულად შრომობდა სიმაგრეების აგებაზე, მაგრამ სიმაგრეები უსისტემოდ იგებოდა. დივიზიამ, საინჟენერო ოფიცრებმა გააკეთეს სანგრები ჯებირებზე და ბარიკადი შემოავლეს სოფელს. არმიის საინჟენერო ნაწილის უფროსი და მთავარსარდალი არ ზრუნავდნენ რომ შეექმნათ სიმაგრეთა სისტემა და დასაყრდენი პუნქტი, სადაც მთელ არმიას შეეძლებოდა თავმოყრა და თავისი პოზიციითა და ბრძოლისათვის მზადებით თავისადმი პატივისცემის შთაგონება. ინგლისის არმია გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე გალია-ბატავიისა და სერიოზული დაბრკოლების გაწევა არ შეეძლო არხსა და ზღვას შორის 2—3 ლიგს მანძილზე წინსვლისთვის. ვინაიდან რანაირი სანგარიც არ უნდა იყოს, ქვიშაზე გაკეთებული უარესია ვიდრე ყველა სხვა ისედაც სუსტი საველე ნაგებობა. არხის მარჯვენა მხარეზე კი ასე არ იყო, იქ შეიძლება ყველგან წყლით სავსე თხრილებზე შეფარება და აგრეთვე წყლის მოშვება ადგილზე, ეს-კი შეუდარებლად უკეთესი დაცვაა. ჯარი იქ თითქმის დაზღვეულია ყოველგვარ აშკარა იერიშისაგან. არხის ორსავე მხარეზე უნდა აეგოთ საკმაოდ დიდი გამაგრებული ბანაკი, რათა მოეთავსებიათ არმია. ადგილი ბანაკთან წყლით უნდა დაეფარათ და გაემაგრებიათ იგი საინჟენერო ხელოვნების ყველა საშუალებით. ამ არხის სამი ხიდით შეიძლებოდა მანევრირება ორსავე ნაპირზე და წაწევა მტრის ზურგში ან ფრთებზე თუ ესენი დაცული არ ექნებოდა. ერთსა და მეორე ნაპირზედ თითოეულ გასავლისათვის ბრძოლის შემდეგ ჯარები თავს მოიყრიდნენ ამ ბანაკში და თავდასხმის შიშში ეყოლებოდათ მტრის მთელი არმია.

5. მეორე დღეს ეგმონდის ბრძოლის შემდეგ გენერალი ბრიუნი მოიქცა ომის წესების შესაბამისად მით რომ დასცალა თავისი პოზიცია და დაიკავა ბერვერვეიკის პოზიცია.

6. ბერგენის, ეგმონდის და კასტრიკუმის ბრძოლების შემდეგ, ახალი დამხმარე ჯარების მოსვლისას, რომელნიც ბატავიის არმიას უნდა მიეღო და რომელნიც ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, ბოლოს, ციურიხის გამარჯვების შემდეგ ალკმაარის შეთანხმება შეცთომად უნდა ჩაითვალოს. შუა ოქტომბერი იდგა. ზღვა ამ ადგილებში უკვე ძლიერ ღელავდა. იორკის ჰერცოგს მხოლოდ 25.000 ჯარისკაცი ჰყავდა; 16.000 კაცი მწყობრიდან გამოყვანილი იყო ბრძოლებისა და ავადმყოფობათა გამო. ზეიპე კარგი პოზიციაა, მაგრამ ისეთი არაა რომ უზრუნველყოს დამარცხებული და უფრო ნაკლები ძალის მქონე არმია კარგად მოფიქრებული, დაძაბული და მრავალრიცხოვანი არტილერიით დაცულ იერიშებისაგან. ბრიუნს ჰელდერის თოფხანაში თავის განკარგულებაში ჰქონდა 300—400 12-გირვანქიანი ზარბაზანი, ჰაუბიცი და კეჰორნის მორტირი. ამსტერდამში და რეკვიზიციის საშუალებით შეიძლებოდა საჭაპანო ტრანსპორტის შოვნა; თუმცა, საბრძოლო საჭურველის მოსატანად არხებიც კმაროდა. ციხესიმაგრეებში იყო ჰოლანდელთა 40 მეზარბაზნე ასეული და სამი ყალიბის 100—150 ქვემეხი, არმიის საველე არტილერიის იარაღების გარდა. ყველა ამ საშუალებით ზეიპე ინგლის-რუსეთის არმიისათვის სუსტი დამცველი იყო. მას იქ დაამარცხებდნენ და უწესრიგოდ უკუაგდებდნენ ჰელდერზე. როცა ჯარებში მერყეობა და გაურკვევლობა ვრცელდება, მას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვება ხოლმე—და ინგლისის არმიისათვის უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა არმიისათვის. ბრიუნმა არჩია მოქცეულიყო ანდაზისამებრ: „მტერს ოქროს ხიდი გაუდეთო“.

მან ლაშქრობა ჭკუიანად ჩაატარა. მისი არმია მუდამ მეტად სუსტი იყო რიცხვითაც და ხარისხითაც, კასტრიკუმის ბრძოლის გარდა. ინგლისელებს და რუსებს რჩეული ჯარები ჰყავდათ. ჰოლანდელთა ჯარები, პირიქით, უმრავლესობა ცუდი იყო. ჯარიდან ბევრი გერმანელი გარბოდა.

მ ე ხ უ თ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. იცალიან; ქუმეხი. 1. გენერალმა ჟუბერმა გაადიდა ლაშქრობის გეგმის ნაკლი, მით რომ დაიწყო შეტევა იტალიის არმიით ექვსიშვიდი დღით ადრე, ვიდრე შამპიონე თავის მოქმედებას დაიწყებდა და მოახდენდა დივერსიას, რამაც სუვოროვს გამოაყოფინა მის წინააღმდეგ რაზმი თავისი ბანაკიდან პოკოლოში.

2. რადგან ჟუბერს სურდა რომ ნოვის წინ ბრძოლა გადაეხადა, მას ხელახლად წინასწარ უნდა დაეპყრო პატარა ციხე სერავალე, რომელიც 7 აგვისტოს მტერს დანებდა. მისი დაკავებით მტერი გადაჭრიდა ერთ-ერთ გზას, ნოვიდან გენუას მიმავალს, წასწვდა სადარაჯო ბერას ფრანგების ზურგში და მიიღებდა დასაყრდენ წერტილს თავის მარჯვენა ფრთაზე, რომელიც დაცული არ იყო.

3. საფრანგეთის არმიის მარცხენა ფრთა არ უნდა გამოსულიყო ბორმიდით და შეერთებოდა თავის მარჯვენა ფრთას ნოვთან, ვაკეზე, მტრის თვალწინ. მას ეს უნდა გაეკეთებია ლა-ბოკეტას გაღმა, და როცა მარჯვენა ფრთას შეუერთდებოდა,—გამოსულიყო ნოვთან. ეს დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომელიც გამონაკლისებს არ ცნობს და რომლის მიხედვით არმიის მთავარი ძალების ყოველგვარი შეერთება უნდა ხდებოდეს მტრის უკან და შორს მისგან, მარჯვენა და მარცხენა ფრთებს შეიძლება თავდასხმოდნენ და დაემარცხებიათ

სათითოოდ, როდესაც ისინი ერთიმეორედან კიდევ შორს იმყოფებოდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა—დაემალნათ მტრისათვის არმიის შეტევითი მოძრაობა. მარცხენა ფრთა რომ ლა-ბოკეტიდან გამოსულიყო, ის მივიდოდა 14-ს საღამოს ნოვთან. 15-ს ანაზდად შეუტევდნენ სუვოროვს, რომელსაც, ამ მოულოდნელი იერიშით დაბნეულს, აღარ ეყოფოდა დრო თავისი ძალების თავმოსაყარად. საფრანგეთის არმია დაიკავებდა პოზიციას, სადაც ნოვი შუაგულში იქნებოდა და თავისი დახევის გზის—ნოვიდან გენუისკენ—მართობულად დადგებოდა. 1 ლიე ფრონტი მისთვის საკმარისი იქნებოდა, სახელდობრ: 1.200 ტუაზი ნოვსა და სკრივიას შორის მისი მარჯვენა ფრთისათვის და 1.200 ტუაზი—მარცხენა ფრთისათვის. მაშინ მისი საბრძოლო წყობა სამ ხაზად დადგებოდა. თავისი ძალების მიხედვით არმიას შეეძლო 5.000 ტუაზი სივრცის დაკავება; მაშასადამე, პირველი ხაზი შეიძლება ყოფილიყო 2.200 ტუაზი, მეორე—1.800 ტუაზი და მესამე—1.000 ტუაზი.

4. ამნაირად დაწყობილ არმიას შეეძლებოდა შეტევა და თავდაცვა, და მისი მთავარსარდალი არავითარ შემთხვევაში იძულებული არ იქნებოდა ჩაბმულიყო ბრძოლაში ასეთ ძლიერ პოზიციაზე. მოძრაობამ მარცხნით აქვიდონ აიძულა იგი დაეცვა საოპერაციო ხაზის სახით გზატკეცილი კაპრიატიდან პასტურანისკენ და დაეტოვებია სხვადასხვა წერტზე 3.000 კაცი ამ ხაზის უზრუნველსაყოფად. ამასთან, 4.500 ტუაზით ნოვს დაშორებულ სოფელ პასტურანის დაკავება მეტად სჭიმავდა მის ხაზს, რომელიც 5.700—6.000 ტუაზზე გრძელდებოდა, ესე იგი თითქმის ორჯერ მეტად ვიდრე საჭირო იყო, თუ ვიანგარიშებთ მარცხენა ფრთის ბოლოზე მყოფ ჯარის რიცხვის მიხედვით. ნოვიდან გენუას მიმავალი გზატკეცილი მტრის ცეცხლში მოექცა, რადგან ნოვიდან სკრივიამდე 1.200 ტუაზი დაცული იყო მხოლოდ ვატრენის დივიზიით, რომელსაც მარტო 1.000 ტუაზის დაფარვა შეეძლო.

5. ვატრენის მოძრაობა, როდესაც მან თავისი პოზიცია დასტოვა, რათა დაშვებულიყო ბარში და ნოვზე იერიშით მისულ რუსებისათვის გვერდიდან დაერტყა, ძალიან კარგი იქნებოდა, ეს რომ პირველი ხაზით გაეკეთებია და მეორე ხაზი მარქაფითურთ პოზიციაზე დაეტოვებია. არმიის საბრძოლო წყობის ასეთი გაჭიმულობის დროს ეს მოძრაობა ვერ იყო გონივრული.

6. მელასის წამოწევას სკრივიასა და ნოვს შორის არ უნდა აეძულებია ფრანგები დასახევად. საღამოის მხოლოდ 5 საათი იყო და ფრანგების მთავარსარდალს შეეძლო იერიშის მიტანა მელასზე. მაგრამ ღვინო მოხდილი იყო და საჭირო იყო მისი დალევა; უნდა დალოდებოდნენ დაღამებას. არმიის დახევა პასტურანისკენ დამღუპველი გამოდგა,—იგი არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო. მაშასადამე, საჭირო იყო ნოვთან დარჩენა და იქ ბრძოლა. ჩაიდინეს ყველაზე უფრო ცუდი საქმე, რისი გაკეთებაც-კი შესაძლებელი იყო. ჟუბერი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის არ გასცემდა დახევის ბრძანებას, და ბრძოლის ველი ფრანგებს დარჩებოდათ. ომში არადროს არ უნდა გააკეთო ნებაყოფლობით ის, რაც ყველაზე უფრო უცუდესია იმათში, რომელთა მოხდენა შესაძლებელია.

მ ე ე ქ ვ ს ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ალპის არმია; შამპიონე. 1. დივერსიის მოსახდენად შამპიონემ თავისი 25.000 კაცი ოთხ დივიზიად გაჰყო; პირველი შევიდა აოსტის ხევობაში, მეორემ მონ-სენისი გადაიარა და სუზას მივიდა, მესამემ

გადაიარა ჟენევრის მთა, მეოთხემ გასწია არჟანტერის უღელტეხილზე და დაიუფლა ბარიკადები. ასეთი სუსტი იერიშებით არ შეიძლებოდა მტრის შეშინება და მოტყვილება. მაგრამ ეს ოთხი დივიზია რომ მონ-სენისზე ყოფილიყო შეკრებილი, კომბინირებული მოძრაობით მთების უკან, შემდეგ დაეშვებოდნენ ნოვალეზეში და გასწევდნენ ტურინისაკენ,—მათი 25.000 კაცი ადვილად გასაღდებოდა 40.000 კაცად, და ამ დედაქალაქში ძლიერი განგაში ატყდებოდა. შამპიონე მაშინ უნდა დამდგარიყო პოზიციაზე რივოლთან, მთისწინებზე დაყრდნობით, და მაშინვე დაეწყო თავისი განლაგების ადგილის გამაგრება; თანაც უნდა გაეერთიანებია ორი სხვა პოზიცია რივოლსა და სუზას შორის, უფრო ვიწრონი და უფრო მაგარნი. მონ-სენისიდან თუ დაეშვებოდა 8 აგვისტოს, ის მივიდოდა რივოლს 10-ს. ავსტრიის დივიზია, ტურინის დასაცავად დანიშნული, განგაშს გამოიწვევდა სუვოროვის მთავარ ბანაკში. სუვოროვი ღამით 11-დან 12-ს, ანდა, სულ გვიან, 13-ს გასცემდა განკარგულებას—შეეჩერებიათ მტრის ჯარის ასეთი საშიში წინსვლა. შეიძლება არაფრად ჩააგდო 5.000—6.000 კაცის ოპერაციები მაგრამ არ შეიძლება გულგრილად შეეხვდე 30.000—40.000 კაცის საბრძოლო მოქმედებას შენს ზურგში. 13-ს საღამოს, როცა ჟუბერი ნოვთან გამოვიდოდა, სუვოროვის რაზმი, ტურინისკენ გაგზავნილი, უკვე გზაში იქნებოდა.

2. შამპიონე მთელი თავისი ძალებით უნდა დამდგარიყო 1.200—1.500 ტუაზის სიგრძის პოზიციაზე, მისი ფრთები (ფლანგები) უნდა დაყრდნობოდა შემომესრულ საფორტიფიკაციო ნაგებობას, რომელიც ადგილის შესაბამისი უნდა ყოფილიყო, შუბლი-კი (ფრონტი)—შემოესანგრა. ბარში ალაფობით ის ყველგან შიშს შეიტანდა. ასეთ მდგომარეობაში მის გამოსაგდებად საჭირო იქნებოდა სუვოროვის მთელი არმია და სწორედ მაშინ მას ეყოფოდა დრო—მომზადებულიყო ბრძოლისათვის, გაშლილიყო და დაეწყო თავისი ჯარი საბრძოლო წესზე. ჟუბერს რომ გაემარჯვნა, შამპიონეს შესაძლებლობა ექნებოდა შეერთებოდა მას ორი ეჯის გადავლით. ჟუბერი რომ დამარცხებულიყო, მას დრო დარჩებოდა წყნარად გადასულიყო უკანვე მთებს გადაღმა, ისე რომ მტრის დარტყმას არიდებოდა და არ დაეცადნა მტრის მთელი არმიის თავმოყრისათვის. დივერსიის მოწყობის ასეთი ხერხი—ერთადერთია, რომელსაც შეიძლება კარგი შედეგები მოჰყვეს. უეჭველია, უმჯობესი იქნებოდა რომ ეს 25.000 კაცი დროზე მისულიყო ნოვთან კომბინირებული სვლით მთების უკან. ერთი სიტყვით, ეს იყო ერთადერთი ხერხი მთავრობის მიერ მიღებულ გეგმის ნაკლოვანობათა გამოსასწორებლად.

3. ლა-ბოკეტაზე ლაშქრობა, ტორტონაზე ალყის მოხსნევინების მიზნით, გაკიცხვის ღირსია. კრაის მრავალრიცხოვანი არმია ძველი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, რომელნიც აღფრთოვანებული იყვნენ გამარჯვებით. მორო რომ გამარჯვებული ყოფილიყო, ის, უეჭველია, ტორტონამდე მივიდოდა, მაგრამ მას ვერ შეეძლო შიგ 48 საათზე მეტ ხანს გაძლება, იმიტომ რომ მელასი მოვიდოდა კონიდან კრაის დასახმარებლად. ეს გარემოება აიძულებდა საფრანგეთის არმიას—ხელახლად მთებს შეფარებოდა და ტორტონა თავის ბედის ანაბარად დაეტოვებია. სურსათ-სანოვაგის მარაგი, რისი შეტანაც შეიძლებოდა იქ 48 საათის განმავლობაში, მის საწყობებს მხოლოდ რამდენსამე დღეს ეყოფოდა. ქა-

ლაქი, სულ ერთია, მტერს დანებდებოდა. ეს იყო მტრის მონახვეჭი ნოვის ბრძოლის შედეგად, მისი უკანვე წართმევა შეუძლებელი იყო.

4. შამპიონემ იტალიის არმიის ტორტონისკენ ლაშქრობის დასახმარებლად განიმეორა ის, რაც მან აგვისტოში გააკეთა. აოსტაში მყოფი დივიზია დაიძრა ბარის ციხისაკენ, სუზაში მყოფი დივიზია—ტურინისაკენ, თვითონ ის პირადად—პინიეროლისკენ. ყველა ამ მოძრაობამ, უგეგმოდ და უმიზნოდ შესრულებულმა, გამოიწვია მისი დამარცხება.

იმის ნაცვლად რომ ეს მოძრაობა სამი დღით ადრე დაეწყო, ვიდრე მოროს გამოილაშქრებდა, მან ის რამდენიმე დღით დააგვიანა, ისე რომ კრაიმ, რომელმაც 9 სექტემბერს უკუაგდო იტალიის არმია ლა-ბოკეტას-გაღმა და 11-ს დაიკავა პოზიცია ტორტონასთან, მოასწრო გასვლა კერასკოსა და ფოსანოზე. მელასის მოძრაობასთან თავისი მოძრაობის შეხამებით, ის შეუერთდა მას ალპის არმიის გარმოსაცავად და საგრძნობლად დააზარალა ეს არმია ხევობებში, მთების ძირთან, ჩაგდებით. იმავე ათასეულებმა, რომელთაც დაახევინეს მოროს 9 სექტემბერს, სერავალესა და ნოვზე მისი იერიშების დროს, დაამარცხეს შამპიონე 19-ს ფოსანოსთან.

მისი არმია რომ უფრო გამოცდილი გენერლის ხელში ყოფილიყო თავმოყრილი, ამ არმიას შეეძლო მაგრად დაცხება. ბრძოლებმა, საშემოდგომო დაავადებებმა, სუვოროვის წასვლამ მნიშვნელოვნად დაასუსტეს ავსტრიელები. მარტო მელასს ვერ შეეძლო შამპიონეს არმიასთან გამკლავებმა. ამ უკანასკნელს-კი უნდა შეერჩია დრო და ხელი შეეშალა კრაისთვის, რომელიც მოროს წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული, რომ იგი არ დახმარებოდა მელასს. ორთავე ამ გენერალს შეეძლო მხოლოდ 30.000 კაცის შეკრება. შამპიონეს, რომელიც თავს მოუყრიდა თავისს დივიზიებს, თანაბარი ჯარი ეყოლებოდა, მაგრამ თავის უუნარობის გამო მან ფოსანოში მათ მხოლოდ 7.000—8.000 კაცი დაუპირისპირა.

მეშვიდე შენიშვნა. აღპისა და იტალიის არმიები; შამპიონე. 1. ოქტომბერში მელასს სხვა მიზანი არ ჰქონია თუ არა კონის აღება, რათა დაუფლებოდა მთელ იტალიას და აეძულებია ფრანგები — დაეზამთრებიათ ალპების იმიერ. შამპიონეს, პირიქით, უნდოდა შეენარჩუნებია იტალიის ეს გასაღები, რათა საზამთრო ბინები პიემონტის ნაყოფიერ ველებზე დაეკავებია. ის სწორად მსჯელობდა რომ მტრის გეგმების დასამარცხებლად ყველაზე უფრო ნამდვილი საშუალება იქნება ფრანგების მთავარი ბანაკის გადატანა კონთან, და ამ სიმაგრის წინ, ბანაკში მთელი არმიის თავმოყრაო. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მან ასეთი მოძრაობით მელასს კონის გარემოცვა მოახსნევინა და მისი არმია სტურის მარცხენა ნაპირზე გადააყვანინა, მთელი მარჯვენა ნაპირი კი მას დარჩა; მის შემდეგ რაც კონის გარემოცვა მოხსნილ იქნა და აღადგინეს თავისუფალი მიმოსვლა კონიდან სავონას, კარუსა და მონდოვს, არჟანტერისა და ტენდის უღელტეხილებზე,—მას ბეჯითად უნდა გაემაგრებია თავისი ბანაკი, გაედიდებია თავისი არმია, დაებრუნებია დიუჰემი და მისი 15.000 კაცი. ავსტრიის გენერალი იძულებული იქნებოდა ან ხელი აეღო თავის განზრახვაზე, ან იერიში მიეტანა ფრანგების ბანაკზე, რათა დაეტოვებინებია კონი, ამას-კი ვერ იზამდა თუ წინასწარ დარწმუნებული იქნებოდა თავის დამარცხებაში.

მაგრამ შამპიონე, რომელიც შორს იყო ასეთი აზრებისაგან, პირიქით, გამოვიდა ბანაკიდან დიუჰემთან თავის შეერთებამდე. ის მანევრებს აწარმოებდა სტურის ორსავე ნაპირზე. თავისი ოთხი დივიზიიდან მან სამი დააყენა მარჯვენა ნაპირზე მონდოვსა და კონს შორის, მეოთხე-კი დასაგლეჯად მელასს დაუტოვა. ამ შეცთომას შეტად დამღუპველი შედეგები მოჰყვა. ჟენოლის საბედისწერო ბრძოლამ ფრანგებს 8.000 კაცი დააკლო, გამოიწვია კონის დაცემა და არმიის დანაწილება; უკანასკნელი, ბარიდან განდევნილი, გაჭირვებისგან იღუპებოდა გენუის რივიერის მთებში.

2. ბოლოს, თუ შამპიონეს უნდოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შებრძოლება, ის უნდა დაძრულიყო სტურის ერთ-ერთი ნაპირით და მუდამ თან ჰყოლოდა თავისი 25.000 კაცი; კონის ბანაკთან დიუჰემის შეერთება-კი უნდა მოეხდინა ზურგიდან და არა მტრის თვალწინ.

თავისი სარდლობის სამი თვის განმავლობაში შამპიონემ, მცთარ პრინციპებზე აგებულ მანევრირებებით, სამჯერ დაღუპვაზე მიაყენა თავისი (ალპის) არმია, იმ შემთხვევების ანგარიშში ჩაუგდებლადაც-კი როდესაც მას სამხედრო ბედი გაუღიმებდა ხოლმე. ამასობაში მას უფრო მეტი ძალები ჰყავდა ვიდრე მტერს, არა ბრძოლის ველზე, სადაც ის მუდამ ახერხებდა—ყოფილიყო ერთი სამის წინააღმდეგ, არამედ სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე მთლიანად. მისნი მანევრირებანი და მისნი მოძრაობანი უნდა განხილულ იქნენ როგორც შეცთომების მთლიანი რიგი. მას ერთი მოძრაობაც არ გაუკეთებია რომ ომის ხელოვნებას არ ეწინააღმდეგებოდეს. როდესაც ჯარი დამარცხდა, მისი დაშლილი ნაწილების შეკრება და შეტევაზე გადასვლა ყველაზე უფრო ძნელი სამხედრო ოპერაციაა, რომელიც მთავარსარდლისგან ყველაზე მეტად მოითხოვს სამხედრო ხელოვნების პრინციპთა უღრმეს ცოდნას. სწორედ ასეთ შემთხვევებში მათი დარღვევა იწვევს დამარცხებასა და განადგურებას.



ტერმინები

ნაპოლეონის სამხედრო მემუარები მდიდარი მასალაა თანამედროვე საფრანგეთისა და აგრეთვე დას. ევროპის სამხედრო ხელოვნების განვითარების დონეს გამოსარკვევად. ამ მემუარებში ნათლად ჩანს, თუ რა მაღლა იდგა ეს ხელოვნება, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რევოლუციურ საფრანგეთში.

რამდენადაც რთული იყო სამხედრო საქმე, იმდენად რთული იყო მისი ენაც.

საქართველოს სამხედრო ხელოვნება სულ სხვა გზით ვითარდებოდა, ვიდრე დას. ევროპისა, ამიტომ თანამედროვე (XVIII საუკუნის დამლევის) საქართველოს სამხედრო ენაც ასე განსხვავდებოდა დას. ევროპის სამხედრო ენისაგან.

ცხადია რომ ნაპოლეონის „რჩეულ ნაწარმოებთა" თარგმნისას გვიხდებოდა ფრანგულ-ლათინური ტერმინების უხვად შემოტანა, თუმცა ვცდილობდით შეძლებისდა გვარად გამოგვეყენებია ჩვენი ძველი სამხედრო ტერმინოლოგიის მარაგი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვიქცეოდით ასე:

ა) ვხმარობდით იმ ქართულ ტერმინებს, რომლებიც არსებობდნენ ქართულ ენაში, თუ მათი მნიშვნელობანი შეესაბამებიან და გამოხატავენ იმ ცნებებს, რომელთათვისაც შემოსულან, ან შემოდიან უცხო ტერმინები.

მაგალითად, დავსტოვეთ ტერმინი „ციხისთავი" და არა „კომენდანტი" (ციხის), აგრეთვე—„ციხოვანი (მეციხოვნე) ჯარი" და არა „გარნიზონი" (ციხის) და ა. შ.

ბ) უპირატესობას ვაძლევდით ერთხელ უკვე შემოსულ და გაქართულებულ უცხო ტერმინებს, რომელთა ნაცვლად დღეს სხვა უცხო ენებიდანვე იმავე მნიშვნელობის ტერმინები შემოდიან.

ამიტომ ვტოვებთ ტერმინს „თოფხანას" და არა „არსენალს", „ხარაჯას" და არა „კონტრიბუციას" და ა. შ.

გ) შემოგვქონდა ის ქართული ტერმინები, რომელნიც მოიპოვებიან ხალხურ ენაში და სამწერლობო ენაში ჯერ არ (ან—ვერ) შემოსულან, და მათ ნაცვლად შემოჭრილან უცხო ან უვარგისი ტერმინები.

ამ საფუძვლით შემოვიტანეთ ტერმინი „მეთოფე" ახლახან შემოღებულ უვარგის ტერმინის—„მსროლელის"—ნაცვლად. „მეთოფე", „მეთოფე კაცი", „კარგი მეთოფე" (ზოგან იტყვიან: „მეთოფური"), ასე იხმარება ეს სიტყვა ხალხში, როდესაც ლაპარაკია იმ კაცზე რომელიც შეიარაღებულია თოფით და თოფს ისვრის. ტერმინი „მსროლელი" უხეირო თარგმანია (თუ—მიბაძვა) რუსული ტერმინისა—„სტრელოკ"-ისა, რომელიც ნიშნავს მხოლოდ თოფის მსროლელს (ძველად ნიშნავდა ისრის მსროლელს, მოისრეს), ქართული „მსროლელი"-კი ყველაფერს ნიშნავს: თოფის მსროლელსაც, ქვის მსროლელსაც და ა. შ. და ეს მისი სხვადასხვა მნიშვნელობა დღეს ყველა ცოცხალია (აქტიურია), ამიტომ ამ შემთხვევაში სპეციფიკურ ტერმინად ვერ გამოდგება. ამავე საფუძველით შემოგვაქვს ტერმინი „მეზარბაზნე" ჩვენს ლექსიკონებში მიღებულ „თოფჩის" ნაცვლად.

რასაკვირველია, ეს ტერმინები საბოლოო არაა: ტერმინი იცვლება, თუ მისი შესატყვისი უფრო მომარჯვებული ტერმინი გამოიძებნება.

აქ ვურთავთ იმ ტერმინების სიას, რომლებიც ნახმარია ამ წიგნში და ჯერ საყოველთაოდ ცნობილი ან განმტკიცებული არ არიან[1].

ჭ. ხუნდაძე

ათასეული—батальон
ასეული—рота

ბეგთაროსანი – кирасир
ბერა—шлагбаум; застава
ბონდი—понтонный мост

გახიზვნა—эвакуация
გემი—корабль

ეჯი—ერთი დღის სავალი გზა; მანძილი, რომელსაც გაივლის ჯარი ქვეითად, სალაშქრო წესით, დღე-ღამის განმავლობაში. ნორმალური ეჯი უდრის 30—35 კმ-ს (переход)

ზარბაზნიანი ნავი—канонерка

თოფხანა—арсенал
თოფჩი [2]—მეზარბაზნე (канонир)

კანჯო—ნავია პატარა (шлюпка)
კარაპა—баркас
კარჭაპი—ნავია ერთგვარი (баржа)
კატარღა—საბრძოლველი ხომალდი (galère)

ლეგიონი—полк

მარქაფი—резерв
მეზარბაზნე—канонир
მეთოფე—стрелок
მეთოფე ლეგიონი—стрелковый полк
მეციხოვნეები, მეციხოვნე ჯარი—гарнизон (крепости)
მთავარი ბანაკი—главная квартира
მიმონაწერი—წერილები, корреспонденция
მიმოწერა (ზმნა)—მიწერ-ნოწერა
მიწაყრილი—гласис
მოწინავე რაზმი—авангард
მოციქული—парламентер

ორჩხომელი—ნავია ერთგვარი (барка)
ოცეული—взвод

რაზმეული [3]—колонна

საბონდო—понтонный
საგუშაგო—пост
სადარაჯო ბერა—сторожевая застава
სამარქაფო—резервный
სანგარი—траншея; редут
საჯაბადრო—арсенал

ტალა—სადარაჯო დაცვა ლაშქრობაში (сторожевое охранение на походе)

ფინდიხი—картечь
ფრთა—фланг

ციხე—форт; цитадель
ციხექალაქი—ქალაქი, რომელშიც არის ციხე-სიმაგრე
ციხისთავი—комендант крепости
ციხოვანი (მეციხოვნე) ჯარი—гарнизон (крепости)
ცხენოსანი ასეული— эскадрон
ცხენოსანი ჯარი—кавалерия

წინა საგუშაგო—аванпост

ხანდაკოვანი ხაზი—სანგრების ხაზი ციხე-სიმაგრის გარშემო (циркумвалационная линия)
ხარაჯა (ხარკი)—контрибуция
ხომალდი—судно

ჯარი—армия; войско

---

[1] ზოგი ტერმინი შემოტანილია თვით ამ წიგნის ბეჭდვის პროცესში, ამიტომ ისინი მოხვდნენ წიგნის მეორე ნახევარში.

[2] უპრიანია—დარჩეს „ნეზარბაზნე“ როგორც ქართული ტერმინი და უფრო განკუთვნილი.

[3] ტერმინი „რაზმეული“ არაფერს არ ნიშნავს: ის ჩვენი ლექსიკონების მეოხებით მოხვდა ამ წიგნის პირველ ფურცლებზე. შემდეგში ის შეცვლილია „კოლონათი“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ტულონის ალყა 83
იტალიის არმიების ოპერაციები 1792, 1793, 1794 და 1795 წლებში 1
იტალიის ლაშქრობა 1796—1797 წწ. 22
I თ ა ვ ი. იტალიის სხვადასხვა სახელმწიფოს მდგომარეობა 1796 წ. 40
II თ ა ვ ი. მონტენოტეს ბრძოლა 40
III თ ა ვ ი. ლოდის ბრძოლა 42
IV თ ა ვ ი. პავიის აჯანყება 57
V თ ა ვ ი. ლაშქრობა პოს მარჯვენა ნაპირზე 73
VI თ ა ვ ი. კასტილიონეს ბრძოლა 82
VII თ ა ვ ი. მანვრირებანი და ბრძოლები მინჩიოსა და ბრენტას შუა 90
VIII თ ა ვ ი. არკოლის ბრძოლა 100
IX თ ა ვ ი. სამბრ-მაასისა და რაინის არმიების ოპერაციები გერმანიაში 1796 წელს . 109
X თ ა ვ ი. დიპლომატიური მოლაპარაკებანი 1796 წლის განმავლობაში 123
XI თ ა ვ ი. ბრძოლა რივოლთან 153
XII თ ა ვ ი. ტოლენტინო 166
XIII თ ა ვ ი. ტალიამენტო 177
XIV თ ა ვ ი. ლეობენი 185
XV თ ა ვ ი. ვენეცია 196
XVI თ ა ვ ი. მოლაპარაკებანი 1797 წელს 206
XVII თ ა ვ ი. 18 ფრუქტიდორის დღე 223
XVIII თ ა ვ ი. კამპო-ფორმიოს ზავი 239
შენიშვნები იტალიის 1796 და 1797 წწ. ლაშქრობებზე 253
შენიშვნები გენერალ ჟომინის წიგნზე: „მსხვილ სამხედრო ოპერაციათა განხილვა“ . . . 269
1798 წლის ომის ამბების ნარკვევები 291
1799 წლის პირველი ნახევრის ომის ამბების ნარკვევები 302
1799 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში მომხდარი ომების ნარკვევები 312
ტერმინები 332

შეცთომების გასწორება

გვ.	პწკარი	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
4	17 ქვ.	საზოგადოებრივი დაცვის კომი-	საზოგადოებრივი ხსნის კომი-
და სხვაგან		ტეტი	ტეტი
5	11 ზემ.	(უნდა დაემატოს)	ძნელია, კაცმა წარმოიდგინოს ამაზე უფრო სასაცილო რამე.
7	2 „	დიდ კოშკიდან	დიდ კოშკს
10	5 ქვ.	მეცაში	მეცში
15	9 ზემ.	მორტირა	მორტირი
15	16 „	გაუბიცებმა	ჰაუბიცებმა
15	19 „	ქროდა	იქროლებდა
27	5 „	ფრანგების ბრიგადის გენერალი ბრიულე მოჰკლეს.	ფრანგებს მოუკლეს ბრიგადის გენერალი ბრიულე.
41	11 „	ლომბარდიაჯ,	ლომბარდიას,
(41 და სხვ.)	19 „	მანტუ	მანტუა
77	1 „	მატერიკზე	კონტინენტზე
83	15 „	რომის საეფო კარეზ	რომის პაპმა
116	19 „	დამბაზე	ჯებირზე
128	4 „	გეხტსჰაიმის	ჰეხტსჰაიმის
„	21 „	ნაიენბურგამდე	ნოიენბურგამდე
129	19 ქვ.	ნაიმარკტს!	ნოიმარკტს!
134	12 ზემ.	ნაიშტადტისკენ,	ნოიშტადტისკენ,
„	21 „	ნაიბურგში	ნოიბურგში
140	15 „	წინანძღვრებიდან	წინნამძღვრებიდან
166	13 „	დაძვრა	დაძრვა
184	12 ქვ.	„ტე“-ს,	„ტე“-ს
192	3 „	მას შემდეგ,	მის შემდეგ,
197	15 „	შარშნა	შარშან
199	11 „	დროებითს	დროებითი
223	29 ზემ.	მე-18 ფრუქტიდორამდე	18 ფრუქტიდორამდე
224	2 „	ეოზეფინას	ეოზეფინეს
232	15 ქვ.	გაგზავნას	გაგზავნაზე
236	17 ზემ.	მასსა	მასა
265	5 ქვ.	იქნეთ.	იქნეთ,
288	1 „	ხელში	ხელში ჩაგდება,
292	3 ზემ.	მას შემდეგ	მის შემდეგ
296	13 ქვ.	ძალების მიერ	ძალების
321	2 „	ტენდი	ტენდის
„	1 „	ნაწილის	ნაწილი
322	11 „	თითონაც	თვითონაც
„	5 „	უკან დაიხიეს	დაიხიეს
327	6 „	ამის შესახებ	ამაზე
328	15 ზემ.	მას უნდა	უნდა
335	12 ქვ.	დაძმარებული	დაძმარებული

ფასი 40 მან.

Б 267

НАПОЛЕОН

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

(на грузинском языке)

Тбилиси 1943

94/99
S. 264


ტულონი
ბრიუნელ
ვაკე
ბრეგეტიე
ბრეგის ქონ. ცხენ
ბრეგის ქონ. ბატ.
ბრეგის ქონ.
ბრეგის ბატ.
ბრეგის ბატ.
ბრეგის ბატ



მე-3 ხაქვმა. პიატენსის მიდამოების გეგმა.



ნახ.4 სქემა. მანტუის სიმაგრის გეგმა.

ფე-5 სქემა. ლონატოსა და კასტილიონესთან მომხდარ ბრძოლების გეგმა.



[ფე-6 ხელმ. გარდას-ტბასა, მდინარეების მინჩიოს, პოს, ბრენტას ზორის მდებარე ადგილის რუკა.



ნახ. 7 სქემა. 1796 წ. 15, 16 და 17 ნოემბერს არკოლესთან მომხდარ ბრძოლის გეგმა.


ქალაქი
ციხე
ციხესიმაგრე
ბაზარი
ბაზრის ქ-ნა
ბაზრის ბ.
ბაზრის ქ-ნა
ბაზარი
ბაზარი
ბაზარი


ბეჭია
ბორსოლი
ზოსკეტო
ლა-ბორონეა
ბორონეა
ბორგეტო
ბორგეტო
ბორტი
ბორტი
ბორტი


ჭირუბაიოთ აღნიშვნები
ფრანგები, მოკავშირ.
1-ი ბოზიტ.
2 "
3 "
4 "
5 "
6 "
მასშტაბი
0 500 1000 ტუაზი
ჭარაღოვგო
ბაღი
ბაღი
ბაღი



მე-11 ხქემა. ვენეციის გეგმა.



პირობითი ნიშნები

- ფრანგის ქვეითი ჯარი
- ფრანგის ცხენოსანი ჯარი
- რუსის ქვეიოი ჯარი
- რუსის ცხენოსანი ჯარი
- ავსტრიის ქვეითი ჯარი
- ავსტრიის ცხენოსანი ჯარი

ა—გენერალ კრაის კორპუსის 1-ლი მოძრაობა
ბ—რუსის კოლონა და რუსის მოწინავე რაზმის 1-ლი მოძრაობა
გ—გენერალ მელასის კოლონის თავი
დ—რუსების იერიში ნოვზე და კრაის კორპუსისა—ფრანგების მარცხენა ფრთაზე
ე—მაიორ კეესის რაზმი

ფრანგების პოზიცია ნოვთან

ვ—რუსების მე-2 იერიში ნოვზე და კრაის კორპუსისა—ფრანგების მარცხენა ფრთაზე
ზ—ფრანგის რაზმი დაედევნა რუსებს მათი პირველი იერიშის დამარცხების შემდეგ
თ—მელასის კორპუსის მოძრაობა
ი—მოძრაობა მაღლობებზე
კ—გენერალ ლუზინიანის იერიში მონტე-როტონდოს მაღლობებზე
ლ—მიტროვსკის ბრიგადა თავს უვლის ფრანგების მარჯვენა ფრთას
მ—იერიში ფრანგების მარჯვენა ფრთაზე
ნ—რუსებისა და ავსტრიელების პოზიცია ბრძოლის შემდეგ
ო—ფრანგების დახევა



მე-12 სქემა. 1799 წ 15 აგვისტოს ნოვთან მომზდარ ბრძოლის გეგმა



მე-13 ხელმა. ქონის სიმაგრის მიდამოების გეგმა.